

57/2

საქართველოს
საბავშვო
საბავშვო

მნათობი

2

თებერვალი



1957



ურველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
 და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
 წელიწადი 34-ე № 2 თებერვალი, 1957 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

დ. შველიძე — ახალი, საბჭოთა, სოციალისტური საქართველო	33-3
ირაკლი აბაშიძე — როგორც დათბება... ლექსი	18
გრიგოლ აბაშიძე — ლამარელა, რომანი	19
გიორგი ლეონიძე — პატარა ქვეთ პატარძელში, ლექსი	60
ხაშონ ჩიქოვანი — ლექსები	52
მისხილ ქელიძე — ტუისმცველი, მოთხრობა	56
ანდრია ხინაური — ლექსები	72
გივი მწელაძე — ლექსები	74
ხიმონ წყერაძე — შესვენება ტარიბანაში, ნარკვევი	76
მენრი დაუსონი — მოთხრობები, თარგმანი სერგო აბულაძისა	93
დავით კასრაძე — მოგონება ლადო მესხიშვილზე	103

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ა. დ. გ. აბულედიანი — აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის ზოგიერთი საკითხისათვის	107
პროფ. ს. ყაუხჩიშვილი — „გიორგი მერჩულის“ გარშემო	115
პროფ. დ. კობაძე — ტერმინი „აბზაზის“ შინაშენლობა სპარსული წყაროების მიხედვით	126
ნინო აღნიაშვილი — ბავშვების საყვარელი მწერალი	129
შალვა რაფიანი — ვალერიან გაფრინდაშვილი	132
თ. კობლატაძე, წ. ჭუმბურიძე — ქართული ენის ბუნებრიობის დასაცავად მხატვრულ თარგმანში	135
ნოდარ კაკაბაძე — გამოჩენილი გერმანელი ლირიკოსი	144
გიორგი ბეგიაშვილი — თბილისის ქუჩების საბელწოდებანი	147

ლიტერატურული მემკვიდრეობა

აკაკი შანიძე — ვეფხისტყაოსნის ენის საკითხები	151
დავით ფანტლიძე — ვ. პეტრო და მეცხრამეტე საუკუნის ქართული საზოგადოებრიობა	158

ფოლკლორის საკითხები

დ. ლლონტი — ალ. პეტსინის ზღაპარი ქართულ ფოლკლორში	164
თბ. მე-2 გვ.	



სერგო გერხამია — ლაღო მესხიშვილი	171
ოთარ ფირალიშვილი — აპარის მხატვრები	176

საქართველოს
წიგნიერების
კავშირთა
კავშირთა

წიგნების მიმოხილვა

მიხეილ კეკელიძე — მონოგრაფია ვეატურიე ვაბაშვილზე	178
ალ. გვახარია — ნიჟამი — „რჩეული“	180
ვ. ხუბაშვილი — ორდე დგებულების მოთხრობები	182
დავით კობახიძე — დიდი ჩინელი რევოლუციონერი დემოკრატი	184
ბ. ხასია — ახალი ნაშრომი აგრარულ ურთიერთობათა ისტორიიდან	186
ა. კალანდია — დეკარტის „მეტაფიზიკური ვააზრებანი“	188

მხროლოდ რეპლიკა

სულხან ქუთათაური — ეკოვლას სახის ვაგებისათვის „სტუმარ მასხინძელში“	191
აბაღლი წიგნები	გარეკანის შესაშე გვ.

რედაქტორი ს. ჩიქოვანი

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/შვ. მდივანი), კ. ლორთქიფანიძე, პ. რატიანი,
ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42, 2-11-66.

ბეჭდვით გამოცემულია დასაბუქდად 18/111-57 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 12. შეკვეთა № 81.
უე 00030. ანაწილების ზომა 7 1/4 X 12 1/2. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 6000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლღრაფგამომცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат Печати Главполиграфиздата Министерства Культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул. Марджаншвили, № 5.



ახალი, საბჭოთა, სოციალისტური საქართველო



რ. მჭედლიძე

25 თებერვალი! ეს ისტორიული, მარად სამახსოვრო თარიღია ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

25 თებერვალი! ეს ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულია.

ყოველი წლის 25 თებერვალს მთელი ქართველი ხალხი, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვანი სიხარულით აღნიშნავენ თავისი ქვეყნის ახალი, საბჭოთა, სოციალისტური საქართველოს დაბადების წლის თავს.

მიმდინარე წლის 25 თებერვალს საბჭოთა საქართველოს 36 წელი შეუსრულდა.

36 წლის წინათ, თებერვლის სუსხიან დღეებში, როცა საქართველოს მშრომელებმა სამუდამოდ მოიშორეს კაპიტალისტური ჩაგვრისა და მემამულური თვითნებობის მჭიმე უღელი, — დაიწყო ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ნამდვილი გაზაფხული, მისი სახალხო მეურნეობის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების აყვავებისა და გაფურჩქვნის ბრწყინვალე პერიოდი.

ამ დღიდან ჩვენი ხალხი სამუდამოდ შევიდა ძლევაშობილი ოქტომბრის რევოლუციის მიერ მეფის ყოფილი იმპერიის ბრწყალებსაგან განთავისუფლებულ ხალხთა მხურ, თანასწორუფლებიან ოჯახში.

ჩვენი ეროვნული დღესასწაულის საზეიმოდ აღნიშვნა საუცხოო ტრადიციად იქცა. გვიხარია, როცა ჩვენს საყვარელ საბჭოთა საქართველოს წლები ემატება. კაცმა რომ თქვას, ამით იგი თითქოს უფრო ხანდაზმული უნდა ხდებოდეს და, როგორც ბუნების წესია, კალარა ემატებოდეს, სიბერის ეამს უახლოვდებოდეს.

მაგრამ პირიქით კი ხდება.

ჩვენს საბჭოთა საქართველოს რამდენი ახალი წელიც უნდა მიემატოს, ძალა და ენერჯია კი არ აკლდება, არამედ მარად ქაბუჯური სიხალისით მიჰყვება ახალი სოციალისტური ცხოვრების ნათელ გზას, და ჩვენს თვალწინ ზღაპრული მშვეპბუკივით დგება მუდამ პირმცინარი, მუდამ ზალისიანი, კიდევ უფრო უკეთესი მომავლის იდეალებით გაცისკროვნებული.

სასიხარულოა და მრავალმეტყველი ის ფაქტი, რომ ეს საზეიმო თარიღი — 25 თებერვალი — ემთხვევა გმირული საბჭოთა არმიის დაარსების 39 წლისთავს, არმიისა, რომელმაც ჩვენი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის იმ ცხარე დღეებში დახმარების მხური ხელი გამოგვიწოდა და მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყებულ მუშებსა და გლეხებთან ერთად პირველად დაარწია ქართველი ხალხის ნამდვილი თავისუფლების აკვანი.

საქართველოს მშრომელები, თვითელი ჩვენგანი წმიდად ინახავს თავის გულში მამაცი წითელი არმიისადმი უსაზღვრო მადლობისა და სიყვარულის გრძნობას.

ჩვენს ნაციონალურ ზეიმში ყოველთვის მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის სახელოვანი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, და მთელი ქართველი ხალხიც, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც საბჭოთა არმიის ამ მამაც მებრძო-

ლებსა და მეთაურებს გადასცემენ მადლობის სიტყვებსა და მხურვალე, გულ-
თად სალამს.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც ჩვენი დიდი მრავალრიცხოვანი
საბჭოთა კავშირის ხალხებს, შეუძლიათ მშვიდი ცხოვრება, თავისუფალი შემოქ-
მედებითი შრომა, ჩვენს შვილებს კი — სწავლა და დასვენება, რადგან ჩვენი
მშვიდობისმოყვარე ქვეყნის სადარაჯოზე ფიზიკურად დგას უახლესი საბრძოლო
ტექნიკითა და იარაღით აღჭურვილი, სამშობლოსადმი სიყვარულითა და ერთგუ-
ლებით აღსავსე საბჭოთა არმია.

1.

36 წელია, რაც საბჭოთა ხალხთა მხურვალე, კომუნისტური პარტიის
ხელმძღვანელობით იზრდება და ვითარდება ახალი, საბჭოთა სოციალის-
ტური საქართველო.

36 წელია რა მოკლე ისტორიული ვადაა ეს, მაგრამ რა რიგ გარდაქმნა ამ
წლების მანძილზე ჩვენი რესპუბლიკა!

ჩვენ, ახალი თაობის ადამიანებმა, რომლებმაც შეგნებული ცხოვრება საბ-
ჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყეთ, ხოლო ჩვენმა შვილებმა, უმცროსმა
დებმა და ამებმა, რომლებიც საბჭოთა საქართველოს აყვავებისა და მისი გაფურ-
ჩების წლებში დაიბადნენ, ჩვენი მშობლებისა და უფროსი თაობის უსიხარულო
ცხოვრების შესახებ ვიცით მხოლოდ ისტორიის სახელმძღვანელოებიდან, ლიტე-
რატურიდან, ანდა საარქივო დოკუმენტებიდან.

ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რა ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფე-
ბოდა საქართველო ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის პერიოდში, ეკონო-
მიური განვითარების რა დაბალ დონეზე იდგა ჩვენი ქვეყანა, რომლის სიმდიდ-
რეს, მის ბუნებრივ რესურსებს უსინდისოდ იტაცებდნენ უცხოელი და ადგი-
ლობრივი კაპიტალისტები.

ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება, თუ ერთხელ კიდევ მოვიგონებთ — რა ვიყა-
ვით, რას წარმოადგენდა მაშინდელი საქართველოს ეკონომიკა, მისი მრეწველო-
ბა, სოფლის მეურნეობა, როგორ გამოიყურებოდა მაშინდელი ქალაქი და სოფე-
ლი, როგორი იყო ჩვენი ხალხის ყოფა, ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს მთელ მრეწველო-
ბას შეადგენდა მხოლოდ ტყავისა და საპნის პატარა ქარხნები, თამბაქოსა და სა-
კონდიტრო ფაბრიკები. მრეწველობის 205 ფერეთლოდებული ცენზიანი საწარ-
მოდან 171 საწარმოში 50 მუშაზე ნაკლები იყო. ყველაზე დიდი საწარმო მაშინ
რკინიგზის მთავარი სახელოსნოები იყო. ამუშავებდნენ ქიათურის მარგანეცსაც.
მაგრამ ვინ იყო მათი ბატონ-პატრონი, ვინ მდიდრდებოდა მრეწველობის ამ შავი
ოქროთი? — ინგლისელი და ამერიკელი კონცესიონერები. ჩვენი საამაყო ფუ-
ნიკულიორიკი — ჩვენი დედაქალაქის მწვანე გვირგვინი — მაშინ ბელგაიელი კონ-
ცესიონერების საკუთრებას წარმოადგენდა.

გამოუვალ გაჭირვებას განიცდიდა ქართველი გლეხობა. მიწის დიდი ნაწილი
თავადაზნაურობის, ხაზინის, მონასტრებისა და კულაკების ხელში იყო. მარტო
თბილისის გუბერნიაში შემამულეებს ეკუთვნოდათ მთელი კერძო მესაკუთრული
მიწის 68 პროცენტი, ქუთაისის გუბერნიაში — 42 პროცენტი. გლეხთა უდიდესი
ნაწილი მცირემიწიანი იყო და გაჭირვებული ცხოვრობდა. სოფლად ბატონობდა
ხელით შრომა, კავი და თოხი. გლეხობას მძიმე ტვირთად აწვა მხრებზე ქართ-
ველი თავადაზნაურობა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ცარიზმის
ჩინოვნიკურ ბიუროკრატიულ აპარატთან.

ერთი უცხოელი მოგზაური ასე აღწერდა თავის შთაბეჭდილებებს ძველ
ქართული სოფლის შესახებ:

„საქართველოს ხალხი იმდენად ღარიბია, რამდენათაც ხარბია მათი ბატონი. ქვეყანა, რომელსაც შეეძლო თავისი სიუხვით ყველა გაეგებდნენიერებინა, ეგლე ცული მოწყობილობის გამო მხოლოდ იმდენ სარჩოს იძლევა, რომ უმრავლესე წილი მისი მოსახლეობისა შიმშილით არ ამოწყდეს. შევიწროებული გლეხი დაღონებული სთესს მინდვრებს თავის მემამულისათვის და თითონ კი საქმელი ძლივსა ჰყოფნის“.

ამის თვალსაჩინო დადასტურებაა სოფელი შილდა კახეთის ერთი ძველი და დიდი სოფელთაგანი თავისი შესანიშნავი მატერიალური კულტურის ისტორიული ძეგლებით. ეს სოფელი ქართველი ხალხის გარდასული მწლებდობის თანაზიარი იყო. და აი მიუხედავად მისი ბუნებრივი სიმდიდრეებისა—უხვი და ნოყიერი ველ—მინდვრებისა, მშვენიერი ტყეებისა, ანკარა წყაროებისა, სასაიამოვნო პაერისა, ერთი სიტყვით, ყოველგვარი სიკეთისა, რასაც კი ინატრებ ცხოვრებისათვის, ჯანმრთელობისათვის,—უხვად ჰქონდა ამ სოფელს, შილდელ გლეხკაცობას კი გაკირვებულ ყოფაში უხდებოდა ცხოვრება. XIX და XX საუკუნეებამდე მისი დროინდელ პრესაში („კვალი“, „მოამბე“, „დროება“) დაბეჭდილია მრავალი საყურადღებო კორესპონდენცია, წერილი, ცნობა, რომლებშიც მათი ნამდვილი, დუბჰირი ცხოვრება აღწერილი. „ექვსას კომლ გლეხში ორას კომლს ერთი კვალის გასაღები სახნავი მიწაც არ აქვს და საღალო მიწებში მუშაობენ“, — ასე წერდა „დროება“. „მოგვიყვანე რამე, — ვაია, არ მოგვიყვანე ვაგლახი! ასე ჩივის აქაური გლეხობა“ — იუწყებოდა „კვალი“. შილდელი გლეხობის „ცხოვრების ერთადერთი სახსარი — ღვინო „ჩარჩ-სირაჯთა ხელშია“. ისინი მრავალგვარი გაიძვერული ბერბებით „ნიორის ფასად“ „ყიდულობენ შილდელთაგან ღვინოს, შერყენიან საბაზროდ და ცეცხლის ფასად ყიდიან ქალაქებზე“... „დღეს შილდა ჩარჩ-მჯიღებით არის სავსე, რომელთაც... გზა ხსნილი აქვთ და წურბელასავით დათარეშობენ“ — მოუთხრობს თავის მკითხველებს „დროება“.

ქეშმარიტად, ასეთი იყო მაშინდელი დროება.

შილდელთა ჯანმრთელობის საქმე სოფლის ექიმბაშებსა და „მკითხველებს“ ჰქონდათ ხელში; ხატების „ნება-სურვილზე“ იყო მიგდებული ადამიანების სიკვდილ-სიცოცხლის ბედი. ფერმალი დროდადრო თუ გამოჩნდებოდა სოფელში, ხოლო ექიმის სახელს თელავში თუ გაიგონებდით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უბრალო მშრომელ ხალხს საშუალება არ ჰქონდა დასწავებოდა განათლებას, კულტურას, სწავლას. უმაღლეს განათლებაზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტია. ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ქართველ მოწინავე მეცნიერთა ჯგუფის დიდი მეცადინეობის შედეგად შეიქმნა 1918 წელს, პირველ დღეებიდანვე სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ზევით ჩვენ ვწერდით შილდელი გლეხის ცხოვრების ეკონომიურ მხარეზე. ახლა არ იტყვიოთ, როგორი იყო ამ სოფლის კულტურული სახე, მისი ადამიანების ცოდნის დონე?

დღესაც ბევრი მოხუცია შილდაში უსწავლევლობით გულდაწყვეტილი. ისინი მოწმენი არიან იმისა, რომ ღარიბი გლეხისათვის, ასეთს კი ხომ შილდელთა უმრავლესობა შეადგენდა, მიუწვდომელი იყო ანბანის სწავლა ადგილობრივ ორკლასიან სკოლაშიც. ბავშვები მწყემსობაში მიწაზე ჯოხით „წერის“ საშუალებით თუ ისწავლიდნენ საბელისა და გვარის დაწერას. სოფლის „მესვეურნი“ ეკლესიის აშენება-შეკეთებას ეძალეობდნენ, სკოლასა და მასწავლებელზე არავინ ფიქრობდა. თითო-ორიოლა, ე. წ. „დიდი ოჯახი“, ანუ „ოჯახიშვილი“ — ეულაკი ცხოვრობდა შეძლებულად შილდაში. ესენიც სწავლას მანცდამიანც არ ეტანებოდნენ და, თანასოფელელთა ექსპლოატაციის გზით, თვალი გამდიდრებაზე ექირათ.

ძველ საქართველოში აღამიანები ლაპარაკობდნენ თავიანთ მშობლიურ ენაზე, ქართულ ენაზე, მაგრამ წერა-კითხვა ათასში ერთს თუ შეექმნო, სხვებზე კი, ხელისმოწერის ნაცვლად, ჯვარს უსვამდნენ ქალაღზე და სწორედ ამიტომ ვლინდებოდა მათი უმწეო და ბედკრული ცხოვრების ჯვარდასმულობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან გავიდა სულ რაღაც 36 წელი.

რა ვიყავით და რა გავხდით!

ჩვენი პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს მზრუნველობისა და ყოველდღიური დახმარების შედეგად, საქართველოს მშრომელთა თავდადებული შრომის შედეგად ხუთწლეულების მანძილზე საქართველო წერილ-გლებური მეურნეობის ქვეყნიდან გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად, მოწინავე კულტურის ქვეყნად.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სამეურნეო მშენებლობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი რუსი ხალხის დახმარებას, ვ. ი. ლენინის ყურადღებას, მის მითითებებს.

ვ. ი. ლენინი, ითვალისწინებდა რა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების თავისებურ პირობებს, აუცილებლად თვლიდა აქ განსაკუთრებული ტაქტიკის გატარებას.

1921 წლის 14 აპრილს კავკასიის კომუნისტებისათვის გამოგზავნილ წერილში ლენინი ხაზგასმით მიუთითებდა: „ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრძალ კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოთქვრებულიად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“.

უფრო ადრე ვ. ი. ლენინის 2 მარტის მისასალმებელი წერილი სასწრაფოდ, პირდაპირი მავთულით გადაეცა ბაქოში ს. ორჯონიკიძეს, რომელმაც მაშინვე ტელეგრაფით გაუგზავნა პასუხი ლენინს და აცნობა: „საქართველოს კომუნისტები საესებით და ერთსულოვნად ეთანხმებიან ვ. ი. ლენინის დირექტივას“.

ამავე დღეს საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ მ. ორახელაშვილმა აცნობა ი. ბ. სტალინს: „გადაეცით ამხ. ლენინს სალამისათვის უღრმესი მადლობა. ჩვენ გვწამს, რომ ის არ დაგეტოვებს უყურადღებოდ არასდროს და მოგვწოდის ჩვენ თავის ბრძნულ რჩევას. ჩვენი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობის დროს ამხ. ლენინის რჩევა გადაგვარჩენს და გვიხსნის ჩვენ ყოველგვარი საშიშროებისაგან“.

ასე დიდ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს კომუნისტები ლენინის იდეურ და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას.

ჩვენს ხალხს კარგად ახსოვს ის დიდი მამობრივი მზრუნველობა, რასაც ვ. ი. ლენინი იჩენდა საბჭოთა საქართველოსადმი, ქართველი ხალხისადმი, რომელსაც ეხმარებოდა მატერიალურად, უმსუბუქებდა ეკონომიურ სიძნელეებს, რასაც, ბუნებრივია, ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

ამ მეტად რთულ ვითარებაში საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების სწორად განსაზღვრასა და პრაქტიკული ღონისძიებების დასახვის საქმეში დიდი როლი შეასრულა 1921 წლის ზაფხულში ი. ბ. სტალინის ჩამოსვლამ თბილისში.

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მიღებასთან ერთად, ი. ბ. სტალინი 6 ივლისს თბილისის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრებაზე გამოვიდა ვრცელი მოხსენებით „კომუნისტების მორიგი ამოცანების შესახებ საქართველოსა და ამიერკავკასიაში“.

ი. ბ. სტალინმა თავის მოხსენებაში ლენინის მითითებათა საფუძველზე ჩამოაყალიბა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, ამიერკავკასიაში კერძოვნული მშვიდობიანობის უზრუნველყოფისა და სამეურნეო მშენებლობის უწყინებლობის ამ მოხსენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტების მთელი შემდგომი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

საქართველოს ბოლშევიკებმა ენერგიულად მოჰკიდეს ხელი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეს, თავიანთ გარშემო შემოიკრიბეს მშრომელთა ფართო მასები, ისინი თანმიმდევრულად იბრძოდნენ ეროვნული შუღლის აღმოფხვრისა და მასების ინტერნაციონალური დარაზმულობისათვის.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ უზრუნველყო საბჭოთა საქართველოს უდიდესი მიღწევები სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დარგში.

რანი ვიყავით და რანი გავხდით!

ძველ ქართულ ზღაპრებში ჯადოსანი ხელს გაიქნევდა და უმაღ ბროლის სასახლეს გააშენებდა, უდაბნოში ზღვას გააჩენდა, მთას მთას მიადგამდა, ერთი სიტყვით, რასაც უნდოდა, იმას შექმნიდა, მაგრამ ქმნიდა ვისთვის? — მხოლოდ მეფისათვის, უფლისწულის, ან მისი მზეთუნახავისათვის.

დღეს, როდესაც ჩვენ საბჭოთა სინამდვილეს, ცხოვრებას ვაკვირდებით, თათქოს ვიღაცის ჯადოსნური ხელი მოქმედებდაო, ისე სწრაფად აღიპართა უკაცრიელ და უდაბურ ველზე ახალი ქალაქი რუსთავი თავისი დევივით ცეცხლმფრქვევი ღუმელებითა და უზარმაზარი რკინისმკვანეტელი დაზგებით; სამგორის ხრიოკ მინდვრებზე, სადაც მხოლოდ ქარი და ხორშაკი დანავარდობდა, ზურამუხტის ფერი ზღვა გაჩნდა. აშენდა ახალი სასახლეები, ბაღ-ვენახები, დაგროვდა ბუნების დიდი დოვლათი. მაგრამ ყოველივე ამას ახლა ქმნის არა ჯადოსანი, არამედ მშრომელი ხალხის მარჯვენა, და არა მეფეების, უფლისწულებისა და მზეთუნახავებისათვის, არამედ ისევე მშრომელი ხალხისათვის, მუშების, გლეხებისა და გონებრივი შრომის აღამიანებისათვის.

პირდაპირ უნდა ითქვას: ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს სწრაფ წინსვლას, რომ ზოგჯერ ვერც კი ვამჩნევთ იმ უდიდეს ცვლილებებს, რაც ჩვენ თვალით ხდება. განვილი ხუთწლეულების მანძილზე საქართველოს რუკაზე აღიბეჭდა ახალი რკინიგზის ხაზები. გაჩნდა ახალი ქალაქები, დაბები. აშენდა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო. რესპუბლიკის მრეწველობა ამჟამად ჩვენს ქვეყანას აძლევს მარგანეცს, თუჯს, ფოლადს, კოქსს, ნაგლინს, ცემენტს, მინერალურ სასუქებს, ფეროშენადნობს, ავტომობილებს, ძვირფას ჩარბებს. ყოველივე ეს ხომ ამ სამი ათეული წლის წინათ ოცნების საგანიც კი არ იყო. ყოველი საბჭოთა პარტიოტის გულს ახარებს ის, რომ ამჟამად სოციალისტური საქართველო თუჯის გამოდნობის მხრივ ერთ სულ მოსახლეზე რამდენჯერმე წინ უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორც არიან იაპონია და იტალია. ჩვენი რესპუბლიკა გაცილებით მეტ ფოლადს ადნობს, ვიდრე დანია, ნორვეგია, თურქეთი — ერთად აღებული. საბჭოთა საქართველო ასევე იძლევა უფრო მეტ მარგანეცს, ვიდრე მარგანეციტ განთქმული ისეთი ქვეყნები, როგორც არიან სამხრეთ-ამერიკის კავშირი, განა (ოქროს ნაპირი), საფრანგეთის ყოფილი მაროკო, კონგო, მექსიკა, იაპონია — ერთად აღებული. საქართველოს კვებისა და მსუბუქი მრეწველობა საბჭოთა კავშირის ამარაგებს ჩაით, მაღალ-ხარისხოვანი ღვინოებით, კონსერვებით, თამბაქოს ნაწარმით, აბრეშუმით...

წარსულს ჩაბარდა კავი — სოფლის მეურნეობის მთავარი იარაღი. ის შეცვალა რთულმა სასოფლო-სამეურნეო მანქანებმა. გასულ წელს რესპუბლიკის მინდვრებზე მუშაობდა: 3795 ტრაქტორი, 971 კომბაინი და დიდძალი სხვა სასო-

ფლო-სამეურნეო ტექნიკა და მაინც ვამბობთ, რომ ტექნიკა არ გვეყოფნისა იმდენად გაიზარდა ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება.

განუზომლად ამაღლდა ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და კულტურული დონე. 1956 წელს საქართველოში მოსახლეობის ყოველ ათას სულზე მოდიოდა უმაღლესი განათლების მქონე 14 კაცი — სამნახევარჯერ მეტი, ვიდრე საფრანგეთში და ოთხჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში. ჩვენს მეზობლებიდან ამ მხრივ თურქეთს გაეუსწართ ათჯერ, ირანს კი — ორმოცდაათჯერ.

ცნობილია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების მრავალი ღონისძიებით წერა-კითხვის უცოდინარობა კარგახანია მოისპო. თურქეთში კი წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 65 პროცენტს აღემატება, რაც შეეხება ირანს — იქ ეს პროცენტი გაცილებით დიდია — 90-ს აღწევს. ირანის ყურნალ „როუშან-ფექრ“-ის გასული წლის ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ცნობა, კერძოდ, ერთი რაიონის — შირაზის რაიონის მცხოვრებთა წერა-კითხვის მცოდნეთა შესახებ. ამ ცნობიდან ირკვევა, რომ რაიონის 50 სოფლის ყველა მცხოვრებიდან 94 პროცენტმა არ იცის წერა-კითხვა, 5 პროცენტს შეუძლია წერაცა და კითხვაც, ხოლო ერთ პროცენტს — მარტო კითხვა. ამჟამად ჩვენს სკოლებში სწავლობს 677 ათასი მოსწავლე, ესე იგი მოსახლეობის ყოველ ას სულზე თითქმის 17 მოსწავლე, თურქეთში სამი-ოთხი, ირანში კი — სათქმელადაც არა ღირს.

1904 წელს ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა:

— კარგი იქნებოდა, რომ საქართველოში გვეყოლოდა 20-30 ინჟინერი და აგრონომი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 100-ათასამდე სპეციალისტი, მათ შორის 35 ათასზე მეტი ინჟინერი და აგრონომი.

ასე განხორციელდა სინამდვილეში საქართველოს საუკეთესო შვილების ოცნებანი.

ყოველწლიურად იზრდება ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი, ხოლო მასთან ერთად — მაღალკვალიფიციურ მეცნიერ მუშაკთა და სპეციალისტთა რაოდენობაც. ამჟამად საქართველოში 150-მდე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებაა. მარტო გასული წლის ბოლოს საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით მათ შეემატა ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი, გამოთვლითი ცენტრი, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი, აგრეთვე სამი დიდი სამეცნიერო-საკვლევი დარგობრივი ინსტიტუტი.

ძველი და ახალი ცხოვრების შესადარებლად დავუბრუნდეთ ისევ სოფელ შილდას. მკითხველი უკვე გაეცნო მის ძველ სურათს. მაგრამ რაღა დარჩა დღეს ამ ძველი სურათისაგან? არაფერი, გარდა რელიეფის, სუფთა ჰაერისა და მწარე მოგონებისა.

სულ სხვაგვარად გამოიყურება დღეს სოფელი შილდა. მისი სახლები და ქუჩები გაჩირალდნებულია ილიჩის ნათურებით. რადიოქსელს ყოველწუთს მოაქვს მოსკოვისა და თბილისის ხმები. მუშაობს ადგილობრივი რადიოკანაქი. სოფელს ამშვენებს საკუთარი კულტურის სახლი რამდენიმე ასეულადგილიანი დარბაზით. შილდელების უმრავლესობამ წამოკიმა ახალი, ორსართულიანი სახლი, ბევრმა მათგანმა შეიძინა საკუთარი ავტომანქანა. სოფელში მოქმედებს აფთიაქი და პოლიკლინიკა. აქაურ საშუალო სკოლაში 1000-ზე მეტი მოსწავლეა, რომელთაც 68 პედაგოგი ასწავლის, მათ შორის 61 ადგილობრივი, შილდელი მცხოვრები. რამდენიმე ასეული მოსწავლე სწავლობს სოფელ ენისელში, სოფლის მექანიზაციის რესპუბლიკურ სასწავლებელში, რომელიც შილ-

დიდან სულ რაღაც ოთხი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და რომელთა შორისაც ბევრი შილდელი ახალგაზრდაა. ვინ მოსთვლის ამ სოფლის რამდენი მკვიდრი იქნეს უმაღლეს განათლებას თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

სოფელში ახლა 25-მდე აგრონომი და აგროტექნიკოსია, 20-მდე მედიცინის მუშაკი, მათ შორის 18 შილდელია. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში წარმატებით მოღვაწეობენ შილდელი მეცნიერები ა. ჩახტაური, მ. მირიანაშვილი, გ. ჭანკვეტაძე, გ. მირიანაშვილი, ვ. გიოშვილი, ნ. სულხანიშვილი...

ასეთი ძლიერი, საკუთარი ინტელიგენცია ჰყავს დღეს სოფელ შილდას და, როცა ამაზე ვწერთ, კვლავ გვაგონდება დიდი ილიას ნატვრა, — ნეტავი საქართველოში 20 — 30 აგრონომი და ინჟინერი გვეყავდესო. ის, რაც მთელ საქართველოსათვის ენატრებოდა ილიას, ახლა მარტო მისი სამშობლო კუთხის ერთ სოფელს — შილდას ჰყავს. ამაშია ჩვენი ახალი ცხოვრების ძალა და სილამაზე.

ბევრი უცხოელი სტუმარი მოგზაურობს ჩვენს ლამაზ ქვეყანაში — საბჭოთა საქართველოში, და თვით გუშინდელი მტრებიც კი იძულებული ხდებიან ქელი მოიხარონ საბჭოთა სინამდვილის წინაშე.

მოვიყვან ორ დამახასიათებელ, ჩემი აზრით, უთუოდ, საგულისხმო ფაქტს.

პირველი: როგორც პრესის ფურცლებიდან ვიცით, 1955 წლის შემოდგომაზე ჩვენთან, საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ბელგიის პარლამენტის დელეგაცია. მას მეთაურობდა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე პიუსმანსი.

ეს უცხოელი, მაღალი, ხმელი ტანის 85 წლის მოხუცი, ცნობილია წარსულში როგორც საბჭოთა ქვეყნის დაუძინებელი მტერი. იგი იყო ნოე ჟორდანიას მეგობარი, რომელიც კარლ კაუტსკისთან ერთად ჩამოვიდა მენშევიკურ საქართველოში და, ცხადია, თავისი თვლით იხილა, რას წარმოადგენდა ჩვენი პატარა ქვეყანა მაშინ.

და აი, როდესაც 35 წლის შემდეგ იგი კვლავ ესტუმრა საქართველოს და ნახა, როგორ გამოეცვლილყარათ, როგორ გავზრდილყართ, როგორ დაგვაქაყაყებულყართ, თუ რა გიგანტური ნახტომი გაუკეთებია ჩვენს ქვეყანას თავისი განვითარების რაღაც სამი ათეული წლის მანძილზე, — პირდაპირ განცვიფრებული დარჩა და გამომშვიდობებისას გადაგვიშალა თავისი გულის ნადები. მან თქვა:

„ძალიან გვაინტერესებდა, თუ როგორ გარდაქმნით თქვენ თქვენი ეკონომიკა. უნდა გითხრათ, რომ გოაცებული ვარ. მახსოვდა, რომ წინათ საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო. ახლა კი ვნახე, მრეწველობის რა ჰქვიანური რეორგანიზაცია მომხდარა.

...გემშვიდობებით, მაგრამ ჩვენ მუდამ გვემახსოვრება თქვენი მშვენიერი საუცხოო ტრადიციების მქონე ქვეყანა, მზისა და ღმირის ქვეყანა. თქვენ, საბჭოთა ადამიანები, სერიოზული ხალხი ხართ, და, ამავე დროს, სიხარულით შეკუყურებთ ცხოვრებას, სინათლესა და ბედნიერებას ხედავთ მასში.

ვუყურებ ჩემი ამხანაგების მომღიშარ სახეებს და ვგრძნობ, რას განიცდიან ისინი. მეც ამასვე განვიციდი და გეუბნებით: გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

სიტყვა სიტყვით მოვიყვანე პიუსმანსის ნათქვამი. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ პიუსმანსი მარტო არ არის. პიუსმანსები ათასობით, ათიათასობით არიან.

მეორე: გასული წლის ზაფხულში თავისი მეუღლითურთ თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ედგარ ფორი. როგორც ჩანს, მას ჩვენს ქვეყანაზე, საქართველოზე ისეთი წარმოდგენა ჰქონდა, როგორც აზი-

ის რომელიმე პროვინციაზე, ანდა მენშევიკების დროინდელ საქართველოზე, ისეთ საქართველოზე, როგორც აღწერილია პარიზის ბიბლიოთეკებში შემორჩენილ ძველ ბრძოლებში.

ბატონ ედგარ ფორმა მოისურვა თავისი ინტერესების დაქმნა და ეგზოტიკით და გვთხოვა გვეჩვენებინა ჩვენი დედაქალაქის რომელიმე ბაზარი. ვაჩვენეთ ერთი, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა. ვაჩვენეთ მეორე — ვერც ამით დაეკმაყოფილეთ. ბოლოს თვითონ გვითხრა: მე ისეთი ბაზრის ნახვა მინდა, სადაც საქონელაკიდებული აქლემებით ქუჩა-ქუჩა ვაჭრობენო.

ადვილი როდი იყო ბატონ ფორმის დარწმუნება იმაში, რომ ასეთი ბაზრების სურათი მხოლოდ მუზეუმებში შეიძლება ნახოს ახლა კაცმა.

ბევრ უცხოელ სტუმარს, ვინ იცის, იქნებ სურს კვლავ ხედავდეს საქართველოში მოვაჭრეთა აქლემების ქარავნებს და ისმენდეს ქუჩებში გამოფენილ მეწერილმანეთა გამაყრუებელ ყვირლ-ხივილს, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ჩვენ ასეთი სურვილების დაკმაყოფილება კარგა ხანია აღარ შეგვიძლია. რას ვიზამთ, თუ ჩვენი, საბჭოთა სინამდვილე ამ მხრივ ღალატობს ქართული სტუმართმომართობის განთქმულ ტრადიციას.

ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობამ გამოიწვია ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებაც.

ქართველი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორებისა და თეატრალური ხელოვნების მუშაკების მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები შევიდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს მოწინავე პროგრესული კულტურის საგანძურში.

ბევრი ჩვენი საბჭოთა მწერლის ნაწარმოები ითარგმნა საბჭოთა და საზღვარგარეთულ ხალხთა ენებზე. ასე, მაგალითად, ლ. ქიაჩელის ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ, ჩეხურ, რუმინულ, ბულგარულ, პოლონურ, ჩინურ და ინდურ ენებზე; ა. კეიშვილის „ლელო“ — ჩეხურ, სლოვაკურ, გერმანულ, ბულგარულ, უნგრულ და ჩინურ ენებზე; ა. ბელიაშვილის მოთხრობები — ინგლისურ, ჩეხურ, უნგრულ, ჩინურ და ინდურ ენებზე; კ. ლორთქიფანიძის „კოლხიდის ცისკარი“ ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მე არაფერს ვამბობ ჩვენი ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტების შესახებ, რომელთა მაღალმხატვრული ნაწარმოებები დღეს მსოფლიოს მრავალ ენაზე არიან აღწერებულნი.

გასულ წელს თავიანთი ახალი ნაწარმოებები გამოაქვეყნეს მწერლებმა შ. დადიანმა, კ. გამსახურდიამ, ა. ბელიაშვილმა, თ. დონცაშვილმა, რ. ჯაფარიძემ, ო. ჩხეიძემ. ახალ რომანებს ამთავრებენ კ. ლორთქიფანიძე, ა. ბელიაშვილი, ა. კეიშვილი, ს. კლდიაშვილი და სხვები.

დაიწერა კარგი მუსიკალური ნაწარმოებები, ოსტატურად დაიდგა ახალი სპექტაკლები, შეიქმნა ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის ნაწარმოებები. ყოველივე ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკები ხელცარიელი როდი წავლენ ქართული საბჭოთა კულტურის მიღწევის სრულიად საკავშირო დათვალეობაზე — ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს გაიმართება მთელი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში.

ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ღირსეულად წარვდგეთ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წინაშე და ერთხელ კიდევ ვსახელოთ ჩვენი შესანიშნავი ხალხი, მისი დიდი ტრადიციის მქონე კულტურა, მისი შესანიშნავი საბჭოთა ხელოვნება და ლიტერატურა.

საბჭოთა საქართველო მდიდარია არა მარტო მისი აყვავებული მთა-ველეებით, ბევრი მოუსვენარი, ბევრი კიდევ ნელად მოდულუნე მდინარეებით, ჩვენი

ლამაზი ქალაქებითა და სოფლებით, მეცნიერებისა და კულტურის შესანიშნავი კერებით, არამედ, რაც მთავარია, იგი მდიდარია ნიჭიერი მშრომელი და მფლობელი — მუშებით, კოლმეურნეებით, თავისი სახელოვანი ინტელიგენციით, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობით აღიზარდნენ და ჩვენი ქვეყნის მშენებას წარმოადგენენ. მათ შეუძლიათ, როგორც იტყვიან ზოლმე, მთები დასძრან. აი სწორედ ეს აღამიანები სქედენ გამარჯვებებს.

რა არის ჩვენი ამ გამარჯვებების წყარო?

უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფოებრივი, სოციალისტური წყობილების ბუნება. ის ყოველ საბჭოთა აღამიანს უქმნის მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელი ამალების საუცხოო პირობებს, გზას უხსნის მის ნიქსა და უნარს, ინიციატივასა და თაოსნობას; ამ გამარჯვებითა წყაროა იმის ღრმა შეგნება, რომ რაც უფრო უკეთ, თავდადებულად იმრომებ და იბრძოლებ, რაც უფრო ბეჯითად ისწავლი და შეუპოვრად დაეუფლები მეცნიერებას, მით უფრო ძლიერსა და მდიდარს გახდი შენს ქვეყანას, მით უფრო უხვი დოვლათით აავსებ შენს ოჯახს, საკუთარ ბედელს, მით უფრო ლამაზსა და შინაარსიანს გახდი პირად ცხოვრებას.

ჩვენი გამარჯვებების წყაროა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა. ჩვენს ხალხს ძველთაგანვე უთქვამს: ძმა ძმისთვისაო, შავ დღისთვისაო. არის მეორე შესანიშნავი ხალხური ანდაზაც: ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოფო. უყურებ საბჭოთა კავშირის შრავალეროვანი ოჯახის თვითეულ წევრს, მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა ცხოვრებას, საბჭოთა ქვეყნის ხალხებს შორის დამკვიდრებულ მეგობრობას, მათ ძმობასა და სიყვარულს, რასაც თვითეულ ნაბიჯზე ასე ძლიერად ვგრძნობთ და რაც გამოიხატება ურთიერთ დახმარებით, სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, დელეგაციების ხშირი გაცვლით, გამოცდილების გაზიარებით, მნიშვნელოვან სამეურნეო და კულტურული ღონისძიებათა ერთად ჩატარებით და ვინ მოსთვლის კიდევ რით, — და გჯერა: სანამ ეს კავშირი, ეს მეგობრობა არსებობს — ჩვენი ქვეყანა უძლეველი იქნება; სანამ ეს სიყვარული და ურთიერთ დახმარება არსებობს — თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის წარმატება გარანტირებულია; სანამ არსებობს ჩვენი ეს გულითადი მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, ყველა საბჭოთა ხალხთან — მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, ვერ შეაფერხებს ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აყვავებას.

ჩვენი გამარჯვებების, წარმატებების წყაროა სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, მისი ბრძნული პოლიტიკა, პარტიისა, რომელიც ჩვენს იმედსა და ნუგეშს, ჩვენს სინდისს წარმოადგენს და რომელსაც განუხრელად მიჰყავს წინ ქვეყანა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით.

2.

უდიდესი სიამაყის გრძნობით შევცქერით ჩვენ ჩვენი ცხოვრების ხვალისდელ დღეს. ჩვენი მომავალი ნათლად არის განსაზღვრული საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კულტურის, საბჭოთა აღამიანების მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის პროგრამით, რომელიც დასაბა კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრს, რომლებიც, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატები ამბობენ ზოლმე, ჩვენი ცხოვრების მშვენიერ მუსიკას, ნამდვილ სიმფონიას ქმნიან.

განზრახულია მეექვსე ხუთწლედში საქართველოს მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდოს 60 პროცენტით, კერძოდ, ქვანახშირის მოპოვება — 40

პროცენტით, მარჯანციისა — 50 პროცენტით. გათვალისწინებულია მეტალურ-
გიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის მძლავრი გაფართოება.

ახალი ხუთწლელი საქართველოსათვის იქნება ფართო პილროენერგომშენებლობის ხუთწლელი. ამუშავდება ახალი დიდი პილროენექტრო სადგურები — ლაჯანურისა, ხრამის მეორე, გუმათისა, ტყიბულისა... დაიწყება დარიალის ჰესის მშენებლობა მდინარე თერგზე, აგრეთვე რიონის კასკადის ახალი სადგურის მშენებლობა. განზრახულია ახალ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში ელექტროენერჯის გამოიმუშავება გაიზარდოს თითქმის ერთიორად. ეს იმას ნიშნავს, რომ ლაგამს ამოვდებთ მთის ჩქარ, გვიმაე მდინარეებს, ვაძლულებთ მათ იმუშაონ ჩვენ სასარგებლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება კიდევ უფრო ლამაზი და ნათელი გახდება.

თვალსაჩინოდ განვითარდება სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით ძვირფასი ტექნიკური კულტურები, რომელთა საერთო პროდუქცია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში 60 პროცენტს შეადგენს.

ახალი ხუთწლელი სოფლის მეურნეობაში — ეს არის ჩვენი რესპუბლიკის სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების შემდგომი ყოველმხრივი განვითარების ხუთწლელი. ასე მაგალითად, 1960 წელს ჩაის მოსავალმა უნდა მიაღწიოს 165 ათას ტონას, ნაცვლად 1955 წლის 117 ათასი ტონისა, ვენახების ფართობმა — 80 ათას ჰექტარს, ნაცვლად 59 ათასი ჰექტარისა, ხოლო ბაღების ფართობი გადიდდება 17 ათასი ჰექტარით.

ჩვენი რესპუბლიკის ღირსების საქმეა უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის მშრომელები საკუთარი წარმოების ჩაით, მისცეს ქვეყანას მეტი ყურძენი და ღვინო, ციტრუსები და ხილი.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ შევასრულოთ ახალი ხუთწლიანი გეგმით დასახული ეს დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები?

ჩა თქმა უნდა, შეგვიძლია.

ჩა არის ამისათვის საჭირო?

ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა კიდევ უფრო ავამაღლოთ მასების შემოქმედებითი ინიციატივა და აქტივობა, რადგან მეექვსე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების საქმეს წყვეტენ ადამიანები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ვწყვეტთ თვითონ ჩვენ, წყვეტს ჩვენი თავდადებული შრომა.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივეცეთ თვითკმაყოფილებას მიღწეულით. წარმატებათა გამო შედიდურობა და ქედმაღლობა, ბაქიობა და კუდაბზიკობა პირდაპირ დამლუპველია.

ჩვენი თვალი ნათლად ხედავს ჩვენს მშვენიერ სინამდვილეს, მაგრამ ეს თვალი ხედავს და მწვავედ განიცდის ჩვენს ნაკლოვანებებსაც, ხოლო, სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრების დიდ და ნათელ გზაზე იშვიათი როდია ჩრდილოვანი მხარეც, რომელიც ხელს გვიშლის უფრო უკეთ განვიცადოთ ცხოვრების სითბო და სიტკბო.

დასამალი როდია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაკლია. გვაკლია, მაგალითად, ზოგიერთი პროდუქტიცა და ჩასაცმელიც, გვაკლია ბინები და ზოგიც სხვა აუცილებელი რამ.

მაგონდება პარტიის XX ყრილობის ტრიბუნლიდან ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში თქმული შემდეგი სიტყვები: „...ჩვენ გვაკრიტიკებენ იმისათვის, რომ ყოველთვის ვერ მივდევთ პარტიის ახალ მოდებს ტანსაცმლის ფასონში, რომ წმირად საბჭოთა ადამიანები ჯერ კიდევ ატარებენ ბამბის ქურთუკებს, რომლებიც ადამიანების ფიგურებს აუშნოებენ...“

მართლაც, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრ რამეს ვიკლებთ, და სხვა გამოსავალი არც არის, რადგან ჩვენ არ გვინდა ყველაზე კრიზისულ მომენტში პარიზის, საფრანგეთის უმწეო ბედში აღმოვჩნდეთ და უცხოელმა თავისი ბატონობის მძიმე კუხი დაგვადგას ზურგზე. ჩვენ არ გვინდა ბალახით ვინმემ გადაგვთელოს. ჩვენ ყველას გვახსოვს, რომ პიტლერმა რამდენიმე დღეში მოუსპო სიცოცხლე ე. წ. „ძლიერ, დამოუკიდებელ საფრანგეთს“, ფაქტიურად კი უკანასკნელი მოდებისა და პარტიზმების სახელმწიფოს, და არაბად აქცია იგი, ისე როგორც ამას ყოველი ზღაპრის დასაწყისში ვკითხულობთ ხოლმე: იყო და არა იყო რაო.

ვიმეორებ: ვიკლებთ, რომ უძლეველი ვიყოთ, რომ ქედი არავინ მოგვახრევინოს. ეს ჩვენი ზრდის, ჩვენი ძლიერების ნაკლოვანებანია.

ჩვენ შეგვწევს ძალა დაეძლიოთ ეს ნაკლოვანებანი, ეს სიძნელენი და საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის დონე ავიყვანოთ ისეთ სიმალღეზე, როგორც არასოდეს არ ყოფილა, არც არის და არც იქნება ბურჟუაზიულ სამყაროში.

მაგრამ არის სხვა ხასიათის ნაკლოვანებანიც, რომლებიც თვით ჩვენი უხერო, ზოგჯერ უთაური მუშაობიდან გამომდინარეობს და რომლებისთვისაც უკვე სხვა კი არა, — უშეილოდ ჩვენა ვართ პასუხისმგებელი. ხანდახან პირდაპირ გულ გტყევა: შეგეძლო გაგეკეთებინა, თავიდან აგეცდინა, შენ კი ერთხელაც არ დაფიქრებულხარ ამაზე, ხოლო თუ დაფიქრდი — მას მხოლოდ საკუთარ გულში მიეცი საშუალო ბინა და თითი თითზე არ დაგეკარებია მდგომარეობის შესაცვლელად, საქმის გასაუმჯობესებლად.

სიტყვამ მოიტანა და საჭიროა ითქვას, რომ აუცილებელია გამოვიჩინოთ ნამდვილი საბჭოთა პატრიოტიზმი, ვიყოთ ნამდვილი პატრიოტები დიდსა და პატარა საქმეში.

ბევრი, მართლაც, ბშირად მიმართავს ამ ტერმინს, მაგრამ ზოგჯერ, არც თუ ღრმად ესმის მისი ქეშმარიტი მნიშვნელობა.

ვინ არის ნამდვილი პატრიოტი? — ყველა ის, ვინც თავისი სამშობლოს ძლიერებასა და დიდებაზე ფიქრობს, ვინც მას განამტკიცებს თავისი შრომითა და ოფლით ქარხნებსა თუ ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო ლაბორატორიებსა თუ დაწესებულებებში, სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

ნამდვილი პატრიოტია ის, ვინც სახელს უხვევს ჩვენს ხალხს საკუთარსა თუ უცხოეთის საასპარეზო მოედნებზე, ვისაც თავისი სამშობლოს დიდება ამაყად ააქვს ციგ, პირქვე მწვერვალებზე... ნამდვილი პატრიოტია ის, ვინც სამშობლოსათვის, ხალხისათვის არ დაიშურებს საკუთარ სიცოცხლესაც კი, რომელიც კაცს ერთხელ ენიჭება.

ჩვენ სასტიკი წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი ცრუპატრიოტობისა, ცალკეული ისტორიული ფაქტებისა და პიროვნებების გაზვიადების და შელამაზებისა, შეფეებისა და ფეოდალებისადმი გუნდრუქის კმევისა. ჩვენს ისტორიას შელამაზება არ სჭირდება, ის ისედაც დიდია და სასიქადულო. ჩვენი ხალხის ისტორია მძიმე, მაგრამ სასახელო იყო. აქ არაფერია გადასაჭარბებელი და გასაზვიადებელი.

მაგრამ ვერც იმას მოვითმენთ, რომ ზოგიერთმა მკვლევარმა მეცნიერების სახელით ხელყოს ჩვენი ერის მთლიანობის, მისი ერთიანობის ისტორიული ქეშმარიტება და ჩრდილი მიაყენოს ჩვენი ხალხის ისტორიას. ეს მოუთმენელია.

უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობის წინაშე დგას ჩვენი ინტელიგენცია, მისი ერთერთი რაზმი — საბჭოთა მწერლობა, მხატვრული სიტყვის თვითუფულო ისტატი.

მხატვარი, მწერალი თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის გრძნობათა ბარო-

მეტრია, მისი თვალი, ყური და გულია, თავისი ეპოქის ტრიბუნია. და იმისათვის, რომ კარგად ხედავდეს სინამდვილეს, იგი ემოციურად უნდა ესწრაფოდეს მას, ღრმად გრძნობდეს ჩვენი დროის უნივერსალურ რევოლუციურობას და მისი ამოცანების მთელ სიფართოეს.

გორკი წერდა, რომ თეთრი ზღვა — ბალტიის არხის გახსნამ მასში სიხარულისა და სიამაყის გრძნობა გამოიწვია, და რომ მას სურვილი აღძვრა ემღერა, შეექმნა უქნობი პოემები და ლეგენდები.

როცა მწერალი ასე ემოციურად, მკვეთრად და აქტიურად აღიქვამს საზოგადოებრივ ცხოვრებას, იგი უკეთ ხედავს მის დედაარსსა და განვითარების პერსპექტივებს, უფრო აღვილად პოულობს თავის ადგილს ცხოვრებაში, უფრო მკაფიოდ ასახავს მის მოვლენებს თავის შემოქმედებაში.

მწერალი, რომელსაც ცხოვრება უყვარს და მისი გაუკეთესებისათვის იღწვის, ყველგან და ყოველთვის დაინახავს თვით ამ ცხოვრებაში ახალს, დაინახავს უკეთესი მომავლის ყლორტებს, რომლებსაც სათუთი მოვლა და მზრუნველი ხელი ესაჭიროება.

სწორედ ჩვენი მჩქეფარე ყოველდღიურობის სიყვარული, მისწრაფება — იცხოვრონ ხალხის ცხოვრებით, მხარი დაუჭირონ და განავითარონ ყოველივე ახალი, დიდი სიყვარული ადამიანებისადმი, რომლებიც ამ ახალს ქმნიან, — აი რა ახასიათებდა ყოველთვის და ახლაც ახასიათებს საუკეთესო საბჭოთა მწერლებს.

საჭირო და აუცილებელია, რომ მწერალი ღრმად იცნობდეს ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს, ხედავდეს მას კომუნისმისათვის მგზნებარე მებრძოლის თვალთ. მაშინ ის ბევრ ისეთ რამეს დაინახავს და ეტყვის ჩვენს ხალხს, რასაც ჩვენ შეიძლება ვერ ვხედავდეთ.

მაგრამ როგორ უნდა დაუახლოვდეს მწერალი ცხოვრებას, როგორ უნდა შეიჭრას ის მის სიღრმეში?

აქ მზა რეცეპტებისა და უებარი საშუალებების მიცემა შეუძლებელია, რადგან ცხოვრების შემეცნებისათვის ათასგვარი ფართო და მრავალფეროვანი გზები არსებობს. მთავარი კი აქ მაინც ის არის, რომ მწერალს არ შეუძლია კარჩაკეტილი ცხოვრობდეს, თავისი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში არ ტრიალებდეს, არ მოგზაურობდეს არა როგორც გასტროლიორი, არამედ როგორც ახალი ცხოვრების მშენებელი და მისთვის მებრძოლი. ცნობილია, რა დიდი გატაცებით მოგზაურობდნენ ილია და აკაკი, გორკი და შაიკოვსკი, რა პირადი ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მათ ყველა ფენის ადამიანებთან. ნამდვილი მწერალი ყოველთვის თავისი დროისა და თავისი ხალხის ინტერესებით ცხოვრობს, მის ღირსსა და ღირსს იზიარებს, მუდამ მასთან არის. იგი არაფერს გულგრილად არ ეყიდება, არამედ გრძნობს თავის მოვალეობას, თავის მორალურ პასუხისმგებლობას ყოველივე იმისათვის, რაც კი საზოგადოებაში და სამყაროში ხდება.

3.

საბჭოთა საქართველოს სახელოვან დღესასწაულს აღვნიშნავთ იმ პერიოდში, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება, რათა ზეიმით გადაიხადოს 40 წლისთავი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისა, რომლის დაწყება მთელ მსოფლიოს ამცნო ლეგენდარული კრესიერის — „აგრორას“ ზარბაზნების ქუხილმა.

დიდი ოქტომბერი ახალი ცხოვრების მაუწყებელი იყო, მან გააყვამ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. ამ გზას დაადგნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები.

საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც უმწეო აღმოჩნდა ხელი შეეშალა ამ მსოფლიო-ისტორიული პროცესისათვის, ამჟამად ცდილობს ჭკნაღუს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა მშვიდობიანი შრომა, შეფერხების საფრთხისათვის თათბირის ურთიერთობის დაძაბულობის შენელება.

მსოფლიო რეაქციის ბრძოლა უწინარეს ყოვლისა, მიმართულია დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. როგორც ეს ყოველთვის ხდება ამგვარ შემთხვევებში, აგრესიული ძალები ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი მდგომარეობა კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, შემდეგ კი განახორციელონ აქტიური მოქმედება ამ ქვეყნების ფარგლებს გარეთ, გააჩაღონ ახალი ომი საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, თავისუფლების მოსაპოვებლად ამხედრებულ კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ. სწორედ ამით არის გამოწვეული ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის დევნა, დასავლეთ გერმანიის კომპარტიის აკრძალვა, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განადგურების ცდები, ის სასტიკი რეპრესიები, რომლებსაც მიმართავენ ყველა პროგრესული ორგანიზაციისა და მოღვაწის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში პიტლერელთა ნაშვირები და ზეთისხის ფოთლებით შენიღბული რევანშისტები.

იმპერიალისტური წრეების შავნელი აგრესიული ზრახვების განხორციელებისაკენ არის მიმართული ათასგვარი ბლოკები და პაქტები, რომლებსაც აკოწიწებენ კაპიტალისტური ქვეყნების ავან-ჩავანები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით. ამ ზრახვების ერთ-ერთი გამოვლინება იყო სამარცხვინო აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, ხოლო უკანასკნელ ხანებში ამასვე მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის კურსი მდგომარეობის შემდგომი გამწვავებისაკენ ახლო და შუა აღმოსავლეთში, კერძოდ ყბადაღებული „იზენ-პაუერის დოქტრინა“, რომელსაც აღმფოთებით შეხედენ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხები, მთელი მსოფლიოს მშრომელი ხალხი.

ამერიკის შეერთებული შტატების მესვეურნი თავს არ ანებებენ ბრიყულ ოცნებას ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ვითომდა „განთავისუფლებაზე“. გასულ წელს თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა „განთავისუფლება... იყო, არის და იქნება ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი“.

ამიტომაც ადვილი გასაგებია, რომ საერთაშორისო რეაქცია ცდილობს ძირი გამოუთხაროს სოციალისტური ბანაკის ერთიანობას, ცდილობს გამოვლიჯოს ესა თუ ის ქვეყანა ამ ბანაკს, აღადგინოს იქ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და შემდეგ გადააქციოს ის პლაცდარმად ახალი აგრესიისათვის.

იმპერიალისტური წრეების ეს ცდები განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა უნგრეთის ამბებით.

რას გამოიწვევდა კონტრრევოლუციის გამარჯვება უნგრეთში?

ის გამოიწვევდა ფაშისტური რეჟიმის აღდგენას ამ ქვეყანაში. უნგრეთი გადაიქცეოდა ომის წარმოშობის საშიშ კერად თვით ევროპის ცენტრში, კერად, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის უშიშროებას. კონტრრევოლუციის გამარჯვება უნგრეთში უშუალო საშიხდრო საფრთხეს შექმნიდა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებზე.

განა შეეძლო ჩვენს ქვეყანას დაეშვა იმპერიალისტური რეაქციის ბოროტი ზრახვების განხორციელება? რასაკვირველია, არა.

საბჭოთა კავშირმა უნგრეთის მუშურ-გლეხური მთავრობის თხოვნით დაზარება გაუწვია უნგრულ ხალხს, გაანადგურა კონტრრევოლუციური შეთქმულება და ამით შეასრულა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა უნგრეთისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინაშე. საბჭოთა კავშირის ეს დახმარება ნაკარნახევი იყო სოციალისტური ჰუმანიზმის უმაღლესი პრინციპებით და შეესაბამებოდა მშვიდობის დაცვის ინტერესებს მთელ მსოფლიოში.

იმპერიალიზმის საზიზღარი დაჭირავებული აგენტები, რომლებიც 36 წლის წინათ გააძევა ქართველმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან, დღესაც ოცნებობენ საქართველოში დაბრუნებაზე უცხოეთის სახელმწიფოების დახმარებით, ოცნებობენ იმაზე, რომ კვლავ დაადგან ქართველ ხალხს თავიანთი ბატონობის უღელი. ამ მიზნით ისინი ეწევიან სიცრუისა და ცილისწამების ალღირახსნილ კამპანიას, აგრძელებენ ყოველგვარ ჭორებსა და პროვოკაციულ ხმებს.

მტრული ელემენტები ყოველნაირად ცდილობენ და კვლავაც შეეცდებიან გამოიყენონ იდეოლოგიურ ფრონტზე ჩვენი სიფხიზლის სულ მცირეოდენი შესუსტებაც კი, რათა შემოქმედება მოახდინონ იდეურ-პოლიტიკურად არასაკმაოდ მტკიცე ადამიანებზე, რომლებიც ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეგავლენაში ექცევიან. ისინი მტრული აგიტაციის შედეგად კარგავენ უნარს სწორად შეაფასონ საერთაშორისო და საშინაო ვითარება, ხდებიან იმპერიალისტური პროპაგანდის რუპორი, რადიოსადგურების — „ამერიკის ხმის“, „ბი-ბი-სი“-სა და „თავისუფალი ევროპის“ კვალდაკვალ იმეორებენ ათასგვარ ცილისწამებულ მონაპოვრს და ადვილად ეგებიან პროვოკაციულ ანკესზე.

დასამალი არ არის, რომ მტერი ცდილობს თავისი ბოროტი ზრახვებისათვის ჰირველ რიგში გამოიყენოს ასეთი სუსტი ნებისყოფის ადამიანები, თავის ჯამუშურ ქსელში გააბას ისინი.

ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა — საბჭოთა საქართველო, როგორც მესაზღვრე რესპუბლიკა, — მტრული დაზვერვის საგანგებო ყურადღებას იპყრობს. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ამასწინათ საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებული მთელი რიგი მასალები, მათ შორის, კერძოდ, რემ მოროზის შესახებ, რომელიც თურქეთის გზით შემოგზავნა საბჭოთა კავშირში ამერიკის დაზვერვამ და რომელსაც სპეციალური საჯამუშო სკოლა ჰქონდა გავლილი.

ამერიკის დაზვერვის დავალებით მოროზს თბილისისა და ბაქოს რაიონში თვალყური უნდა ედევნებინა ზოგიერთი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ობიექტისათვის. თბილისიდან 50 კილომეტრზე მას უნდა გამოენახა სამასი კვადრატული მეტრი დასაფრენი მოედანი. ამერიკელებმა მოროზს დაავალეს გულდასმით ედევნებინა თვალყური გზატკეცილებისათვის, რკინიგზებისათვის, ამ გზებზე სამხედრო ეშელონებისა და ტვირთის მოძრაობისათვის, დაემახსოვრებინა სამხედრო ნაწილების ნომრები. საჭირო იყო აგრეთვე, რომ მას თბილისში გამოენახა ადგილები კონსპირაციული ბინებისათვის, გამოველინებინა ისეთი ადამიანები, რომლებიც გაუწერლად მიაქირავებდნენ ბინებს; ყველგან და ყოველთვის მოესმინა ჭორები, ანეგდოტები, გამოველინებინა მოსახლეობის სულისკვეთება.

მოროზს მიუთითეს შეხვედრის ადგილი: 22 და 29 ივლისს სრულ 16 საათსა და 55 წუთზე ის უნდა მისულიყო თბილისში რუსთაველის პროსპექტზე და თხუთმეტი წუთის განმავლობაში აქეთ-იქით ევლო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობის წინ. იმისათვის, რომ ეცნოთ ოჯი, მას ილიაში უნდა ჰქონოდა თეთრ ქაღალდში გახვეული ამანათი, ხოლო მარგლის უკანა ჯიბეში ჩადო „პრავდა“, ისე, რომ მკაფიოდ გამოჩენილიყო გზუთის სახელწოდება. სეირნობის დროს მას ყოველთვის უნდა მოეფხანა მარცხენა ყური. მასთან უნდა მისულიყო კაცი, რომელიც შეეკითხებოდა: „ხომ არ იცი, სად არის აქ სტალინის ქუჩა?“ აგენტი უპასუხებდა: „არა, მე ვიცი მხო-

ლოდ ლენინის ქუჩა“. ამ კაცს მისთვის უნდა გადაეცა ამანათი, რომელიც მო-
როზს რაც შეიძლება საიმედოდ უნდა შეენახა, ამისათვის კი უნდა გამოეყენებინა
საიდუმლო ადგილი, ხოლო საზღვარზე უკან გადასვლის დროს ეს ამანათი დაე-
წალოს.

ეს და მსგავსი ფაქტები ერთხელ კიდევ მოგვითითებენ ჩვენს მოვალეობა-
ზე — ყოველმხრივ გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე, საშუალება არ
მივცეთ უცხოელ იმპერიალისტებსა და მათ დაქირავებულ გარეშრებს ხელყონ
ჩვენი ხალხის მონაპოვარი.

თავიანთი იმპერიალისტი ბატონების ერთგული მსახურნი — ქართველი
ხალხის მოსისხლე მტრები რეიწყებენ, რომ საქართველო ამჟამად ის აღარ არის,
რაც წინათ იყო, და რომ მისი ხალხიც სავსებით შეიცვალა. საქართველოს მშრო-
მელები თავიანთი ქვეყნის, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი არიან, ისინი თვი-
თონ აშენებენ ახალ ცხოვრებას და არავე მისცემენ ნებას ხელყოს მათი
ხისხლითა და ოფლით მონაგარი.

მაგრამ ასეთ ჯაშუშურ ბრძოლაზე უფრო მწვავე ხასიათს იღებს ბრძო-
ლა იდეოლოგიურ ფრონტზე, როცა ბურჟუაზიული რეაქციული ძალები ცდი-
ლობენ გააძლიერონ ლაშქრობა სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

ამგვარ ვითარებაში რეაქციული იდეოლოგიის ყოველგვარი ცდების მზილე-
მა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თეო-
რიის სიწმინდისათვის ბრძოლას, გააქტიურებული იმპერიალისტური რეაქცი-
ისათვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმიტომაც,
რომ დემოკრატიული და კომუნისტური პარტიის ზოგიერთი ორგანოს ფურც-
ლებზე იბეჭდება სხვადასხვაგვარი სტატიები, რომელთა ავტორები, იმის გამო,
რომ მოქცეული არიან კომუნიზმისათვის უცხო გავლენის ქვეშ და ზოგჯერ
უნარი არ შესწევთ სწორად განმარტონ ცხოვრების ახალი მოვლენები, ურიგდ-
ბიან მარქსიზმ-ლენინიზმიდან გადახევენ.

• •

როდესაც თვალს ვავლებთ განვლილ გზას და ვაკამებთ ჩვენი მშვიდობიანი
შემოქმედებითი შრომის შედეგებს, ერთხელ კიდევ სულ უფრო ღრმად ვიმსკვა-
ლებით იმ დიადი საქმისადმი უსაზღვრო რწმენით, რომლისთვისაც აღგვაფრთო-
ვანებს და გვრავსავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია.

ჩვენს ღვიძლ პარტიასთან, საბჭოთა მთავრობასთან მკიდრო ერთიანობით
ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად,
მტკიცე ნაბიჯით მიდიან წინ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ
წარმატებათა მოსაპოვებლად.

მთელი ქართველი ხალხი შედუღაბებულია მიზნისა და ნების ურყევი ერთიანობით, აღსავსეა შემოქმედებითი ენერგიით, დარწმუნებულია თავის ძალებ-
ში. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულოს მეექვსე ხუთ-
წლიანი გეგმის დიადი ამოცანები, კიდევ უფრო ააყვავოს და გაამშვენიეროს
თავისი ქვეყანა, თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს ჩვენი საყვარელი
სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ეკვი არ არის, რომ ქართველი ხალხი, საქართველოს მშრომელები წარმატ-
ებით შეასრულებენ თავიანთ დიდ და სასახლო ჩანაფიქრს.

ირაკლი აბაშიძე



როგორც დათბება...

როგორც დათბება,
როგორც დათბება,
და მზე ჩატკება შემკულ დაისში,
უნდა აღსრულდეს, რაც მენატრება, —
უნდა გავფრინდე ჩემს ქუთაისში.

ჩემი აპრილის ვნახო კისკისი,
ჩემი რიონის ახლად აშვება;
ატმის ხეების მწველი გიზგიზი,
ტყემლის ხეების გაფარფაშება.

ბოლო ცივ ზამთრის სასიშროების,
ცას რომ ათასჯერ ფერი ეცვლება,
ქაფმოდებული ვაშლის შტოები,
კომშის შტოების დანაკვერცხლება.

იის სურნელი შუა ქალაქში,
შუა ქუჩებში ჭრელი პეპლები;
ჩემი წარსულის ძველი დარაჯი —
ჩემი ბაგრატიის ციხის კედლები.

ახლაც ნათელი, თითქოს ქვა-კირში
ჩვენი ასწლების შუქი ერიოს...
ვნახო სიძველე ახალ აპრილში,
ისევ ვეწვიო უქიმერიონს.

მთიდან ვუსმინო ბგერას უთვალავს,
თითქოს ყველასთან სიმი გამებას
და განაბულად, ენის უთქმელად
შევხვდე მშობლიურ შემოდამებას.

ვნახო, ბინდ-ბუნდში როგორ გაქრება
მთები, ზეცამდე შემართულები...
მერე რიონზე აკიაფდება
ჩემი ბავშვობის ელნათურები.



ღაზარელა*

ციცინო დიდი იმედით არ წამოსულა ლაშარის ხატში. გუდანობასა და ალავერდობაზე გულგატეხილი ქალი არც ლაშარში ელოდა რაიმე განსაკუთრებულს.

ლილე უკვე გასათხოვრად მოწითული იყო, ხოლო საოცნებო სასიძო არსად ჩანდა. ჯავრისა და ათასგვარი სნეულებისაგან დასუსტებულ დედას უკვე ძალა აღარ ყოფნიდა ლილეს სათხოვნელად მოძალებული მთიელების მოსაგერიებლად.

ფშავის ხევში რომ ამოვიდა, კორად გაიგო ციციანომ საქართველოს მეფეთმეფე მობრძანდება ხატში თავისი ამალითო. ამ კორს ათასგვარად აღრიალებდნენ. ზოგი იმას ამბობდა, თამარ მეფეს დავით სოსლანისაგან შვილი არ მიეცა, სანამ ლაშარის ხატს არ შემოგხვეწენ მეფე-დედოფალიო. მსხვერპლის შეწირვისა და ლოცვით ღამის თევის შემდეგ ლაშარმა უსმინა თამარს ვედრება და შემკვიდრე ვაჟი მისცა. ამ ვაჟს ლაშარის პატივისცემით ლაშა უწოდეს და გიორგიდაც უხმობენო.

თვითონ ხევისბერს ჩაღბია ფხოველს ასე აეხსნა ლაშას წოდება: ლაშარი ძველად ქართველთა მზის ღვთაება იყო და მთელი საქართველო და კავკასია მას ეთაყვანებოდა. პირიქით მთიანეთში ღღემდის ჩვენსავით სწამთ ლაშარი, აფსართა ენაზე აღაშარს უწოდებენ და ქვეყნის განმანათლებელს ნიშნავს. თამარმა აფხაზეთში იღო მუცლად მემკვა-

დრე, იმ ადგილს, სადაც მაშინ მეფე და დედოფალი განისვენებდნენ ლაშას წყალი ჰქვია და იქაც ლაშარის ხატის სალოცავი დგას. მეფეს ამიტომაც დაურქმევია ტახტის მემკვიდრისთვის ლაშაო.

ფხოველმა იმის ახსნაც სცადა: აფშილებისა და ფშავების წოდება ერთი და იმავე ძირიდან მომდინარეობს, როგორც აფხაზებისა და ფხოველებისო.

ხატში მიმავალ მლოცველთაგან ზოგი იმასაც ამბობდა, რომ ლაშა დავით სოსლანმა დაარქვა უფლისწულს, რადგან ლაშარი ოსთა და ქაშაგთა შორისაც ძლიერი ხატი ყოფილაო.

ასე იყო თუ ისე, საქართველოს ახლანდელი მეფის დაბადებას ყველა ლაშარის ხატის შეწევნად თვლიდა. თვითონ ლაშა-გიორგი ხატის ახლანდელი ხევისბერის, ჩაღბია ფხოველის აღზრდილი იყო და ამიტომ მთიელები მეფისაგან ლაშარის ხატის ამაღლებასა და გაძლიერებას მოელოდნენ.

როცა ხმა დაირბა, ხელმწიფე ლაშარობაზე მობრძანდებაო, ეს ამბავი არავის გააკვირვებია და ყველამ დაიჯერა.

მეფე და მისი ამაღა რომ გამოჩნდნენ, ციციანო მღელვარებამ შეიპყრო. თვითონ ამჟამად, დასანახავად გამოსვლას ვერ ბედავდა, ვაითუ მეფის ამალიდან ვინმემ ზმცნოსო; ცდილობდა, ლილე როგორმე მეფეს შეემჩნია, მაგრამ ვერ იქნა და პირისპირ ვერსად შეახვედრა.

როცა ხაღბი მეფის კალთის სამთხვევად დაიძრა, ციციანომ წინ წაიმძლვარა ლილე და, ის იყო, მეფეს უნდა მიახლებოდნენ, რომ უბედურმა ქვრივმა შალვა ახალციხელი დაინახა.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1, 1957 წ.

ტაბტის ერთგული შალვა ციცინოს ქმრის გვარეულობის ამოწყვეტის მონაწილე იყო და ამიტომ დასცა თავზარი ერისთავის ქვრივს მისმა დანახვამ: არ მიცნოსო, იმ წამსვე პირი იბრუნა და შეშინებული მიიმალა.

ბოლოს ლუხუმისა და ხევსურების ჩხუბის დროს, როცა მეფე ერთხელ კიდევ გაერია ხალხში, ციცინოს კვლავ იმედი მოეცა, მეფე ლილეს დაინახავსო.

შვილის მადმერთებელ დედას თვითშთაგონებით სჯეროდა, რომ მეფისაგან ლილეს ერთი დანახვა საკმარისი იქნებოდა და ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც მას ეხატებოდა ოცნებაში.

საუბედუროდ, ვაჟკაცების ჩხუბით გატაცებული ლილე მეფისკენ ზურგით იდგა. ლაშასაც ჰაერში ეღვებოდა გატყორცნილი ხმლებისთვის არ მოუშორებია თვალი და მშვენიერი ლილე შემჩნეველი დარჩა.

იმ რამდენიმე წამში, როცა მეფემ ლუხუმი თავისთან მიიხმო, თავისი ხმალი შემოარტყა და პირად მცველად აიყვანა, ციცინოს თავში ათასი ფიქრი და გადაწყვეტილება დატრიალდა.

მაშინვე მოძებნა ლუხუმის დედა, მოუღერსა და თავის კარავში მიიპატიჟა.

ქეთევანი მიხვდა რომ მეფის წყალობამ მის ვაჟს ციცინოს ქალისკენ გზა გაუხსნა.



შინ დაბრუნებულმა ციცინომ ჯერ ზეზვა გაგზავნა ველისციხეში ნიადაგის მოსასინჯავად.

კარგი ამბით დაბრუნდა ზეზვა. ლუხუმი მეფეს დიდ წყალობაში ჰყოლოდა. თურმე დღისით გვერდით არ იცილებს და ღამით საწოლთან უდგას გუშაგადო. განსაკუთრებით მეფესთან ლუხუმის ამ სიახლოვმე გააბარა ციცინო. მისთვის იმდენი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა იმას, რომ მიგრიაული მეფის დიდძალ ნაწყალობეებს ხშირად უგზავნიდა დედას და რომ ზეზვას ველარც კი ეცნო მისი ნათესავის სახლ-კარი, იმდენად გაემშვენიერებინა და განეახლებინა ქეთევანს ყოველრევე.

ციცინოს ანგარიშში მთავარი ის იყო, რომ ლუხუმი მეფეს ახლო ჰყავდა და მეფე მის ცოლსაც უთუოდ არა ერთხელ ნახავდა.

ცოტა ხნის შემდეგ ციცინო და ლილე ვითომ გზად გავლით ესტუმრნენ ქეთევანს. ტკბილად მოკითხვასა და ნართულ ლაპარაკს გულახდილი, საქმიანი საუბარი მოაყოლეს და დედები შეთანხმდნენ, რომ ლუხუმის ჩამოსვლისთანავე შვილებს ნიშნობას გადაუხდინდნენ.

თავი მეშვიდე

ნასყიდაანთ მარხვა

შემოდგომის მიწურული იყო. მეფეს ტრაპიზონის იმპერატორი კომნენი ჰყავდა სტუმრად.

ლაშა და მთელი სამეფო იმის ცდაში იყვნენ, სტუმრისთვის კარგად ეჩვენებინათ თავი, ღვინი და გართობა ისე მოეწყობათ, რომ კომნენისთვის ქვეყნის ძლიერება დაენახებინათ.

სახელოვანი კომნენების უკანასკნელი შთამომავალი, ლაშას ახლანდელი სტუმარი საქართველოში იყო აღზრდილი. მისი დიდი პაპის ანდრონიკეს დამხობისა და დაღუპვის შემდეგ ბიზანტიის ტაბტის მცირეწლოვანი მემკვიდრეები კომნენის ერთგულმა ყმებმა

გადაარჩინეს, სიკედილის საფრთხეს გამოგლიჯეს და თამარის კარზე მოიყვანეს. ყრმა უფლისწულებს მზრუნველად ზრდიდა მათი დიდი მამიდა თამარი.

თამარი არ სცნობდა კომნენტა გვირგვინის მიმტაცებელ დინასტიას და მტრულადაც იყო მათდამი განწყობილი. ბიზანტიის ახალმა იმპერატორმაც იმთავითვე მტრული პოზიცია დაიჭირა თამარის მიმართ: საქართველოდან განდევნილმა თამარის პირველმა ქმარმა გიორგი რუსმა ორჯერ პოვა თავშესაფარი ანგელოსთა კარზე და ორჯერვე ბიზანტიის სამხედრო დახმარებით სცადა საქართველოში დაბრუნება. თამარი ამ მტრულ მოქმედებას ვერ დაივიწყებდა, ისე, როგორც ანგელოსთა გვარეულობა ვერ ივიწყებდა იმ გარემოებას, რომ ბიზანტიის ტახტის კანონიერ მემკვიდრეებს, ანდრონიკეს შვილიშვილებს თამარი მფარველობდა და ბიზანტიის იმპერატორებად ამზადებდა.

როგორც კი უფლისწულები მოიწიფნენ, თამარმა ისინი ქართველთა მხედრობას სათავეში ჩაუყენა და შავიზღვის სანაპიროს შეუსია.

ქართველთა ლაშქარმა თითქმის ბიზანტიის კეთენილი მთელი სანაპირო დაიკავა და თამარმა ახალი, საქართველოს ტახტისგან დამოკიდებული ტრაპიზონის სამეფო შექმნა.

ახალი იმპერიის მეთაურის ალექსი კომნენის დედაენა ქართული იყო. ჩაცმა-დახურვით, ზნე-ჩვეულებითა და ხასიათით იგი უფრო ქართველ უფლისწულს ჰგავდა და თუმცა მისი კარი ქართველებით იყო სავსე, გული მაინც აულ თბილისისკენ მოუწევდა.

თამარის გარდაცვალების შემდეგ შავი ზღვის სანაპიროზეც ბევრი რამ შეიცვალა. ტრაპიზონს სამხრეთით რუმის სასულტნო აწევებოდა და, ალბათ, აქამდისაც ჩაყლაპავდა, რომ კომნენის უკან ძლიერი საქართველო არ მდგარიყო.

კომნენის ჩამოსვლის მიზანი, სწორედ, მტრებისათვის ტრაპიზონის სამეფოს საქართველოსთან ერთობის დანახვება იყო.

შალვამ და ივანე ახალციხელებმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებთან ჯარების დიდი მანევრები მოაწყეს და ლაშქრის აღლუმს ორივე მეფე დაესწრო.

კომნენზე და მის ამაღლებულ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველთა საომრად მზადყოფნამ, კარგმა აღჭურვილობამ და ცხენკეთილობამ.

მეფეები ბურთაობასა და ცხენოსნობას შეექცნენ და რაკი შემოდგომის მიწურული იყო, კომნენის თხოვნით პერეთისკენ წამოვიდნენ გარეულ ტახებზე სანადიროდ.

კაკლით, ბროწეულითა და წაბლით სავსე პერეთის ტყეებში ადრეც უნადირია კომნენს.

ძვირფასი სტუმრის პატივისცემაში ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ საქართველოს მთავრები და ერისთავები. მაგრამ ყველაზე მეტად თავგადადებული პერეთის ერისთავი იყო, რადგან სანადირო ტყეები სწორედ მის საერისთაოს ეკუთვნოდა და გვირგვინოსანი მონადირეებიც არსებითად მისი სტუმრები იყვნენ.

ყოველი ხის ძირას, სადაც კი მეფეები ცხენებს შეაჩერებდნენ, სუფრა იყო გაშლილი. მესტუმრეებს იშვიათი ფრინველებისა და ნადირების კერძები მოჰქონდათ და საქართველოს ნაირნაირი ღვინოებით მასპინძლობდნენ.

ლაშა-გიორგისა არ იყოს, ალექსი კომნენიც არ იკლავდა თავს სარწმუნოებისათვის. გემოსმიმყოლობითა და გარყვნილებით, თავისუფლად მოაზროვნე ფილოსოფოსებისა და მწერლების მფარველობით მისი სამეფო კარი მთელს წინააზიაში იყო ცნობილი. ეკლესიაში ახალი იმპერიის მეთაური მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად და ხალხის დასანახავად დადიოდა, თორემ ქრისტეს სარწმუნოებაც ისევე არ სწამდა, როგორც მაჰმადის.

გზადაგზა მონასტრებსა და ტაძრებს ში მეფეების მობრძანების გამო ქალაქში და ლიტანიობა იყო, მაგრამ ნადირობას მოსწრაფე გვირგვინოსანები ვწმენიერ წალკატებში ჩამალულ განსასვენებლებს გვერდს უქცევდნენ და არსად ჩერდებოდნენ.

წინ მიმავალი მანდატურები და ერისთავთა მსახურები გზებზე წესრიგს იცავდნენ, მეფეთა მისასალმებლად გამოსულ ხალხს მათი ამალისკენ არ უშვებდნენ, აწვებოდნენ და აწყნარებდნენ.

გომბორზე შუამთის მონასტრის წინამძღვარი მოეგება მეფეებს მონაზნების გუნდით.

ტყეში მიმავალ გვირგვინოსანებს პირველად ზღაპრული სირინოზების გალობა ეგონათ, შეჩერდნენ და ყური მიუგდეს მუხნარში დარჩეულ წკრილა ხმებს.

ცოტა ხნის შემდეგ საზეიმოდ გამოწყობილი წინამძღვარი გამოჩნდა თეთრკაბიან მონაზონთა გუნდით და მეფეების სიამოვნებაც მაშინვე გათავდა.

გვერდის აქცევა არ შეიძლებოდა და ხელმწიფეები იძულებულნი იყვნენ მორჩილად ესმინათ მონასტრის წინამძღვრის ლოცვა-კურთხევა.

ჭაბუკი მეფეები თავდახრილნი, მოსაჩვენარი სასოებით ისმენდნენ წინამძღვრის ლოცვას, მალულად კი ცისკენ თვალაყრობილ ღამას მონაზნებს ნერწყვის ყლაპვით აკვირდებოდნენ.

უცებ ხალხი შეჩოჩქოლდა. ღაშამ გვერდზე გახედვაც ვერ მოასწრო, რომ ფეხქვეშ თმაგაწეწილი ქალი ჩაუვარდა და ხუთი ბავშვი ტირილითა და ძვილ-ბივილით შემოერტყა.

მანდატურები ატირებულ დედაკაცს და ბავშვებს ეცნენ.

— არ წავალ, თუნდაც მომკლათ, ვერ დამიშლით, მეფეს ჩემი უბედურება უნდა გავაგებინო... მხოლოდ ის თუ მიშველის, გულმოწყალე თამარის ძე!

ყვიროდა ქალი და მანდატურებს უძალიანდებოდა.

ღაშამ მკაცრად ანიშნა და მსახურებმა მაშინვე ხელი უშვეს დედამკაცს: მეფემ მტირალი ქალი წამოაყენა და ამაყვამ შევიდა.

— რა გაგვირეგებია? მიამბე ყოველი... — დაყვავებით უთხრა მეფემ.

— აკი ტყუილად არ მქონდა შენი წყალობის იმედი! გეტყვი, ყოველივეს გეტყვი... — გაიოდა დედაკაცი, — ჩვენ სამონასტრო ყმები ვართ, ჩვენი გვარი ლეთივეკურთხეულ ბატონებს მონასტრისთვის შემოუწირავთ და ჩვენს ვალდებულებად მონასტრის წყაროს მოვლა და სამსახური ჩაუწერიათ. სხვა ჩვენ არა გვევალდებოდა რა ბატონისაგან. აი, ეს გუჯარია ამის მოწმე. — შესტირა მეფეს დედაკაცმა, უბიძან ცონკებში გახვეული გუჯარი ამოიღო და მეფეს მიაწოდა.

მეფემ დაგრაგნილი სიგელი გაშალა.

«...ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა დასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, უმიზნო და მიზნუმყოლებელი, ყოველთა კაცთაგან უცილობელი და მოუდევარი შეწირვის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ყმასა ჩვენსა ხიზანა ბახიაშვილს. შუამთის მონასტრისთვის შეგვეწირისხართ ჩვენდა საოხად და წარსამართებლად და მამისა და დედის ჩვენის სასულიეროდ და მოსახსენებლად. სახლისაგან თქვენისა თვითონი შვილი მათ ოსტატად გაისწავლებოდეს და ჰკაზმიდენ მას წყაროსა. სხვა ბევრა ამოგიკვეთეთ და არა სხვა ჩვენს სათხოვარი აღარა გეთხოვებოდეს რა, არცა ჩვენგან, არცა მონასტრისაგან...»

მეფემ თვალის ერთი გადავლებით წაიკითხა სიგელი და მომჩივანს შეხედდა.

— ჩვენს მამასა და პაპას წყაროს კაზმვის მეტი სხვა სამსახური არა ევალიათ რა მონასტრისაგან. მე ხუთი შვილის დედა ვარ, ქვრივ-ოხერი. — დედაკაცი ისევ აქვითინდა და გულში მკილი დაირტყა — ახლა მონასტერი მეც სხვა გლეხებსავით მთხოვს პურისა და ღვინის ბეგარას და სხვა მრავალ სამსახურს. მე რა სამსახური შემიძლია, ან

პური და ღვინო სად მამადია, ბალები მშვიგრები დამიდიან შიშველ-ტიტველუ-ბი...

წინამძღვარი გაფითრებულყო, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, მშველელს დაქებდა, მაგრამ მეფის ამაღალს არც კათალიკოსი იყო, არც ვინმე ხუცესთაგანი. მეფეს მეტწილად მასავით ქაბუკები ახლდნენ და წინამძღვარი თანაგრძნობის მაგივრად მათ სახეებზე მხოლოდ დამცინავ ღიმილს პოულობდა.

ლაშამ ისევ სიგელს დახედა და ხმა-მალა წაიკითხა: „...ესე ასრე გაგი-თავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა ჩვენთა ნათესავთა და მომავალთაგან, ვინც ამის დაშლად და ქცევად ხელყოს, ჩვენთამცა ცოდვათათვის იგი განიკითხვის დღესა მას დიდსა განიკითხვისასა“...

მეფემ ბოლო სიტყვებზე ხმას აღ-მალა და წინამძღვარს რისხვით შეხედ-და.

წინამძღვარი ერთიანად ცახცახებდა, შიშს ქვედა ყბა მოეტაცებინა და შორ-ყულ კბილებს ციებიანვით ერთმანეთზე წაქწყავით ურტყამდა.

— რათ მოუშალე შეწირვის ფიცი, წინამძღვარო?

— არ ვიცოდი, მეფეე ბატონო! ჩემს უცნობლად მომხდარა. — აჩიფიფდა წინამძღვარი, მუხლზე დაემხო და მკეფეს ეთაყვანა.

— იცოდა... ეპისკოპოსთან ვიჩივლე, მაგრამ წინ დამიხედა და გზა მომიჭ-რა. — აყვირდა მომჩივანი.

— დღეიდან სრულად გამითავისუფ-ლებია ხახიაშვილის ქვრივი და მისი თბლები წყაროს კაშვიისა და ყოველი სხვა ბეგარისაგან. წინამძღვარი პასუხს აგებს კანონის დარღვევისათვის კათა-ლიკოსისა და მეფის წინაშე. ხოლო ფიცის გატეხისათვის, ღმერთმა საჯოს როგორც შემწირველს დაუწერიო! — ბრძანა მეფემ და ცხენი დაძრა.

— იღლეგრძელე, ხელმწიფეე! ღმერთ-მა გაგაძლიეროს, ქვრივ-ობლების გა-ძლიერებისათვის... — მოსძახოდა მიწა-

ზე ჩოქვით გამოდევნებული დედაკა-ცი.

კომნენმა ნახევრად მშვიველ-ტიტველ-ვებს ოქროს ფული აუბნია მალა, ერთხანს უყურა, როგორ საეკეჩე მი-სეული წიწილებივით წიკით ეცნენ გაფანტულ ოქროს ბავშვები, მერე იმა-ნაც ცხენი დაძრა და მეფეს დაუწია.

გუნებაწამხდარმა მეფეებმა მღუმ-არედ განაგრძეს გზა.

მსახურები მეფის სამართლიანობაზე აღტაცებულნი ჩურჩულებდნენ. ყვე-ლაზე მეტად ლუხუმი გაეხარებინა ლაშას მეფურ ქცევას, იგი აღრეც სა-მართლიან და ღმობიერ ხელმწიფედ მიანდა, ხოლო ახლა ზომ ღარიბებისა და ჩაგრულების ჭეშმარიტ მოსარჩ-ლედ იწამა.

შერცხვენილი და საჯაროდ მეფის მიერ დამცირებული წინამძღვარი ურე-მზე მწოლარე დაბრუნდა მონასტერში.

მომღერალთა გუნდს ორი ულამა-ზესი მონაზონი დაჰკლებოდა. ეჭვით იცოდნენ, რომ ორივენი მეფეებზე ამ-ლასთან ერთად გაქრნენ, მაგრამ ჯაჯ-რისაგან ისევ გონდაკარგულ წინამძღ-ვრისათვის ამბის მოხსენება ვერ გაე-ბედათ.

მეფის მონადირეთუხუცესს კახეთი-სა და იმერეთის მონადირეთა ორას სამოცი სახლიდან ქუდზე კაცი გამო-ეყვანა და ნადირობის თადარიგი დრო-ულად დაეჭირა.

ნადირობის დღეს უღრან ტყეს უთ-ვალაღვი მარეკი და მწვეარ-მეძებარი შე-ესია.

სამეფო კარავი ბერმუხის ქვეშ იდგა ტყის პირას და მეფეები კადრაციის მღე-რად ისხდნენ.

კარვის გვერდით შეკაზმული ცხენე-ბი ჰყავდათ მეფეებისთვის გამზადებუ-ლი. დათქმული ჰქონდათ, მარეკები რომ ტახს წამოაგდებდნენ, მონადი-რეთუხუცესს მეფეებისთვის უნდა შე-ეტყობინებინა.

კართან ლუხუმი იდგა, მთლიანად რკინა-პოლოტიკში გამოწყობილი.

სმენად და ხედვად გადაქცეულიყო ველისციხელი მეფისმცველი. აგერ მესამედ გაირბინა ბერძენებს უკან ტანსაცმელჩამოხვეულმა თხუთმეტობდე წლის ბიჭმა, ერთხანს დაიინებოთ უკიჩრია ლუხუმს, თუ მეფეების ცხენებს და უმაღვე ხეებს იქით მიიმალა.

ეს ბიჭი ალაზნიდანვე აედევნა მეფის ამაღას. ფეხშიშველი, სირბილით მოხდევდათ შორიახლოს და ლუხუმმა აღრევე შენიშნა, რომ იგი ტრაპიზონის იმპერატორის ცხენს არ ამორებდა თვალს.

კომნენის წაბლა კვიცი, როგორც კი ამ ბიჭს მოჰკრავდა თვალს, ავიხინდებოდა, შეთამაშდებოდა და მიწას ტორით უწყებდა ცემას. ბიჭი მაშინვე გაერიდებოდა და ისევ ჩამორჩებოდა მეფის ამაღას.

უცნობის ასეთი ქცევა, ლუხუმს გარდა, სხვებმაც შენიშნეს, მაგრამ არ გააკვირვებიათ, რადგან კომნენის ლაშხი კვიცის სანახავად სხვაც ბევრი მოიწვევდა მეფის ამაღისკენ.

კვიცი მწვევარით გრძელი და სხარტი იყო. შავი ძევა კოჭებამდის სცემდა, ხშირი ფაფარი ჯეჯილივით უღელავდა და შავ-წითელი გავა სარკესავით უბზუნავდა. ნელი სვლის დროს ჯიშთან მალალ ფეხებს ირემივით ფრთხილად ადგამდა, მაგრამ როგორც კი მხედარი აჩქარებდა, ყურდაცქვეტილი შეხტებოდა და თამაშ-თამაშით ისე წამოვიდოდა, თითქოს მიწას არც ეხებოდა.

პერანგჩამოხვეულმა ბიჭმა ისევ გამოიხედა სამალავიდან, კარავს თვალი მოაელო და ნელ-ნელა მოშორდა უზარმაზარ ხეს.

ბიჭი პირდაპირ ლუხუმისკენ წამოვიდა. ლუხუმს არ მოეწონა საეკვოდ აღევნებული ბიჭის ქცევა, შუბი მოიმარჯვა და ნაბიჯი წინ წადგა. ბიჭი მოუახლოვდა, თვალი შიშით მიმოატარა და ჩურჩულთ მიმართა:

— ძია ლუხუმა არა ხარ?

— ლუხუმი ვარ, შენ ვინდა ხარ?

— მე ველისციხელი ნასყიდაანთ ქა-

რუმა ვარ. — მიუგო ბიჭმა და ნამტირალევი სახით შესცინა მჩერეხულს.

— ბიჭოს, ვერ გიცანს, რამოდენა გაზრდილხარ! — მხარზე დაჰკრა ხელა ლუხუმმა, — აქ რას აკეთებ?

— უნდა მიშველო, ძია ლუხუმ, შენ მეტი კაცი არა მყავს...

— რა გაგვირვებია. აქ როგორ მომაგენი?

— ეს ქურანა კვიცი ჩუპია, ძია ლუხუმ. — სლუკუნით თქვა ბიჭმა დკომნენის წაბლაზე მიუთითა.

— რას ამბობ, ბიჭო, არავინ გაგიგონოს — შეუწყრა ლუხუმი და ირგვლივ მიმოიხედა, არავის ესმოდესო, — ევ ცხენი ბერძენთა მეფისაა, ჩვენმა მეფემ საჩუქრად მიართვა...

— თუ სინდისი მაქვს, ჩემი კვიცი, ხუთ წელიწადს მოჯამაგირედ ვემუაობდი ვაქართან ხორნაბუჯში. რაც ფული მერგო, მაგ კვიცში მივეცი. პატარა გავზარდე, ხელით ვაქვევდი, ბავშვივით ვბანდი და ვუვლიდი.

— ავად ხომ არა ხარ, ბაღლო? — გაოცებით შეხედა ლუხუმმა.

— არა, მართალს ვამბობ, ძია ლუხუმ, ორი კვირის წინათ დაეკარგე ალაზანზე, დღედაღამ ვეძებდი, ტანთ და ფეხთ შემომეხა ალმა-დალმა ტანტალში. ათი დღის წინ მითხრეს, ალვანებში ვნახეთ შენი კვიციო, იქაც ავედო, მაგრამ, რას ვიპოვიდი, კახეთის ერისთავს მოუგვრია მეფისთვის.

— გაჩუმდი! — ლუხუმმა პირზე ხელი დააფარა ნასყიდაანთ ბიჭს, — აქ როგორ ბედავ მეგის ლაპარაკს!

— მიშველე, ძია ლუხუმ. ყმად დავიდგები...

— მე რა შეველა შემიძლია, ან შენი ყმობა რად მინდა. — შებრალებით უთხრა ლუხუმმა.

— შენ შეგიძლია, როგორ არ შეგიძლია — შეემუდარა ბიჭი და მუხლებზე მოეხვია, — მეფესთან შემისვი, შევეხვეწები, შემიბრალებს...

— მეფესთან ვერ შეგიშვებ, ნაბრძანები მაქვს. — ჩურჩულებდა ჩაფიქრებული ლუხუმი და თან ცდილობდა

ფეხებზე მოხვეული ქარუმას ხელები-
ხაგან განათვისუფლებულიყო.

— არ შემიშვებ? მართლა არ შემი-
შვებ? მაშინ, აქვე მომკალ, შენი ხე-
ლით... — აუწია ხმას სასოწარკვეთილ-
მა.

— მეფესთან ვერ შეგიშვებ. სხვა
ჩამ უნდა ვილონოთ... ადექი... ადექი...
ბიჭი მძიმედ წამოდგა და იმედმოცე-
პული თვალებით შეაჩერდა მეფის
მცველს.

— აქ ნუ გამოჩნდები, წადი. ზეალ
ალაზანზე დამხვდი. რამეს ვილონებ... —
დაამიგდა ლუხუმმა.

ის იყო, ბიჭმა წასვლა დააპირა, მაგ-
რამ ისევ შემობრუნდა და ექვინად
აკითხა:

— მომცემენ კია ჩემ კვიცს? წაართ-
პევენ ბერძნების მეფეს?..

ლუხუმი შეკრთა, არ მოელოდა ამ
ვითხვას. მართლაც და ეინ მისცემდა
ნასყიდად ქარუმას ბერძენთა მეფისა-
თვის ნაჩუქარ კვიცს! ლაშა მთელ სამე-
ფოს უფრო იოლად დაუთმობდა ვის-
მე, ვიდრე თავის ნაჩუქარს გამოართ-
პედა უკან გვირგვინოსან სტუმარს.

— იქნებ ისა სჯობდეს, შენ არ და-
მინაზო, ჩემი წაბლა აგე, მანდ არი, ორ
ნაბიჯზე, უცებ მოვახტები და გავფ-
ჩინდები.

— არა, რას ამბობ, ეგ შეუძლებე-
ლია!

— შეუძლებელი რათ არი, ძია ლუ-
ხუმ... შენ ვითომ ვერ დაგვინახე, და-
ნარჩენი მე ვიცი... — შეემუდარა ქა-
რუმა.

— არა, ეგ შეუძლებელია. ორივეს
მოგკლავენ, შენცა და შენ ცხენსაც...

— მოგვკლან, თუ მოგვკლავენ. ქვე-
ყანაზე ყველას ვინმე ჰყავს და მე მაგ
კვიცის მეტი არა გამაჩნია რა. უმაგი-
ზოდ თავს მაინც ვერ ვიცოცხლებ... —
ამოუჯდა გული ნასყიდად ბიჭს.

— ეგ შეუძლებელია-მეთქი... წადი,
სხვა რამეს ვილონებ... — უკვე ხვეწ-
ნით უთხრა ლუხუმმა, თუმცა თვითო-
ნაც არ იცოდა, რა უნდა ელონა.

ქარუმამ ერთხელ კიდევ გაიხედა
კვიცისკენ. ლაგამწაყრლი ნუსქურანი
ქერს ახრამუნებდა არხენად.

— წაბლა... ჩემო წაბლა... — წაი-
დუღუნა ბიჭმა და თვალებიდან ცრემ-
ლები გადმოჟარა.

კვიცმა უცებ პირი გააჩერა, გაი-
ლურსა და ყური მიუგდო ნაცნობ ძა-
ხილს. მერე ელამად გამოიხედა და
ერთი ხმაბალა შესქიხვინა.

— წადი-მეთქი! ახლავე გამეცალე! —
შეუტია ლუხუმმა და შეშფოთებულმა
ხელის კვრით ძლივს დაძრა ადგილი-
დან გაჯიუტებული ნაპოჯამაგირალი.

— წაველ... სულ რბენით წაველ,
ოლონდ რამე მიშველე... ოლონდ... —
ერთხელ კიდევ შესტირა ბიჭმა და სირ-
ბილით გაშორდა.

ლუხუმი ჩქარი ნაბიჯით გადი-გამო-
დიოდა კარვის წინ. საიდან გაჩნდა ეხ
ბიჭი! გუნება ერთბაშად მოღუშხამა და
გონება შავი ფიქრებით აუფორიაქა.
რა ეშველება ნასყიდად ქარუმას. რით
უნდა უშველოს ლუხუმმა? საბრალოს
სახლი არ გააჩნია და კარი. ობლობა-
ში მეზობლების ხელისწყობით წამოი-
ზარდა, ლუხუმის დედა ქეთევანიც
რამდენჯერ შესწევია, ხან ლუხუმის
გამონაცვალი ტანსაცმელით, ხან საქმე-
ლით... ჯერ თავად რა ჰქონდა ლუხუმს
და მერე მისი გამონაცვლით და მონარ-
ჩენით ხელგამართლის ცხოვრება რა
უნდა ყოფილიყო! მარჯვე ბიჭი იზრდე-
ბოდან ნასყიდად ქარუმა. გამგონე და
მუყაითი, სოფელში ყველას უყვარდა,
საქმეს არ ზარღებოდა და რითაც შე-
ეძლო, ცდილობდა ყველასათვის სამა-
გიერო სამსახური გაეწია. ვისაც გასა-
გზავნი კაცი დასჭირდებოდა, ქარუმას
ეძახდა, ვისმეს წყლის მოსატანად არ
ეცალა ქარუმა იქ იყო, ნახირი უნდა
გაერეკათ, ქარუმამ საბალახოები კარ-
გად იცოდა და ასე მთელი სოფლის
მოსამსახურე იყო ქარუმა. არც თვი-
თონ ეზარებოდა ვინმესთვის თავისი
მცირე სამსახური და არც იმას ამაღ-
ლიდნენ ალალ პურს.

ცოტა რომ წამოიზარდა, ველისციხეზე გზად გამოვლილ ვაჭარს მოუვიდა თვალში მკვირცხლი ბიჭი, პირობა სოფლის თავკაცებთან შეუკრა და მოჯამაგირედ წაიყვანა ხორნაბუჯში.

ხუთ წელიწადს უმსახურია იმ ვაჭართან ნასყიდვანთ ქარუმას. ვინ იცის, რა ჯაფა და წვალეზა, რამდენი დამცირება და გაჭირვება გადაუტანია ობოლ ბიჭს ამ ხნის განმავლობაში! მერე იმ ხუთი წლის ბოლოს რაც განსაცდლის საზღაური მიუღია, უჭკუოს სულ ამ კვიცში გადაუყრია. მაინც რამ აფიქრებინა იმ საცოდვეს კვიცის ყიდვა! სხვა აღარა აკლდა რა უსახკაროსა და უმიწაწყლო ობოლს?

მერე ისიც ამისთანა კვიცი რამ აყიდვინა, რომ მთელ ქვეყანას ზედ რჩება თვალი. განა არ იცოდა, რომ ქვეყანა ხარბი და შტრიანია? მეფის საკადრისი კვცი რა უმიწაწყლოსა და უგვაროს საქმე იყო? ამქვეყნად ყველა მასზე ძლიერი და შეძლებულია და როგორ უნდა შეენარჩუნებინა ისეთი საქონელი, რომელიც ყველას თვალს უყენებდა და გულს შურით უვსებდა.

თუმცა კი რატომ არ უნდა ეყიდა, ან რატომ არ უნდა შეერჩინათ, ისიც ხომ აღამიანი იყო, სილამაზე ხომ მასაც სხვებსავით იზიდავდა და სიყვარულიც სხვასავით ეცოდინებოდა?! მერე რა, რომ ღარიბი იყო და უპატრონი, განა მეფე და კანონი მისი პატრონი და მფარველი არ უნდა ყოფილიყვნენ?

ამ კითხვაზე ლუბუმმა უნებურად მეფის კარვისკენ გაიხედა: კარავში მეფეები ჭადრაკს თამაშობდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

ისინი შორს, ძალიან შორს იყვნენ არა მარტო ქარუმის სადარდელისაგან, არამედ აგერ მათი კარვის კართან მდგარი ლუბუმის საფიქრალისაგანაც.

ლამამ მარჯვე სვლა გააკეთა, კომნენი მძიმედ ჩაფიქრდა. მასპინძელი უკვე უიმედოდ თელიდა სტუმრის მეფის გადარჩენას, არხეინად იჯდა და ჭადრაკის დაფას აღარც უყურებ-

და. უცებ კართან მიგრიულს მოჭკრა თვალი, მცველს გაჭირვებულს შეაფარდნილ კომნენზე ანიშნა და მტყუარად გახარებულმა ალაღად გაუღიმა.

ლუბუმში მეფის უშუალოდამ მოხიბლა და იმ წუთს ლამასთან რაღაც აღამიანური სიხლოვე იგრძნო.

— არ იცის, ნამდვილად არ იცის, რა უსამართლობა ხდება. ერისთავის ძალადობა რომ იცოდეს, დასჯიდა და ობოლ ქარუმას თავის ცხენს დაუბრუნებდა. უსათუოდ დაუბრუნებდა აკი დასაჯა შუამთის წინამძღვარი და ქერიე-ობლები მონასტრის ბეგარისგან გაათავისუფლა! უთუოდ ვეტყვი ნასყიდვანთ ბიჭის გასაქირს, დროს შეევურჩევ მოწყალე მეფეს და მაშინ ნახოს თავგასულმა ერისთავმა, შერჩება თუ არა გლეხების ძარცვა და აწიოკება!—ფიქრობდა თავისთვის ლუბუმში და მეფის სიკეთეში დარწმუნებული კარავთან მშვიდი ნაბიჯით მიმოდიოდა.

სადღაც ახლო ბუკის ხმა და ძალღუბის წყავწკავი გაისმა.

უცებ ტყიდან გავეშებული ტახი გამოვარდა და კარვის ახლო დაფეთებული დატრიალდა. მეფეები ფეხზე წამოცვივდნენ, სათხედებს ხელი დაავლეს, ცხენებისკენ გაიქცნენ, სწრაფად ამხედრდნენ და ღორს დაეღვენენ.


პირველმა კომნენმა შეუტია ტახს სათხედი სტყორცნა და დააცდინა.

ტახი ბურთივით შეხტა, კომნენის ცხენს ეშვი ჰკრა და ცხენ-კაცი ორივე წააქცია.

ცხენქვეშ მოქცეული იმპერატორი ცხენის წამოყენებასა და აღგომას ცდილობდა.

ისევ მოუხტა ტახი და ის იყო, ორივე უნდა გაეთავებინა, რომ ლუბუმის შუბი შიგ მკერდში ეცა და გულალმა გადააბრუნა. ლუბუმმა მეორე დაკრით გაათავა მხეცი და ყველანი კომნენს მიცივიდნენ.

წაქცეულ კვიცს მხედარი სანახევროდ ქვეშ მოეგდო. ცხენი ფაშვეგადმოყრილი ეგდო და სასიკედილოდ ფართხალეზდა.



ლუხუმი მომაკვდავი ქურანის დანახვებზე გახედვა, ბაგეები აუთრთოლდა და თვალზე ცრემლი მოეძალა.

ლაშა წაქცეულ ცხენს და კომნენს ეცა წამოსაყენებლად. მონადირეებიც მოიჭრნენ, ცხენი წამოაყენეს და იმპერატორი მძიმე ტვირთისაგან გაათავისუფლეს.

წელს ქვემოთ ცალი მხარე მთლად დალურჯებული ჰქონდა და საშინლად სტიოდდა ალექსის. იმპერატორი ციმციმ ასწიეს და კარავში შეიტანეს.

ლუხუმი მარტო დარჩა მომაკვდავ წაბლასთან ჩაჩოქილი. გულმოკვდარი, ცრემლიანი თვალებით დაჰყურებდა ბრგე ვაჟაკი ლამაზი ცხოველის სულის ლაფვას და ყურში ნასყიდად ქარუმას განწირული ხმა ესმოდა: ქვეყნად ყველას ვინმე ჰყავს, მე ამ კვიცის მეტი არა გამაჩნია რაო.

ის დღე უსიამოდ გათავდა.

კომნენს ექიმები ეხვივნენ და შეწუხებული ლაშა თავით არ შორდებოდა. ცოტა რომ მოიხედა, იმპერატორმა თავისი გადამრჩენელი მოიკითხა და კარავში ლუხუმი შეიყვანეს.

— შენი მადლობა რით უნდა გადავიხადოთ, მეფის მცველო, სიკვდილს ხელიდან გამოგლიჯე და გადამარჩინე, — ნელა, მისუსტებული ხმით მიმართა ალექსიმ, — კომნენების დადებულ გვარში, ჩემი ძმის დავითის სიკვდილის შემდეგ, ჩემს მეტი აღარავან არი. ჩემგან ელის უზარმაზარი ბიზანტიის იმპერია ძველი დიდებულებისა და ბრწყინვალეების დაბრუნებას. ჩემი დიდი წინაპრების სატახტოში უკურთხებლად სიკვდილი არ მინდა და თუ კაცი ვარ, ქართველთა მეფის დახმარებით შევძლებ კონსტანტინოპოლის ტახტზე ასვლას და იმპერიის ძველი დიდების აღდგენას. ცოდვა იქნებოდა ჩემი ასე უბრალოდ და უსახელოდ სიკვდილი. განგებამ ისე მოაწყო, რომ შენ გადაგარჩინინა ჩემი სიცოცხლეც. ბიზანტიელი ხალხის იმედიც და კომნენების სახელოვანი გვარიც მოსპობისაგან. მე რომ კონსტანტინოპოლში ვე-

კურთხები, შენს ძეგლს მთავარ მოედანზე დავადგმევინებ, მანამ ქვეყნად გსურდეს, მოხოვე. არაფრისაა ჩემი ჰერ, რადგან სიცოცხლის გარდა ჩალად მიღირს ყოველი სიმდიდრე და ქონება.

ლუხუმი გაუნძრევლად იდგა და უსმენდა.

მას ცოტა ხნის წინ ერთადერთი სათხოვარი ექნებოდა კომნენისათვის — ნასყიდად ქარუმას წაბლა. როცა გაშმაგებულ ტახს უტევდა, წამით სწორედ ამ ფიქრმა გაუელვა და თავგანწირვისთვის გაათამამა.

გადარჩენილი კომნენი ძეგლის დადგმას და ნახევარ სამეფოს სთავაზობდა და იმ ერბო კვიცზე როგორ ეტყოდა უარს. მაგრამ ყველაფერს ბედი უნდა და ბედი მარტო ნასყიდად ქარუმას კი არა, მასაც არ ჰქონია, ლუხუმ მიგრიჯულს. როგორ უნდოდა ობოლი და უქონელი მეზობლის შეკლა, საღლა და რაშიღა გამოადგება მეფესთან დაახლოებული ლუხუმი დაჩაგრულ გლეხკაცს, ეს ერთი შემთხვევა ჰქონდა და ისიც ბედმა ხელიდან გამოაცალა.

— რით დაგაჯილდოვო, მიგრიჯულო? მითხარი სათხოვარი... — გაუმეორა კომნენმა.

მიგრიჯული ფიქრიდან გამოერკვა და ცივად მოახსენა:

— მე ჩვენი მეფის წყალობითა და ჯილდოთიც კმაყოფილი ვარ, მეფეებ ბატონო, სათხოვარი არა მაქვს რა.

ლაშას და იქ მყოფთ ქართველ დიდებულებს მოეწონათ მეფის მცველის პასუხი და ერთიმეორეს ამაყად გადახედეს.

— რაკი არ ამბობ, ჯერ ეს იყოს, — კომნენმა თავის ვაზირს გატენილი ქისა ჩამოართვა და ლუხუმს გაუწოდა, — ჯერ ეს იყოს, ბიზანტიის იმპერატორ კვლავაც არ დაიფიწყებს შენს სამსახურს...

ლუხუმი არც შერხეულა, კომნენს ჰაერში გაწვდილი დარჩა ოქროთი სავსე ქისა.

იქ მყოფი ვაზირები ხარბი თვალით

მიაჩერდნენ ქისას. უკვირდათ ველის-
ციხელი გლეხის ამპარტავნობა, როგორ
არ დაეცა მუხლზე და ხელები როგორ
არ დაუკოცა იმპერატორსო.

კომენენმა, ალბათ, იფიქრა მეფის ნე-
ბადურთველად ვერ მართმევსო, ლა-
შასკენ გაიხედა და უსიტყვოდ შეს-
თხოვა, ებრძანებინა ჯილდოს მიღება.

— ჩამოართვი, ლუბუმ, სტუმრისა
და იმპერატორის გაწბილება სირცხვი-
ლია... — უბრძანა მეფემ, — ჩემის მხრივ
აზნაურობა, ყმა და მამული მიბოძებია!
სხვაც თუ რამ სათხოვარი გქონდეს,
კვლავ მომახსენე და აგისრულებ.

ვაზირებმა და ერისთავებმა თანაზო-
ბისა და მოწონების დასტურად თავი
დახარეს და ტლანქსა და მოტქნელ მე-
ფის მცველს ქვეშ-ქვეშ გახედეს.

ლუბუმმა მძიმედ წაიღო ხელი კომ-
ნენის ქისისკენ. მას თვალწინ სასო-
წარკვეთილი ნასყიდანათ ბიჭი ედგა და
მისი ცოფით თავადაც თვალზე ცრემ-
ლი აღგებოდა. მეფის უკანასკნელ
სიტყვებზე თავი აიღო და პირისპირ
მდგარ კახეთის ერისთავს თვალი თვალ-
ში გაუყარა.

სხვა სათხოვარი რა ექნება ლუბუმს,
როგორც კი მეფეს დაიბარტოხილებს,
ობოლი ქარუმას კვიციის ამბავს ეტყვის
და მაშინ ნახოს ამ თავგასულმა ერის-
თავმა, როგორც დასჯის სამართლიანი
მეფე!

ამ ფიქრმა გაუელვა თუ არა, ლუბუ-
მი მუხლზე დაეცა და ორივე მეფეს
ეთყუანა.



იმ საღამოს ქტრმუხელმა მონადირე-
ებმა უამბეს ლუბუმს: ტახისგან წამ-
ხდარი ცხენის გადაგდება ებრძანებინა
მონადირეთუხუცესს, მათაც აეწიათ და
შორს წაედოთ ხევში გადასადგებად.

გზაზე ვილაც ბიჭი შემოხვდომოდით,
ჰკვდარ ცხენს მივარდნოდა, მოხვეო-
და, შუბლი და თვალეზი დაეკოცნა.

ძლივს აეგლიჯათ მძორზე საცოდა-
ვი. მათ კითხვაზე პასუხი არ გაეცა,
არც ვინაობა ეთქვა და არც სადაურო-

ბა. ტირილით რომ გული ეჯერებინა,
შებეწნოდით, ყვავ-ყორწების საგლე-
ჯად ნუ გაიმეტებთ, მე გავუთხრი მი-
წას და დავმარხავო. მონადირეები და-
თანმებულებიყვნენ.

საფლავი ერთად გაეჭრათ და ცხე-
ნისთვის მიწა მიეყარათ.

უკან მობრუნებულებს ის საოცარი
ბიჭი იქვე საფლავზე დაეტოვებინათ.
მიგრაიულს თვალწინ ედგა უბედუ-
რი ნასყიდანათ ბიჭი და სიბრაღული-
საგან ცრემლები ყულში ებჯინებოდა.

— თავის ჰქუაზე არ უნდა ყოფილი-
ყო! სხვა რა უნდა იფიქროს კაცმაო, —
დაესკვნათ მონადირეებს და მერე სხვა
ამბავი, ტყუილი თუ მართალი, მოეყო-
ლებინათ.



ნადირობა ჩაიშალა. მეფეები აიყარ-
ნენ და თბილისისკენ დაბრუნდნენ.

ლუბუმი რამდენიმე დღით მეფეს
დაეთხოვა და ველისციხისკენ გაემარ-
თა.

ალაზნთან, პირობისამებრ, დაუხვდა
ნასყიდანათ ქარუმა, მიგრაიულმა დაი-
ქვეითა და უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი.
ერთხანს ორივე დუმდა.

მერე ლუბუმმა ამოიღდა ენა:

— ტახს რომ არ მოეკლა, ნამდვი-
ლად დაეიხსნიდი შენს წაბლას. ბერძ-
ნების მეფე სიკვდილს გადავარჩინე და
რა უნდა შეთხოვა, რომ არ აესრულე-
ბინა. ეს ჯილდო ძალით, უფრო შენთ-
ვის ავიღე და შენი იყოს, ამ ფულით
ერთს კი არა, ცხენების მთელ რემას
იყიდი.

ლუბუმმა კომენის ნაიუქარი ოქროთი
სავსე ქისა გაუწოდა ქარუმას, მაგრამ
მისი ხელი ჰაერში დაეკიდა. ბიჭი ქისას
თვალს არიდებდა და გამოსართმევად
ხელს არ ძრავდა.

— აიღე, შენი იყოს, ღმერთმანი
მასიამოვნებ. — შეეხვეწა ლუბუმი. თავ-
ჩაღუნულმა ქარუმამ ზედაც არ შეხე-
და ლუბუმს, ისე იკითხა:

— მეფეს თუ აცნობე ჩემი საჩივი-
რი?

— ვერა... ყველაფერი უცებ მოხდა და ვერ მოვახერხე. მაგრამ მოვახსენებ, უთუოდ მოვახსენებ, როგორც კი დავიმართობელებ...

— საჭირო აღარ არი, ძია ლუხუმი... მე თვითონ მოვეძებნი კანონ-სამართალს.

მტკიცედ თქვა ნასყიდავანთ ქარუშამ და მოქუფრული სახით გაშორდა სახტად დარჩენილ ლუხუმს.

— მოიცა, ქარუმი.. სად მიხვალ?..

— განა მე ვიცი, სად მივალ? — წამით შემობრუნდა ქარუშამ — მამაჩემას ნასახლარი ბატონს დაუბარებინებია და თავის ზერისთვის შეუერთებია. წასასვლელიც აღარსადა მაქვს.

— ჩემთან წამოდი, ქარუმი, ჩემსას იყავი. — შეეხვეწა ლუხუმი.

— სხვის კარზე სამადლოდ ყოფნა მომწყინდა, ლუხუმი, ბალღი აღარა ვარ. მე ვიცი, სადაც წავალ, — უკვე მუქარით თქვა ქარუშამ და გასცილდა.

— მოიცა, ქარუმი... გამიგონე... თავს არაფერი აუტეხო. — მისძახოდა მიგრიაული, მაგრამ ნასყიდავანთ ბიჰს მისი აღარ ესმოდა, მტკიცე ნაბიჯით მიდიოდა წინ.



ახლად გააზნაურებულმა მიგრიაულმა მშვენიერი ქორედი სახლი იყიდა, მეფის ბოძებული მამულები მიითვალა და ლილეზე იქორწინა.

ლილე ბაწარგამობმული კრავივით მიჰყვა დედის ნებას. არაფერი ესმოდა, რა ხდებოდა მის ირგვლივ. ხედავდა, რომ ლუხუმს უამრავი ფული ჰქონდა, ყველანი და მათ შორის ლილეს ამაყი დედაც დიდი პატივით ეპყრობოდნენ მიგრიაულს, ხოლო ეს ყველასათვის საპატიო ვაჟკაცი მის წინაშე ძველებურად წითლდებოდა, ენას კარგავდა და თავგზა ებნეოდა.

ნაირნაირი შეუკერა საპატარძლოს ლუხუმმა, ფარჩა-აბრეშუმში გამოაწყობდა სულ თვალმარგალიტში ჩასვა.

ისედაც მშვენიერი ლილე ერთიორად გამოჩნდა და დამშვენდა, სკეორწინო გვირგვინს რომ ადგამდნენ, ყველას თვალი მასზე რჩებოდა და აქა-იქ ჩურჩულიც გაისმოდა: იღბალი ჰქონია ლუხუმს, ამისთანა ქალი სად იშოვავო. მხრებამდის ვერ სწვდებოდა ბუმბერაზს ყვავილივით ნაზი ქალი.

ორივე გავიგებულნი იდგა საქორწინო გვირგვინქვეშ — ერთი უსახლგრო ბედნიერებით, მეორე — გაუგებრობითა და რაღაც გაურკვევლის შოლოდინით.

ქეთევანი თვალს არ აშორებდა შვილსა და რძალს, ორივე ერთნაირად ლამაზი და უხინჯო ეჩვენებოდა და ჯაფითა და ჯავრით დაღარულ სახეზე სახარულის ცრემლები ჩამოდიოდა.

მხოლოდ ციციწა ვერ ცნობდა, თუ არ ცნობდა მისი შვილის გვერდით მდგარ ნეფეს, რწმენად ქცეული წარმოდგენა თვალს უბრმავებდა უბედურს და გააზნაურებული გლეხის ადგილზე საქორწინო გვირგვინქვეშ საქართველოს ნამდვილ ხელმწიფეს ხედავდა.

„...დაიწინდვის მხევალი ღვთისა ლილეი და მონაი ღვთისა ლუხუმი“...

გაისმა მღვდლის დაღადისი და ციციწა შუკრთა, თითქოს სიზმრიდან გამოერკვაო.

მაშ, ეს მართლა ლუხუმი ყოფილა, გააზნაურებული ველისციხელი გლეხი და არა საქართველოს მეფე, დიდი თამარის მემკვიდრე ლაშა-გიორგი...

ციციწომ თვალები ბეცივით მოკუტა და გვირგვინქვეშ მდგარ ვაჟკაცს მიაშტერდა... რწმენად ქცეულმა წარმოდგენამ ისევ იმძლავრა და მიგრიაულის სახეს კვლავ ნისლი გადაებურა.

საყდარში ჩურჩული ატყდა.

მღვდელი ლუხუმისათვის თითზე ბეჭდის მორგებას ცდილობდა, მაგრამ უზარმაზარი თითი ბეჭედში არ ეტეოდა.

აქა-იქ შეკავებული სიცილიც გაისმა. უხერხულობის გასაფანტავად მღვდელ-

მა მიმრქმელს ანიშნა, ბეჭდები შეუცვა-
ლეთო.

მიმრქმელმა წამსვე მოხსნა ლილეს
ნატიფ თითს ბეჭედი და მეორეც იმ
წამსვე ადვილად გაუკეთა. მხოლოდ
ნეფის თითს ვერაფერი მოუხერხა
მიმრქმელმა, წეალობდა, უტრიალებ-
და, მაგრამ ბეჭედი თითზე არ ჩამოდი-
ოდა...

ხალხში ისევ სიცილი და ჩრჩხული
აჯყდა... მიმრქმელმა ბეჭედი თითის
წვერზე შეატოვა ლუხუმს და მღვდელ-
მა ჯვარისწერა განაგრძო.

— ზეგარდმოუვლინე მადლი შენი
მონათა ამთ შენთა ლუხუმსა და ლი-
ლეს, — კვლავ ღლადპყო ხუცესმა და
ლუხუმის გაგონებაზე ციციწო კვლავ
შეტოკდა... თვალთაგან ნისლი გაიფან-
ტა და ციციწომ კარგად გაარჩია მეფის
გვირგვინქვეშ სიხარულისაგან წამო-
ქარხლებული ლუხუმი, კროლათვალე-
ბიანი და სახემწითური ქეთევანის ვაჟი.
ციციწომ უნებურად ამოიხზრა და
ყველამ მისკენ მიიხედა.

არ იმჩნევდა, თავის შეგაეებას ცდა-
ლობდა ერისთავის ქალი, მაგრამ ატ-
ყობდა, რომ თვალთ უზნელდებოდა,
მუხლები ღალატობდნენ და თავბრუ
ესხმოდა.

— მიეც ასულსა ამას მორჩილება
ქმრისა თვისისა... — შეჰღალადა ისევ
ხუცესმა. თითქოს ამის გაგონებასა
უცდიდაო, ციციწომ ერთი ამოიკენე-
სა და გულწაუსული ჩაიკეცა.



ციციწო ლოგინად ჩავარდა.

ლუხუმმა დიდი ქორწილი გადაიხა-
და, სამ დღეს აუღებელი სუფრა იყო
გაშლილი. ლილე მოუცილებლად შე-
დას ადგა თავს და საქორწინო სუფრა-
ზე ორჯერაც არ მჯდარა ნეფის გვერ-
დით.

დედის მძიმე ავადმყოფობით შეშ-
ფოთებულმა ლილემ პირველი ღამე
შისმა და ძრწოლაში გაატარა...

იგი გრძნობდა, რომ მისთვის ყველა-

ზე ახლობელი ადამიანი ახლა მეზო-
ბელ ოთახში იწვა, სიცხესგან მძისუს-
ტებული, ნელ-ნელა ჭრებოდა და მზე-
ლიდან ეცლებოდა.

ხოლო ეს კაცი უცხო იყო მისთვის და
შორეული. იგი ზვარავივით ცახცახებ-
და გოლიათი ვაჟკაცის ღონიერ მკლა-
ვებში და თუმცა ვაჟი მთელი არსებით,
სულთა და ხორციით ეძლეოდა პირვე-
ლი ღამის ნეტარებას, ქალი მაინც ცივი
და გაუგებარი რჩებოდა, დამფრთხალი
მტრედევით ეკვროდა ლილე ბუმბერა-
ზის მკერდს, მაგრამ კოცნას რატომღაც
გულს ვერ ატანდა და მთელი მისი არ-
სება ფიზიკურ ტკივილსა და სულიერ
მოღლას უფრო გრძნობდა, ვიდრე საა-
მო ყრვოლასა და ტკობით თავდავიწ-
ყებას.

დედის ჩაგონებით იყო თუ საკუთა-
რი შეხედულებით, ამ კაცს იგი თავი-
დანვე თავისთვის შეუფერებლად და
უღირსად თვლიდა, თუმცა ლუხუმის გა-
რეგნობასა და ქვეყაში მცირე ხინჯსაც
ვერ პოულობდა.

ციციწომ დაფიქრება და აზრის შეც-
ვლაც არ აცალა ისე, გაყიდულებით
მოუყვანა და ჩააბარა. დედისთვის იქ-
ნებ არაფერი იყო უცხო კაცისადმი
დამოკიდებულების ასე მკვეთრი შეცვ-
ლა, მას კი, გამოუცდელსა და უანგარი-
შო ქალიშვილს, ასე უეცრად არც გუ-
ლის მობრუნება შეეძლო ლუხუმისად-
მი და, მით უფრო, არც მისი შეყვარება.

მაგრამ ლილე მაინც ქალი იყო, მას
ჯერ სიყვარული არ ეგემა და რაკი
ვაჟკაცს თავისი უმანუოება და ქალ-
წულობა მოუტანა, დროთა განმავლო-
ბაში, ალბათ, შეეჩვეოდა და შეიყვა-
რებდა კიდევ, მით უფრო, რომ მისი
მალმერთებელი ქმარი მომთმენი და
ლალი, ბავშვივით მიაშიტი და დევივით
ღონიერი იყო.

ავადმყოფ სიდდერს ლუხუმმა თავს
ეკიმები დაახვია, მაგრამ მკურნალებმა
ვერც სნეულება გაუგეს და ვერც წამ-
ლობით უშამლეს.

ქალი დღედღეზე ილეოდა და ქრე-
ბოდა.

სიციხისაგან გაოგნებული ავადმყოფი უცნაურს ბოდავდა, მეფეებს და ვაზირებს ეკამათებოდა, ერისთავთერისთავებს ესაუბრებოდა, შეშლილივით იციინოდა და ტიროდა. ისეთ ახირებულ ამბებს ბოდავდა ციციანო, რომ შეშინებული შვილი უცხოს ვერავის უშვებდა დედასთან. მისი ასეთი არეულობა აწინებდა ლილეს, წამით მარტო ვერ ტოვებდა, გარეთ ვერ გამოდიოდა და ასე საცოდავად იტანჯებოდა.

ბოლოს, ალბათ, სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ციციანომ, შვილს სთხოვა კარი ჩაერაზა და სასთუმალთან დაჯდომოდა. ჩურჩულით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ უამბო შვილს ციციანომ ამდენი ხნის დამარბული საიდუმლო, მამისა და მთელი მისი საგვარეულოს დაღუპვის ამბავი, ქმრის ანდერძი აჩვენა და წაუეთხა.

— მე ჩემი ვალი მოვიხადე, შვილო, გზაზე დაგაყენე, მეფის კარისკენ გზა გავიხსენი, ახლა შენზეა დანარჩენი. თუ ჭკუით მოიქცევი, სამეფო ტახტამდისაც მიადღწევ. მხოლოდ მეფე უნდა ნახო, საქართველოს მეფე... მე მჯერა, რომ შენ საქართველოს დედოფლად ხარ დაბადებული, შენ ეს შეგიძლია, შენ ეს უნდა შესძლო, შენ უნდა აღასრულო მამის ანდერძი, საქართველოს სამეფოს ტახტის მემკვიდრე უნდა მისცე და ის მემკვიდრე მამაშენის ამოწყვეტილი გვიარის გამგრძელბელიც იქნება... ამით შენ ხორცს შეასხამ შენი მამა-პაპის მუღმივ ოცნებას საქართველოს ტახტზე... დაიფიცე, ხატზე შემომფიცე, რომ აღასრულებ ამ ანდერძს...

ესოდენ დიდი საიდუმლოს ზიარებით აფორიაქებული ლილე მოწყვეტით დაეშვა მუხლზე, გვარცმისკენ ხელი ადაპყრო და ხატზე ფიცის დადებას შეუდგა...

— ამაზე დაიფიცე, შენს საგვარეულო ხატზე... ჩურჩულით უთხრა ციციანომ, ოქროს ყელსაბამი შეიხსნა, მედალიონი გახსნა და ლილეს გადასცა.

ლილე გაოცებული დაჰყურებდა გა-

სნილ მედალიონს. მედალიონის ერთ სფეროზე ღვთისმშობელს დედა ეყო მინანქრით გამოსახული ხოლო მეორეზე შიშველ ხმალზე გაფრენილი კვიცი.

— ეს შენი გვიარის ბეჭედი, შეილო, — აუხსნა ციციანომ, — შენ უნდა აღადგინო ამ ბეჭდის ძალა და კაკუნა, შიშველ ხმალზე გაფრენილი რაში ბაგრატიონების ყალუხშემდგარ ლომებს უნდა ამოუყენო გვერდით საქართველოს სამეფო ბეჭდებსა და დროშებზე.

ლილემ დედის ნაქარანხევი ფიცი გაიმეორა და სამ-სამჯერ ემთხვია მედალიონზე გამოსახულ ღვთისმშობელსა და საგვარეულო ღერებს.

მომაკვდავმა დედამ ხელის კანკალით ჩამოკვიდა ყელსაბამი ქალიშვილს და პირჯვარი გადასახა.

ციციანო მიიცვალა.

სულ ერთი კვირის გათხოვილმა პატარძალმა შავეზი ჩაიცვა და თმები გაიშალა.

დღისით დედის საფლავზე მოთქვამდა ლილე, ხოლო ღამით ლუხუმის მკერდზე მიყუთული ტიროდა.

ტიროდა დედას და დაღუპულ მამას, თავის საკუთარ უბედობასა და სიმართოვებს.

ახლა, როცა დედა მოუკვდა, ამქვეყნად ქმრის მეტი აღარავინ ჰყავდა ახლობელი და თავისიანი. სხვა ქალი მის ადგილზე ქმარს უფრო მიენდობოდა და შეიყვარებდა... ლილე კი, პირიქით, უფრო გაცივდა ქმრისადმი, უფრო დაშორდა და განერიდა.

იგი ბევრს ფიქრობდა დედაზე, ქმრის ანდერძისადმი მის მოწამებრივ ერთგულებაზე.

მშვენიერსა და ზრდილ ქალს, ადრე სინორჩევივ დაქვრივებულ ციციანოს რამდენჯერ შეეძლო გათხოვება და ახალი, ბედნიერი ოჯახის მოწყობა. ქმრისა და შვილის სიყვარულმა და ერთგულებამ პირადი სიამოვნების რამდენ ცდუნებაზე ააღებინა, ალბათ, ხელი

ამ ქალს. მიუვალ მთებში გახიზნული ახალგაზრდა ქვრივი, რომლის ვინაობა და არსებობაც, არათუ სამეფო კარმა, მთელ ქვეყანაზე ერთი ზეზეა გაფრინდაულის მეტმა არავინ იცოდა, გაქირვებასა და წვალებაში ზრდიდა ცოცხანა გოგონას იმ შორეული, მაგრამ ბრწყინვალე კარის დასაპყრობად. ახლა ხედვობდა ლილე, თუ რატომ ზრდიდა დედა ასე გოროზად და ზვიადად, სხეებისაგან გამოცალკევებულად და ნებივრად.

მის ტოლად და შესაფერისად არც ქალს თვლიდა ციციწო და არც ვაჟს...

ან კი როგორ ჩათვლიდა ვისმე, როცა შეიღოს თავის ფიქრში საქართველოს დედოფლად ამზადებდნენ და იმ დღეზე ოცნებობდა, როცა ლილეს დიდი თამარის გვირგვინი დაედგმებოდა თავს.

საქართველოს სადედოფლოდ ნაოცნებარი ქალი ველისციხელ გლუხს მისცა ციციწომ და ამით ყოველივე გათავდა.

მაგრამ იქნებ ჯერ კიდევ არ იყო ყველაფერი გათავებული!

თავი მერვე

ჩადილო მიზოგლები

რა შემოვლენ დიდვაჭარნი,
მას ნახვენ და ძღვენსა სძლენიან.

ვეფხისტყაოსანი.

მეფე რუსი ვაჭრების მისაღებად გამობრძანდა.

ვაზირთაგან დარბაზში მარტო ახალციხელი იყო.

მეფისაგან ძვირფას სამოსელში გახვეული რუსი დიდვაჭარი ტიხონი წამოვიდა. კიეველ დიდვაჭარს ქალარა წვერი წელამდე სცემდა. დაეღაჟა სახე საზეიმოდ უცინოდა და დათანჯული წარბებიდან ცოცხალი ცისფერი თვალები უბრწყინავდა.

ტიხონს შორიახლო ქართველი დიდვაჭარი შიო კაციტიისძე მოჰყვებოდა.

მეფის დანახვისთანავე რუსმა ვაჭარმა ბეწვის მაღალი ქუდი მოიხადა, წელში მოიხარა, რამდენიმე ნაბიჯი წადგა, შემდეგ მუხლზე დაეცა და მოფარდაგულს ეთაყვანა.

— ივერთა ძღვეამოსილ მეფეს ძმურ სალამს უძღვნის დიდი კიევის მთავარი მსტისლავ რომანოვიჩი. დღეგრძელობასა და მტერთა ძღვეას უსურვებს მეფესა და ერთმორწმუნე ქართველ ხალხს და ძღვენით მოიკითხავს მორკმულსა და სახელაოვან ქართველ ვაჭრავინოსანს.

ტიხონი წელში გასწორდა, მეფისაგან ჩოქვით გაიწია და ლამას კალთას ემთხვია.

მეფემ დიდვაჭარი ფეხზე წამოაყენა, სელზე პირისპირ დაისვა, მაღლი უძღვნა და კიევის მთავარი მოიკითხა.

ტიხონმა მეფის ნებართვა დათხოვა, მხლებლებს ანიშნა და დარბაზში რუსი მექარავენების ჯგუფი შემოვიდა. კრძალვით თავდახრილებმა მოიღეს მეფის წინაშე უცხო საქონელი: ყარყუმისა და სიასამურის ძვირფასი ბეწვეული გაშალეს, ციყვისა და ჩრდილოეთის ძაღლის რუხი და ყინულისფერი ბეწვი ტაიგის მელეების შავ-ვერცხლისფერ ბეწვეულში აირია და მნახველებს თვალი მოკრა.

გორად დადგა ძვირფასი ბეწვეული და ოქროქედილი იარაღი.

ძღვენი რომ მოართვეს, ტიხონმა უბიდან ლბილ ქსოვილში სათუთად შეხვეული ჯვარცმა ამოიღო და მეფეს გადასცა.

— ეს ჯვარცმა კიევის მთავარმა მოგართვათ, ჯვარცმულის წყალობა ნუ მოუშალოს ქართველთა მეფეს. — ტი-

ხონმა პირვეარი გადაისახა და გვარცმას ემთხვია. — კიეველი დიდოსტატების ნახელავია, მგონი ღირსიყოს მეფეთ მეფობისა თქვენისა...

მეფემ გვარცმა ჩამოართვა, ეამბორა და მღშტრის თვალით დააქცერდა. ფრიად გკეთა უცხო ოსტატის ხელოვნება ოქროქედლობის მოყვარულსა და დამფასებელ მეფეს, პატიოსან თვალითა სიუხვე და ზომიერად განაწილება მოიწონა და ვაზირს გადასცა დასათვალეობად. მექურქლეთუხუცესმა პირვეარი გადაიწერა, გვარცმას კრძალვით დახვდა და მეფის მოწონებას თავისი ალტაცება მიუმატა.

ახალციხელმა მოწიწებით ჩამოჰკიდა ყელზე მეფეს გვარცმა, მუხლზე ჩაიჩოქა და ეთაყვანა.

დარბაზში რუსუდანი შემოვიდა, იქ მყოფთ მიესალმა. მეფემ ტიხონი წარუდგინა, რუსი ვაჭარი თავდახრით მიეახლა და მეფის დის კალთას ემთხვია.

რუსუდანი კიევის მთავრის ძვირფას ძღვენს არ ამორებდა თვალს. ლაშამ შეამჩნია, რომ რუსუდანს სული მისდიოდა რუსთა ძღვენის ახლო ნახვანზე და მექურქლეთუხუცესს უბრძანა:

— რაცა ჩვენთვის საჭურქლეთა დახადებად არ ვარგოდეს, ჩემს დას აახლეთ და მიუთვალეთ ყოველი.

მექურქლეთუხუცესმა მსახურები იხმო, იარალი, ოქროთი ნაქედი უნაგირები, ქურქლეთული და ოქრო-ვეცხლის სასმისები საჭურქლეთში შესანახად წაადებინა, ხოლო ძვირფასი ბეწვეული და ქსოვილები რუსუდანის პალატებში გაგზავნა.

გახარებულმა რუსუდანმა მეფეს მადლი გადაუხადა, ძვირფას საჩუქარს მიჰყვა უკან და დარბაზიდან გავიდა.

— გარეთ კიდევ სხვა მოსაკითხიც არის, ბატონო მეფე, თავდახრით მოახსენა ტიხონმა, — ყივჩაღთა ხანისაგან მოძღვნილი რემა-ასი რჩეული ცხენი. ყივჩაღთა მბრძანებელი, ძღვეამოსილი ხანი კოტიანი სალამს უთვლის ქართველთა უძლეველ მეფეს. ასე მო-

გახსენათ, ქართველებს და ყივჩაღებს მუდამ მოყვრობა და კარგე მჭობლობა გეკონდა, ყივჩაღი მტრმტემაქაშა ველთა მეფის მამა-პაპას ყოველთვის ერთგულ სამსახურს უწევდნენ და აწცა მზა არიან, თუ მეფე ისურვებს, კვლავ უჩვენონ ერთგულების პირი, ბრძოლაში სიმხნე და ცხენკეთილობაო.

— მადლობელი ვარ ყივჩაღთა ხანის ესოდენ კარგი სურვილებისთვის, ყივჩაღთა შეწვევითა და ქართველი ლაშქრის ძალით მგონი შევძლო ჩემი ნეტარი დედის ანდერძის აღსრულება.

— რომელი ანდერძის, მეფე ბატონო? — იკითხა ცნობისმოყვარეობაგადვიძებულმა ტიხონმა.

— ჩემი ნეტარი დედის, დიდი თამარის ანდერძი და უკანასკნელი სურვილი იყო, მისი ნეშტი იერუსალიმის წმინდა მიწისათვის მიებარებინათ. ქრისტეს საფლავი უნდა გამოეხსნათ და იერუსალიმი საქართველოს შემოვერთოთ. ის, რაც ბერძნებმა და ფრანგებმა ვერ შეძლეს, ქართველებმა უნდა აღასრულონ.

— დიდებულად განგიზრახავთ, ხელმწიფე! უფალი მოწყალეა და ჩვენც ვილოცებთ, რათა თქვენი ძლიერების შემწე იყოს, დიდი თამარის ბრძნული ანდერძის აღსრულებაში.

— მოუსვენეთ და ღირსი პატივი მიიგეთ რუსთა მთავრისა და ყივჩაღთა ხანის დიასპანის მზღებლებს. ყივჩაღთა რემის ნახვას გვიან ვინებებთ. — განაცხადა მეფემ.

ტიხონმა რუს ვაჭრებს ანიშნა, რომ დარბაზობა დამთავრებული იყო. რუსი ვაჭრები რომ გავიდნენ, მეფემ მსახურებიც დაითხოვა და პალატში ოთხნი დარჩნენ მხოლოდ: თავად მეფე, მექურქლეთუხუცესი შალვა, რუსი დიდვაჭარი ტიხონი და შიო კაციტაისძე.

ერთად ჩავიდნენ ყივჩაღთა ხანთან ტიხონი და შიო. საქართველოს მეფას ძღვენი და მოსაკითხი ჩაუტანეს და მეფის საიდუმლო წერილი გადასცეს კოტიანას.

ორივე დიდვაჭარი, რუსიცა და ქართველიც, სამკვდრო-სასიცოცხლოდ აყენენ დაინტერესებული ყივჩაღთა და ქართველთა მოყვრობითა და კეთილმეზობლობით.

კიეველი დიდვაჭრის საქარაენო გზა კიევიდან ზორასანამდე ყივჩაღთსა და საქართველოზე გადიოდა და რუსულის გარდა, უმთავრესად, ამ ორი ქვეყნის საქონლით ვაჭრობდა. ყივჩაღ-ქართულთა კარგი ურთიერთ დამოკიდებულება ტიხონის მექარაენებს მშვიდობიან მიმოსვლასა და სარგებლიან ვაჭრობას უჭადდა, ხოლო მათი მტრობა და ცუდი მეზობლობა — ამ გზის მოშლას, ვაჭრობისა და მოგების საფრთხეში ჩაგდებას.

ქართველ დიდვაჭარს, შიო კაციტაისძეს რუს ვაჭართან, ამ საერთო ინტერესის გარდა, სხვა მიზანიც ამოქმედებდა: იგი ფარულად მხარგრძელის საეპრო მონოპოლიის წინააღმდეგ იბრძოდა და ამ ყოვლისშემძლე მეტოქის დამსობას ოცნებობდა. შიო ახალციხელთან და მეფესთან ფარულად იყო დაკავშირებული. კაციტაისძეს არა ერთხელ დაემტკიცებინა მეფისა და მისი თანაგანმზრახი ვაჭირის ერთგულება და მათი სრული ნდობა დაემსახურებინა. ამ რთულსა და მეტად პასუხსაგებ სახელმწიფო საქმეში გასარკვეად შიოზე მისაწოდოსა და შესაფერისს მეფე სხვას ვის იშოვიდა!

ირანიდან მობრუნებულ ტიხონის ქარაენს შიომ თავისივე შეუერთა და ორივენი ჯერ ყივჩაღთა ხანს ეახლნენ, შემდეგ კიევის მთავარს.

ორივეს დიდძალი ძლევნი და ძვირფასი საჩუქრები ჩაუტანეს ქართველთა მეფისაგან. ტიხონის ელჩობა ძლევნისა და მოკითხვის გადაცემით როდი თავდებოდა, მეფის დავალება ცფრო ფართო იყო და რთული: მას ხელმწიფისაგან ყივჩაღთა ხანთან ორმოცი ათასი ცხენოსნის დაქირავებასა და საქართველოში გადმოსახლებაზე უნდა ეწარმოებინა საიდუმლო მოლაპარაკება.

შიოს, თავის მხრივ, ფარულად რუსთა სამთავროებიც უნდა დაეჭვებინა და გაეგო საქართველოს ტახტისაღმდამოხადი დამოკიდებულება.

გიორგი რუსის გაქვეების შემდეგ საქართველოს სამეფო სახლი ძალიან ფრთხილობდა რუსეთის სამთავროებთან დამოკიდებულებაში. მათთან აბლო კავშირის დაქერას ერიდებოდა, რადგან რუს მთავრებში გიორგი ბოგოლუბსკისძის ნათესაებს ხედავდა და საქართველოს ტახტის მიმართ მათი პრეტენზიისა ეშინოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოგოლუბსკის შთამომავლობა დასუსტდა და ჩამოქვეითდა, საქართველომ კვლავ გააცხოველა ერთმორწმუნე რუსთა მთავრებთან ურთიერთობა.

საქართველოს ქაბუკი მეფე ყურადღებით აღევნებდა თვალს ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე მომთაბარე ყივჩაღთა მოძრაობასაც და ტახტზე ასვლის დღიდან მათთან მეგობრულ, კეთილმეზობლურ კავშირის დამყარებას ცდილობდა, რაც მეფემ ყივჩაღთა მუდმივი ლაშქრის დაქირავება, ამ ლაშქრის საშუალებით ურჩი მთავრების ალავება და ძლევამოსილი საგარეო ომების წარმოება გადაწყვიტა, ყივჩაღთა მთავარ ხანთან — კოტიანთან უკვე მეორედ იყვნენ მეფის საიდუმლო წერილებითა და დავალებით ტიხონი და შიო.

კაციტაისძე რაქველი იყო. აღრე დაობლებულს ხელობა ესწავლა, ჩრდილო კავკასიაში გადასულიყო და ხაბაზად ემუშავა. ცოტა რომ ფეხზე დადგარა, საკუთარი სავაჭრო გაუხსნია, მერე ეს სავაჭრო გაუყიდა, მთელი ფულით ყივჩაღთაგან ჯოჯი შეუძენია, საქართველოში გადმოუტრეკია და კარგი მოგება უნახავს.

რაკი ერთხელ შედგა ფეხი აღებმიცემის გზაზე შიომ, ვაჭრობა უფრო გააფართოვა, საქართველოს საქონლით ყივჩაღთს და რუსეთს ჩაეიდა, მერე ირანის გზაც გათელა და თანდათან დიდი სიმდიდრე დააგროვა.

კაციტაისძემ, რუსთა და ყივჩაღთა ენების გარდა, სპარსული და ბერძნულიც ისწავლა, საკუთარი საეპრო სახლებითა და ქარავენებით ქალაქები და გზები აავსო და ქართველ დიდებურებში პირველობა მოინდომა.

იქნებოდა კიდევ პირველი, წინ რომ მეორე დიდებური ივანე მხარგრძელი არ აღდგომოდა. ივანეს საეპროებსა და ქარავენებს ამდენხანს გააერთიანებდა მოხერხებული კაციტაისძე, საქმე რომ მართო ფულზე და საქონელზე ყოფილიყო.

მხარგრძელი მართო დიდებური როდი იყო, იგი უპირველესად ქვეყნის მეთაური და ძლიერი ხელისუფალი იყო. შიოსავით თავის ქარავენებს თვითონ როდი დასდევდა, უამრავი ვაჭარი და მოქარავენე ჰყავდა. სადაც იმ ვაჭრების ქუჩა და ნიქი არ სჭრიდა, იქ ივანეს ძალა ეშველებოდა და გზას უხსნიდა. მათ მეტოქეებს გზაზე ათასგვარი მოულოდნელი ბაგი და ვადასაზადი ზედებოდათ და ხშირად სრულიად უშიშარ საქარაენო გზაზე თავს უცნობი მეკობრეები ესმოდნენ და ძარცვავდნენ. გამარცხლებმა არ იცოდნენ, თუ ვინ მოქმედებდა ამ თავზეხელაღებული მეკობრეების უკან და ისევ მხარგრძელთან ჩიოდნენ.

მხარგრძელი მოსაჩვენებლად მანდატურებსაც აფრენდა შემთხვევის აღვილზე, ზოგჯერ ჯარსაც გამოიყვანდა, ვითომ ეშვიტ სრულიად უდანაშაულო ხალხსაც დააპერიუნებდა, მაგრამ დანაშალებულებს ზარალს არავინ უზღავდა და ივანეს მეტოქე ვაჭრების ქარავენებს საფრთხე თავიდან არ სცილდებოდათ.

გამჭირაბმა შიომ ადრე აუღო ალღო თამარის სიკვდილის შემდეგ მეფის კარზე მომხდარ ცვლილებებს. ჯერ მეჭურჭლეთუხუცეს ახალციხელს და შემდეგ ამ ვაჭარის საშუალებით მეფესაც დაუახლოვდა. მათში თავისი საქმის ქომაგი დაინახა და მხარგრძელის ძლიერი ფრთების შესაკვეცად წარმოებულ დარულ ბრძოლაში ჩაება.

მეფისა და მეჭურჭლეთუხუცესისათვის მცირე მნიშვნელობა ჰქონდა უმდიდრესი დიდებურის მხარეში წიობასა და თანამზრახველობას: შიოს ოქროც ბლომად ეშოვებოდა, ქალაქის მოსახლეობასა და ვაჭარ-ხელოსნებს შორის გავლენაც დიდი ჰქონდა. დიდვაჭარი ოქროსაც და გველენასაც ხეფის ხელისუფლების გაძლიერებისთვის იყენებდა, თავისი და ტახტის შემეწირაობლებს ებრძოდა და ამ ბრძოლაში გამარჯვებისათვის არაფერს ზოგავდა.

მეფე ეკლებზე იჯდა, ვიდრე ტიხონის მზღებელი რუსი ვაჭრები გაეიდოდნენ. რუსთა მთავრის ძღვენზე მეტად ლამას ყივჩაღთა ხანის კოტიანის პასუხი აინტერესებდა.

როგორც კი მარტონი დარჩნენ, ტიხონმა ირგვლივ მიმოიხედა, საყინძი შეიხსნა, აბრეშუმის აბალუხის სარჩული ჩაირღვია და უბეში დამალული ყივჩაღთა ხანის წერილი ამოიღო.

მეფეს მოთმინება აღარ ყოფნიდა. დახვეული გრავილი სწრაფად ჩამოართვა, გაშალა და დააცქერდა. წერილი ლამასათვის უცნობ ენაზე იყო დაწერილი, ვერაფერი გაუგო და შიოს გადასცა.

შიო დინჯად, გარკვევით კითხულობდა ყივჩაღთა ხანის წერილს. აზრი რომ დასრულდებოდა, ჩერდებოდა და ქართულად თარგმნიდა.

კოტიან ხანი ჯერ ჯანმრთელობასა და მტრებზე გამარჯვებას უსურვებდა ძლიერსა და ამალღებულს ქართველთა მეფეს. შემდეგ კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველთა ახლანდელი მეფე თავისი სახელოვანი წინაპრების მსგავსად ყივჩაღებთან მეგობრულსა და კეთილმეზობლურ კავშირს აგრძელებდა. მადლობას უთვლიდა ძვირფასი საჩუქრებისათვის და თანხმობას აცხადებდა ქართველთა მეფის თხოვნაზე — საქართველოში ორმოცი ათასი ცხენოსანი ყივჩაღის ვადმოსახლების შესახებ დედა-წულითურთ. კოტიან ხანი ყივჩაღთა ლაშქრის დაქირავების პირობებს იღებდა, ქირას

ნაწილის მიღებას ადასტურებდა და მეფეს დაჭირავებულთა გამოსამგზავრებლად მზადყოფნას ატყობინებდა.

გაზარებული მეფე ელჩებს გადაეხვია და საქმის კეთილად დასრულება მიულოცა. მეგრე ახალციხელს საქურკულე მოალებინა და ტიხონს პეშევი აუვსო ოქროს ფულით.

— ჯერ ეს იყოს, ჩემო ტიხონ, შენი ერთგული სამსახურისთვის, კვლავაც არ დაეიშურებთ ნიქსა და წყალობას. — უთხრა მეფემ.

ტიხონმა მადლი გადაუხადა. მცირე ხანს ამოდ ისაუბრეს. მეფემ რუს ვაჰარს დაღლილობა და უძილობა შენიშნა.

— ახლა განისვენე, ჩემო ტიხონ, სადილად კვლავ ჩემი სტუმარი ხარ და ერთად ვისერებთ. — უთხრა ლაშამ.

რუსი დესპანი დაეთხოვა და მეფის მიერ საგანგებოდ დაძახებულ მსახურებს გაჰყვა.

— ახლა იმასლა უნდა ვეცადნოთ, მხარგრძელი შორს გაგზავნოთ სალაშქროდ. — ხმადაბლა თქვა მეფემ, ახალციხელთან და შიოსთან რომ მარტო დარჩა.

— იქნებ ლაშქრად წარგზავნა არ იყოს უმჯობესი, მეფევ, — ჰკადრა ახალციხელმა, — ოდეს ომისგან შემოიქცევა მხარგრძელი ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრით, არა ეწყოს ყიფჩაღთა და არა ურჩექმნას მეფეს.

— სწორად უბნობ. უმჯობეს მიჩნის შენ წარუძღვე ლაშქარს. ლაშქარი იმდენი უნდა წარიტანო, რომ ამირსპასალარმა ვეღარ შეძლოს ყიფჩაღთა წინააღმდეგომ სავაო მხედრობის შეკრება.

ორივენი დუმდნენ ფიქრს მიცემულნი. შემდეგ ლაშა შიოსკენ მობრუნდა და ჰკითხა:

— რუსთა ქვეყნებისას რას გვეტყვი, შიო?

— ყიფჩაღთა ქვეყნიდან კიევს გავემგზავრეთ მე და ტიხონი. კოტიან ხანმა ცხენოსნები გვაახლა. გზა მშვიდობით ვვლეთ და კიევს მივალწიეთ. ფრიალ

ტურფა არს სახილველად კიევი. გორაკებზე შენობს ჩვენი სატახტუს მსგავსად კიევიც, ოღონდ შემოებნისადგას ესოდენ მაღალი და ქალაქიც უფრო ფართოდ არის გაშლილი. ტყე გეგონება ან მტილი ვენახოვანი შორიდან. მწვანე ხეებშია ჩაძირული მთელი ქალაქი. თვალს მოგჭრის ურიცხვ ტაძართა გუმბათების ელვარება.

ექვსასამდე ეკლესია ყოფილა კიევში თურმე, ვიდრე ორგზის არ აიკლეს და დაანგრირეს ისევ ერთმანეთში მოკინკლავე რუსთა მთავრებმა დიდი სატახტო. ახლა იმდენი აღარ არის, მაგრამ მაინც ვერ შემძლებელ არს თვალი დათვლად ფრიალისა რიცხვისა და განცდად ქმნულკეთილობისა ტაძართა, რომელ მეორე კონსტანტინოპოლად უწოდებდნენ მას ეჟმსა კიევს, ოდეს ძლიერი იყო და მტერთაგან შეუვალი.

უმეტეს ზღვათა შინა ქვიშისა არს სახლები ქვისაგან კეთილნაშენი, პალატები მეფეთა და მთავართა მის ქვეყნისა. არამედ არიან სახლნი მცირედნი თეთრნი, ალიზისანი, ისლით დახურულნი სამყოფელად მოქალაქეთა ურიცხვთა.


მშვენიერ და კეთილნაშენ არიან პალატნი სამეფონი.

მთავარს მოხსენდა დიასპანობა ჩვენი დღესა მისელისა ჩვენისასა. მეორე დღეს გავწვია პალატსა თვისსა.

მძიმე ნაბიჯით გამობრძანდა კიევის მთავარი. ოქროს არწივიან არგანს ეყრდნობოდა მსტისლავ რომანოვიჩი. შუაგაყოფილი თეთრი წვერის ქვემოთ დიდი ოქროს ჯვარი და ხატი ეკიდა გულზე მთავარს.

გამოუძინებელს ჰგავდა კიევის მთავარი, დაღლილი ცისფერი თვალები ძილად ჰქონდა მიღრეკილი. ასე ამბობენ, არა მხედრობასა და წყობასა შინა არს საჩინო მთავარი, არამედ ლოცვასა და მარხვასა შინა ყოველთა გარდამეტებულ და გულისმოდგინეო.

— საწუნელ ხომ არ იყო ძღვენი ჩვენი? — ჰკითხა მეფემ.



— ფრიად ეკეთა ოქრონაქედობა და ქსოვილი ჩვენი, ფარჩა და აბრე-შუმბი. მოიღო ღვინო ქართული გემოდ ყოფად, იამა დიდად და ბრძანა ტაძარ-ათავის შეწირვა ზედაშედ.

— რაოდენ ჰყავს ლაშქარი მთავარ-სა მას კიევისასა? — ჰკითხა მეფემ.

— აღარ ბევრ არიან ლაშქარნი კარ-სა მთავრისასა, ვითარცა ყოფილა ეამ-სა მას ძლიერებისასა. არამედ კმასა-ყოფელ არს რიცხვი მათი, რამეთუ ახოვან არიან და შემმართველ რუსნი და წყობასა შინა მხნედ მბრძოლნი.

— ვითარ მოიგონებენ სვეუბედურ-სა მას გიორგი რუსსა იურიდ წოდე-ბულსა ნათესავსა მათსა? — იკითხა მე-ფემ.

— აღარცა ოდენ სახსენებლად უჩნთ სახელი მისი, რამეთუ ფრიადი გამო-ხდა ხანი გარდახვეწისა იურისა რუს-თა ქვეყნისაგან. მთავრობენ ადგილსა მისსა ანდრეი ბოგოლუბსკისა შამისა გიორგისა, ძენი ძმისა ანდრეისა ესევი-ლოდისა და ომი აქეთ ურთიერთას და რბევა და ოხრება ქვეყნისა მათისა სამკვიდროისა...

სადილობამდის ისხდნენ მეფე, ვა-ზირი და დიდვაჟარი-დესპანი.

დესპანი დაწვრილებით მოუთხორობ-და რუსთა უნაპირო ქვეყნის სამთავ-როების აშლილობაზე, მიწის ნაყოფი-ერებასა და მდინარეების სიდიდეზე, ხალხის მხნეობასა, მშვიდ ბუნებასა და გამრჯელობაზე, ქალების სილამაზესა და ჯანმრთელობაზე, სიმღერების კე-თილხმოვანებასა და მიმზიდველობაზე და კიდევ ბევრ სხვა რამეზე, რასაც კი დესპანის გამკრიხი თვალი და ფხიზე-ლი ყური მისწედომოდა რუსთა ქვეყა-ნაში.



იმ ორ დღეს ათაბაგს მოსვენება დაკ-არგოდა.

დილით ქალაქში შემოსული რუსთა ხავაჭრო ქარავენის აქლემების ზარმა

გამოაღვიძა მხარგრძელი. სარკმლიდან უყურებდა: ქუჩებში უწყვეტ უმდინა-რედ მოედინებოდა საქლემებხისა და ჯორკიდებულის გრძელი ქარავენი.

ასეთი ქარავენები თბილისის ქუჩე-ბისათვის ჩვეულებრივი იყო. მხარ-გრძელი მექარავენთა სიმრავლესა და საქონლის სიმდიდრეს როდი გაუკვირ-ვებია. ქარავენს თეთრ ღონურ ცხენებ-ზე ამხედრებული დიდვაჭრები ტიხონი და შიო კაციტაისძე მიუძღოდნენ და მხარგრძელს სწორედ მათი დანახვა ემცხებოდა.

ათაბაგმა გუმანით იცოდა, რომ შიო და ტიხონი ლაშას შუამავლობდნენ კავკასიონს გადაღმა, მაგრამ ვისთან და რა საქმეში, დანამდვილებით ვერაფე-რი შეეცყო.

ეპვი კი ჰქონდა და ყურიც მოეკრა, რომ ლაშა ყივჩაღთა ლაშქრის გამო-სხმას ფიქრობდა და ათაბაგის შემფო-თების მთავარი მიზეზი სწორედ ეს იყო.

იცოდა მხარგრძელმა, თუ ვის წი-ნადმდეგაც გამოიყენებდა ლაშა რო-ქის სპას, თუ თავის განზრახვის შეს-რულებას მოახერხებდა. პირველ რიგ-ში თვითონ მხარგრძელს მისწვდებოდა და დანარჩენი თავგასული ერისთავთ-ერისთავების დასამორჩილებლადაც წა-რუძღვებოდა ყივჩაღთა ლაშქარს.

ამას გარდა, მხარგრძელს გიორგი რუსის მომხრეთა აჯანყების ჩაქრობა-ში და თავად გიორგის განდევნაში საკმაო წილი მიუძღოდა და რუს მთავ-რებთან ახლო ურთიერთობის განახლე-ბა არაფრად ეპიტნავებოდა.

ყოველივე ამის გამო მხარგრძელი გაფაციცებით ადევნებდა თვალს რო-გორც ჩრდილოეთიდან გამოსასვლელ გზებს, ისე რუს ვაჭართა საექვო მოგ-ზაურობასა და ქაბუკი მეფის საიდუმ-ლო მოქმედებასაც.

ქარავენის მოულოდნელად გამოჩენამ შუამფოთა ათაბაგი. იმ დღესვე მექა-რავენთ თავისი ხალხი მიუჩინა. სასახ-ლეში მსახურთუხუცესი ვარამ გაველო

გააფრთხილა რომ რუსთა ვაჭრებისთვის თვალყური ედევნებინა.

ნაშუადღევს სასახლიდან აცნობეს მხარგრძელს — მეფეს და ახალციხელს საიდუმლო თათბირი აქვთ რუს და ქართველ ქართვეანბაშებთან.

ათაბაგმა სხვა ველარაფერი იღონა და თათბირზე რუსუდანი შეგზავნა.

ლამაზა ჩაცმა-დაბურვის ტრფიალი რუსუდანი გამზრდელის დავალების შემსრულებლად ვერ გამოდგა: ნაირ-ნაირმა ბეწვეულმა თვალები აუჭრელა და ყველაფერი გადააიფიყა. ლამაზს პირველსავე სიტყვაზე კიევის მთავრის ძღვენი თავის პალატებში გადაატანინა და იქაურობას განარებული გაეცალა.

იმ დღეს ტიხონს სასახლეში უმასპინძლეს.

რუსი ვაჭრები შეუღამისას დაბრუნდნენ მათთვის მიჩენილ ბინებში და მხარგრძელმა ვერც მათი ელჩობისა და ვერც მეფესთან თათბირის ვერა შეიტყუო რა.

მეორე დღეს ისევ რუსუდანის გავლენა გამოიყენა მხარგრძელმა. ტიხონი მეფის დის სასახლეში აწვევინა და მიუღბას თვითონაც დაესწრო.

დიდვაჭრის გულის მოსაგებად, რაც უნდოდა და არ უნდოდა, ყველაფერი ნაღდ ოქროზე იყიდა მხარგრძელმა. ირანის გზაზე დამდგარ ტიხონს რუსუდანისა და თავისი ოჯახისთვის უამრავი საქონლის შემოტანა დაავალა და ბოლოს სარფიანი გარიგებით კმაყოფილი ვაჭარი სუფრაზე იწვია.

— მეფე დიდად მადლიერია შენი ელჩობის, — შეაპარა ათაბაგი უკვე შეზარბოშებულ ტიხონს და კახურით სავსე თასი მიაწოდა.

ტიხონმა თვალი ოდნავ მოხუჭა და ქართველ დიდებულს გამომცდელად შეხედა.

— ეს ჩვენს მეფეს გაუმარჯოს! — მხარგრძელმა თასი ასწია და დიდვაჭარს თვალთ ანიშნა, რომ მასაც დაელოია.

— ღმერთმა თქვენს მეფეს გზუმარჯოს, — ასწია თასი ტიხონს — გააძლიეროს და განსვენებულს დედის ანდერძის შესრულებაში უწინამძღვროს.

ტიხონმა თასი ერთი ამოსუნთქვით დაცალა. სახე აულაქლაქდა და სკამზე უცნაურად იწყო წორწიალი.

— მაშ ჩემი მადლიერია ლაშა ბატონი? — იკითხა ტიხონმა და თვითონვე განაგრძო — არა, ჩემი მადლიერი კი უნდა იყოს, გუშინ იმისთანა საჩუქარი მრევართვი ყიფნალთა ხანისაგან — ალბათ, ივანე ბატონს ეცოდინება ასი რჩეული ცხენი!..

მხარგრძელი სმენად იქცა.

— როგორ არა, თავად ვნახე, ჩემი თვალთ. — დაუდასტურა ივანემ, სკამში ტიხონისკენ მისწია და ახლა უფრო მოზრდილი თასი შეუქსო.

— კიდევ დავლიოთ, ათაბაგო? ახ, დალახეროს ეშმაკმა, რა კარგი ღვინო გაქვთ ქართველებს! ახლა, ირანიდან რომ მოვბრუნდები, რა საქონელსაც აქ გავყიდი, იმის სანაცვლოდ, სულ ღვინოს წავიღებ რუსეთში, თქვენებურ კახურ ღვინოს... ეს ჩვენ გაგვიმარჯოს, ათაბაგო, ჩვენს საქმესა და მარჯვენას! შენ დიდი კაცი ხარ, საქართველოს სამეფოს პირველი დიდებული. საქართველო ძლიერი სამეფოა. როგორც გავიგე, მალე სპარსთა და თურქთა ციხეებს შელეწავთ და ქრისტეს საფლავს გამოიხსნით, — ტიხონს გული აუჩუყდა და დაწვებზე მსხვილი კურცხლები ჩამოუგორდა, — იმ დროს მე იქ არ ვიქნები, მაგრამ ცოლ-შვილს და ქრისტეს რჯულს გაფიცებ, ათაბაგო, მეც გამიხსენო, თქვენი ქვეყნის მეგობარი და შეძლებისამებრ მსახური. ამას გეხვეწები, იერუსალიმის ტაძარში ჩემს სახელზე სანთელი აანთო და ჩემი ცოდვების შესანდობრად აწირვინო...

ივანემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და თასზე თასი მოუჯახუნა.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო ტიხონი! — ასწია სასმისი ათაბაგმა. — ქართველი ხალხი და ქართველთა მეფე შენს ამავს არ დაიფიყებენ, დიდ საქმეს იღწვი და ღმერთმა კეთილად წარგიმართოს.

ათაბაგმა სასმისი მიიღო პირთან.

ტიხონი თვალმოკუტებული მისჩერებოდა: ისე მოიყუდა სასმისი ივანემ და დადო ძირს, რომ არც ტუჩი დასველებია და არც ხორხი შერბევია. დიდვაჭარი მიხვდა, რომ ათაბაგი მარტო მას უსხამდა და თავად ცარიელ სასმისს იყუდებდა. ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია, აწეული სასმისი ძირს დადო და გუნებაგაფუქებულმა ათაბაგს თვალი თვალში გაუყარა.

— მაინც რაოდენ ლაშქარს სთხოვს ყიფჩაღთა ხანს ჩვენი მეფე? — ვითომ სხვათაშორის იკითხა მხარგრძელმა და კრიალოსანი ჩამომარცვლა.

ტიხონი კითხვამ შეაკრთო და ჯერ კიდევ ფხიზელს გონება უცებ გაუნათა. მეფისა და ათაბაგის მტრულ ურთიერთობაზე ჩუმად ჰქონდა ზოგი რამ გაგონილი, ზედმეტი ხომ არაფერი ვთქვიო, შეწუხდა პატიოსანი ვაჭარი, თავისთავი გააფრთხილა და ენას კბილი დააქირა.

— რატომ არა სვამ, სტუმარო? — მოუჯახუნა ისევ ცარიელი სასმისი ივანემ.

ტიხონმა ერთი ეშმაკურად შეხედა, მერე უცებ სასმისი ასწია, სწრაფად დასცალა და სუფრაზე თავმოწყვეტილი დაეცა. ათაბაგის სტუმარმა თავი მოიმძინარა და ხერხინვა ამოუშვა.

მხარგრძელმა დიდხანს ანჯღრია ტიხონი, მაგრამ სუფრიდან თავი ვეღარ ააღებინა. გაბეზრებულმა ერთი რჯულზე შეაგინა და გაგულისებულნი სასტუმრო დარბაზიდან გავიდა.



ქართული
ნიგელიოთეკა

სწორედ იმხანად კარის ამირა და მონაპირე — ივანე ახალციხელი რუმის სულტნის საეჭვო ქცევას ატყობინებდა მეფეს.

რუმის სულტანი ტრაპიზონის საზღვრებთან დიდძალ ჯარს უყრიდა თავს, როგორც კარის ამირა ასკვნიდა, თურქები ტრაპიზონში შესაქრელად ემზადებოდნენ.

მამაცი მენაპირე ივანე ახალციხელი გულზელდაკრეფილი როდი უყურებდა თურქთა ამ თავხედობას, მონაპირე ჯარით ზურგიდან ურტყამდა მტერს და გამუდმებული თავდასხმებით აწუხებდა.

კარის ამირა მიზანშეწონილად თვლიდა, რუმის საზღვრებთან ქართველთა ძლიერებისა და ტრაპიზონის იმპერიისადმი მფარველობისა და ერთგულებას საქვეყნოდ დამტკიცებას — თავგასული თურქების დასაშინებლად დიდი ლაშქრის გაგზავნას.

დარბაზმა დააღასტურა ივანე ახალციხელის მიერ მდგომარეობის სწორი შეფასება და ლაშქრის წვევა მოიწონა.

მხარგრძელი ზედავდა, რომ თბილისში მის ზურგს უკან და მისგან ფარულად მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. სატახტოდან გასვლა შეუძლებლად მიიჩნია, ავად ყოფნა მოიმიზეზა და იმ მოსაზრებით, რომ შალვა ახალციხელი მეფისაგან შორს ჰყოლოდა, თვითონ შესთავაზა შალვას ლაშქრის სარდლობა.

მეფესა და მის თანაგამზრახ ვაზირსაც ეს უნდოდათ.

დარბაზმა ათაბაგის წინადადება მიიღო და ათი დღის შემდეგ კარგად გაკაზმული დიდი ლაშქრით ახალციხელი კარის მიმართულებით დაიძრა.

თავი მესხრა

სიბრძნისა და სიყვარულის
ძსელში

„განუწყვეტლივ უნდა გზავნო მსტოვრები ყოველ მხარეს მოგზაურების, სუფიების, წამლების გამოიდევლების, მთხოვრების სახით“.

ნიხამ აღ მულკი

ჰამადავლეს საეპროს სახლს მხარგრძელისა და მანდატურთუხუცესის მსტოვრები დიდი ხანია ფარულად უთვალთვალეზდნენ.

არსთა ქარავნის სპარსელი მეგზური ორჯერ შენიშნეს მანდატურთუხუცესის ჯაშუშებმა ჰამადავლეს საეპროსთან დახლიდარმა ისიც შეამჩნია, რომ სპარსელი მექარავნე ხათუნთან მივიდა, მისთვის გაუგებარ ენაზე რაღაც უთბრა, მაგრამ ხათუნმა თვალთ ანიშნა და საეპროდან სწრაფად გავიდა.

დაღამა თუ არა, კაცურად გადაცმული, ყაბალახით თავპირახვეული ხათუნი უკანა კარიდან ჩუმად გამოვიდა და ისნის გზას დაადგა.

ქალაქის კართან გამართულ ფუნდუქში უამრავი ხალხი ირეოდა.

ფუნდუქში ღრიანცილი იდგა. მთვრალი მეინახეები რამდენიმე ენაზე ხმა-მალლა ყაყანებდნენ, საღაც კუთხეში ზურნა ჰყვიტინებდა და ყბაზე ხელმიქერილი ბრუციანი მომღერალი სპარსულ ბაიას გაკოდა.

ფუნდუქში შემოსულმა ხათუნმა იქაურობა მოათვალეირა, კუთხეში პატარა სუფრასთან მჯდარი სპარსელი მექარავნე დაინახა და იქით წავიდა.

მაგიდას უხზოდ მიუჯდა ხათუნი. მიმტანს კერძი შეუქვეთა და გვერდით მჯდომ სპარსელთან ჩურჩულით გააბა საუბარი.

მიციტანი თვალს არ აშორებდა საეპროდ მოჩურჩულეებს.

ხათუნმა უბეში ჩაიყო ხელი. ეტყობოდა, რაღაცის ამოღება უნდოდა, მაგრამ ირგვლივ მიმოიხედა. მიმტანის მოახლოება რომ შენიშნა, გაიტრუნა

და ვითომ მცებნარი აწუხებდა, მკერდი მოიქეცა.

მიმტანმა კერძი დაუღო და გამოზრუნდა.

ხათუნმა ორიოდ ლუკმა უგულოდ შექვამა, მერე უბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გაშალა. ცხვირსახოციდან მაგიდაზე პატარა ბარათი დავარდა. ხათუნმა ვითომ ვერც შეამჩნია. ტუჩები მოიწმინდა და ცხვირსახოცი ისევ უბეში ჩაიღო.

სპარსელმა მექარავნემ ფრთხილად ვითომ პტრისკენ წაიღო ხელი და მაგიდაზე დაგდებულ ბარათს მისწვდა.

ღონიერი ხელს საღტესავით შემოეკლო მექარავნის მაჯას. სპარსელმა თავი ასწია და გაფითრდა: იარაღმომარჯვებული ოთხი მანდატური ადგათ თავს, გასასვლელებშიც მანდატურები იდგნენ და ფუნდუქიდან არავის უშვებდნენ.

ღრიანცილი უცებ მიწყდა, მანდატურებმა ყაბალახით თავპირახვეულ ხათუნსა და მის თანამესუფრეს ხელზე ბორკილები დაადეს და ფუნდუქიდან წაიყვანეს.

დაპატიმრებულების დაკითხვა თავად მხარგრძელმა იყისრა.

ხათუნის ბარათი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი რუმის სასულტნოს ვაზირისათვის იყო განკუთვნილი.

კომნენტა და ქართველთა მეფის დაუძინებელ მტერს ლამაზი მსტოვარი დაწვრილებით ატყობინებდა საქართველოს ამბებს: აქ არზრუმისკენ ახალციხელის მეთაურობით დაძრულ ჯარებზეც იყო ლაპარაკი, კომნენტან სამ-

ხედრო მოლაპარაკებანეც, ყვიჩალებთან შეთანხმებასა და ორმოცი ათასიანი ლაშქრის მოლოდინზეც. ბოლოს, არც სამეფო კარის ამბები იყო დავიწყებული. მსტოვარი დაწვრილებით ატყობინებდა მეფისა და ათაბაგის ვანხეთქილებას და თან დასძენდა, რომ ყველაფერი ოცი წლის გულახდილი ჭაბუკისაგან ჰქონდა შეტყობილი.

სამი დღე-ღამის უძილობისა და წამების შემდეგ გატყდა დასუსტებული ხათუნი.

თვითონ უამბო მხარგრძელს, როგორ გაება ჯერ ბიზანტიისა და შემდეგ რუმის დაზვერვის ქსელში, როგორ „შერთეს“ საქმეველ ჰამადავლეს და როგორ შემოგზავნეს საქართველოში.

რუმის ანუ იკონიის სულტანი ტრაპიზონის იმპერიის დასაპყრობად ემზადებოდა. ტრაპიზონის სუსტი იმპერიის უკან ძლიერი საქართველო იდგა, ტრაპიზონი საქართველოს გავლენის სფეროდ ითვლებოდა და საქართველოს მფარველობის ქვეშ იყო. ამდენად იკონიის სულტანს საქართველოსთან შეტაკება გარდუვალად მიიჩნდა.

იკონიის სასულტნო გაფაციცებით ადევნებდა თვალს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასა და სამხედრო ვითარებას, გამუდმებით გზავნიდა საქართველოში მზვერავებსა და ჯამუშებს.

როცა რუმის ვაზირი საქართველოში უმშვენიერეს მსტოვარს გზავნიდა, ფიქრადაც არ მოსვლია, რომ მას ასე მნიშვნელოვანი წარმატება ელოდა. ღიდი დიდი, რის იმედიც ვაზირს შეიძლება ჰქონოდა — ხათუნის რომელიმე ქართველ დიდებულთან, ან მხედართმთავართან დაახლოება იყო. იმას კი როგორ წარმოიდგენდა, რომ უტურფესი ხათუნის სიყვარულის ქსელში თავად საქართველოს მეფეთ-მეფე გაებმებოდა.

თბილისიდან რომ თავისი ჯამუშის გაუგონარი წარმატების ამბავი მოუვიდა, რუმის ვაზირს თავში ათასგვარი კეგმა ჩაესახა და ადრე განზრახულზე

გაცილებით უფრო დიდი მოზნების მიღწევა მოინდომა.

ერეკლე

რუმის ვაზირმა საქართველოში ჯამუშეთა ახალი ჯგუფი შემოგზავნა — რინდთა ორდენის მოხეტიალე სუფიები. რინდთა მეთაური შეიხ-ფეიზი გამოცდილი მზვერავი იყო, რუმის ვაზირმა მას მრავალი დავალება მისცა და ხათუნის ჯამუშური საქმიანობის წარმართვაც მასვე დააყისრა.

სხვა დავალებათა შორის ერთი უმთავრესთაგანი საქართველოს მეფას მოკვლა იყო. იკონიის თურქთა სულტანი რომ ტრაპიზონზე ლაშქრობის თადარიგს მორჩებოდა, რუმის ვაზირის საიდუმლო ნიშანზე ხათუნსა და შეიხ-ფეიზს კომინენის მფარველი და პირადი მეგობარი, ტრაპიზონის იმპერიის გაძლიერებისათვის დაუღალავად მზრუნველი საქართველოს მეფე — ლაშა-გიორგი უნდა მოეკლათ. მეფის მოკვლათუ მოწამელა ისე უნდა მოეწყოთ, რომ ექვი ვერაგის აელო მის ნამდვილ ჩამგონებლებსა და მომწყობებზე. კვალი ისე უნდა წაეშალათ, რომ ყველას საქართველოს შიგნით და გარეთ მომხდარი უბედურება ჭაბუკი მეფის აღვირახსნალი შემთვრალეობითა და დედათამოყვარულეობით აეხსნა.

საქართველოს მეფის სიკვდილს, რუმის ვაზირის ანგარიშით, ქვეყნის აშლა და შინ აღრევა უნდა გამოეწვია. საქართველოს არეულობით რუმის სულტანს უნდა ესარგებლა და ვიდრე ქართველებს ტრაპიზონის იმპერიისთვის არ ეცლებოდათ, სუსტსა და ტრაბახს კომინენს გასწორებოდა.

შეიხ-ფეიზის რინდებს მეფე ხათუნმა გააცნო და დააახლოვა. ლაშა რინდთა მისტერიებს აზიარეს და სუფიების სექტის მოღვაწეობაში ჩაითრიეს.

მეფე დროს ერთთავად ქალაქკარეთ, შეიხ-ფეიზის მშვენიერ ბაღში ატარებდა.

რუმის ვაზირი საქართველოში ყვიჩაღთა ლაშქრის გამოსვლამდის ესწრაფოდა ტრაპიზონის დაპყრობას. ამიტომ თვითონაც ჩქარობდა, შეიხფეიზსა და

ხათუნს კაცს კაცზე უგზავნიდა და განზრახულის დროზე ასრულებას თხოულობდა.

ხათუნი სხვადასხვა მიზეზით აგვიანებდა შეიხ-ფეიზისათვის ნიშნის მიცემას, რადგან, როგორც თვითონ ტირილით ათაბაგის წინაშე აღიარა, ლამაზკოორჯი ამასობაში ნამდვილად შეჰყვარებოდა და მოსაკლავად ვეღარ იმეტებდა.

ჩვენების მიცემისას ხათუნი კეკელცობდა, მხარგრძელს თვალში თვალს ეშმაკურად უყრიდა და გამომწვევი თამაში ქცევით ცდილობდა ქარშავი ათაბაგის თავბრუდახვევას. მხარგრძელი თავს ძლივს იკავებდა, ცდილობდა წონასწორობა არ დაეკარგა და ბოლომდე ცივი და გულგრილი ყოფილიყო ლამაზი პატიმრის მიმართ.

— რა ნიშანი გქონდათ დათქმული? — ვითომ სხვათაშორის იყითხა მხარგრძელმა.

— ეს ბეჭედი უნდა გამეგზავნა რინდების შეიხისთვის! — მიუგო ხათუნმა და თითზე ფართო ბეჭედი წაიძრო.

ბეჭდის გემმაზე ლანგარზე დადებულ მოჭრილი თავი იყო გამოკვეთილი.

მხარგრძელმა ბეჭედს ვითომ უინტერესოდ დახედა და სხვა ნივთიერ საბუთებთან ისე დადო, თითქოს ყურადღების ღირსადაც არ ჩაეთვალოს და დაკითხვა განაგრძო:

— მეფესთან ერთად მიდიოდი შეიხ-ფეიზის რინდებთან თუ მარტო?

— მე წინა დღით წავიდოდი ხოლმე, მეფის მისაღებ თადარიგს ვიჭერდი და სუფრისა და განსასვენებლის გამზადებას ვხელმძღვანელობდი.

— რას აკეთებდით რინდებთან?

— მეფე ღვთაების ხილვას ეძლეოდა, ხოლო, როცა საღმრთო საქმეს მორჩებოდნენ, ბაღში ჩემთან მოდიოდა. იქ გაშლილი სუფრა და განსასვენებელი ელოდა და შემუსიკენი საამო ხმებს გამოსცემდნენ. დილაზე ვნეტარებდით და ზოგჯერ მეფე, მეორე დღესაც ინებებდა ხოლმე იქ დარჩენას.

— რინდებიც თქვენს სუფრაზე შეეკეცოდნენ?

— არა, რინდები ქალღმერთებთან... — ხათუნს მამაკაცთან სათქმელის გაცხადების შერცხვა და წამოწითლდა.

— ქალისა და ღვინის სიამოვნების სანაცვლოს ლოცვით გარინდებამ პოვებენ თურმე, არა?

— აგრე მოგახსენებენ, ბატონო.

— იმასაც ამბობენ, ლამაზი ბიჭებიც ჰყავთო, ქალების მაგივრად.

— ჰყავთ, მოწაფეები... მიუხრდებთ ესახიან. — ეკლავ თავაუღებლად წაილულულა ხათუნმა.

— ძალიან კარგი. — განაგრძო ათაბაგმა. — ახლო ხანში ხომ არ აპირებდით მეფესთან ერთად შეიხ-ფეიზის სამოთხის მონახულებას.

— მე დღეს იქ ვეგულები და სწორედ ხვალ უნდა მობრძანდეს მეფე.

— მე რე შენ რომ იქ ვეღარ მიხვალ? ხათუნმა პასუხის მაგივრად ღრმად ამოიხზრა და წამწამებზე ცრემლები დაეკიდა.

— იქნებ აცნობე, რომ მეფე აღარ შეწუხდეს?

უარის ნიშნად ხათუნმა თავი გაიქნია და ათაბაგს თვალებში შეხედა. უცებ მთელ სხეულში, უსიამო ერთოლამ დაუარა. მხარგრძელის თვალებში მეფის მიჯნურმა რალაც საშინელი ამოიკითხა და შეეყვარებულის წინათგრძნობამ ქალი ერთიანად აფორიაქა.

მხარგრძელმა ჯამუშის ჩვენებას, რუმის ვაზირთან მინაწერ ბარათს და ხათუნის ბეჭედს ხელი მოუსვა, პატიმარს ძილი ნებისა უსურვა და დილეგიდან გავიდა.

გვიან დაწვა მეფე და ნაღვინევს მალე ჩაეძინა. ჩაეძინა, მაგრამ ძილი ძილს არ ჰგავდა: მთელ ღამეს საშინელ სიზმრებს ხელავდა, შფოთავდა, ოხრავდა და ზოგჯერ ხმამაღლაც ბოდავდა.

ვერ იყო, ხათუნთან ლოგინში განცხრომა დაესიზმრა, ვითომ ხათუნმა ლაღობა დაუწყო და ორივენი ლოგინიდან დაკოტრიალდნენ. სიცილ-კისკისით, რბილად მიგორავდნენ უსასრულო ლოგინზე თუ შწვანეზე მიჯნურები. მერე უცებ კლდის პირს მიადწიეს. ის იყო ლაშა კლდეს გადასცდა, უფსკრულზე გადავიდა და ხათუნიც თან უნდა გადაეტანა, რომ ვიღაცის ღონიერმა ხელმა ხათუნი შეაჩერა. ხათუნი ცდილობს ხელი არ გაუშვას თავის საყვარელ მეფეს, მაგრამ ღონიერი ხელი, რომელმაც უფსკრულთან შეაჩერა, მარწუხივით უპერს ქალის უღონო ხელებს. ქალი ტკივილისაგან იკლავება, სიმწრის ოფლი ასხამს და ლაშა გრძნობს, როგორ ნელ-ნელა შორდება მის ყელს შემოკდობილი ქალის ნაზი თითები. ლაშა განწირული ფართალებს უფსკრულთან. ცდილობს უფრო მაგრად ჩაავლოს ხათუნს ხელები, რომ როგორმე თავი შეიკავოს უფსკრულში გადაჩეხისაგან, მაგრამ ახლა უკვე მის ხელებს. მისწვდა ის ღონიერი ხელი, რომელმაც ხათუნი შეაჩერა კლდის ნაპირთან. სამინლად მოუჭირა მაჯაში მძლავრმა ხელმა, ძელებმა ტკაცანი გაიღო და ტკივილისაგან დაბნელებული თვალი წამით მალა მიანაკრო ლაშამ: კლდის თავზე ამგაჩეჩილი და წვერგაფოფრილი ათაბაგი იდგა. ლაშას თვალთ დაუღამდა, ნელ-ნელა მოუშვა ხათუნის წელზე საღტედ შემოკდობილი თითები და უფსკრულისკენ რომ მოსწყდა, ხათუნმა განწირულად შეკვილა.

მეფეს გაეღვიძა. შუბლზე ოფლის ცვრები ეყარა და ჩქარა სუნთქავდა. შარბათი მოსეა. ცოტა ხანს თვალგახელილი იწვა. მერე ისევ ძილი მოერიო, გვერდი იცვალა და თვალი მიხუჭა.

მცირე ხნის შემდეგ ახალმა სიზმარმა მოუწამლა მეფეს მოსვენება.

ყელზე ვითომ ლამაზი გველი ეხვია ლაშას, ეს გველი არ კბენდა, ისე ეხვეოდა და ეალერსებოდა. მერე უცებ

საიდანღაც ორი ძლიერი ხელი გამოჩნდა, ყელზე გველი მოეჭრა და მხოლოდ მაშინ იცნო ტრემამ. მარტომ კმ გველს ხათუნის სახე ჰქონდა. ლაშამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, რომ იგივე ხელები, რომელთაც გველი მოაცილეს, თვითონ შემოეკედნენ მის ყელს და ნელ-ნელა მარწუხები წაუჭირეს დასაბრჩობად. გაიბრძოლა ლაშამ, მაგრამ ამოდ, ხელების პატრონს გოლიათური ღონე ჰქონდა. მიწისკენ დახნიქა მეფე. უღონო ბრძოლისაგან ქანც-გაწყვეტილია მეფემ მხოლოდ ახლა დაინახა მასთან შეკიდებული გოლიათი სისხლჩაქცეული, არეული თვალებით. დაინახა და ბუნდოვნად დანახული ნაქრევებიანი სახე ერთ წამს ივანე ათაბაგისას მიამსგავსა. თვალებმა სინათლე დაკარგეს, ნახმლევებიანმა გოლიათმა ლაშა ძირს დასცა და ზედ ზევივით დააწვა.

ლაშას დაცემა და გაღვიძება ერთი იყო.

თვალი რომ გაახილა, სიზმარი გაისენა, ივანე ათაბაგის მეორედ დასიზმრებამ ღიმილი მოკვებია.

ძილი საბოლოოდ გაუტყდა. ფეხზე წამოდგა, ხალათი მოიხურა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

საწოლ პალატში პატარა საწერი მაგიდა ედგა. გუშინ დილას წერდა და მაგიდაზე ფურცლები ისევ გაშლილი იყო.

აგერ წელიწადზე მეტია, რაც ტრაქტატს წერს საქართველოს მეფე გიორგი მეოთხე. ტრაქტატის თავფურცელზე დიდი წითელი ასოებით იყო გამოყვანილი:

„საქართველოს სამეფოსათვის“.

ლაშა მაგიდას მიუჯდა, გაშლილ ფურცელს დახედა და წინადლის ნაწერი გადაიკითხა:

„ქართველ ტომთათვის“.

„...რომელნი იტყვიან ტომობასა და შთამომავლობასა ქართველთა ნოეს ძის იაფეთის თესლისაგან. არა სარწმუნო არს ესე, ვითარცა ცუდ და ზღაპარ.

უძველეს არს ცხოვრება ქართველთა ბაბილოვანთა და ქეტელთა თანა. ეამსა მას ტომი ქართველთა იყო ერთ და ძლიერ. კირთებისა მტერთა ურიცხვთაგან იწყო რღვევად და კლებად სიმრავლემან და სიმტკიცემან ერისამან. და განიბნნეს ნათესავნი ქართველთა ქვეყანასა ზედან და სხედასხვა იქმნეს ენაი მათი, ვითარ აფხაზთა და ჩერქეზთა, ლაზთა და სვანთა. არამედ ერთ არიან დღესცა ენითა პირველითა და ზნითა და წესითა ამა ეამსაცა, ოდეს ერთ მთავრობასა და ერთ მეფობასა შინა კვლავცა იქმნენ ერთ ტომად და ერთ ენად ერნი უმრავლესნი, ვითარ ჰგიებდნენ დასაბამსა მათისა ცხოვრებისასა...“

ლაშაშ წიგნი გადაფურცლა და კითხვა განაგრძო:

„...წეს არს ქართველთა პირისსიმტკიცე, თავისუფლებისათვის მხედ ბრძოლა, წყობასა შინა სიკისკასე, მტერთა ზედა ერთობა. ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ ყოველი ეგოს ქორწინებითა სჯულღიერთა თვისთა თანასწორთა: მთავარნი მთავართან, აზნაურნი აზნაურთან და გლეხნი გლეხთან...“

ლაშას კითხვა მოსწყინდა, განსჯისა და ღრმად დაფიქრებისთვის არ იყო განწყობილი. გული უმღეროდა და თავში ომარ-ხაიამის ლექსები ერეოდა.

ფეხზე წამოდგა და ლილინით გაიარ-გამოიარა. სარკმელთან შეჩერდა, გაიხედა: ღამე გატრეცილიყო და ცაზე ვარსკვლავები ცახცახებდნენ.

თენდებოდა, დილის ბინდში მტკვარზე ტივები მიცურავდნენ და ქარს მტეივების ჩუმში, სევდიანი სიმღერა მოჰქონდა.

ლაშა საწერკალამს მისწვდა. პერგამენტზე სწრაფად აღიბეჭდა ორი სტრიქონი. მერე ისევ მაგიდას მოშორდა, გაიარ-გამოიარა და ოდნავ წამღერებით აბუტბუტდა. ბუტბუტსა და ნაბიჯს უმატა, მერე ფიქრში წასული

თვალეში კვლავ ეტრატს დაამტერა, წინანდელ ნაწერს ხაზი გადაუსვდა და სტრიქონები მიჯრიოთ მიაყურა ერთი მეორეს.

ლაშაშ პერგამენტი აიღო და ხმა-მალლა მკაფიოდ წაიკითხა:

წუთისოფელში არაფერი არის

უცვლელი,
ვარსკვლავი ქრება, მტერად იქცევა
ვარდის ფურცელი.
უღბნიოდ ერთ დღეს ნუ გაღშვებ,
თორემ გაფრენილს
ვერც დაიბრუნებ და ვერც კიდევ
დარდით უშველი.

ასი წლის შუქი თურმე მხოლოდ

კენტი ღამეა,
რაც სიტკბოა შესევი, თურმე მხოლოდ
წვეთი შხამია,
მამ დაეწაფე სატრფოს ბაგეს, ლეინის
ფიალას, —
მარადისობა ნეტარების ერთი წამია.

ლაშაშ პერგამენტი დადო, თითქოს რაღაც დიდი ტვირთი მოეხსნას, ისეთი სიმსუბუქე და შინაგანი დამშვიდება იგრძნო.

ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ნაწერს. თორელს, ალბათ, არაფრად მოეწონებო, გაიფიქრა და ღიმილრეულმა ბატის ფრთა მაგიდაზე ისროლა.

მაინც არ ეძინებოდა, ტანთ მსუბუქად ჩაიკეცა და საწოლიდან გამოვიდა.

კართან ფეხზე ფეხიზლად მდგარი ღღუბში დაუხვდა.

— რატომ არ გძინავს, ღუბუბ? —
ჰკითხა მეფემ და მცველს მეგობრულად მხარზე ხელი დაარტყა.

— როცა მეფე ფეხიზლობს, ყმათაგან ძილი წესი არ არის. — თავდახრათ მოახსენა მიგრიაულმა და მეფე თავის წინ გაატარა.

ლაშა ეზოში გამობრძანდა, ვარსკვლავთსათვალთვალ კომისიის წევრი და, კომისის კიბეზე შედგა და გაუჩინარდა.



ლუბუმი კოშკის კიბესთან ჩამოჯდა. ერთხანს მანაც ვარსკვლავებს უცქირა. სადღაც ვარსკვლავებს ვარსკვლავი მოსწყდა და როგორც ბავშვობაში იცოდა, ლუბუმმა მაშინვე პირჯვარი გადაიწერა.

რამდენხანს უმზერია ბავშვობაში, თავის კახეთში ასე ვარსკვლავებით მოქედილი ცისათვის. თავი ისევ ბაღად წარმოიდგინა და როგორც ბავშვობაში, ცისა და მიწის განუყოფელი ერთიანობა შეიგრძნო და ქვეყნის ზრუნვისაგან გამდგარს ალალი გულით სიმღერა მოუნდა.

მტკვარზე მეტივეების ღიღინი გაისმოდა. ხმადაბლა მღეროდნენ სედიან სიმღერას სადღაც ღიღის ბინდ-ბუნდში დაკარგული მეტივეები, მტკვარი ჩუმად მიჩხრიალებდა და მეტეხის მორევში თვალის მომკრელად ბრწყინავდნენ ალმასის კრისტალებივით დაღუწილი ჭავლები.

მეფის მცველს ჩათვლიმა, თავით და ხელებით შუბს დაეყრდნო და თვალი წაატყუა.

ვარსკვლავთა უცნაურმა განლაგებამ და ურთიერთდამთხვევამ შეაშფოთა მეფე. ეტლთა ჩხრეკა ყოველმხრივ მომდგარ ხიფათს აუწყებდა და პირველად შეშინდა ლაშა ცაზე ამოკითხულით.

შეშფოთებულმა კოშკი მიატოვა და თითქოს უკან ვინმე მოსდევდა, კიბე სირბილით ჩამოიარა.

მძინარე მცველმა ფეხის ხმაზე გაიღვიძა და წამოხტა. გამოქცეულ, თმებავლილ ლაშას რომ შეხედა ფარშუბი მოიმარჯვა და მეფეს შემფოთებულმა მიმართა:

— რა მოხდა, მეფევე?

— არაფერი... არაფერი... აქედან წავიდეთ... წავიდეთ! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა მეფე, უკან-უკან იხედებოდა და თითქოს ვინმესაგან თავის დაღწევა სურსო, ჩქარი, შემკრთალი ნაბიჯით მიდიოდა წინ.

ლაშა მტკვარს დიღბანს უფრთხილად სიზმრებითა და ვარსკვლავთა წინასწარმეტყველებით გაბოროტებულს გვიან გაეღვიძა და უგუნებოდ ადგა.

სალამოს შეიხ-ფეიზის ბაღში უნდა მისულყო. სხვა დროს ხათუნთან შეხვედრის მოლოდინი სიხარულით ავსებდა, დაღამებას არ უცდიდა და ფრთამესხმული მიჭროდა ხოლმე პაემანზე. დღეს კი რატომღაც გული არ მიუწყევდა და წასვლა ეზარებოდა.

ნაშუადღევს ხათუნი მოაკითხვინა. გუშინდელს აქეთ შინ არ არისო, მოუტანეს ამბავი და ლაშა დარწმუნდა, რომ მისი სატრფო ჩვეულებისამებრ წინა დღით უნდა ყოფილიყო წასული შეიხ-ფეიზთან, მეფის მიღებისათვის თადარიგის გასაწევად, ლხინისა და განსასვენებლის მოსამზადებლად.

როგორ გაიხარებდა ლაშა, ხათუნს რომ რაიმე მიზეზით პაემანზე უარი ეთქვა და შინ ყოფილიყო!

არ წავიდოდა მეფე, მაგრამ სატრფოს როგორ გააწბილებდა, მით უფრო, რომ თვითონ დაუნიშნა შეიხ-ფეიზთან პაემანი.

მიტოვებული, ამო ლოდინით გულგადაღეული ხათუნი რომ წარმოიდგინა, შეებრაღა, მისი ნახვა მოუნდა და ლაშაში თვალების ამოკონა.

შებინდებისას ცხენი მოაყვანინა მეფემ. ცხენზე შეჯდომისას მოუცილებლად გვერდით მდგარ ლუბუმს რომ შეხედა, წინათგრძნობამ ერთხელ კიდევ შეაყოვნა, წასვლა ისევ შეეზარა და შეეყოყმანდა.

მეახლეო, უბრძანა მცველს და ცხენი ნელა დაძრა, დინჯი ნაბიჯით. შეიხ-ფეიზის ალაყაფის კართან მდგარი გუშავი მეფეს მიესალმა და კარი გაუღო.

მეფემ და მცველმა დაიქვეითეს. ლუბუმმა ცხენებს ლაგამი წაუყარა და ბალახზე მიღუშვა.

მეფემ რომ გაატარა, გუშაგი მის მცველს წინ გადაუდგა:

— აქ დაელოდე მეფეს, ნაბრძანები პაქეს, სხვა არაფერ შეეცემა. — მოახსენა გუშაგმა.

მეფე ყოველთვის მარტო შედიოდა შეიხ-ფეიზის სამყოფელში, მაგრამ გუშაგის ნათქვამი ახლა მაინც ეუცნაურა და საეჭვოდ ეჩვენა.

ლუბუმმა შეატყო, მეფეს ჩემი ხლება სურსო, მკერდით მიეძალა კაფანდარა გუშაგს და ძალით აპირებდა გავლას, მაგრამ გუშაგი თავისზე დადგა, გაჯიუტდა და აყაყანდა.

ლამამ ოქრო ამოიღო, ისე ესროლა გუშაგს, რომ მისკენ არც მოუხედავს. და მძიმე ნაბიჯით ხეივანს მიჰყვა.

ყაბის ძაღლივით პაერშივე დაიჭირა გუშაგმა ნასროლი, იქვე კუთხეში შებრუნდა, ჩამოჯდა და გაბარებული ხარბად დააქტერდა ნაწყალობევს.

ლუბუმი ჩქარი ნაბიჯით მიჰყვა მეფეს. ვახით დაბურული გრძელი და ბნელი ხეივანი გაიარეს: ხეივნის ბოლოს მწვანეში ჩამალულ ფანატურთან შეჩერდა მეფე.

— აქ დამელოდე, ლუბუმ, თვალი და ყური იქით გქონდეს! — უბრძანა მეფემ და ხეივანს იქით განათებულ სახლზე ანიშნა.

ლუბუმი ამოდენა მწვანეში ფრინველივით შეიშალა.

მეფე სახლისკენ გაემართა.

შეიხ-ფეიზმა დილით მიიღო დიდიხნიდან დათქმული ნიშანი, ხათუნას ოქროს ბეჭედი გემმაზე გამოკვეთილი მოქრილი თავით.

ამ საღამოს მთავრდებოდა შეიხ-ფეიზის მისია. უკანასკნელი და უმთავრესი დავალების შესრულების შემდეგ შეიხი თბილისიდან უნდა აყრილიყო და საქართველოს გასცლოდა. ამიტომ თადარიგი დილიდანვე დაეჭირა, რაც თან წასაღები იყო დილითვე ჯორაქლემზე აეკიდა და ფარულად გაგზავნა. ახლა ეს უკანასკნელი საქმე უნდა დაებოლოებინა და ყველაფერი გათავდებოდა.

შეიხ-ფეიზის რინდთა ორდენის წეს-ტერიებმა ლამა თავიდანვე სახლთათა და თავისებურებით მიიხსნენ.

ისინი, სუფიების სხვა სექტიების მსგავსად, ქვეყნისაგან განდგომასა და ცხოვრების სიტუბოზე ხელის აღებას როდი ქადაგებდნენ. პირიქით, ორდენის წევრებს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებდნენ და სირცხვილსა და შორიდებას გამოზდნენ.

ორდენის წევრები თავიანთ თავს მოქეფებებს ანუ რინდებს უწოდებდნენ და ღვთაებრივი შუქის სილამაზით თრობას ეძლეოდნენ. ეს შუქი მათი რწმენით რინდების სულში ღვთაებიდან ვადმოდიოდა, აესებდა მას და ხორცისაგან ათავისუფლებდა. ამ ღვთაებრივი თრობისათვის რინდებს ღვთისადმი სიყვარულში, ღვთაებასთან სრულ გათქვეფასა და შეერთებაში უნდა მიეღწიათ. მთელი სამყარო მათ ღვთაების გამოვლენად მიაჩნდათ, ხოლო საგნები იმ საჩკედ, რომელშიაც ღვთაებრივი შუქი ირეკლება. ღვთაების ამ გამოვლენას ბუნებასა და საგნებში მხოლოდ მოსაჩვენრად თვლიდნენ და იგი ერთადერთი რეალური არსების — ღმერთის ანარეკლად წარმოედგინათ. ყოველივე ერთი დასაბამის გამოვლენაა და ადამიანს სამყარო ტყვილად ეჩვენება მრავალფეროვნად და ნაირსახოვნად. მსოფლიო სულის ღვთაებრივი შუქის ნაპერწყალი ყველგან და ყველაფერშია, მისი ნაწილი ადამიანსაც გააჩნია. ადამიანის უდიდესი ბედნიერება იმაში მდგომარეობს, რომ განთავისუფლდეს ზორციელი, პირადი მესიგან და ჩაიძიროს ღვთაების ხალვაში, შეერიოს ღვთაებას, როგორც წვეთი ოკეანეს, შეუერთდეს ღმერთს, როგორც ნაწილი მთელს.

რინდები ისლამის ნორმებსა და კანონებს სრულიად არ უწევდნენ ანგარიშს. თავიანთი ორდენისათვის სავალდებულოდ არ მიაჩნდათ პირობითი მორალის კანონები და საზოგადოებრივი წეს-ჩვეულება. უზენაესის მკერტელ ღვთაებასთან სულიერად შეერთებულ

რინდებს თავიანთი არსება, კეთილისა და ბოროტის მიღმა წარმოედგინათ და თავიანთ თავს ამ ქვეყნიური პირობითობისა და კანონებისაგან, ზნეობრივი წესებისა და მორალისაგან თავისუფლად სთვლიდნენ.

რაკი ქვეყანა მათთვის მხოლოდ მოსახვეწარი, არა ნამდვილი იყო, ამიტომ ამ ქვეყნის ყველა წესი და პირობითობაც არ მიაჩნდათ სავალდებულოდ.

ქართველთა მეფე რინდი სუფიების ქადაგების ამ უკანასკნელმა მხარემ დაინტერესა.

იგი უკვე ღვთაებას ნახიარები, „შეცნობილი“ იყო და ღღეს სხვა რინდებთან ერთად რელიგიურ ექსტაზში მისტიური თრობით ერთხელ კიდევ უნდა შეერთებოდა უზენაეს მიჯნურს.

ლამას კართან მიუბრუნდა შემოეგება. შორიდანვე წელში მოხრილი მიესალმა.

შემოსვლისთანავე მეფის ყურადღება რინდთა მცირერიცხოვნებამ მიიქცია. დარბაზი ჩვეულებრივ სავსე არ იყო, სულ ხუთიოდე რინდი იჯდა ფეხმორთმბული, ნირვანაში წასული.

შეიხ-ფეიზის რინდები სხვა დროს ნახევრად ტიტვლები ასრულებდნენ ღვთაებრივ მისტიკაიას, ახლა კი ტანთ ჩვეულებრივად ეცვათ.

ლამამ გაოცებით მოავლო თვალი იქაურობას: რინდების უმრავლესობა ზეციურ სატრფოსთან სულიერ შეერთებას სქესობრივი აღგზნებით მისცემოდა. მეფემ ფეხი მოირობა და ნახზე ჩაიყვია.

ღამენატებ ლუბუმს წუთით წასთვლია.

უცებ ხმაურმა გამოადიქა.

— მომკლეს! — მისწვდა განწირული ძაბილი და მიგრიაულმა მეფის ხმა შეიცნო.

ნამდვილად უპირისო, გაიფიქრა წამით და ფანჯარტიდან ვეფხვივით ისკუბა.

ხმალგამიშვლებული ლუბუმი დარ-

ბაზში შევარდა და თვალს არ დაუკვირა: ფეხქვეშ ჩაგდებულ მეფეს ექსტაზად დერვიში დასეოდნენ და მტკიცედ უწყალოდ გვემდნენ.

— რას ჩადით! გონს მოდით! — ერთი მხეცივით შეპყვირა ლუბუმმა და პირველსავე დერვიშს ხმალი მოუქნია.

სანამ სუფიები გონს მოეგებოდნენ, ლუბუმმა ორ მათგანს კიდევ დაპკრა გამეტებით ხმალი. სისხლმა და დაპრილების კენესამ გამოაფხიზლა დანარჩენები.

შეიხ-ფეიზმა ხალატქვეშ დამალული ხმალი იძრო და ლუბუმს შეუტია.

დანარჩენმა ორმაც ხმლები იშიშვლეს და მეფის მცველს მიესიგნენ.

შეიხ-ფეიზი ხმალში მარჯვე აღმოჩნდა, მოხერხებულად იცილებდა მეფის მცველის ხმალს და თავის მხრივაც ყოჩაღად უტედა ჯაშუკვადამულ მიგრიულს.

კიდევ ერთ დერვიშს შიგ მუტელში სცა ხმალი ლუბუმმა და სანამ ვადამდე სხეულში ჩასულ ხმალს გამოაძრობდა, შეიხ-ფეიზმა იქაურობას მოავლო თვალი: მეფე ძირს ეგდო უძრავად, იგი ნამდვილ მეკდარს ჰგავდა. შეიხმა თავისი ვალდებულება შესრულებულად ჩასთვალა, ხოლო მეფის მცველთან ბრძოლა — უქუთობად, მოაჯირიდან ისკუბა და სირბილით ბნელს შეერია.

უცნებლად გადარჩენილი ერთადერთი დერვიშიც შეიხის მაგალითს მიჰყვია და ისიც ბნელში დაიკარგა.

მარტო დარჩენილი ლუბუმი მაშინვე მეფეს მივარდა. მის მიერ ზედ დაკლული ორი რინდის გვამი მოაშორა და საკუთარ თუ მოკლულთა სისხლით მოსკრიდლ ლამას რომ დახედა, გაფითრდა.

— მეფევ... მეფევ, ბატონო! — სასოწარკვეთით ჩასძახა ლუბუმმა.

თავგატებილი და სახედათეთქვილი ლამა სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამცვლავნებდა. ლუბუმმა საკინძი შეუხსნა მეფეს, მკერდზე ყური დაადო და გულის მისუსტებული ღვთქვა რომ

იგრძნო, სიზარულისგან სახე გაუბრწყინდა.

— ცოცხალია! — აღმოხდა მიგრიაელს, მერე იქაურობას თვალი მოავლო, კუთხეში სურა დაინახა, მოარბენინა და მეფეს წყალი ასხურა.

ლაშამ დასიებული ბაგეები ძლივს შეანძრია და თვალგაუხელად, ოდნავ გასაგონად ამოიჩურჩულა:

— წყალი!

მცველმა შეკრულ კრიკაში მცირე წყალი ჩააწვეთა და ბევრი აღარ უფიქრია, გონდაკარგული მეფე ხელში ბავშვივით აიტაცა და მკერდზე მისვენებული სირბილით წაიყვანა.

ეზოში მეფის ცხენი დაიჭირა ლუხუმმა, წამსვე ზედ მოახტა და მუხლებსა და ტახტზე დასვენებული მეფით ალაყაფის კარს მიაღდა.

ჭიშკართან წინანდელი გუშაგი აღარ ჩანდა. ეზოს გალავანთან ცხენოსანი მანდატურები იდგნენ და გარეთ არავის ატარებდნენ.

ლუხუმმა პირდაპირ მანდატურებზე მიაგდო ცხენი, საშინელი სახე ჰქონდა. ოფლითა და სისხლით მოსვრილს ცალ ხელში გასისხლიანებული ხმალი ეჭირა, მეორით სადავე ეპყრა და მკლავ-

ზე მისვენებულ მეფის თავს იმაგრებდა.

— გამატარეთ, მეფე! ^{მომყავს!} შესძახა ლუხუმმა.

მანდატურები ახლო მოვიდნენ, შეშლილ სახეში ჩაქედეს და მეფის მცველი იცნეს.

— რა ამბავია? — ჰკითხეს გაოცებულმა მანდატურებმა.

— მეფე განსაცდელშია, გამატარეთ!

— ნაბრძანები გვაქვს, ეზოდან ცოცხალი არავინ გავუშვათ. ახლაც უფროსს მოვახსენებთ... — უთხრა მანდატურმა და ცხენი მოატრიალა.

— რა დროს უფროსია, მეფე განსაცდელშია! — შეჰღრიალა ლუხუმმა და ცხენით წინ გადამდგარ მანდატურის ცხენს მიაწვია.

ხმაურზე ასისთავი მოვიდა, მეფის ლურჯა და განუყრელი მცველი იცნო. ლუხუმს გამტერებული შეაჩერდა.

— რა მოხდა? მეფეს რა მოუვიდა? — შეშფოთებულმა იკითხა და პასუხს არ დაუცადა, გზა ისე მისცა ლუხუმს.

— მიჰყევით მეფეს! — უბრძანა ასისთავმა და ორი მანდატური ჰენებით მიჰყვა მძიმე ტვირთით წელგაზნეკილ მეფის ლურჯას.

თავი მეთექვსმეტი

პირველი მარცხი და პირველი ზზარი

შეიხ-ფეიზს ეგონა, რომ დავალება შეასრულა და თავის გადასარჩენად საიდუმლო გასასვლელით აპირებდა გაპარვას.

მონასპითა და მანდატურებით გარშემორტყმულ გალავანს როგორც ვასცდა, ხელი სტაცეს და მზარგამელს მიჰგვარეს.

შეიხის მოწმედ დატოვება მზარგრძელის ანგარიშს არ ეთანხმებოდა და რინდების ცრუ შეთაურიც იმ დამესვე ხათუნევით კვალწმინდად გაქრა.

ცოცხლად გადარჩენილ ერთადერთ დერეფისაჲ იგივე ბედი ეწია და იმ-

დღეს მომზდარი ამბის ყველა ძაფი ათაბაგს ჰქონდა ხელთ აკრეფილი.

უწყალოდ ნაგვემ ლაშას თავს საუკეთესო ექიმები ეხევივნენ.

მეფის გადარჩენა ჯერ კიდევ საეკვოდ მიანდათ, სასახლეში მწუხარება იყო და ხმამალა არავინ ლაპარაკობდა.

წინდახედულად და სწრაფად მოქმედებდა ათაბაგი. რაკი იმლაშინდელი ბოროტმოქმედების კვალი წაიშალა, ახლა ერთი გადაუდებელი საზრუნავი ჰქონდა — ყივჩაღთა ლაშქრის გამოსვლის ჩაშლა.

მეორე დღესვე მალემსრბოლები აფრინა და შეიღძათ სამთავროს მთავრები შეკრება.

ხელისუფლებისათვის ბრძოლის ეშხში შესული ათაბაგი თავს წინანდებურად ლაღად და მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობდა.

შეკრებილებს სამეფოს უბედურება აცნობა მხარგრძელმა:

— მძიმე განსაცდელი დაუდგა საქართველოს სამეფოს. დეთივეკვირგინოსანი ჩვენი ხელმწიფე უწესო და უგვან კაცთა მიყოლამ ხიფათს გადაწყარა და სიკვდილს ძლივს განერა. პრავალგზის ვეცადეთ, ჩამოგვეშორებინა ჰაბუკი მეფე უზნეო თანამოასაკეთაგან, მაგრამ არა ისმინა ჩვენი და მიდრკა სიბოროტედ. სმურობითა და დედათა უწესოთა თანა აღრევითა ესოდენ უსახურობამდე მიიწია.

და თუმცა განგვიშორა სანატრელი დედოფლისა და დედის წესთა მასწავლელი ვაზირნი, ჩვენ მაინც არ დავგდეთ ზრუნვა საქართველოს სამეფოსა და ტახტისათვის, განვიარდეთ დიდს ხიფათს მეფე და სიკვდილით მოგვეკვდინეთ ბოროტნი, რომელთაც ესოდენ უკეთურება შეამთხვიეს ხელმწიფეს. რადგან ავადმყოფ მეფეს არ შესწევს ძალა ამ გაჭირვების ეამს განაგოს სამეფოს საქმენი, მოგიწვიეთ თქვენ, მთავარნი შეიღძათ სამთავროსანი, რამეთუ შეგამთხვიეთ შრომასა და გარჯას სიკეთისათვისვე მეფისა და სრულიად საქართველოს სამეფოსი. ჰაბუკსა და უცად მეფეს უღირსთა კაცთა მიყოლითა და ჩაგონებით უნებებია ყივჩაღთა ხანის კოტიანისათვის ორმოცი ათასი ყივჩაღის გამოთხოვა საქართველოს ლაშქრის გასაძლიერებლად, ჩვენივე სამეფოს მიწა-წყალზე დედოფულითურთ დასასახლებლად.

— სად ფიქრობს მეფე ამდენი ყივჩაღის დასახლებას? — პირველმა წამოიძახა ხორნაბუჯელმა.

— ძლივს მოერჩით ყივჩაღთა მძლავრობას და კვლავ ქურდებითა და მტა-

ცებლებით გინდათ ქვეყნის ავისება? დაიღრიალა ქართლის ერისთავმა.

— ორმოცი ათასი ციხეშენი დედოფულითურთ ფრიადი რიცხვია, მაღლივით მოედება და აავსებს სრულიად საქართველოს, — განაგრძო ათაბაგმა, — ველად ცხოვრებას არიან ჩვეულნი ყივჩაღნი. მეფის განზრახვა სხვა რა უნდა ყოფილიყო, აღზათ, თავისი დიდი პაპის მსგავსად ჰერეთსა და კამბეჩოვანს უპირებს დასახლებას.

— კარგად უფიქრიათ! — წამოვარდა ჰერეთის ერისთავი, — ცოცხალთავეთ ერთ ყივჩაღს არ გავაჰყავნებ ჩემს სამეკიდროში.

— სადაც გინდათ, იქ დასახლეთ, მე კი ჩემს მიწა-წყალზე ყივჩაღის შემშვები არა ვარ! — გაცხარდა ხორნაბუჯელი. — გვეყო, რაც მათგან უკეთურება, პარვა და მძლავრობა გვახსოვს.

— თვითონ დაასახლოს სამეფო მამულებში! — დააწია ხმა ქართლის ერისთავმა.

— არა ვგონებ, რომ ჩვენი ქვეყანასეთ შეჭირვებაში იყოს, ვითარცა ჩვენი მეფის დიდი პაპის დავითის დროს იმყოფებოდა, — განაგრძობდა მხარგრძელი, — მაშინ ერთობა არ იყო ქართველ ტომთა შორის, თურქობა მძლავრობდა საქართველოზე და მეფის ლაშქარი უღონო იყო შინაურ და გარეშე მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ აწვია ყივჩაღთა ლაშქარი დიდმა დავითმა. დაღათუ დიდი სამსახური გაუწიეს ქართველთ ყივჩაღებმა, ბევრი უკეთურებაც დათესეს ჩვენს ქვეყანაში. ახლა, როცა სამეფოს მკედრთ მოინელეს და გააქართველეს ყივჩაღნი, როცა ქართველთა ნათესავი ესოდენ მოშენდა, რომ თავადაც აღარ აქვს კმაყოფილი მიწა, როგორღა უნდა დავასახლოთ ყივჩაღთა ესოდენი სიმრავლე! არცთუ სამეფოს საჭიროება მოითხოვს ამ ძნელი ნაბიჯის გადადგმას. ლეთის შეწვევითა და დიდი თამარის გონებითა და განგებით ჩვენს მეფეს სამეკიდროდ დიდი და ძლიერი სახელმწიფო დარჩა.

არც აღმოსავლეთსა და არცა დასავლეთსა აღარ არიან სამეფონი, რომელთაც ძალედვით ქართველთა წინააღმდეგობა, ხორასნით ბაღდადამდე და ბიზანტიამდე ძლიერნი სულტანნი და ურიცხვნი ათაბაგნი მოხარკენი შექმნილან ქართველთა მეფისა. ლაშქარი ჩვენი იმდენად ძლიერია და მრავალრიცხოვანი, რომ შიშის ზარსა სცემს ყოველთა ბოროტის განმზარბთა. მე ვერ ვირწმუნე უცილობლობა ყივჩაღთა ლაშქრის გამოსხმისა და ქართველებზე უცხო თესლის გაბატონების.

განბრკეთ და ივაზირეთ, რამეთუ უკეთ და საჩინოდ გამოარჩიოთ მეფისა და სამეფოსათვის.

ათაბაგმა დაასრულა.

ერისთავთერისთავები და ვაზირები ერთხმად წინააღმდეგნენ მეფის გადაწყვეტილებას. განსაკუთრებით ფიცხოზდნენ ქართლ-კახეთის ერისთავები, რომელთა სამკვიდროსა და მამულსაც როქის სპის დასახლების უშუალო საფრთხე ელოდა.

დადიანი და რაქის ერისთავი დუმდნენ. ორივე კარგად ხედავდა მეფის ღონისძიების გონიერულობას, მაგრამ იმასაც აშკარად ამჩნევდნენ, რომ ათაბაგი ყივჩაღთა გამოსვლის სასტიკი წინააღმდეგი იყო და მეფის გადაწყვეტილების ჩინაშელად დიდებულები წინასწარ ჰყავდა გადაბირებული.

ლისს იქიდან გადმოსულ მთავრებს სამეფო კარზე შექმნილი რთული მდგომარეობის გარკვევა ვერ მოესწროთ: გადარჩებოდა თუ არა მეფე სიყვდილს, რა მოხდებოდა ხვალ, ვისი ფარული ხელი წარმართავდა შექმნილ მდგომარეობას? ეს კითხვები მათთვის ჯერ კიდევ პასუხს გაუცემელი იყო. ხვალ შეიძლებოდა მოულოდნელი რამ მომხდარიყო და ლიხგადაღმელი მთავრები ქართლ-კახეთის დიდებულების გადაკიდებას და მათთან დამოკიდებულების გამწვავებას ისევე ერიდებოდნენ, როგორც ათაბაგის წინააღმდეგ.

ესეც რომ არ ყოფილიყო, საქართველოს არც ერთი მთავრთაგანის ხელსაყრელი არ იყო მეფის ხელქვეითებისადმი ძლიერი სამხედრო ძალის გაჩენა. ძალამოცემული მეფე ყივჩაღთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის შემწეობით დღეს თუ ათაბაგს წაიჩაოქებდა, ხვალ სხვა ერისთავების დროც დადგებოდა, მათი გაფართოებული უფლება და ტახტისაგან ნახევრად დამოუკიდებელი მდგომარეობა მუდმივ საფრთხეში იქნებოდა.

ამ საერთო საფრთხის შეგრძნობამ ყველა მთავარი ერთი აზრით გააერთიანა, ისინიც კი, ვინც სხვა დროს საქვეყნო საქმეს პირადზე მალლა აყენებდნენ.

რაკი მეორე აზრი არ იყო და მეფის განზრახულს არავინ გამოესარჩლა, ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც მხარგრძელს უნდოდა.

დარბაზმა ერთხმად დაადგინა: უარი ეთქვათ ყივჩაღთა დაქირავებისა და საქართველოს მიწა-წყალზე დასახლების პირობაზე. წინადადება მიეცა ამირსპარსალარს, დაუყოვნებლივ შეეკრიბა ჯარი და კავკასიონის გამოსასვლელები შეეკრა, რათა თავიდან აეცილებინა ყივჩაღთა თვითნებური გამოსვლა. ქართველთა მთავარი მხედრობა უკვე რუმის საზღვარზე იყო, საქართველოს სამხრეთით. მხარგრძელმა დიდი მეცადინეობით მცირერიცხოვან ჯარს მოუყარა თავი და კავკასიონის კართან დახვდა ჩრდილოეთიდან საქართველოს მეფის მოწვევით მომავალ ყივჩაღთა ორმოცი ათას ცხენოსანს.

ამოდენა ლაშქარს უამრავი ურმითა და ორთვალით ურიცხვი დედაწული და საქონლის ჯოგი მოჰყვებოდა.

სხვა ადგილას ყივჩაღთა ესოდენი სიმრავლე წალეკავდა ერთ მუჭა ქართველ დამხედურებს, მაგრამ კავკასიონის ძნელად გასასვლელ ვიწროებში, ქართველები ისე მოხერხებულად იყვნენ განლაგებულნი, რომ ათ კაცს იოლად შეეძლო ასი მხედრის გამკლავება და უკუქცევა.

ყვიჩალთა ლაშქრის მეთაურები გა-
აოცა ქართველთა მხედრობის დახვედ-
რამ.

პირველად ეგონათ, საქმე გვაქვს მცირე მონაპირე ჯართან, რომელსაც სახელმწიფო საზღვრის დაცვა აბარიაო. ამიტომ მოციქულები წარმოგზავნეს და დამხედურებს შეატყობინეს, გზა მოგვეცით, საქართველოს მეფის წვევით მოვდივართ თქვენს ქვეყანაშიო.

მოციქულებს, მონაპირეების ნაცვლად, ქართველთა ძლიერი მხედრობა დახვდა ამირსპასალარის მეთაურობით.

ამირსპასალარმა ყვიჩალებს განუცხადა: თქვენი წვევა მეფის და დარბაზის ნებით არ მომხდარა, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი და თუ სამტროდ და საომრად არ მოსულხართ, დაუყოვნებლივ უკან გაბრუნდითო.

— როგორ? თავად გვაწვიეთ შემწედ და მოყვარედ, დედაწულითა და საცხოვრებლით სამყოფელიდან აგყარეთ და ახლა საზღვართან გვხვდებით, ვითარცა სამტროდ გამოსულთ? — გრგვიწინავდნენ ყვიჩალთა მეთაურები.

შეშფოთებულებმა კოტიანხანთან მოამბეები აფრინეს, ქართველთა მეფას წვევის საბუთი და შემდგომი მოქმედების თაობაზე მითითება გამოითხოვეს.

შეტაკება გარდუვალი იქნებოდა, მაგრამ ამ მისვლა-მოსვლაში განძის ათაბაგს მსტოვრებმა საქმის შინაარსი აცნობეს, ათაბაგმა ყვიჩალებს საიდუმლოდ კაცები მიუგზავნა და ქართველებზე მეტი ჭირა, მიწა-წყალი და ყოველგვარი შეღავათი აღუთქვა, თუ განძელთა სამსახურს იკისრებდნენ.

რაკი ქართველთა ამირსპასალართან არც მეფის წვევის წერილმა გასჭრა და არც სხვა საბუთმა, დედა-წულიანად და საქონელ-ჯოგოიანად აყრილმა ყვიჩალებმა განძის ათაბაგის პირობები მიიღეს და მხარგრძელს სამხრეთის გზა სთხოვეს.

მხარგრძელმა, რაკი საქმით მხედრობა არ ახლდა, ყვიჩალთა უომრად გა-

ლა ამჯობინა. თავის სარგებელს აქაც არ დაივიწყა, ყვიჩალებს გზა მისცა, მაგრამ სასყიდლად საგნობა და საჩუქარი მითვალა.

რუმის თავგასული თურქების მოსარბევად და დასაშინებლად მოლაშქრე ახალციხელს შიო კაციტაისძის კაცმა თბილისში დატრიალებული ამბების შესახებ მეორე დღესვე აცნობა.

ახალციხელმა თურქთა ზურგი ერთხელ კიდევ მოარბია და ურიცხვი ჯოგი წამოასხა, მერე სწრაფად შემოიქცა და ლაშქარი თბილისს მოაყენა.

თბილისში უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო: მხარგრძელს დარბაზის გადაწყვეტილება სისრულეში მოეყვანა, მეფისაგან დიდი შრომით ნაწვევი ყვიჩალთა ლაშქარი საქართველოდან გაებრუნებინა.

სამეფოსათვის ამ პირველ უბედურებას მეორეც ზედ დართოდა: ათაბაგს ყვიჩალთა ამოდენა მხედრობისათვის გზა სამხრეთისაკენ მიეცა და მუდამ ქართველთა ყმობისაგან განთავისუფლებაზე მეოცნებე განძის ამირასთვის, უძლიერესი ლაშქარი ძღვნად მიერთმიო.

მეფისა და სახელმწიფოს საუკეთესო მოღვაწეების ამდენი ხნის საზრუნავი დაღუპული და წყალში ჩაყრილი აღმოჩნდა. საქმის შემობრუნებაზე და გამოსწორებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

მომაკვდავ მეფეს საამქვეყნო პირი არ ჰქონდა. მხარგრძელი კვლავ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი გამხდარიყო, ზოლო სამეფო განძელებთან გარდაუვალი ომის წინაშე იდგა.

საქართველოს სამეფოს ძლიერებას მეორე უფრო დიდი ზიანიც მიდგომოდა თბილისში დატრიალებული უბედურების შედეგად.

როგორც ჩანს, რუმის მთავრობა ანგარიშიანად მოქმედებდა. ტრაპიზონის-

კენ ჯარი მაშინ დასძრა იკონიის სულტანმა, როცა თბილისიდან თავისი ჯაშუშების მოქმედების შედეგს დღედღეზე ელრდა.

სასიხარულო ამბავმა სწორედ დროზე მოუხსრო. ქართველთა მეფის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. საქართველოს სამეფო მართლაც უჩვეულო შინაღრევასა და შფოთს მოეცვა. ამას ყივჩაღთა გამოსვლის ჩაშლა და განძასთან სამხედრო გართულებაც ზედ დართვოდა.

უკეთესი დრო რუმის თურქებს არ დაუდგებოდათ და იკონიის სულტანმა დაუყოვნებლივ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით.

სულტანი ქეიქაუსი დიდძალი ჯარით მიადგა სინოპს.

არტუთ დიდი ხნის წინ ქართველთა მხედრობის შემწეობით ალექსი კომნენმა სინოპი იკონიის სულტანს წაართვა და თავის პატარა იმპერიას შემოუერთა.

ტრაპიზონზე გალაშქრებულ სულტანს გადაწყვეტილი ჰქონდა, სინოპის მისაღვამების მორბევისა და აოხრების შემდეგ, კარგად გამაგრებული ქალაქის გარემოცვა და ხანგრძლივი ალყით აღება.

ტრაპიზონის არხენი იმპერატორი თურქთა მოძრაობას ყურადღებას არ აქცევდა, სულტნის განზრახვა არ იცოდა, ლაშასავით ისიც დღედაღამ ქეიფობდა და სინოპის ახლო ტყეებში ნადირობდა.

ქეიქაუსს მსტოვრებმა კომნენის უზრუნველობის ამბავი მოუტანეს.

სულტანმა მზვერავთა მცირე რაზმი წარგზავნა.

მზვერავთა რაზმი მცირე ამალით დაუდევრად მოსეირნე მთვრალ კომნენს წააწყდა და იმპერატორი ტყვედ იგდო.

ქეიქაუსს ტრაპიზონის იმპერატორი ბორკილგაყრილი მიჰგვარეს.

დიდი კომნენების ამპარტავანი შთამომავალი ქაიხოსრო ყიასადდინის შვილის წინ დაემხო, სიცოცხლე გამოს-

თხოვა და მორჩილების ნიშნად მჭრას ეთავყანა.

ბრიჯოლ აბაშიძე

ქეიქაუსმა კომნენს სინოპის მცხახს უომრად ჩაბარება მოსთხოვა. მასთან ერთად შეპყრობილი დიდებულების პირით მეციხოვნეებს წინააღმდეგობის შეწყვეტა უბრძანა.

სინოპელების მტკიცე უარმა ქეიქაუსი განარისხა. თურქთა სულტანმა ბრძანა: ტყვე იმპერატორი ციხე-სიმაგრის წინ, სინოპის მცველთა დასანახავად ეწამებინათ.

თურქებმა ბორკილგაყრილი კომნენი გაიყვანეს და მეციხოვნეთა თვალწინ უწყეს საშინელი წამება. ქალაქის დამცველებმა პირდ მიპრიდეს თავიანთი იმპერატორის უღვთო წამებისაგან.

ტყვილისაგან გამწარებული ალექსი მეციხოვნეებს შეეღასა და თურქთა მორჩილებას ვეუდრებოდა, ეხვეწებოდა და ნებებოდადნენ მტერს და თავიანთი იმპერატორი არაადამიანური ტანჯვისაგან დაეხსნათ.

გულქვა თანამემამულეებს ზვეწით რომ ვერაფერი შეასმინა, გამწარებულმა იმპერატორმა ციხის მცველებს წყაგლა და შეჩვენება გაუგზავნა:

— ჰოი, ძაღლებო, წყეულო ღვთას უარყოფლებო! თქვენ იმპერატორს თქვენს თვალწინ კლავენ და თქვენ მის სამფლობელოს იარაღით იცავთ. ვისთვის-ღა გინდათ ეგ ქალაქი, თუკი თქვენი მეფე თქვენს თვალწინ ასე უპატიოდ მოკვდება?! — გაიყოდა საშინელი წამებისაგან შეღონებული კომნენი.

მეციხოვნეებს ებრალებოდათ თავიანთი იმპერატორი, მაგრამ ქალაქის ჩაბარებას მაინც არ ფიქრობდნენ.

მეორე დღეს თურქებმა ზედ ქალაქის გალავნის წინ თავდაღმა, ფეხებით დაკიდეს კომნენი, ქვემოდან ცეცხლი შეუთთეს და უღმობლად უწყეს წამება. თავდაღმადაკიდებულ და ქვემოდან ცეცხლშემოგზნებულ კომნენის გულცივად ცქერას კი ველარ გაუძლეს მეციხოვნეებმა. ქეიქაუსს შეუთვალეს: დაგმორჩილებით, თუ შემოგვფიცავთ,



რომ იმპერატორს უგნებლად გაუშვებთ და ჩვენც გზას მოგვცემთ, რათა ქალაქიდან გავიდეთ ჩვენი ქონებითო.

სულტანმა დაიფიცა და აღთქმის პირი მისცა, რომ იმპერატორსაც ცოცხალს დატოვებდა და სინოპელბსაც არაფერს დაუშავებდა, თუ კომნენი სულტნის მოხარკე ვახდებოდა და მის უზენაესობას აღიარებდა.

შეთანხმება მოხდა. სინოპელბმა ციხე-ქალაქი ჩააბარეს. სინოპზე ქეიქაუსის დროშა აღიმართა და ორივე მხარე დაზავებას ზეიმობდა.

სულტანმა სინოპელ დიდებულებს ხალათები უბოძა და კომნენსაც ღირსი პატივი მიაგო.

ქეიქაუსმა ალექსი ტრაპიზონის იმპერატორადვე სცნო შემდეგი პირობებით: კომნენს თურქთა მოთხოვნილებიხამებრ მათ სამსახურად ლაშქარი უნდა გამოეყვანა, ყოველწლიურად თორმეტი ათასი ოქრო უნდა ეძლია, ზუთასი ცხენი, ორასი ძროხა, ათიათასი ცხვარი და ორმოცდაათი ჯორკიდებულნი საქონელი უნდა ეგზავნა.

ამაყი კომნენი იმდენად დამდაბლდა, რომ ცხენზე ამხედრების დროს სულტანს უზანგს უქერდა, სეირნობისას ხელთ მისი ცხენის ავეჯანი ეპყრა და წინ მიუძღოდა.

ბიზანტიის იმპერიის აღდგენასა და გაერთიანებაზე მეოცნებე ტრაპიზონის იმპერატორი ყმად და მოხარკედ გაიხადეს და ტრაპიზონს შავი ზღვის სანაპიროზე ყოველგვარი წონა და გავლენა დაუკარგეს.

ტრაპიზონის დამხობა მისი მფარველი საქართველოს სამეფოსათვის ძლიერი სილის გარტყმა იყო. იკონიის სულტანმა ისე გადაყლაბა თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერია, რომ საქართველომ თითოც ვერ გაანძრია თავისი მარიონეტის გადასარჩენად და თავგასული თურქი სულტანის დასასჯელად.

მეფეს თანდათან მომჯობინება დაეცო.

თავებირახეულმა პირველად რომ ხმა ამოიღო, ხათუნი მოიკითხა.

პასუხად მხარგრძელმა რუმის ვაზირისადმი გაგზავნილი ხათუნის წერილი შემოუგზავნა.

მეფე თვალთ ვერ ახელდა და განუყრელად თავზე მდგომ რუსუდანს სთხოვა წერილის წაკითხვა.

რუსუდანმა უარობდა, ცუდად გახდები წყენისაგან, მომჯობინდი და მერე წაიკითხეო, მაგრამ მეფე არ მოეშვა და ბარათი ძალით წაიკითხა.

საიდუმლო წერილმა თავზარი დასცა მეფეს. მან აშკარად დაინახა, რომ მისი სათაყვანო მიჯნურის ალერსი უცხო ქვეყნის ვაზირისაგან ნაყიდი ყოფილა, თვითონ ბავშვივით გულუბრყვილოდ გახვეულა სამეფოს მტრების მიერ ოსტატურად მოქსოვილ ბადეში და თავისი გულწრფელობითა და მინდობით სახელმწიფოს ბევრი მნიშვნელოვანი საიდუმლო გაუცია. ავადმყოფმა თავს ძალა დაატანა, ლოგინზე წამოიწია და უცებ განწირულად ამოგმინა:

— ვაიმე, დედავ!

რუსუდანმა ელდანაცემივით შეკივლა და საწოლში შემოსული ექიმები ლოგინზე უძრავად მდებარე მეფეს მისცივიდნენ.

დიდხანს იყო მეფე ასე უგონოდ მივარდნილი. ექიმები შემფოთებულნი დატრიალებდნენ თავს და ათასგვარ ღონეს ხმარობდნენ ხელმწიფის მოსაბრუნებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ მოიხედა მეფემ. იგი უკვე კარგად გამოძინებულებით დამშვიდებული და უშფოთველი იყო. აღარაფერი არ აინტერესებდა, აღარც არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ ექიმებს ეკითხებოდა ღრუდადრო თავისი ჯანმრთელობისა და წამლების თაობაზე.

ნაკვეში ადგილები თანდათან უამდებოდა, სიმსივნეები უცხრებოდა. სხეუ-

ლის შიგნით მარჯვენა თირკმელის მეტი არა დაზიანებოდა რა. მხოლოდ მარჯვენა თვალი ჰქონდა ისევე საშიშ მდგომარეობაში.

ყოველ შეხვევასა და წამლის დადებაზე საშინელ ტკივილსა და წამებას განიცდიდა. სარკეში ხედავდა და გრძნობდა, რაოდენ შემზარავი შესახედავი იყო მისი მარჯვენა თვალი და რაღაც ამაზრზენი გრძნობა ეუფლებოდა.

ავადყოფთან არავის უშვებდნენ. თვითონ თუ ვისმეს ხლებას მოინდომებდა, ცოტა ხნით შემოუყვანდნენ და მნახველს წინასწარ აფრთხილებდნენ, რომ მეფე ლაპარაკით არ შეეწუხებინა.

გადიოდა დღეები და კვირეები. წამლები და აბალგაზრდა, ჯანსაღი სხეული თავისას აკეთებდნენ, მეფე ძალღონის მომატებასა და ენერგიის მობრუნებას გრძნობდა.

განკურნების გზაზე დამდგარ ლაშას მარჯვენა თვალი-ლა დარჩენოდა სადარდებლად.

იმდენად ტკივილი აღარ სტანჯავდა, არც იმას წუხდა თუ თვალის შუკი დააკლდებოდა. თვითონ კობტასა და მშვენიერების მოტრფიალს იმისი შიში ზარავდა, ვაითუ დაშავებულმა თვალმა დამაუშნოყო.

წამალუწუმ სარკეში იხედებოდა, თვალებს ათასნაირად ატრიალებდა და ყველა კუთხიდან ამოწმებდა დაზიანებულ თვალის გამობედვას.

ბოლოს, როგორც იყო დარწმუნდა, რომ მარჯვენა თვალიც უჩიებოდა, დამშვიდდა, გაბალისდა და ცხოვრებაზე გული მოუბრუნდა.

სანამ მეფეს უპირდა და მისი სიცოცხლე ბეწვზე ეყიდა, კათალიკოსი გატრუნული იყო. ხოლო, როცა ლაშა მომჯობინდა და მისი ფეხზე დადგომა საეჭვო აღარ ჩანდა, ეკლესიებმა ლიტანიობა გაახშირეს და თვითონ კათალიკოსმაც რამდენჯერმე გადაიხადა პარაკლისი.

სასახლეში ყველა მხარგრძელის სწრაფსა და საზრიან მოქმედებაზე, მეფისა და ტახტისადმი მის უცვლელ ერთგუ-

ლებაზე ლაპარაკობდა და ექვს წასახიც არავის ჰქონდა, რომ მეფეს სიცოცხლე და სამეფოს ბედზე ათიბაგმა გადაარჩინა გარდუვალი უბედურებისაგან.

მხოლოდ შალვა ახალციხელმა შეხედა თავიდანვე ექვსი თვალით კარზე დატრიალებულ ამბავს, და ეს ექვი ფხიზელმა ეგარსლანმა კიდევ უფრო გაუძლიერა.

პირველი, ვისაც თბილისში დაბრუნებისთანავე ესაუბრა ახალციხელი, მეფის გვარდიის უფრო ეგარსლანი იყო.

ეგარსლანი თავადაც ბურანში იყო და იმ უბედურ დღეს მომხდარ ამბებში ხეირიანად ვერ ერკვეოდა.

— მეფე შეიხ-ფეიზის ბაღში მუდამ მარტო დაიარებოდა და ლუხუმის მეტს მცველთაგან არავის იახლებდა ხოლმე. იმ საღამოსთვისაც, რომ არ გაგვაფრთხილა, არ გაგვეკვირებოდა, მაგრამ ერთი გარემოება მეოცა: რუსულდანი ლორეს წაბრძანდა სტუმრად შანშე ზაქარიასძე მხარგრძელის წვევით და მეფეს ჩემი და ჩემი სპის ხლება სთხოვა. მეფე თავის დას სულს არ დაუტერს და ჩვენს ხლებაზე უარს როგორ ეტყოდა. ლორეში ორ დღეს დავგაყოვნეს მხოლოდ. თბილისში რომ დავბრუნდით, მომხდარი ნამბობით შევიტყუეთ.

შეიხ-ფეიზის ბაღში იმ საღამოს ნამყოფმა ერთმა ჯარისკაცმა საიდუმლოდ მითხრა, შეიხ-ფეიზი დამისი ორი დერვიში ცოცხლები შევიპყარი, მაგრამ მერე როგორ მოკლეს, არა ვიცი რაო.

უამბო ეგარსლანმა ახალციხელს.

— შენი ლორეში წარგზავნა წინასწარ განზრახული უნდა იყოს, როგორც ცოცხლად შეპყრობილი შეიხ-ფეიზისა და მის დერვიშებზე მოკვლა, — დაასყენა ახალციხელმა.

— მეც ეგრე ვფიქრობ, — დაუდასტურა ეგარსლანმა და ახალციხელის ექვს ცეცხლი შეუქეთა. — მანდატურმა ბარძიმმა მითხრა სიმთვრალეში, იმ საღამოს ყაბალახით თავპირახვეული

ულამაზესი ქალი შევიპყართო. ის ქალიც და სპარსელი ჯაშუშიც მხარგრძელს მივეკარეთ და ფრიად გაიხარაო.

— ხათუნი თუ იყო ის ქალი?

— მეც მაგას ვფიქრობ. იმ მანდატურს ჰამადავლეს ცოლი არასოდეს უნახავს და ვერასჯნით ვერ მივახვედრეთ, ამას კი ამბობს, მსგავსი სილამაზის ქალი ჯერ არ მანახავსო.

— მაინც რატომ იმ ღამესვე გააქრო ყველა დამნაშავე ათაბაგმა? — იკითხა ახალციხელმა.

— მეც ეგ გარემოება მაფიქრებს. იმ ღამესვე მოსპეს ხათუნი და შეიხფეიზი, იმ ღამესვე უკვალოდ დაიკარგა მაიმახი ჰამადავლეს.

— იქნებ ყოველგვრე ათაბაგმა მოაწყო მეფის დასაღუბავად? — ჩურჩულთ გაანდო თავისი ეჭვი ახალციხელმა ეგარსლანს.

— მეც ეგ ეჭვი მაწუხებდა, მაგრამ გამხელას ვერ ვბედავდი. — ჩურჩულთვე უთხრა მეფის გვარდიის უფროსმა.

ამ ეჭვებსა და გამოძიებაში რომ იყვნენ ახალციხელი და ეგარსლანი, მეფის კარზე კიდევ ერთი უცნაური და მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: მანდატურთუხუცესი სასახლიდან გაიპარა და დატოვა წერილი, რომელშიაც მეფესა და დარბაზს ატყობინებდა, მამულსა და სამკვიდროზე ხელს ვაღებ და ცოდეათა მოსანანიებლად ბერად ვიკეცებო.

ერთი კვირის შემდეგ სასახლეში ამბავი მოვიდა: ბერად შემდგარი მანდატურთუხუცესყოფილი უცრად მომკვდარიყო მოსანსტერში.

ამ საეჭვო სიკვდილს ზედ რამდენიმე მანდატურის და, მათ შორის, კაცად გადაცმული ქალის დაპატიმრების შესახებ ეგარსლანისათვის საიდუმლოს გამხდობის — ბარძიმის გაქრობაც მოჰყვა.

ახალციხელმა და ეგარსლანმა თავიანთი ეჭვები ახლა კი საფუძვლიანად მაიჩნიეს და უკვე გამოკეთებული მეფისათვის მათი გამხელა განიზრახეს.

ფეხზედამდგარ მეფეს უმტრულად ეახლა მხარგრძელი საქმიანი მსახურისათვის. ღმერთს ხელაპყრობით მადლობა შესწირა მეფის გადარჩენისათვის, თვალზე ორიოდ ცრემლი გადმოიგორა და თავის გაზრდილს შუბლზე ემთხვია.

ათაბაგმა თავისი გამუდმებული ზრუნვა დაუხატა ლაშას სახელმწიფოსა და მეფის კეთილდღეობისათვის.

— დალათუ განმიყენე ქვეყნისა და ტაბატის სამსახურისაგან, გარნა არა დავაგდე ზრუნვა და გულის მოდგინება ჩემი გაზრდილისა და საქართველოს სიკეთისათვის. — საყვედურით დაიწყო ათაბაგმა.

შემდეგ დაწერილებით უამბო იმ უბედური ღამის ამბავი.

— როგორც კი სარწმუნოდ გავიგეთ შეიხ-ფეიზის რინდთა ჯაშუშობისა და იმ ღამინდელი განზრახვის შესახებ, მთელი ქალაქი ფეხზე დავაყენე, შეიხის ბაღს ალყა შემოვარტყი, რომ ხელიდან არ წაგვეგლოდა და მეფისათვის უბედურება აგვეშორებინა. თვითონ შეიხი გაქცევის ცდის დროს მოკლეს და ძალიან ვინანე, რადგან ცოცხლად ჩაგდება მინდოდა მისიო.

მეფე დუმდა და ჩაფიქრებული უსმენდა, ყოველ წუთს ელოდა ათაბაგი, აგერ ახლა იკითხავს ხათუნის ამბავსო. მაგრამ მეფე ენას არ ძრავდა.

— თვითონ სვეუბედური ხათუნი შეიხ-ფეიზის ბაღში ვიპოვეთ, მეფის განსასვენებელში მოკლული. აღბათ, მეფე არ უნდა წუხდეს ორგულისა და გამცემი მოყვარის სიკვდილს... — დამცინავი ღიმილით თქვა ათაბაგმა და მეფეს გამომცდელი თვალთ შეხედა.

მეფემ კვლავ არაფერი თქვა, მხოლოდ ყრუდ ამოიოხრა.

— ის წერილი როგორ იგდეთ ხელთ, — მცირე დუმილის შემდეგ იკითხა მეფემ.

— აღბათ, ჰამადავლეს ცოლის წერილზე ბრძანებს მეფე, — გესლიანად განაგრძო ათაბაგმა და ჰამადავლეს

ცოლად ხათუნის ხსენებით ლაშას გუ-
ნება მოუწია. — მოკლული შეიხის
ხალათის სარჩულში გამოკერილი იპო-
ვეს მანდატურთუხუცესის კაცებმა, —
იკრუა მხარგრძელმა, რადგან არ უნ-
დოდა მეფისათვის იმის შეტყობანება,
თუ როგორ ადევნებდნენ თვალს საი-
დუმლოდ მეფისა და მისი მიჯნურის
პისვლა-მოსვლას ათაბაგის მსტოვრები.

ისინი, ვინც ხათუნის დაპატიმრებასა
და მოსპობაში იღებდნენ მონაწილეო-
ბას, ხათუნთან ერთად თვითონაც გაქრ-
ნენ ისე, რომ ათაბაგის სიმართლეში
მკვს ველარაგინ აღუძრავდა მეფეს.

— გვიან გავიგეთ ყოველი და ძლივს
ავაშორეთ საფრთხე მეფესა და სამ-
შობლოს, — განაგრძო ათაბაგმა, —
ახლა მაინც დარწმუნდებოდით, რაო-
დენ წრფელი სიყვარული მაქვს ჩემი
გაზრდილისა და მეფის. უკეთუ ავი
მნდომოდა მეფისა და ქვეყნისათვის,
იმ საღამოს შინიდან არ გამოვიდოდი
და ჯამუშებსა და ქვეყნის მოლაღ-
ტებებს უვნებლად გაუშვებდი. ღვთის
შეწევნით, დროზე ჩავუდექი კეალში
ბოროტებას, თორემ ღმერთმა გვაშო-
როს და ვინ იცის, იქნებ, მეფე დღეს
ცოცხალიც აღარ ყოფილიყო!

ლაშას პატარა ბავშვივით გული აუ-
ჩუყდა და თვალბუხე ცრემლები მოადგა.

— არა მოაწივა განგებამ უბედურე-
ბა სამეფოსა ჩვენსა ზედან. დაიფარა
და იხსნა ხელითა ჩვენითა ტახტი და
სრულიად საქართველო გლოვანა და
ცრემლისაგან.

მეფეს გული ამოუჯდა, ქვათინი
წასკდა და ათაბაგის წინაშე მუხლზე
დაეკრდა.

მხარგრძელს სიამოვნებისაგან სახე
ვაუბრწყინდა.

— ნუ ინებებ, მეფეე ბატონო... ნუ
ანებებ... — ეუბნებოდა და თან, ვი-
თომ მეფის წამოყენებას ცდილობდა, —
ირწმუნე აღმზრდელი და მსახური შე-
ნი, მომენდე, ვითარცა ნეტარი დედა
შენი თამარი იყო მონღოზილი ძალასა
და ერთგულებასა ჩემსა და მე აღგამ-
დლო შენ უმაღლეს ყოველთა მეფეთა...

ათაბაგი მხარზე ხელს უთათუნებდა
და ნელა, ოდნე გასაგონად ლაპარა-
კობდა. ჩაჩოქებულ მეფეს ათაბაგის
მუხლებში ჩაერგო თავი და ქვითინებ-
და.

უცებ კარი გაიღო და რუსუდანა გა-
მოჩნდა. რუსუდანს ეგარსლანი და
სამთვე თორელი მოჰყვებოდნენ.

ფეხის ხმაზე ლაშამ თავი ასწია, დარ-
ბაზში შემოსულები რომ დაინახა, შერ-
ცხვა და დაიბნა.

ათაბაგმა გამარჯვებულის ღიმილით
შეხედა შემოსულებს.

შალვა ატირებული მეფის დანახვაზე
შეჩერდა, სახეზე უსიამოვნება აღებუქ-
და, მას მკლავში სტაცა ხელი, შემობ-
რუნდა და თან გაიყოლა.

— გულჩვილია და მალემრწმენი
ჩვენი მეფე, ყველასი სჯერა და ყველა
გულწრფელი ჰგონია, — გადაუღაპარა
შალვამ უფროს მმას.

— პასაკით ნორჩია ჯერ კიდევ
ხელმწიფე, ხანი გამოხდება, ჭკუაში
ჩავარდება, სიღინჯე და ჩახვედრილო-
ბა მოემატება, — დაიმედა ივანემ.

შალვას გაახსენდა მეფის სიმჩატის
უამრავი მაგალითი. რამდენჯერ ვაზი-
რებთან დარბაზობის დროს ლამაზი
ქალის პაემანი გახსენებია ლაშას, კრე-
ბა მიუტოვებია და პალატებიდან გაქ-
ცეულა. დარბაზის წევრებს თავი გა-
დაუქნევიათ, ოხვრა ამოხდომიათ და
ერთმანეთისთვის მრავლისმეტყველად
გადაუხედიათ ხოლმე.

ასეთი ამჩატება შალვას ბუნებრივა-
დაც ეჩვენებოდა ქაბუკი მეფისაგან.
მასაც სჯეროდა, რომ პასაკი თავისას
მოიტანდა და მეფეს სიღინჯეს შეჰმა-
ტებდა. მსგავსი ქცევა კი არ აფრთხობ-
და შალვას, მას უფრო მეტად ლაშას
უნებისყოფობა აშინებდა, რასაც ქა-
ბუკი მეფე დროდადრო და ისიც პა-
სუხსაგებ შემთხვევებში იჩენდა.

ჯიუტი და თავნება ლაშა ზოგჯერ
სრულიად მოეშვებოდა ხოლმე, წონას-
წორობას კარგავდა, ნებისყოფის ნა-
ტამალს ველარ ინარჩუნებდა და მზად
იყო, მის ყველაზე უსამინელეს მტერ-

საც კი ფეხქვეშ ჩაეარდნოდა, ბალღი-
ვით ეტირა და შებრალებდა ეთხოვა.

ლაშას ამ თვისებას ბევრჯერ ჩაუ-
ფიქრებია შალვა, მეფის ხასიათის სიმ-
ტყიციეში დაექვებულს ზოგჯერ გული
კასტეხია სამშობლოსა და ტახტისათვის
ზრუნვაზე და მწარედ ამოუძახნია:

— ვაითუ, ამო არს ცდა და შრომა
ყოველი, ესოდენ უღონო მეფისათვისო.

ახლაც მხარგრძელის ფერხთქვეშ
დამზობილი მეფის დანახვაზე ეს მტანჯ-
ველი ფიქრი მოუვიდა ახალციხელს,
მაგრამ გულის ნადების გამოტანა ვერ
კაბედა და ოხვრით გაშორდა მეფის
პალატებს.

*
*
*

ხალამო ხანს მეფემ ახალციხელები
და ეგარსლანი იხმო.

ლაშა მარტო იყო. ძმები ისე მიიღო,
თითქო მხოლოდ იმ წუთს გაეგოს მათი
მოსვლა. გადაკოცნა და მოიკითხა.

— ალბათ, დიდი რამ საზრუნავი ექ-
ნება, თორემ ივანე თურქთა სანაპიროს
არ დატოვებდა, — ბრძანა მეფემ.

— თქვენას წვევით გაახელ, მეფევ
ბატონო! — თავდახრით მიუგო ივანემ.

მეფეს სახეზე გაოცება გამოეხატა და
შალვას გაკვირვებით შეხედა.

— განძის განდგომის გამო ვაწვიეთ
ქველანი, მეფევ, — თავდახრით მოახსენ-
ა შალვამ.

— პო, მართლა, სულ დამაიწყდა! —
აიბნა მეფე და აღზნებით განაგრძო.

— განძის ათბავს საწუნელ ვუქმ-
ნიე, და ხარკისა არღა ჰნებავს მოცეზა.

— ჩვენს სისუსტეს ხელავს განძის
ათბავი, მეფევ ბატონო!

— რაო? ჩვენს სისუსტესო? — გა-
კვირვა მეფემ.

— დიახ, ჩვენს სისუსტეს, — დაუ-
დასტურა შალვამ, — დიდი ხანია ჩვე-
ნი ხმალი ქარქაშში დევს უხმარად,
ლაშქარი განიბნა, უქმად ყოფნისაგან
განსვენებასა და განცხრომას მისცემია.

— ამას მეც ვხედავ, შალვა, მაგრამ
შენც კარგად იცი ჩემი განზრახვა,

ქართველთა ლაშქრით ოდენ არა ძალ
გვედვა წადილის ჩვენის აღსრულებად,
ამიტომ გამოვარჩიეთ და საჩინოდ ესცა-
ნით ყოჩაღთა ლაშქრის გამოსხმა.

— ყოჩაღთა ლაშქარი განძის ათ-
ბავსა მოირთნა და ამიტომაც კანღა
არღარ მოცემად ხარკისა.

— ვაცი, რომ ყოჩაღნი განძის ათ-
ბავს მსახურებენ. ჩემგან დიდი შრო-
მით ნაწვევი ლაშქარი ბოროტია მყო-
მელთა ჩემთა საქართველოს მტრებზე
უღვეს ხელთ.

— მეფემ კარგად იცის, თუ როგორ
მოხდა ყოველი, — თავი იმართლა ახალ-
ციხელმა.

— ვიცი... ყოველი ვუწყია... დიდ-
დიდთა აზნაურთა არა ინებეს ჩვენი
ტახტის გაძლიერება, რადგან ჩემთა
განზრახვითა წინააღმდეგობის ძალა აღარ
ექნებოდათ. სარგებელ ჰპოვეს ჩემი
სნეულება და დაშალეს სამეფოსათვის
კეთილად განზრახული ჩემი ღონის-
ძიება. მაგრამ აღრე ხარობენ მტერნი
ჩემნი და ბაგრატიოვანთანი...

ლაშა სახეაღწილი, თვალებანთებუ-
ლი ლაპარაკობდა.

— იმედნეულ ვარ, რომ ვძლიე მტერ-
თა და განვაძლიერებ სამეფოსა ჩემსა.
პაპაჩემი, დიდი დავითი, შინ და გარეთ
მტრებით იყო გარშემორტყმული. მან
გონებითა და მკლავით დაიპყრნა ყოვე-
ლი საქართველო და დაამხო მტერნი
თვისნი, ხოლო მე დიდი თამარის
შვილს, შვილთავ სამთავროს უცილობ-
ლად მფლობელს, არა მმართველს წუწუ-
ნი, ვითარცა სეფე ქალსა ვინმესა შე-
უძლოსა.

შალვა გაოცებით უყურებდა მრის-
ხანებით ანთებულ ვაეკაცს. მას არ
სჯეროდა, რომ იგი, ესოდენ ძლიერი
და პატივმოყვარე, სულ რამდენიმე
საათის წინ, თვითონ იყო მუხლზე
დამზობილი თავისი უძლიერესი მტრის
წინაშე და დიაცის მსგავსად ცრემლით
ულტობდა კალთას მას, ვინც მისი
ყველაზე დიდი მეფური განზრახვა ჩა-
შალა, — ყოჩაღთა ლაშქარს გზა გა-
დაუღობა და საქართველოს ფარული
მტრისაგან აბრუნებინა პირი.

— მე ესრედ განმიზრახავს, — განაგრძო მეფემ, — რათა შური ვაგო განძასა ზედა, და თქვენ შრომასა შეგამთხვიოთ, აღვიმხედროთ და ვქლოთ მტერთა და ყოველთა წინააღმდეგობთა ჩვენთა, რათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნეთ.

შალვა მიხედა, რომ საკუთარი ძალის დაჯერებისა და თავმოყვარეობის გრძნობის გაღვიძების ამ წუთებში სწორედ შესაფერისი იქნებოდა მეფისათვის თავისი ექვის გამხელა.

მეფეს ნელ-ნელა შეაბარა, ვიდრე ლაშქრად წავიდოდეთ, ჯერ სამეფო კარის უშიშროება უნდა უზრუნველყოთო. მერე ნაბიჯ-ნაბიჯ აღუდგინა სმენად ქცეულ ლაშას შეიხ-ფეიზის ბაღში მომხდარი ამბების თავი და ბოლო, მანდატურისა და ჯარისკაცების მონაყოლიც უამბო და ბოლოს კარიდან მანდატურთუხუცესის უცნაურ გაქცევასა, საექვო სიკვდილსა და იმ ღამის მონაწილე მანდატურების გაჭრობაზეც მიაქცია მეფის ყურადღება.

ახალციხელისა და ეგარსიანის ექვებს საემო საფუძველი ჰქონდა და თავად მეფესაც გულში ექვის ქია ჩაებუდა. იგი თითქოს თვლიდან ბურუსის მოშორებას გრძნობდა, მაგრამ ჯერ კიდევ საგნებს გარკვევით ვერ ხედავდა. ამბებს შორის წინააღმდეგობა იყო და მეფეს ეს უშლიდა ხელს მოვლენებში კარგად გარკვევას.

რუმის ვაზირისადმი ხათუნის წერილის სინამდვილე ექვს არ ტოვებდა და ამდენად, ლაშას გამოჯნურებასა და შეიხ-ფეიზის რინდთა ორდენში ჩაბმასთან ათაბაგს კავშირა არ უნდა ჰქონოდა.

მეფე პირველ რიგში თავის თავს აღანაშაულებდა, კეშმარიტების ძიებაში, სიბრძნისმოყვარეობამ და თავდავიწყებულმა ტრფობამ დამატება თავს ყველა უბედურებათ.

ხათუნის დაპატიმრებისა და შეიხ-ფეიზის ჯაშუშური საქმიანობის გამჟღავნებიდან ყველა საექვო კვალი მხარგრძელისაკენ მიდიოდა და მოვლენე-

ბის განვითარებაში მისი წარმმართველი ხელი აშკარად ჩანდა. იმ ღამეს არ ეძინა მტერთა რთული ინტრიგების ხლართში დაბორილებდა და საფუძველიანი თუ უსაფუძველო ექვების ქსელიდან გამოსვლას ამოდ ლამობდა.

თუკი ხათუნის დაპატიმრებისა და რინდთა ჯაშუშური საქმიანობის გამომჟღავნების შემდეგ მხარგრძელისთვის ნათელი იყო ბოროტგანმზრახთა მიზანი, რატომ არაფერი გააყეთა ათაბაგმა მეფის გასაფრთხილებლად, მის განკარგულებაში ხომ მთელი ღამე და მეორე დღეც იყო?

განა საემო საბუთები არ ჰქონდა ხელთ მხარგრძელს მეფისათვის თვლის ასახელად და მიჯნურად შეჩენილი ჯაშუშის გამოსამჟღავნებლად? ხომ შეეძლო ათაბაგს მეფისთვის შეიხ-ფეიზის ბოროტი გეგმების გაცნობა და მისთვის დაგებული ხაფანგისაგან გადარჩენა?

მაგრამ იქნებ მხარგრძელმა განზრახ აცალა ბოროტმოქმედთ დაწყებულ საქმის დაბოლოება? აქნებ მხარგრძელი წინააღმდეგიც არ იყო, რომ სხვისი ხელით მოეგლიჯა მისთვის ესოდენ შემაწუხებელი ნარი?

ნუთუ აქამდის მივიდა მეფისა და მისი აღმზრდელის ფარული მტრობა და სიძულვილი?

ეს და ათასი მსგავსი კითხვა ირეოდა მეფის თავში. თავად კეთილშობილსა და ბოროტებისაგან შორს მდგარ ლაშას უჭირდა და ეზარებოდა სინამდვილის პირდაპირ შეხედვა და დაჯერება. აღამიანთა სულის უღრმესსა და უბნელეს კუნძულებში ჩახედვა, ცხოვრებასა და აღამიანთა ურთიერთობაზე თავისი ნათელი და ხალისიანი შეხედულების ასე ერთბაშად შეეცლა.

* * *

ღარბაზმა მორჩილებისაგან გამდგარი განძის წინააღმდეგ მისაღები ღონისძიება განიხილა. ყველამ მოიწონა მეფის აზრი განძის დალაშქრისა და სხვა ყმანაფიცი ქვეყნებისათვის სამაგალი-

თოდ განძის ურჩი ათაბაგის დასჯის თაობაზე.

მეფემ მოულოდნელა ომი საქართველოს სამსახურად მოსულ ყივჩაღთა ლაშქრის ხელიდან გაშვებით და სამეფოს ორგული ყმაღ ნაფიცისათვის დათმობით ახსნა. დარბაზს რომ ჩემი განზრახვა მოეწონებინა, ყივჩაღები ჩვენი მსახურნი იქნებოდნენ და არათუ განძა გაგვიდგებოდა, სხვა უფრო შორეული და ძლიერი მტერიც მიშქვეშ გვეყოლებოდაო.

ამაზე მხარგრძელმა გამოიღო თავი: მეფე ჩვენ არაფერს გვეკითხება, ესოდენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ყივჩაღთა ლაშქრის დაქირავების შესახებ უჩვენოდ მიიღო და სამეფო, კინალამ ისევ ველურ მომთაბარეებს ჩაუბღლო ხელთ სარბევად და საძარცვადო.

ისევ კამათი და შეხლა-შემოხლა ატყდა. ისევ ორივე მხარემ დათმობა არჩია და დარბაზმა საბოლოოდ განძის დალაშქვრა დაასკვნა.

სდომა რომ გათავებული ეგონათ, მეფემ სამეფო კარისა და მეფის პიროვნების უშიშროებისათვის დარბაზის დახმარება ითხოვა. უცნაურ პირობებში გარდაცვლილ მანდატურთუხუცესს მეფის კარის უშიშროებისა და თავად ხელმწიფის სიცოცხლის დაცვისადმი უყურადღებობა დააბრალო და მანდატურთუხუცესად მეფეთა სამსახურსა და ერთგულებაში მრავალგზის ნაცადი ეგარსლანის დანიშვნა მოითხოვა.

ათაბაგმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ესლა გვაკლია, სამეფო კარის გამგეობა ვილაც უგვაროსა და მონაყოფილს ჩავაბაროთო.

ვაზირებისა და მთავრების უმრავლესობამ უგვარო ეგარსლანის ასეთი ილზავება შეუძლებლად მიიჩნია და მეფე იძულებული გახდა ეთხოვა: თუ ჩემი სიცოცხლე და სამეფო კარის კეთილდღეობა გინდათ, მაშინ მანდატურთუხუცესად შალვა ახალციხელი დამიმტკიცეთ და მის ნაცვლად მეკურკ-

ლეთუხუცესად ყვარყვარე ჯაყელი-ციხისჯვარელი გაავაზირეთო.

დარბაზის წევრები უყრყმანოდ დეთანხმნენ მეფის ამ გონივრულსა და მისაღებ წინადადებას.

ლაშა თავის სიტყვაში მეფის ვილაც მტრებზე და კარისკაცების საეჭვო მოქმედებაზე გადაკრულად ლაპარაკობდა და ათაბაგი ცოტა შეფიქრიანდა. იგი ერთი მეორეზე წაწყობილ, სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი ამბების შთაბუქდილების ქვეშ იყო და ჯერაც კარგად ვერ გამოფხიზლებულიყო. მხარგრძელი უდიდეს რისკზე წავიდა, როცა შეიხ-ფეიხს ხათუნის ბუქედი გაუგზავნა და დათქმული ნიშანი მისცა. მიზანი მთლიანად მიღწეული არ იყო, მაგრამ შედეგი მაინც მნიშვნელოვანი ჩანდა: მეფის უდიდესი ღონისძიება თავისი უფლების განმტკიცებისა და დიდებულთა დამორჩილებისათვის — ყივჩაღთა გამოსვლა ჩამსილი იყო, მეფეს ერთხელ კიდევ თავი მოსკრა გარყვნილებამ და უწყისო კაცებთან შეგობრობამ. ამ ამბებში თავად მხარგრძელი მეფისა და სახელმწიფოს იმ ერთგულ აღამიანად და კეთილშობილ რაინდად გამოჩნდა, რომელმაც პირად შეურაცხყოფაზე მალა მეფისა და ქვეყნის ინტერესები დააყენა.

ამიტომ ათაბაგმა მეფესთან კინკლაობის გაგრძელება და მისი წინააღმდეგობა აღარ ისურვა. იგი გრძობდა, რომ მეფესა და მის მომხრეებს რაღაც ეპყები ჰქონდათ, მაგრამ საბუთები არ გააჩნდათ. ათაბაგის თავგამოდება მეფის ერთგული კაცის გაავაზირების წინააღმდეგ ამ ყრუ ეპყებს კიდევ უფრო გააძლიერებდა.

ივანემ ისევ დათმობა არჩია: ახალციხელის ხელში ახალი, მნიშვნელოვანი სავაზირო გადადიოდა და ვაზირთა საბჭოს მეფის კიდევ ერთი აშკარა მომხრე და ახალციხელის ახლობელი კაცი ყვარყვარე ჯაყელი ემატებოდა.

ბიოგრაფიული



კატარა ქვაო კატარქულში...

1.

გინდაც ვიცოცხლო ათასწლეულში,
ვერ მოვიწურო გულის ნაღველი;
პატარა ქვაო პატარქულში,
რა დიდი სევდის ხარ შემნახველი!

მცირე გორაკი, მწირი მიდამო,
ძეძვი, ხრიოკი, ქვიშა, ავშანი...
ვის შევებრძოლო, ვისთან ვიდავო,
აქ დაიკეცა დედის თავშალი...

აქ მარწყვზე წასულს დედა მეძებდა,
მე ახლა აქვე დავეძებ დედას...
ვინც მზიან მაისს მიორკეცებდა,
იმ მაისივით ველარც მას ვებედავ...

ენა დადუმდა. საქმე ლაღადებს
და ნაკვერცხალი მამათა კერის...
ქალარის ვერცხლი მე ვერ დავხატე,
ვისი ტბილი ხმის უბეშიც ვმღერი.

2.

აყავ კეთილი, მარად მღიღარო,
წმინდა, ვით თოვლი დაუღებელი...
მაქვს სიტყვა, შენგან მონაწივიმარი,
ვარ შენი ზღაპრის ყურთამგდებელი.

დედაქართული, ქართლის ცხოვრება,
ყანის-სიწმინდე, ხალხის სიმართლე,
რაც კი ყრმობიდან შემახსოვრება,
შენ შემასწავლე, შენ განმიმარტე.

მაცოცხლებს სიტკბო შენი გულისა,
ჩემდამი ნდობა და მოწონება,
სიმწვანე ათას გაზაფხულისა,
შენგან მე გულზე დამეწონება!

3

საავადმყოფო...

ბედგაცხელებულს,
ფიცხი სიკვდილი გადაგელობა...
აკბელა. წყაროს წყალს ითხოვ
ჩვენებურს,
სიცოცხლედ ერთი პეშვი გეყოფა.

მაგრამ სად არი სიცოცხლის წყარო,
დამშრალა. ნულარც შემეკითხები...
და ყურში მესმის, დაუწიწყარო,
ბოდვარეული შენი სიტყვები:

— თუ განშორების დამდგარა ეამი,
შვილო, დროს ვნატრობ უნეტარესსა;
მე შენთან მოვალ, ვით ვარდზე ნამი,
ჩამოვალ, როგორც სხივი მთვარისა...

მალღობზე, რათა დამკრას ნიავმა,
ჩემს მეზობლებთან, გვერდით, სულ
ახლოს...

ძეძვის ქვეშ გასკერ ჩემი საფლავი,
იმ ძეძვის ძირში მსურს დავიმარხო!

...და შეიკუმშა, როგორც მტევანი,
გადაქანცული შენი სხეული;
დაუტევარი სიკვდილის მკლავში,
ვით ყანა, თოვლში გამოშწყვდეული...

— ეპ, შე ტბილო! —

სთქვა შენზე სოფელმა
და გულის ტანგი ცრემლით მოფერა:
— ამაგიანო, ვანა გაქრები?
შენზე სიკვდილი ვერ იბატონებს!..
პირველად გნახე ხელუბდაკრეფით,
გადახმა ბაღჩა...

გაცივდა თონე...

მაგრამ ეს კერა ვინ გააცია,
გაშალე სუფრა, დაგეხვდი კახურად!
ეპ, კაბის ნაცვლად მოლი გაცივია,
ლეჩაქის ნაცვლად — ნისლი გახურავს...

4.

ეს პატარა ქვა — მთვარის ნალევი,
მე მთვარესავით მუდამ მდარაჯობს;
წინ მიმიძღვება ბნელი თვალებით,
გზას ამატილებს, სადაც არა სჯობს,

ხომ თვითეული შენი რძის წვეთი,
ჩემში ჩქეფს ლექსად, საქმედ,

ოცნებად!

მინდა მოვასწრო, ვაკეთო მეტი,
ვით შენ შესძელი საქმის მოსწრება!

მე ხასიათი შენი რომ ვიცი,
სადმე უსაქმოდ დადგები განა?
მწამს, იქვეც ორთქლად, დაფეიცავ
ფიცით,
ნამად დაადნი დაგვალულ ყანას!

აპრილის შავ დღეს, მოსილს გლოვითა,
როცა ასწიეს კუბო მშობელის,
მოულოდნელად თოვლი მოვიდა,
გადაიბარდნა ჩვენი სოფელი.

მთელი ზამთარი გვალვით გათავდა,
და ახლა ხალხმა როგორ იხარა:
— განათლდეს სულით ერთი ათადა!
თოვლი გეაჩუქა!

მან მოგვიყვანა!

ფიფქი შენს მიმკრთალ ტუჩზე
დასხმული
დადნა, ვით დადნი შრომის აღმურში,
შენ მიდიოდი და გაზაფხული
შემოდიოდა შენს ტკბილ მამულში!

დედაკაცების ზარი ამალღდა,
მეხანჯლებოდა გული სიმწარით...
სამაგიერო რით შეამაყნა,
ერთი გვირგვინიც ვერ დაგიწანი!

5

კულმეწყვეტილი და უსავეანო,
უკან მოგდევდი მძიმედ, ბორძიკით,

საით წახველ, მოუსაველო?
ცათა ბროლს იქით?

გარკინველი
ცათა ბროლს იქითქა

არა!

აქვე ხარ, შენს წყნარ ეზოში,
ფშატის შრიალში ხარ ნიშნულად,
ამ კვირტში გხედავ, ყვავილის ზროში,
სიცოცხლის ნიშნად, რაც მიჩნეულა!

აქვე ხარ, —

შრომის ლაღებებაში,
წინდის ქსოვაში, ყურძნის კრეფაში,
გაზაფხულების დაბადებაში,
ნაკადულების ოკროჩქეფაში!

და ჩემთან ერთად, ჩემს მაგიდაზე
გაბმულ ლამეებს შენც არ ათენებ?
ჩემს სტრიქონებში შენ არა მღერი?
ეს ლექსი შენ არ გამოამტევენ?

ჩემით სამშობლოს არ ელიმები?
მონატრე, მისი გოლიათობის, —
ვით მცირე სხივი დიდი მნათობის,
მეც ხომ შენგან ვერ გამონაკრთობი!

6

ეკალსა ზედან აღსრულებული,
ვიცი, ცისკრისას ვარდზე იღვიძებ,
რადგან სამშობლო, ლეჩაქის ყურით,
ცრემლით და ლეწლით გამოიფიცე!

არა, სიკვდილო, ხელი შეუშვი!
ამ ადგილიდან უკვე წახველი...
პატარა ქვაო პატარაქულში
რა დიდი სუნთქვის ხარ შემნახველი..

სიმონ ჩიქოვანი



თბილისის ჩუქურთმები



მიყვარს უებრო შენი უბნები,
აივნები და მტკვარზე ხიდეები.
ზოგჯერ მგონია დამეუბრები
და შენს კადრის ფესვს ჩავეჭიდები.

შენი მსუბუქი ნისლი მარტყია,
შენი თამამი მთები გაეთიბე
და ჩემი გულის პერანგს ატყვია
შენი ნემსი და შენი სათითე.

სულში კრწანისის წყლული ხორცდება,
ქრება სიბერის ეამი დუხკირი,
მეც მიმაქვს შენი დიდი ოცნება,
როგორც ზორაგით სავსე ხურჯინი.

მინდა ურიცხვი დილა გახარო,
ჩემო საფარო, გვირგვინს გამგვანე.
მეც ვზილე შენი მიწა აყალო,
შენს აბანოში სული განვბანე.

მთაწმინდის ხომლით თვალებს ამიხელ,
ჯამით დამიდგი რძე და ჩამიჩი.
მოველ, მეკვლე ვარ, კარი გამილე,
შენს ფიქრს შეუწყვე ჩემი ნაბიჯი.

დღის მიწურულში გზა გამიშუქე,
შენ ამაშორე მთაში ისხარი.
ზვალ ცისარტყელაც ისე მაჩუქე,
როგორც მაჩუქე გუშინ ცისკარი.

სანაპიროზე

სალამოს შვიდზე, შინ რომ ვბრუნდები,
თვალს გამაყოლებს მეპაპიროსე,
მაინც რა უნდა, განსჯას ვუნდები,
ისევ ვბრუნდები სანაპიროზე.



მივდივარ, თითქო ნისლში ვიფლები,
 იქვს ვინ მიმატებს სულის წონაში?
 თბილისში ყველას შევეჯიბრები
 სიყვარულში და ლექსის სროლაში.

ასანთს გაეკრავ და ჩნდება სახმილი,
 ბარში გადაერგი ვაჟას იფნები.
 ვით დაშვებულ მთიდან ნახირი,
 მტკვარს ეწაფება ჩემი ფიჭრები.

გული გამოვწვი ქართულ თონეში,
 უღელს ვეწევი ცალი კამეჩი.
 იქვო, მაცდურო, წუთით მომეშვი,
 ლექსს ნუ დამიფრთხობ მყუდრო ღამეში.

არ გამიკაწრო კლანჭით ვარდები,
 ყინვით არ მოსწვა ჩემი შინდები.
 ცხოვრებას ფეხქვეშ ჩავუეარდები
 და თუ დამტუქსავს, არ შევშინდები.

მკერდი ჭრილობით არ დაკორძდება,
 იქვს არ დავართავ სულის ჯარაზე
 და ხელგაშლილი ჩემი ოცნება
 მოძმეს შეხედება ქართლის შარაზე.

გადვიკაპიწო მინდა მკლავები,
 რა დამაბერებს ასეთ ყოფაში.
 თბილისში ყველას შევედავები
 სიფიცხეში და მეგობრობაში.

შემოღობვა მამადავითზე

მე ლოდზე ვზივარ მამადავითზე
 ბინდი წვება და მთებში ღამდება,
 დავიღალე და თვლემა დავიწყე
 და მთაზე ორი და მელანდება.

თუმცა აქ ბევრი წმინდა ლოღია,
 მაინც ორს წვდება თვალთა ისარი.
 ბინდში ბილიკზე დები მოდიან
 თუ მთის ნისლებში ვნახე სიზმარი.

ერთ დას არტყია სუროს ქამარი,
 მეორე არხევს მწუხრში საყურეს.
 წყვილი მშვენების თვალი თამამი
 ორ სამარეს და თბილისს დაჰყურებს.

მთაში დაკორძდა წყვილი იარა,
 მტკვარზე ქვითინებს მგონი ავილი.
 ორმა დამ მთებზე დიდხანს იარა
 და ორ საფლავეზე დარგო ყვავილი.



მთაზე წინანდლის წყვილი თვალია,
საფლავები კი ჰგვანან მეგობრებს,
ერთმა განჯაში სული დალია
და სპარსის დაშნა მოხვდა მეორეს.

მათ შეაწყვილეს აღრე სიმები,
სიმებიც თითქო ტურფა დებია,
ორი სიცოცხლის სულის წვიმები
ამ მთას სისხლივით შედედებია.

დები ტირიან, ღამის მთევლები,
მკერდში ჩაუკრავს მთას საფლავები,
წინანდლის ვარდებს წყდებათ ცრემლები,
ცას წყდება ცვარი და ვარსკვლავები.

დაბლა ნისლი თუ რბილი მატყლია,
ორ დას ატყვია სევდა სამარის,
გულს საქართველოს ეშხი არტყია
და ცისარტყელის ორი ქამარი.

სუროს რტოს იხვევს ქალი კენარი,
მრწემი მიდის და სტოვებს საყურეს.
მწუხრში ჭიხვინებს ქართლის მერანი
და ჩრდილოეთის ვარსკვლავს გაჰყურებს.

თბილისის თოვლი

თოვლში თბილისი უტურფესია,
ყლორტზე ნაზია თოვლის ფიფქები,
მთებზე ვარდები დამითესია,
თუმცა მკრეფელი მე არ ვიქნები.

მთებზე მფრინავი ფანტელებია,
მე კი მგონია ჰყვავის ტყემლები,
ხევში გალობით გამთენებია
და მთებს კვამლივით თავზე ვეველები.

მეწვის ვერაზე სულის საკმელი,
შენი ჭიდილის გავხდი მოწამე.
შენი ფიქრი და შენი საქმენი
გულის სასწორზე ბეგრჯერ ავწონე.

ისანში ღვინო არ მითხოვია,
მწუხრით სავსეა ღვინის ჭიქები.
თბილისის მთებზე დაუთოვია,
თოვლს დაუფარავს ჩემი ფიქრები.

მაინც თბილია შენი კალთები,
საგზლით ივსება გულის კალათი,
შენი მშვენიებით ბეგრჯერ დაეთვრები
და ვერ მივალწევ სახლის კარამლი.

ჩემი სისხლია თოვლში ჩაღვრილი,
მინც თეთრია თოვლის ფიფქები.
შენი ყელი ვარ, შენი საყვირი
და შენი ფესვიც მალე ვიქნები.

უშანგი ჩხეიძის სახსოვრად

გიგონებ და ვუშვებ სურათს,
სადაც თოვლის ფიფქი გფარავს.
ახლა შენს ყელს, ხმების სურას,
მიწა წევს და ყინვა ბზარავს.

თვალის შუქით თოვლს აშრობდი,
ხმით გვათბობდი სულის ღბინზე.
სად ხარ, ძმავო, სად დაგვშორდი,
ქადრის ქვეშ თუ ვერის ხიდზე?

თავის ქალა გეპყრა კაბუჯს,
ჩაწვდი კაცის მუღმივ გუმანს.
მერმე გაჰყევ სოფლის ქარბუქს,
ვით საწუთროს გამვლელ სტუმარს.

ვინ წაგვართვა ჯადო ნადის,
ფრთა მოტეხა ტაშის შრიალს.
ოცდაშვიდი წელი გადის,
ჩვენ ერთად არ გვივანშვია.

„უშანგია, რა კარგია“,
რა ხანია არ მსმენია.
შენი ცეცხლი დამკარგვია
და მტკვრის ახლო ასვენია.

ნუთუ არ გრძნობ ჩვენს იარებს,
ნუთუ გფარავს თოვლი მშრალი,
დაბუჟე და არ ბრიალებს
ვარსკვლავებით სავსე თვალი.

დაკრილი ვარ, შენ გეძახი,
გზებზე მწუხრი ისახება,
სად დგას შენი მყუდრო სახლი,
შენი ხმა სად ინახება.

თმაზე რთვილი დამფენია,
სულს ედება სუსხი რთვილის
და მტკვრის პირას გამთენია
შენ აღვიძებ მგონი თბილისს.

მტკვარს აღვიძებ და მთაწმინდას,
კრემლით ღღვება თოვლი მშრალი
და სიცოცხლის გზაზე ბრწყინავს
ხოვლით სავსე შენი თვალი.

მიხილ ქვიშიძე



ტყისმცველი

მოთხრობა

მე და ჩემს მეგობარს, სანდროს, ერთნაირად გვიყვარს უგზოუკვლოდ ხეტიალი. ამჯერადაც ასე იყო: მოვრჩით თუ არა გამოცდებს, გულდა-ნაბადი ავიკარით და სადგურს მივაშურეთ. გათენებვისას უკვე წნორში ვიყავით.

უძილო ღამის შემდეგ არაჩვეულებრივი სიამოვნება ვიგრძენით, როცა დახტული ვაგონიდან სუფთა ჰაერზე გამოსულებმა კავკასიონის ქედამდე გაშლილ სივრცეს მოვავლეთ თვალი. ბარგი არაფერი გვექონდა, ამიტომ წნორში დიდხანს აღარ დაერჩენილყავით, პირდაპირ შევეუღმეთ ჯუგაი-ნასაკენ მიმავალ გზას. შემოდგომის მიწურული იყო. ყინავდა. მოწმენდილ ცას მუქ-ლურჯი ფერი გადაჰკეროდა და ამომავალი მზის შუქზე სილუეტებად მოჩანდნენ ბაზრისაკენ დაძრული ურემები. ჯუგაიანამდე ისე ვიარეთ — ერთმანეთისათვის ხმა არ გავუციათ. ათიოდე წუთის შემდეგ ჩვენი საერთო მეგობრის გულო მატაბელის სახლის კიბეზე შევდგით ფეხი. კვირა დღე იყო და ყველანი შინ დაგვიხვდნენ. რასაკვირველია, იმ წამსვე სუფრა გაიშალა. დაიწყო ჩვეულებრივი გამოკითხვა, სიცილი, ხუმრობა. სანდრომ რომ ვერაფერი მოახერხა, ბოლოს მე შევთავაზე მასპინძლებს ჩვენი ჩამოსვლის ოდნავ მაინც გამამართლებელი, სახელდახველოდ მოფიქრებული ვარიანტი: ჯუგაინისაკენ ნადირობის მიზნით გამოვიხეირნეთ-მეთქი. ამის შემდეგ შემოვუსხედით სუფრას. თანდათანობით საუზმე გადაიქცა სადილად, სადილი — ვახშმად და, როგორც ეს ხშირად ხდება ზოლმე ჩვენში, დაიწყო ნამდვილი ქვიფი: სადღეგრძელოებს არ უჩინდა ბო-

ლო, ვიღაცას ვეფიცებოდით საუკუნო სიყვარულში, ვიღაცას ეუკითხავდით ლექსებს, მოკლედ, ჩვენ ვიყავით, რაც ვიყავით ამ ქვეყანაზე. აღარ მახსოვს, როდის ან როგორ ავიშალეთ სუფრიდან და დავიძინეთ.

მეორე დღეს დილით აღრე გაგვალვიძეს. თოფები უკვე მოეტანათ, ძაღლები ვერ ეშრვნათ. თავის ტყეილიათა და ვაივაგლახით ჩავსხედით კოლმეურნეობის მიერ შემოთავაზებულ საბარგო მანქანაში და გავეშურეთ კიუურის ტყისაკენ. სულ ოთხი ვიყავით: მე, სანდრო, გულო და მისი ბიძაშვილი ბუბუტა. ჩვენში ყველაზე კარგი მონადირე ბუბუტა იყო, დანარჩენების მონადირეობისა კი, აბა რა გითხრათ! აღრეულ ბავშვობაში ყველა ჩვენგანი ერთხელ მაინც ყოფილა სანადიროდ მამასთან ან ბიძასთან ერთად და ვიდრე უფროსები ნადირობდნენ, ალბათ იჯდა მანქანის კაბინაში და შალიანად შეიქცეოდა სახლიდან წამოღებულ კარაქწასმულ პურს. ასე იყო ჩვენი საქმეც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბავშვობიდან გამოყოფილი შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ არც სანდროს, არც გულოს და არც მე ეჭვი არ გვებარებოდა ჩვენს გამოცდილ მონადირეობაში. ამიტომ მანქანაში სულ ნადირობაზე ვლაპარაკობდით. ბუბუტა დუმდა. იგი ღრმად ჩამჯდარიყო მანქანაში, კაბინის უკან მოჰფარებოდა ქარს, აეწია საყვლო და მკერდზე მიეხუტებინა თავისი თოფი. ჩვენ ფეხზე ვიდექით. დაუსრულებელი ველი იშლებოდა თვალწინ, აბრეშუმის ვეებერთელა მარაოს ჰგავდა იგ, ნაზი ფერებით მოხატულს. ბელურების გუნდი კვილი-ჩვი-

ლით გადაგვივიდა თავზე და დაეშვე-
ბოლა იქვე, გზის მახლობლად. აფრინ-
დებოდა თვალისათვის შეუმჩნეველად
მჯდარი ძერა, შეკრავდა კამარას, მია-
შურებდა ისევ ნაცრისფერ ბელტებს,
გაუჩინარდებოდა მათ შორის. ბავშვე-
ბივით ვხარობდით ამის შემყურენი,
თოფს ვუღერებდით ყველა ფრთოსანს,
თუმცა არ ვესროდით, ვიცოდით —
ნამდვილი ნადირობა წინ იყო. ბუხუ-
ტას თქმით, კიბურის ტყეში უმარავი
ხოხობი და შველი გველოდა...

ჩვენი მზიარული უღარდებლობა მ-
შინ გათავდა, როცა ტყის განაპირას
ბუხუტამ თავი მოგვიყარა და საქმიანი
გამომეტყველებით გვითხრა: — „აბა,
ახლა ლაპარაკს მოეშვით. ჩვენ აქ სა-
სიერნოდ არ მოვსულვართ. აქვენ
მარჯვნივ წახვალთ. ერთად არ იაროთ.
ფრთხილად იყავით, არ შემოაკედეთ
ერთმანეთს. ამ ადგილებში ბევრი ხო-
ხობი იცის... მე და გულო აქეთ წავალთ.
ტყის ბოლოში ფერმაა, იქ შევხვდუ-
ებით“. ბუხუტამ თოფი გადახსნა და
ვაზნები ჩააწყო. ჩვენც ამას მიუბაძეთ.
უცებ მახლობელ ბუჩქში რალაცამ
გაიფურუნა და სანამ ჩვენ თვალის და-
ხამხამებას მოვასწრებდით, ფოთლებს
მშვენივან ზედაპირს გაიჩრდვა და იქიდან
შურდულვით ამოვარდა ჯერ ერთი,
ხოლო შემდეგ მეორე კარგა მოზრდი-
ლი ფრინველი. „ხოხობი!“, „ხოხობი!“
— გაისმა ზედიზედ. ამის შემდეგ ღი-
ქუხა ბუხუტას „შაფერმა“. რალაც თავ-
შარდამცემი იყო ამ მყუდრო გარემო-
ში ეს პირველი გასროლა. მათ უცნაო
უჩვეულოდ მოგვეჩვენა მის შემდეგ ჩა-
მოვარდნილი სიჩუმე. ერთ ადგილზე გა-
შეშებულნი მივჩერებოდით ბუხუტას.
მან ნელა დაუშვა თოფი და ბრაზიანად
ჩაილაპარაკა: — „ფუი, ამისი... რა
დროს ამომიფრინდა. დავითარსე!“ მერე
ჩვენ მოგვიბრუნდა: — „რას უღუ-
ხართ? ვერა ხედავთ რა ხდება? მოჰყ-
ვულო!“ და სწრაფად გაეშურა ტყისა-
კენ. გულომ საწყალობლად გადმოგვხე-
და მე და სანდროს, მერე ხელი ჩაიქნია
და თავის ბიჭაშვილს გაეკიდა. მე და

სანდრო მარტო დავრჩით. ერთხანს
გვეამოდა ჩვენი მეგობრების ფეხბიძმა
და გამხმარი ტოტების ლაქაქაქა.
მერე ესეც შეწყდა და ჩამოვარდა
სრული სიჩუმე. — „ეხ“, — ამოიხორა
სანდრომ და თოფი მხარზე გადაიკიდა,
„მართლაც დავითარსეთ. შენ რატომ
არ ესროლე?“ — „ვერ მოვასწარა“. —
„მე კი, მართალი გითხრა, შემეძლო
სროლა, მაგრამ ბუხუტამ დამასწრო...
ხომ დაინახე, რომ აფრინდენ, ჩემსკენ
წამოვიდნენ. არა, გამოგიტყდები და
ძალიან მეტიჩრულად გამოუვიდა იმ
ბუხუტას. წესით მე უნდა მესროლა.
არა?“ მე გამახსენდა, რომ ხოხბების
აფრენისას სანდროს თოფი მხარზე
ჰქონდა გადაკიდებული, თვითონ სან-
დრო კი შარვალს ისწორებდა, ამიტომ
არაფერი ვუბასუხე. სანდრომ ქუდი
მოიხადა, გულჯიბიდან სავარცხე-
ლი ამოიღო და ანგარიშშიუცემლად
დაიწყო თმის ვარცხნა. გულმოსულმა
ტყისაკენ ვიბრუნე პირი, „მოდიხარ“?
მივაძახე სანდროს. — „პო, პო, მშე!“
სანდრომ საჩქაროდ ჯიბეში ჩაიღო, სა-
ვარცხელი და უკან ამეღვენა.

ვიწრო ბილიც მყველის ბარდებში
მიიკლანებოდა. მეკრდის სიმალღვზე
გადმოშვერილა ეკლიანი ტოტები წამ-
დაუწუმ გვიკაწრავდნენ სახეს და ხე-
ლებს. სულ მოკლე ხანში შარვლის
ტოტები მუხლამდის დაგვეფარა შინ-
დის ნაყოფის მსგავსი წერილი და მოყ-
ვითალო ბუსუსებიანი მარცვლებით.
ბუჩქნარი თანდათანობით გაუვალი
გაზდა. ბილიც გაქრა ხავსითა და
ფოთლებით დაფარულ მიწაზე. სანდრო
ჩამომჩნა. ერთხანს კიდევ მესმოდა მი-
სი მონოტონური ბუზღუნა, მალე ისიც
შეწყდა და თავშარდამცემი სიჩუმე გა-
მეფდა ირგვლივ. ჩემ უნებურად გავ-
ჩერდი ერთ ადგილას და მიმოვიხედე:
თბილისა და შვინდის ტანდაბალი ხე-
ების ჯარი მერტყა ვარს, მყველის ბარ-
დებით ისე ახლართულ-დახლართული,
რომ ადამიანს კი არა, ნადირსაც კი
გაუკვირდებოდა შიგ გზის გაკაფვა.
ალაგ-ალაგ საფრთხობელებივით აწე-

დილიყენენ კანშემოკლილი, ასწლოვანი ხეები. ისეთი სიჩუმე იდგა — საკუთარი გულისცემა მესმოდა. უცებ, ჩემს მახლობლად რაღაცა ხმაური გაისმა. მე სმენად ვიქეცი. შრიალი განმეორდა „ხოხობი!“ — გამიელვა თავში. თოფი მოვიმარჯვე, ჩახმახები ფრთხილად შევკაყენე და იმ ადგილს მივაჩერდი, საიდანაც ჩემი ვარაუდით ხოხობი უნდა ამოფრენილიყო. შრიალი კვლავ განმეორდა. ახლა ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ბუჩქნარში ნამდვილად ხოხობი იყო. ვიდექი ასე, გაქვავებული. თვითუღო წამი საუკუნედ მეჩვენებოდა, სუნთქვას ვიკავებდი, რადგან ბუნებრივად გაგონილი მქონდა ხოხობის გასაოცარი სიფრთხილის ამბავი. რამდენი ხანი ვიდექი ასე — აღარ მახსოვს. ოფლში გავიჭურე, შებლიდან რამდენიმე წვეთი თოფის ლულასაც დაეცა, სახელოთი მოვიწმინდე და ფრთხილად, მიპარვით გადავდგი ბუჩქისაკენ რამდენიმე ნაბიჯი. შრიალი ახლა სხვა მხრიდან მომესმა. ეკლებს აღარ მოვერიდე, რაც იქნება იქნებამეთქი, გავიფიქრე და პირდაპირ მაყულის ბუჩქების შუაგულში ვისკუბე. აქ ერთხანს შევჩერდი და ისევ მივაყურე. შრიალი ახლა ჩემს უკან გაისმა. „რა ჯანდაბაა, ნეტა?“ — გავიფიქრე და უცებ მომესმა ჩვეულებრივი წრიბინი, დაბალი მიღებული წრიბინი, ისეთი, ღობემძვარალა ჩიტი რომ გამოსცემს ხოლმე „ფუი, გავიწყრეს გამჩენი!“ — გადავაფურთხე გულმოსულმა და დავიწყე ბარდებიდან გამოსვლა. ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა. ერთი-ორი უშედეგო ცდის შემდეგ დავრწმუნდი, რომ მახეში ვარ გაბმული. ხელები და ფეხები ეკლიანი ტოტებით მქონდა გაკრული. ბოლოს, როგორც იქნა, წელში მოვიხარე, თითქმის მიწაზე გავწეკი და ასე გავხიზდი. მალე ეკლნარი გათავდა და მეც სამშვიდობოს გავედი. აქ უკვე ჩვეულებრივი ტყე იყო, არც ისე ხშირი და დაბურული. როგორც ეტყობოდა, ბილიკიც აქვე უნდა ყოფილიყო. თოფი მხარზე გადავიკიდე და განვაგრძე გზა.

სანდრო არსად ჩანდა. მაინცდამაინც არც ვწუხბდი მის დაკარგვას; თვფესებურად წარმტაცი იყო ჩემი მარტოობა; ამ ველურ მიდამოში, მეორე ადამიანის ყოფნა მხოლოდ შებღალავდა მის პირველყოფილ სილამაზეს.

მზე უკვე შუბის წვერზე იყო ასული. ტყე თანდათან დაიღო. სულ უფრო ხშირად მხედებოდნენ დამპალ ფოთლებში დამარხული უზარმაზარი ხის მორები. ზოგიერთი მათგანი იმდენად დამპალიყო, რომ ფეხის მიკარებისთანავე იფშენევოდა. ხავსი და უკაცურობა სუფევდა ირგვლივ. სინესტის ოზშივარი ასდიოდა მიწას. მალე გამოჩნდა დაჭობიანებული პატარა მინდორი, ალაგ-ალაგ ამოსული ლაქაშებითა და ლაქლაქა მწვანე ბალახით. აქ სადღაც უნდა ყოფილიყო ცნობილი მდინარე „შავწყალა“, მის გაყოლებით კი საკოლმეურნეო ფერმისაკენ მიმავალი ბილიკი. ყველაფერი რიგზე იყო. დიდხანს არ მომიხდა წვალება, მალე მინდორი გათავდა და გამოჩნდა მდინარე „შავწყალა“... ადვილი სათქმელია, მდინარე! ასეთი რამ არასოდეს არ მენახა: მდინარე ერქვა და წყალი არა ჩანდა! „შავწყალას“ მთელი ზედაპირი დაფარული იყო გოგირდისფერი ხავსით. უზარმაზარი ხეები ნიანგებებით ეყარნენ ხავსმოკიდებულს, უმოძრაო „მდინარის“ ზედაპირზე; კუბრით შავ ტოტებს იშვერდნენ ზევით. არაფერი არ ამქლავებდა იმას, რომ სადღაც იქ, სიღრმეში, ხავსის ქვეშ წყალი მიედინებოდა და სიცოცხლე ჩქეფდა. ფანტასტიკურ თეატრალურ დეკორაციას ჰგავდა პირშეკრული და უმოძრაო „შავწყალა“. მე უცებ წარმოვიდგინე ყოველივე ეს ლამით, მთვარის შუქზე. „აი, სად ყოფილა ჭინკებისა და მკედარი სულების სამეფო“, — გავიფიქრე და უსიამოვნოდ გამაფრცოლა ტანში. მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებდა ეს სიჩუმე და გაქვავება. პაპიროსი გავაბოლე და გავყევი ბილიკს. სულ არ მოველოდი ამ ადგილას ადამიანთან შეხვედრას, ამიტომ მოულოდნელობი-

საგან კინალამ შევეყიერე, როცა ხის ტოტებისაგან შეკრულ ფარდულს წავაწყდი და მძინარე ადამიანის ხერხევა შემომხემა. ჩემი ფეხის ხმაზე მან ცალი თვალი გაახილა და გულგრილად შემთვალა. მერე მერე თვალიც გაახილა, ზანტად გაიზმორა და წამოჯდა. 38-40 წლის წვერგაუპარსავი და სახედანაოკიანებული კაცი იყო, გახუნებული ტყაპუკი და ჯარისკაცური ჩექმები ეცვა. ერთხანს ერთმანეთს ვათვალაობდით, ბოლოს მივესალმე. მან უხმოდ თავი დამიქნია და წამოდგა. — „აქ სადღაც ფერმა უნდა იყოს?“ — ვკითხე რუსულად. მან ხელი გაიშვია — „იქითაა ფერმა. ამ ბილკს გაბყევი, პირდაპირ მიგიყვანს“, მერე ოდნავ დაცინებით მკითხა: — „ნადრობთ?“ მე აეუხსენი როგორც იყო საქმე. არც ჩემი თავგადასავალი დაეუშალე. ყურადღებით მომისმინა, ღობემძვარა ჩიტის ამბავზე გაიღიმა და შინაურულად მითხრა: — „დაჯექი, მოასვენე“. მერე თვითონაც კუნძზე ჩამოჯდა და სათუთუნე ამოიღო ჯიბიდან. მე პაპიროსი შევთავაზე. გამომართვა, შეათვალა და მადიანად გააბოლა — „თბილისიდან იქნები“ — მკითხა. მე დავუდასტურე, მერე დავინტერესდი, რას აკეთებდა ამ უკაცურ ტყეში, მარტოდ. ტყისმცველი ვარო, შიპასუბა და თვალი მოავლო არემარეს, „აი ამ ხეებს ვყარაულობ, რომ არავინ მოიპაროს“; ჩაიციხა თანაც, „რომელი გიყი მოვა აქ ხეების მოსაპრეგლად? ხეები იქაც ბევრია, სოფლებთან, აქეთ კი, საერთოდ, კაცი არ მოდის. სანადიროდ თუ გამოისეირნებს ვინმე, თქვენსავით, ისიც იშვიათად. არა სცალია ახლა ხალხს, რთელია“. — „მერე და აქ ცხოვრობთ მარტო?“ — „რაო არ მოგწონს, ეს ადგილი, თუ? აბა, ნახე, რა სიჩუმეა!“... გაჩუმდა და მიყურა — „გესმის?“... მერე განაგრძო: — „რაც ფრონტიდან ჩამოვედი, ქალაქში აღარ შედგომებო, ხმაურს ვერ ვიტან, თუმცა ხალხი საერთოდ მიყვარს... მიყვარს ტყეებიც. ჯარში რომ ვიყავი, მე არტი-

ლერისტი ვარ, სულ იმას ვფიქრობდი, გათავდება ომი და წავალ სადმე ტყიან მხარეში, ვიშოვნი სამუშაოს. დავსახლდები იქვე, ვიქნები ჩემთვის ხეებს მოვუვლი... მე თვითონ აქაური არა ვარ, ჯერ ჩვენში მოვიდნომე ჩასვლა. მერე აქ მოვხვდი და... დავრჩი და დავრჩი. აქედან აღარსად წავალ, კარგია აქ, ხალხიც კარგია და საერთოდ... თავისუფლება“. ამოიხრა, გაჩუმდა, მერე თოფი გამომართვა, შეათვალა: — „კარგი თოფია. დიდი ხანია ნადირობ?“ მე პასუხის გაცემა დავაპირე, მაგრამ ამ დროს ტყიდან თოფის ხმა მოისმა. — „თქვენი მეგობრები იქნებიან“, თქვა ტყაპუკიანმა წყნარად და თოფის სამიზნებელს გახედა. — „რა მიეცი ამ თოფში?“ მე რატომღაც შემრცხვა იმის თქმა, რომ თოფი ჩემი არ იყო: — „ნახუქარია, — მიუუგე. მან კიდევ ერთხელ ახედ-დახედა თოფს და უკან დამიბრუნა. — „კარგი რამ არი. ეგეთი თოფი უნდა ვიყიდო მეც, ჩემი სულ მთლად დამველდა“. იგი წამოდგა და ფარდულიდან ცალსულიანი თოფი გამოიტანა. ეს იყო მართლაც ძველისძველი გამოშვების „იყეკვა“, მრავალჯერ შეკეთებული. ლულა და კონდახი რამდენიმე ადგილას გადაკერილი იყო მავთულით. თოფი ხელში შეატრიალა და გადმოშვა: — „ესეც 16 კალიბრი-საა. კარგად მიიქვს“. მე გადავხსენი ლულა და გავხედე — იგი მთლად შებოლილი იყო. ამასობაში ტყიდან ხმაური მოისმა და „შავწყალას“ მერე ნაპირზე გამოვიდნენ გულო და ბუხუტა. ისინი ხმამალა ლაპარაკობდნენ და რალაცას ეძებდნენ ბუჩქებში. ტყაპუკიანმა თვალთ მანიშნა მათზე და მკითხა: — „ისინიც თბილისიდან არიან?“ მე დავუდასტურე. მერე ვუთხარი, რომ გულოს მამა წნორში მუშაობს ტროიკული სადგურის მთავარ ექიმად. — „მატაბელი? ვიცი, როგორ არა, საავადმყოფოს დირექტორია, არა? ამას წინათ წნორში ვიყავი, ცოლთან, საავადმყოფოში წვეს ჩემი ცოლი, არაფრით არ შემიშვეს შიგ. მერე ეგ კაცი მოვი-

და და გამატარა. კარგი კაცია!" „ჰო, კარგი ექიმია ძალიან", — დავემოწმე მე, მერე ზრდილობის გულსათვის ვიკითხე — „რა სჭირს თქვენ ცოლს?" „აბა რა ვიცი. ეს ორი წელია სულ ავადმყოფობს. აციებს". „ახლა როგორ არის?" „რას გაიგებ. ექიმებმა მითხრეს, უკეთ არისო, მეც მჯერა, ვინ იცის, იქნებ მართლაც მორჩეს... შეხედეთ, თქვენ გეძახიან". მე გავიხედე. გულო და ბუბუტა ხელებს გვიქნევდნენ, ყვიროდნენ და, როგორც ეტყობოდათ, აქეთ ნაპირზე გადმოსვლა სურდათ. მე მივუბრუნდი ჩემს ტყის მასპინძელს: — „რა უნდა ჰქნას აბლა, როგორ გადმოვლენ აქეთ?" — ის უსიტყვოდ წამოიღვა და ლერწმებში დამალული პატარა ნავი გამოათრია. იქვე, მდინარის პირას ნიჩბებიც ეყარა. როცა ნავი „შეეწყალას" შუაგულში მოექცა, ჩემდაუნებურად თვალი ვერ მოეწყვიტე სანახაობას; მწვანე მოლზე მიცურავდა ნავი. წყალი არსად ჩანდა, მხოლოდ ნიჩბების მოსმისას თუ შეიტლაშენებდა „მდინარე", ნავის ცხვირთან გაირღვევოდა ერთი წამით ხაყსის მწვანე ზედაპირი და ისევ შეიკვრებოდა ნავის უკან.

ბუბუტას ერთი ხობობი მოეკლა მხოლოდ და ეს ნანადირევი გულს ჰქონდა მხარზე გადაკიდებული. შთაბეჭდილებათა გაზიარების შემდეგ ბუბუტამ ხმადაბლა გვითხრა: — „სირცხვილია ასე ხელცარიელი სახლში მისვლა. ამ კაცისაგან თევზი მაინც ვიყიდოთ, თორემ დედაკაცები საცინლად აგვიგდებენ". მართლაც, ტყისმცველს დიდი ხნის ხეწნა არ დასჭირვებია — იგი წყალს დაჰყვა ნავით და რამდენიმე წუთის შემდეგ სამიოდე კილო თევზი მოგვიტანა იფნის ტოტებზე ასხმული. როდესაც ფასი ვკითხეთ, გულგრილად გვიპასუხა, „არაფერი მინდაო". ჩვენ ჯიბეები გადმოვიბრუნეთ და სულ 15 მანეთამდე მოვავროვეთ. სირცხვილი იყო ამ თანხით სამი კილო თევზის ყიდვა, ამიტომ ვთხოვეთ მხოლოდ, ნახევარი მოეცა ჩვენთვის. მან გაკვირვე-

ბით შემოგვხედა: — „დანარჩენს რაღა ვუყო, ისევ წყალში გავუტყავ და გაეცინა. უკვე შორს ვიფიქრებ გასულს, როდესაც მე სირბილით დაებრუნდი უკან და ტყის მცველს რამდენიმე ეახნა დაეუბრევე.

სამი დღის შემდეგ თბილისში ვბრუნდებოდით. ჯუგაანიდან ადრე გამოსულებს წნორში მატარებლის ცდა მოგვიბდა. თავისუფალი დრო ბევრი გვქონდა, ამიტომ გულს მამას ექიმ მატბელს ვესტუმრეთ ტროპიკულ სადგურში. ძია ვასოს ჩვენთვის არ ეცალა, უყურადღებოდ მოგვესალმა, ვილაც ახალგაზრდა გოგონას, ექთანს უთხრა: „სტუმრები გაართო", თვითონ კი თავის ავადმყოფებს დაუბრუნდა. საავადმყოფოს ბაღში გავედით, გულო მამასთან დარჩა კაბინეტში, სანდრომ ექთანს დაუწყო ორაზროვანი ლაპარაკი, მე კი საავადმყოფოს შესასვლელთან შეგჯუფებულ ხალხს ვათვალიერებდი. უკვე ნაცნობი სახე მეცა თვალში. ხელად ვიციანი ჩვენი ტყისმცველი და გავუღიმე. მან უხმოდ დამიყრა თავი. მე მივუახლოვდი — „გამარჯობათ, — ვუთხარი, — რაზე მოსულხართ?" — „აი, მოვედი ცოლთან"... — უხალისოდ მიპასუხარუსმა. — „ჰო, მართლა, როგორ არის თქვენი ცოლი?" მან სახეში შემომხედა: — „გარდაცვალა ჩემი ცოლი", — მერე თავის ხელებს დახედა და უფრო ხმადაბლა დაუმატა: — „მოკვდა მაინც"... და ამოიხარა. მე გაეშრი, იმდენად მოულოდნელი იყო მისი პასუხი ამ უღრუბლო ცისქვეშ, ამ მზის შუქით გაკაშკაშებულ ბაღში, სადაც იღვა ჩვეულებრივი ხმამაღალი ყაყანი, სადაც ისმოდა ახალგაზრდა ექთანის კისკისი და ბელურების თავხედური ყვირნი. — „როგორ თუ... მოკვდა?" — რუსმა მხრები აიჩჩია, „დღეს დღით გადმოვედი, მარტივი მინდოდა წამელო ტყეში, აქეთ გამოვიარე და მითხრეს, ცუდად არისო"... სანამ მალაზიაში მივიდოდე და სანამ უკან გამოვბრუნდებოდი — უკვე გარდაცვლილიყო... რას იზამ"... მან

სათუთუნე ამოიღო და პაპიროსის გახვევას შეუდგა, თითები არ ემორჩილებოდა. „ასეთი ბედი ჰქონია... აიღეთ, მოსწიეთ“. ანგარიშშიუცემლად გაზეთის ნახევი გამოვართვი და მეც დავიწყე გახვევა. მერე ვკითხე: — „ბავშვები თუ გყავთ?“ „ორნი... ერთი მეორე კლასშია ბიჭი, გოგო მეოთხეში“. მე წარმოვიდგინე უდედოდ დარჩენილი პატარები ამ კაცის ხელში და პირდაპირ გამოუვალად მომეჩვენა მისი მდგომარეობა. — „რას იზამთ ახლა?“ — „აბა, რა ვიცი“. სახეში არ მიყურებდა, „როგორმე უნდა მოვუარო ბავშვებს. ცოდონი არიან, აღარც დედა ჰყავთ, აღარც მამა, ასე ხომ ვერ დავტოვებ?“ მე გაკვირვებით შევხედე — „როგორ, მამა?“ — „მე მამა არა ვარ. მამა მაგათ ომში დაეღუპათ. ეგ ქალი, ჰოსპიტალში რომ ვიწექი აქ, წნორში, მაშინ გავიციანი. მართალი გითხრათ, უფრო იმიტომ აღარ წავედი რუსეთში. შემეცოდა, მართო ქალი იყო, ორი ბავშვით. აქ მღწობდა რკინიგზაში, დამლაგებლად. ჰოდა, ვითხოვე ცოლად... ამოიოხრა „ეხ, რომ იცოდეთ, რა კარგი ქალი იყო!..“ — „ბავშვები სად არიან ახლა?“ — ვიკითხე მე. —

„მეზობელმა წაიყვანა, ცოტა ხანს ის მოუვლის მერე... ვნახოთ... ირგეჩაფიქრდა, პირისახეზე მაგრად... მოესცა ხელი, „რამე უნდა მოვიფიქრო. ჯერ არ ვიცი... ვნახოთ, როგორ იქნება. იქნებ ცოლი მოვიყვანო... ბავშვებს დედა უნდა ჰყავდეთ, არ შეიძლება სხვანაირად“, მერე პაპიროსის ნამწვავი ძირს დააგდო და ფეხით გასრისა, — „ჰო, ასე ვიზამ, ცოლს ვითხოვ, ბავშვებს დედა უნდა ჰყავდეთ“, თითქოს თავისთვის გაიკეთრა რაღაც დიდი შინაგანი რწმენით. ამ დროს აივნიდან მოწყალეების დამ გადმოიხედა და დამაბნა. ტყისმცველი შეკრთა — „მე წავედი, მეძახიან. შინელობით იყავით“. მან დაკოყრილი ხელი მაგრად ჩამომართვა, ქუდი შუბლზე ჩამოიწია და შუშაბანდში შევიდა. მე ერთხანს გაშეშებული ვიდექი. ჩემ ირგვლივ ისევ სიცოცხლე ჩქეფდა. ავადმყოფების სანახავად მოსული კოლმეურნეები მზეს ეფიცებოდნენ და ხშირად საუბრობდნენ, ხეების ჩრდილი ირხეოდა თეთრად შეღებილი საავადმყოფოს კედლებზე, ბელურები ხტოდნენ მიწაზე და შორიდან ისმოდა ორთქლმავლების გულშემზარავი კივილი.



ჰერ შენ არ მიცნობ

მაჟულს



ჰერ შენ არ მიცნობ,
არ იცი, ვინ ვარ,
არ იცი, თუ მეც შენთვის ვლალადებ,
თუ შენზე ფიქრით
ლამე არ მძინავს
და დღეს ვლამებ.

ამ უძილობას
სულ არ განვიცდი,
არ მეხუჭება ძილისთვის თვალი —
რა არის დაღლა,
ვერ ვგრძნობ, არ ვიცი,
შენი ცხოვრების აღმართზე ავლით.

ჰერ შენ არ მიცნობ,
არ იცი, არა,
თუ შენი ბალის ვარდებს ვფარეშობ,

თუ მეც ამ ბალის
კარებში ვდგავარ,
რომ გზა არ მივცე
ქარს სათარეშოდ.

სულაც არ მიმძიძს,
არ მიმძიძს, თუ მე
შენთვის ლამეებს თეთრად ვათენებ...
სანეტაროა,
ვინც გიყვარს თურმე,
მისთვის უღელქვეშ
დგომა გმართებდეს;

ჩიაა თურმე უღელი მძიმეც,
თუ გული ტვირთის მიზეზს გაიგებს —
თაეზე სანუკვად თუ გიყვარს ვინმე,
მისთვის საკუთარ სისხლსაც გაიღებ.

ლესია უკრაინკა ქუთაისში

ამ ბალთან გამოვლა
მახარებს ბალღივით
შუბლნათელ აკაკის
ქალაქის გულია —
აქ თუნდაც მოვიდე
სიმღერით დაღლილი,
მე მაინც ხელახლა
სიმღერა მწყურია.
ამბობენ, ამ ბალში
ლესიას უვლია,
ტკბებოდა აქ თურმე
ჭადრების შრიალით.
ვინ არის ლესია?
ბულბულის გულია —
მაისის, მზისა და
ვარდების ტრფიალი.
მე აქეთ დღემარად
სურვილი მაჩქარის.
მოვდივარ ხმატკბილი
ჩონგურის ლულუნით,
და, ასე მგონია,
დღესაც კი აქ არის
ლესია — სიცოცხლის,
ვარდების ბულბული.

ამ ბალთან გამოვლა
მიტაცებს მარადის.
შუბლნათელ აკაკის
ქალაქის თვალია —
მიყვარდეს აქ ხშირად
ჰანგების ნავარდი,
ეს ჩემი გულის და
ჩონგურის ვალია.
მოვდივარ ღიღინით
და ვფიქრობ, ვიზილავ
აქ ღნებრის მხარიდან
მოფრენილ იადონს,
შევხვდები, ვინც შოთას
მამულმა იშვილა,
ვინც ქართულ ბალნარებს
სიცოცხლე მიანდო.
მიყვარდეს, ვალია —
ვინც გულის კანკალით
აქ ლამე სიმღერის წყურვილში ათია,
ვინც გულით ნატრობდა
შუბლნათელ აკაკის,
ბალნარში დღევანდელ
ფრთაგაშლილ განთიადს.

მოლოდინი



არ მეშრიტება ფიქრთა სათავე,
ტყვედ დავრჩენილვარ ფიქრებს
ბოლომდის,
შვილის შინ მოსვლის ეამს
ვუთვალთვალებ,
მაგრამ არ უჩანს ბოლო მოლოდინს.

მამის გულს იგი მარად ახლო ჰყავს —
მკერდში უსახლობს, არა მეზობლად,
დღე იქნება თუ ღამე უმთვარო,
მაინც მოაგნებს თავის ეზო-კარს.

მოაგნებს, მჯერა, განა ასცდება
თავის ბალობის სუფთა ნაკვალევს!
მხოლოდ ერთი რამ აღარ დახვდება,
შიში წამიერ ააკანკალებს;

აღარ დახვდება ბებერი სახლი
ბებოს და ბაბუს ნაწელგულევი —
დაეშაღე იგი, საძირკველგაზრილს
ქანგივით ხრავდნენ ეამთა წყლულები.

მის ჭერქვეშ ქარი ქროდა ნიადაგ,
ყინვა იდგამდა ბროლის ტახტრევანს —
ქარყინვა თითქოს ჩემს სახლს კი არა,
შინმოუსვლელ შვილს აპარტახებდა.

ჰოდა, ამიტომ ძველი გავწოლე
და ხელი მივეც ახალ სავანეს.
ამით მე, ვფიქრობ, ჩემი არწივის
მარბევი ქარი დავასამარე.

მეცანი ვიყო მწაღია ახლა,
გვკრეტდე მომავალს, ვიცოდე ის დღე,
როცა ჩემს არწივს მოფრენილს ვნახავ
და ქარს გავატან ნაღვლიან ფიქრებს.

მოსვლისას იგი უთუოდ ახალ
სავანის ხილვით თავს დახრის დაბლა —
პაპისეულ სახლს რომ ვეღარ ნახავს,
ჩემს სახლს აეცლიო, იფიქრებს, ალბათ...

არ მეშრიტება ფიქრთა სათავე,
ტყვედ დავრჩენილვარ ფიქრებს
ბოლომდის —
შვილის შინ მოსვლის ეამს
ვუთვალთვალებ,
მაგრამ არ უჩანს ბოლო მოლოდინს.

ამ მოლოდინმა თუნდაც გამრთიყოს,
აღარ დაინდოს ჩემი სიცოცხლე,
რა განსაცდელიც ჩემთვის არ იყოს,
შვილზე ფიქრისთვის მაინც ვიცოცხლებ.

ვლადიმერ მაიაკოვსკის

დავსავანდები შენი სულის მზის კარიბჭესთან,
გადავშლი შენს წიგნს, პოეზიის ახალ ქარიშხალს —
შთამბერავს სიმხნეს, ნეტარების ცაში ამიყვანს
შენი პარნასის მწვერვალდიან სამყაროს კვრეტა.

მაოცებს შენი პაექრობა ჩახჩახა მზესთან —
ვის არ ატყვევებს ვაჟკაციური შენი ჩანგის ხმა!..
ბაღდადის ცისქვეშ, სანახებში, ფრთაშლილ ხანისწყალს
შენ სადიდებლად აელერებულს უსმენდე ნეტავ!

თვალს ვერ ვაშორებ შენი გულის მზემდე შემართვას —
ასჯერ ზედმეტად გაუცია, რაც მას ემართათ...
ლექსში ამდენ ცეცხლს იგი ნეტავ როგორ იტევდა?!

მარქვი, ლექსები როგორ გასდე მზისკენ ხიდებად,
როგორ დასძლიე ტვირთი, რომლის წამოკიდება
ერთს კი არა და, ას პოეტსაც წელში გატეხდა!

გივი ძნაძე



წარსულ ღრმთაგან

არა დღენი და არა ღამენი,
არამედ წუთენი, —
არამედ წამენი, —
ალიგზნებთან ხსოვნაში ზოგჯერ

საამონი და სანეტარონი!..
... და სული მაშინ ნათლება ისე —
თითქოს ღამეში გაჰკრესო ასანთს.

ცხელ ქვიშაზე

ზღვა გამოიჭყა მიწისკენ უცებ,
თეთრი მკლავები მოხვიოს უნდა,
მაგრამ ნაპირმა ხელი ჰკრა გულზე
და ზღვა ტირილით გაბრუნდა უკან...

ამ ტირილს ნამდვილ ტირილად ვისმენ,
ეს ლტოლვა უცხო არ არის ჩემთვის...
ზღვა გამოორბოდა მიწისკენ ისევე —
ქვიშაზე ცრემლად დნებოდა შხეფი.

დღენი ოძროს შვირსანი

აქაურობა მე ისე მზიბლავს —
ამ სილამაზის მართლა მონა ვარ,
აქ მიმღერია მალალი ხიდან,
მეზობლის გოგოს გასაგონარად!
აქ შეეფრენილვარ უხედნავ კვიცზე
და სოფლის ბოლოს გავცილებივარ,
აქ დამიშლია ჩიტისთვის ბუდე —
მერე მთელ ღამეს არ მიძინებია...
აქ მიხაროდა ახალი ჩანთა,
აქ მთავრდებოდა მალალი მთები,
აქ ბევრი ისე გასულა წელი —
არ მიფიქრია: „აღარ ვიქნები“...
აქ იყო ტკბილი!
აქ იყო კარგი!
აქ ყველაფერი ღამაში იყო! —
აქ.

ამ წყაროსთან,
ამ წისქვილებთან
გავეთამაშე პირველად სტრიქონს.
მე აქ დაერბოდი ნწვანე მინდორზე —
შემოვძახოდი სიმღერას რიხით...
მე აქ ვნატობდი: ნეტა მანახა —
რა უნდა იყოს იმ მთების იქით;
მე აქ მარტოკა წავსულვარ ტყეში
და ავეყოლივარ ოცნების აღმართს...
მე აქ მიგრძენია ბავშვის გულისთვის
რალაც თბილი და ახალი რალაც...

ის დრო წარვიდა, როგორც რამ ღვინი;
გალმით — ის არი, გამოღმით მე ვარ...
ახლაც მახარებს დროთა სიღრმიდან
ოქროსფერ დღეთა გამოღიმება!..

მაისის წვიმა

აგრვეინდა ზეცა, —
წამოვიდა ქუეყნა წვიმა, —
მხურვალე მიწა გააძლო წყალით...

ესხურა ხესაც,
დაეპურა ბალახებს მძინარს,
თხრილში ხითხითით გაიქცა ღვარი;



ცქრიალა გოგომ
თეთრეული, ნახევრად მშრალი,
შემოიტანა სიჩქარით სახლში...

წვიმდა და როგორ:
წვიმა იყო ეუფუნა, წყნარი
და ელურტულეზდა, ვით ჩვილი ბავშვი...

იმედის შუქად
ციხარტყელა აენთო ხევში, —
ბარტყივით ნაზი, ბარტყივით თბილი...

იწვიმა უხვად —
მაისისთვის ჩვეული ეშხით,
გაძლა მიწა და... მეორე დღით, —

სველ მიწას როცა
სითბო მოხვდა, იფეთქა თესლმა,
ხეებზე ატყდა კვირტების სკდომა...

ყაყაჩომ მორცხვად
გაიღიმა სხივების ქსელში —
ჰაერში შუქი დაგროვდა ბლომად...

ცქრიალა გოგომ
გაიტანა სარეცხი გარეთ
და გადაკიდა ბაწარზე ხელათ...

ბავშვის პერანგი,
ვარდოსფერი, ერია სარეცხს
და მზე აშრობდა პატარა პერანგს.



მაშინ შენ იყავ,
მაშინ ზღვა იყო
და ვილაცანი კიდეც...
გულმა სხვაგვარად ძგერა დაიწყო,
მანამდე ძგერდა ვიღრე...

ახლა სავსე ვარ ტუბილი ვარამით, —
დღეში ათასჯერ გნატრობ...
ახლა არც ზღვაა, აღარც არავინ,
ახლა — შენა ხარ მარტო.



შეხვედრა ტარიბანაში

ნარკვევა

ჯერ შეახსენაც არ იყო სოსო პავლი-
აშვილი, მაგრამ ავადმყოფობას დაეჩა-
გრა, ჯანი გაეტეხა. საშუალო ტანის,
ხმელ-ხმელს და სუსტი აგებულების კაცს
სახეზე მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა.
ავადმყოფობას რა ვუთხრა, თორემ
თქვენ ნახავდით იმას ამ სახლის დარა-
ჯად? ძალიან სწყინდა, მაგრამ რაკი ერ-
თხელ შეეპარა სხეულში სისუსტე, რა
გაეწყობოდა, დიდი გულისტვიცილით
დასთანხმდა ნიკო ყოჩიაშვილს, კოლმე-
ურნეობაში დარაჯად დამდგარიყო. ენამ
ძლივსძლიობით აღმოთქვა თანხმობა,
მაგრამ გულმა რომ არ დაუდასტურა?
ზუმრობა საქმეა? დატოვოს კაცმა ველ-
მინდვრები, რომელთაც ბავშვობიდანვე
შესჩვევია და სახლის დერეფნებში უქ-
მად მდგარი ელოდოს თავმჯდომარის
ზარის წკრიალს?

დღისით ნიკო თითქმის სულ მინდვრე-
ბშია, ღამით, გვიან დაბრუნებული; შე-
მოიკრებს მოადგილეს, მთავარ აგრო-
ნომს, ზოოტექნიკოსს და ბრიგადირებს.

სოსოც იქვეა, ახლოს...

სოსო ისე გაერკვა კოლმეურნეობის
საქმეებში, ზოგჯერ ისიც ავიწყდება,
რომ დარაჯია, თავმჯდომარესავით ქუ-
ას არიგებს სხვებს, მაგრამ უმაღლეს ახ-
სენდება თავისი არცთუ ისე სახარბიე-
ლო თანამდებობა და მობოდიშებით
დასძენს, ნიკომ ასე თქვა, ნიკო ასე ფიქ-
რობს, ნიკო ასეთი აზრისააო.

ერთ დღეს ძალზე უგუნებოდ შეიქნა.
ანდა რა ხალისი უნდა ჰქონოდა, როდეს-
საც მარტო ის დარჩენილიყო ვეებერთე-
ლა შენობაში? გაოგნებული დაბორი-
ლებდა დერეფნებში. უგემურად შეე-
ჭეოდა პურსა და ყველს. ის ქაჯები

მაინც სად გაიკრიფენ, რომ არსად ჩანა-
ნო, იგონებდა სოსო ბავშვებს, რომლე-
ბიც გამუდმებით დარბოდნენ კოლმეურ-
ნეობის ეზოში, ახლა კი სადღაც გადა-
კარგულიყვნენ. დაჯავრიანებული, აი-
ვნიდან შარავზას გასცქეროდა. ამ დროს
მსუბუქი მანქანა გამოჩნდა. სოსო გამო-
ფხიზლდა. გაიფიქრა, ფოსტის მანქანა
თუ არისო, მაგრამ მთლად უცხო ადამ-
იანი რომ დაინახა მანქანიდან გადმოსუ-
ლი, თოფნაკრავივით დაიხია უკან. მერე
რამდენიმე კაცის ფეხისხმა ერთად რომ
მოესმა, ლუქმა უცებ გადაყლაპა, ხელი
ტანსაცმელზე მოისვა და თვალები ფარ-
თოდ გაახილა: დაინახა, რომ პირდაპირ
მისკენ მოდიოდა საშუალოზე ოდნავ მა-
ღალი ტანის, სანდომიანი სახის, მოხუცი,
რომელსაც კარგად ჩაცმული სამი ახალ-
გაზრდა მოჰყვებოდა. ის ისე ტანგამა-
რთული, ისე მტკიცე ნაბიჯით მოეშუ-
რებოდა, რომ მოხუცი კი არა, ორმოცი
წლის მოწიფული ვაჟკაცი გეგონებო-
დათ. მის დანახვაზე ნასაღდათარ სოსოს
უცებ თავისი გენერალი მოაგონდა, თვა-
ლები ფართოდ დააქუცია, მაგრამ საზო-
ქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი მო-
ხუცი, ცხადია, ის არ იყო.

ახლადმოსულებმა სრულებით არ მი-
აქციეს ყურადღება სოსოს, მეორე სარ-
თულზე ავიდნენ, მაგრამ შიგ რომ არა-
ვინ დახვდათ და ყველა ოთახი ჩაკეტი-
ლი აღმოჩნდა, სოსოს დაუძახეს. სოსო
ოდნავ შეკრთა და წელში მოიხარა.
შემდეგ, თითქოს ძალა მოიკრიბაო, ერთ
წამში სულმოუთქმელად გაჩნდა იმ უც-
ნობის წინ ფართო აივანზე.

— თავმჯდომარე სად არის? — თვა-
ლები მოწყურა უცნობმა.

— თავმჯდომარეს ასეთ დროს კაბი-

ნეტში რა უნდა, ბატონო, შირაქშია! — განცვიფრებით მიუგო სოსომ.

— მოადგილე?

— ტარიზანაში გახლავთ ბატონო, თავგებთან საბრძოლველად წაიყვანა ხალხი!

— თავგებთან?! — გაიკვირვა ახლადმოსულმა.

— დიახ, — თავგები შემოგვესია, მუსრს ავლებენ ჭირნახულს! — კიდევ რალაციის თქმა უნდოდა სოსოს, მაგრამ სტუმარს ბაგე რომ შეერხა და წვერები აუთრთოლდა, ხმა გაკმინდა.

— მთავარი აგრონომი?

— ენამთაში სიმინდსა და მზესუმზირას თოხნიან... სამი დღეა, არც მინახავს, სულ იქ არის!

— ზოტტქნიკოსი?

— მილარშია კამეჩებთან, ზაქებსა სწონის და რალაცა ცდებს ახდენს.

— რა ცდებს?

— ხბორებს კამეჩის რძით კვებავს, ზაქებს — ძროხის რძით, რა ვიცი... სხეუბი სათოხში არიან. ჩვენი თავმჯდომარე ამბობს, სანამ სულ არ მოერჩებით თოხნას, აქ არც ბრიგადირი, არც მერგოლუერი, არც ბუხალტერი და არც მისი მონაგარიშე არ დაეინახოვო!... ჯერ მოსავალი მოვიყვანოთ და მერე ვიანგარიშოთო! თვითონაც იმათთან არის, ჰოდა, ახლა, ასეთი გაწამაწიის დროს, აქ ვინ გაჩერდება? ნეტავი მეც არ ვიყო აქ, მაგრამ რას იხამ, სახლს რომ ცეცხლი გაუჩნდეს, ერთი კასრი წყალის შემსხმელი ხომ უნდა იყოს ვინმე?

— სახლს თუ ცეცხლი წაეკიდა, ერთი კასრი წყალი რას უშველის! — გაეცინა უცნობს.

— არა, სიტყვამ მოიტანა, თორემ ცეცხლს ვინ წაუკიდებს!

— ვიცი, ვიცი, მაგრამ ეს მითხარით, თუ ყველა სათოხშია, შენ ვილა ხარ, სამუშაოდ რომ არ გასულხარ?

— დარაჯი, ბატონო! — ძლივს ამომარცვლა სოსომ.

— მამ გასაღებები შენ გექნება, ბარემ აქაურობა დაგვათვალეობინე.

— კი, ბატონო, ახლავე, — სოსომ ჯი-

ბიდან წვრილ თოკზე ასხმული გასაღებების მთელი გროვა ამოიღო, ერთ-ერთულაზე გრძელი გასაღები ცალკე გამოეყო და ხელში მოიმარჯვა, კარი გააღო და სტუმრები თავმჯდომარის მისაღებ ოთახში შეიყვანა, ოთახში კი არა, ვებერთელა დარბაზში, რომლის შუაშიც წითელი მაუღით გადაფარებული გრძელი მაგიდა იდგა. ირგვლივ ახალთ-ახალი სელის სკამები იყო ჩამომწყრივებული. კედლები სურათებით და დიაგრამებით იყო დაფარული. სოსომ ახლა კაბინეტი გააღო. სტუმრები კმაყოფილებით ათვალეობდნენ თავმჯდომარის სამუშაო ოთახს.

უცნობი ერთი წუთით თავმჯდომარის საეარძელში ჩაჯდა და ხელში ტელეფონის მილი აიღო, მაგრამ შემდეგ თითქოს გადაიფიქრაო, ისევ ჩამოსდო ყურმილი და მარჯვნივ ერთ კარადას მიაპყრო თვალი. კარადაში წიგნები ელაგა, მის მეორე მხარეს გაზეთები ეწყო, მოგრო მაგიდაზე, რომელზედაც ლურჯი მაუღი იყო გადაფარებული, ფერმების გამგეებისა და ბრიგადირების მიერ მოტანილი ცნობები იდო. სტუმარმა ერთ ცნობაზე შეაჩერა ყურადღება; მეფრინველეობის ფერმის გამგე იტყობინებოდა, დამამზადებელი ორგანიზაცია თავის დროზე არ იზარებს კვერცხს, რის გამო ძალიან შეწუხებული ვართ, რადგან შესანახი ადგილი არ გვაქვს და გთხოვთ ზომები მიიღოთო. მეორე ცნობაში მეკამეჩობის ფერმის გამგე, სარდიონ ყოჩიაშვილი სთხოვდა თავმჯდომარეს, ნება დაგვრთე არაქანის მაგივრად კარაქი დავამზადოთო.

სტუმარმა თანხლებს პირებს გადახედა, სოსომ კმაყოფილების ღიმილი შენიშნა სახეზე. ეს ღიმილი სულ მალე მთელ სახეზე გაეშალა, როცა მოპირდაპირე კედელზე ხორბლისა და ქერის ნამჯას მოჰკრა თვალი. ნამჯის გვერდზე საკვები ჰარზლის, სულანურას, იონჯას და ესპარცეტის კონები ეკიდა. მარცხნივ, წიგნების კარადის გვერდით, პატარა მრგვალ მაგიდაზე, რომელზედაც გრაფინი, ბორჯომის ბოთლი და ქიქა იდო, ორი აგური და სამი კრამიტი ცე-

რად იყო მიყუდებული. აგურიცა და კრამიტიც კოლმეურნეობაში მზადდებოდა: კუთხეში, შინა აფთიაქის მსგავს ყუთში პატარა ქილები ეწყო. ერთს ქილაში მზესუმზირას ზეთი, მეორეში კარაქი, მესამეში არაქანი და მეოთხეში რძე ესხა. თვითეულ მათგანს წარწერა ჰქონდა, თუ რომელი ფერმიდან იყო. მარჯვენა კედელზე ჯიშინი ბუღების, ფურკამეჩების, ძროხების, ღორების, ქათმებისა და ცხენების ფოტოსურათები იყო გაკრული. მათაც თავიანთი წარწერა ჰქონდათ.

მოხუცმა ეზოში გადაიხედა და უცებ იკითხა:

— რამდენ ხანში აშენდა ეს სახლი?...

— ქალი, კაცი, მოხუცი და ბავშვი ყველანი ვიყავით დასეულნი და შვიდ თვეში ავაშენეთ, — მიუგო სოსომ, — თავმჯდომარე მოსვენებას არ გვაძლევდა. ერთი მილიონი და სამასი ათასი მანეთი დაგვიჯდა...

სოსო ენად გადაიქცა. ისიც კი უთხრა სტუმარს, რომელმა ბრიგადამ რამდენი იმუშავა, რამდენი ცემენტი, ხე-ტყე და საღებავები დახარჯა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა საკუთარი ყურით გაიგონა: ასე სწრაფად თბილისშიც ვერ აშენებენო!

„ჰმ, მაშ თბილისელ მშენებლებს ვაჯობეთ ჯაფარიძელებმა?! ჰა, ნიკო ყოჩიაშვილო, რა გიპირს, რა, ერთს იტყვი და გამეორება არ გვირდება, ხალხი ჯიქრასავით ტრიალებს. ჰოდა, ასე თუ გამინგონებენ, მაშინ მეც ვივარგებ თავმჯდომარედ!“ — გულში თავისთვის ჩაილაპარაკა სოსომ და შემდეგ სტუმართა შორის ყველაზე გამორჩეულს შეხედა. იგი სოსოს მოუბრუნდა.

— საით წავიდეთ, რომ ყანები, სათიბები და მილარის მეკამეჩეობის ფერმა ვნახო?

— მე წამოგყვებით, ბატონო! უთხრა სოსომ, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ კოლმეურნეობის კანტორას ვერ დატოვებდა, დამნაშავესავით ხმას დაუწია და განაგრძო, — აი, ამ გზით წახვალთ და ეს

გზა ჯერ ენამთაში მიგიყვანთ, მერე მილარში, მილარიდან მაღალ მთას გადასკრით და...

გინჯილითქა

სტუმრები მანქანასთან მივიდნენ. მოხუცი სტუმარი, რომელსაც თანმხლები პირები მორიდებით ეპყრობოდნენ, სოსოს მიუბრუნდა, ხელი მაგრად ჩამოართვა და მხოლოდ ახლა ჰკითხა სახელი და გვარი.

მანქანა დაიძრა. დიდხანს იდგა სოსო ერთ ადგილას და ფიქრობდა, ნეტავი ვინ უნდა ყოფილიყვნენო, გაზეთებში სადღესასწაულოდ დაბეჭდილი სურათებიც წარმოიდგინა, მაგრამ გონს მაინც ვერ მოვიდა. არა, რომელიღაც მეცნიერი რომ არის, ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რომელია ეს კი არ ვიციო. ბოლოს გული დაიიმედა, სალამოს ყველაფერს გაევიგებო. ჩაფიქრდა სოსო... გაახსენდა, თანმხლებ პირთაგან ერთი კაცი მეზობელი რაიონის ზოოტექნიკოსი უნდა ყოფილიყო.

— ჰა, ხედავ, ჩვენთან წამოუძღვა, ერთი ვნახოთ, რა აქეთ ჩვენზე უკეთესიო, ჰა, უყურე შენ? გვამოწმებს, არა? შეგვამოწმე, ბიძია, შეგვამოწმე!

როცა კარგად დაღამდა, ნიკო ჩვეულებსამებრ კაბინეტში შემოვიდა. მასთან ოცამდე კაცმა მოიყარა თავი. მოსვლისთანავე სოსო მოიხმო. სოსომ ძლივს შეყო თავი კაბინეტში, მაგრამ მის გაკვირებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც ნიკო ზეზე წამოდგა და ყველას გასაგონად უთხრა:

— მადლობელი ვარ, ჩემო სოსო, ბიჭო, ასე ჰქვიანი თუ იყავი, რატომ არ ვიცოდი ამდენ ხანს? ჰა, რატომ არ ვიცოდი?!

ნიკო კარგა ხანს შესცქეროდა სოსოს. როცა მან ნიკოს პირით გაიგო, რომ მისი მთავარი სტუმარი, მეცხოველეობის დარგის გამორჩენილი მეცნიერი, თბილისიდან ჩამოსულიყო, საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითადი დასაყრდენი პუნქტის სანახავად, ესიაშოვნა, თვალზე შეკინალამ ცრემლი მოადგა და თავისთავს უთხრა, ხედავ, სოსო, თურმე რა

დიდ მეცნიერს დაატარებდი მთელი საათის განმავლობაში დერეფნიდან-დერეფანში და კოლმეურნეობის საქმიანობას აცნობდიო?



აღგეთელმა ქაბუქმა გიორგი დალაქიშვილმა დიდი სიხარული პირველად მაშინ იგრძნო, როცა თრიალეთიდან თბილისში ჩამოვიდა. მან ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პირველ კურსზე მისაღები გამოცდები ჩააბარა. ამის შემდეგ გიორგი თავის საყვარელ მთების კალთებს მარტო არდადეგების დროს-ღა ესტუმრებოდა ხოლმე, ძველებურად გადაისროდა ბადეს მდინარეში, გულს მოიჯერებდა და კმაყოფილი ბრუნდებოდა თბილისში. მიდიოდა თვალგაბრწყინებული და ასე ეგონა, ის ლამაზი მთებიც, თვალწარმატცი ველებიც, ახმაურებული ტყეებიცა და ამწვანებული ხეობებიც თან მოჰყვებოდნენ.

მეორე დიდი სიხარული მაშინ განიცადა გიორგიმ, როდესაც ფრიალზე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და წითელწყაროში გაგზავნეს მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის დასაყრდენი პუნქტის მეცნიერ-თანამშრომლად. მალე შეეჩვია გიორგი ახალ გარემოს, თავის მშობლიურ კეთხესავით შეუყვარდა ეს მიდამოები.

მართლაც და, აბა, გახედეთ ამ დალიცივლ მხარეს! რა გულმა უნდა გაუძლოს კაცს, რომ ის არ შეუყვარდეს. გიორგი დალაქიშვილი ახლა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის უფროსი ზოოტექნიკოსია. ის მხარში უდგას იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყნის დოვლათსა ჰქმნიან. ამიტომ შეგხარის ის ათასობით ჰექტარზე გადაკომულ ნათესებს, ზერებს, სათიბებს, ბაღებს. მაგრამ მისი მთავარი სახარუნავი ფერმებია.

დალაქიშვილს ზაფხულს მინდვრად შევხვდით. წინ გადაშლილი იყო ენამთის ტყით შემოსილი ხეობა; ხელმარჯვნივ, დაბლა, ამწვანებული მთის ძირას, გა-

ნიერ ტაფობში ფირუხისტრად დოვლივებდა პატარა ტბა. ხელმარცხნივ, სულ ქვევით და ქვევით, სადაც კარგად ვერცხვოდა დაბლობები იწყებოდა, ლორთქო სიმინდის ზღვა ღელავდა. შუაში მზესუმზირის ტყე შრიალებდა, ხოლო ცოტა უფრო მოშორებით, პურის მომწიფებული ყანა ტორტმანებდა.

ენასავით წინ გაწვდილი ენამთის იქით ვეფხვის ზურგივით აპრელებული ალაზნის ველი აღმურში იყო გახვეული. ისე მოეხატა იქაურობა მწვანე ყანას, გამხმარ ბალახს, ლურჯ სიმინდს, მუქლურჯ სუდანურასა და იონჯას, თითქოს მიწაზე ნაირფეროვანი ხალიჩა გაუფენიათო. სინათლისა და ჩრდილის თამაში საოცრად წარმატც სურათს ჰქმნიდა. გეგონებოდათ, თასი მხატვრის ფუნჯი შებმია ბუნებას და მისი სურათი ამ ვეებერთელა ხალიჩაზე გადაუტანიაო.

ყოველთვის, როდესაც აქეთ გამოემართებოდა გიორგი, თითქოს ძალა ემატებოდა მუხლებში, რალაც იდუმალი ხმა ეძახოდა, მილარისაკენ, შირაქისაკენ, ალაზნისაკენ, ძმობილო!

სწორედ შირაქში და ალაზნის ველზეა განლაგებული მეფრინველეობის, მეძროხეობისა და მელორეობის ფერმები. იმ დღესაც აქეთ მოდიოდა გიორგი.

როგორც კი გამოჩნდა მილარის მზისაგან გაფიცებული მიდამოები, გიორგი გაიბრუნა. ჯერ ისე ფიქრებში იყო წასული, როცა მანქანა შეჩერდა. ყურში ზაქების ყროყინი ჩაესმა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. უკვე მილარში იყო. მწყემსებს ალაზნიდან ფურკამეჩები ამოერეკათ და ბოძებზე მიემათ, ქალები ხელმარდად წველიდნენ. რძის სასიამოვნო ჩხრიალი ისმოდა. გოგონებს საესე კასრები იჭვე ახლოს, პატარა ფარდულში შეჭკონდათ და რძეს სეპერატორში ასხამდნენ, ხოლო ორი ახალგაზრდა, სეპერატორის ბორბალს აბრუნებდა გადამუშავების შემდეგ იქიდან მიღებულ არაყანს თეთრი თუნუქის დიდრონ სარძევეებში ასხამდა. უზაქოდ წველას მიუჩვეველ ფურკამეჩებთან ზაქები მიეყვანათ. კამეჩი ლოკავდა, ეფე-

რებოდა ზაქს და წელში აღწურველად, თავისუფლად ნებდებოდა მწველავებს.

ძალზე მდიდარია ეს კოლმეურნეობა. ცხრა ათასი ცხვარი ჰყავს მას, ორი ათასზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან სამასთბუთმეტი ძროხა, ასოთხმოცდახუთი ფურ-კამეჩი, ხარები, ბულები, ხბორები; ამას გარდა ცხენები, ათასი სული ღორი, თერთმეტი ათასი ფრთა ფრინველი, რვა ათასი ფრთა წიწილა და კიდევ რამდენი რამ. ახლა არ იკითხავთ, ამდენ სულ პირუტყვისა და ფრინველს რამდენი საკვები უნდა? მათთვის სამი ათას ხუთასი ჰექტარი მიწა აქვს გამოყოფილი კოლმეურნეობას. ჰოდა, რამდენი ზრუნვა სჭირდება დიდსა და პატარას, უფროსსა და უმცროსს, რომ ამოდენა დოვლათს მოუარონ, პირუტყვის საქმელი არ მოაკლონ და მუშაობა მეცნიერულ საფუძველზე წარმართონ.



შირაქის ბოლოს, მთის დაფენებაზე, ადგილზე, რომელსაც ჩანკაანს ეძახიან, დიდი ორსართულიანი სახლი დგას. მისგან ცოტა მოშორებით, გრძლად გაწოლილი სამი შენობაა აგებული, სამივე კვიტკირისაა, მათში ფურ-კამეჩების, ზაქების და ღორების საზამთრო სადგომებია. ერთ ბრიგადას მთის ძირი აურჩევიდა და იქ დაუდგამს ბოსელი. ფერმის ამ შენობების ახლოს მწველავების და მწყემსების საცხოვრებელი ბინებია მოწყობილი. სახლები მაღალ სათიბებშია ჩაფლული. დასანანი, რომ ამ საცხოვრებელი სახლების ირგვლივ ხეებს ვერ დაინახავთ. არც მათ წინ გადაშლილ მინდორშია ხეხილი. არ გაიხარებსო, ვერაფერ იტყვის, რადგან ორსართულიანი შენობის წინ, ბოსელთან, კუთხეში შესანიშნავად გახარებული, მწვანეთლიანი, ქოლგასავით ტოტებგაშლილი ხურმის ხე ისეთ საამო ჩრდილსა ფენს, რომ სიცხისაგან გულგათანგული ადამიანები სდამოვნებით იბრუნებენ სულს მის ჩეროში. თაკარა მზეს მარტო ადა-

მიანებისათვის კი არა, ბალახებისა და ცხოველებისთვისაც ცხარეულდენ დაუყენებია.

გიორგის გამოჩენაზე ფერმა ახმაურდა. საწარმოო პრაქტიკაზე ჩამოსული სტუდენტებიც გამოცვივდნენ მელორეობის ფერმიდან, სადაც ისინი საკვებად მოტანილ ქერს ანიაგებდნენ.

გიორგის თავიდანვე შეარქვეს ეს მეტსახელი — მეცნიერი. არც შემეცდარან: ჯერ იყო და, სანამ კოლმეურნეობაში გადმოვიდოდა სამუშაოდ, ინსტიტუტის დასაყრდენ პუნქტში გამოიჩინა თავი როგორც დაკვირვებულმა, დინჯმა ახალგაზრდამ; შემდეგ იყო და, როდესაც ამ კოლმეურნეობაში დანიშნეს უფროს ზოოტექნიკოსად, მოსკლისთანავე სულ მეკამეჩოების ფერმაში ტრიალებდა, რაღაც ცდებს აწარმოებდა. ჩაჰკირკიტებდა, ათასჯერ გადაფურცლავდა მაგარ ყდაში ჩასმულ სქელ წიგნს, ქალაღზე უცნობ ნიშნებს აკეთებდა, ხან ფურ-კამეჩს ხატავდა და ხან ზაქს, ხან კი ციფრებით აქრელებულ ქალაღს მწველავებსა და მეზაქეებს აძლევდა და შემდეგ ისევ ზაქებიან გარბოდა.

გიორგისთან ძალიან ხშირად ჩამოდიოდნენ მეცხოველეობის დარგის მუშაკები. მათ ძალზე აინტერესებდათ მეკამეჩოების დარგში გიორგის უშუალო დაკვირვებანი, მისი ცდების შედეგები. გიორგის დღენიადაგ ტანჯავდა ის აზრი, რომ ფუკი ოდესღაც ქიზიყს კამბეჩოვანს ეძახდნენ კამეჩის სიმრავლის გამო, ახლა რად უნდა გადაეარდეს მისი ხსენებო. მერე, რა დიდებული პირობებია ამ პირუტყვის მოსაშენებლად: ირგვლივ სათიბები, საძოვრები, ნაირ-ნაირი ბალახები, აგერ სულ ახლოს, ცხვირწინ — ალაზანი, შერევე შიგ ევ დალოცვილი ფურ-კამეჩი, იცოხნის და იცოხნის, ჩაიყენებს რძეს ცურებში. გასულ წელს ათასის მაგიერ ათას სამასი ლიტრი რძე მოგვცა თვითეულმა ფერმა. ახლა მისი ცხიმი იკითხე, ბევრად აღმატება ძროხის რძის ცხიმს! ახლა მის რძეს, ყველს, კარაქს, მაწონს არ იკითხავთ, რა გემონია? გემრიელი, მაგრამ როგორი გემ-

რიელი, ჰოდა, გვეპატიება, რომ მეკამე-
ჩეობას ჯეროვან ყურადღებას არ ვაქ-
ცივდეთ? — ამბობს გიორგი და თან
თვალს არ ამორებს ველზე გამოშლილ
ფურ-კამეჩს.

როცა გიორგი დალაქიშვილმა ახლად-
შობილი ზაქები მოაშორა დედებს და
მათთვის საგანგებოდ მიჩნეულ ბინაში
მოათავსა, მელიტონმა გაკვირვებული
სახე მიიღო.

— ცოდონი არიან, გიორგი, ცოდონა,
დედებთან იყვენ, თორემ დაიხოცებიან,
ეგ უბედურები! — სხბრალულით წარ-
მოთქვა მელიტონმა.

გიორგის ისედაც მიმზიდველსა და
სანდომიან სახეზე ღიმილმა გადაურბი-
ნა. როცა ზოოტექნიკოსმა პასუხი დაუ-
გვიანა, მელიტონი უფრო შეშფოთდა;
პატარა ზაქი, თოთო ბატკანივით ხელში
აიყვანა და გიორგის მიჰგვარა, თანაც
ცხოველს პაწაწკინტელა რძეშეუშრობ
ტუჩებზე ეფერებოდა.

— მელიტონ, დამიჯერე, ეგრე მოი-
ქეც, როგორც მე გეუბნები, — ბოლოს
ამოიღო ხმა გიორგიმ, — ისე ჰკვებე ზა-
ქი, როგორც შავ ქაღალდში გიწერია და
მერე ვნახოთ.

— რა ვნახოთ, კაცო?..

— ცოდოაო, რომ იძახი, რაც მანდ
წერია, ზუსტად შემისრულე, არაფერი
დააკლო და არც არაფერი გადააჭარბო
და მერე ვნახოთ, მოკვდება თუ არა! —
მტკიცე დავალება მისცა გიორგიმ მე-
ზაქეს.

გიორგი დიდ სამეცნიერო-კვლევით
მუშაობას ეწევა მეკამეჩეობის ფერმა-
ში. ცხრაასორმოცდათორმეტი წლიდან
მან ზაქების გამოზრდის ახალი წესი შე-
მოიღო: ის ყოველ წელს ზაქებს ამო-
რებს თავიანთ დედებს, ცალკე ათავსებს
მათ და ჰკვებავს საგანგებოდ შედგენი-
ლი, განსაზღვრული რაციონით.

ზაქების გამოზრდის ასეთმა წესმა
ჯერჯერობით კარგი შედეგი გამოიღო.
ერთი წლის ასაკამდე ზაქის წონა ორას-

ორმოცდაათიდან სამასოც კილოგრამამდე აღწევს.

მაგრამ ამაზე როდი შეჩერდა გიორგი,
ერთ მშვენიერ დღეს მელიტონს კვლავ
გამოუძახა. მელიტონი მოსწავლესა-
ვით წარსდგა ზოოტექნიკოსის წინაშე.
წვრილზე წვრილი, ჰროდა თვალები
დავალების მოლოდინში უცნაურად
აახამხამა. გიორგიმ აღერსით შეხედა
და უთხრა:

— მელიტონ, ზაქები დაიხოცნენ?

— რას ამბობ, გიორგი, დაიხოცნენ კი
არა, ავ თვალს არ დაენახებებიან.

— მაშ რატომ არ გჯეროდა ჩემი?

— ეჰ, ეგ კი ვერ მომივიდა კარგად.
მაგრამ დავალება ხომ ზუსტად შეგის-
რულე? — მხიარულად უპასუხა მელი-
ტონმა და შემდეგ თავის უქამრო ხალათ-
ზე დაიხედა. ხალათი მთლიანად დაფა-
რული იყო რძის შეხეფებით.

— აბა, მელიტონ, ახლა სხვა რამეს
გეტყვი და ისიც უნდა შემისრულო!

— ალბათ კიდევ რაღაც უცნაური
რამ მოგივიდა თავში, გიორგი!

— უცნაური რათა, ძმობილო? შენ
მამინაც აგრე ამბობდი, როცა ზაქები
მოვაშორე დედებს. აკი ახლა შენც დაი-
ნახე, რომ მე მამინ მართალი ვიყავი.
აგრე არ არის, ამოიღე, კაცო, ხმა!

— ეგ აგრეა, გიორგი, თქვი, რა გინ-
დოდა? — მოუთმენლად შესძახა მელი-
ტონმა ზოოტექნიკოსს.

— სამი ხბო, რომლებსაც ბიჭიკო ბე-
ნაშვილი მოგიყვანს მეძროხეობის ფერ-
მიდან, ზაქების სადგომში, ცალკე ტი-
ხარში მოათავსე, ძირს ნედლი ბალახი
დაუყარე და, როგორც მე გეტყვი, ისე
კვებე კამეჩის რძით... გესმის?!

— რაო, კამეჩის რძითო? — გაიოცა
მელიტონმა.

მილარში ზაქებისა და ხბორებისათვის
საგანგებოდ მოაწყეს სადგომი. იგი არც
კარავს ჰგავს და არც ფარდულს. სადგო-
მი მუხისა და რცხილის ფოთლოვანი
რტოებით გადახურეს, ირგვლივ ერთი
მეტრის სიმაღლეზე ფიცრის კედელი

გაუკეთეს. სადგომი ისეთს შემალელებულ ადგილასაა გაშენებული, რომ ნიავე შეუნელებლად ჰქრის.

მელიტონმა ორი ხბო ცალკე მოათავსა, საბუღე კი — ორ ზაქთან. ცივი წყალი მუდამ აქვს მელიტონს ბაკში: როგორც კი გახურდება მიწა, მაშინვე წყალს ასხურებს.

იმ ცდებს, რომლებსაც გიორგი ახდენს, გასაკვირველი შედეგი მოჰყვება. აი, შეხედეთ, მართლაც ნამდვილი საოცრებაა: მელიტონმა ტიხარში გვერდიგვერდზე მიწოლილი „წიწო“ და „ლიზა“ წამოაყენა. ორივე თითქმის თანატოლები არიან, ექვს-ექვსი თვისანი. მაგრამ განა სამ წელზე ნაკლებს მისცემს მათ ვინმე? რამისმალღენი არიან! ჭბძეები დეკეულებივით დაგრძელებიათ და დამსხვავლებიათ. თვალი ვერ მოგიშორებიათ შოლტევით მოშვილდულ „წიწოსა“ და „ლიზასათვის“. კამეჩის რძეს, რომელსაც გაცილებით მეტი ცხიმი აქვს, ვიდრე ძროხისას, სამშაგად დაუჩქარებია ხბორების ზრდა.

ახლა მათ გვარსა და ჯიშს არ იკითხავეთ? ადგილობრივი და შვიცის ჯიშის ნაჯვარები არიან, ასსამოც კილოგრამს იწონის თვითეული. ხევსურული ჯიშის ძროხას ახლა ქარბობენ.



შუაღლე იყო, მზე ისე მაგრად აცხუნებდა, თითქოს მალლიდან მდულარე წყალი გადმოღვარეს ალაზნის ველზეო. ფურკამეჩები წყალში ნებივრობდნენ, ზოგს რქები მოუჩანდა, ზოგს მხოლოდ ტუჩი და ზოგს კი ზურგი. გიორგი თვითეულს თავის სახელს ეძახდა; როცა მან ამ სანახაობით გული მოიჯერა, იქვე, გრძლად გაწოლილ ქვიტყირის შენობას მარჯვნიდან შემოუარა, წყლით სავსე ცემენტის გრძელ ლართან შედგა. ლარის თავთან დიდი ონკანი იყო. წყალი შორიდან გამოეყვანათ. ონკანთან განუწყვეტლივ მოდიოდნენ კასრებით სავსე მანქანები და შემდეგ ზოგი ალაზნი-

საკენ და ზოგი შორს, თვალუწყდენული ვენახებისაკენ მიჰქროდა.

ლარის ირგვლივ ქალები თერთრულს რეცხავდნენ და ბალახზე აფენდნენ. პატარა ბიჭები ლარში იდგნენ, ჰყუმალაობდნენ, ზოგს წყალი ჭიპამდის სწვდებოდა, ზოგს მკერდამდის, ხოლო სულ პატარებს — ყელამდის. ერთ ახალგაზრდა ქალს ცხრა თვის ჩვილი ბალოი მოეყვანა, ლარში ებანავებინა და შიშველი დაესვა მზეზე. როცა გიორგიმ შეხედა მას, ბავშვის დედას გაკვირვებით უთხრა:

— ქალო, რად ხრტყავ ამ ბავშვს მზეზე, არ გეცოდება?

— არა უშვას-რა, შეჩვეულია.

— რას ამბობ, დედაკაცო, მზე დაკრავს და ბავშვი დაიღუპება. წააფარე რაიმე, ასე გაგონილა?

კიდევ რალაცის თქმას აპირებდა გიორგი, მაგრამ ანაზღვეულად გაფითრდა, თვლებში თითქო ბინდი ჩაუდგა, ძლივს მიაღწია შენობამდე და ულონოდ მიეყრდნო ქვიტყირის კედელს.

იქ მყოფნი გაოცებულნი შესცქეროდნენ გიორგის, ვერ მიმხვდარიყვნენ რა მოსდიოდა მას.

მარტში გიორგის ერთადერთი ბიჭი, პაწია ვახტანგი მოულოდნელად გახდომოდა ავად. ბავშვი იწვოდა, სიცხე არ ნელდებოდა. მეორე ღამეს, როდესაც ვახტანგი ჭბძუს სწოვდა, თვლები უცნაურად გადაატრიალა, ხელები გაასავსავა და დაუცვენსავად გაქვევდა. კინალამ გადაირია გიორგი, ჯერ ყურში სწვდა ბავშვს, ყურის ძირები მაგრად დაუსრისა, მაგრამ ვერაფერს რომ ვერ გრძნობდა პატარა, გიორგიმ მაშინ თვალის ზედა ქუთუთოები აუწია და დაინახა თვალბუცი სიცოცხლე ჩამქარაიყო; მაშინ შემოიკრა თავში ხელი. შემდეგ აღარაფერი ახსოვს გიორგის, რა ხდებოდა მის სახლში...

— თუ ღმერთი გწამს, სადმე წაიყვანე ეს ბავშვი! — კიდევ მიმართა ახალგაზრდა ქალს. ის ქალი, რომელმაც არ იცოდა გიორგის უბედურების ამბავი, თოფნაკრავივით მიბრუნდა, ბავშვს ხე-

ლი დასტაცა და იჭაურობას ნაწყენი გაეცალა.

გიორგიმ ერთხელ კიდევ გახედა მინდორში ქალს, ბავშვებს მიუბრუნდა, წყლით სავსე ღარში რომ კუყუშალობდნენ. დიდხანს, დიდხანს უყურა მათ და თავისთვის თქვა, რა იქნებოდა, რომ ჩემს ბიჭსაც ეცხოვრა ამ ქვეყანაზეო.



ეზოში გიორგი დიდხანს აღარ გაჩერებულა: ის მალე ფერმის მუშაკათვის ააგებულ შენობისაკენ გაემართა. სარდიონიც თან გაჰყვა, იმ ოთახში, სადაც სარდიონის სამუშაო კაბინეტი იყო, კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ფურ-კამეჩების წველაობას და რძის ნაწარმის რაოდენობას ამოწმებდა, ციფრებს ერთმანეთს ადარებდა და გაფაციკებით ფურცლავდა დაეთარ-წიგნებს, გიორგიმაც გადახედა ციფრებს და მერე აივანზე გამოვიდა.

აივანი გრძელი და ფართო იყო. აქედან მომხიბლავი სანახაობა იშლებოდა. ყველანი ხარბად უცქერდნენ წინ გადაჭიმულ ველ-მინდვრებს, ლურჯად მოზიშინებულ სიმინდის ყანებს, ხორბლის მკასა და ბალახის თიბვას.

წინ, უფრო შორს, ტყით შემოსილი ალაზნის ხეობა ოაზისივით გაწოლილიყო; შორს, დაღესტნის მთები ბამბასავით თეთრ ღრუბლებში ხან თავს გამოჰყოფდნენ და მთელი ტანით აღიმართებოდნენ, ხან კი ღრუბლებში იმალებოდნენ. აივანზე მყოფნი მკერდს იღვლავდნენ და საამო ნიავეთ გულს იგრილებდნენ. სამუშაო კაბინეტის გასწვრივ ორი დიდი ოთახი იყო. ერთში სტუდენტები ცხოვრობდნენ, მეორეში — ბრიგადირები.

მალე გიორგის ირგვლივ სტუდენტები მოგროვდნენ. ცხრა სტუდენტს შორის ორი ქალი იყო; ისინი აქ ცხოვრობდნენ როგორც და-ძმანი; ქალიშვილები ვაეებს საკმელს უმზადებდნენ. ტანსაც-

მელს უუთოვებდნენ, აჭაურობას გვიდნენ და ალაგებდნენ.

ახლა იმიტომ შემოგვხვდნენ სტუდენტები გიორგის, რომ ორი დღის მანძილზე წამოჭრილი საკითხების განმარტება ეთხოვათ მისთვის, მაგრამ უცებ მელიტონის შეძახილი მოისმა:

— ბიჭებო, თავმჯდომარე მოვიდა, თავმჯდომარე!

ნიკო ყოჩიაშვილი ისე ფეხაკრებით ამოსულიყო კიბეებზე, რომ ვერაფერი გაიგეს. ნიკო შირაქში მიეშურებოდა, მაგრამ გზაზე მანქანა გაუჩერდა; სანამ შოფერი შეაკეთებდა და ააწყობდა, ნიკომ აქ შემოიარა.

თავმჯდომარეს სახე ისე გაწითლებოდა, რომ იფიქრებდით სულ ფეხით უვლია ჯაფარიძიდანაო. „ჩვენი კამეჩების არ იყოს, ზაფხულში სიცხეს ვერ ვიტან, ზამთარში სიციფეს“, იხუმრა თავმჯდომარემ.

იმ დღეს მართლაც საშინელი სიცხე იყო. ახალმოსულმა წყალი მოითხოვა, პატარა ბიჭმა ცივი წყლით სავსე დოქი მოურბენინა, ნიკომ დალია და მერე გიორგის მიუბრუნდა:

— აბა, ახლა თქვენი ნაპატივები ხბორები ვნახოთ... რამდენი მოიმატეს წონაში და სიმაღლეში?

როცა ბოსლების დათვლიერებას მოჩნენ, ხურმის ჩრდილში დასხდნენ.

ღრმად დაფიქრებულ ნიკოს თითქოს ჩასთვლიდა, ერთი წუთით თვალები მიელულა. მერე ისევ უეცრად გაახილა და გიორგის რაღაც გადაუჩურჩულა. სტუდენტები შორიახლოს მოთავსდნენ.

— გამოფენის საქმე როგორ არის, ამხანაგო ნიკო? — ჰკითხა თავის მხრივ დალაქიშვილმა.

— სწორედ ამიტომაც შემოვიარე დღეს. უნდა მოგილოცოთ, ამხანაგებო, მესამედ მივდივართ მოსკოვში...

— მართლა?

— მაშ, მესამეჯერ არა!..

როდესაც ნიკოს ამდენი გაბრწყინებული თვალები ერთად შეეფეთნენ, ხმა-მალა იკითხა:

— რათ გიყვირო, ბიჭებო, განა არ მოელოდით?

— როგორ არა, მაგრამ...

— რა მაგრამ, გვეკუთვნის და კიდევაც წავალთ. რაც არ გვეკუთვნის ვინ რას მოგვეცემს! ასე არ არის, გიორგი?

ირგვლივ ყველა ერთად აღაპარაკდა. უხაროდით. თავიანთ აღტაცებას ხმა-მალა გამოსთქვამდნენ.

უკვე საღამოს ბინდ-ბუნდი დაეფინა ალაზნის ველს. დღის მწველი აღმური, ღამის საამო სიომ შესცვალა. ბორასაგან განაწამები ცხენები ველზე გაიშალნენ და ხარბად დაეწაფნენ ცვრიან ბალახს.

კახეთის კაშკაშა ცა ბადრ მთვარეს გაებრწყინებინა. ვარსკვლავებსაც თავი გამოედოთ და ისე ციმციმებდნენ, თითქოს ისინიც ამ ბარაქით სავსე ქვეყანას დაჰხარაინონ.

ყველას ეძინა.

არ ეძინა მარტო გიორგის. ის გაჰყურებდა ვარსკვლავებით აბრიალებულ ცის გუმბათს და მისი ფიქრები მოსკოვისაკენ მოჰქროდნენ.

ფიქრში ის შორიდან ხედავდა კრემლის ლალის ვარსკვლავებს.

*
*
*

ქერისა და პურის სამკელად გასვლის წინა ღამეს ნიკო ყოჩიაშვილის სამუშაო კაბინეტი საბრძოლო შტაბს მოგაგონებდათ. თვით ნიკო დავვიანებით დაბრუნებულიყო ყანებიდან. მთელი დღე უსმელ-უძმელი ველო თავისი „ვილი-სით“ ხან ტარიბანაში, ხან ქვეშიანთ წყალზე, ხან ენამთაში და უფრო დიდ-ხანს კი შირაქში. აგრონომთან ერთად პურის ყოველი ნაკვეთი შეემოწმებინა. მათი სიმწიფის დასადასტურებლად თვითელი ბრიგადის ყოველი ფართობიდან თითო ბლუჯა პურის ნამჯა მოეტანა და მაგიდაზე დაეწყო. ოთახში მწიფე ხორბლისა და ბალახის სუნი იდგა. სავსე თავთავები ხელის ოდნავი წაკარებისთანავე იფშვნებოდა და მარცვლები მაგიდაზე ცვივოდა. ეტყობოდა,

ბევრს მოესინჯა ხორბლის სიმწიფე, ქარვისფერი მარცვლები იატაკზედაც მიმოფანტულიყო.

რაკი პური მოუმკელობას ვერ ითმენდა, ნიკოს წინა დღესვე გადაეწყვიტათ რომელი ნაკვეთიდან დაეწყო მკა. სამი დღის წინ მასზე მიმაგრებული თოთხმეტი ახალ-ახალი კომბაინი მემინდვრეობის ბრიგადირებისათვის გაენაწილებინა.

ბრიგადირებს თავმჯდომარის კაბინეტთან მოეყარათ თავი. სავსე ჩანთებიდან ბლოკნოტებს იღებდნენ, ფანქრით რაღაცას ინიშნავდნენ. ასეთი მზადება ყველაზე უფრო ალექსანდრე ტოკლიკიშვილს ეტყობოდა, სავსე ჩანთაც შევნოდა, წვრილი და ქროლა თვალები საოცრად უბრწყინავდა, სულ მიდიმოდიოდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, ახლად-არჩეული ბრიგადირი იყო და ამიტომ თუ ღელავდა.

ბრიგადირებს ბევრი ლაპარაკი არ გაუბამთ ნიკოსთან, მაშინვე დარბაზში გავიდნენ. იქ ყველას თავთავიანთი მერგოლურები დახვდათ. მერგოლურებმა გადაწყვიტეს იმ წუთშივე მოსდებოდნენ სოფელს, მაგრამ ამ დროს ნიკო გამოვიდა კაბინეტიდან და შეაჩერა ისინი:

— ხვალ მკას ვიწყებთ, დილის ხუთი საათიდან შინ არავინ დარჩეს. რაც ამდენხანს ვიშრომეთ, ყველაფერი წყალში ჩაგვიცვივა, თუ ათ დღეში მოსავალი არ დავაბინავებ ბელელში, მოსავალი კი ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ძალიან კარგია, ბავშვებიან ქალებს საღამაობით სახლებში დააბრუნებთ, დანარჩენები მკის დამთავრებამდე კალოეზზე უნდა დარჩნენ, ცოტა შრომა რიდი მოგველის — დაამთავრა თავისი მოკლე სიტყვა და ისევ კაბინეტში შევიდა.

ერთი წუთის შემდეგ ხალხით გაქედელ დარბაზში ერთ კაცსაც ვერ ნახავდით. ნიკოსთან მხოლოდ იასონ თეთვადე და გიორგი დალაქიშვილი დარჩენილიყვნენ. ისინიც წასასვლელად ემზადებოდნენ, რომ ამ დროს კაბინეტში კანტორის დარაჯმა სოსომ შემოყო თავი.

— რა გინდა, ბიჭო?! — გასძახა მას ნიკომ.

— არაფერი, მინდოდა, მეთხოვნა, სადაც თქვენ იქნებოდით, მეც იქ წამოვსულიყავი!

ნიკომ ჯერ ამხანაგებს გადახედა, ჩაიციხა და შემდეგ სოსოს მიუბრუნდა.

— შე ხვალ ერთ ადგილას კი არა, ყველგან ვიქნები, მერე და შენც უკან უნდა მდიო?

— მაგას როდი ვამბობ, ნიკო, მე რომელიმე ფართობში, ჩემს მეზობლებთან მინდა ვიყო მკამი.

— ეგ არ შეიძლება, ჩემო სოსო, შენ აქ დარჩები, ჩემს კაბინეტში იქნები!

იასონს ახლა მოაგონდა ადრე ნათქვამი:

— რა მაგის პასუხია და, ჩემო ნიკო, მე დღეს მთელი ფართობები შემოვიარე და, მგონი შენ ცოტა აჩქარდი, ყველგან როდია პური და ქერი სამკული, ზოგან, მაგალითად, ტარიბანაში და განსაკუთრებით ენამთაში ჯერ კიდევ ლურჯი ფერი აქვს ხორბალს, არ აჯობებდა დაგვეცადნა?

— არ აჯობებდა! — მტკიცედ უპასუხა ნიკომ.

— რათა, ძმობილო?

— იმისათვის, რომ ხორბალი უკვე მწიფეა, ტარიბანასა და ენამთაში შენ თუ იყავი, მეც ვიყავი, პოდა იქაც სამკელია. როგორ ფიქრობ, სანამ უნდა ვუცადოთ, აქა-იქ თუ ლურჯი ფერი აქვს? ამასობაში მარცვალი ჩაცვივა და მერე უყარე კაკალი, არამცდარამც, ითქვა და გათავდა, აბა, შეხედე ამ ნამგას, ენამთიდან არ მოვიტანე დღეს? მერე და, რა უგავს მოსაცდელს? შეხედე, როგორ ცვივა მარცვალი?

იასონმა თაფლისფერი თვალები პირდაპირ ნიკოს მიანათა და მორიდებულად უთხრა:

— კი არ გედავები, ჩემო ნიკო, არამედ ფიქრობ, ხომ არ აჯობებდა კიდევ რამდენიმე დღე დაგვეცადა-მეთქი, მაგრამ რაკი შენ ასე გსურს, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, დავიწყეთ მკა, ხალხი ისედაც გაფრთხილებულია.

— მაინც რად ექვობ, იასონ? — ჩააცვიდა ნიკო მოადგილეს.

— არ ექვობ, მაგრამ შენ ხეში თვალთ ვნახე, რაც ვითხარი, ამას გარდა ტოკლიკიშვილმა, რომელსაც უმთავრესად სწორეთ ენამთაში აქვს ქერის ყანები, ხვალ მკის დაწყებაზე თავი შეიკავა.

— შენთან თავი შეიკავა და ჩემთან კი არა, რატომ არ ვითხრა, თავს თუ იკავებდა? ნიკო არა ბრახობდა, ცოტა ხმამალა, მაგრამ ამავე დროს ჩახლეჩილი ხმით ლაპარაკობდა. მერე იასონს მკლავში ხელი გაუყარა და უთხრა — წავიდეთ, გვიან არის, ხვალ დილით ფართობებში უნდა ვიყოთ!

უკვე ეზოში იყვნენ. ცაზე ერთი ნამცეცი ღრუბელიც არ ჩანდა. გაქათქათებულ მთვარეს მთლად გაენათებიანა არემარე.

იასონმა მალა აიხედა, ვარსკვლავებით მოქედილმა ცამ და მთვარის ნათელმა შუქმა გულში სიამე აგრძნობინა.

— ვაჰ, რა საკალოო ღამეა, ბიჭებო?!..

— აბა, აბა, მართლაც რა საკალოო ღამეა! — დემოწმენ იასონს ნიკო და გიორგი.

ტარიბანაში ორ ფართოდ გაშლილ ადგილას კარვები გაეშალათ და კალოები მოეწყათ. ხანდაზმულ ქალებს სახელდახელოდ გაჩაღებულ ცეცხლზე ქვაბები შემოედგათ და კომბაინის მომსახურე მუშებისათვის სადილს ამზადებდნენ, ზოგნი კი, მათ შორის უფრო ახალგაზრდები, ახლად გალუწილ ქერსა და პურს კალოზე შლიდნენ, ანიავებდნენ და ამუეურებდნენ. რამდენიმე სახეგარუჯული, თეთრწვერა მოხუცი კარვების სახურავებს სულანურას ძნებს უმატებდა, მაგრამ ტრიალ მინდორზე ისე უშენდა მზე თავის მხურვალე სხივებს, რომ გეგონებოდათ, სადღაც ხანძარი გაჩენილა და ცაში ავარდნილი ალი იჭაურობას გადაბუგვას უპირებსო.

ვერც ის მუხისა და რცხილის შეფოთ-
ლილი ტოტები და ვერც მუქლურჯი
ლორთქო სუდანურას ძნები და ვერც
ახლად მოთიბული ბალახი ვერაფერს
შველოდა. მწველი სხივები სახურავში
ისრებივით ატანდნენ და კარავში საში-
ნელი, აუტანელი სიციხე იდგა, ამიტომ
კალოზე მომუშავენი ცოტა ხანს შიგ
რომ ჩაიმუხლებდნენ, სულ მალე გარეთ
გამოვარდებოდნენ ხოლმე და სანამ ფიწ-
ლით აანიავებდნენ ქერისა და პურის
უშველებელ მთას, მანამ, იქვე მის წინ
დიდი ონკანიდან მოჩხრიალე წყალთან
მივარდებოდნენ, სულს მოიბრუნებდნენ
და შემდეგ ისევ მზეში შლიდნენ ოქრო-
სავით მარცვლებს.

კომბაინერებს სწორედ გუშინ დილათ
გაეპრათ ტყესავით სქელი ქერის ყანა
სამ ადგილას და ერთმანეთს მკასა და
ლეწვაში ეჯიბრებოდნენ. ქერის ზომავზე
მეტად გადამწიფების გამო ბრიგადირი
შალვა ღვინიაშვილი ძალზე გამწარებუ-
ლი იყო, მაგრამ კომბაინერების სამკედ-
რო-სასიცოცხლო შებმას რომ უყურებ-
და, გულში იმედი ესახებოდა და ქალებ-
სა და მამაკაცებს კალოსაკენ მიუძღვო-
და. ისე ფართო და განიერი იყო კალო,
რომ აღამიანს ფეხბურთის კარგად მო-
ბეკინილ მოედანს მოაგონებდა. ამ დიდს
საჭირნახულო ტაფობზე მანქანებს გა-
ნუწყვეტილვ მოჰქონდათ ახლად განა-
ლეწი ქერი.

კალოს წინ გაშლილ მინდორს ორი
ათასი ფრთა თეთრი ქათამი დასეოდა და
გამალებით კენკავდა მიმოფანტულ მარ-
ცვლებს.

უცებ მანქანის გუგუნი შემოესმათ,
მაგრამ ეს ხმა იმდენად ყურადღების მი-
საკცევი არ იყო, რამდენადაც ქათმების
კრიახი. მანქანის შემოსრიალებაზე დამ-
ფრთხალი ქათმები და წიწილები ფერ-
მის საზაფხულო სადგომის გრძელ შენო-
ბას ოთხივე მხრიდან ისე მიაწყდნენ,
თითქოს ათასი ქორი დასხმიათო.

იასონმა კალოზე მომუშავეებს საერ-
თო სალაში მისცა. შალვა ღვინიაშვილს
შეეკითხა, რამდენი ცენტნერი გამოვიდა
თვითველ ჰექტარზეო.

შალვას ამ კითხვაზე ღიღხანს არ გაუ-
ცია პასუხი, იასონს კი სჭყუქამქლამქს-
მენა არ სურდა, ამიტომ ჩამამაჯულმა გაუ-
მეორა:

— რა ენა დაგება, ბიჭო, თქვი, რო-
გორი გამოსავალია! — წინასწარ აღძრუ-
ლი ექვი თუ შიში ახლა იასონს სინამ-
ღვილედ ეჩვენებოდა.

— ას ჰექტარზე სამოცდახუთი ცენტ-
ნერი ქერი გამოვიდა, ისიც სულ დახ-
რულ-დასურსნულია თავვეებისაგან! —
უპასუხა შალვამ და თავი ქირისუფალი-
ვით ჩაჰკიდა.

— ესე იგი იმდენი გამოვიდა, რამდე-
ნიც ხუთ ჰექტარზე უნდა მიგველო, არა?
შეუძლებელია, დაუჯერებელია! — უაზ-
როდ იმეორებდა იასონი.



შირაქში, ენამთაში და განსაკუთრე-
ბით ტარიბანაში საშემოდგომო ნათე-
სებს თავგები შესეოდა. მათს ნაძოვარ-
ზე ჯეჯილი ვერ სუნთქავდა, ფესვი
საკვებს ვერ ღებულობდა და მცენარე
ილუპებოდა.

ამის გამო ნიკო ყოჩიაშვილს თბილი-
სის მთელი ენტომოლოგები და მცენა-
რეთა დაცვის სპეციალისტები შეეძრა,
ვის არ მოეყვანა, ვის არ ენახა თავვე-
ბით დაფარული ქერისა და პურის ლურ-
ჯად აღდანებული ჯეჯილები, მაგრამ
პირველ ხანებში მაინც ვერაფერს გამხ-
დარიყვნენ, თავგები ერთი ფართობიდან
მეორეზე გადადიოდნენ. მაშინ ყოჩია-
შვილს მთელი სოფელი დაეყენებინა
ფეხზე, ქულზე კაცს რომ იტყვიან, სწო-
რედ ისე მოქცეულიყო, ყველა მინდვ-
რებზე გაეყვანა. დარიშხანით შეწამ-
ლულ ხორბლის მარცვლებს ზეთში
ჩურჩხელებივით ავლებდნენ, სორობ-
თან ყრიდნენ,...

— აი, ზარალი! — წამოიძახა იასონმა
ყველას გასაგონად, მაგრამ როცა გონე-
ბის თვლით წარმოიდგინა ტარიბანაში
ჯერ კიდევ ზელმოუცილებელი პურის
ყანები, რომლებიც, როგორც იტყვიან,

ავ თვალს არ დაენახებოდა, დაასკვნა: ჯერ ხომ სხვა ნაკვეთებიდან პურის განალეწი არ მოუტანიათ, ჯერ ხომ ნიკოლოზ ნატროშვილის ფართობების შესახებ არაფერი ვიცით?!

როცა იასონმა გაიგო დანარჩენ ფართობებზე დიდი მოსავალი მოვიდაო, რომელიღაც მესხური სიმღერა ტკბილად ჩაილიღინა, საქართველოს რომელი კუთხის სიმღერა არ უნდა ეთქვა მას, მესხური მუდამ ძალდაუტანებლად მოადგებოდა სასიმღეროდ. ჯავახელ იასონისაგან ეს არავის უკვირდა.

იასონი ამ კოლმეურნეობის გამსხვილებამდე მისი თავმჯდომარე იყო, ხოლო, როდესაც სოფელმა ორი კოლმეურნეობა „შრომა“ და „წითელი ოქტომბერის“ გაერთიანება ისურვა, იასონი ახლადშექმნილი კოლმეურნეობის ახლად არჩეულ თავმჯდომარეს ნიკო ყოჩიაშვილს გვერდში ამოუდგა.

ახლაც, ტარიბანას ამ ფართოდ გადაქიმულ ველებში რომ მიდი-მოდის იასონი და ტკბილ მესხურ სიმღერას ღიღინებს, სულ იმის ფიქრშია, თუ რა გააკეთოს ისეთი, რაც მის კოლმეურნეობას რამეს შემატებს, ამიტომ, როცა მეზობელი სოფლის, შირხანის ნაკვეთებიდან ათასორასი ჰექტარი მიწა გადასცეს მათ დასამუშავებლად, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, უხაროდა, რომ ნიკომ ამის გამო ამ ახალ შემომატებულ ფართობების ერთს ორმოცდაათ ჰექტარიან ფარგალში ვაზის გაშენება გადაწყვიტა.

როგორც კარგ მოცურავეს წაიტყუებს სარკესავით გამჭვირვალე ზღვა, იასონიც ისე გადაეშვა მახლობელ პურის ყანაში. დაბალი ტანის კაცად არ ჩაითვლება იასონი, მაგრამ ყანაში რომ შევიდა, მთლად დაიმალა შიგ, თავი ძლივს დაუჩანდა. ხორბლის ერთი თავთავი მოგლიჯა, ფართო ხელის გულზე დაიფშვნა, სული შეუბერა, ჭერკლი ნიავს გაატანა და ხელის გულზე დარჩენილმა მარცვლებმა მზის სხივებზე ოქროსფრად იწყყეს ბზინვა. არა მარტო სულითა და გულით, არამედ მთელი არსებით გრძნობ-

და იასონი იმ მიწის ძალას, რომელმაც ჯერ კიდევ ბალობიდანვე მზარხა იგი შრომას, გარჯას, სიხარულს, მწესნარებასა და სიყვარულს. გრძნობდა ამას პურის თავთავებს შორის მყოფი და თითქოს ეს დალოცვილი მიწა ეწვეო, ვეღარ ახერხებდა ადგილიდან დაძვრას.

კომბაინების გუგუნმა იასონს ფიქრები გაუფანტა, გამოაფხიზლა.

აგერ სულ ახლოს მივიდნენ კომბაინები მაგრამ, თითქოს საგანგებოდ ჩაუწყდა ხმა სამივე მანქანას, თურმე დასვენების ზარს დაერეკა. წამიც და, ნამკალში შემოჭრილი მოტოციკლის ტაკანმა იქაურობა გააყრუა. მოტოციკლი სულ ახლოს გაჩერდა. იქიდან ერთი საშუალო ტანის, ჩასუქებული, ახოვანი, კარხალივით სახეანთებული, სიმწითეში ახლად შესული ვაჟკაცი გადმოვიდა. უცნობმა შავი სათვალე მოიხსნა და პირდაპირ იასონისაკენ გასწია.

•
•

მე მითხრეს, რომ ეს ახლადმოსული სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი დიმიტრი მიხას-ძე ღვინიაშვილი იყო. დიახ; მთავარი აგრონომი, მიხას-ძე... მიხას-ძე...

ამის გაგონებამ წუთით წარსულში გადამისროლა, ფიქრებში ჩავიძირე... ოცდაათი წელი, ოცდასამი მარტი, წითელი წყარო, აღელვებულ ზღვასავით ყალუზე შემდგარი ხალხი, მთავრობას დელეგაცია, მიტინგი, ცივი ქარი...

წინა დღით, როგორც შემოქედეს კომუნის მიმართ, წითელწყაროშიც ზოგერთებს კეტებით მიეტანათ იერიში კოლმეურნეობის წინააღმდეგ; კახეთში მყოფ მთავრობის დელეგაციას ეს ამბავი შეეტყო თუ არა, მაშინვე აქეთ წამოსულიყო.

დელეგაციის მანქანები თემკომის დაბალი შენობის წინ დადგა. ერთ-ერთი მანქანის კაბინიდან პირველად საშუალო ტანის, მთლად კლარა, გრძელწყვერიანი მოხუცი გადმოვიდა. უცნობს ძალზე

კრელი და მომწესხავი თვალები ჰქონდა, ნაცრისფერ კოსტუმზე ამავე ფერის ზამთრის პალტო ეცვა, მარჯვენა ხელში კორძიანი ბზის დიდი ჯოხი ეჭირა. მასში უცნაური ის იყო, რომ ამ ევროპულად ჩაცმულ, სანდომიანი სახის მოხუცს თავზე კეპი ეხურა, რაც იმის მიანიშნებელი იყო, რომ იგი თავის წლოვანებას არ უდებდა ტოლს.

ადგილობრივ მცხოვრებელთაგან იქ მაინცდამაინც ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ვინც იყო, ნელ-ნელა მიუახლოვდა და ბოლოს ალყასავით შემოერთდა ახლადმოსულთ.

თემკრემის შესავალთან ვიღაც კაცი გააგვიმულიყო. მას გვარდიელის მოლისფერი, გამოხუნებული მაზარა ეცვა. თავზე ბეწვიანი ბოხოხი ეხურა.

— ვინა ხარ შენ? — ბრაზით შეეკითხა მოხუცი.

— ჰმ, ვინ ვარო? მთავრობა ვარ, თქვენ თვითონ ვინა ხართ? — უკმეხად, ადგილიდან დაუძვრელად თქვა მან.

მოხუცმა ნერვიულად ჩამოისვა ხელი წვერებზე.

— რა გვარი ხარ? — თვალი თვალში გაუყარა კარში გააგვიმულს.

— მეე?

— დიახ, შენ!

— მე გახლავართ მიხა ლვინიაშვილი! — ამაყად წარმოთქვა მან. მოხუცს სიბრაზისაგან თვალებზე გადმოფენილი გრძელი წარბები ყალყზე დაუდგა.

ამ დროს თანმხლებ პირთაგან ერთმა ვერ მოითმინა და სწრაფად წამოიწია წინ, მაგრამ იგი უმაღლესე შეაჩერეს.

ფორე კიკილაშვილი — კოლმეურნეობის თავმჯდომარე — სწორედ მაშინ გამოჩნდა: მას თემკრემის მდივანი და საბჭოს თავმჯდომარეც მოყვნენ.

როგორ გაეცალა ლვინიაშვილი იქაურობას და როგორ გაერია მიტინგზე მოსულ გლეხებში, არავის შეუძინებია.

მთავრობის დელეგაციის გამოჩენაზე ყალყზე შემდგარი ხალხის ზღვა უცებ დაცხრა, ჯაისუსა. თეთრწყვერა მოხუცი საგანგებოდ გამზადებულ, შემადლებულ ადგილზე შედგა. ახლა სულ ილიმებოდა,

მისი ცოცხლად მოძრავი თვალები სულ ციმციმებდნენ.

მთავრობის

იგი ჯერ მხურვალედ მიესალმა წითელწყაროს მშრომლებს, ხოლო შემდეგ იმ გაუგებრობაზე ილაპარაკა, რომელიც ამ სოფლის მთლიან კოლექტივობაზე გადასვლისას მოხდა.

მიტინგზე ბევრი მწარე სიტყვა ითქვა. ზოგი მიხა ლვინიაშვილის ვზასაც დაადგა. რაც ყველაზე საგულისხმო იყო, კოლექტივიდან გამოსულებმა სასტიკი იერიში მიიტანეს ფორე კიკილაშვილზე.

მართალია, ფორე ორჯერ ჩამოაგდეს ტრიბუნიდან, მაგრამ მესამედ მაინც მოახერხა სიმართლის თქმა. ფორეს ბოლო სიტყვამ — „ჯაფარიძეში კოლმეურნეობა არის და კიდევაც დარჩება“ — ეს ზღვა ხალხი ორად გაყო, ერთნი „არ გვინდას“ იძახდნენ, ხოლო მეორენი ფორეს ეთახმებოდნენ...

მას შემდეგ ოცდაექვსმა გაზაფხულმა გაიარა. ალბათ მაშინ, როდესაც მიხა ლვინიაშვილი კოლექტივობის ხელკეტით შეხვდა, დიმიტრი, პირტიტეელი ბიჭი, ჯოხის ცხენს დააქენებდა, — ვფიქრობდი ამას და ჩემს გულში, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ბევრი კარგი რამ მითხრა იასონმა დიმიტრის შესახებ ჩემთვის ვთქვი: ისტორია ვრცელი ოკეანეა, რამდენ ხომალდს გაუსერავს იგი და გასულა აღთქმული ქვეყნის ნაპირას, და რამდენი დაღუპულა შიგ ღელვის დროს, ადამიანის ცხოვრებაც იმ ოკეანე-სავით უნაპიროდ გაშლილი დიდი ზღვაა, თანაც ისეთი უცნაური, რომ ზოგს ზევით ამოატივტივებს, ზოგს კი სულ ფსკერზე დაიყვანს, გაწირავს, ადრე თუ გვიან ჩაძირავს, ხოლო ხალხის ბედნიერებისათვის დატანჯულს, ჩაძირულიც რომ იყოს, ზევით ამოაგდებს, ზედაპირზე ამოატივტივებს, სულიერად გააცოცხლებს და ქვეყანას ალაპარაკებს, ისტორია ცხოვრების ის დიდი ფილტრია, რომელიც ხვეწავს და ასუფთავებს ადამიანის სულს, მის გონებას და მის გრძნობებს-მეთქი...

დიმიტრი, რომელსაც ერთი წუთის წინ გაოცებული შევყურებდი, ახლა

მოტოციკლით მიქრის ტარიბანას ველებზე. ერთხელ კიდევ გამოჩნდა იგი ვერხვის ფოთლებივით მოშრიალე პუჩრის ყანებში, იასონმაც თავისი საქმე მოითავა და მანქანაში ჩაჯდა. ახლა მის გულს სხვა წუხილი არა ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ჯერ ენამთაში და შემდეგ შირაქში მოესწრო იმ გახურებული მკისათვის, რომელიც მას თვალწინ ეხატებოდა ტარიბანას ველებზე.

მანქანა ისე სწრაფად გაქრა, რომ იქ დარჩენილებმა თვალის ვერ შეასწრეს. ნახევარი საათის შემდეგ, როდესაც ენამთაში ამოყვეს თავი, იასონს იქაც გახურებული მკა დახვდა. ალექსანდრე ტაკლიკაშვილს რახანია გაემართა კალო. ქალები იქაც, ისე, როგორც ტარიბანაში, ქერს ანიავებდნენ. როგორც გამოირკვა, თავებს ენამთაში დიდი ვერაფერი დაეკლოთ მოსავლისათვის, რაკი არავითარ შეფერხებას არა ჰქონდა ადგილი, იასონი დიდხანს არ გაჩერებულა მათთან, შირაქისაკენ გასწია.

შირაქში მართლაც დიდებული სანახაობა დაგვხვდა, მე მომეჩვენა ასე, თორემ იასონს რა გააკვირვებდა, განა არ იცოდა, რომ აქ მექანიზებული კალო იყო მოწყობილი? იცოდა და სწორედ ამიტომ არაფრად ჩაუგდია, რომ ხორბლის გაშენდა, დასუფთავება და მანქანების დატვირთვა მექანიზაციით ხდებოდა.

თოთხმეტი დღეამის ნახევრად უძილობის შემდეგ მხოლოდ წუხელ გამოეძინა ხეირიანად ნიკო ყოჩიაშვილს. ამის გამო ახლა ისეთი დამშვიდებული და დაწმენდილი სახე ჰქონდა, რომ იფიქრებდით, ამ ადამიანს თავის დღეში არ უმეშვანია და ძილიც არასოდეს არ დაჰკლებიაო.

მისი განწყობილება სოსო ჰავლიაშვილსაც გადასდებოდა, საქმე ჰქონდა თუ არა, ნიკოსთან შედიოდა და გამოდიოდა, ნიკო ისე აზრმიუცემლად ანგა-

რიშობდა რაღაცას, რომ ზოგჯერ მხოლოდ ცალი თვალთ ახედებდა სოსოს, მეორე თვალი კი ისევე მტკიცედ მიხაკენ გაუბრუნდა. მისი ფართო კაბინეტი ხალხით იყო სავსე. აქ დიმიტრისაც ნახავდით, იასონსაც, გიორგი დალაქიშვილსაც...

ფორემ შეჯგუფებული ხალხი ძლივს გაარღვია და კაბინეტის ღია კარს მიადგა. ყური მოჰკრა, რომ ნიკო წლებანდელ უხე მოსავალზე ესაუბრებოდა, თანასოფლელებს. ახლა კიდევ წაიწია წინ რამდენიმე ნაბიჯით და კაბინეტში შევიდა.

— მთელს რესპუბლიკაში პირველი ადგილი ჩვენია ხომ! — შეეკითხა ნიკოს კუთხეში მდგარი გიორგი დალაქიშვილი და თვალეზი ისე გაუბრწყინდა, თითქოს მის წინ ორი ათას ხუთას ჰექტარზე მიღებული ხორბალი ყოფილიყოს დახვევებული.

— ასე გამოდის... — გაუღიმა ყოჩიაშვილმაც და შემდეგ, თითქოს ახლა გაახსენდაო, განაგრძო, — ზოგ ფართობში ოცდაათი ცენტნერი და უფრო მეტიც მივიღეთ, მაგრამ მე მხოლოდ საშუალო მოსავალზე მოგახსენებთ...

— ქერი? — ხმა მიაწვდინა ფორემ.

— ქერი გასულ წელთან შედარებით ნაკლები მივიღეთ, ხოლო წლებანდელ გეგმას ორი ცენტნერი დააკლდა, სამაგიეროდ, ხორბალი გაცილებით მეტი მოვიწიეთ, — მიუგო ნიკომ საბჭოს თავმჯდომარეს და თან გაკვირვებით გადახვდა, — შენ რა, ფორე არ იცი, რამდენი მოვიდა, მე რომ შეკითხვიო?

— მამ რვა კოლოგრამი გავცინაწილებია შრომადღეზე და ეგ არის! — დაარღვია წუთიერი მყუდროება გიორგი დალაქიშვილმა.

— ისე თუ მოიქცეით, როგორც შარშან, რვას კი არა, ოთხსაც ვერ დაარიგებთ! — შენიშნა ვილაცამ.

ნიკომ თავი ასწია:

— მაინც რა გავაკეთებ გასულ წელს ისეთი? — იკითხა მან.

— ნიკო, რად ჯავრობ, შეილო, აბა თქვი რამდენი დაარიგე შარშან? — გაი-

მეორა იმავე ხმამ და ხელჯოხიანი ქალარა კაცი წინ წამოდგა.

— რად შეკითხები, თედო, განა შენ თვითონ არ იცი?!.. რაკი აგრე გსურს, ვიტყვი; გასულ წელს შრომადღეზე სამი კილო და ცხრაასი გრამი ხორბალი და ფულად ოთხხანევიარი მანეთი დავარიგეთ.

— მერე, რატომ მეტი არა?

— რა თქმა უნდა, მეტის განაწილება შეიძლებოდა, მაგრამ რა დასამალია, თქვენც კარგად იცით, ყველა ვალდებულებების გადაკრბებით შესრულების შემდეგ, სახელმწიფოს თავისუფალი შესყიდვის ანგარიშში ხორბალი კიდევ ზედმეტად ჩავაბარეთ დიდი რაოდენობით.

— სახელმწიფოს სკირდებოდა და ჩვენც ამიტომ ჩავაბარეთ?

— აბა რა, არ სკირდებოდა?

— იცი რას გეტყვი, შეილო? მართალი გითხრა? შენ გინდა თავი გამოიჩინო, გინდა ყველას გააგებინო, რომ ამდენი და ამდენი ზედმეტად ჩავაბარეთ, მაგრამ ის კი არ იცი, რომ ეს ყველაფერი გლეხ-კაცის შრომადღეებს აღარიბებს. მერე რათა, ძმობილო, რატომ უნდა დაგვაკლდეს? რომელიღაც რაიონმა ან კოლმეურნეობამ გეგმა ვერ შეასრულა და ჩვენგან უნდა აინაზღაურონ? ეგ სადაურის სამართალია! იმათ მოთხოვეთ, ვინც ვერ ჩააბარა, ვინც უგულოდ იმუშავა, ხელის განძრევას მოერიდა, ჩვენი რა ბრალია? რადგან ჩვენ ვიბეჯითეთ, ამიტომ სხვის სიგლახე ჩვენ უნდა დავფაროთ?!.. მიხვდით, რა გამოუღის აქედან?

— მაინც რა გამოღის? — მიახალა პირში ნიკომ, მაგრამ თედომ როდი გაამრულა თავისი სათქმელი.

— ის გამოღის, რომ ვინც ცუდად მუშაობს, იმას ამისათვის აჯილდოებთ, ხოლო ვინც ბეჯითად მუშაობს, იმას სჯით, გაიგე, შეილო?.. ოდნავ შერბილებული ხმით მიმართა თედომ მას, მაგრამ ნიკომ ამაზე იფეთქა:

— როგორ თუ ვსჯით?

— განა არ იცით? იმ ზედმეტზე კი-

დევ ზედმეტად ჩაბარებული ხორბალი რომ შრომადღეზე გაგეჩაწილდებოდათ, სამ-სამი კილოგრამი ხბმ წაგვემეტებოდა. ახლა სხვა დოვლათი იანგარიშე! ეს ყველაფერი რომ გაგვეყიდა? ერთი მილიონი მანეთი ხომ შემოვიდოდა დამატებით ჩვენს სალაროში? ესე იგი შრომადღეზე სამი მანეთი წაემატებოდა, მგონი უფრო მეტიც, მერე განა ერთი მილიონი მანეთი პატარა თანხაა? თქვენ სრული უფლება გაქვთ ისე მოექცეთ თქვენს პირად ქონებას, როგორც მოგეხასიათებათ, მაგრამ ხალხის ქონება... ხმას არავინ იღებდა დარბაზში. ძნელი იყო გარკვევა, რას ნიშნავდა მათი დემილი, შეიძლება თედოს სიტყვები ზოგს გულს უფხანდა, სიამოვნებდა და მთლიანად ეთანხმებოდა, მაგრამ ნიკოს მდგომარეობას არ იკითხავთ? მის გულში ცეცხლი გიზგიზებდა, მიხვდა, რომ თედო მართალი იყო და უპასუხა:

— ძია-კაცო, დამშვიდდი, წელს ისე არ მოვიქცევით, როგორც შარშან, ჩვენ სახელმწიფოსა და ყველას წინაშე პირნათლად ვართ, გიორგიმ მართალი თქვა. წელს მართლაც რვა კილოგრამამდე ხორბალს დავარიგებთ...



რაკი ჯაფარიძელებს ბარაქიანი მოსავალი მიეღოთ და მკაც დამთავრებინათ, ახლა მათი თავკაცი ნიკო ყოჩიაშვილი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. ის ახლა აპირებდა სოფლის კეთილმოწყობისათვის ხელის გამოღებას. მაგრამ მარტო ეს აფიქრებდა ნიკოს? ცხადია, არა, იგი თედოსთან პაექრობის შემდეგ კიდევ უფრო ღრმად და შორს იხედებოდა. შეიძლება ამაზე ფიქრს ისე არ გაეტაცა ნიკო ამ დღით, რომ მასთან აგურ-კრამიტის ქარხნის დირექტორი, ვალიკო ნატროშვილი არ გამოჩენილიყო. ეს ახოვანი, სანდომიანი სახის ვაყკაცი ისე მორცხვად მოადგა კარს, თითქოს შიგ შესვლა ეხათრებო, მაგრამ რაკი ნიკოს სახეზე ღიმილს მოჰკრა თვალი, იმ ღიმილმა შეიტყუა.

მკის ალოზე რამდენჯერ არ ეცადა

ვალეკო ხელთ მოგვდო ნიკო ყოჩიაშვილი სალაპარაკოდ, მაგრამ ვერ იქნა და ვერ აისრულა წადილი, რადგან ახლა საამისო დრო იშოვა, ამ შემთხვევას როგორ გაუშვებდა ხელიდან?

— როგორ არის საქმე? — იკითხა ნიკომ.

— საწვავი მასალის უქონლობა გეწვევს, ამხანაგო ნიკო! — ხუმრობით მიუგო ვალეკომ და რაეი შეამჩნია ნიკომ სერიოზული სახე მიიღო, მანაც შუბლი შეიკრა.

— ბიკო, მაშ არაფერს აკეთებთ?

— ვდგავართ, ამხანაგო ნიკო!

— როგორ თუ დგახართ, ასორმოცდაათი ტონა მახუთი ხომ გიშოვეთ?

— უარზე არიან, ამბობენ ამდენს ვერ მოგცემთო.

— რადგან მკას მოვრჩით, მაგ საქმეს მე მოვუვლი, თბილისში წავალ, იმ „ნავთბაზის“ უფროსს კუდით ქეას ვასროლინებ, შენ მხოლოდ სხვა საქმეს მიხედ. ახლა ყველამ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ მშენებლობის დაწყება მოგვიხდება. აგური, კრამიტი, კირი, ხე-ტყე და სხვა მასალა ბევრი უნდა დავამზადოთ, რის გაკეთებაც ჩვენ არ შეგვიძლია, სხვაგან უნდა ვიშოვოთ.

ნიკო ფანჯრიდან გაპყურებდა სოფელს. წითელი აგურითა და სომხეთის ვარდისფერი ტუფით ნაშენი სახლები, ისე ჩამწყრივებულიყვნენ ხეივნებსა და ხეხილის ბაღებში, რომ ადამიანს თვალი არ უძლებოდა.

წინათ კოლმეურნეობას მარცვლეულის საწყობები არა ჰქონდა და მარცვალი ღია ცის ქვეშ ეყარა, ახლა თორმეტი კაბიტალორი საწყობი აქვთ, შირაქის ველზე მექანიზებული კალო და სამი საწყობი გამართეს, ალაზანზე ელექტროსადგური ააგეს, სოფელში აბანოს შენობა დადგეს, წითელი წყაროს იქეთ აგურკრამიტის, ხე-ტყის და ზეთის სახდელი ქარხნები ააშენეს. სულ ახლოს მექანიკური სახელოსნო და ელექტროწისქეილია, მის გვერდით კი გარაჟია, რომელშიც ოცდახუთი სატვირთო და ოთხი მსუბუქი მანქანა უყენიათ, მათ

შორის „ზიმი“. აქვთ საკუთარი სატელეფონო სადგური, რითაც ყველგან ბრუნდასთან ტელეფონით არიან დაკავშირებული, მაგრამ გასაკეთებელი და ასაშენებელი კრდე ბევრი რამაა. ახლა ამაზე ფიქრობდა ყოჩიაშვილი.



რაოც გიორგი დალაქიშვილი მოსკოვიდან დაბრუნდა, პირდაპირ ნიკოს კაბინეტს მოაშურა.

— მოსკოველს გაუმარჯოს! — შეეგება მას თავმჯდომარე, ხელი ჩამოართვა, სკამი ახლოს დაუდგა და უთხრა, აბა, გიორგი, გვიამბე რა ნახე მოსკოვშიო. გიორგიმაც ბევრი არ აღოლინა და შეუდგა თავის შთაბეჭდილებების გადმოცემას. ამ დროს ტელეფონის ზარმა დაიწყებია.

ნიკომ ყურმილი ხელში აიღო თუ არა, ყველანი სმენად იქცნენ.

— რაო, კრასნოდარშიო?... ჰო, დიახ, რასაკვირველია, რასაკვირველია, დალაქიშვილი... კი, ესეხაა ჩამოვიდა... კიდევ ორი კაცი? მელორე?... ვაი, ვაი, რომ მოგვიკვდა... ვინ და მოსე ქადაგაძე, თორემ იმაზე უკეთესს ვის გამოვგზავნიდით... კარგი, კარგი, სხვას შევარჩევთ... ჰა, ფერმის გამგე?... ჰო, სარდიონ ყოჩიაშვილი... კეთილი და პატიოსანი...

ნიკომ ყურმილი დადო და ამხანაგებს მიაჩერდა.

— რაშია საქმე, გვითხარი, კაცო?

— გიორგი, ხომ არ დაიღალე მოსკოვში მგზავრობით?

— რად მეკითხები, რა დამლლიდა?

— აბა, შენ, სარდიონი და კიდევ ერთი, რომელსაც შევარჩევთ, ხვალ თბილისში უნდა გაემგზავროთ.

— თბილისში? რათა? — შეაწყვეტიანა სიტყვა სარდიონმა.

— რათა და იმათა, რომ კრასნოდარელ მეცხოველეებს უნდა ეწვიოთ მათს მიწა-წყალზე.

რას უნდა გაეხარებინა ისე ძლიერ სარდიონი, თუარა ამ ამბის გაგონებას?

— ეს ჩვენი კოლმეურნეობის დიდი პატივია, ამხანაგებო!

— მაშ, მაშ, დიდი დაფასებაა, ძმაო, დიდი დაფასება! — უდასტურებდა იასონი თავმჯდომარეს. ორივემ მოსე ქადაგიძე მოიგონეს:

— ჰაი, ჰაი, მოსე, რომ ცოცხალი იყოს!

ეს მწუხარე ფიქრი შეერია სასიხარულო ამბავში.

— აბა, თქვენ იცით, ჩვენს კოლმეურნეობას თუ არ შეარცხვენთ, იცოდეთ, ისე არ ჩამოხვიდეთ, რომ სტუმრები არ ჩამოიყვანოთ კრასნოდარის მხარიდან.

— სირცხვილს როგორ ვკამთ, ნიკო!

— სტუმრებს აუცილებლად ჩამოგიყვანთ და კიდევაც ვაჩვენებთ ტარიბანას, მილარს, შირაქს და ალაზნის ველს! — დაუმატა სარდიონმა გიორგის ნათქვამს.

— არამართო ჩვენს კოლმეურნეობას, მთელს კახეთს ვაჩვენებთ.

— არა მართო კახეთს, არამედ მთელს საქართველოს! — გაისმა შეძახილები და გიორგიმაც უცებ გონების თვალთ წარმოიდგინა კრასნოდარის მხარის გული-ჩვესკის რაიონი, სადაც იგი, როგორც ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუ-

დენტი, პრაქტიკაზე იყო გაგზავნილი ახლას ცხრაას ორმოცდა ცხრამ წელს აიწარმოიდგინა კიდევ, თითქოს მკვლავ მეგობრებს შეხვდა ამ რაიონში.

იმ ღამეს არც გიორგის და არც სარდიონს ზეირიანად არ სძინებიათ, როცა გათენდა, ორივენი ნიკოსთან გაჩნდნენ. კანტორასთან „ზიმი“ უცდილათ.

როცა გიორგი და სარდიონი მანქანამდის ჩამოაცილენ მეგობრებმა, პირველი, რომელმაც მშვიდობით მგზავრობა უსურვა მათ და გადაკოცნა, ნიკო ყოჩიანვილი იყო.

გიორგი და სარდიონი მანქანაში მოთავსდნენ.

ნიკომ კიდევ გაუშეორა მათ:

— უსტუმროდ არ ჩამოხვიდეთ, გიორგი, უსტუმროდ, გესმით?

— ზომ გესმის გიორგი, უსტუმროდ არ ჩამოხვიდეთო! — დაუმატა სოსო ბავლიანვილმა.

მანქანა გაქროლდა.

ბავშვების ერიამული იქაურობას¹ იკლებდა, მათს სიცოცხლის დამამკვიდრებელ ხმაში ნიკოს საკუთარი ბავშვობის ხმაც ესმოდა.



ეს ჩემი ძალი...

ცხვრის მკრეპავ მექუარს ზბედურო ამბავი შეემთხვა. ლოთებს ჩხუბი აეტეხათ გზისპირა სამიკიტნოში. ისიც შიგ გაერია, მაგრამ ძვირად დაუსვეს: სამი ნეკნი ჩაულეწეს, კეფა გაუბეს და ერთი ოროოდე სხვა სატკივარიც გამოაყოლეს.

მისი ძალი თელი კი, თუმცა ფხიზელი, მაგრამ ამ ჩხუბის გაათრებულ მონაწილს, თათის მოტეხით გადარჩა.

მექუარმა შეიგდო მხარზე თავისი ბოლია, დაადგა შარავნას და იუნონტუნის საავადმყოფომდე ათი კილომეტრი გაიარა. მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყის, როგორ მოახერხა ეს. მთელი ამ გზის მანძილზე თელი კოკლობით მისდევდა უკან.

ექიმებმა გაუსინჯეს დაზიანებული ადგილები და განცვიფრდნენ ადამიანის ამტანობით. ხანდახან ექიმებმაც იციან განცვიფრება, მაგრამ ყოველთვის როდი იმჩნევენ ამას. ისინი, ცხადია, დათანხმდნენ ავადმყოფის მიღებაზე, მაგრამ თელის წინააღმდეგი იყვნენ. საავადმყოფოს ტერიტორიაზე აკრძალული იყო ძაღლების შესვლა.

— ეს ძალი უნდა გაავდო, — უთხრეს ლოგინზე ჩამომჯდარ მექუარს.

მექუარმა არაფერი უპასუხა.

— მეგობარო! აქ არ შეიძლება ძაღლების ყოლა, — აუწია ხმას იმაში დარწმუნებულმა ექიმმა, რომ ცხვრების მკრეპავს ნამდვილად ყურთ აკლიათ.

— ეხოსი დააბით.

— არ შეიძლება. საავადმყოფოს ტერიტორიაზე აკრძალულია ძაღლების ყოლა.

მექუარი ნელა ადგა, მწარე ტკივილებისაგან კბილები დააკრავუნა, ვაკირვებით შეიკრა ბანჯგვლიან გულზე პერანგის ღილები, თავისი ქურთუკი აიღო

და ბარბაცით გაემართა კუთხისაკენ, სადაც მისი ბოლია იღო.

— რას სჩადი? — ჰკითხეს მას.

— მაშ არ დავიტოვო ძალი?

— არა. ეს შინაგანაწესს ეწინააღმდეგება. საავადმყოფოს ტერიტორიაზე ძაღლების ყოლა აკრძალულია.

მექუარი დაიხარა, აიღო ბოლია და ძლიერი ტკივილებისაგან შეწუხებული კედელს ზურგიით მიეყრდნო.

— კარგი, კმარა, რა დავემართა! — მოულოდნელად წამოიძახა ექიმმა. — გადაიჩიე? ხომ იცი, რომ არ შეგიძლია წასვლა. ახლავე მომვლელი დაგეხმარება ტანსაცმლის გახდაში.

— არა, — უთხრა მექუარმა, — არა, თუ თქვენ არ გასურთ მიიღოთ ჩემი ძალი, ნურც მე მიმიღებთ. მას თათი აქვს მოტეხილი და დახმარებას საჭიროებს არა ნაკლებ... არა ნაკლებ, ვინემ მე. თუ მე ღირსი ვარ, რომ მიმიღოთ, მაშინ ისიც ამის ღირსია, არა თუ ნაკლებ... არამედ მეტადაც, ვინემ მე.

ის დაჩუმდა, მძიმედ ამოიხვნეშა და განაგრძო:

— აი, ეს... ეს ჩემი ბებერი ძალი მშინერ-მწყურვალი მემსახურებოდა თორმეტ წელიწადს. შეიძლება... შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთადერთი არსებია, რომელსაც გული შესტკივა...

მან კიდევ შეისვენა და განაგრძო: — ეს.. ეს ჩემი ბებერი ძალი შარავნაზე დაიბადა, — თქვა მან, რაღაც სევდიანი ღიმილით.

— რამდენიმე თვე ბოხნით დავთრევდი... დედამისი — ბებერი ძენა, სულ გვერდით დამდევა კმაყოფილი... დიდხანს მღია, სანამ არ დაბრმავდა... დაბრმავების შემდეგაც მთელ წელ-

წადს არ მშორდებოდა, მერე კი... მერე მოგვალი, რადგან არ შემეძლო ცოცხალი უკან მომეტოვებინა.

მან ხელახლა შეისვენა.

— აი, ეს ჩემი ბებერი ძალიც, — იგი დაკოყრილი თითებით შეეხო თელის აშვერილ ცხვირს და განაგრძო: — აი, ეს ჩემი ბებერი ძალიც დადიოდა ჩემთან ერთად ათი... ათი წელიწადი... თქვესა და გვალვაში, ლხინსა და ჰირში... მეტნაწილად კი, ჰირში... უკაცრაველ შარაზე უფულოდ და უმეგობროდ დარჩენილს ან გაბმულ ლოთობის დროს, კვირიდან კვირამდე სწორედ ეგ მდარაჯ... მდარაჯობდა, როცა ვლოთობდნი და შხამს ესვამდი იმ დაწყევლულ სამიყიტნოებში. რამდენჯერ გადავერჩინე ვარ და, მადლობის მაგივრად, ჩემგან ხშირად წიხლისა და წყევლაკრულვის მეტი არაფერი უგემია. — მაგრამ ყველაფერი უპატიებია და რამდენჯერ... რამდენჯერ უბრძოლია ჩემი გულისათვის. — სწორედ ერთადერთი ეგ ჩაერია ჩხუბში ჩემი გულისათვის, როდესაც ის ქვეწარმავალნი მომეარდნენ სამიყიტნოში... ზოგიერთებმა კიდევ წაიღეს მაგისაგან სამახსოვრო ნიშნები... ჩემგანაც წაიღეს...

ის შეჩერდა, შემდეგ ღრმად ამოისუნთქა, ზურგზე ბოღჩა მოიდგა, კარიბაკენ ნაბიჯი გადადგა და შემობრუნდა.

ძალი კოკლობით გამოვიდა კუთხიდან და შეშფოთებულმა ასწროაფავი.

— აი, ეს ჩემი ძალიც, მიმართა მექუარმა საავადმყოფოს პერსონალს, — ჩემზე, ადამიანზე უკეთესია... გამოდის, რომ ის თქვენზეც უკეთესია... ჩემთვის ისეთი ამხანაგი იყო, როგორც მე თვითონ არ ვყოფილვარ არავისთვის... და არც სხვა ყოფილა ჩემთვის. — ის მდარაჯობდა, რომ არავის გავეძარცვე. გაპირებების დროს იბრძოდა ჩემი გულისათვის, რომ ჩემი სიცოცხლე გადაერჩინა და, მადლობის მაგივრად, იღებდა მთვრალი კაცის წიხლსა და ლანძღვას... ყოველთვის შაპატებდა ხოლმე... ის იყო ჩემთვის ნამდვილი, საიმედო, პატიოსანი და ერთგული ამხანაგი... ახლა არც მე მივიტოვებ. — მომტრეული თათით შარაგზაზე არ ვაგავდებ, მე... ოხ, ღმერთო! ვაი, წელო!

მან კვნესით ამოიოხრა და წაბარბაცდა, მაგრამ მომვლელებმა სტაცეს ხელი, მოხსნეს ტვირთი და ლოგინზე დააწინეს.

ნახევარი საათის განმავლობაში, მკრეპავი უკვე საავადმყოფოში იყო.

— სად არის ჩემი ძალი? — იკითხა მან, როგორც კი გონს მოვიდა.

— იმაზე უკვე ზრუნავენ, — სწრაფად უპასუხა მომვლელმა ქალმა.

— ნუ წუხართ! ეზოშია, ექიმი თათს უსწორებს.

მეჭუარის მეგობარი

ბიჭები სტიფნერის ლუდხანის ბუფეტში ისხდნენ და ლაყბობდნენ გადაკარგულ მკრეპავ მექუარზე, რომელსაც კარგად იცნობდნენ, მაგრამ როგორც მათი ლაპარაკიდან ჩანდა, არცთუ ისე ძალიან უყვარდათ.

— კარგა ხანია არ მინახავს მექუარი, — თქვა შესვენების შემდეგ ოინბახმა, — სად უნდა გადაკარგულიყო?

— ციხეში ან... ეშმაკებთან! — წაიბურტყუნა ბარკუმ. — არც ისე დიდი დანაკლისია.

— სწორია, ბარკუმ! — გააწყვეტინა ოხუნჯმა ტომსონმა.

— მახსოვს, მგონი ეს ბებერი საფრთხობელა ოდესღაც მისი მეგობარი იყო. შეხედეთ! წყეულმაც ვიყო, თუ ბებერი მამალი გაცოცხლებას არ ლომობდეს!

ოთახის კუთხეში ჩამომჯდარი მალაღლი, აქანალებული და ჭუჭყიან ძონძებში გახვეულ მოხუცი წამოდგა და ბარბაკით გადადგა წინ ნაბიჯი. მან ცალი ხელით გადაიგდო შუბლიდან ბანჯგე-

ლი, მეორით დახლის კიდე მოქებნა და ზედ დაეყრდნო.

— რა დაგემართა, საფრთხობელავ? — ჰკითხა მიკიტანმა.

ლოთმა თავი ასწია და დასისხლიანებული თვალები აქეთ-იქით მოაგლო.

— ნუ ლაპა... ნუ ლაპარაკობთ! გაჩუმდით! მე თქვენ გიბრძანებთ, გაჩუმდით!

— რა ჯანაბაა! — წაიბუტბუტა დახლთან მიკიტანმა. — კიდევ იწყებეს!

— არ გაბედოთ მექუარზე ლაპარაკი! ის ჩემი მეგობარია! აბა, დამისხი!

— მერე რა, რომ შენი მეგობარია? — აღიზიანებდა ბარკუ.

— არცერთს არაფერი გაქვთ სასოქადულო.

უქანასკნელი სიტყვის პასუხად საფრთხობელას არაფერი ჰქონდა სათქმელი, თუმც აზროვნების უნარი კიდევ შერჩენოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი კანის ფორებიდან რომი ეონავდა.

ის ორივე ხელით ჩაეკიდა დახლის კიდეს, ნელა ჩამოლო გარეტიანებული თავი ხელებზე, რომლებიც ამჟამად აღარ უცახცახებდნენ და დაჩლუნგებული ჩააშტერდა იატაკს, შემდეგ დახლს მიეყრდნო და გასწორდა.

— რომელმა თქვენთაგანმა უწოდა მექუარს მაწანწალა, აი ამ ლუდხანაში... ჩაბლეჩილი ხმით თქვა მან, — ვინ არის თქვენი ფლიდი, არამზადა... მხდალი და... მატყუარა!

— მექუარო! მერე რა მოხდა? — გამომწვევი კილოთი თქვა ბარკუმ. — ამას გარდა, თაღლითიც არის. ამაზე რაღას იტყვი?

მოხუცი შემობრუნდა დახლისაკენ, ზედ დაეყრდნო და თავით ხელებს დაეხეზინა.

— მექუარი არ იყო მხდალი... ის არ იყო მატყუარა, — სუსტი ხმით, ჩუმად ჩარლაპარაკა საფრთხობელამ, — მექუარი არც თაღლითია...

— ტყუილად თავს რად იღებ, ბებერიო, — დაშმვიდებული კილოთი უთხრა მას ოხუნჯმა ტომსონმა, — ჩვენ რა, იმას ვამბობთ კარგად ვექცეოდით-თქო?

შენ მისი ამხანაგი იყავი და იქნება შენ მართლაც სინდისიერად გეპყრობოდა. უქანასკნელ არამზადასაც, მისი მექუარეცური კაცია, უნდა ახსოვდეს ეს.

— რას ელაპარაკები მაგ ბებრუხანალოთს! — დაიღრიალა ბარკუმ. — მე უკვე ვთქვი, რასაც ფიქრობ შექუარზე და გათავდა!

— მე კი... მე კი შემძლია ვილაპარაკო მის დასაცავად, — განაგრძობდა მოხუცი, მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკს აწყვეტინებდნენ. — მე... მე მაქვს სათქმელი, რა უნდა ვთქვა მის დასაცავად...

— თუ რამე გაქვს, ჩამოყავე, — ჩაურთო სტიფერმა.

— უწინარეს ყოვლისა... უწინარეს ყოვლისა მექუარი ზურგს უკან არასოდეს ცუდს არ იტყოდა ადამიანზე.

ვიღაც ამოძრავდა, უხერხული მღვთმარეობა ჩამოვარდა, ბარკუმ ჰკიკისკენ წაიწია და ნელნელა დალია, ის დროს იგებდა, რამე მოესაზრებინა. ოინზაში თავის ფეხსაცმელს უკვირდებოდა, ვითომ პირველად ხედავდა, ოხუნჯი ტომსონი ფანჯარაში იცქირებოდა, მიკიტანი დახლს ასუფთავებდა, დანარჩენნი კი ადგულზე ცქმუტავდნენ და ერთიმეორეს ბანქოს თამაშს სთავაზობდნენ.

ბარკუმ ფრთხილად დადგა ჰიქა, გამომწვევი იერი მიიღო, ღრმად ჩაიყო ჯიბეში ხელები და თქვა:

— მერე ვითომ და რაო? მექუარი ხარივით ღონიერი იყო, ამას გარდა, თავზეხელაღებული მოჩხუბარიც მდინარე მურეის * მთელ ნაპირზე. კაცს პირდაპირ ეტყოდა მატყუარა ხარო და დაასახიჩრებდა კიდევ. ყველას ასე ექცეოდა, ვინც იმაზე სუსტი იყო.

— ახლა ის გინდა თქვა, რომ კაცს ზურგს უკან ვლანძლავ? — შექარით განაგრძობდა ბარკუ. — უკეთესია თავს გაუფრთხილდე, ბებერიო!

— მექუარი არ იყო მხდალი, — წყნარად, მაგრამ ნაწყენი კილოთი შესიტყვა ლოთი.

* მურეი — მნიშვნელოვანი მდინარეა ავსტრალიაში.

— რა დაგემაართა? — შეუყვირა პაკიტანმა. — რაზე ბუზღუნებ? ჩხუბი გინდა ასტებო? გავთრიე, თუ არ შეგიძლია მშვიდად თავის დაკვრა.

ლოთი ნიდაყვებით დაეყრდნო დაბლს და დაბნეული ღია კარებს მიაჩერდა.

— მე მაქვს... კიდევ მაქვს სათქმელი... მის დასაცავად, — ბუტბუტებდა ის. — ყოველთვის უნდა... ყოველთვის უნდა შემოინახო უკანასკნელი საბუთი.

— ჰო, ღმერთო! კარგი, ამოალაგე რალა! ამოალაგე!

— მექუარი მოკვდა! აი, რა!

ყველანი დარცხვენილად აიბუზნენ. ოხუნჯი ტომსონი მეორე გვერდზე შემობრუნდა დაბლისკენ და დაიწყო თავისი საცვეთების ძირისა და ქუსლების თვალჩერება, ძველტყავამ ბანქო ჩასკრა და კარის სახურავზე შეუდგა ჩამორიგებას. სხვა მაყურებლები გარს შემოეხვივნენ და ისე გულმოდგინედ უცქერდნენ ბანქოს თამაშს, ვითომ ცდა ძალზე აინტერესებდათ; ბარკუს მოეჩვენა, თითქოს მისმა ცხენმა აღვირი აიწყვიტა და ამ მიზეზით სასწრაფოდ გავიდა. მას უკან ოინბაზი და კიდევ სხვა ორიც მიჰყვნენ. — თვითუც მათგანს იმის გაგება სწადდა, ცხენი გაქცეული იყო, თუ ისევე იქ იდგა.

ამ დროს ვილაც მაღალი, პირხმელი, შესახედავად ენერგიული, კვადრატული პირისახის, მოღუშული, ნაცრისფერ თვალბიანი ცხენოსანი ყველას შეუმჩნევლად გამოვიდა შამბაროდან, მიადგა სამიკიტნოს უკანა კარს და ფანჯარასთან ჩამოხტა.

როცა ბარკუ და სხვები დაბრუნდნენ ლუდხანაში, გამოირკვა, რომ ოხუნჯმა ტომსონმა რალაც მოიფიქრა და ყველა უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა.

— მიცვალეზულზე რამდენ სისულელეს ჩმახვენ, ყველაფერი მიქარვია. გარდაცვლილი არამზადა უფრო მეტ თანაგრძნობას იწვევს, ვინემ კეთილშობილი ცოცხალი ახალგაზრდა. არ მიყვარს ასეთი მგრძნობიარე ლაპარაკი მიცვალეზულებზე. მექუარი ფუქსავატი

კაცი იყო და ათასჯერაც რომ მოკვდეს, საქმის შინაარსი მაინც არ შეცვლებოდა.

სამიკიტნოში თავისუფლად ამოისუნთქეს და ვილაცამ წამოიძახა:

— მართალი ხარ, ოხუნჯო!

— ყოჩაღ, ოხუნჯო! — წაეხმარა ოინბაზი. — ამას გარდა, მე არ მჯერა, რომ მექუარი მოკვდა. ერთხელ მომკვდარა თუ ორჯერ!.. შენ საიდან მოიტანე ეს ამბავი, საფრთხობელავ?

საფრთხობელამ ნალვლიანად მოიზილა კეფა.

— იმაში, რაც შენ სთქვი, ოხუნჯო, ბევრია... ბევრია სიმართლე... — თქვა მან ისე, რომ ყურადღებაც არ მიუტყევია ოინბაზის სიტყვებისათვის, — მაგრამ...

— კარგი, დავანებოთ თავი ამ ბებერ ხეპრეს! — გააწყვეტინა სიტყვა ბარკუმ. — მექუარი ყალთაბანდი იყო და ის, ვინც მისი მეგობარია, არაფრით არ არის იმაზე უკეთესი!

— დალიე, ბებერო ვირო და ხმა გარკმიდე! — უთხრა მიკიტანმა და ლოთს ბოთლი და ჭიქა მიუწია. — შენ რა, ჩხუბი მოგინდა?

მოხუცმა აცახცახებული ხელებით აიღო ბოთლი და ჭიქა და ძლივს დაისხა.

— რაც ოხუნჯმა თქვა, მართალია... — დაფინებით გაიფორა მან, — მაგრამ... მაგრამ... არის კიდევ ერთი რამ... მე კინალამ დამავიწყდა.. და არავის ამაზე არ უფიქრია... არც ოხუნჯეს... და არც ოინბაზს...

სტიფნერმა ზურგი შეაქცია, ბარკუმ კი ღვარძლიანად გააფურთხა.

— მე მაქვს... კიდევ მაქვს... — ჩემი მეგო... ბრის მექუარის დასაცავი საბუთი, — ლულღულღებდა ლოთი.

— მოჰყე, ამოალაგე! თორემ გასკდები, ეშმაკმაც კი წაიღოს შენი თვეი! — დაიღრიალა სტიფნერმა. — რა საბუთია?

— მისი მეგობარი ჯერ კიდევ ცოცხალია! — დაიჰყვილა ბებერმა. — მექუარის მეგობარი ჯერ კიდევ ცოცხალია! აი, რა საბუთი!

ის უცხად მოწყდა დახლს, იატაკზე ქუდი და ჭიქა დაანარცხა, შარვალი აიწია და ისე აქაჩა ღვედი, რომ თვითონაც შეხტა და შეუღდა სახელოების დაკაპიწებას.

— აბა, დადექით წრეში, ბიჭებო! — დაიყვირა მან. — მისი მეგობარი ჯერ კიდევ ცოცხალია! გამოდი, ბარკუ! ეშმაკმა დალაზეროს, მისი მეგობარი ჯერ კიდევ ცოცხალია!

ის კაცი, რომელმაც სახლის უკან ცხენი დაუბმელად დატოვა, უკვე ხუთი წუთი იდგა უკანა კარებთან. ახლა ის შეუშინველად შევიდა ოთახში.

— მომამორეთ ეს ბებერი ლოთი, თორემ კარგ დღეს არ დავაყრი! — დაიღრიალა ბარკუმი.

სტიფნერი გადმოახტა დახლს, ერთნი მეორეთ ამწვიდებდნენ, გაისმა წყევლა-კრულვა, დაიწყა შეხლა-შემოხლა, ცდალობდნენ ბებერი გაეგდოთ გარეო.

მალაქის ისტორია

მალაქი ერთობ მალალი, გამხდარი და ბეჭებში ძალზე მოხრილი ყმაწვილი იყო. მისი ნაცრისფერი თმა დაეინებით ითხოვდა რომელიმე ეპითეტს. სადგურში* ყველა ჩვენგანს მალაქი უდიდეს ვიჩად მიაჩნდა და ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ის სინამდვილეში მართლაც საშინელი ბოთე იყო. მშობლიური ჯუნგლები არასოდეს არ დაუტოვებია, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც მოკლე ხნით სიღნეში გაემგზავრა და დაბრუნების შემდეგ გამოირკვა, რომ მისი ნერგული სისტემა შერყეულია.

მალაქის ერთი სიტყვაც ვერ ვათქმევინეთ, რა შეხედულებისა იყო ქალაქზე. ეს იმიტომ, რომ ქალაქის აღწერისათვის მალაქის ძალა არ შესწევდა და მიღებული შთაბეჭდილებანი კი სქარბობდნენ მისი გაგებისა და მიხედვრის უნარს.

შემდეგ რაღაც დაეხეთქა ძირს, სტიფნერი და ოინნაზი იატაკზე აღმოჩნდნენ. სხვა ორი ბარკუს აკავემდნენ სტიფნერს ამ დროს, იმ უცნობმა კაცმა უკანიდან სტაცა ბეჭებში ხელები საფრთხობელას.

— გამიშვი! — ყვიროდა გაშმაგებული ბებერი, რომელიც ვერ ამჩნევდა, თუ როგორ განცვიფრებაში იყვნენ მოსული ისინი, ვინც მის წინ იდგნენ. — გამიშვი! ვინ... მიჭერს? მე... მე... შენ... შენ...

— ეს მე ვარ, მექუარი, ძველი მეგობარი! — გაისმა მშვიდი ხმა.

ბარკუს თავისი ცხენის თქარათქუარი მოეჩვენა და თვალის დახამხამებაში გაქრა. ალბათ გაიფიქრა: ცხენი რომ კიდევ ბელის ანაბაო დავტოვო, შეიძლება მოთმინება დაკარგოს და გაიქცესო, ამიტომ გამოსვლისთანავე უნაგირს მოახტა და მოკურცხლა.

იმის შემდეგ, რაც მალაქისათვის ეს მოგზაურობა ისტორიულ მოვლენად გადაიქცა, რომ შეკითხვოდით, სიღნეზე რას ფიქრობო, მყისვე საგონებელში ჩაეარდებოდა, კეთას მოიფხანდა და ფიქრში წასული ნელა ჩაილაპარაკებდა:

— ჰო, აბა რა მაქვს სათქმელი, ეს ჩემთვის გაფრთხილებია...

და რამდენადაც საუბარი შეეხებოდა მალაქის შეხედულებას ქალაქზე, ეს უკანასკნელი მისთვის მხოლოდ გაფრთხილებად გადაიქცა.

მიუხედავად იმისა, რომ მალაქი კვირაში გირვანქა სტერლინგს და სურსათ-სანოვავებს ღებულობდა, ის მაინც ჩამოკონკილი დადიოდა. როდესაც ბიჭები რაიმე არაჩვეულებრივ მოვლენათა ვადით განსაზღვრაზე ლაპარაკობდნენ, უეჭველად თან დაატანდნენ: „ეს მაშინ მოხდება, როდესაც მალაქის ახალი კოსტუმი ექნებაო“. ჩვენ მუდამ თავს ვირთობდით მალაქით, რადგან მას ისე ვუყურებდით, როგორც კანონიერი დაციუნის საგანს. ძალზე იშვიათად სა-

* ავსტრალიაში მესაქონლეობის ფერმას „სადგური“ ეწოდება.

ყვედურობდა, ხოლო თუ საყვედური მაინც დასცდებოდა, მისი უკმაყოფილება ჩვეულებრივ ერთი და იმავე სიტყვებით გამოითქმოდა: „კარგი, კმარა, გეყოფათ ხუმრობა“. თუ რომელიმე ოინი არ მოახდენდა ჩვენთვის სასურველ შთაბეჭდილებას, მაშინ უფრო აღმამფოთებელ ხრიკს მოვიგონებდით და მალაქიც, თუმცა საბრალოდ, მაინც ღრმა რწმენით წაიბუტბუტებდა:

— ეეჰ, რაღა უნდა ვთქვა, ეს ჩემთვის გაფრთხილებაა!

ისეთი „ჩვეულებრივი“ ხუმრობა, როგორც იყო, მაგალითად ძილის დროს ქვედასაცვლის შარველზე მიკერება, საწოლის იატაკზე ლურსმნით მიქედვა ან ჩიბუხში თოფის წამლის ჩაყრა, — ეს ჩვენ აღარ გვაკმაყოფილებდა. მასხარაობის მალალ საფეხურებს ველტვოდით. ყველა ჩვენთაგანმა იცოდა, რომ მალაქის საშინლად ეზიზღებოდა რთული და გაუგებარი სიტყვები. საკმარისი იყო ამგვარი სიტყვის თქმა, რომ მას ადამიანზე შეხედულება გაუფუჭებოდა.

— ვერ ვიტან აბეზარა სიტყვებს, — ამბობდა ის, — სახლში მეც მაქვს წიგნა. ამნაირი სიტყვების მოძებნა რომ მინდოდეს, მივავნებდი, მაგრამ არ მინდა!

მას მხედველობაში ჰქონდა ძველი, დაგლეჯილი ლექსიკონი.

მალაქის ზიზღი აბეზარა სიტყვებისადმი არ ჩამოუეარდებოდა მისსავე სიძულვილს ქალთა სქესისადმი. ვიცოდით ეს და ჩვენც ქალის ხელით ვწერდით წერილებს. ვემუქრებოდით. სამართალში მიგვემთ, დაძირებულ ქორწინებაზე უარი რად თქვი-თქო. წერილში ვხმარობდით რთულ და გაუგებარ სიტყვებს ჩვენ ეს ძალზე გასართობად მიგვაჩნდა და ამ ხრიკებით სიცოცხლე გაუმწარეთ საწყალ მალაქის.

მალაქის ბრმად სწამდა ყველაფერი, რასაც ჩვენ ვეუბნებოდით. მზად იყო დაეჯერებინა ყველაზე უფრო არაჩვეულებრივი ისტორიაც კი, ოღონდ არ გვეხმარა აბეზარა სიტყვები

და სიღარბაისლე შეგვენარჩუნებინა. ზოგჯერ თუ იტყოდა, რომ ეს ამბავი მისთვის გაფრთხილებაა და ამას კმარობდა.

ყველაზე დიდი ოინი მალაქის მაშინ მოვუწყვეთ, როდესაც ჩვენს კარ-მიდამოში წერილმანი სამუშაოების შესასრულებლად მოსული კალატოზი ცხოვრობდა, მეტსახელად „ქენჭა“. „ქენჭა“ ნაწილობრივ ფრენოლოგი იყო, საკმაოდ იცოდა ფიზიოგნომიკა და ადამიანის ბუნება, რომ გარკვეულიყო ადამიანის ხასიათში, მაგიდის ტრიალის საშუალებით მკითხაობდა ხოლმე. მოხუცი ეკონომი ქალები, ზიზღით ეპყრობოდნენ მას და გაიტახოდნენ: — „არ გვსურს რაიმე საქმე ვიქონიოთ მაგასთან და მაგის ეშმაკურ ოინებთანო“.

მალაქიმ პირველი დღიდანვე იგრძნო კალატოზისადმი მოკრძალებანარევა შიში და გულმოდგინედ გაურბოდა მას. ერთ საღამოს იგი როგორღაც ოთახში შევიტყუეთ იმ დროს, როდესაც კალატოზი გვართობდა სპორტული სეანსით. სანამ მაგიდის ბრუნვა გრძელდებოდა, მალაქი შიშნაყრავი სახით იჯდა ქულმობდილი, შემდეგ კი ეთხოვეთ, რომ მას კალატოზისათვის მიეცა თავზე კოპების შემოწმების უფლება. სანამ გაქცევას მოასწრებდა, შუა ოთახში დავსვით სკამზე და კალატოზმა დაუწყო თავის სინჯვა. მე ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ მალაქის თმა ყალყზე დგებოდა კალატოზის თითებშუა. ყოველთვის, როგორც კი ფრენოლოგის მიერ თქმული სინამდვილეს დაემთხვეოდა, მისი ერთგული თაყვანისმცემელი დონეგელი წამოიძახებდა: „გესმით?“ გოგონები კი ხითხითებდნენ და ამბობდნენ: „პირდაპირ სასწაულია!“ დროდადრო ღრმად დამარწმუნებელი კილოთი ისმოდა მალაქის ცხვირში დუღუნი: „რაღა უნდა ვთქვა, ეს გაფრთხილებაა“. მეორე დღეს შევამჩნიეთ, რომ მალაქი ზანდაზან თავს ანებებდა მუშაობას, დაეყრდნობოდა ბარს, შუბლზე

ქუდს ჩამოიწვედა და შეუდგებოდა კეფის სინჯვას, თითქოს მანამდე არ შეემჩნია მისი არსებობა.

ჩვენ შთავაგონეთ მალაქის, რომ კალატოზი შემოიღო ფრენოლოგიაზე და ექვობენ, თითქოს მან რამდენიმე კაცი მოკლა, რათა მათი თავის ქალები ჩაეგდო ხელში. ბოლოს ვუთხარით, კალატოზს შენი თავის ქალა მოსწონებია და გირჩევნია ფრთხილად იყო-თქო.

მალაქის ქოხი სადგურის მოშორებით იდგა. ერთხელ, გამგზავრების წინა საღამოს, როცა მალაქი თავის ქოხის წინ ჩიბუხსა წევდა, კარი უხმოდ გაიღო და ფრენოლოგი შემოვიდა. მას თან მიჰქონდა ტომარა, რომელშიც გოგრა იყო გახვეული. ის ჯირკზე ჩამოგდა. ტომარა ფეხებ შუა დადო. მალაქი თუმც ძლიერ შეშინებული იყო, მაგრამ მაინც მოახერხა ეთქვა:

— ალო!

— ალო! — უპასუხა ფრენოლოგმა.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე, რომელიც ბოლოსდაბოლოს „კენჭამ“ დაარღვია:

— როგორ ცხოვრობ, მალაქი?

— ო, ყველაფერი რიგზეა, — უპასუხა მალაქიმ.

ისევ დადუმდნენ. მალაქი, რომელიც წამდაუწუმ ცქმეტავდა ჯირკზე, კალატოზს შეეკითხა, წასვლას როდის აპირებთო.

— დილით ადრე, — უპასუხა კალატოზმა. — მე ახლა ჯიმი ნაულეტის კარავში ვიყავი და ახლო გავლისას გადავწყვიტე შემოვსულიყავი და შენი თავიც წამეღო.

— რაო?

— შენი თავისქალის წასაღებად მოვედი, — განაგრძობდა ფრენოლოგი იმ დროს, როცა მალაქი შიშისაგან გაქვევებული იჯდა, — აი, ამაში მაქვს ჯიმი ნაულეტის თავის ქალა, — მან ტომარა ასწია და ხელი ნახად მოუსვა გოგრას, რომელიც არა ნაკლებ ორმოც გირვანქას იწონიდა. ერთი საუკეთესო კობთავანი ტომავაკით დაეხიანე. მე იძულებული

ვიყავი ორჯერ დამერტყა, მაგრამ ახლა რაღა აზრი აქვს ვიტყვი დაღვრილი რძის გამო. მან ტომარა მანამდე მძიმე ურო და სახელოთი მოწმინდა რაღაც სისხლისფერი ლაქა. მალაქი, რომელიც თანდათანობით გვერდით მიიწვედა კარებისაკენ, ახლა გაექანა, მაგრამ თავისქალის მოყვარულმა გზა გადაუჭრა.

— ღმერთო, შემიბრალებ! ნუთუ ჩემი მოკვლა გინდა?

— მგონი არა, თუ სხვა რაიმე საშუალებით მოვახერხე შენი თავის ქალის შექენა, — თქვა „კენჭამ“.

— ოხ! — აღმოხდა მალაქის, მაგრამ შემდეგ მოაგონდა, რომ გიჟს სიამოვნებს წაქეზება და მან თითქოს უღარდელად და დაუღევრად დაუწყო ლაპარაკი:

— მომისმინე! შენ რომ მოიცდიდე, სანამ მოკვდები, მაშინ შეგიძლია ნიილო მთელი ჩემი ჩონჩხი. წაიღე, ღმერთმა მოგახმაროს!

— რაო, ვითომ, ბრიყვი ხომ არ გგონივარ? — გულმოსულად შეეკითხა ფრენოლოგი. — იცოდე, არავითარ სისულელეს არ მოვითმენ, სიტყვას ჰქუაც დაატანე, თავი დინჯად გეჭიროს და ყველაფერი მალე დაბოლოვდება, მაგრამ თუ შენ...

მალაქიმ აღარ დაუცადა დაბოლოებას. ქოხის უკანა კედლისაკენ გაბტა მასში ისე, რომ გახტომისას ჩამოგლიჯა ხას ქერქის ვეებერთელა ნაფლეთი. მალაქი დაფეთებულ კენჭურუსავით მირბოდა გუნგლებში და გაიძახოდა: — „ეს გაფრთხილებათა“. მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როდესაც სადგურს მიაღწია. მე და ჯიმი ნაულეტი ვუთვალთვალეზებით იმ გაბობილი ქერქის ჰუქურტანიდან, რომელსაც მალაქიმ გაქცევის დროს ნაფლეთი ჩამოაგლიჯა, ჩვენ დაგვეცა, დაგვეცა, მაგრამ არა ისე, რომ გართობისათვის ხელი შეეშალა. ჯიმი ნაულეტი გამოფოფებდა ქერქის ნაფლეთის ქვემოდან, დაწვა მალაქის საწოლზე, რომ საკმაოდ ეხარხარა. ამ ამბის შემ-

დეგ ჯიბი ნაულეტს ხშირად ღამლა-
მობითაც გაელვებებოდა და აუტყდებოდა ისეთი ხარხარი, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში სიკვდილიც კი არ გვეშურდა მისთვის.

მე მინდოდა ამით დამემთავრებინა მოთხრობა მალაქის შესახებ, მაგრამ ცოტა კიდევ დამჩნა სათქმელი.

ჩვენს ეზოში ერთმა საუკეთესო ძროხამ ხბო მოიგო და ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სულ გამოვიდა ქუყრდან. ჩვეულებრივ მდგომარეობაში თვინიერი და წყნარი ცხოველი იყო მშობიარობის შემდეგ კი მოუხედავად მისი ასეთი ნერვიულობისა, აზრად არავის მოსვლა, რომ იგი ვინმეს ურქენდა. მოხდა კი ასე: იმ შემოღობილ მდელიში, სადაც ძროხა ძოვდა, სკვატერის* ქალიშვილი და მისი სრდნელი კობტა საქმრო დასერიანობდნენ. დღესაც გამოურკვეველია, რა არ მოეწონა ძროხას, რაინდი, ბანოვანის წითელი ქოლგა თუ შეეჭვიანდა მათ ცუდ ზრახვებში თავისი პირმშოს მიმართ. ასე იყო თუ ისე, ძროხა გამმაგებით ეტყერა მათ. საშიშროება პირველად რაინდმა შეამჩნია და თავაზიანად პირდაპირ ღობისაკენ მოკურცხლა და გაჭირვებაში ჩავარდნილ ქალიშვილს მიანდო ამ ხიფათისაგან თავის დაღწევა. ცხადია, ის მშვიდობიანად ვერ იხსნიდა თავს, მაგრამ სწორედ ამ დროს ახლო მიმავალმა მალაქიმ შენიშნა თუ რა ხიფათი ელოდა ქალიშვილს, სრულიად უიარაღოდ გაექანა გამმაგებული ძროხისათვის გზის გადასაჭრელად.

ყველაფერი მალე დამთავრდა. ღრიალი, მძაფრი იერიში, მტერის კორიანტელი და ბუქიდან გამოჩენილი ძროხა ნავარდით გაექანა ბუჩქებისაკენ, სადაც ხბო იყო მიმალული.

ჩვენ გადავიყვანეთ მალაქი სახლში და ლოგინზე დავაწვინეთ. მას ფერდში საშინელი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული და სისხლი ბანდებიდან წყალივით ეონავდა.

ჩვენ ყველაფერი გავაყეთეთ, რაც შესაძლებელი იყო. ბიჭებმა ეჭიმნა მებნაში სკვატერის საუკეთესო ცხენს სასიკვდილოდ ქანცი გაართვეს. კიდევ ორი ცხენი მოღალეს, მაგრამ ყველაფერი ამოა იყო. ყველამ თავი მოვიკრიბეთ მალაქის საწოლის ირგვლივ ნახევარი საათით აღრე, ვიდრე ის მოკვდებოდა.

ის მხოლოდ ოცდაორი წლისა იყო.

— არ ვიცი, როგორ გაართმევს თავს ყველაფერს დედაჩემი, თქვა მან.

— როგორ! სად არის დედაშენი? — ფრთხილად ჰკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია, რომ მალაქის ჰყავს ვიღაც, რომელსაც იგი უყვარს და მისით ამყოფს.

— ბათხერსტში, — ქანცგამოლევით თქვა მან, — ვშიშობ, რომ საშინლად შეწუხდება, რა ძლიერ ვუყვარდი... უკანასკნელი ათი წელიწადი ჩვენ ძლიერ ვაღწევდით თავს გაჭირვებას... დედა და მე... გვინდოდა რაიმე მოგვეგროვებინა ჩემი ძმა ჯიმისათვის... საწყალი ჯიმი!

— ჯიმის რა დაემართა? — ჰკითხა ერთმა ჩვენთაგანმა.

— ბრმა, — თქვა მალაქიმ, — ბრმა დაიბადა... ჩვენ გვინდოდა ცოტაოდენი თანხა დაგვეგროვებინა მის წამოზრდად. მე... მე მხოლოდ წელიწადში ორმოცი გირვანქის გაგზავნას ვახერხებდი... ჩვენ მოვახერხეთ მიწის პატარა ნაჭრის ყიდვა... და... და მგონი მე ახლა მოკვდები. უთხარი იმათ, გარი... მოუყვი, როგორ იყო საქმე...


მე იძულებული გავხდი გარეთ გავსულიყავი, მეტის ატანა აღარ შემეძლო, ტრემლები ყელში მებჯინებოდა და ვნანობდი თუ რატომ გავხდი ამ ოინების მონაწილე, მაგრამ ძლიერ გვიანი იყო.

როცა შემოვბრუნდი, მალაქი მკვდარი დამიხვდა.

იმევე საღამოს სკვატერის ჩეკით ქუდმა წრე შემოიარა და მალაქის ბრმა ძმისათვის ცოტაოდენ თანხას მოვეუყარეთ თავი.

* სკვატერი — მეცხვარეობის მსხვილი ფერმის — „ხაღვურის“ პატრონი.

ოღესმე



ორი მგზავრი შესვენების ადგილზე დიდხანს* ლაყბობდა, მთვარე კი ისე დაბლა იდგა, რომ მულგებში* მოჩანდა. მითჩელის ამხანაგმა ის-ის იყო დაამთავრა საკმაოდ უწმინაური ისტორია, მაგრამ, როგორც ჰგავდა, ამ ამბავმა მითჩელი გულგრილი დატოვა. ის სენტიმენტალურ გუნებაზე იყო. ფიქრობდა, თამბაქოს წვედა და ბოლოს ხმაც ამოიღო.

— ეხ! იყო ერთი გოგონა, რომელიც მე მომწონდა... ჩვენ დაბაში ის სტუმრად ჩამოვიდა ჩემს დასთან. შვენიერი გოგონა იყო, ტურფა და ლამაზი. ის-ის იყო თვრაზეტი წელი შეუსრულდა, მე მხრებამდეც ვერ მწვდებოდა, ისეთი დიდრონი თვალები შენ არც გქენება ნახული, ნაწინავეები მუხლქვევით სცემდა და ისეთი ხშირი იყო, რომ ორივე ხელით ვერ დაშლიდი — წაბლანარა და ელვარე. — მე არც კი ვფიქრობდი, რომ ისეთ ულამაზო და გაუთლელ ცხოველს, როგორც მე ვიყავი, ყურადღებას მომაქცევდა. ამიტომ გავუბრბოდი და შეხვედრისას ვითომ ვერ ვამჩნევდი. არ მინდოდა ვფიქრაო, რომ შეყვარებული ვიყავი. ვიცოდი — ყველა სასაცილოდ ამიღებდა და თვითონ ის, მგონი, ყველაზე მეტადაც.

ხდებოდა ზოლმე: მოვიდოდა, დამელაპარაკებოდა, მაგიდასთან გვერდით მომიჯდებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ ამას გულკეთილობით სჩადიოდა, ვინაიდან მეგონა, რომ ვებრალებოდი, ასე უხეში და ტლანქი ყმაწველა რომ ვიყავი.

მე ტყუილად როდი ვიყავი შეყვარებული ამ გოგონაზე და ვაძაყობდი, რომ ჩემი თანამემამულე იყო. მაგრამ ვერაფრის გულისათვის ვერ ვეტყვოდი ამას...

კეთილი და პატიოსანი! ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა, სანამ ორ-სამ წლიანი სამუშაო არ შემომამძლიეს, ჩვენი შტატის საზღვრიდან ცოტა მოშორებით მდებარე ფერმაში.

* მულგა — მცენარე, ავსტრალიის აკაცია.

გადაეწყვიტე ამ სამულგებში მიღება, რადგან ცოტა მიჭირდა. გარდა ამისა, წასვლაც მინდოდა. იქ დარჩენა, სადაც ის მეგულებოდა, ჩემთვის უბედურება იყო!

სალამოს, ჩემი გამგზავრების წინ, ყველანი მოვიდნენ სადგურში გამოსამშვიდობებლად. მოვიდა ისიც, ვისი გულისთვისაც მივემგზავრებოდი.

მატარებლის წასვლამდე მოშორებით იდგა, ბაქნის ბოლოში. ჩემი და სულ ნიდაყვით მიბიძგებდა და თვალთმანიშნებდა, მაგრამ მე ვერაფერს ვხვდებოდი. ბოლოს დამ მითხრა:

— შე ბრწყინო! მიდი ედისთან, კამოეთხოვე.

მივედი. როდესაც ყველამ ზურგი შემომაქცია, ხელი გავუწოდე და ვუთხარა:

— ნახვამდის, მისის ბრაუნ. არ ვიცი, მოვესწრები თუ არა კიდევ თქვენს ნახვას, რადგან ღმერთმა უწყის, როდის დაებრუნდები. გმადლობთ, რომ გასაცილებლად მოხვედით.

მან სახე მიაბრუნა სინათლისაკენ და მაშინ დავინახე, რომ ტიროდა. მთელი ტანით ცახცახებდა. უეცრად მითხრა: „ჯექი! ჯექი!“ — სწორედ ასე ასწია ხელები!

მითჩელმა რაღაც უცნაური ხმით წარმოსთქვა ეს სიტყვები და ამხანაგებმაც შეხედეს მას. მითჩელის სახე ძალიან სერიოზული იყო და თვალები კი ცეცხლზე ჰქონდა მიპყრობილი.

— ალბათ მაგრად მოტორე და კიდევ აკოცე? — ჰკითხა ამხანაგმა.

— არავითარი მაგის მსგავსი! — მკვახედ მიუგო მითჩელმა. — არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ქირღვა მამაკაცს არ სიამოვნებს... კმარა, დავადგათ ცეცხლზე ქვაბები, დავლიოთ ჩაი და წამოვწვეთ.

— შესაძლოა... — დაიწყო ერთმა ჩაის სმის დროს, — შესაძლოა ოდესმე დაბრუნდე და შეერთო:

— ოდესმე! სწორედ ამაშია საქმე! ჩვენ ყოველთვის ვამბობთ „ოდესმე“.

ათი წლის წინათ მე არა ერთხელ მითქვამს ასე. აბა შეხედე, უკვე ხუთი წელიწადია, რაც ერთი სამუშაოდან მეორეზე გადავდივარ, მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ხეტიალის მეტს არაფერს ვაკეთებ! ამოფოფხვის იმედი უკვე აღარა მაქვს, ხსნა მხოლოდ სადმე ჩაკვდომამაია. რა მივიღე სამაგიეროდ? მხოლოდ ეგლა მაკლია, დავბრუნდე სახლში და დავქორწინდე, როცა ჯიბეში გახვრტილი გროშიც კი არა მაქვს, ტანსაცმელის მაგივრად, კონკეტში ვარ გამოხვეული და როგორ ვიშოვი ფულს, არ ვიცი. მე ოდესღაც დავიფიცე, რომ უქვეითოდ მინ არ დავბრუნებულებიყავი. მერე რა? აი მეც არ ვბრუნდები. ქვითრების დრო გავიდა. შეხედე ამ ფეხსაცმელს. ჩვენ სადაც არ უნდა მივიდეთ, მაწანწალასა და მათხოვარს გვიწოდებენ. სულ ერთია! ვიცო, ბრიყვი ვიყავი და ეს ძვირადაც დამიჯდა. ახლა არაფერი დამრჩენია, გარდა ხეტიალის, ხეტიალის და ხეტიალისა!.. წანწალის მეტი არაფერი დამრჩენია, სანამ დავბერდები, გავტიალდები, ლაფში ამოვისვრები, თანდათან დავეძლურდები და დავეცემი... სანამ როგორც ხარი არ მიეჩვევი მტვერსა და სილას, სიცხეს, ბუზებს და ქინქლს, დაკარგავ თავმოყვარეობას და იმედს, შეეთვისები ამ ძალღურ ცხოვრებას... შენი ფუთა შენივე ნაწილი გახდება. რო-

დესაც კი ზურგზე ტვირთი აღარ გეძინება, დაიბნევი და თავს უბედურად იგრძნობ. მაშინ შენ ფეხებზე გვიდრი, მიიღებ ოდესმე სამუშაოს და იცხოვრებ ადამიანურად თუ... ასე ამგვარად, ერთევი ვზადაგზა, სანამ ხარს არ დავმსგავსები! მაგრამ ვის რა ესაქმება?

გუშინ რომ ბილიკები არ გვენახა, ჩაკვდებოდით რკინის ხის შემზნარში ისე, რომ ვერაფერს გაიგებდა და არც ვინმე შეგვიბრალებდა. ბოლოსდაბოლოს, შესაძლოა ვინმე წავგწყდომოდა თავს, მაგრამ გადაწყვეტდა, რომ დრო არ დაეკარგა, რათა ეცნობებინა ჩვენს შესახებ, სადაც ჯერ არს. წყეულიმც იყოს ყველაფერი!

ის გაბრაზებული ჩუმად სწევდა ჩიბუხს, შემდეგ ფერფლი გამობერტყა, ხენეშით მოიძია თამბაქო და თქვა:

— დე, აგრე იყოს. დღეს გუნებაზე არა ვარ, ფიქრებმა გამიტაცეს... მე მგონი, მეგობარო, უკეთესია დავწვეთ და დავიძინოთ, ზეალ დიდი მანძილი გვაქვს გასავლელი და ისიც ასეთ პაპანაქებაში.

შემდეგ გაშალეს ფუთები, წამოწვენენ სილაზე და გაეხვიენ საბნებში. მითჩელმა სახეზე მიტკლის ნაფლეთი გადაიფარა, რადგან ქარი და მთვარის სინათლე დაძინების საშუალებას არ იძლეოდა.

თარგმანი სმარტო აბულაძისა



შობონება დღო მისხიზვიღე

1905 წლის მარტის პირველ რიცხვებში 31 წი-
ლადა მხვდა ზედნიერება პირისპირ შეხვედრადი
ლადას. ეს ამბავი მოხდა ქართველთა შორის წერა-
კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რომელ-
საც ბინა ქართული თეატრის წინ ჰქონდა. შიო
მღვინელი ამ საზოგადოების მალაზიანი მსახურე-
ბდა. შიოსთან შევიარე. ის მარტო როდი იყო,
„შეეს შიოს“—შიო დუდაბრიშვილს ელაპარაკებო-
და (წვერლობაში ცნობილ ბელეტრისტს შიო არა-
გვისპირელს). ვიდრე „ოთარ შიოს“ გაველაპარაკე-
ბოდი ფეხდაფეხ შემომყენენ ორნი. ერთმა მათ-
განმა შეე შიოს მიამურა და ჰკითხა, ვიგო რცხი-
ლაძეს ხომ არ შემოუვლიათ. ახლადმოსულებიდან
მხოლოდ ერთი ვიცანია: ეს იყო ლადო მესხიაშვილი,
მშვენიერი შეჭალარავებული თმებით, ვერცხლის
ჩაღებუტით რომ შემოსდგომოდა მის ვაშლად
შებლს. მისი სახის ნაკვთები გრაციით საეპე იყო
და ისეთი მთაბუტედილება რჩებოდა, თითქოს ახო-
ლის ტანდაკვებას ცისკრის სხივები ეაღერებინა-
ნო. ცოცხალმა პორტრეტმა გაცილებით მეტო შთა-
ბუტედილება მოახდინა ზემზე, ვიდრე პამლუტეს
როლში მისმა სურათმა, ან ლევან ხიმშიაშვილმა,
ანდა გაიოზმა. ეს საყვარელი სურათები ხომ
ახალგაზრდებს საწერი მთავლის სამკათულებად
გვქონდა შექენილი! მეორე, როგორც გამიარ-
გვა, იოზა ზარდალიშვილი გამოდგა, ლადოს მიერ
გაწერონილი ახალგაზრდა მსახიობი, რომელმაც
შემდეგ საკმაო წვლილი შეიტანა თავისი არტის-
ტული ნიჭით ჩვენი თეატრის ისტორიაში. სხვა
არა იყოს რა, არტისტულ თეატრს თუ „რუსთავე-
ლის სახელობის თეატრი“ ეწოდება, ან გოლო-
ვინის პრისბუქტს „რუსთაველის პრისბუქტო“,
ეს მის ინიციატივას უნდა მიეწეროს... ეს სხვათა
შორის.

ლადომ როდესაც ვიგო რცხილაძე მოაკითხა,
კამიყვირდა, ნეტებ რა უნდა ესაქმებოდეს რცხი-
ლაძესთან, ნუთუ ჩვენი ვიგოც მსახიობობას ამი-
რებს: ან იქნებ რაიმე პიესა დაწერა? ვიგოს მა-
ნამდე ვიცნობდი, როგორც კარგ ქურნალობსტს,
რომელიც ამოაფარებოდა „წანების“ ფსევდონიმს.
ვიგო და არტისტი? მაგრამ ამაჟამად ამისი გა-
მოყვების დრო აღარ იყო, რადგან თვითონ ვი-
გო რცხილაძემაც შემოყო თვით.

— ა, მოხველითი! — შესაბა ლადომ და ხე-
ლები ფართოდ გაშალა, თითქოს გულში უნდა ჩაი-
კრასო. პირობაზე როგორა ხართ? — განაგრძო
მან.

— კარგად, კარგად, ბატონო ლადო... აი, მო-
გიტანეთ.

მან პორტრეტიდან ამოიღო პლუტარქი და გა-
დასცა:

— ესეც თქვენი პლუტარქი. მეს დაინტერეს-
წუხელ გადავიკითხე გრაცხების ამბავი. მართლაც
რა დაკვირვებითაა გადმოცემული ორივე მისი ამ-
ბავი, მათა რვეოლუციური გამოსვლები, რისთვის-
საც დაისაჯუნ და მსხვერპლად შეეწირეს უკე-
თილშობილეს იდეებს საწყალი ხალხის ტვითის
შემაშუბუტებად.

გრაცხების სახელის გავრწემაზე უმაღლე მივბე-
დი ლადოს მიერ დანიშნული პეენანის აზრს, მივბე-
დი იმასაც, თუ რად დასჭირდა მას პლუტარქი —
მას უნდოდა, რომ გრაცხის სახე უფრო ღრმა და
კეთრებით ამოცვეთა სცენაზე, ყოველმხრივ სრუ-
ლი, ყოველმხრივ ამბილუბული, დამაფიქრებე-
ლი ყოფილიყო.

აქ ლადომაც თვითონვე გახსნა საიდუმლო:

— ვიდრე კაი გრაცხის როლის შესწავლას შე-
ვედგებოდი, მე შეეხსწავლე თვითონ ეპოქა. უფ-
რო ეინოვრადოვით და მომზენით ცხელმსლვანე-
ლობი. მაგრამ პირველწყაროდ ისეც პლუტარქი
მირჩიეს, იქ უფრო ცოცხალადაა აწერილი კაი
გრაცხის რვეოლუციური გამოსვლებიო. ზანდა,
რომ ჩემი კაი გრაცხი, — ანუ როგორც ჩვენი გა-
ღერიან გუნია მისწორებს, — გაიოზ გრაცხი, —
იყოს მეტად უმიშარი ტრამბუნი, უებრო ღეიკარ-
ტი და მგზნებარე სულიო...

ვიგო რცხილაძე მშვენიერი მოსაუბრე იყო, გან-
სწავლული, იურიდიული მეცნიერების მცოდნე და
ღრმად ჩახედული ფილოსოფიურ საკითხებში. მის-
თვის უფრო არ იყო კანტი, ჰეგელი, არ ვიცა, რის-
თვის დასჭირდა მას, მაგრამ მოხდა ისე, რომ
ხელოვნების საკითხებშიც ზაითრია ლადო, და მო-
სთხოვა აესხნა, თუ როგორ უყურებდა ის თეატრის
საკითხს, ან რა მომავალი აქვს ჩვენს თეატრს. ლა-
დომ თავისი პასუხი საკმაოდ შორიდან დაიწყო და
ბოლოს ასე განაგრძო:

— ...ასე რომ, მსოფლიო მზატვართა შორის უფ-
რო იხანი ითვლებოდნენ დიდ ოსტატებად, რომლე-
ბიც ბუნებასთან ახლოს იდგნენ. როგორ შემოიძლია
მე, მსახიობს, გადმოცეც სოფლის პოეზია, მინდვი-
რის მუშაკის ვანცაღანი, თუ არ მინახავს სოფელი,
თუ არ ვიცი, რას ნიშნავს მხენელ-მოსტყველის სიხა-
რული, რადესაც გარიტრატებ გადას მინდვირად, რას
ნიშნავს მცელავის ბედნიერება, როდესაც თვითე-
ული ცულის მოსმანზე მთელ ზღვა თაუთავენს აწ-

ქვენს გვერდით, რას ნიშნავს შრომის პროცესთან დაკავშირებული მხარეული კოეფიციენტი, ან რას ნიშნავს ის განუზომელი წყნარება, თუ დარბა უღალატა და ოქროს ზღვას ტალღებს თავზე წამოაყარა სტეტივის ტყეა, რომ დატყვევით სარამითა და მადელი შვის სიდიადით, საქართველოს მამონი ვინა-ხოთ, როდესაც დაისის აღმშრომის ფონზე მშრომელი გლეხები ბრუნდებიან გამარჯვებული შოშირკ-ბისავით, ამაყად... ჩვენ ახლოს უნდა ვიდეგეთ გლეხებთან, მუშებთან... თვეზის კერასაც თან ახლავს თავისებური პოეზია. უნდა თვითონვე ენახათ, რა სიხარული და სიამაყეს განიცდის მუშადღერი, თუ თვეზით სავსე ბადეს გამოიპირებს, ან რა მძიმე ოხვრა ამობდება, როდესაც ცარიელ ბადეს ვამოსწევს და ძალ-ღონე გამოაღებული ცარიელ-ტარი-ელი უპარუნდება ცოლ-შვილს. ფაბრიკა-ქარხნებში კიდევ სულ სხვა სული ტრიალებს. რომ ვაევიფოთ და მსახიობმა სცენაზე სწორად გადასცეს შეშის განცდები, ერთხელ კი არა, ათჯერ და ასჯერ მაინც უნდა შეიხედოს ფაბრიკა-ქარხანაში, განმოსვ-ლოს ტენიების მოღალატე რას უწოდებენ, მსახი-ობმა ერთხელ მაინც უნდა აიღოს ურო ხელში და გრემელზე დადებულ გაეარებებულ რკინას დას-ცხოს... მე არა ერთხელ გამოვიღია და აღტაცებამი მოვსტუღეარ, როდესაც თვითვე უროს დარტყმა-ზე რკინიდან ნაპერწკლები ციციანთელეზივით მოზორიანდებენ... როდესაც საქმე გვაქვს ისტო-რიულ პიესებთან, მსახიობისთვის არა კმარა მარ-ტო რილის გაუპირება, — ეს ჩვენებური დიკე-ნურია ლოცვისის პეტებტი გამოვდა. მან უნდა იცოდეს, ვინ ასახიერებს სცენაზე, რომელ ეპოქი-დან. არ შეიძლება ანტიკური ხანის გლადიატორი რომელიმე საშუალო საუკუნის ფეოდალის პარ-კით გამოიყვანო. მე როდესაც მონტის კაი გრაკს-ზე შევამერე არტევიანი, ზემო ახალი დასის გამო-საცდელად, ყოველმხრივ ვაევიფანი გრაკსების დროინდელ ადამებს, წესებს, სურათებს, რამდენ-ნადმე სოციალური და პოლიტიკური ხასიათის სა-კითხებს, რომელთა გადაჭრა რევოლუციური გზით უნდოდა კაი გრაკსს. რამდენად სწორად შევი-მცნე და შევასე ზემა და ზემო ბატარა მეკობრებს თანამით მონტის პიესის ხარვეზები, ამას სცენი-დან დავინახავთ. ჩემდა სანაქებოდ უნდა ვთქვა, რომ გრაკსი შევიყვარე მთელი არსებობა იმიტომ უფრო, რომ მის ყოველ გამოსვლას თან სდევდა კუთლომოიღლება. მისი გამოსვლა და პროტესტი უბრლო მთილება კი არ არის ჩუნი თამაშით, არამედ ბასრი მახვილიც ოპტიმატების მიმართ”.

„კაი გრაკსის“ დადგმას იმ დღიდან მოთმინ-ლად მოვლოდელი. ამასაც ვედიარსტე. გიგანტი მარ-ტი ამორიანობდა თოვლს, მაგრამ ეს მიწილია, რომ არტისტული საზოგადოების თეატრული წესი გა-მოკრული ქართული აფიშა გულმოდგინედ წაე-კითხა. ქარი და თოვლი?! მეერ რა, ეს ხომ სიმშა-ლური პრელუდია იყო იმ რევოლუციური ქარიშ-ლის ამოვარდნასა, რომელსაც წინასწარ შევხარო-დი: მე ახლა სცენაზე ვიხილავდი მესხიშვილის მი-

ერ განსახიერებულ კაი გრაკსს, გრაკსს ტრიონს. უშიშარ რევოლუციონერს...

დანიშნული დღეც გათენდა. თეატრში ტევა აღარ იყო. აღსანიშნავია, რომ იარუსები მთლად ახალგაზრდებით იყო სავსე. ფარდის შეზარებადინ მოთქმელთან დარტყენა უფრო ალმარტენად შეიცვალა და ერთხმად შევამდე: — „აი, იწყე-ბა...“ რასაც დაერთო ამსოლუტური სიზმე, ფარ-და აიხადა. სცენის დეკორაციული მხარე ღარიბია, როგორც იმდროინდელი აქტიორის საწყალი ჯი-ბე, მაგრამ რომის სული მაინც იგრძნობა, სუ-ლი მიძინებული რომისა. აი, სიღრმეში გამოინდა ვიდაცის ლანდი. ეს თვითონ გრაკსია, განდღვნი-დან დაპარტყებული. ტაშმა იგრიალა, თუმცა ლა-ლოს ჯერ ხმა არ დაძრა. უკვე გაეგრძნობინა, რომ ტამას დრო არ იყო. ის ჯერ მწეჯური სცე-ნებით გვიმასპინძლდება მყურებლებს, მძიმე-მძი-მე პაუზით, თითქმის გარეგნაგის სიბნელეში ვა-დაცას თუ რადაცას დაეძებს. ნელ-ნელ გათენდა. მსახიობს მოწითალო სხივი დაეცა და თითქმის აღამარდა, აი, მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა ლა-ლოს გრაკსმა:

— „...ისევ რომში ვარ... გამაგრდი. გულო... შე-ნი გრაკსი კვლავ ცოცხალია!“

სეგდინია ეს ხმა, მაგრამ არა სასოწარკვეთი-ლების სულთქმა. ლალო კვლავ პაუზაზე გადადის, მაგრამ ეს პაუზა მალალი განედის და გრუანტელ-მომგვრელია.

— რა სიზმემა!.. ამზობს იგი და კვლავ შეკრ-თებით. ლალო კი არ გლდით. ცეცხლს გვიდებთ ახალი პაუზით. თქვენ ხედავთ, რომ ის კვლავ კი-დაცისა თუ რადაცის ძებნაშია.

ქენწმა აქტიორმა ახლა სიტყვის გასადგვარი ვაგვიშალა. ირკვევა მთელი ისტორია მშათა გრაკ-სების რევოლუციური ცხოვრებისა, გაცოცხლდა კაი გრაკსი და მასთან ერთად გაცოცხლდა ბრძო-ლის ერთი უსასტიკესი ეტაბოვანე:

— „...სადღა ვაპოვი თვეშისაფარს მე უხედუ-რი? ეის მივმართო? ისევ კაბიტოლს? მაგრამ კა-პიტოლი ხომ ჯერ კიდევ სისხლმეშემარალია, რომ დროც შეისხა ზემო მძის ტიპერორსის მოყვლის მტოს. რას ენახავ იქ საწეშეშო? მხოლოდ ვივას და დედამემის სასოწარკვეთილებას...“ და ეს სულ პაუზებით იყო გადმოცემული, მალალი განცდით. თითველ მოგონებას ლალო-გრაკსი სისხლის ცრემლებით ხაზს უსვამდა... ის დევნილია, მშო-ბელ ქალაქს დაუბრუნდა, მაგრამ თვეშისაფარი მაინც არ აქვს... კაპიტოლთან მისვლა არ შეიძლე-მა, რადგან ის მისი მძის სასხლოთა შეტეობით. მივადეს დედასთან? მაგრამ რას ნახავს იქ, თუ არა უნუგეშო დედის ცრემლებს... მარადიულ სევდას... ყველა ეს მომენტი ძლიერი პაუზებით და მწე-ხარების ნიუანსებითაა გადმოცემული, რომანტიკუ-ლი მათრობელა სურნელებით... უკანასკნელ პაუ-ზაში მან ტანჯვით და მძიმე განედით შეისუნთქა მშობელი ქალაქის პაერი და წარმოთქვა:

— ...რა სიწმინდე... სძინავთ... ყველასა სძინავს... თვით მშრომელი ხალხიც მისცემია მოსვენებას..."

ამ კი უფრო მთელი სიგრძე-სიგანით აიზიდა ლადო-გრაჯები და ერთ ფოკუსში ნასკყამს თავის აქტიურულ ნიჭს:

...საბრალო ხალხო!.. საბრალო მუშაე!.. მხოლოდ თქვენ ხართ რომაელები!"

ჩვენ ვცოცხლობდით გრაჯების სიცოცხლით, ჩვენ ვიტანჯებოდით გრაჯების ტანჯვით, ჩვენ წილში ვიწმინდობდით ოპტიმისტური დასკვნით, რომ ნამდვილი რომაელები სწორედ ეს მშრომელი ხალხი იყო, მუდამ გაქელილი, უფლებაპყრობი, მაგრამ მთელი რომის დიდების ბურჯიანი ა.ა, რა კარგი იქნებოდა, რომ ლიტერატურული მოდელების მიმდევართ, რომლებიც სრულიად მოუფიტებლად წვეტენ საკითხს მონოლოგების შესახებ და მოითხოვენ სკენდლან მის განდევნას, ერთხელ მაინც ენახათ ლადოს კაი გრაჯები, მისი განუმეორებელი პაუზები და მაშინ მახვებოდნენ, რა სულელური პოლემა მონოლოგის უარყოფა! ვ. მონტის პაუა მდიდარია ასეთი მონოლოგებით და ლადომ თუ რვეოლუციის დროს ასეთი ისტორიული როლი ითამაშა, სწორედ ამ მონოლოგების წყალობით, მათი ცოცხალი გადმოცემით, დიდი ექსპრესიით... მგზნებარე ტემპერამენტის შემოქმედებათა ზიარდებით!.. ღარბი იყო, დიას, სცენის დეკორაციული მხარე, მაგრამ ლადოს თამაშით თქვენ წინ გაიზარდა რომი მედიდური, რომი ტრანში, რომი გახრწნილი, რომი სიადამლით დაცემული! ამ მონოლოგების საშუალებით ლადოს კაი გრაჯი თვალწინ გვიდგენდა რომშივე გაზაღებულ კლასისა პრძოლას, როცა რელიეფურად იკვეთებოდა უმსავესი სახე პატრიციების, ნობილუნისა, რომლებიც, გრაჯების მოსწრებული სიტყვით, "არა თუ რომის ერთგულ შვილებს, თვით თავიანთ თავსაც გაკუადიან, ოღონდ შეიდექენი იშოვნონო!" რა მომზაბეული იყო ლადოს გრაჯები, როდესაც გულისწუხლით დაასკენდა: "ოღესდაც რომის სენატი ღმერთების საკურთხევებს წარმოადგენდა, ახალი კი ყანადა ზრბოს თავშესაფარად გარდაქმნილიყო". განა საკუთრეული იქნებოდა, თუ ამის შემდეგ მოწინააღმდეგეთა მანაქის თვალში კაი გრაჯები მიუღებელი გამონდგებოდა და ერთხმად დაასკენდნენ:

„ეს აბეზარი კაცი უნდა მოკვდეს!"

ამ მანაქის სულისამდგმელი იყო კონსული ლუციუს ოპიმი (იუზა ზარდალიშვილი), რომელიც კაი გრაჯის გულთთადი მეგობრის მარკუს ფულვიუსის დახასიათებით „ამპარტეანი კაცი, კონსულად უეარგისი, ყოვლად უნიყო, ხოლო როგორც მოქალაქე მთლად წამბდარია და უნამუსო. მაგისი ძალი ისაა, რომ დაქარავეული უცხოელი ყანალები მოვიხიან და მოკლანო". მაგრამ კაი გრაჯი, როგორც უმიშარი ტრიბუნი, მაინც ეწეოდა რომს დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად. მას საკუთრად თავისი ავტორიტეტის, მავ-

რამ მოტყუდა: ზრბომ მაინც თავისი ვარტანა ავტრ, ფორუმზე გამოდის კაი გრაჯის მოსახლელ მტერი კონსული ოპიმი. თუმცა „უცხოელი-თვი და ყოვლად უეარგისი", მაგრამ-თავს-მედიდურად იქნის, რადგან რელიეფი თავდაცვის ძალი თან ახლავს — დაქარავეული კრიტოსელი შეიარაღებული ზანდიტები. ამიტომ იყო, რომ ეს გათავებულებული არამზადა ყოვლოჩინობაზე სდებეს თავს და ფორუმზე ვუეტტის მოსახლენად კარიკატურულად ციყერონს ჰპაძავს:

— „სამშობლო განსაცდელშია! სიტყვასა გთხოვთ, რომაელებო!" და როდესაც ამ სიტყვას ნება მიიღო ყანაღთა ზრბოსაყან, იგი მიმართავს დემავოგობას: „...დიდ ღმერთებისგან დაწეროლ კანონებს, უფროსთა უფლებებს, ძველის ძველ წესებს, ჩვენს საღმრთო ადათებს, ჩვენს ქებულ ზნეობას, პირობათა სიწმინდეს, უფლებათა შურეცნელობას, სამშობლოს დაცვას და მას კეთილდღეობას ახალი მტერი გამოუნდა, მტერი არა ვარუნდა მომხტარი, არამედ აქედანვე, შინიდან გამოსულა... სამონღლია ამ საგანზე ლაპარაკი, რომაელებო! მე შესამს თქვენი გულისწყრობა. მესმის, თუ რისთვის ხართ ასე გულდათოქმულნი, რა სვედას მოუტაცს თქვენი გული, რა დარდის ნიაღვარს წაუღევიხართ... დღეს ადამიანი უახსია და ცნესაი მების ვერ ახერხებს? და რატომ? რატომ? ვინაა ამისი მოსაბაზე? ავტრ, ის კაცი..."

საწყალი ა. ზარდალიშვილი! ეს ახალგაზრდა, რომელსაც მესხიშვილმა ასეთი უცმური პერსონაჟის დასატვა დააუღა, ჩვენ, ახალგაზრდებმა კონალიამ სცენაზევე გაგვიოჯუთ. მას პროტესტებით ეაწყეტინებდით ხმას, მისი დანაშაული, როგორც მახიობისა, მხოლოდ ამ იყო, რომ უადრესად კარდა დასარულდა დიდი მასწავლებლის — ლადოს დედალებს. დამბლადაცემულ და უცქუო ოპიმის ნაცვლად, ზარდალიშვილმა დაგვიხატა ძლიერი მოწინააღმდეგე კონსულის სახე. რა ზედნიერი იყო ლადო, რომ ამ დღეს, თავის უნარიაზობის და არტისტული ნიჭის გარდა, გვაჩვენა ახალი ძალების წამოზრდაც, რომლებიც ასე მინაზეულად თამაშობდნენ, ხოლო მათში ყველაზე მეტად ერწეოდა იუზა!

რეაქციამ გაიმარჯვა. კაი გრაჯები თავისი მომხრეებითურთ უმოწყალოდ გაეკეტეოლი იქსენტლანქმა ძალიამ გაიმარჯვა კაი გრაჯები ისტორიის მიხედვით ახერხებს ფურინის ჭალებში გატრას, მაგნის მტერი ფებდაფეხ მისდევს. ბოლოს კაი გრაჯისათვის ნათელია, რომ დამარცხდა, მას ტყვედ ზაიადვენენ, მაგრამ ვიადრე ეს მოხდებოდა, ერთხელ კიადვე აიზიდება ჩვენ წინ როგორც გოლიათი მებრძოლი: იგი უბრძანებს ერთ-ერთ მძლებელს, რომ მახვილი ამოქმედოს მის მყარდზე. მძლებული ასრულებს მის ბრძანებას, მაგრამ ვიადრე მათი საყვარელი პატრონი თვალს დასუეავს, თვითონაც თავს მოიკლავს.

უკანასკნელი მომენტი ვ. მონტის გადმოტანილი აქვს ფორუმზე, უფრო მიწიხედული რომანტიკული


სახით, ვიდრე სინამდვილეში მოხდა. როდესაც კონსული ოპიშის დემაგოგიური გამოსვლით აფხვნიება ბრბო, როდესაც პატრიცები და აუარება ლიტორები დაქარავებულ მანდიტებთან ერთად მიუსვნიან კაი გრაქს მოსაკვლელად, სცენაზე შემოდის გრაქების საბელოვანი დედა კორნელია (ივანიძის ქალი) და საკუთარი ხელით გაგმირავს შვილს, რომ მტრის დასაცინი არ გამხდარიყვნენ. რა მშვენიერი იყო ამ დროს ლადო: „გმადლობ, დედილო, რომ ასე კარგად გცნობებია შენ შენი შვილი!“ და ისე დაეცა, როგორც უმწვენიერება ბარელიეფიდან ჩამოშხხურული გმირის ქანდაკება...

მაგრამ აქ უნდა აღენიშნო ერთი ამბავიც: როდესაც მაცურებელი ყოვნიით და მუშტების ქნევით უმასპინძლდებოდა იუზას კონსულ ოპიშს, იარუსებიდან წამოვიდა პროკლამაციების თოფი და აღტყინებული რევოლუციურა შეძახილები: — „ძირს ვგ საზიზღრები!“ — „გაუმარჯოს თავისუფლებას!“

შობებუდილება ისეთი დიდი იყო, თითქოს აგვრავდნო წითელი დროშა გაიშლებოდა და თეატრნივე მოხდებოდა მ იანჭრის სისხლიანი დღის განშეორება. ადმინისტრაციის რწმუნებულები თეატრიდან თავიდანვე ტაიპარნენ და გადაერჩით ბუცილებელ სისხლისღერას... ასე დამთავრდა ეს რე-

ვოლუციური თავდადებულობის, შერისპირებისა და სიყვარულის რომანტიკული სანახარბს გენა. შეიძლება ვაღმოიციეს ის უღიღინს მონბეჭდილება, რაც მოახდინა უკანასკნელ ფარდის ჩამოშვებამ და მტუხარე ტაშის დროს ჩვენ წინ მადლობის მოსახელად უპარკოდ გამოვიდა თვითონ სცენის ჯადოსანი — დიდი ლადო! იუზილე არ ყოფილა. მაგრამ მას ზედებოდნენ როგორც უდიდესი ზეიმის მოსაპაპებს, ესროდნენ ყვავილებს და თუკი ოდესმე ვისთვისმე მიუძღვნიათ გვირგვინი, იმ დღის გვირგვინს, გამარჯვებულ ლადოსადმი ხრძლილ გვირგვინს ვერაფერი დანრდილაჲდა, ვინაიდან ეს იყო გვირგვინი, რომელსაც გული ეწოდება, უკეთილშობილესი გრძნობების საბუდარის ლადოს იმ დღიდან, როგორც უდიდეს ოლიმპიელს, პირველობა მიენიჭა როგორც სცენის ჯადოსან ოსტატს...

მას აქვთ უკვე 52 წელმა გაიარა. მე ბევრი მინახავს საუკეთესო დადგმებში თვითონ ლადოც და სხუებიც, მინახავს მისი უზადლო ურიელ აკოსტაც მრისხანე კინიც, პეტრონიუსიც („ვიდრე ხვალ უფალო“), შილერის „ყაბაღებში“ ფრანციც და კარლ შოორიც, „შეშლილის წერილებიც“, მაგრამ ანეთი საზუიმო სპექტაკლი არც ერთი არ ყოფილა. ამიტომ იყო, რომ შეშდევმაიც „კაი გრაქის“ ყოველ დადგმაზე ხალხი აწყდებოდა თეატრს.



ავად ბ. ახვლედიანი



აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის*

(მაველენ ინგოროყვა — „გიორგი მერჩულე“, გვ. 146—188).

1. ტოპონიმიკურ სახელწოდებათა კვლევის მნიშვნელობა და მავლენ ინგოროყვას „სპეციალური ექსკურსი“.

ცნობილია, რომ ტოპონიმიკის მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების ვასაცნობად. ტოპონიმიკაში (აღდგოლა სახელწოდებებში) ზმირად ასახულია ეთნონიმიკა, ე. ი. იმ ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე ეცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე; ტოპონიმიკაში ზმირად შემონახულია დამახასიათებელი საზოგადო სახელები, რომლებიც საკუთარ სახელეზად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს; სოფელს, მდინარეს, მთას, ტყეს, წყაროს, საყანეს, საბაღახოს და სხვას. ზოგჯერ ასეთი საზოგადო სახელი აღარცა აქვს ენას თავის მოქმედ ლექსიკურ შედგენილობაში, მაგრამ შერჩენილია ამა თუ იმ ადგილის სახელწოდებაში — ზმირად იმზომ შეცვლილი სახით, რომ საგანგებო ენათმეცნიერული და ისტორიული კვლევა საჭირო მის ამოსაცნობად. ამ მხრივ ტოპონიმიკა წარმოადგენს ენათმეცნიერული — მეტადრე ლექსიკოლოგიური — კვლევის ობიექტს. ასეთი კვლევის შედეგები გამოიყენება ისტორიულ მეცნიერებაში.

ამიტომ სრულიად მართებულად მოქცეულა მავლენ ინგოროყვა, რომ თავის შრომაში მეოთხე თავის პირველი ქვეთავისათვის („აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში“, გვ. 119 — 145) დაურთავს „სპეციალური ექსკურსის“ აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან“, გვ. 146—188).

ამ „სპეციალურ ექსკურსში“ განხილულია 136 ისტორიული ტოპონიმიკური სახელწოდება, (მათ შორის 109 ისტორიული სახელწოდება ანტიკური ხანიდან მოკიდებული, ვიღრე XVI საუკუნემდე) ავტორი ფიქრობს, რომ ეს სახელწოდებები გეოგრაფიის ქართულ ენობრივ სამყაროს.

ვასათვალისწინებელია, სხვათა შორის, რომ მთელი ექსკურსი ავტორის აუწყობინებია წერტილი შრიფტით (პეტიტით), რაც, აღმათ, იმას ნიშნავს, რომ გამოკვლევას მეოთხე თავში ავტორის მიერ წარმოდგენილი კონკრეტისათვის ამ ექსკურსს არა აქვს ვადამწვევტი მნიშვნელობა, ე. ი. თავისი ძირითადი დებულება ავტორის უამეკვრისიოდ დამტკიცებულად მიეჩნევა — ისტორიულ საბუთიანობასა და ისტორიული ხასიათის მოსაზრებათა საფუძველზე დამყარებით. მაშასადამე, ამ ექსკურსს ავტორი თვლის ერთგვარ დამატებლად ან თავისი ძირითადი დებულების ილუსტრაციად და, ამდენად, ავტორს, ფიქრობთ, არცა აქვს პრეტენზია პირველხარისხოვან საბუთად გამოაცხადოს ტოპონიკის ჩვენებანი, მეტადრე — ჩვენება ყოველი ცალკეული ტოპონიმიკური სახელწოდებისა მიუხედავად ავტორის ამგვარი მოკრძალებულობისა, „სპეციალურ ექსკურსს“, ჩვენი აზრით, აქვს ზოგ თავის ნაწილში ვადამწვევტი მნიშვნელობა, მეტადრე — როცა სხვა წყარო არა ვააქვს.

2. ლექსიკის ენობრივი იერი და ეტიმოლოგიზაცია

მე საშუალება მომეცა ვამოხეტევა სრულიად დადებითი აზრი მავლენ ინგოროყვას

ვას ამ ქემშარიტად შესანიშნავი შრომის შესახებ („Заря Востока“, 1955 წ., № 161) და კერძოდ, ვამზობდი: „რაც შეეხება „სპეციალური ექსკურსის“, სახელწოდებათა უმრავლესობა

* განხილვის წესით. რ. დ.

ბა ადასტურებს პ. ინგოროყვას დებულებას...
 ოლნდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ტრანი-
 შიკა და ენონიმიკა ჯერჯერობით არაა საე-
 მთად შესწავლილი; ამიტომ პ. ინგოროყვას
 ეტიმოლოგიები არაა ყველა ერთნაირად დამარ-
 წმუნებელი" (სვეტი მესამე). ამ აზრისა ვარ დღე-
 საც პავლე ინგოროყვას, როგორც მთე-
 ლო შრომის, ისე იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც
 ამ ზემს შენიშვნებში ვეხები,—მიუხედავად იმისა,
 რომ სპეციალისტებმა შესაძლოა კიდევ სხვა ცალ-
 კედლ ნაყლებე მიუთითონ ჩვეს მკვლევარს, რაც
 მის შრომას, როგორც მთლიანს, ვერავითარ
 ჩრდილს ვერ მიაყენებს. როდესაც მე ვამბობდი,
 პავლე ინგოროყვას მიერ განხილულ „სა-
 ხელწოდებათა უმრავლესობა ადასტურებს პ. ინ-
 გოროყვას დებულებას"—მთქი, მხედველობაში
 მქონდა, უპირველესად, ამ 136 სახელწოდების
 დიდ უმრავლესობის საერთო ენობრივი იერი—
 როგორც ფონეტიკური ბგერალობისა, ისე მორ-
 ფოლოგიური აღნაგობის მხრივ.

როგორც ცნობილია, ამ ნიშანთიესებით გან-
 ხვევლებიან ერთმანეთისაგან ძალი მონათესავე
 ჳნიბეც კი, რაც გამომდინარეობს იქიდან, რომ
 თითოეულ ენას იქვს ყველა სხვა ენისაგან გან-
 სხვავებელი ბგერათისისტემა, თავისებური ბგე-
 რათდაჯგუფება, ბგერათეულიების კანონ-
 ზომიერება და სიტყვათწარმოებითი საშუალება-
 ნი. ცალკეულ სიტყვაში შეიძლება არ ჩანდეს
 ენის ეს იერი, მაგრამ სიტყვათა მეტნაკლები
 მოცულობის წყებაში იგი უპკველად გამოჩნ-
 დება.

პაულ ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი 136
 სიტყვის დიდ უმრავლესობაში უთუოდ ჩანს
 ქართული ლექსიკის იერი, ჩანს იგი არა მხო-
 ლოდ მათი უმრავლესობის მთლიანობიდან, არა-
 მედ ამ უმრავლესობის ჯგუფობრივი წყებები-
 დანაც.

3. თანხმონათა პარმონიული კომპლექსების მოწმობა

როგორც ჩანს, არავითარ ექვს არ იწვევს, რომ
 ცხუ-ცხობ ფუძე მიეკუთვნება ქართულ-ქართვე-
 ლურ ენობრივ სამყაროს; ამას მოწმობს ქართუ-
 ლის ცხ კომპლექსი (იხ. პრაქტ. ქ. ლომთათ 7-
 ძის „აფხაზთა ენობისა და განლაგების ზოვი-
 ერთი საკითხის შესახებ“, ვერნ. „მნათობა“,
 1956 წ., № 12, გვ. 137, სვ. II). მაგრამ ქართული
 სიტყვის ფონეტიკური იერას ვლემენტს წარმოად-
 გენს არა მხოლოდ ცხ კომპლექსი, არამედ ქარ-
 თულში მოქმედი მთელი სისტემა თანხმონათთა
 ხარმონიული კომპლექსებისა, რომელი სისტემის
 მხოლოდ 1/3 (რაც თქმა უნდა, არა ზუსტად) ნა-
 წილია ცხ კომპლექსი. სახელდობრ: ბღ-ფხ-ჟუ,
 დღ-თხ-ტუ, ძღ-ცხ-წუ, ჯუ-ჩხ-ჭუ და მათი ფონეტი-
 კური შესატყვისები ზარწრში (მეგრულ-ქანერ-
 ში). სხვა ენებში თანხმონათთა ასეთი სისტემა
 არა გვაქვს. სრულიად ცხადია, რომ ამ სისტემის
 ალუსტრაციას წარმოადგენს პავლე ინგო-

სხვაგვარ მიდგომის მოთხოვნა ცალკეული სი-
 ტყების წარმომავლობის ვარკვევა; ეს შესაძლ-
 ბელია სიტყვათა ეტიმოლოგიური ანალიზის გზით;
 მაგრამ ეტიმოლოგიზაციის მეთოდი იმდენ სიმწე-
 'ლეს შეიცავს, რომ ზოგჯერ შეუძლებელია ეუ-
 ჰველი შედეგების მიღება, მეტადრე იმ შემთხვე-
 ვაში, როცა წინასწარ არაა დადგენილი, თუ რო-
 მელ ენას ეკუთვნის როგორც გასაანალიზებელი
 სიტყვა, ისე მასთან შესადაარებლად მოტიანი
 სიტყვები. გარდა იმისა, რომ ეტიმოლოგისტი
 შესაძლებელია შეცდომაში შეიყვანოს ცალკე-
 ლი ნასესხები სიტყვის ვარკვევლმა მიმგავსე-
 ბამ, ჰშირად შეუძლებელია გაითვალისწინოს
 მან, რომ სიტყვის ვაფორმება მომხდარა მრ-
 ვალგვარი ანალოგიისეული გავლენის შედეგად.
 ეტიმოლოგიური კვლევისას არაა გამორიცხული
 აგრეთვე მეტნაკლები სუბიექტურობა, რამდენა-
 დაც ეტიმოლოგიზაცია ჰშირად დამყარებულია
 მკვლევრის ვონებათახელობაზე.

ამ მომენტებზეა საჭირო მიუთითოს ხოლმე,
 როცა შედარებით ენათმეცნიერების ნაკლი უნ-
 დათ აღნიშნონ.

როდესაც გასაანალიზებელი სიტყვის ამა თუ
 იმ ენისათვის მიკუთვნება ექვს არ იწვევს, მაშინ
 ეტიმოლოგიზაციის მეთოდის უპირატესობა ცხა-
 დლია, თუკი ვაითვისწინებული იქნება ზემოხაე-
 ნებული სიმწელებები. ჩვეს შემთხვევაში კი უმ-
 თავრესია სწორედ მიკუთვნების საკითხი. ასეთ
 პირობებში ენობრივი იერის დადგენას უთუოდ
 დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ ზოგჯერ ცალკე-
 ული სიტყვის იერიც კი მიუთითებს, რომ იგი
 ქართულ-ქართველურ ლექსიკურ სამყაროს მიე-
 კუთვნება, ასეთ შემთხვევაში ამ სიტყვის ეტი-
 მოლოგიზაცია მნიშვნელოვნად ვადვილებუ-
 'ლია—მით უფრო, რომ ცნობილია ქართული
 ენის სამეტყველო ბგერათთა ისტორიული გამ-
 ძლეობა.

როყვას „სპეციალურ ექსტერსში“ დამოწმ-
 ბული სახელწოდებები: სობლის — სობისი
 (გვ. 150), დღენა — დენა (169), ტუურუ (176),
 ტუბუნე (146), იგივე ცხობი-ცხუმი (147), წუ-
 ზამელა (179), წურტილი (172), წუვზნი (168),
 ჩხარი (158), ჩხალთა (177). თუ ვაითვალისწი-
 ნებთ ქართული ბგერათისისტემის ვამქლემას,
 სრულიად მართებული იქნება, რომ ამ ნიმუშებს
 დამატოს მრავალი დღეს მოქმედი ტრანიში-
 კური სახელწოდება აფხაზეთის ტერიტორიაზე,
 რაც აღნიშნულია სხვადასხვა მასშტაბის რუკებ-
 ზეც კი. მაგ.: დღაშე (მდინ.), კინდლი (სოფ.), იაშ-
 თხა-იაშტუხი (სოფ.-საყურადღებოა, რომ პირ-
 ველს ეწოდება ზეო, ხოლო მეორეს — ქვემო;
 ცხადია, რომ ეს ერთი და იგივე სახელწოდებაა,
 მხოლოდ იაშტუხ-ში დარღვეულია თხ კომ-
 პლექსი; როგორც ჩანს, ძველი იაშთხე), აიოხა
 (მთა), თხინა (სოფ.). პაულ ინგოროყვასთან

174 გვ), ამტყელი (სოფ.), ტუშარხალი, ფრცხა (მთა), აცხუ (მთა), რეჩხუწა (სოფ., მთა), ანჩხა (მთა), ჩხორთოლი (სოფ.) და სხვა. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აფხაზეთის მიკროტოპონიმიკის ადგილობრივი შესწავლა უპირაქვს შევსებას ნიშნულს მოგვეცემს ამ დებულებას სასარგებლოდ.

კარგი ნიმუშია ზემოკამოთქმული მოსაზრებისა იმის შესახებ, რომ ფონეტიკური იერის მიხედვით სიტყვის მიკეთვება ადვილდებს მის ეტიმოლოგიზაციას, მაგ., პავლე ინგოროვას მიერ 146-7 გვ. განხილული ტოპონიმიკური სახელწოდება ტუშუწა: ტუ კომპლექსი პითიონის მის ქართულდებაზე, ხოლო მისი მნიშვნელობა ემთხვევა „დიოსკურია“-ს მნიშვნელობას

4. „პიტიონის“ ეტიმოლოგია

მიუხედავად იმისა, რომ პიტიონტა-პიტიანთა ფუძე არ უნდა იყოს ქართული, როგორც ამას პავლე ინგოროვა ფიქრობს (გვ. 147-148), ამ სახელწოდების ისტორია მინც მისი ძირითადი დებულების სასარგებლოდ ლაბარაკობს. ჩვენი აზრით, ბერძნული pitys ნასესხებია ქართულში ფიტც-ს სახით (ბერძნ. ყ—ქართ. ვ), ამას კი მოუცია ფიტც (ტ-ს გააფრიკატივით), რომლის მრავლობითი (ფიტცნი-ფიტცთა) ტოპონიმიკურ სახელად ქვეულა იმის შემდეგ, რაც ფიტცნი-ს, როგორც საკუთარ სახელს, შეუწვევტია კავშირი საზოგადო სახელ ფიტც-თან, უცხოელებს (ბერძნებს) აღუქვამთ იგი კონტამინირებული სახით „pityunta“. ამ ეს სიტყვაა ზელმეორედ ნასესხებო ბერძნულიდან პიტიონტის სახით, რასაც მოწმობს p-ს დისიმილაციური გამძვინვარება (ბერძნული p → ქართ. ზ) და t-ს დაცვა ტ-ს სახით (ტ-ს ნაცვლად თ ახალი გააზრიანების შედეგად მიგვაჩნდა). ურდ თანხმობანთა დისიმილაციური გამ-

და ამგვარად იხსენება მისი მრავლობითი რიცხვის ფორმა. როგორც ჩანს, ტუშუწა, resp ტუშუწი წარმოადგენს ძველ ბერძნულ დიოსკურია“-ს (ლევენდით — „ტუშუწი ძმები“) შესატყვისს.

თანხმობანთა პარმონიული კომპლექსების სისტემის არსებობა აფხაზეთის ისტორიულ ტოპონიმიკაში ისეთი ურყევეი მოწმობაა ქართულობისა, რომ არ შეიძლება მისი გვერდის ავლა (შეიძლება ცხელ-ცხობით და თუნდაც რამდენიმე უპაქველი ტერმინის დასახელებით) ამ მისი ჩათვლა მეორეულ ფონეტიკურ მოვლენად, თუ არ ვერცა, რომ გზა მიეცეს ნებისმიერ დასკვნებს.

ელერება სხვა ენიდან ნასესხებ სიტყვაში საკმაოდ ძველი მოვლენა უნდა იყოს საკუთრივ ქართულში და აგრეთვე სუანურში. მაგ.: ბატონი, სვან. ბატონი ← ლათ. patronus; ბილწი ← პილწი. პავლე ინგოროვას მართებულად აქვს მოყვანილი ტომონ. სახელწოდება ბატონა, რომელიც შედარებულია პატრახუნთან (გვ. 151).

„პიტიონტ“-ის ასხნა pityunta-საგან, ბერათა ასეთი გაცყეული კანონზომიერი ცვლილების საფუძველზე, დიდმნიშვნელოვანი საბუთია პავლე ინგოროვას კონცეფციის სასარგებლოდ: იგი ძველი ტერმინია და გაფორმებულია ქართული ენის კანონზომიერებით.

აფხაზეთის ტერიტორიაზე დღესაც მოქმედი ტოპონიმიკის უფრო გამოწველილივით შესწავლა, ეფიქრობთ, აგრეთვე მრავალ მასალას მოგვეცემს ამ კანონზომიერების საილუსტრაციოდ.

5. „ზზიბის“ ისტორიისათვის

ტოპონიმიკის კვლევისას საყალღებულა ისტორიული ცნობების გათვალისწინება, თუკი ასეთი რომ მოგვეპოვება ამა თუ იმ ტოპონიმიკური სახელწოდებისათვის. გვაქვს თუ არა რაიმე ისტორიული ცნობები ზზიბის შესახებ? როგორც ჩანს, გვაქვს: 1) მდინარე ზზიბის სახელწოდება წინათ ყოფილა „კაპიტის წყალი“ (გვ. 181), 2) მოხსენებულია ათ სხვადასხვა დროის (1318 წლიდან — 1519 წლამდე) რევაზე Cavo de Barzo „ზზიბის ნავსადგური“, რომელიც, აღბათ, გულისხმობდა სოფლის სახელწოდებას „ზზები“ (გვ. 148). ზზიბ ტყეებით სიმდიდრის გამო დარქმევი მას ეს სახელი. ასე ფიქრობს პავლე ინგოროვა. ეს იმდენად დამაფიქრებელია, რომ, თუ სხვა რამ უფრო მეტად ეძვეული საბუთი არ იქნა მონახული, ჩვენი ავტორის აზრი სავსებით უნდა გავიზიაროთ.

ყურადღებას იქცევს, უპირველესად, რომ ზზიბი არაა ამ მდინარის პირველადი სახელი (ამის შესაძლებლობას ცნობს ს. ჯანაშიაძე იხ. ქვემოთ); მას ერქვა „კაპიტის (ან კაპეთის — Kapéthi, როგორც დიუბუა დე მონპერეს აქვს, ან კაპეტის, როგორც ეს ვახუშტისა აქვს, ვ. აბ.) წყალი“. თუ ეს ასეა, „ზზები“ შეიძლება რქმეულია ზზებიან სოფლის ან ზზების ტყეს ეს სრულად ბუნებრივი იქნებოდა. ამ შემთხვევაში როგორღა შეიძლება ვაგამართლოთ დღევანდელი აფხაზური სახელწოდება ზზეფ? ქართული „ზზები“ აფხაზურ წარმოთქმაში ფონეტიკურად მოგვეცემა ზზ; ბ-ს, რაც სრულიად დამორბედა მრავლობით ზზებ-ს არა მხოლოდ აფხაზურში, არამედ თვით ქართულშიც, სადაც აფხაზ. ზზებ აღიქმებოდა როგორც ზზიბ (ქართულში არაა ეზმეიანი). რაც შეეხება ბ → ფ-ს, ასეთ პირობებ-

მა (ე. ი. ბზებ-თან კავშირის შეწყვეტისას) ადვილად შეიძლება პოზიტიური ფ-ს ანალოგიუ-სეული განზოგადება (მიცემითი ბრუნვის: **ზიფს, ზიფთან, ბზეფში**) უკვე ქართულის ნია-დაგზე. ასე ფიქრობს, ალბათ, პავლე ინ-გოროყვა, და სამართლიანადაც.

მაგრამ როგორ მოვედგება იმ ფაქტს, რომ უბი-ხურად **ბზე-ზი** არის „წყალი“, ხოლო ფ—აფხა-ზურ-აღიღერი ტომნიმიკური სუფიქსი (პროფ. ქ. ლომთათიძე, იქვე, გვ. 133, სვ. II — ავ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანა-შვიას დამოწმებით; ალბათ, მხოლოდ ფ-ს შესა-ხებ, თორემ უბიხური **ბზე-ზი** მათ არა აქვთ ნახ-სენება; აქვე ამბობს. ს. ჯანაშვია, რომ სა-ხელწოდება **ბზეფ** შეიარეულია მდინარისთვისა)?

პავლე ინგოროყვას შეუძლია იტყოს: რა-ტომ ან როგორ შეიძლება მდინარეს დარ-ქმეოდა სახელი უბიხურად (ბზე-ზი) და არა აფ-ხაზურად (ფსჟ), ხოლო სუფიქსად მისცემოდა **აფხაზურ-ადიღერი** ფ? ამას უფრო საგანგებო დასაბუთება დასჭირდება, თუ ეს საერთოდ შე-საძლებელია. მართლაც, თვითონ პროფ. ქ. ლომ-თათიძეს აქვს მითითებული ასეთი რისამე (ე. ი. ფუძე რომ ერთი ენისა იყოს, ხოლო სუ-ფიქსი სხვა ენისა) **შეუძლებლობაზე**: „სანამ არ დამტკიცებულა ნაა, დღვა... ფუძეთა ქართულა-ბა (განა კიდევ მტკიცება უნდა დღვა-ს ქართუ-ლობას? გ. ახ.), მანამ ძწეულა -ნა სუფიქსის მი-ხედვით ისინი ქართულად გამოაკვადით“ (გვ. 135, სვ. I). მაგრამ იმავე გვერდზე (სვ. !I) ისევ „**ბზე-ზი + ფ**“-ს კონიექტურას იმეორებს: „**ლიზ** მართლაც უნდა უკავშირდებოდეს ქარ-თულ ლბ ფუძეს გეოგრაფიულ სახელებში, მაგ-

რამ მას აფხაზური დაბოლოება აქვს“. ვინა შეი-ძლება, რომ ასეთმა არათანმიმდევრულმა მსჯე-ლობამ სინამდვილე დაგვანახოს?

ამ დაკვირვებას ის ისტორიული ცნობაც ემატება, რომ **ზიზი** (ან **ბზეფი**) ერქვა პირველად არა მდი-ნარეს, არამედ სოფელს (შთას ან ტყეს). როგორ შეიძლება ამ სოფელს დარქმეოდა „წყალი“ ან „წყლიანი“ და სხვა ამგვარი? ესაა იმას ერთი კარგი ნიმუში, თუ რა საძველეს აწუდება ხოლ-მე ეტიმოლოგიათა, როცა არაა ვათვალისწინე-ბული ბევრი სხვა გარემოება.

ასეთ პირობებში ჩვენ ვამჯობინებთ დავრჩეთ „ბზებთან“ და **ბზეფ**-ის წარმომავლობის ისტო-რია იქიდან დავიწყეთ, რომ უბიხურმა „წყალმა“ შეეღობაში არ შეგვიყვანოს. მართალია, უბი-ხური უფრო ახლო მინათესავე ჩანს აფხაზური-სა, ვიდრე აფხაზური — ქართულისა, მაგრამ სწო-რად ასეთ შემთხვევაშია საჭიროა მეტი სიფრ-თხილე. შესაძლოა ფაქტობრივ სწორად ისე იყოს, როგორც პროფ. ქ. ლომთათიძე ამბობს, ე. ი. **ბზე-ზი** „წყალს“ ნიშნავდეს უბიხურად, ხოლო ფ იყოს აფხაზურ-ადიღერი ტომნიმი-კური სუფიქსი; ვთქვით, ისიც შეიძლება, რომ ერთი ენის სუფიქსი გამოიყენოს მეორე ენამ. მაგრამ ეს კიდევ უფროა შესაძლებელი, რომ **ზიფ**-თან მას არავითარი კავშირი არა ჰქონდეს და „**ზიფი**“ მომდინარეობდეს **ბზება**-დან.

რომ არა გვექონდეს ხსენებული ისტორიული ცნობები, მართლაც, პროფ. ქ. ლომთათიძის ეტიმოლოგიით უნდა დაეკმაყოფილებულაყავით, რაც, ვფიქრობ, ხელს შეუწყობდა მხოლოდ პავ-ლეს ინგოროყვას კონცეფციის უმართებუ-ლოდ უარყოფას და არა სინამდვილის დადგენას.

II. „აშე-ღალის“ გარშემო

ამ ტერმინის გარკვევისას პავლე ინგო-როყვა ემყარება ფ. ბრუნის აზრს, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილი მეგრული „ღალი“ არისო. ამასთანავე ავტორს გაუთვალისწინებია იტალიური ტრანსკრიფცია და კომპოზიტის წყერ-თა მიმდევრობა (ღალი-ჯიხას იტალიური ტრანს-კრიფცია) (165); იგივე ღალი ავტორს ეგვლეება **ღალი-ძვა**-ში (187). ამ ოთხი ვარაუგების გათვა-ლისწინებით პავლე ინგოროყვა ფიქ-რობს, რომ ეგლია ჩელების Ashe-ral-ში უნდა გვექონდეს მეგრ. ღალი (ქართ. ღელე).

ამ ეტიმოლოგიის უარყოფა შესაძლებელი იქ-ნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვე-ული იქნებოდა ოთხივე საბუთი: 1) რა საფუ-ძველი ჰქონდა ფ. ბრუნის, მეგრულ სიტყვად ეც-ნო gali („ღალი“)? 2) რატომაა ასეთი ტრანსკრიფ-ცია იტალიურად? 3) რატომაა იტალიურში „ღა-

ლი-ჯიხა“ და არა „ჯიხა-ღალი“? 4) არის თუ არა **ღალი-ძვა**-ში ღალი?

მაგრამ პროფ. ქ. ლომთათიძემ, როგორც ჩანს, ვერ შეძლო მათი დარღვევა, გვერდი აუარა მათ განხილვას და მარტივად გადაწყვიტა საკითხი: „**Ashe-gali** არის ჩერქეზული აშეგალა... **ქალა, ყალა** თურქულადან შეთვისებული „ქა-ლაქი, ციხე“ სიტყვაა (მდრ. „სუხუმ-კალე“. გვ. 134, სვ. 11)“. ასეთი მარტივი გზით ახსნა კიდევ უფრო მეტ საკითხებს ბადებს, ვი-დრე პირველ შემთხვევაში. ზემოთ ჩვენ მივუთო-ებდით სიფრთხილზე ეტიმოლოგიათა დროს. ვფიქრობ, ქ. ლომთათიძე არ იზენს სიფრთხილს, როცა „ღალის“-ს ახსნაში და-უსაბუთებლად გვერდს უვლის ქართულ-ქართვე-ლურ ენათა სამყაროს და მიმართავს თურქულ-ჩერქეზულ გზას... აბა ვის შეეძლო თურქული სიტყვის შემსწვევა, თუ არა თურქ ჩელებს!



7. აფხაზურია თუ ქართული -თ(ა) სუფიქსი?

პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ე ა ფიქრობს, რომ გეოგრაფიულ სახელთა -თ(ა) სუფიქსი (ჩხვეთა, ზოწამეთა და სხვ.) იგივეა, რაც სახელთა მეორე მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოება (კაცთა, ადგილთა) და შესულია აფხაზურში ქართულიდან (გუდაეთა, შაწესთა, ლიხთა და სხვ.) (180). ჩვენც გვგონია, რომ გეოგ. სახელთა -თა და შრავლ. ნათეს. ბრუნვის -თ(ა) ერთი და იგივე სუფიქსია. მაგრამ, ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ არც აფხაზურის მიუღია იგი ქართულიდან და არც ქართულს აფხაზურიდან: ეს მათი საერთო კუთვნილება უნდა იყოს.

ჩვენ არ ვიცით ქართულ -თ(ა)-ს პირვანდელი სახე და მნიშვნელობა, მისი ფუნქცია. ერთი მხრივ, მას, როგორც ირბ ბრუნვითა დაბოლოების, არა აქვს მატერიალური კავშირი სახელთა მითთან, ზოლო, მეორე მხრივ, იგი არაა დიფერენცირებული ბრუნვობრივ. თ-ს რომ საერთოდ მრავლობითობის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, ეს ზნაშიც შეიძლება დაეინახათ (მაგ., ვარ—ვართ, წერ—წერთ). მაგრამ გვაქვს ერთგვარი სავსებელი, ვიფიქროთ, რომ -თ(ა) უპირველესად იყო სიმრავლედ აღქმული ადგილის სახელწოდების ფორმანტი. ამ მხრივ ქართლის -თ(ა) უახლოვდება აფხაზურის -თ(ა)-ს. თუ „აფხაზურას -თა სუფიქსი ადგილმდებარეობას გამოხატავს. ასე მაგ., შინ. ბზგუ-იდან იწარმოება -თა სუფიქსით ბზგუ-თა „ბზაფის ზეობა“ (ადგილი)...“ (პროფ. ქ. ლომთათიძე, 134, სვ. 11), განა შეიძლება ითქვას, რომ „ქართულ გეოგრაფიულ სახელებში არსებული -თა სუფიქსი სრულად (ხაზ ზეობა, გ. ახ.) განსხვავებული შინაარსისაა“? (იქვე). შეად. მას, მაგალითად, ქართ. ბზათა, ჩხვეთა და სხვა. გარკვეულ ფუნქციურ განსხვავებას აფხაზურისა (-თა) და ქართ. (-თა) სუფიქსებს შორის აქვს მხოლოდ ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელი მნიშვნელობა, რადგანაც წინააღმდეგ (ე. ი. იდენტურობის) შემთხვევაში უფრო მეტი უფლება ვუკნებოდა ვუკნაპარკა ამ სუფიქსის

ნახსენებზე ერთი ენიდან მეორეში გადასვლას გენეზისურ ერთიანობაზე. რომ ახმაზეთის იდენტურობის ფაქტები, მართლაც, არსებობენ მრავლად, მათ შეუძლიათ შეარყიონ აფხაზურისა და ქართლის ცნობილი გენეზისური ნათესაობის შესახებ წარმოდგენა. რაც შეეხება -თ-ის სხვა მნიშვნელობებს აფხაზურში („ადგილისა“, „საუკუნისა“, „ფუძისა“, „ოჯახისა“, „შინ“-ისა, „შიგ“-ისა და თეთ „ხეობისა“ რთულ-ფსხა სუფიქსში—პროფ. ქ. ლომთათიძე, 135, სვ. 1), არც ერთი ამითგანი არაა მნიშვნელობით იმდენად დაშორებული ქართულს, რომ შედარების შესაძლებლობას არ გვაძლევდეს. ჩვენ არ ვფიქრობთ, რა თქმა უნდა, რომ ამ სუფიქსს (აფხ. თა, ქართ. თ(ა)) სწორედ დღევანდელი ფონეტიკური სახე ექნებოდა იმოთხოვე — ამის ნიშნები არსებობს. ფუნქციური დიფერენციაცია გააძლიერდა სხვადასხვა მიმართულებით ამ ენათა დამორების კვალაზზე (მაგ., ქართულში ბრუნვითა დაბოლოების ფუნქცია შეიძინა, აფხაზურში — არა, აფხაზურში „შიგ“ წინდებულის ფუნქცია შეიძინა, ქართულში — არა და ა. შ.).

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ -თ(ა) როგორც ფონეტიკურად, ისე გრამატიკულ-სემანტიკურად აფხაზთა და ქართულთა საერთო კუთვნილებაა. სრულიად მართალია მსჯელობა, მხოლოდ -სათანადო ცვლილებებით, გამოადგება იმ საკითხის შესახებ, რაშელიც აღძრა პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ე ა მ თავისი წიგნის 151 და 157 გვერდებზე ლიხნ-სთან და ნაანა-სთან დაკავშირებით, თითქოს აქ ჩანდეს ქართლის გაგონა აფხაზურზე, რასაც აგრეთვე უარყოფითად შეხვდა პროფ. ქ. ლომთათიძე. ჩვენ ვფიქრობთ, პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ე ა ს ა გ ა ნ განსხვავებით რომ არც ამ მხრივ ჰქონია ადგილი ქართულიდან სესხებას და, პროფ. ქ. ლომთათიძის აგან განსხვავებით, რომ ასეთი სიტყვიწარმოება არა კუთვნილება მხოლოდ აფხაზურისა; იგი საერთოა აფხაზურ-ქართლისა. ამაზე აღარ ვავაგრძელებ სიტყვას.

8. აქვს თუ არა ადილური „ფხგ“-ს კანონზომიერი შესატყვისობა ქართულში?

ადილური (ჩერქეზული) ფხგ ნიშნავს „წყალს“, იგი გვხვდება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მეტადრე აფხაზეთში, რამდენიმე მდინარის რთული სახელწოდების ბოლოში (მაგ., სუფსა, ლაგუფსა...), რაც, ფიქრობენ, უნდა ნიშნავდეს ადილველი (ჩერქეზთა) ტომების ამ ტერიტორიაზე ადრინდელ მყოფობას, თუკი დადასტურდება, რომ „ფხგ“ ფუძე მხოლოდ ადილურიშია და, მასთანადავ, თუ მას არა აქვს კანონზომიერი შესატყვისი ქართულში. ამ საკითხს ეხებოდნენ თავიანთ შრომებში აკადემიკოსები ნ. მარჩი, ივ. ჯაგაძე ი შვილი და ს. ჯანაშია საგანგებოდ განიხილა იგი თავის

წიგნში პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ე ა მ, ზოლო ამ უკანასკნელად პროფ. ქ. ლომთათიძემ აქ სხენებულ რეცენზიაში, სადაც განმარტებული პირველი სამის მოსაზრებები. შევალზე ფართოდ და დამწიკრებით იხილავს საკითხს პ ა ე ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ე ა, რომელზე ადრე არავის უცდია ადილური ფხგ-ს შესატყვისის შონაგვა ქართულში. ატორი ცდილობს მოეხსოს მას ქართული შესატყვისი და ამ მიზნით აწარმოებს ისტორიულ ტოპონიმებს (ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია, ლაგუფსა, სუფსა, ბანაანი [ფსაინი], ფახისი [ფახისი] და აგრეთვე საზოგადო სახელებს (ფშა წყარო (საბა), ფშანი, ფშა-

ბალა, ფოსო-ფოსვი, მეგრული ფსია „აღიდებუ-
ლი მდინარე“, ფ(ა)სტლი urina).

ამ ტერმინთა ანალიზით პავლე ინგორო-
ყვას შესაძლებლად მიანნია დაუშვას ფს-ფოს-
ფს-ფს- ფუძის მყოფობა ქართულში აღიდებური
ფს-ს შესატყვისად. ამით პავლე ინგორო-
ყვამ ეკვი შეიტანა ნ. მარტი, ივ. ჯავახი-
შიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ
გამოთქმულ (და არა დამტკიცებულ, რო-
გორც პროფ. ქ. ლომთათიძე გვეუბნება,
გვ. 136, სვ. 1) აზრში, თითქოს -ფსა სუფიქსის
შემცველი მდინარის სახელები (მაგ., სუფსა
და მისთანანი) მოწმობდეს ჩერქეზულ ტომთა
ნაყოფობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.
ეს დებულება ქართული და სხვა კავ-
კასიელი ტომების უძველესი ისტორიის შესწი-
ვლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მტკიცე
მონაპოვარს წარმოადგენსო“, ამბობს პროფ.
ქ. ლომთათიძე (იქვე, 136, სვ. 1).

აქად. ნ. მარტი, მართლაც, ამბობდა: „Доста-
но название гурийской реки Супсы, пред-
ставляющей абхазское название „Сурская
река“ так как Гурия называлась и Сурией,
по-грузински Sur-eb (Избранные ра-
боты, т. V, 126. სტატია დაწერილია 1924 წ.).
აქ ნ. მარტი აფხაზურ ისაღ თელის იმას, რაც
ივ. ჯავახიშიშვილისა და ს. ჯანაშიას
ჩერქეზულისად მიანდათ. ივ. ჯავახიშიშვი-
ლი ასე ამბობდა სუფსის შესახებ: „...уже са-
мо окончание -фса выдает ее черкесское про-
исхождение, но и первая ее часть суф- так-
же может быть отождествлена с названием
одного из притоков Кубани Суп“ (Вестн.
Древней истории, т. 4. 1939, стр. 45). ს. ჯა-
ნაშიას მიერ გადაღებულია ნაბიჯი წინ სუფ-
სა-ში სურ-ფუძის აღდგენის მხრივ: „საფიქრებე-
ლი ზღებოდა, რომ მდინარემ სახელი მიიღო მთი-
საგან, „სადაღ სათავე აქვს ამ მდინარეს: „სურე-
ზი“ (სსრკ მეცნ. აკად. საქართ. ფილოლოგიის მოამ-
ბე, ტ. 1, № 1, 1940, გვ. 624). მართლაც, თუ
ფუძეა სუფ- და მას ემატება -ფსა, უნდა გვიზ-
ნოდა სუფფსა. -ფსა-ს შესახებ ივ. ჯავახი-
შიშვილის აზრია განმეორებული „...უდავო იყო
ჩვენთვის, რომ ეს ნაწილაკი (-ფსა) არის ჩერქეზ.
სიტყვა „ფს“, რომელიც ნიშნავს „წყალი“,
„მდინარე“... (იქვე, 625).

თუმცა სამივე აკადემიკოსს სხვადასხვა აზ-
რი აქვთ გამოთქმული მთლიან სუფსა სიტყ-
ვაზე, მაგრამ სამივე ფიქრობს, -ფსა ქარ-
თული არ არისო. პავლე ინგოროყვა კი
ფიქრობს, რომ იგი 1) ან საერთოა ქართულისა
და ჩერქეზულისათვის, რომელნიც მონათესავე
ენებია, და 2) ან წმინდა ქართულია და აქედან ნა-
სესხებია ჩერქეზულში (185). იგი არ მოერიდა
დიდ ავტორიტეტებს, არ გააკვა „მტკიცე მონაპო-
ვრობის“ თეორიას და სერიოზული, საქმებრივი გზა

აირჩია სინამდვილის დასადგენად. ვეაღოთ, აქ-
ნებ, თვით ქართულისავე ნიადაგზე შეიძლებოდა
ამ საკითხის გადაწყვეტაო, რატომაც ატყულებე-
ლი უცხოურის მოშველიებან, თუ არაა იმორჩი-
ლი შინაგანი რესურსებო. ვიდრე არ ფიქრობს,
რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონ-
დეს პავლე ინგოროყვას, მაგრამ ის გზა,
რომელიც მას აურჩევია, საუკეთესო და ერთად-
ერთი შეცნირებული გზაა, რომელსაც უნდა დაი-
გვს მველევარი ასეთი საკითხების კვლევისას.
არაა სწორი „მტკიცე მონაპოვრობის“ საბუთი-
ანობა, რადგანაც ამით გადაიჭრება არა პრიობლე-
მა, არამედ შეცნირების წინსვლის გზა. ავტორი-
ტეტს ანგარიშს ვერწევთ, მაგრამ ცვლილებით სა-
ქმე წინ წაწვიოთ. ვანა თვითონ პროფ. ქ. ლომ-
თათიძე არ ცვლილებს უკეთ დასაბუთოს
ბზ-ფს-ის ეტიმოლოგიი, ვიდრე ეს ს. ჯანაშიას
აქვს? (უბიბო ჩე ფუძეზე მითითება, რაც ს. ჯა-
ნაშიას არ ჰქონდა, ქ ლომთათიძეს
ეკუთვნის). პროფ. ქ. ლომთათიძე სუფს-ის
შესახებ, ს. ჯანაშიას ნაშრომზე დაყრდნო-
ბით, სრული კატეგორიული ბოი-
ლაბარაკობს: იგი „მტკიცე მონაპოვრად“ აცხა-
დებს იმას, რასაც თვითონ ს. ჯანაშია მხო-
ლოდ შესაძლებლად ცნობს. შდრ., მაგ.,
ს. ჯანაშიას სხენებული შრომის 626 გვ.
„შესაძლებელია, ამ სტრუქტურისა იყოს „ბზ-ფ“
და ქ. ლომთათიძის რეცენზიის 133 გვ.
II სვ. „ფ — ელმენტო კი აფხაზურ-აღიდებურ
ენებში გავრცელებული ტომანამიკური სუფიქ-
სია“.

საერთოდ, -ფს-ს გარშემო მსჯელობისას
(სხვაზე უკვე ითქვას ზემოთ) პროფ. ქ. ლომთათ-
იძის ზოგჯერ გამოკავს დასკვნები არა-
სწორი მსჯელობის შედეგად. ამის ნიმუშებია:

1 პავლე ინგოროყვამ სცადა დაეკავშირებინა
-ფსა ფუძე ფსის-(ფსზის)-ისა და ფ(ა)ს-ს
-urina“ ფუძეებთან (183-6). რეცენზენტი ვე-
რათება მას და პირველის შესახებ ეუბნება:
„...ფსისის „წყლის“ აღმნიშვნელ ფსა-სთან პი-
პართების საკითხი აღრვევც იღვა შეცნირებ-
ბაში, მაგრამ გადაწყვეტილი არ არის, იგი ფუთ-
ფუტქსთანაც ამეღაფრებს კავშირს“ (136). თუ
როლის, სად და ვის მიერ დაისვა ეს საკითხი,
ზამუნ არაფერს ამბობს რეცენზენტი; მიუთითებს/
ს. ჯანაშიას სხენებული სტატიის შემდეგ
აღიკოლს: „გასაჩვენებია სახელწოდება ფსისი,
რომელსაც, ვგონებთ (საინალო პუნდლიკაცია
ხელთ არა მაქვს), თავის დროზე სენ-მარტენ-
ი — ჩერქეზულ ფს-ს უკავშირებდა...“ (და
შემდეგ). ს. ჯანაშია მსჯელობს იმის შესახებ,
თუ როგორ შეიძლება ფსისი-ღს დაეკავში-
როთ ფოთი-ფუთი). ს. ჯანაშია ვანაგრ-
ძობს: „ჯერ კიდევ საჩვენებია... ემთხვევა თუ
არა ფსა და ფსა ფუძეებები ერთმანეთს?“
(გვ. 626-7).

გარდა იმისა, რომ ეს კარგი ნიმუშია ზემო-

თქმულასა ავტორიტეტების შესახებ (ს. ჯ ა ნ ა - შ ი ა ს „ვერონებ [სათანადო პუბლიკაცია ამჟამად ხელთ არა მქვავს]“ და „ეგრე კიდევ სარკვევია“ პროფ. ქ. ლომთათიძის „მეტაქსე მონაპოვნი“ მიუღია), რეცენზენტ ფიქრობს: თუ საკითხი გადაწყვეტილი არაა (აღბათ, ავტორიტეტების მიერ), მას ნურაფინ შეეხება, შეეხეთ მხოლოდ გადაწყვეტილს! ამგვარად, საკითხის გერჩნობით გადაწყვეტილობა რეცენზენტს გამოყენებული აქვს პავლე ინგოროყვას ახალი დებულების საწინააღმდეგოდ.

2. ასეთი კავშირი აღნიშნული(ი) სიტყვებისა რომ დადასტურდეს კიდევ, იგი არ გამოდგება ჯავახიშვილ-ჯანიშის ზემოაღნიშნული დებულების უარსაყოფად და ფს-ს ადილეთრობის (ჩერქეზულობის) საწინააღმდეგოდ, რადგანაც საკითხი ეხება იმ ტერატიონის, სადაც სწორედ მოსალოდნელია ჩერქეზული ელემენტების არსებობა“-ო, ამბობს პროფ. ქ. ლომთათიძე (ვ.ე. 136, სვ. II). ეს იმას ნიშნავს, რომ თქვას ვინმე, მე მართალი ვარ იმით, რომ მართალი ვარ, ან ასე ვსებავს, ასე ვებრძანებო (რომელები რომ იტყოდნენ ზოლივ). პავლე ინგოროყვას ეტიმოლოგია რომ დადასტურდეს, ის დაარღვევს ჯ ა ე ზ ი შ ვ ი ლ - ჯ ა ნ ა შ ი ა ს თეორიას, ე. ი ჩერქეზების იქ მყოფობა გამოირიცხება. რეცენზენტის აზრით კი, მაშინაც მოსალოდნელი იქნება ჩერქეზების იქ მყოფობა, თუ ამ დებულებას საფუძველი გამოეცლება. ვისთვის იყო მოსალოდნელი ჩერქეზების იქ მყოფობა? აღბათ, იმთავის, ვინც უარყოფს ქართ. -ფსა ფუძისა და ადილეთრი ფს-ს ერთიანობას. პავლე ინგოროყვას თე ი ს კ ი ეს არ იყო მოსალოდნელი და სწორად ამის დამტკიცებას ცდილობს იგი სრულიად თანმიმდევრული მსჯელობითა და კანონიერი ბერებებით.

3. „urina“-ს სახელწოდებაში ფს-ს გამოვლენა არ შეიძლება სერიოზულ საბუთად გამოდგეს ქართულში წყლის აღნიშნული ფსძირის არსებობის შესახებო“, ამბობს რეცენზენტი (იქვე). რა უფლებათ და რა დანაშაულობათვის უნდა ჩამოერთვას ხმა ქართულ სიტყვას (ლათ. urina-ქართ. ფსელი)? მის რომ სალატერატურო ქართულში არ შეესვლება, ეს არ ნიშნავს, რომ მის საპერაკიოდ გამოყენებაში იყოს რაიმე არასერიოზულობა. პავლე ინგოროყვა იმდროინდელ ისტორიას იყვლევს, როდესაც არავის არ ეჩიოთიერებოდა ამ სიტყვის ზმარება ან მისმენა.

4. „ინგოროყვის მიერ მოყვანილი წყლის აღნიშნული ფსა მეგრულში ჩვენ არ ვიცითო“ (იქვე). აღბათ, ავტორმა ისეთი კაცისაგან მოისმინა ეს სიტყვა, რომელმაც იცოდა იგი. ამას, ისე როგორც ბევრ სხვა რამეს, აღბათ, ავტორისაგან მოისმენს რეცენზენტი და ჩვენი ფართო საზოგადოება.


5. „რაც შეეხება ფშა, ფშან-ს, იგი მართლმართალია“ (იქვე).

ლაე წყლის ცნებას უკავშირდება და ამ კონტექსტში განიხილავს კიდევ მას იგი, ჯავახიშვილი, მაგრამ ზემოთ საკითხი ეხება არა ფშა-ს, არამედ — ფსა-ს, რაც ამჟამად ჩერქეზულ სიტყვაა, გარდა ამისა ფშა (ფშე) — ასეთი მნიშვნელობით ავტორი იხილავს სახელწოდების საწინააღმდეგოდ ქართულში არ იცის. ...ასეთი სიტყვა (ფსე) „წყლის“ მნიშვნელობით მხოლოდ ამ (ადილეთრ) ენებს მოეპოვებათ“ (იქვე, სვ. II).

ეგრე ერთი, იგი ჯავახიშვილი უფრო ფართო კონტექსტში იხილავს ფშა-ს (მართალია, არა ამ გვერდებზე, სადაც პროფ. ქ. ლომთათიძე მიუთითებს, არამედ მომდევნოებზე) და არცაფ მასთან კავშირში ფშა-ს, ფშინავს-ს და სხვას, მაგრამ არ აღიარებს ადილეთრ ფს-ს, ზოლო სუფსა ფუძიანად ჩერქეზულისად მიაჩნია (იხ. ზემოთაქ) — ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ა ე ა ნ ა ნ განსხვავებო. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სუფსა გამოყავდა სურ-ფსისაგან და სურ-ს ქართულ ფუძედ მიიჩნევდა (იხ. ზემოთაქ).

მაგრამ აქ მთავარია სხვა: ფშა ამჟამად ადილეთრი და „წყლის“ მნიშვნელობით მხოლოდ ადილეთრ ენებს მოეპოვებათ მდინარეთა სახელების საწინააღმდეგოდ (იქვე). რომ გამოთქვას „ამჟამად ადილეთრია“ რამდენჯერმე განმეორება საბუთად არ გამოდგება, ეს კარგად იცის რეცენზენტმა და ამიტომ უმატებს: „მდინარეთა სახელების საწინააღმდეგოდ“ მხოლოდ ადილეთრებს მოეპოვებათ. მაგრამ ეს დამატება რომ უფრო პავლე ინგოროყვას დებულებას (ამ ფუძის საერთობის შესახებ) გამოადგება, ეს, გვიჩრბათ, რეცენზენტს არა აქვს გათვალისწინებული, — ისე როგორც ამაზე საუბარი იყო ზემოთ(ა) სუფსის ფუნქციითა განსხვავებულობის გამო. კომპარატივისტმა იცის, რომ საერთობა იგი მონათესავე ენის კეთვნილების, როგორც წესი, გამოირიცხავს ამ კეთვნილების იდენტრობას. განა შეიძლება მოვთხოვოთ მეკლეგარს, რომ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დადასტუროს ადილეთრი ფს-ს კავშირი ქართულ ფშა-სთან, თუ ფშა-ს მდინარის სახელების საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული? შესაძლოა ადილეთრი ფს-ს კანონზომიერი შესატყვისა ქართულში მოიხზოს ისეთი ფუნქციითა და ისეთი სახით, რომ მხოლოდ მეკლეგარული ანალიზით იქნეს შესაძლებელი მისა გამოკვლევა. პროფ. ქ. ლომთათიძე კი ფიქრობს, როგორც ჩანს, რომ პირველი შეხედითვე უნდა იცნობოდეს ფუძე ირ სხვადასხვა ენაში. მაშინ ეტიმოლოგია-საცა იქს რად დასკრდება?

იმ საკამათო ფს-ს შესახებ ჩვენი აზრი ასეთია: შესაძლებლად მოგვანინა დავუშვათ ამ ქარის პირვანდელი სახის საერთობა ადილეთრსა და ქართულურ ენებში. ასეთი დამუშავა პერსპექტივის მქონედ მოგვანინა — მეტადრე იმის შემდეგ, რაც აჯად. ი. ვ. ჯ ა ე ზ ი შ ვ ი ლ მ ი დაუკავშირა ერთმანეთს ქართ. ფშა- და ქართ. ფს-



ფუძეები და ორივეს დაუკავშირა ქართ. ფშვ-ფშე თავთავიანთი ფერაფერებით („საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიური პრობლემები“, გვ. 35—38), ხოლო პაველ ანგოროყვამ გადაღვა შემდეგი ნაბიჯი წინ ამ ფუძეების ადილ. ფსვ-ფშესთან დაკავშირების საბით. სა-ოპერაციო მასალის გაფართოება, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრას, თუ დადელი იქნება ფონეტიკური და სემასიოლოგიური კვლევის მოთხოვნილებანი.

ამით შემძლო დამეშთავრებია ჩემი აზრი პაველ ინგოროყვას წიგნში ჩართული „სპეციალური ექსკურსიის“ შესახებ. მაგრამ პროფ. ქ. ლომთათიძემ აღმა საყიოხი ჩერქეზულზე ყუა-ს (ხევი, ლელა, ხეობა) შესახებ და, აქად. ს. ჯანაშვიას გამოკვლევის მიხედვით, გამოთქვა აზრი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გეოგრაფიული სახელების ყუა (აგიდაყვა, მალთაყვა და სხვა) აგრეთვე ჩერქეზული წარმომავლობისაა (იქვე, გვ. 136, სვ. 1). აქ საჭიროდ არ მიმანია ამზე სიტყვა გაფარქლო, რადგანაც ეს არ ეხება პაველ ინგოროყვას „სპეციალურ ექსკურსს“, მაგრამ, ვინაიდან ქართულ-ჩერქეზულის ურთიერთობაზე ნათქვამი ის, რაც, თითქოს, ზურგს უმაგრებს ფსვ-ს ჯავახიშვილ-ჯანაშვილის ლომთათიძის ეულ გაყვას, ამიტომ ვი-ტყვი ჩემ აზრს მოკლედ მაინც.

ყუა-ს პირვანდლურ სახედ უნდა ვრგარადლოთ ყუა (ან მსგავსი რამ), რომელიც საერთო უნდა ყოფილიყო ქართველებისა და ადიღურთა ენე-ბისათვის. თუ რა ცვლილება განიცადა ამ ფუძემ ქართველურ ენათა ნიადაგზე, ამ ენათა ურთი-ერთ დამორების კვლობაზე, ამას ერთგვარად ვვიჩვენებს ვაზე დამოლოებული მეგრული ვარები (გოგვა, ფადავა...): ყუა-ს წინ დაკარგუ-ლად უნდა მივიჩნიათ ლარინგალური ხშული (ღ), რასაც მოწიობს, მაგ., ვუდაყვა — ვუდავა-ს (როგორც ტობონიმიკურისა, ისე ვეარის სახელის) არსებობა. ამიტომ ქართველურ ენებში ვეოგრა-ფიულ სახელთა და ვეარების ყუა დაბოლოება უნდა ჩითვალოს გადმონაშთად და არა ჩერქე-ზულის ნაკვალევად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ესეთი გაყვების საფუძველს ვვაძლევს ჩვენი

იზერო-კავკასიოლოგების შრომები, კერძოდ, ჩვენი ენების შედარებითი-ფონეტიკური შე-სწავლა.

P. S. ამ ჩემს შენიშვნებში განხილულია პავე-ლე ინგოროყვას წიგნში ლინგვისტურ სა-ბრტყეზე დასმული მხოლოდ რამდენიმე საყიოხი. ისტორიისა და ლიტერატურის საყიოხებს შეეხე-ბიან, აღმათ, ისინი, ვინც ჩემზე უყეთ არიან ჩახე-დული საქმეში კუთვნილებისამებრ. აღვნიშნავ აქ, ზემოთქმულის გარდა, ზოგერთ არასასურ-ველ ვარემოყვას პროფ. ქ. ლომთათიძის რეცენზიაში.

1. რეცენზიის აეტორს არ დაუნახავს საჭიროდ განეხილა პაველე ინგოროყვას მიერ ეტი-მოლოგიზებული სახელების უმეტესობა მაინც ასზე შეტიდან ვანუხილავს მხოლოდ რამდენიმე (10—15). მეთხველი კი მოყლოდა პროფ. ქ. ლომთათიძის აზრს დანარჩენების შესე-ბებზე.

2. ამ არც ისე დიდი მოცულობის რეცენზიაში ექვსჯერ მაინცაა განმეორებული აფხაზების მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლების ამბავი. ამას რომ მართლაც ამბობდეს პაველე ინ-გოროყვა, იმ შემთხვევაშიაც არ იყო საჭირო მისი ასე დაეინებით განმეორება. მაგრამ პავე-ლე ინგოროყვას აზრი ამკარად არასწო-რად აქვს გადმოკემული პროფ. ქ. ლომთათი-ძეს, ვინაიდან მე-17 ს. მეორე ნახევრის ამბები ეხება მხოლოდ ერთ ნაწილს (შუა სოფელს, ახ. „გოიარგი მერხელე“, გვ. 132), ხოლო აფხსუა-ჯა-ქების ტომთა თანდათან ჩამოსახლება, იწყება, აეტორის აზრით, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან (იქვე, გვ. 125). ამის შესახებ იტყვიან, აღმათ, ისტორიკოსებიც.

3. არა მგონია, რომ რეცენზენტისათვის და, მით უფრო, საყიოხების გარკვევისათვის აუცი-ლებელი და სასარგებლო იყოს „გოიარგი მერ-ხელის“ აეტორის და გამოჩენილი მეცნიერის სახელის ისე შეუფერებლად ხსენება, როგორც ამას ძალიან ხშირად ადგილი აქვს პროფ. ქ. ლომ-თათიძის რეცენზიაში. ჩვენი ლინგვისტური ხასიათის კრიტიკული შენიშვნებიდანაც კი დაი-ნახავს მკითხველი, რომ რეცენზენტს არ მოეპო-ვებოდა საფუძველი ასე მოქცეულიყო.



პროფ. ს. ყაუხჩიშვილი



„გიორგი მერჩულის“ გარემო*

წერილი მეორე *

პირველ წერილში ჩვენ შევეხეთ პ. ინგოროყვას შრომის („გიორგი მერჩულე“) მეორე ნაწილს (გვ. გვ. 545—888 და დამატება გვ. 0124), რომელშიც განხილულია გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის სალიტერატურო მოღვაწეობა (და ამასთან დაკავშირებით მე-5—10 საუკუნეთა ქართული პოეზიის რთვი საკითხები). იმ წერილში ჩვენ შევეცადეთ ნათელგვეყო, რომ პ. ინგოროყვას ამ მონოგრაფიით ზვენი ცოდნა მე-5—10 საუკუნეთა ქართული პოეზიისა უზომოდ გამდიდრდა: დადასტურდა არსებობა ესპანური პოეზიის ახალი, აქამდე უცნობი დარგის — რიტმული პოეზიისა; ცნობილი გახდა რამდენიმე ასეული, აქამდე უცნობი ლექსი გრიგოლ ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა და სხვა პიშნოგრაფებისა; ნათელი სურათი წარმოვიდგა იმ დიდი ვერსიფიკატორული მუშაობისა, რომელიც წარმოებდა მე-5—11 საუკუნეებში და რამაც მოგვიყვანა მე-12 საუკუნემდე, ქართული ლექსის განვითარების უმაღლეს საფეხურამდე ძველ საქართველოში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეეცდებოდით ამ პიშნოგრაფიული მონოგრაფიის შეფასებაში, როდესაც იქ მიღწეული შედეგების შესახებ ვთქვით: „იმის წარმოდგენა კი არ გვეწონდა, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა აღმოჩენილიყო“. ორი თვეც არ გასულა ჩვენი წერილის დაბეჭდვის შემდეგ, რომ გავიგეთ, თუ ქართული პოეზიის დარგში მოპოვებულმა შედეგებმა რა როლი შეასრულეს ძველი ქართული მუსიკის აღდგენის საქმეში. „რაცა დადგინდა იქმან, რომ პიშნეზი ლექსად არის დაწერილი, ამასთან არა მხოლოდ მარტივი საზომებით, არამედ სხვადასხვა საბას როული რიტმებით, ამით დახუსტდა, თუ როგორია ცალკეული პიშნეზის მუსიკის მერტულ-რიტმული სტრუქტურა“. და, ამრიგად, შესაძლებელი გახდა ძველ ქართულ პოეზიასთან ერთად ამტკიცებოდა საუკუნეთა მანძილზე დადრეზებული ძველი ქართული მუსიკისა (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ. დეკემბერი).

აი, ასეთი შედეგების მომცემი აღმოჩნდა პ. ინგოროყვას შრომის („გიორგი მერჩულე“) მეორე ნაწილი.

ბუნებრივად დაისმის ყოველი აღამიანის წინაშე ასეთი კითხვა: თუ ათასგვარდინი გამოკვლევების მეორე ნახევარი ასეთი ბრწყინვალე შედეგების მომცემია, როგორია მისი პირველი ნახევარი? როგორც მეორე ნახევარი შეეხება გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის პოეტურ მოღვაწეობას (და ამასთან დაკავშირებით მე-5—10 საუკუნეთა ქართული პოეზიის რთვი საკვანძო საკითხებს), ისე შრომის პირველი ნახევარი ეხება გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის საზოგადოებრივ მოღვაწეობას, გიორგი მერჩულის თხზულებით აღძრულ ისტორიულსა და ისტორიულ-გეოგრაფიულ საკითხებს და ამასთან დაკავშირებით მე-5—10 საუკუნეთა საქართველოს ისტორიის რთვი საკვანძო საკითხებს. რამდენადაც შრომის ორივე ნაწილი ერთისა და იმავე თხზულების („უცხოურება გრიგოლ ხანძთელისა“) ღრმა ანალიზის საფუძველზე იგებულა, ერთისა და იმავე წყების საკითხებს ეხება და ერთისა და იმავე მკვლევარს ეკუთვნის, ამდენად, ჩვენ მოველით, რომ შრომის პირველი ნაწილიც ღრმა მეცნიერული აღმოჩენდება, დაწერილი საკითხების სწორი დასმით, მასალის ამომწურავი ცოდნით, მტკიცე მეცნიერული ხერხებითა და საქმის უზომო და უანგარო სიყვარულით.

მართლაც, არ არის დიდი გონებაშახელობა საჭირო იმისათვის, რომ პირველი წაკითხვისთანავე იგრძნო აღამიანმა „გიორგი მერჩულის“ ყოველი გვერდიდან მომდინარე ნათელი აზრი, გაშუქებული ქართულ, მერჩულე და სხვა ენებზე არსებული წყაროების მიხედვით, აზრი — დაფუძნებული ავტორის მიერ წლების განმავლობაში ნათქვამსა და ყოველი მსართ აწონილ დებულებებზე, აზრი — დამყარებული იმ მთავარ ამოსავალ დებულებებზე, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა იქმნებოდა და მტკიცდებოდა პირთველ ტომთა ერთსულოვანი შემოქმედებითი მუშაობის წყალობით, იმ ქართველ ტომთა, რომლებმაც მთელ რიგ საუკუნეთა პარტიკილში გამოატარეს ეს სახელმწიფოებრიობა და მითტანეს ჩვენ დრომდე.

გახილვის წესით. რ ე დ.

* პირველი წერილი იხ. „მნათობი“, 1956 წ., № 10, გვ. 109—119.

წინასწარ ზოგადად რომ მოეხაზოთ „გიორგი მერჩული“ პარტიული ნაწილის ღირებულება ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ვიტყვი, რომ:

1) პ. ინგოროყვას მიერ გადასაწყვეტად დასმულია საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის რამდენიმე საკანონო საკითხი;

2) გიორგი მერჩულის თხზულებისა და სხვა საისტორიო წყაროებს შეწევნით დადგენილია „ქართლის სამეფოს“ აღდგენის თარიღი (მე-9 საუკუნის დასაწყისში) და ამ აღდგენილი სამეფოს სუვერენული ხასიათი;

3) საბოლოოდ გამოკვეთილია მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფოს ხასიათი და ნათელიყოფილია ამ საკითხში წინათ არსებული შეხედულების მცდარობა;

4) მოცემულია ტენდენციურ და მცდარ შეხედულებათა საფუძვლიანი კრიტიკა, კერძოდ, სამხრეთი მხარეების ისტორიის საკითხებში;

5) ყველა ამ (და ც.დგვ ბევრი სხვა) საკითხის კვლევის დროს ამოწურავად არის გამოყენებული, ძველი ქართული საისტორიო წყაროების გარდა, უძველესი წყაროები, კერძოდ, ზემოწინათ და მართებულად არის გაანალიზებული ამ საკითხებისათვის არსებული ბერძნული წყაროები.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ ყველა ამ საკითხის შესახებ ლაპარაკს, რომელთაც იკვლევს პ. ინგოროყვა თავის მონუმენტალურ

მონოგრაფიაში. ეს არც საჭიროა ამ შრომის შესახებ ზოგადად და შეუძლებელიც არის ბებლავი-გრაფიულ მიმოხილვაში ყველა საკითხის ამოწურვა. ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: ათასგვარადან გამოკვლევაში არ შეიძლება ყველა საკითხი — მსხვილი და წვრილი — ისე იყოს დამუშავებული, რომ ყველა შეითხვეს, სპეციალისტსაც და არასპეციალისტსაც, ერთნაირად დამაჯერებლად მოიწვევოს ავტორის ყველა დებულება; ზოგი — ავტორის ერთ დებულებას მიიჩნევს ნაკლებ დამაკმაყოფილებლად, ზოგიც — მეორეს. ეს თქმის უწყველი წიგნის შესახებ. მაგრამ ყოველი წიგნის შესახებ ისმის საკითხი ისეც: გულდასმით რომ წაიკითხოვ წიგნს, ავტორის დებულებათა და მსჯელობათაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს რომ შეაჯამებ, უნდა საბოლოო დასკვნა გამოატარო — კარგია თუ არა წიგნი, ამდღერებს თუ არა ის ჩვენს ცოდნას პოლიტიკაში შენობენ თუ არა? პ. ინგო. როყვას მონოგრაფიის შესახებ ყოველი პირთუ-ნული შეთხვეული და საქართველოს ისტორიის საკითხებისადაც ღრმა ინტერესით გამსჭვალული აქამინი იტყვის: შრომა ფასდაუდებელია თავისი დადებითი შედეგებით და ვერც ერთი მცდრეობა, საქართველოს ისტორიის მე-7—10 საუკუნეთა იმეხებით დაინტერესებული, ვერ უგულებელყოფს ამ შრომის შედეგების გამოყენებას.

გავეცნობ პ. ინგოროყვას შრომაში აღძრულსა და გადაჭრილ ზოგიერთ საკითხს.

1. „ქართლის სამეფო“

ცნობილია, რომ მე-8 საუკუნის ოცდაათიან წლებში სპარსელებმა ქართლში მოსპეს მეფობა; ამ საქმეში სპარსელებს დიდი დახმარება გაუწიეს ქართლის აზნაურებმა და ერისთავებმა. სპარსთა მეფემ „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა: აღუთქვა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთოთა მათთა მამულთა შეილითი-შეილამდე, და ესრეთ წარიბარნა ლეწითა და განდგეს ერისთავნი“. მაგრამ სპარსელებს დიდხანს არ უბატონიათ ქართლში. ხალხი მეტის-მეტად იყო შეწუხებული ხაკათთა და სამხედრო სამსახურით, სპარსელ მოხელეთა თვითნებობითა და ძალმომრეობით, თვით ერისთავებმაც იგრძნეს ის დიდი უხედურება, რაც ქვეყანას და, მშასადაც, მათაც მოელოდა. ამ 572 წელს ისარგებლეს სპარსეთში მომხდარი არეულობით და აუჯანყდნენ სპარსეთს, დაეპყრობდნენ ბიზანტიელებს და ილიდგინეს თავიანთი დამოუკიდებლობა. ამავე დროს სპარსეთს გადაუდგა სომხეთიც.

ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში იწყება ახალი ერა: სპარსეთისაგან განთავისუფლებულ ქვეყანას სათავეში ჩაუდგება გ უ ა რ ა მ ი აღსრული მირდატისი, ვახტანგის ძისა, ბერძნის

ეოლისაგან“. მანამდე იგი მთავრობდა კლარჯეთს და ჯეჯახეთს. ძველი ქართველი ისტორიკოსები აქედან იწყებენ ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობას საქართველოში. ეს ძველი ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიცია, როგორც ჩანს, ცნობილია ბიზანტიელი ისტორიკოსისათვის კონსტანტინე პორფიროგენეტისათვის, რომელიც თავის 952 წელს დაწერილ შრომაში გადმოგვცემს: „ახლო იმ დროს, როდესაც ისინი (ე. ი. ბაგრატიონები) იერუსალიმიდან იმ მიწაყალზე გადასახლდნენ, რომელიც ახლა არის მათ მიერ დასახლებული, გარდახდა 400 თუ 500 წელი დღევანდლამდე“, 952 წლამდეო.

ეს ახალი ერა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ვხედავთ, დიწყო იმ ხელისუფალში, რომელიც მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ კლარჯეთში და ზემო ქართლში იყო შეხიზნული. ეს ერა გაგრძელდა არაბთა შემოსევამდე, მე-7 საუკუნის შუა წლებამდე.

არაბთა ხანგაძლიერი ბატონობის შემდეგ, მე-8 საუკუნეში ქართველები იწყებენ ცდას „ქართლის სამეფოს“ აღდგენისათვის. რისაკვირეულია, ამას ხელს უწყობდა თვით არაბთა პოლი-

ტიკური კრიზისი. ასეთი ცდა შეიმჩნევა, მაგალითად, ირჩილ მეორის დროს, როდესაც, როგორც მემატიანე ამბობს, „იწყო შენებად ქართლმან“ (მერვე საუკუნის მეორე ნახევარში), მაგრამ ირჩილის მიერ შექმნილმა სახელმწიფოებრივმა გაერთიანებამ დიდხანს ვერ იარსებდა: არაბებმა ისევ გააერთიანეს თავიანთი ბატონობა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

აჯანყებები არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ იწყება მეცხრე საუკუნის დასაწყისში, განსაკუთრებით ძლიერდება ამოტ 1-ის დროს. ჩვენი ისტორიოგრაფია ამოტს მიაწერს დიდ როლს ქართველთა სამეფოს აღდგენისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში. ამოტის დროს ჩამოყალიბდა მტკიცე სახელმწიფო, ცენტრით არტანუჯში, და ეს სახელმწიფო გახდა მომავალში საფუძველი აღდგენილი „ქართლის სამეფოს“. მაგრამ ჩვენი ისტორიოგრაფია „ქართლის სამეფოს“ აღდგენას მიაწერს ა და ბ რ ა ს ე ს, რომელმაც მთელი 888 წელს „ქართლის მეფის“ სახელწოდებითაა.

3. ინგოროყვას თავის გამოკვლევებში საგრძნობი ცვლილებები შეაქვს „ქართლის სამეფოს“ აღდგენის მთელი ამ პროცესის გაგებაში. სახელდობს:

„ქართლის სამეფოს“ აღდგენა მოხდა არა აღარსნეს დროს 888 წელს, არამედ ამოტ 1 დიდის დროს 800—826 წლებში. ცხადია, თუ 3. ინგოროყვას ეს დებულება მართებული აღმოჩნდება, ეს დიდი წარმატება იქნება ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის: 60 — 70 წლით გადაიწევა თარიღი იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისა და ამასთან დაკავშირებით შესწორდება რაგი დეტალებიც.

ქართული, ბერძნული და სხვა წყაროების ანალიზის მეშვეობით 3. ინგოროყვამ დაადგინა, რომ ამოტმა შექმნა სახელმწიფო, რომელშიც შედიოდა შემდეგი ტერიტორიები:

- 1) მესხეთის ქვეყნები (შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, აჭარა, ტაიანი, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტანუჯი);
- 2) შიდა ქართლს ქვეყნები ვიდრე ქსნის ხეობამდე და თბილისამდე;
- 3) ლიხის ვადლია ქართლი (ვიდრე შორაპან-რკანდის ხაზამდე);
- 4) ქვემო ქართლის ქვეყნები (ტაშირი, თრიალეთი, ამოცი, გარდაბანი) ვიდრე ბერდუჯი-კოტმანის ხაზამდე.

ამ დროისათვის უკვე იყო ჩამოყალიბებული, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართულთა განუწყვეტელი ბრძოლების პროცესში, სამი ქართული ფეოდალური სახელმწიფო: კახეთის, პერტიის და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოები. ამათ მიემატა ახლა მეოთხე ქართული სახელმწიფო „ქართლის სამეფო“, რომელშიც შემდეგ მთავარი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვით-

მყოფობის განმტკიცების და მთლიან საქართველოს სახელმწიფოს გაერთიანების საქმეში.

რა საბუთები აქვს 3. ინგოროყვას? უნდა იცოდეს „ქართლის სამეფოს“ აღდგენის მიაწერს ამოტ 1 დიდს?

1. „მეფის“ ტიტულს ატარებს უკვე ამოტი მეცხრე საუკუნის დასაწყისში, 809—813 წლებში, როდესაც პირველად იქნა განთავსებული ბელა ქართლის ქვეყნები არაბთა ბატონობისაგან. 3. ინგოროყვამდე არაივის მოქცევა უცრადლება შემდეგი ორი გარემოებისათვის:

ა) „მატიანე ქართლისა“ წერს: „შემდგომად საკუდილისა აღარსნესისა განადიდა უფალმან მეფე ობა ამოტ კურაპალატისაა. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ აღვლმ არ ჰქონდა მიქცეული უცრადლება იმიტომ, რომ სხვა წყაროთი არსად იყო წოდებული ამოტი „მეფედ“ და, მაშასადამე, მატიანეში მოხსენებული „მეფობა“ არ იყო მიხნეული „მეფის“ ტიტულის მოპასუნებალად; იგი იყო მიხნეული უბრალო ჰმნურ სიტყვად, რომლის მნიშვნელობა უდრდა „მმართველობას“. თუმცა აქვე უნდა დავსინოთ, რომ ზემოთ მოყვანილი ციტატა მოიპოვება მხოლოდ „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის წინადაწინდელ ხელნაწერებში (და მათგან მომდინარე ნუსხებში), ხოლო ვახტანგის კომისიას, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის რევიზია მოახდინა, ეს წინადადება ამოვიგდია მატანიდან და მის ნაცვლად შეუტანა სხვა წყაროდან ამოღებული წინადადება: „ხოლო ესე ამოტ კურაპალატი მთავრობდა ქვეყანასა მის შინა...“ როგორც ჩანს, ვახტანგის სწავლული კაცები არ სცნობდნენ ამოტს მეფედ: ცნობილია, რომ მათ ხელთ ჰქონდათ ის ნუსხა, სადაც ეწერა „მეფე ობა ამოტ კურაპალატისა“, მაგრამ მათ ამოვიგდინეს ვთქვათ: „ამოტ მთავრობდა“. ვახუშტი ბატონიშვილს, რომელმაც თავისი „საქართველოს ცხოვრება“ 1745 წელს დაამთავრა, ხელთ ჰქონდა როგორც ძველი ნუსხა, ისე ახალი ნუსხა; მისთვის ცნობილი იყო ორივე ვარიანტი ამ გამოთქმისა, როგორც „მეფობა“ ისე „მთავრობდა“, მაგრამ მან იირჩია პირველი, და იგი უწერს: „კვალად დროთავე ამათ განადიდა უფალმან მეფე ობა ამოტ კურაპალატისა“, და იქვე ურთავს შენიშვნას: „ნიკეას ყოვლისა სოფლის კრება იყო წელსა 787, ხოლო ამოტის მეფობისა 1-სა“. ე. ი. მე-7 მსოფლიო კრება (ე. წ. ნიკეის მეორე კრება) შედგა 787 წელს, ამოტის მეფობის პირველ წელსა. როგორც ვხედავთ, ვახუშტი შემოთხვევით არ ირჩევს გამოთქმას „მეფობა“, მან იცის, რომ ამოტი მეფე იყო.

ბ) მეორე წყარო, რომელსაც უცრადლება მიიქცია 3. ინგოროყვამ, არის ოპიზის წარწერა, რომელიც 1911 წელს გამოაქვეყნა აკად. მარმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დამატებაში („Дневник поединки“). ეს წარწერა ნ. მარს ასე

აქვს მოყვანილი: „ესე მე ატმნ დ წელსა გავ“, და კთხოვლობს შემდეგნაირად: ესე მე ამოტმან დ წელსა გავა [შენებინე]; Это я, Ашот, в 4 года дал выстроить. ვინაიდან ამ დროს, 1911 წელს, მეკლევართა შორის არავენ ფიქრობდა, რომ ამოტი იყო მე ფე. ნ. მარსაც ამ წარწერის ამოკითხვის დროს მოუვიდა ისეთი შედეგობა, რომელსაც ის სხვა პირებებში არ დაუშვებდა: „ატმნ“ მან წაიკითხა „ამოტმან“, რაც ყოვლად დაუშვებელია: მეცხრე საუკუნის წარწერაში არ შეიძლება ეწეროს „ამოტმან“, უნდა იყოს „ამოტ“. ქართული ფილოლოგია ამ მომავლინებელი დანაშაულისაგან განათავისუფლდა პ. ინგოროყვამ, რომელმაც ატ მ ნ წაიკითხა (სრულად მართებულად) როგორც „ატ მ ნ“ ანუ „ამოტ მე ფე მან“. ამგვარად, რადგან „ამოტმან“ ყოვლად შეუწერარებელი გამოთქმაა მეცხრე საუკუნის ქართულისათვის, „მე“ პ. ინგოროყვამ გამოყო ცალკე სიტყვად და წაიკითხა როგორც „მეფეფე“. შეიძლება თუ არა სიტყვა „მეფეფე“ ანუ შემოკლებული (მე)წ? რომ ეს შესაძლებელია, მანს იქნა, რომ მეფეთ საუკუნის რაზმა ეკლესიის წარწერაშიც იკითხება: ქ ე ა დ ე დ თ მ ე პ ტ ი (ქრისტე აღიღე დავით მეფე ქერაპალატი“; იხ. ე. თაყაიშვილი, არქ. ექსპ. სამხრეთ საქართველოში, თბ., 1952, გვ. 83 და სურათი № 41).

მამასადამე, ნათელია, რომ მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედშივე ამოტი ატარებს „მეფის“ სახელწოდებას.

2. „ქართლის სამეფოს“ აღდგენისთანავე დაარსებულ იქნა სახელმწიფოს ახალი დედაქალაქი არტანუჯი. ამ ქალაქში არის მე-9 საუკუნის მანძილზე რეზიდენცია როგორც ამოტ I დიდისა, ისე მისი შემკვიდრებებისა. არტანუჯი მდებარეობდა კლარჯეთში. პ. ინგოროყვას მართებულად დასკვნით, „პოლიტიკური ცენტრის გადატანა შუა ქართლიდან (სადაც გზა ხსნილი ჰქონდათ არაბებს) — იბერიის ქვეყნის შორეულსა და კარგად დაცულ ზურგში წარმოადგენდა უაღრესად წინდახედულს, ქვეყნის მომავლისათვის სწორად გამიზნულს, პოლიტიკურად გამართლებულ ღონისძიებას. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მიზეზებთან ერთად, რასაც ვერაუღებ) რომ არაბობა ასე ადვილად ვერ გავრცელდებოდა იბერიის ამ განახლებულ სამეფოს და ახლად შექმნილი პოლიტიკური მენტრობლია დასავლეთ მესხეთში გადააქცა ქართული სახელმწიფოებრივობის მკვიდრ ციბადულად“ (გვ. 54).

შემდეგ: სახელმწიფოს ცენტრისათვის არტანუჯის არჩევა დაეკვირვებულ იყო ამ ქალაქის მდებარეობასთან. არტანუჯის მხარე დიდი ეკონომიური მნიშვნელობისა იყო, რადგან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან (ტრაპეზუნტიდან, არმენიიდან, სირიიდან, იბერიიდან და აფხაზეთიდან, ე. ი. დასავლეთ საქართველოდან) მოდიოდნენ აქ ვაჭრები. გარდა ამისა არტანუჯის მხა-

რცე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა: იგი წარმოადგენდა შესასვლელ კერძულ მოვლეს საქართველოსათვის; იბერიისათვის; იბერიისათვის (ე. ი. დასავლეთ საქართველოსათვის) და მესხეთისათვის (იხ. გეორგიკა IV, 2, 280).

არტანუჯის ეს მნიშვნელობა გამოვლენილია აქვს პ. ინგოროყვას ზიზანტიელი ისტორიკოსის კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით თხზულების (სახელმწიფოს მართვის შესახებ“) საფუძველზე. (იქვე უნდა მოიხსენიოთ, რომ კონსტანტინეს ეს ტრაქტატი ბევრგან აქვს გამოყენებული პ. ინგოროყვას, მისი ცნობების ანალიზი სწორად არის წარმოდგენილი და თვით მასალებიც მართებულად გვაგებელია. პ. ინგოროყვამ ჯერ კიდევ 1950 წელს მოკლე კონსტანტინე პორფიროგენეტის ამ ცნობების ანალიზი, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი ჩვენი „გეორგიკის“ IV 2, სადაც ეს ცნობებია მოთავსებულია. პირაქით, ჩვენი „გეორგიკის“ ტომში, რომელიც დაბეჭდა 1952 წელს, უხვად გამოვიყენეთ პ. ინგოროყვას ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები; იხ. ჩვენი შენიშვნები, მაგალითად, 237 გვერდზე და სხვაგანაც).

„ქართლის სამეფოს“ აღდგენის საკითხის გაშვებაში პ. ინგოროყვას დამსახურება მართის არ არის, რაც ზემოთ ითქვა. დამსახურება ისიც არის, რომ პ. ინგოროყვამ ნათელყო შემდეგი, დღემდე გამოთვალისწინებელი გარემოება. სახელმწიფო: ამოტ დიდის მიერ შექმნილი „სახელმწიფო კი არ არის რომელიმე პრივილეგიული სამფლობელო, რომელიმე ცალკე კეთილშობილური ერთეული, არამედ იგი არის პოლიტიკური მკვიდრე ძველი იბერიის ერთი მთლიანი სახელმწიფოსა. ამის გამო ყველა პერიოდში, მე-9—10 საუკუნეთა მანძილზე ამ სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება ყოველთვის იყო „ქართლის სამეფო“, ხოლო მისი მეთაური ატარებდნენ ტიტულს: „ქართველთა მეფე“, „ქართველთა ქერაპალატი“. ეს იდეოლოგია, რომ „ქართლის სამეფო“ არ არის პრივილეგიული კეთილშობილური ერთეული, არამედ არის პოლიტიკური მკვიდრე ერთი მთლიანი ძველი იბერიის სახელმწიფოს, მკაფიოდ არის გამოვლინებული, კერძოდ, გიორგი მერნულის ძეგლში“ (გვ. 112 — 113).

ამას ჩვენ დავემატებთ აგრეთვე შემდეგს: იმ სახელმწიფოს, რომლის ცენტრია არტანუჯი და რომელიც შექმნა ამოტ დიდმა, კონსტანტინე პორფიროგენეტი ყოველთვის უწოდებს „ქრესთა ბე რ ი ა“: სხვა სახელი ამ სახელმწიფოსათვის მან არ იცის. კონსტანტინეს შრომის 46-ე თავის ასეთი სათაურები კი აქვს: „იბერია გენილაროგისა და აღრანუჯის ციხის შესახებ“.

ამგვარად, პ. ინგოროყვას შრომის შესაბამის მიღწევა ისიც არის, რომ შესწორდა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული უპართებულო კვალიფიკაცია ამოტ დიდის მიერ

შექმნილი სახელმწიფოსი. „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ სწერია, რომ ამოტის მიერ დაარსებულ სამთავროს „ტაოკლარჯეთი“ ეწოდებოდა (გვ. 153). თვით ივ. ჯავახიშვილიც ემყარება სუბმატ დღეითის ძის სიტყვებს („მისიკა ღმერთთან გამარჯვება და ახელმწიფა იგი, ე. ი. ამოტი, შვემეთ-კლარჯეთსა ზედა“) და ამოტზე ლაპარაკს ასე ამთავ-

რებს: „ამგვარად დამყარდა შ ა გ მ ე თ ე კ რ ა რ - ჯ ე თ ი ს საერისთავო“ (ე. ი. ერისთავი II, გვ. 90, თბ., 1948).

გადავლივართ მეორე საკითხზე, დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფოს ხასიათზე, რასაც ეხება პ. ინგოროყვა თავისი შრომის მეოთხე თავში.

2. აფხაზეთა სამეფოს შექმნის საკითხი

თავისი გამოკვლევის მეოთხე თავში პავლე ინგოროყვა ეხება დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მეტად საყურადღებო საკითხს — „აფხაზეთა სამეფოს“ შექმნის საკითხს. სამწუხაროდ, ამ საკითხში დღემდე, პ. ინგოროყვას შრომის გამოკვეყნებამდე, ერთგვარ ვაუკვებობას ჰქონდა ადგილი. სახელდობრ:

„საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“, რომელიც შედგენილია სამი ავტორის ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის და ს. ჯანაშიას მიერ, სათანადო ადგილს ლაპარაკია იმ ცვლილებაზე, რომელიც მოხდა მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ, თუ წინა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათავეში იდგნენ ლაზები (და ამიტომ მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდებოდა „ლაზეთა სამეფო“ ანუ „ლაზეთი“), ახლა, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგნენ „აბაზგები“, ანუ აფხაზები (და ამიტომ დასავლეთ საქართველოს მთელ სახელმწიფოსაც ეწოდება „აფხაზეთ სამეფო“ ანუ „აფხაზეთი“). „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ ეს ცვლილება ასეა აღწერილი: „მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოშიც, როგორც ვთვით მე-8 საუკუნის დამდეგიდან აბაზგების სამთავრო ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა თავის ერისთავეზად აქციეს აფხაზეთში. მე-8 საუკუნეში აფხაზეთი უკვე მჭიდროდ დასახლებული და მშვიდობიანობით მოსარგებლუ ქვეყანა იყო.

„მე-8 საუკუნის დამლეც ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არეუ-ღარევა ატუდა. ამით ისარგებლა აფხაზეთა ერისთავეზა ლეონ მეორემ, მითრით ძალა ხაზართა შეუცხვან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამ დროს ძველი ეგრისის სამეფო დაუძლეულებული იყო. აფხაზეთა ერისთავეზა ადვილად დამყრო ეგრისი და არჯვეთი.

„ლეონმა და მისმა მემკვიდრეებმა თავის სატახტო ქალაქად ქუთათისი, დღევანდელი ქუთათისი, აირჩიეს.

„დინასტიის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ამ ახალ სამთავროსაც „აფხაზეთა სამეფო“ ეწოდა. თვით მოსახლეობის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. მე-9—10 საუკუნეებშიც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევე საკუთრივ ქართველ ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანებო შეადგენდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, „საქართველოს ისტორია“, 1, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948 წ., გვ. 146—147).

ამ ამონაწერის მიხედვით ისე გამოდის, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც აფხაზეთა მთავრად იყო ლეონ II (753—798 წ.წ.):

- 1) აფხაზეთა სამთავრო ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ;
- 2) ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი იყო;
- 3) ამ შფოთით ისარგებლა აფხაზეთის მთავარმა ლეონ II-მ და თავი ბიზანტიისაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა;
- 4) ამ დროს ლაზეთა სამეფო (ეგრისი), რომლის ნაწილსაც წინათ შეადგენდა აფხაზეთა სამთავრო, დასუსტებული იყო;
- 5) აფხაზეთა მთავარმა, ლეონ II-მ, ისარგებლა ლაზეთა სამეფოს დასუსტებით და „დაიპყრო ე გ რ ი ს ი და ა რ გ ე ე თ ი“.

როდესაც ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებაზე იტყვის კაცი, რომ აფხაზეთა ერისთავეზა „დაიპყრო“ ლაზეთა სამეფო (ე. ი. დასავლეთ საქართველოს სამეფო) და თავი „მეფედ“ გამოაცხადაო, ეს იმას ნიშნავს, რომ აფხაზები მოსულან ლაზეთში, როგორც უცხო დამპყრობლები, დაუმეგობრან ლაზეთა სამეფოს მთავრობა და თვითონ გამბატონებულან. პ. ინგოროყვამ ეკვივითარნილი საბუთებით ნათლყო, რომ „სინამდვილეში არავითარი დამყრობა დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის მიერ არ მომხდარა, არამედ მოხდა აფხაზეთის ერისთავეზის მოთავეობით განთავსულელება როგორც აფხაზეთისა, და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან“ (გვ. 116).

სინამ ამ დებულების დასამტკიცებლად პ. ინგოროყვას მიერ მოყვანილ საბუთებს შეეხებოდეთ, საქიროდ ვთვლით მეთხველს მოვაგონით შემდეგი:

დასავლეთი საქართველო იმთავითვე, უსიოვე-

ჩი დროიდან, იპყრობდა მოწინავე კაცობრიობის ყურადღებას.

დასავლეთ საქართველოსთან იყო დაკავშირებული, ჯერ კიდევ მითიურ ხანაში, ბერძენთა ლაშქრობა სიმლიდრის მოპოებისათვის, ოქროს საწმისისათვის. ამ დროის დასავლეთ საქართველო ბერძენი პოეტები და ლოგოგრაფოსები უწოდებენ „აია“-ს. ასე, მაგალითად, ამ სახელით („აია“) იცნობს მას პიმეროსის როგორც „ილიადა“, ისე „ოდისეა“. ლოგოგრაფოსების ვადმოცემით ამ ქვეყნის ეთნარქ-ეპონიმი „ა ი ე ტ ი“, ხოლო ამ ქვეყნის დედაქალაქია „ქეთიოსი“. ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის პოეტი ა პ ო ლ ო ნ ო ს რ ო დ ო ს ე ლ ი, რომელმაც პირველმა ასახა პოეზიაში მითი ბერძენთა ლაშქრობაზე დასავლეთ საქართველოში ოქროს საწმისისათვის (ე. წ. „თქმულება არგინაეტებზე“), ასე ამბობს „ა ი ა ს ქ ა ლ ა ქ ი ქ უ თ ა ი ს ი“ (ბერძნულად: კუტალია ტე პტოლინ აიეს).

შემდეგ, უკვე ისტორიულ ხანაში, ბერძენ კოლინისტთა პირველივე ტალღები გამოეშურნენ დასავლეთ საქართველოსკენ და ალბანო-ციციანების გაჩაღების მიზნით გაიჩინეს აქ პირველხარისხოვანი ფაქტორები: ასე, უკვე ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნიდან არსებობენ ბერძენთა ახალშენები ტრაპიზონში, ფთოში, დიოსკურიაში, ბიჭვინთაში და ბევრგან სხვაგანაც. ბერძენი პოეტები და ისტორიკოსები ამ დროის დასავლეთ საქართველოს უწოდებენ „კოლხეთს“ („კოლხის“), ხოლო ამ ქვეყნის მოქალაქეს — „კ ო ლ ხ ო ს“.

უფრო გვიან, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში კიდევ მომხდარა ცვლილება: იმავე ტერიტორიაზე, სადაც კოლხეთის სახელმწიფო იყო, ახლა არის სახელმწიფო, რომელსაც „ლ ა ზ ე თ ი“ (ბერძნ. „ლაზიკი“) ეწოდება, ხოლო ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომს, მის მოქალაქეს ეწოდება „ლ ა ზ ი“. რომ „ლაზეთი“ ის სახელმწიფოა, რომელსაც წინა საუკუნეებში „კოლხეთი“ ეწოდებოდა, ეს კარგად იცოდნენ მომდევნო საუკუნეთა ბერძენთა ისტორიკოსებმა. ასე, მაგალითად, მე-6 საუკუნის ისტორიკოსი პ ო ო კ ო ს ო ე კ ს ი ბ ო ე ლ ი წერს: „კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკე ეწოდება“ (პროკოპი 1, 11). იმავე საუკუნის მეორე ისტორიკოსი, ი ო ა ნ ე ლ ი დ ო ე ლ ი ცი ასევე წერს: „კოლხიკე, რომელსაც ახლა ლაზაკეს ეძახიან“ (გეორგიკა II, 205).

ამგვარად „აია“ შეცვალა „კოლხეთმა“, როდესაც დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში კოლხთა ქართველმა ტომმა მოიპოვა უპირატესობა; შემდეგ „კოლხეთი“ შეცვალა „ლაზეთმა“, რადგან მაშინ ლაზთა ქართველმა ტომმა ხელთ იგდო ქვეყნის პოლიტიკური მე-

საუბოა. არსად არის ნათქვამი, რომ ლაზმა დაიპყრო კოლხეთი. ასევე უნდა გავიგოთ, ჩვენ ცნობა იმის შესახებ, რომ მერვე საუკუნის მეორე ნახევარში აბაზგთა (ანუ აფხაზთა) ქართველმა ტომმა ლეონ ერისთავის მეთაურობით დასავლეთი საქართველო განათავისუფლა ბიზანტიის უღლისაგან და ქვეყნის პოლიტიკურ მეთაურობაც მან აიღო ხელში. როგორც წინა საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს ერქვა „კოლხეთი“, მერე „ლაზეთი“, ისე ახლა, მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან, მას ეწოდება „აბაზგია“ (ბერძნული წყაროებით), ანუ „აფხაზეთი“.

ახლა გავსინჯოთ, რა სწერია ისტორიულ წყაროში აფხაზთა ერისთავის ლეონის ნაღვლის შესახებ? ეს ისტორიული წყაროა მე-11 საუკუნეში უცნობი ავტორის მიერ დაწერილი „მბრანე ქართლისა“, ძველი შაღალი ღირსებისა და ყოვლად სანდო ჩვენთვის საინტერესო საკითხზე იქ ვკითხულობთ:

„ხოლო რაჟამს მოექდურდეს ბერძენნი, გადაგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, მძინსული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამეკედრიოდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასული წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალით მითთა გააგდა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლახამდე, სახელიდგა მეფე აფხაზთა...“ (ქ. ცხ. I, 251).

რომ შევადაროთ აქ მოყვანილი ნაწყვეტი „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ მოთხრობულ ცნობას ლეონ ერისთავის ნაღვლის შესახებ, დაინახავთ ერთ მეტად მნიშვნელოვან განსხვავებას:

„მბრანე ქართლისა“ წერს მე-11 საუკუნის ქართული ენით: „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლახამდე“.

„სახელმძღვანელოში“ ახალი ქართულით სწერია: აფხაზთა ერისთავმაც აღვიღად და იპყრა ეგრისი და აბაგვეთი.

განსხვავება ამ ორი ტექსტის შინაარსებს შორის არის შემდეგი:

- 1) ძველი ქართული „დაიპყრა“ გავიებულია როგორც ახალი ქართული „დაიპყრო“.
- 2) ისტორიულ წყაროში სწერია, რომ ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი“; სახელმძღვანელოში სწერია, რომ ლეონმა „დაიპყრო ეგრისი“.

მკითხველისათვის ნათელი იქნება ამ განსხვავების მნიშვნელობა, თუ ვიტყვით შემდეგს: თუ აფხაზთა ერისთავი ლეონი არის და იპყრა ეგრეთ (ამ სიტყვის თანამედროვე გამოებით, завоёвывал), რაში სჭირდებოდა მას აფხაზეთის დაპყრობა? სახელმძღვანელოში რომ სწერია, ლეონმა „დაიპყრო ეგრისი“, ეს გასაგებია: აფხაზმა ლეონმა დაიპყრო ეგრისი. ეს სწერია სახელმძღვანელოში, მაგრამ არ სწერია ის-

ტორიულ წყაროში; ისტორიულ წყაროში სწერია, რომ ლეონმა „დაიპყრა აფხაზეთი და ეგრი-სა“. ერთადერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოვიტანოთ „მატიანე ქართლისას“ ტექსტის ანალიზიდან, არის შემდეგი: „დაიპყრა“ არ ნიშნავს ამ ტექსტში იმას, რასაც ნიშნავს თანამედროვე „დაიპყრო“. ძველ ქართულში „დაიპყრა“ ნიშნავს „დაიკავა“ (არა завоевал, არამედ занял ან овладел). რომ ეს მართლაც, ასეა, ამასი ძნელი არაა დავრწმუნდეთ.

თვით „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც შესულია „მატიანე ქართლისა“, იხმარება ეს სიტყვა „დაიკავების“ მნიშვნელობით. აი, მაგალითად, ჯუდაშერის შრომაში ვკითხულობთ:

1) „ხოლო ორთავე მათგან ძეთა ვახტანგისთა, ნაშობთა ბერძენისა ცოლისათა, მოკლდა რომელსა ერქუთა ლეონ, და დარჩა მირდატ ოდენ. ამას მირდატს დაეკავრა ძმა მისი დანი: მეფემან გაუცულო ქუეყანა, და აიღო მირდატისგან ეგრისწყალსა და კლისურას შუა, მირდატის დედული საზღვარი საბერძნეთისა, და მისცა ნაცლად ჯავახეთი ფარაენითგან მტკურამდ. და იპყრა ა მირდატ, ძემან ვახტანგისმან, ფარაენითგან და ტანისკართაგან ვიღრე ზღუამდე სპერისა, და ერისთაობდა მუჟ; და იყო მორჩილ დანი მეფისა“ (ქ. ცხ. I, 205).

აქ ნათქვამის მიხედვით მირდატმა დაიკავა (და არა „დაიპყრა“ დღევანდელი გაგებით) ტერიტორია ფარაენიდან და ტანისკარიდან შავ ზღუამდე. რაში სჭირდებოდა მას იმას „დაიპყრობა“, რაც მას ეკუთვნოდა, თანახმად დაინისთან, თავის ძმასთან, მოლაპარაკებისა.

ლექსიკონში, რომელიც ჩვენ შევედგინეთ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ტომს, სწორედ ასეც გვაქვს ეს სიტყვა განმარტებული: დაიპყრა „დაიკავა“ (გვ. 437).

ასეთივე მნიშვნელობით არის ნახმარა ეს სიტყვა მეორე მაგალითშიც.

2) „და შვილი ბაქურ მეფისანი, ნათესავნი დაჩისნი, ვახტანგის ძისანი, რომლისადა მიეცა მეფობა ვახტანგ მეფესა, ივინი დარჩეს კახეთს. და დაიპყრეს კუხეთი და ქვეთი ოორითგან, და დასტევს უჯარმოს, და იყენეს მორჩილებასა გუარამ უჯრპალატისასა“ (ქ. ცხ. I, 219).

3) „და დაიპყრა ამოტ კლარჯეთითგან ვიღრე ქსნამდე“ (ქ. ცხ. I, 253).

ასევე „დაიკავას“ და „შენახვას“ ნიშნავს ეს სიტყვა შემდეგ წინადადებაში: „...რათა არა მოაოცრნეს ეკლესიანი და იპყრას ქართლი საჯულსა ზედა ქრისტესსა (ქ. ცხ. I, 206).

ჩანს, მე-11 საუკუნეში, როდესაც ისტორიკოსი ჯუანშერი წერდა, ამ სიტყვას („დაიპყრობა“) ვერ კიდევ ჰქონდა ის თავისი ძველი მნიშვნელობა („დაიკავება“), რომელიც ერთადერთია მე-5—10 საუკუნეთა ძეგლებში, ასე, მაგალი-

თად, ძველ ქართულ ტექსტებში მე-5—10 საუკუნეებისა ვკითხულობთ:

„სამი წელი არს, ვინათგან მოკლდ და ეგვიტებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა და არა ვერცე. მოკლეთუ ივა, რასათვის ქვეყანად დაუპყრე ი ა მ უ ქ მ ა ნ (ლუკა 13,7; რუსულად: сруби ее, на что она и землю занимает).

„ხოლო წელსა მეოთხესა მათ საქმეთასა გიზმარწყინვა ლმერთმან დიდი იგი მღვდელთ-მოძღვარი გიორგი შუარტყელი, რომელმან დიპყრა საყდარი აწყურისა“ (სერაპიონ ზარზემელის ცხოვრება, თავი 18; კ. კეკელიძის თარგმანით — „который воссел на Ахурский архиерейский престол“).

„ხოლო უხუცესი იგი ძმაი წესითა მსოფლიოითა დამპყრობელ იქმნა მამულსა სამკვიდრებელსა“ (სერაპ. ზარზემელი, თავი 3; კ. კეკელიძის თარგმანი — „Старший же брат... сделался обладателем отцовского имени“).

შემდეგ ხანებში, მართლაც, ეს სიტყვა („დაიპყრობა“) თანდათან ისე იცვლის თავის მნიშვნელობას, რომ ბოლოს და ბოლოს მიიღებს თავის თანამედროვე მნიშვნელობას: „ძალით ხელში ჩაგდება“, „დამორჩილება“ (ქვეყნისა, ხალხისა). შუა გზაზე დგას ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ სიტყვას „ვეფხისტყაოსანში“, სადაც იგი ნიშნავს „შეპყრობას“ (მოწინააღმდეგეობას, მტრისას):

- 451: რამაზ მეფე ჩამოვიგდე, ერთმანეთსა გავემხრმუნეთ; მისნი სპანი ვეულანვე დაიყვანეთ, არ მოვკლენით („შევიპყარით“)
- 619: ფრიდონ ნახა საჭურჭლენი და ბეჭედნი მისნი დახსნა, თვით ორნივე ბიძა-ძენი დაპყრობილნი წამოასხნა („შეპყრობილნი“).
- 1135: შევეუზახენ: „დახოცენით“! დაიპყრეს და თავთა შერიდეს („შეიპყრეს“).

თვით მე-11 საუკუნეშიც მიუღია მას უკვე ახალი მნიშვნელობა „ძალით ხელში ჩაგდება“: „მოვიდა ხალილ ოზიდის ძე არაბელი, და დაიპყრა სომხითი, ქართლი და ჰერეთი“ (ქ. ცხ. I, 253).

ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: „მატიანე ქართლისას“ ტექსტში არავითარ შემთხვევაში არ არის ლაპარაკი მოსული მიმძღვრებელის მიერ ლაზიკის (ეგრისის) დაპყრობაზე, არამედ ლაპარაკია შხოლდ იმავზე, რომ:

- 1) აფხაზთა ერისთავმა ლეონმა თავისი პაპის, ზაზართა მეფის, დახმარებით გაითავსოუფლა თავი ბიზანტიისაგან („გაადგა ბერძენთა“);
- 2) მან ეგრისიც, რომელიც დასუსტებული იყო, იხსნა ბიზანტიის უღლისაგან და
- 3) თვითონ აიღო ხელში ძალაუფლება მთელ დასავლეთ საქართველოში და, როგორც მთელ

დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის და ევრაზიის“) მფლობელს, ეწოდა „მეფე აფხაზთა“.

სრულიად უადგილოა აქ ლაპარაკი რაიმე დამკრობაზე (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით).



საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამეფომ საქართველოს გაერთიანების საქმეში. მეცხრე-მეათე საუკუნეებში ქართული ფეოდალური სახელმწიფოება, რომლებზედაც ზემოთ ვკვირნდა ლაპარაკი, დიდ მუშაობას ეწევიან მთლიანი საქართველოს აღდგენისათვის. განსაკუთრებით იღწვიან ამისთვის და კარგ შედეგებს აღწევენ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) და ამოტ დიდის მიერ შექმნილი „ქართლის სამეფოს“ მეთაურები. მათე საუკუნის დასაწყისში, მავალითად, დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთა) მეფემ კონსტანტინემ (კონსტანტი მესამემ) ქართლი შეუერთა თავის სამეფოს. განსაკუთრებით გაძლიერდნენ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთა) მეფეები კონსტანტი მესამის შვილის, გიორგი მეორის დროს, როდესაც კახეთის ნაწილიც დაქვემდებარა დასავლეთ საქართველოს ზელისფედებას. ლეონ მესამის (გიორგის შვილის) დროსაც ძალიან ძლიერი იყო დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთა) ზელისფედება. მართალია, ლეონ მესამის (957—967 წ.წ.) შემდეგ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთა) სამეფო სუსტდება, მაგრამ მის მიერ მთლიანი საქართველოს შექმნისათვის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეულმა საქმიანობამ მშვენიერი გავრცელება პოვა ამოტ დიდის მიერ შექმნილი „ქართლის სამეფოს“ მეთაურების მოღვაწეობაში.

იმევე მეცხრე-მეათე საუკუნეებში იმ „ქართლის სამეფოს“ (იბერიის) მეთაურები, რომლის ცენტრი ჯერ იყო არტანუჯში, ხოლო შემდეგ ბანაში, დიდ შემოქმედებათს სახელმწიფოებრივ მუშაობას ეწევიან მთლიანი საქართველოს შექმნისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით დიდის, კურაპალატის და მეფეთა-მეფის, ხანა, როდესაც „ქართლის სამეფოს“ სამხრეთი საზღვარი ვანის ტბის ნაპირებამდე აღწედა. როგორც ცნობილია, „ქართლის სამეფოს“ მეთაურთა მუშაობა 70-იან წლებში, როდესაც დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფედ იყო სუსტი თეოდოსი (975—978 წ.წ.), დავით კურაპალატმა ისარგებლა აფხაზეთა სამეფოს დასუსტებით და თავისი შვილობილი ბაგრატი (მე გურგენისა), რომელიც 975 წელს მან ქართლის მეფედ გამოაცხადა, 978 წელს აფხაზეთის მეფედაც დასვა. ერთგვარი გამამართლებელი დინასტიური საბუთი ამისათვის ის იყო, რომ ბაგრატი დედა გურანდუხტი იყო აფხაზეთა მეფის

თეოდოსის და, ე. ი. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გამოჩენილი მეფე ქვეყნმშენი ბუნიდიდის აღმამენებლის გურგენ ქვეყნმშენის სული.

ეს არის გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატი მესამე (978—1014 წ.წ.), ძე „ქართლის მეფის“ გურგენ მეორისა და დედით — დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფეთა მეგვიდრე. ამგვარად, ბაგრატი ზელში გაერთიანებული აღმონდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო, და ამ გაერთიანებული საქართველოს ცენტრი ხდება ქუთაისი (რადგან თბილისი შტერს ეჭირა; დავით აღმამენებელმა გაათავისუფლა იგი 1123 წელს), ის ქუთაისი, რომელიც მანამდე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის რეზიდენცია იყო.

მთელი ეს მსჯელობა დაგვიჩრდა ჩვენ იმისათვის, რომ დავგინახებინა, თუ რა დიდი როლი მიეუთვნება დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფეებს, როგორც ფაქტორი საქმიანობით ისე დინასტიური უფლებებით, გაერთიანებული საქართველოს შექმნაში. ამიტომ ჩვენ, რასაკვირველია, არ გვაყვარს, როდესაც გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტულატურაში ვკითხვლობთ: მე მეფე აფხაზეთა და ქართველთა... ე. ი. მეფე დასავლეთ საქართველოსი და ქართლისა.

კიდევ მეტი: ამიერიდან „აფხაზეთი“ უცხო სახელმწიფოთათვის ხშირად აღნიშნავს მთელ საქართველოს და „აფხაზეთი“ აღნიშნავს აფხაზეთსა და აფხაზეთის გარეშე, ქართველს ამის მიზეზი უნდა იყოს, უცხო სახელმწიფოთა წარმოდგენაში, როგორც ჩვენ ვთქვამთ, შემდეგ არც ვერ მოგება: 1) აფხაზეთის დიდი როლი გაერთიანებული საქართველოს შექმნაში და 2) საქართველოს დედაქალაქის არსებობა ქუთაისში, აფხაზეთის სამეფოს ყოფილ დედაქალაქში.

ჩვენთვის ცნობილია მრავალი შემთხვევა, რამ ამიერიდან, მე-11 საუკუნიდან, საქართველოს გაერთიანების დროიდან ტერმინი აფხაზეთი აღნიშნავს, სხვაგვარად, ქართველს.

1) ჩვენამდე მოღწეულია მე-11 საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი ფილოსოფოსის, იოანე იტალიოსის, წერილი, მიმართული მისი ერთი მეგობრისა და თანამოაზრისადმი, რომელსაც ის ეძახის „აფხაზს“ („პროს ტობ აბაზგონ“). აკად. ნ. მარი ვთქვამდა კიდევ, რომ ეს „აფხაზი“ (т. е. афхагт ирван — მარის სიტყვით) შეიძლება იყოს ირანე პეტრიწი, იტალიოსის მოწაფე და მეგობარი.

2) როგორც ცნობილია, ექვთიმე მთაწმინდელმა ქართული „ბალაგარიანის“ მიხედვით გააყვითა ბერძნული „ვარლამი და იოანესი“. 1048 წელს ბერძნულიდან შესრულებულ ლათინურ თარგმანს აქვს ასეთი შენიშვნა: „ხოლო ეს წიგნი“

მა ინდური ენიდან ბერძნულ ენაზე გადათარგმნა პირველად ერთმა მონაზონმა ექვთიმემ აბაზგუ-რა ენის მეშვეობით (abasgo genere stil)-ესე იგი: ქართული ენა, რომლიდანაც ექვთიმემ ბერძნული „ბალავარი“ გააკეთა, აქ იწოდება „აბაზგურ“ (ე. ი. აფხაზურ) ენად.

რუსული მატრიანები მე-12 და მე-13 საუკუნეებისა ქართველს ყოველთვის უწოდებენ „ობეს“ (ე. ი. обес). ასე, მაგალითად:

3) В лето 6662 (=1154). Посла Изяслав сына своего, второе, противу махече, бе бо повел жену себе из Обеза — მოიყვანა ცოლი ობეზთა (ე. ი. აფხაზთა) ქვეყნიდან (იხ. М. Д. Прислков, Троицкая летопись М.—Л., 1950, გვ. 237; იხ. აგრეთვე გვ. 307 და 238).

4) „იბატევის მატრიანე“ 1201 წლის თარიღით მოხსენებულია, რომ ვლადიმირ მონომახმა „изгнавши Отрока (ე. ი. უცხოელის ბიჭი) во обез, за Железная врата“.

5) თუ ვის გულისხმობენ რუსები ობეაზებად, საუცხოოდ ჩანს შემდეგიდან: რუსულ Толковая Палей-ში ჩამოთვლილ 72 ხალხს შორის მოხსენებულია ავერ და განმარტებულია ასე: „авер-иже суть обези“ (ი ე ვ რ ი — რ ო მ ე რ ო ი ე ა რ ი ს აფ ხ ა ზ ი ი) (იხ. Повесть пр. лет II, 213).

შოყვინილი მასალიდან ცხადია, რომ:

3. დასავლეთ საქართველოს ქართველი ტომები

განვიხილოთ ახლა „აბაზგები“ დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ტომებთან დაკავშირებით და გამოვარკვეოთ — შედარებით სხვა ქართველ ტომებთან, რომელნიც დასავლეთ საქართველოში ცხოვრობდნენ, რას წარმოადგენენ ისინი?

დასავლეთ საქართველოში ძველი ბერძენი მწერლები ასახელებენ რამდენსამე ტომს. ესენი არიან: კოლხები, ლაზები, აბაზგები, აფსილები, მისიმიანები, სანაგები, პენიოპები, პრექები, სვანები, სკვიანები. რომელი მწერალი პლინიუსი ამ ტომებს უმატებს კიდევ რამდენსამე სხვას.

ამ ქართველ ტომთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან კოლხები, ლაზები (რომელთაც უკვე I საუკუნეში იცნობს პლინიუსი), აბაზგები, სვანები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნაში. მაინც ამ ტომთა შორის იხსენიებიან ყველაზე აღერ კოლხები, რომლებიც შემდეგ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ლაზებმა შეცვალეს, ლაზებში ამ ტომების ერთმანეთისადმი მიმართება სრულიად ერთნაირია: რა მიმართებაშიც არიან სვანები ლაზებთან, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთნაირი სახელმწიფოს მეთაურებისადმი, იმავე მიმართებაში არიან აბაზგები და სხვა ტომებიც. სან სრულიად ქვეშევრდომნი არიან ლაზებისა,

1) აფხაზთა სამეფო წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს სამეფოს, რომლის შესაქმნება ზღუდის პირობა ერთ-ერთი ქართველ ტომის აფხაზების, წრიდან გამოხდულ შედეგს.

2) ეს აფხაზთა სამეფო, ანუ დასავლეთ საქართველოს სამეფო გახდა ერთობლივ დასაყრდენი გაერთიანებული საქართველოს შექმნისათვის, რამაც თავისი გამოჩატულება პპოვა გაერთიანებული საქართველოს მეფის ტიტულატურაში („მეფე აფხაზთა“);

3) მეზობელი ქვეყნები (ბიზანტია, რუსეთი) „აფხაზის“ სახელით იხსენიებენ საზოგადოდ „ქართველს“. მათ (ბიზანტიელებს, რუსებს) ზოგჯერ არც ეს აქვთ „ქართველის“ აღსანიშნავი სხვა სახელი.

ნუთუ ამის შემდეგ რამენაირად წარმოადგენია, რომ მთელ საქართველოს დარქმეოდა უცხოელი დამპყრობელის სახელი? არა, ეს („აფხაზი“) არის სახელწოდება იმ ქართველი ტომისა, რომელმაც თავისი ძმლავრი შემოქმედებით შემოაბოთ ზღო შეუწყო ჯერ დასავლეთ საქართველოს გაძლიერებას და მერე მთლიანი საქართველოს სახელმწიფოს შექმნას. ანდა რა საფიქრებელია, რომ, მაგალითად, დავით აღმაშენებელი თავისი სიგელების პრეამბულაში (ჩუენ... მეფე აფხაზთა და ქართველთა...) პირველ სიტყვად მოახსენებდა თავის ტიტულში უცხო დამპყრობლის სახელს.

ზან საკუთარი მთავრები ჰყავთ და, იმეორად, ვაძლარე დამოკიდებულებაში არიან მათთან. ი, მაგალითად, რას ვკითხულობთ მათ შესახებ წყაროებში.

„აბაზგები ძველთაგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ, ზოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტოში მთავარი („არხონტას კომოგენის“) ამათგან ერთი დამსწებელი იყო დასავლეთის ნაწილში, ზოლო მეორე აღმოსავლეთში“ (პროკოპი კესარიელი VIII, 3). ამ მთავრებს ეწოდებოდა აგრეთვე „მეფეები“ („ბასილეის“) იმავე პროკოპის ობზერვაციაში.

ცხადია, აქ საქმე გვაქვს არა მონარქ-მეფეებთან, არამედ მთავრებთან, ხალხის მეთაურებთან, შეიძლება გვარის წინამძღოლებთან, მსგავსად ბერძენთა „ბასილეებისა“.

ასევე მოხსენებული არიან ამდროინდელ წყაროებში სვანებიც, როგორც ლაზთა ქვეშევრდომები. ასე, მაგალითად, პროკოპი (მე-რ საუკ.) ამბობს: „სვანია... ეს ქვეყანა ლაზთა ქვეშევრდომი იყო“ (VIII, 14). უფრო დამწერლებით ლაზბარაკობს ამაზე მე-რ საუკუნისვე მეორე ისტორიკოსი — მე-ნ ა ნ დ რ ე. მას არათუ ნათქვამი აქვს, რომ სვანეთი ლაზიის ნაწილია, არამედ ბიზანტიის ელჩს პეტრეს, რომელსაც სპარსეთის მეფესთან აქვს მოლაპარაკება სვანეთის შე-

სახებ, კიდევაც საბუთებში ამტკიცებინებს, რომ „სვანეთის მთავარი ემორჩილებოდა ლაზს და მასთან ის აღრიცხული იყო სახარკო სიანში, და ლაზი კიდევაც ლებულობდა მისგან ფუტკრების ნაყოფს და ტყავებს და ზოგ სხვა რამესაც. ზოლო როდესაც სვანების მთავარი გარდაიცილებოდა, ლაზების მეთაური ახელისუფლებდა მას, ვისაც უნდა მიეღო და დაეცვა გარდაცვლილის ძალაუფლება“ (გეორგიკა, III, 224).

ხომ ვიციტ ჩვენ ისეთი ეპოქებიც, როდესაც დასავლეთ საქართველოსთან გაერთიანებული იყო იბერია. ამ ეპოქების ანარეკლია უთუოდ, რომ ლაზები, აბაზგები და იბერიელები ერთად იბრძოდნენ საერთო შტრის წინააღმდეგ. როდესაც მებრძოლები კეისარი ირაკლი სპარსეთის წინააღმდეგ იბრძოდა 622—623 წლებში, იმ სპარსეთის, რომელიც მთელი მე-6 საუკუნის განმავლობაში აწიოყებდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს, ირაკლის მხარი დაუჭირეს და მის ჯარში იბრძოდნენ ლაზები, აბაზგები და იბერიელები. ამას ვადმოგვეყვანოთ შემთავსებელი თეოდანი.

რა უნდა ეფიქროთ ჩვენ ამის შემდეგ? მონათველ უცხო ტომს ეყუთვნიან აბაზგები თუ ქართველ ტომს წარმოადგენენ? რასაკვირველია, შარტო ის ვარემოება, რომ ისინი ლაზებთან და იბერიელებთან ერთად ერთსულოვნად იბრძვიან საერთო შტრის წინააღმდეგ, კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აბაზგები ლაზებთან და იბერიელებთან ერთად ქართველები არიან. მაგრამ ეს ვარემოება, რომ ისინი უკვე ძველ საუკუნეებშივე ლაზებთან და იბერიელებთან ერთად იბრძვიან საერთო შტრის წინააღმდეგ, თავის მნიშვნელობას პოულობს სხვა ვარემოებათა გვერდით. ამ სხვა ვარემოებათაგან პირველ რიგში ვადაწყვეტებ მნიშვნელობისა ის, რომ აბაზგების ტერიტორიაზე არსებული სოფლები და ქალაქები და სხვა გეოგრაფიული ადგილები ქართულ სახელებს ატარებენ.

პ. ინგოროყვას განხილული აქვს აბაზგიის 136 გეოგრაფიული სახელწოდება (სოფლები-სა, ქალაქებისა, მდინარეებისა, მთებისა...) და იშვიათი სიზუსტით, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხთა უბადლო ცოდნით და ინტელიციური მიხედვარობით ანალიზს უკეთებს ამ სახელწოდებებს და ადგენს, რომ ეს საკუთარი სახელები ქართულია. შეიძლება ამ 136 სახელში იყოს თითოთორთა, რომელთა საარაღმოდო მატანილა საბუთები დამარწმუნებელი არ იყოს. მაგრამ ეს სახელები, მთლიანად აღებული, უკველად ქართული წარმოშობისაა. მე, პირადად, ერთი მაგალითი რომ მოვიყვანო, — არ მიმანია სწორად, თითქოს „ტუბუნნი“ უკავშირდებოდეს ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილ „დიოსკურებს“. ჩემი აზრით, აბაზგიის ქალაქ „დიოსკურიის“ სახელში რაღაც ადგილობრივი სიტყვა „სკურ“ უნდა იყოს შემორჩენი-

ლი, იქნებ ამის ვადმონაშთი იყოს შარდენის მოგზაურობაში აღნიშნული Исаур (იხ. გვ. 102 რუს. ვამოყემისა, თბ. 1902) ან იგივე-სიტყვა ივლიანსებოდეს „სკურჩანა-ში“ (ქლანჩაქა) იხ. ი. ყიფშიძე, 319). მაგრამ ასეთი საუბრები შეიძლება მხოლოდ თითოთორთა იყოს და საკირობედეს დამატებითს კვლევას. სამაგიეროდ, დანარჩენი ასზე მეტი სახელი არავითარ ევებს არ იწვევს და ყოველი შეკვლევარი პ. ინგოროყვასადმი მადლობის ვარწმობით სპირად მიმართავს მოცემულ ვანმარტებებს. ესენია: ცხუნთა, ბიჭვინთა, ბზიბი, ვაგრა, უღანდი, სობლანი, ზოფი, წიბელთა, კოდორი, ჩახარი, ბოკელი, სოქი და რამდენიმე ათეული სხვა.

შართლად, რა უნდა იყოს საკამათო იმაში, რომ „ბიჭვინთა“, როგორც თავისი ძირეული სიტყვათ (ფიჭვი) ისე წარმოებთ („ნთა“) ქართულია. ჩვენი აზრით, არ არის შემთხვევითი, რომ აბაზგების ტერიტორიაზე ვგვხვდება ისეთი სახელები, რომელთა ფორმები იძლევიან ახალ მასალას ქართული ენის ისტორიული ფონეტიკისათვის. აქ მე ვგულისხმობ „ბ“-ს და „ფ“-ს მონაცვლეობას, რაც დასტურდება სხვა მასალებითაც:

- ბიჭვინთა — ფიჭვა
- წიბელთა — წიფელი
- შდრ, ტოლები — ტელეფის (ბერძნულად)
- ბასიანი — ფასიანი (ბერძნულად).

ახლა ვაგისინჯოთ თვით „აბაზგების“ სახელწოდება. ბერძნები მათ სახელს ვადმოგვეყვანოთ ფორმით — „აბასგოს“, მრავლ. „აბასგოთ“. ქართველ ტომთა სახელები, როგორც ეს უკვე დიდად ჩანია შენიშნულია, ზოგჯერ ბოლოში ირთავენ სუფიქსებს — „ქი“ (ხი), „გი“ „ქი“:

- ტაქი (ბერძნული „ტაბოთი“),
- ქენიოქი, კოლქი
- აბასგი — აბასკი
- სანიგი — სანიკი

ის ვარემოება, რომ „აბასგი“-ს პირადადური ფორმაა „აფხაზი“, ვაფიქრებინებს, რომ „გ“ ყოფილა „ხ“-ს მაგიერი: აბასგი — აბაზგი-აბაზხი-აბაზი).

დასასრულ კიდევ ერთი მასალა აბაზგების სადაურობის დასაბამათებლად. მეხუთე საუკუნის ბოლოს ლაზთა მეფე არის ოფსიტე (წათე I-ის ძმა და გუბაზის ბიძა), ხოლო მეექვსე საუკუნეში აბაზგების ერთ-ერთ მთავრად დასახელებული ჰყავს ისტორიკოს პრაოკოპის აგრეთვე ოფსიტე. მამასადამე, ლაზებსა და აბაზგებს ჰქონიათ ერთნაირი საკუთარი სახელები. რასაკვირველია, ჩვენი საკუთარი სახელების შესწავლის საქმე უკერ ჩანასახშია, მაგრამ თუ გზადა გზა არ ვიკვლით ისინი, ყოველთვის ჩანასახში იქნება. არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება, რომ ლაზებში და აბაზგებში ვგვხვდება ერთნაირი სუფიქსის მქონე სახელები:

ლაზთა წინამძღოლი — ტერდებე (ბერძნულ ფორმით: ტერდებეს)

ლაზთა მეფე — ოფსიტე

აბაზგთა მთავარი — ოფსიტე

ლაზთა მეფე — წათე (ბერძნული ფორმით „ტათოს“. აქ „თ“ არის ტ-ს მაგიერ, რაც გამოიწვია, ალბათ, თავიდურმა წ-მ).

იქვე უნდა მოვახსენოთ ლეგენდარული მეფე „აიტე“ და ლაზთა ერთი წარჩინებული მებრძოლენი „აიტე“.

საფიქრებელია, რომ, რადგან ჩვენ ვიცნობთ ამ სახელებს ბერძნული დიქციონარით (ბოლო-შორტს), ეს უთუოდ იყო ქართული „ტი“ (ტირ-ღები, ატი, ოფსიტე, წათი), რასაც მივყავართ ამ ქართულ ტი-სახელებამდე, რომელთაც იყვლევს პ. ინგოროყვა თავისი გამოკვლევების მესამე თავში (გვ. 94—99: ბაგრატი, სემპატი, ამოტი, ზიხუტი და სხვ.).

არ შეიძლება, ამასთან დაკავშირებით, არ მოვიგონოთ ბიჭვინთის 1952 წლის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ბერძნული შიზანიკური წარწერა (ვარაუდით, 5-7 საუკუნეებისა), რომელშიც იკითხება: „სალოცველად ორელისა და ყოელისა სახლისა მისისათვის“. ამ წარწერის გამოკვლევის აზრით, სახელი „ორელი“ ისეთივე კონსტრუქციისაა, როგორც ნათელი (ნათელი), ბეგრელი, მეზრელი, გაეამელი, კეამელი, ფუბელი (ლაზი დიდებელი), ვირშელი და სხვ.“ (იხ. საქ. მეცნ. აკად. მოამზე, 1955 წ. № 1, გვ. 78—79).

მაშასადამე, აბაზგაში გავრცელებული საკუთარი სახელები ქართულია, ისევე ქართულია, როგორც დანარჩენ ლაზეთში გავრცელებული სახელები.

შეუძრება არ ეჭვნება გავიხსენოთ ისიც, რომ დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოში ზოგჯერ დიდებულები, უფლისწულები და მეფეები ერთხა და იმავე სახელს ატარებენ. ასეთია მგალითად: ლემარნუფი ანუ მარნუფი (ლაზეთის — აფხაზეთის მთავარი VII საუკუნე), ნაზარნუფი (ქართლის უფლისწული V საუკუნე—ბერტე იბერიელი), ქსეფარნუფი (ქართლის მეფე I-II საუკუნე).



რაც დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ საკუთარი სახელებზე ნაშთიანაა ლაპარაკი,

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ არა მარტო აბაზგის ტერიტორიაზეა გაბატონებული ქართული სახელები, არამედ ლაზთა სამეფოს დანარჩენ ტერიტორიაზედაც, სადაც ქართული ტომობიოკა ლაზური ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, გვხვდება ქართული სახელები.

ლაზიკის აღმოსავლეთ ანუ იბერიის დასავლეთ საზღვრად ითვლებოდა შორაბან-სკანდეს ხაზი. მაშასადამე, შორაბან-სკანდეს ხაზის დასავლეთით უნდა ველოდეთ ლაზურ სახელწოდებებს. მაგრამ, აი, რას ვხედავთ, მგალითად:

1. ვ ა რ დ ც ი ხ ე. მებრძოლენი ბერძნული წყაროები მას თარგმნიან „როდოპოლისად“ („როდონ“ — ვარდი, „პოლის“ — ციხე). ცხადია, მებრძოლენი ამ ქალაქს რქმევია „ვარდციხე“ და არა „ვარდჯიხა“. მას რომ მამინ „ვარდჯიხა“ რქმეოდა, ახლაც იგივე სახელი იქნებოდა (ხომ გვაქვს ჩვენ, მგალითად, იქვე, ახლოს „ჯიხანი“).

2. ასევე მდინარე ყვირილის თარგმნიან ბერძნულად „ბოსს“ (ბერძნულად ზენა „ბოზიო“ ნიშნავს: „ყვირილი“). მაშასადამე, ამასაც მებრძოლენი რქმევია „ყვირილა“ ქართული სიტყვით.

3. დასასრულ მოვიგონებთ შემდეგ ფაქტსაც. როდესაც მებრძოლენი დასაწყისში ლაზთა მეფე წათი კონსტანტინეპოლში ჩავიდა, ბერძნული გააკვირვა თავისი „წალებით“. ამის შემდეგ სიტყვა „წაღა“ შედის ბერძნულში და მკვიდრდება (იხ. გეორგიკა, III, 265; ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდელის ენა, გვ. 133). ეს სიტყვა შესულია ბერძნულში „წაღა“ და „წანავი“, წ-თანხმოვნით და ა-ხმოვნით.

აქ მოტანილი მგალითებით ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ, როგორც ჩანს, მებრძოლენი ლაზური (ბეგრული) და ქართული კიდევ უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე დღეს არიან ქართული სიტყვები (ვარდციხე, ყვირილა, წაღა და, ალბათ, ათასი სხვა) ისევე იყო ქართული, როგორც ლაზური. ეს მგალითები იმასაც მოასწავებენ, თუ კიდევ რამდენია განსარკვევი საკითხთა იმ რიგში, რომელიც ჩვენ გამოკვლეული გვაქვია. ამაში საბოლოოდ დაგვიარწმუნა პ. ინგოროყვას გამოკვლევამ, რომელმაც ექვშობტანულად ვიარკვია ერთი წყება ამგვარი საკითხებისა



ტერმინი „აბჯაზის“ მნიშვნელობა სპარსული წყაროების მიხედვით*

(3. ინგოროევის ნაშრომის — „გიორგი მერჩულის“ გამოცემა)

პაეღ ინგოროევის ნაშრომი, რომელშიც ჩვენი ლიტერატურის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიის მთელი რიგი საკითხები გამოკვლეული და გადაჭრილი, უდიდოდ დიდ მოვლენას წარმოადგენს ქართული მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით.

ავტორი, ჩანს, ათეული წლების განმავლობაში სწავლობდა შეათე საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულეს შესანიშნავ თხზულებას — „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, ღრმად იკვლევდა ძველთან დაკავშირებულ საკითხებს და, ამარაგად, დიდი შრომისა და ენერჯიის გაღების ფასად მიიკავშირებდა ძველად სავაზ, აღგა-აღგ ბერუსით დამსიმებულ გზას.

საქართველოს ისტორიის იმ საკითხების წრედან, რომლებსაც პ. ინგოროევი ეხება თავის წიგნში, იქ ჩვენ შევხვდებით საკითხზე აბჯაზის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ამოწერაყად აქვს დამუშავებული და გამოკვნიებული აბჯაზის საკითხის გამო ვველა ქართული, კავკასიური (სომხური), ბერძნულ-რომაული და, სიერითოდ, ევროპული წყაროები. ამავე დროს, დსიანნია, რომ ავტორი მხოლოდ მოკლედ ეხება აღმოსავლურ წყაროებს. ამითგან უფრო ვრცლად ავტორს მხოლოდ მე-17 საუკუნის თურქი მოგზაურის ევლია ჩელეების ცნობები აქვს გამოყენებული.

აღძრული საკითხის განხილვისათან დაკავშირებოდ, ვფიქრობთ, საინტერესოა გიკოდეთ, თუ რა მნიშვნელობით იხმარება ტერმინი აბჯაზი ანუ აფხაზი კლასიკური სპარსული მწერლობის ძეგლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდება აბჯაზი სპარსულ წყაროებში, რომლებსაც ჩვენ დრომდე მოუღწევია, ვხვდებთ მე-10 საუკუნის გასულიდან. ეს ტერმინი მე-11-12 საუკუნეთა ძეგლებში საკმაოდ ფეხმოკიდებული ჩანს, შემდეგ კი თანდათან ხმარებიდან გამოდის.

ერთ დროს მეციერთა ვურაღდება მიიქცია

„ვისრამიანის“ ქართული ვერსიის ფრაზამ — „წამაშთა მისთა მშვიდღოსნობა აფხაზთაგან ესწავლა“¹. უ. ნასაუ ლისის და მენში აშუღდლის მიერ გამოკვნიულ სპარსულ ტექსტში², როგორც ეს ნ. შარმა აღნიშნა³, ქართული აფხაზის საბადლოდ იკითხება ანჯაზ, რაც შეპირებია. აღთქმის შესრულებას ნიშნავს და შინაარსობლივად არ უდგება ტექსტს. სპარსული „ვისრამიანის“ სხვა გამოცემა მაშინ არ არსებობდა.

ნ. შარმა დედნის ასეთი წაკითხვა საევეოდ მიიჩნია და გამოთქვა აზრი, რომ შეიძლება ქართულ მთარგმნელს ხელთ ჰქონდა ისეთი ორიგინალი, რომელშიც, აბე ანჯაზის“ ნაცვლად, „ზე აბჯაზ“ იკითხებოდაო⁴.

მ. მინაოის მიერ გამოკვნილმა სპარსულმა ტექსტმა⁵, როგორც ეს ადრევე აღნიშნული აქვს აღ. ბარამძეს⁶, გაამართლა ქართული ვერსიის წაკითხვა. ქართული ტექსტის შესაბუკვის ადგალას იქ აბჯაზ იკითხება (გვ. 317):

ზე ჩემში ავტრდე თორ აქგან ზე აბჯაზ
ზე ზოლდე ავტრდე ჯარაზე ზე აქვან,
თვალით მოყვენა მოისარე აბჯაზით,
ზოლდით მოყვენა მორიელი აქვანით⁷.

ზემოწარმოღგენილი ბეითის სიტყვისიტყვითი თარგმანი ვერ გადმოსცემს მის შინაარსსა და პოეტურ ღირსებებს. ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგ მკვლევარს რამდენადღე სხვაგვარად ესმის მისი აზრი. მათი გაგებით, გულ-გარდი ისეთი მომიზნოაფი ყოფილიყო, რომ ნაწინაგებით აქვანოიდან მორიელს მონუსხადე, თვალბით კი აფხაზეთიდან მიიზიდადე მშვიდღოსნოსო.

საქმე ის არის, რომ მითითებულ ბეითში არც

¹ მეორე გამოცემა, გვ. 183.
² კალუტრა, 1865, გვ. 239.
³ ნიკო შარი, К вопросу о влиянии персидской литературы... ОЖМНП, 1897, 235-236).
⁴ იქმე.
⁵ თეირანი, 1935.
⁶ ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, 1945, 103.
⁷ ა ბ ჯ ა ზ ი ადგილმდებარეობის სახელა ირანში.

ნაწილებით მორიელის მონუსხვაზე ლაპარაკი და არც თვალზე დაფხავთიდან მშვილდოსნის მიხედვებზე. ამ ბუთში პოეტურ შედარებებთან გვაქვს საქმე.

თვალთ აყვანა (თუ მოყვანა) მოისარე აბხაზით — ნიშნავს. მას თვალში თითქოს მოისარე აბხაზი ესხმა: გულს თვალეში, წაშაყვები ასე სტეორცნიდა ისარს მოყვანა გულს, როგორც მშვილდოსანი აფხაზითიდან, როგორც აფხაზი მოისარეო.

ზოლეთი აბეზიდან მორიელის მოყვანა კი იმას ნიშნავს, რომ გულ-ეარდს მორიელით დაგრეხილი, დაქაყანილი ზოლფები (ნაწილებები) ჰქონია.

ასეთი შედარებანი (მორიელით დაგრეხილი თმები, თვალთ ისარნი და სხვ.) სპარსულ პოეზიაში აღრევეა დამკვიდრებული. „ვისრამიანის“ აეტრის მათ მოხდენილად, სხვა ფორმით იმეორებს და მით პოეტური შედარების ახალ ელემენტებს ქმნის.

„ვისრამიანის“ სპარსულ და ქართულ ტექსტებში ტერმინი აბხაზი სხვაგან არსად გვხვდება. ასეთ ვითარებაში, ცხადია, ძნელია იმის გარკვევა, თუ აეტრის ფაზ-ედ-დინ გორგანელი (მე-11 საუკ.), ან იმ დროის ირანელი მკვლევარი საზოგადოება ვის გულისხმობდა ამ ტერმინში, ვის ეახლდნენ აბხაზებს (აფხაზებს). ყარგი მშვილდოსანი, ცხადია შეიძლება ქართულიც ყოფილიყო და არა ქართველიც.

ტერმინი აბხაზი არც ისე იშვიათად გვხვდება ნიშაში განჯელის (მე-12 საუკ.) თხზულებებში („საიღუმლოებათა საგანძორი“, „ხოსრო-შირიანიანი“, „ისქენდერ-ნამე“). მისი მნიშვნელობის გარკვევის თვალსაზრისით საინტერესოა „ხოსრო-შირიანიანი“ ბოლო ნაწილებში მოხსენიებული აბხაზი. აქ პოეტა აღნიშნავს, რომ მშარბნებელთაგან წყალბად მიიღო სოფელი ჰამდუნიანი.

მოშურნეთაგან ერთმა შენიშნა: ჰამდუნიანი რა სოფელია, იგი სამარხავით ვიწროვ; მისი სიგრძე-სიგანე ნახევარი ფარსანგიც არ იქნება. მისთვის დიდი ხარჯია საქარო და შემოსავალს კი არ მოგვემს. ამავე დროს, მისი მიდამო სანახევროდ აფხაზეთს ეკუთვნის (მას სინახევროდ აფხაზები ამწაყებენ)!

ცხადია, განჯაში მცხოვრებ ნიშამის არ შეეძლო იმდროინდელი აზერბაიჯანის მშართველებსაგან მიღო დასავლეთ საქართველოში, ან შეეიზღვის სანახევროდ შედარე სოფელი. აქ უძველესად ლაპარაკია საქართველოს საზღვრებთან ახლოს შედარე სოფელზე. ტერმინი აბხაზი მაშინ მთელ საქართველოს აღნიშვნელად გამოიღის. საქართველოსთან ახლო მცხოვრებ ნიშამის ნა-

წერებში რომ აბხაზი საქართველოს აღნიშნავს, ამას „ისქენდერ-ნამე“ ადგილებზე მოწმობს.

ნიშაში აგორწერს ალექსანდრე მაკედონელის შესახებ აზერბაიჯანში — ზერდნამე და სპარსულ და სხვა აღწერილი, თუ მან როგორ დალაშქრა აფხაზეთი. ნახსენებია ქალაქი თბილისი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ვითომც შეიზღებოთ დამშვენა და თითქოს ის (მაკედონელი) იმ სამთხვასავით მორთულ-მოყაზმულ ქვეყანაში — აფხაზეთში (საქართველოში) მუდამ სიყვითის თვისანი მოესაგი იყო (ჩინან გოქთა ბა ფურ დამყანე ფირ ქე თაფლის ეზე შოღ ვიარეთ ფაზირ და სხვ. იხ. ბაქოს ტექსტი, 1947, გვ. 247).

უფრო უცრობელი ჩვენებაც არსებობს იმის შესახებ, რომ სპარსულ ენაზე შეთხზულ ძველებში ტერმინი აბხაზი ქართულად მეტყველი ხალხით დასახლებული ტერიტორიის — საქართველოს აღნიშვნელია. ასე, მაგალითად, ცნობილი შარგანელი პოეტი ხაყანი (მე-12 საუკ.), რომელიც რამდენჯერმე ყოფილა საქართველოში, მკოდნეა ქართული კულტურისა და ენის (მის ზოტებში და ოთხსტრიქონიან ლექსებში არა ერთი შემთხვევა გვაქვს ქართული სიტყვების ხმარებისა), შემდეგს წერს:

ეზ ვეყე სალიბ მთი რუმი რთი
აბაზ ნეშინ გამთეპო გორჯი გთი
აზ ბესეჟე ბეგოფთამეშე ქე მთი მთი
შოღ მთი ზებანამო ზებან ჰამ მთი.

ხევეტშიაიანი (ჯეგარით ერთმანეთზე ვიღახართელი თმის მქონე) ლამაზის (ელეარე სახის) სიყვარულის გამო აფხაზეთის შევიდარი (აფხაზეთის მცხოვრები, აფხაზი) ვახელი და ქართულად მოღაპარავე (მეტყველი). იმდენჯერ ვეთხარი მას: მთი, მთი, რომ ჩემი ენა ვახდა გაწობილი, ვითა თმა, ზოლო ჩემი თმები კი იქცა ენებად!

აბაზ ნეშინ „სიტყვასიტყვით ნიშნავს აბხაზს, აბხაზეთის მცხოვრებს“. აგორჯი გთა — კი — ქართულად მეტყველს. ქართული მეტყველებიდან პოეტს სიტყვაც აქვს მოტანილი „მთი“ (მოდო).

აქვე იმასაც აღნიშნავთ, რომ კლასიკური სპარსულის მიხედვით, „მოის“ ნაცვლად, შეიძლება „მოე“ წყვილბოთ. „მოე“ ფორმა კი (მოდო) ზმნის მნიშვნელობით) იხმარება კლასიკური ქართული მწერლობის ძეგლებში. ასე რომ, არავითარი ეჭვი არ შეიძლება შეეიტანოთ ხაყანის მიერ გამოყენებული სიტყვის (მთი, მოე) ქართულბაში.

თუ რი მარმა ტექსტი გამოიყვამლის კ. ზალემანის მიერ მითითებული ვარიანტების (ანჯაზ-აბაზ, გურნი-გურჯა) საფუძველზე აღადგინა.

კ. ზალემანის ტექსტის გამოცემისათვის, რა-

¹ აქვე შევნიშნავ, რომ ტერმინი აბაზს აქვს როგორც კერძობითი, ისე კრებითი მნიშვნელობა.

¹ ესარგებლობთ იური მარის მიერ აღდგენილი ტექსტით: К вопросу о позднейших толкованиях Хагани (Хагани, Низами, Руставели, I, 1935, стр. 6).

გორც ხანს, ზოგი საინტერესო ხელნაწერი არ გამოუყენებია. მას არა აქვს, მაგალითად, დასაბუღებული ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი P—63, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო აღვილა, როგორც ამას აღნიშნავს ხაყანის მკვლევარი ალ. გვახარია¹, სწორედ ისევე იკითხება, როგორც ეს ი. მირას მიერ იქნა აღდგენილი.

ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ, ხაყანის ჩვენებით, აბხაზ-საქართველოა. აბხაზი, ე. ი. საქართველოს შეიღობა, ქართულად შეტყვევლია. აბხაზისათვის დამახასიათებელი ნიშანი ქართულად შეტყვევული იგი ქართველია. ამიტომ აბხაზს პოეტი — აბხაზ ნუშინ ვამთვრო გორჯი გო², ე. ი. აფხაზი, ქართულად შეტყვევლი, გავხდით.

საქართველოსა და ქართველების აღსანიშნავად სპარსული წყაროები აბხაზის გარდა, სხვა ტერმინებსაც ხმარობენ. ასეთებია, მაგალითად, გურჯ, გორჯ, ქურჯ, ქორჯ, გურჯ, გორჯ, ქურჯ, ქორჯ.

აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება ინტერესი მოსაძებნელი არ იყოს იმის აღნიშვნა, რომ შეათუ საუკუნის გეოგრაფიული ხასიათის თხზულება „პოდვლ-ალ-ალემი“ („ქვეყნის მხარისა საზღვრები)³, რომელიც აკადემიკოს ვ. ბარტოლდს მუსლიმანური გეოგრაფიული ლიტერატურის ძვირფას ძეგლად მიიჩნია⁴. შევ ზღვას „ქართველთა ზღვა“ უწოდებს.

აინიშ გეოგრაფოსს მოკმეული აქვს ცნობები თბილისის შესახებაც (იცის ამ ქალაქში სამკურნალო თბილი წყლები არსებობა და სხვ.). ის მოგზაური არა ყოფილა და შეიძლება მას არც შავი ზღვა უნახავს და არც თბილისი. ის, როგორც ეს აღნიშნული აქვს ტექსტის გამოცემულს — ვ. ბარტოლდს შესავალ წერილში და თვით ამ თხზულების აღმომწენს — ა. გ. თუმანსკის⁵, ემყარება სხვა წყაროებს, აღნიშნული გეოგრაფოსების ცნობებს.

„პოდვლ-ალ-ალემის“ ავტორს, ცხადია, თვითნებურად არ შეეძლო შავი ზღვისათვის ქართველთა ზღვა ეწოდებინა. ეს სახელწოდება მას უძველად ძველ, ჩვენამდე მოღწეველ წყაროებში აქვს ამოკითხული.

ცხადია, პანტოს ზღვის ქართველთა

ზღვა და გადაქმევა არ შეიძლება პანტოსიკოს მოკლედ ხნის განმავლობაში. ამასთან, ეს ვერ მოხდებოდა, თუკი შავი ზღვის სანაპირო ქართველებით არ ყოფილიყო დასახლებული.

მე-9-10 და, შეიძლება, მე-8 საუკუნის გეოგრაფოსების ნაშრომში აღნიშნული ტერმინის („ქართველთა ზღვა“) დამკვიდრება, ცხადია, იმის მიუწყებელია, რომ დასავლეთ საქართველოში ზონანტიის იმპერიის ბატონობის გადაგდების ხანაში აღმოცენებული აფხაზთა სამეფო, როგორც ამას ჰაღლე ინგოროყვა ამტკიცებს, მოსახლეობით, მონაარსთა და ფორმით ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

აღნიშნული ტერიტორიიდან ბიზანტიის განდევნა და ქართველთა სამეფოს დაარსებას მიუცია უფლება აღმოსავლეთის გეოგრაფოსებისათვის, რომ შავი ზღვისათვის ქართველთა ზღვა ეწოდებინათ.

რატომ არ უწოდებს მას „აფხაზთა ზღვა“ იმიტომ, რომ ტერმინი აფხაზი სინონიმია ტერმინისა — ქართველი.

აქ საპიროა აღნიშნული ავტორთა შემდგომი კლასიკური ხანის სპარსულ წყაროებში ტერმინი აბხაზი საქართველოსა და ქართველების აღნიშნულ სხვა ტერმინების გვერდით გვეხდება, როგორც ნათქვამი იყო, მე-10 საუკუნიდან. მაგრამ, სადვიკრებელია, ამას (ტერმინით — აბხაზი საქართველოს ან ქართველების აღნიშვნას) ძველისძველი ტრადიციაც ქონდეს. საეჭვოა მაგალითად, სპარსული „ვისრამიანის“ ავტორს, რომელიც ამ თხზულების ფალაურ ვერსიას (მერსაუკ) ეყრდნობა და, როგორც ამას ნათქვამად აღნიშნავს პარიფსორი იესტ. აბულაძე⁶, სხვათა ვადმოცემისას მიუღ რაც შემთხვევებში იცავს ფალაურ ფორმებს, რომელიმე ტერმინი აბხაზით შეეცვალა, რომ ამას ორიგინალში ადგურა არა ჰქონოდა.

ყოველ შემთხვევაში, „პოდვლ-ალ-ალემის“ წყაროთა ავტორები, უძველესი, იცნობდნენ დასავლეთ საქართველოს (ქართველთა) სამეფოს და ამიტომ უწოდებს შავ ზღვას „ქართველთა ზღვა“.

„გიორგი მერანულს“ ავტორის მოსაზრებანი დასავლეთ საქართველოს სამეფოს დაარსებისა და მისი განვითარების შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დამუშავებული შეცდომის უბრალო შესწორება კი არ არის, როგორც ამას ზოგჯერ ითქვამის, არამედ დიდი მეცნიერული აღმოჩენაა, რომელიც ძირეულად ცვლის ჩვენს წარმოდგენას ამ დიდმნიშვნელოვან ხაკითხზე.

როგორც დაგრწმუნდით, სპარსული წყაროები მხარს უჭერს ჰაღლე ინგოროყვას მტკიცებას.

¹ „ვისრამიანის“ ტექსტისათვის (ლიტ. შემკვიდრება, I, 1935, 270-297).

¹ ახალგაზრდა სტალინელი, 1954, № 36.

² ისთახარა... თარქმანი შენიშვნებითა და საძიებლოთრთ ვ. ფუტერბისსა თბილისი, 1937, გვ. 11—16.

³ Худуд Ал-Аллем. Рукопись Туманского с введением и указателем В. Бартольда. Ленинград, 1930, 3.

⁴ Новооткрытый персидский географ X столетия и известия его о славянах и руссах. ЗВОРАО, X, 1897, стр. 132.

ენო პენაზილი



ბავშვების საყვარელი მწერალი

(მარიჯანის შემოქმედებითი მუშაობის 40 წლისთავის გამო)

მწერალ ქალს მარიამ ალექსიძეს, რომელიც მწერლობაში მარიჯანის სახელთაა ცნობილი, სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი შეუსრულდა. საქართველოს მწერალთა კავშირმა და მკითხველმა საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნეს ეს თარიღი.

მარიჯანი გუთუნის თანამედროვე ქართველ მწერალთა უფროს თაობას. იგი დაიბადა 1890 წელს თბილისში. განათლება მიიღო ჯერ ქალთა დახერხულ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ — თბილისის უნივერსიტეტში. პოეტის პირველი ლექსი „ტბა“ დაიბეჭდა 1916 წელს გაზეთ „სახალხო საქმეში“. ამ პირველივე ლექსს მოწერილი ჰქონდა — „მარიჯანი“. შემდგომში ამ ფსევდონიმით ხელმოწერილი ლექსები საკმაოდ ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ერთნაღვანეთებში, ხოლო 1921 წელს ცალკე წიგნადაც გამოიყა.

მარიჯანის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ლიტერატურაში ჰარბობდა დაცემულობის სულისკვეთება. სოკობივით გამარჯვებულ სხვადასხვა დეკადენტური მიმდინარეობანი ქადაგებდნენ ცხოვრებისაგან განდგომას, უჩიოდნენ სულიერ სიმართლეს. მარიჯანის პირველ ლექსში ჩანს ამ განცდათა და განწყობილებათა ანარეკლი. პოეტმა ამ პერიოდში განიცადა გრიმანის პოეზიის ერთგვარი გავლენა, რამაც გამობატლება პოეტი მის სატრეიალო ლირიკაში.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ვანუხრულ აღმავლობასთან ერთად, თანდათანობით იცვლება მარიჯანის შემოქმედების ხასიათიც: იგი როგორც თემატიკურად, ისე ენობრივად მრავალფეროვანი ხდება. მწერალმა თავის კალამი წარმატებით სცადა პროზის ენარში, შექმნა არა ერთი საყვარელი მხატვრული ნაწარმოები, განსაკუთრებით საბავშვო ლიტერატურის დარგში. ამჟამად მარიჯანი ოცამდე წიგნის ავტორია. გარდა ამისა, მას თარგმნილი აქვს თითქმის ამდენივე ნაწარმოები (ზოგიერთი მათგანი გრიმანისგან არაა). მათ შორის აღსანიშნავია „სავარჯიშო“ კ. შოლიერისა, „ზღაპარი სიმართლეს“ მ. ალიგერისა, „შინა“ კ. ჩუკოვსკისა, „სამი გოჭი“ ს. მიხაილოვისა და სხვ.) მ. გრიმანისგან ერთად

წინება“, ბ. შოუს „წმინდა ქალწული“, პოგოდინის „თოფიანი კაცი“, კ. სამიონოვის „მელოდ“ და სხვ.

„ისევე, როგორც ბუნებაში ყოველი ადამიანის ცხოვრებაშიაც ოთხი დრო გამოიყოფა“, აღნიშნავს მწერალი ქალი ავტობიოგრაფიაში და თავის ცხოვრების ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად მიიჩნევს ე. წ. „შემოდგომას“, შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდს. მარიჯანის ცხოვრების ეს პერიოდი დაემთხვა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და აღმავლობის წლებს. ამიტომ საეხებით ბუნებრივია, რომ ამ პერიოდში მწერლის შემოქმედება გაღრმავდა იდეურად, გამარჯვებულად და თემატიკურად, გამდიდრდა ენობრივად.

პოეტის შემოქმედებითი გზის დასახასიათებლად საინტერესოა ლექსი „თემა, რომელიც ძლიერ მაწუხებს“.

თუ ძველი ლექსი უკვე დაობლდა და გახრწნის სენი გადაკარავს ყოველს, რას დავეტოვებ ახალ თაობას? რა გავაკეთებ? ან რისთვის მიველ?

რად უნდა ვიყო ღონემიხდილი, როდესაც გული ლაღობს და სტრობს: ან განახლება, ანდა სიკვდილი! სხვა არჩევანი აღარ არსებობს.

თავის ახალ ლექსებში მარიჯანი გულწრფელად უმღერის სამშობლოს დედაქალაქს, ელგაბარესის დედაპლანარს, ჩვენი ქვეყნის გმირ დამცველებს.

ჩვენი სამშობლო სულ სხვაა, ვერაფერს ვერ შევადარებთ, მშობლიურ მიწის სიყვარულს გულით და დროშით ვატარებთ —
წყის პოეტი.

ნაყოფიერ შემოქმედებითს შრომას ეწეოდა მწერალი ქალი დიდი სამშობლო ომის პერიოდში, როცა ჩვენი მწერლების კალამი ხიშტთან იყო განაზრებული და აღატოთოვანებდა ფაშისტთა და-

მარიჯანი ფეხორია ფერთვე მრავალი საინტერესო ლირიკული ლექსისა, რომელთაგან ზოგიერთი საქმოდ ცნობილია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საკუთარი ადგილი ქართულ მწერლობაში მარიჯანმა მოპოვა როგორც საბავშვო მწერალმა, პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ მხრივ წარმოადგენდა საბავშვო პოემა „ნელი ცირკში“, რომელიც რამდენჯერმე იქნა გამოცემული და უმცროსი ასაკის ბავშვთა ერთ-ერთ საყვარელ წიგნად იქცა. ამ პოემაში მწერალი სადაღ, მიშინდევლად მოუთხოვს ნორჩ მეთხველებს, თუ როგორ წაუყვანეს პატარა ნელი ცირკში, რა ნახა იქ, რა მოეწონა, რამ გააკვირვა. გზადღაგზა, საცირკო სახანაბნათა აღწერას მწერალი ოსტატურად იყენებს ბავშვებზე მორალური ზემოქმედებისათვის.

მაგრამ მწერლის ტური კვლავ მშვიდი და თბრობითია, მოკლებულია მშრალ დიდაქტიზმსა და მორალურებას. აი, მგაღიოთად, ცირკის არენაზე გამოიყვანეთ გაწერთილი ცხენი, რომელიც სხვადასხვა ციფრს ცნობს. და აქ მწერალი თითქოს სასხვათაშორისოდ შეინიშნავს:

ხალხი ციფრებს ასახელებს,
ცხენიც იღებს სათითაოდ.
ყველა დედა შვილს ახელებს
ცხენს შენა გჯგოთაო.

„ნელი ცირკში“ პირველად გამოქვეყნდა 1926 წელს. მომდევნო წლებში მას მოჰყვა „ჩემი წიგნი“ და „პატარა მშენებლები“, დაწერილი ხინო ნაკაშიძესთან ერთად. მსოფლიან საბავშვო მწერალთან, ხინო ნაკაშიძესთან მუშაობამ უსათუოდ დიდი და კეთილისმყოფელი კვალი დატოვა მარიჯანის, როგორც საბავშვო მწერლის, ჩამოყალიბებისა და წინსვლის საქმეში.

1933 წელს მარიჯანი აქვეყნებს მოთხრობას „ზურა ატმის ქალაქში“ მართალია, მოთხრობის ზოგიერთი მომენტი არ არის სათანადოდ მოტივირებული და თხრობაც ალაგ-ალაგ სქემატურია, მაგრამ თავის დროზე ეს მოთხრობა ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში, რამდენადაც ეს იყო წარმოების თემაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი ნაწარმოები ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაში. მწერალმა ამ მოთხრობაში გააცნო ბავშვებს გორის საკონსერვო ქარხნის მუშაობა, მოუთხრო, თუ როგორ ჭებანა ხალხს დაკონსერვება, გვიჩვენა ქარხნის კოლექტივას ზრუნვა ბავშვებზე.

1936 წელს მარიჯანმა გამოცემა პატარა წიგნი „ცხელი ქვეყნის მცენარეები“, რომელშიაც მოკლე, რამდენიმე სტრიქონიანი ლექსებით დახასიათებულია სხვადასხვა ტროპიკული მცენარე. ითიოდე წლის შემდეგ მას მოჰყვა საბავშვო ლექსების კრებული „პარაშუტი“. ამ კრებულში შეტანილი მრავალ ლექსს იპყრობს ყურადღებას ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნით, ცოცხალი იუმორით, მიშინდევლი ენით. ასეთებია, სახელ-

დობრ, „პარაშუტი“, ჰერობლანიტი, „ჩემი ცხენი“, „ახა ჩემი რა ბრალდებუ ქვეყნს მხებოდების დღე“ და სხვა. ეს ლექსებიც გამოქვეყნდა სკოლაშდელი ასაკის ბავშვებისათვის.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს მარიჯანი, როგორც საბავშვო პროზაიკოსი. მას შემდეგ, რაც გამოიცა ზემოდასახელებული მოთხრობა „ზურა ატმის ქალაქში“, მარიჯანი წერს ვრცელ მოთხრობას „ბედნიერი თაობა“, რომელიც აგებულია პიონერული ცხოვრების თემაზე და აგვიწერს, კერძოდ, პიონერულ ბანაკში გატარებულ მზიარულ ზაფხულის დღეებს. სულ უკანასკნელ ხანებში მარიჯანი მუშაობს აგრეთვე მოხალხი ნაწარმოებზე სახელსწრის სასწავლებლის მოსწავლეთა ცხოვრებიდან. მოთხრობის სახელწოდებაა „გელა“. ამ მოთხრობის პირველი წიგნი რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა და ფართო გამოხმაურება პოვა სახელსწრის სასწავლებლებს აღსაზრდელთა შორის.

„გელა“ და „ბედნიერი თაობა“ საშუალო და უფროსი ასაკის მეთხველებისათვის არის გათვალისწინებული. დაახლოებით ისეთივე დანიშნულებისაა მოთხრობები „კეთილი გული“, „მფრინავის გოგონა“, „ახალწლის დამეს“, „გრიშეტა“, „დაირა“ „ადიდებას სავარძელი“, და სხვანი, რომლებიც „კეთილი გულის“ სათაურით ცალკე წიგნად არის გამოცემული. ამ მოთხრობების უმეტესობა დაწერილია დიდი სამამულო ომის წლებში და უშუალოდ ეხება სამამულო ომს. მათ შორის აღსანიშნავია, მგაღიოთად, „მფრინავის გოგონა“, რომელშიც ნაჩვენებია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშრომელი კავშირი — ურღვევი მეგობრობა რუსთა და ქართველ ხალხებს შორის. სამამულო ომის მძიმე დღეებში მფრინავი აღქმის ველუზნიაკს ფაშისტების ტყვიით დაედება პურის როგში წასული მუდღღე, ხოლო პატარა გოგონა — სვეტლანა კითხვა-კითხვით ძლივს იპოვნი დანგრეულ ქალაქში, რადგან საქართველოში დედალებით მოდიოდა შვილაც იქეთ წამოიყვანა. პატარა ოქროსფერთმებიანი სვეტლანა ჩველ ბავშვთა სახლში დატოვა, მაშინ, თვითონ კი პირისსხლანანი მტრების გასაყლტად წავიდა ფრონტზე... საქართველოში მეორე სამშობლო იპოვნა რუსში გოგონამ. ჩვილბავშვთა სახლის დირექტორი სათნო და გულისხმიერი პროფესორი ქალი, მისი თანამეგობრები მომღღელე ქალები დედასავით უვლიან პატარა სვეტლანას, რომელიც მძიმედ ვახლება ავად. დღედაღამ არ შორდებიოდნენ გვერდიდან მომღღლეები სვეტლანას და ავი ნაყოფიერ გამოიღო მათმა მხრენეულობამ: გოგონამ მალე მოიკეთა და პავრის გამოსაცდელად წყნეთში გაგზავნეს.

მწერალი დამაგვირებლად აღწერს წყნეთელი მოზუცია კოლქმარის ფეფოსა და გიგლას მხრენეულობას პატარა სვეტლანაზე, რომელმაც შევიღვივთ შეიყვარა მათ თავი.



დამთავრდა ომი. აღექსი ყელეზნიაკოვი ორდენებით მკერდღამშენებულა ჩამოვიდა საქართველოში შვილის წასაყენად... ყველას სწყინდა საყვარელ გოგონასთან დამორება, განსაკუთრებით კი პატარებს. არც სვეტლანას ეთმობოდა ძვირფასი აღმზრდელების იმ საზღის დატოვება, სადაც ესოდენი სითბო, აღერსი, და მზრუნველობა არ მოუკლიათ რუსი გოგონასათვის.

ასევე საინტერესო მოთხრობებია „გრიშეტკა“ „ღამრა“ და სხვ. დასასრულს, მარიჯანის საბავშვო ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოფოს უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის დაწერილი მოთხრობების ორი წიგნი „მამიდა თეოსს მარანი“ და „მზოური ქვეყნის ბავშვები“.

ჩვენი აზრით, „მამიდა თეოსს მარანი“ გამიზნულია ძირითადად ქალაქელი ბავშვებისათვის რომელიც შედარებით ნაკლებად იცნობს სოფლის ცხოვრებას, მარანსა და საყუწნაოს, იქ დაეკლ საოჯახო ნოეთებს. მწერალი ყოველივე ამას ოსტატურად აცნობს ნორჩ მკითხველს. მოთხრობას ალგორიული სახე აქვს. აქ სხვადასხვა საოჯახო ნოეთი დავობს ერთმანეთს. ღირსება-დანიშნულებათა შესახებ და ამით პატარა მკითხველს საშუალება ეძლევა კარგად გაიცნოს ისინი. ამ შემეცნებითს მხარესთან ერთად მოთხრობას აღმზრდელობით — დადაქტერული დანიშნულება აქვს, მასში დავობილია ბავშობა და მკვებარობა, თავის თავის მალა დაყენებისაყენ სწრაფვა, მატყუარობა. ყოველივე ეს ორგანულადაა შერწყმული მოთხრობის მხატვრულ ქსოვილში.

ასეთივე ღირსებებით ხასიათდება მოთხრობები, რომლებიც შეტანილია ზემოდსასხვებულ მეორე წიგნში — „მზოური ქვეყნის ბავშვები“. აქ მოთავსებულია სულ პატარა მოთხრობები, რომლებშიაც მწერალი ახერხებს დასვენს მნიშვნელოვანი საკითხები, ასწავლის ბავშვებს ზრდილობიანი ქვეყა, პატიოსნება, სიმატლის სიყვარული და სხვა. მორალი ამ მოთხრობებში არსად არაა მშრალი და მომამბურებელი. პატარებს თვითონვე შეუძლიათ გააცეთონ სათანადო დასკვნები ამა თუ იმ მოთხრობის წყკითხვისა თუ მოსმენის შედეგად. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ მოთხრობებში ჩართულია მამვილი იუმორი, რაც ასე ძალიან უყვართ ბავშვებს და მოთხრობის შინაარსსაც საშუალოდ აღბეჭდავს მათ გონებაში.

პატარა ეხტანვს ძალიან უნდოდა პაპასთან ერთად ესადილა. მაგრამ პაპა მუდამ უარს ეუბნებოდა: „ჯერ შენთვის აღრეა უფროსებთან სადლის კამა, როცა წვერულეშინი იქნები, მაშინ შეე შენთან ერთად ვისადილებ და ღვინოსაც ერთად დავლევთ“.

თრმე წვერულეშინე ყოფილა სკმეო, იფიქრა ბავშვმა. მეორე დღეს თოქლის პაპას თერთწვერულეშინი ნიღებით პირდაშეწენებული დარბაისლრად მიუჯდა მავიდას. პაპამ სუფრასე მოიწვია „პერიკაცი“, მაგრამ შეხეთ უბედობას — ნიღები უშლიდა ზელს, და ევრაფრით ვერ ისამოვნა პატარა ეშმაკმა.

ნიკოს დეიდა ნინომ უამბო, თუ როგორ მოანდომა მელია კუდარმელიამ ჩოორას ბარტყების გადასასვლა. როდესაც დეიდამ თქვა ჩიტმა ჩოორამ აიღო და ერთი ბარტიყი გადაუგდო მელიას, პატარა ნიკოს სიბრაზისაგან აღმურია მივიღო სახეზე და აცრემლებულმა წამოიძაბა.

„რად მინდა მავისთანა ზღაპარი? აღარ მიაშბო! ევ როგორი დედა ყოფილა? მელა ჯერ ხეზე არ ასულა, არც ხე მოუქრია და ჩიტმა თავისი შვილი შესაშვლად გადაუგდო. რატომ არ მოცადა, რატომ? მელა როგორ მოქრიადა ზესო!“

ამ პატარა მოთხრობაში მწერალმა შესანიშნავად დავიხატა პატარა ბავშვის ფაქიზი სული და ბუნება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამ მოთხრობამ მისცა უსათოოდ ბიჭვი ჩვენს პედაგოგებსა და ფოლკლორის სპეციალისტებს, გადაეკეთებინათ ზემოხსენებული ცნობილი ზღაპარი „ჩიტი და მელა“. ახლა ამ ზღაპარში მნიშვნელოვანი კორექტივი შეტანილი და ჩიტი ბარტყს თავისი ნებით როდი გადაუგდებს მელიას.

ამ წერილში შეუძლებელია და არც არის საჭირო აზრეთუ დახასიათება, ჩამოთვლაც კი მარიჯანის ყველა იმ ნაწარმოებისა, რომლებიც ამა თუ იმ მხრივ იმსახურებენ ყურადღებას. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ ხანდაზმული მწერალი ქალი ამჟამადაც შემოქმედებითი ენერჯიას არის აღსაყვ და მისი ცხოვრების ამჟამინდელი პერიოდი არანაკლებ ნაყოფიერია წინანდლებზე.

მარიჯანი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. იგი რამდენჯერმე იქნა არჩეული თბილისის ქალაქის საბჭოს დეპუტატად.

მარიჯანი წლებს განწავლობაში იყო მწერალითა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს თავმჯდომარე, ზოლო ამჟამად მუშაობს ლიტერატურულ კონსულტანტად. იგი ყოველთვის სიხარულით ზედება მწერალთა ახალ კადრების გამოჩენას საბავშვო ლიტერატურაში; რჩევა-დარიგებით, წახალისებით ზელს უწყობს და ეხმარება მათ.

როცა ამ მხნე, ენერგიულ მწერალ ქალს უყურებთ, არც კი გჯერათ, რომ მისი შემოქმედებითი მუშაობის 40 წლისათვისა. ჩვენ გვიწოდებ სურვილი მას კვლავაც მხნეობა და ჯანმრთელობა კიდევ უფრო სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად.



ვალერიან გაფრინდაშვილი

(რჩეული ლექსების გამოცემის გამო)

ვალერიან გაფრინდაშვილი დაიბადა 1889 წელს ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1914 წელს დაასრულა.

ლექსების წერა ვ. გაფრინდაშვილმა დაიწყო ჯერ კიდევ გიმნაზიაში უოფნის დროს. ადრე აგი ლექსებს წერდა რუსულ ენაზე. მისი პირველი ორიგინალური და ნათარგმნი ლექსები რუსულად ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაიბეჭდა მოსკოვის „საარშაბათო გაზეთში“. ცოტა მოგვიანებით ვ. გაფრინდაშვილის ლექსები დაბეჭდა ს. გაროდვეცის ექრნალ „Ars“-ში. ქართულად ლექსების წერა მან 1915 წელს დაიწყო.

1919 წელს ქუთაისში გამოვიდა ვ. გაფრინდაშვილის ლექსების პირველი წიგნი — „დაისები“. ამავე დღს, იგი იყო ერთ-ერთი მეთაურობიანი ქართველი სიმბოლისტების იმ ჯგუფისა, რომელიც გაერთიანებული იყო ექრნალ „ციხფერი ყანწების“ გარშემო. გარდა ლექსებისა, ვ. გაფრინდაშვილი კალამს ეკუთვნის თეორიული წერილები სიმბოლიზმის შესახებ. მისი რედაქტორობით ჯერ ქუთაისში და შემდეგ თბილისში გამოდიოდა ქართველი სიმბოლისტების ექრნალი „მეოცნებე ნაიმორები“.

საგულისხმოა ვ. გაფრინდაშვილის კრიტიკული წერილები შოთა რუსთაველზე, დავით გურამიშვილზე, ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვ. გაფრინდაშვილმა თარგმნა დასაყვამთ ევროპული და რუსული პოეზიის მრავალი წარმომადგენლის — გოეთეს, შელის, ჰაინეს, ჰიუგოს, პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ედგარ პოს, სიუღა პრიუდომის, ბლოკის, ბრატსოვის და სხვათა ნაწარმოებები.

ვ. გაფრინდაშვილის ადრინდელ შემოქმედებაში მოკლელო იყო ყველა ის მთავარი მოტივი, რაც ახასიათებს საერთოდ სიმბოლიზმს: უარყოფა სინამდვილისა, ოცნება „მიღმა“ ქვეყნის შესახებ. ნამდვილ სიმბოლისტურ ნაწარმოებად მისთვის ითვლებოდა ისეთი ნაწარმოებები, რომელშიაც გარეგნულად ათვისებული შინაარსი შეიცავდა სხვა, უცნობ შინაარსს, რომელიც გასაგები და მისაწვდომი იყო მხოლოდ „რჩეულ-

თაოვის“. ვ. გაფრინდაშვილის მიერ გამოხატული მოვლენები დანისლული, გაბუნდოვანებული იყო, მათში გამჭრალი იყო აღმომიანებისა და საგნების ნათელი გამოხატულება.

ვ. გაფრინდაშვილის წარმოდგენით, თითოეულ საგანსა და მოვლენას თავისი ორეული გაანაია, თავისი მეორე სახე აქვს, როგორც სარკვეში. ეს მეორე საშუარო, შექმნილი პოეტის მიერ, ფანტასმავორიული სახეებით დასახლებული, თითქმის უფრო ნამდვილი და განცდილია:

ვინ არის სარკის უფსკრულიდან რომ მევლინება,
ვისი თვალები ემუქრება ჩემს ფერმრთალ თვალებს,
ნუთუ მიცქერის საყუთარი ჩემი ჩვენება?
ნუთუ ჩემს გულში მისტიერა შიში იალბს?
(„მე — სარკვეში“)

პოეტს ხშირად დღელიც კი აქვს გამართული თავის ორეულთან „იარალით“, „დამბანით“, „ღანით“, „სამარაბელით“, „მთარახით“. ორეულები მას თვითმოქვლულობს, დაბრზობასაც კი უჩვენებს „როცა სარკის წინ მე ვიკეთებ ყვლსახვეც ცბიერს, მირჩევს სარკიდან ორეული თავის დაბრზობას“.

ვ. გაფრინდაშვილმა შექმნა გამოგონილი ხელოვნური სამყარო. ეპოსიდან, დრამიდან ლირიკაში მან გადაიყვანა მთელი წყება სახეებისა. მის პოეზიაში გამოჩნდნენ სიმბოლისტური იერით გაშუქებული ოფელიას, კოლომბინას, კორდელას და მამულტის სახეები. ამ სახეებს უერთდებოდნენ ექრარ და ნერეალის, ტომის ჩატერტონის, ივანე შინაბლის, მამია გურიელის, გრამა აბაშიძის გამისტურებული სახეები. შავრამ როგორადაც არ ცდილობდა ვ. გაფრინდაშვილი მილიანად გადასულიყო უმზნო გამოგონებათა სამყაროში, სინამდვილე მინც იჭრებოდა მას შეგნებაში და ლაპარაკობდა თავისი ბუნებრივი ხშით.

ლირიკული „მე“ ვ. გაფრინდაშვილის ამ ლექსებში უმთავრესად ერთნაირი განწყობილებებია და ნიშნების მატარებელია. მრავალ მის ლექსში გაისმოდა სინამდვილის უარყოფა და

აწმენა იმ „შიღმა ქვეყნითი“ ცხოვრების არსებობისა, რომელიც მისი წარმოდგენით, უფრო რეალური და იდეალურია. ლანდები, რომლებიც პოეტისათვის ძალზე მახლობელი და მშობლიური იყვნენ, მიმართავენ მას: „შემოგვიერთი, ახლობელო, გიცხადებთ მშობას“, უარსავე რეალური ცხოვრება, სინამდვილე, მზის სინათლე და ყოველივეს გაიგებს მაშინო. სინამდვილის უარყოფა განსაკუთრებული სიმძაფრით აქვს მოცემული ვ. გაფრინდაშვილის ლექსში, რომელსაც ეწოდება „Agonie“. პოეტს ამქვეყნიურთ ყოფნა თეატრალურ სანახაობად ეჩვენება. მისი აზრით, ადამიანები მხოლოდ ტიკინებსა და დედოფლებს წარმოადგენენ. ეს იყო ღრმა პესიმიზმის, დაცემულობის გამოხატულება.

ვ. გაფრინდაშვილი ქმნის ციკლს ლექსებისას დაისების შესახებ. ბუნების მიმოქცევაში ჩას ყველაზე მეტად იტაცება დაბინძურების, შეღამების დრო. მოვლენათა სახეები და სურათები განსაკუთრებით ამ დროს იღებდნენ ფანტასმაგორულ ხასიათს.

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში გამომდგენებული იყო, მარტოობის, შეუხარებისა და განწირულების გრძობა. პოეტი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ „ვარ მარტოობის ჯვარზე გაკრული, მხოლოდ ღამეა ჩემი ტანითი“, „მე წყვედი-აღში, ყველგან კრული, მივდივარ როგორც ელეაზარი“. ვ. გაფრინდაშვილი უარყოფდა ყოველსავე ნამდვილს, უშუალოს, ბუნებრივს. სამაგიეროდ, მის მოსწონდა ყველაფერი ხელოვნური, გამოგონილი. მისი წარმოდგენით, ყოველივე ხელოვნური იძლევა საბაბს ოცნებისათვის, მასში მტრი მისტიკა და გაურკვევლობაა. ამიტომ, როდესაც მან ქარში იპოვა ხელთათმანი, შეიფარა ის ნამდვილ ხელზე უფრო მეტად იმპრომ, რომ მასშია თითქოს დაჯარული სული უცნობი ქალწულისა. პოეტი მთელი განცდით აყალიბებს მისტიკურ წარმოდგენას ქალის ავადმყოფი ხელის შესახებ:

მოდის ღამეში თეთრი ქალი ავადმყოფ ხელით,
და მევედრება რომ ჩავაცვა მას
ხელთთმანი...
ღამის მელანში გათენებას ერთად მოველით.
სტიკია თითები და ლანდურად ერხევა ტანი...
(„ხელის ორეული“)

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში ქალი და სიყვარული დაშორებულია რეალობას და საცხებით ვადუფინილია მისტიკაში. გამისტორებელი ქალის სახე პოეტს ევლინება განსაკუთრებით წვიმის დროს: „მისი ფეხის მას მაგონდება მე წვიმის ხმაზე, მის კაბის შრიალს მე მაგონებს ფოთოლოდ შრიალი“...

ვ. გაფრინდაშვილი უმოთხრესად „აზროვნების“ პოეტი. ამ მოვლენას მკითხველი ხედავს

იმ ლექსებშიაც კი, რომლებშიაც იგი ცდილობს უფრო გრძობით გამოვიდეს. მისი რეველუციამდელი ლექსების უმეტესობისათვის დამახასიათებელია განუყენებელი კერძები: მისი ლაპარაკში „ციცია“, არ მომდინარეობს უშუალო გრძობისა და წარმოდგენებისაგან.

რეველუციის შემდეგ ვ. გაფრინდაშვილმა შეძლო თავისი სიმბოლისტური წარუღის დიქლევა. „ციხფერი ყანწალების“ ჯგუფიდან იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შეიკნო დეკადენტური პოეზიის დღენაკულობა და გულწრფელად დაიწყო ბრძოლა რეალისტური ლიტერატურის პოზიციებზე განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ქვეყნის წარმატებებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს ვ. გაფრინდაშვილზე, გაათავისუფლეს მისი პოეზია მისტიციზმისა და ესთეტიკის ტყვეობიდან და დაუკვირეს იგი ახალ ცხოვრებას.

ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელსაც ვ. გაფრინდაშვილმა ახალ ლექსებში ყურადღება მიაქცია, ეს იყო პოეტისა და თანამედროვე ცხოვრების ურთიერთობა. განახლებულ სინამდვილეში მისთვის პოეზია უკვე აღარ წარმოადგენდა თვითმიზანს. იგი ძველი შეგნების მატარებელი მგონებდა ადრეებს ყრუ ბუთოვენს, რომელიც „გროვალს უსმენდა შორით“. მაგრამ საბჭოთა პოეტი სხვა შეგნების მატარებელია, იგი გამოთხოვა „ეკში ხეტიალს“ და მიამურა „მარწის ამბობით“.

პოეტების სიმღერამ იცვალა ბინა,
იგი ბნელ ნისლეებში
აღარ იფანტება,
ის ახლა ბრწყინავს,
როგორც განათიადის ანთება.
არა ვართ ეპოქის
ჩვენ მავურებელი,
არ არის უძლეოთ კალამი ჩვენი.
ჩვენ უნდა იყუთ გამოაგონებელი,
მივწვევთ მთელ ქვეყანას მახვილი სმენით.
(„ანტილოგია და ბეტონი“).

ახალ ცხოვრებაში გმირი „ყოველთვის მტრუ პოეტზე“, მაგრამ ჩვენც უნდა „დავიმსახუროთ გმირის წოდებას, რომ... ან ვმოიღუთ ბედზე“, პოეტს უთვალ უნდა ჰქონდეს „ნაღალი მიზანი“, ვ. გაფრინდაშვილმა კარგად იცის, რომ ახალ, მდიდარ შინაარსს, ცხოვრების სიმართლეს ესაჭიროება გამოხატვა შესატყვისი მხატვრული ისტატობით. პოეტი ლექსში უნდა აქსოვდეს მთელ თავის სულიერ არსებას, ადამიანურ მეობას. ამიტომ არის, რომ იგი გულწრფელად ლაპარაკობს: ვით სურამის ციხეს დაეტანა ზურაბი, მეც ისე დავეტანებო ტეშმარტ ლექსს, რომელიც სიმართლით გამოხატავს საზოგადოებრივ ეთარებას, ადამიანებსა და ბუნებასო. „მე მიწა ვიყო შემოქმედი ისეთ სტრიქონის, რომ გამოიტა-

ცოს ის სიღრმეში ეღვის სისწრაფით“ („ერთი სტრიქონი“). ეს სიტყვები არ უოფილა მარტოოდენ პოეტური დეკლარაცია, მას ღრმა შინაარსი აქვს:

კვალ და კვალ მივდეგ მე ახალ სახეს,
ტარიღლივით გაჭარბო ვულად,
ღერჯი ფრინველი სიზმარში ვნახე
და ის გამიხდა მე სანატრულად.
(პოეტი მონადირე“)

თავის სიციცხლე ვ. გაფრინდაშვილმა განულო „ერთიანი“ სიტყვის ძიებაში. მისი უკანაკუნელი ლექსიც („1941 წლის 4 იანვარი“) ამ „ერთიანი“ სიტყვის ძიების აზრით იყო გამსჭვალული. როგორც ამბობს პოეტი, მთელი მისი შემოქმედება შეიცავს ბრძოლის ქვეშაობით მგონსობის სახელის დამკვიდრებისათვის.

ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი ბუნების სურათები, მისი თქმით, ბუნება არის „პოეტების ოცნება წმინდა“. ამიტომ იგი რომანტიკული უშეაღბობით ესაღბუნება ბუნებას, თითოეულ მის ელემენტს. „თათქოს ბუნება მე შევითვისე და აღარ ცხოვრავს იგი უნებურ“ („მეინც“). ვ. გაფრინდაშვილი კარგად ახერხებს გამობატვას სიტყვაში ბუნების ფერებისა, ბგერებისა და ნიშნებისა. მისი „ხილთა ქება“ წარმოადგენს მხატვრის თვალთ დანახულსა და დახატულ სურათს სხვადასხვა ხილისა. ანალოგიურია „წიფობელა“ და „ბროწეულის ტყე“, რომლებშიც, ფლამანდიელი მხატვრების მსგავსად, მსუვე ფერებით, ხელშესახებობათ დახატული რეალისტური სურათებია განხორციელებული.

ვ. გაფრინდაშვილი ბუნებას უფრო მხედველობითი ნიშნებით ითვისებს, არ ეძიებს მისში ფილოსოფიურ საწყისებს. რა სადა და გულწრფელად გვესაუბრება პოეტი ჯეჯილისადმი თავისი ხიყვარულის შესახებ, მას სწყურია ნახოს პურის თაველი და იზანოს ჯეჯილის ზღვაში:

ღიღივებს, როგორც ალაზნის ველი,
ოქროდ ჭკეული შწიფე ჯეჯილი.
მე მინდა ვიყო აქ ფეხშიშველი.
გულგაღილი, ქედროვჯაგრილი.
შვენიერია პურის მკა სოფლად,
როს ეცემიან ძნება შვევლებად...
(„პოემიდან“ პური და სიტყვა“)

ბუნებას სურათებს პოეტისათვის არა აქვს თავისთავადი, თვითმზნური მნიშვნელობა. ბუნების მოვლენებს იგი ითვისებს ცხოვრებისათვის, აღამიანებისათვის სარგებლიანობის თვალსაზრისით.

ვ. გაფრინდაშვილის რეალიზმთან დაახლოებაზე მიუთითებს მისი ის ლექსები, რომლებიც პოდღნილია ქართული, რუსული და უცხოური

კლასიკური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლებისადმი. ვ. გაფრინდაშვილის რეველუციის დროინდელ ლექსებში კლასიკურ ლიტერატურის დიდი სახეები ზეწმუნებულნი მოხსენებულნი და დახასიათებულნი. სკამარისაა დავისახელოთ მისი ლექსები, რომლებშიც სიუბარია რუსთაველზე, ლეჟსაირზე, ნავაიზე, პუშკინზე, ბარათაშვილზე, სტენდალზე, ღერჯიღოვზე, შეგენკოვზე, ი. პავლევაძეზე, ა. წერეთელზე, ნეკრასოვზე, ვაეა-ფშეველზე, პონკაპესა-და ნინოშვილზე. ვ. გაფრინდაშვილი ამ გამოჩენილ მოღვაწეებში, უპირველეს ყოვლისა, ეძიებსა და აღნიშნავს ხალხურ საწყისებს, მოწინავე იდეებს და პემაინიზმს. ამ შემოქმედთა სიტყვა მას ესახება უკნობად, ისეთ ძალად, რომელიც მარად ცხოვრების ხალხის გულში. ეს შეერლები ჩვენს პოეტს მიაჩნია ხალხთა მეგობრობის, დიად მოციქულებად, რომელთა სიტყვას დღესაც დიდი ძალა და გავლენა აქვს.

მნიშვნელოვანი თემა ვ. გაფრინდაშვილის პოეზიაში არის რეველუციური ბრძოლები და მათი მონაწილეები, თავის ლექსებში იგი აციცხლებს სახეებს გამოჩენილი მებრძოლებისა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

ახალ საქართველოს მიუძღვნა ვ. გაფრინდაშვილმა თავისი საუკეთესო ლექსები — „ჩემ: ქვეყანა“, „აშქსი“, „ინათი და უორათი“, „ფერო“. ამ ნაწარმოებებში მაღალ პატრიოტულ შეგნებასთან ერთად დახასიათებულა ის ძვირფასი, რაც რეველუციამ მოუტანა ჩვენს ხალხს.

შთებს ზურმუხტოვანს ცეცხლი ევდება
და ბრწყინავს მხარე მუდამ მზინა,
ფეროსთან ერთად იქ იქედება
გვირი — ახალი აღამიანი.
(„ფერო“)

ამ ახალ აღამიანებზე ბევრს წერდა ვ. გაფრინდაშვილი თავის ბოლოდროინდელ ლექსებში. მან შეიგნო, რომ პოეზია მხოლოდ მაშინ არის ცხოველყოფელი, როდესაც იგი სიმართლით გამობატავს ცხოვრებას, აღამიანებს, იმ ახალს, რაც იქმნება, ყალიბდება თანამედროვეობაში.

წინათ ვ. გაფრინდაშვილი თავის ლექსებს ამძიებდა სტენტიტურ-თვითნებურა ასოციაციებით და სახეებით, რაც კი არ უწყობდა ხელს აზრის გახსნას, არამედ ერთგვარად აბუნდოვანებდა ციდეც მას. ახალ ლექსებში პოეტი ქმნის ნათელ, ბუნებრივ და არცთუ ისე ძნელად გასაგებ სახეებს. იგი მიმართავს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც ადეკვატურად, ზუსტად გამობატავენ აზრებს.

...ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ რილკეს, გერმანული ლექსის ამ სრულქმნულსა და ნოვატორის რამდენიმე რუსული ლექსიც აქვს დაწერილი. მან რუსული ენა პასიურად კარგად იცოდა, თავისუფლად მკითხულობდა ორიგინალში პეშკინსა და ტოლსტოის, ნეკრასოვსა და გოგოლს. მის პროზაულ ნაწერებში არაერთხელ ვხვდებით რუსი მწერლების სახელებს, მაგრამ რუსული ენის აქტიური ცოდნა მას, როგორც მისი ლექსებიდან ჩანს, სუსტი ჰქონია. რილკეს რუსულ ლექსებში ბევრი გრამატიკული, სტილისტური და ფულეანარი შეცდომაა. მაგრამ მინც ეს ლექსები საინტერესოა თვით რილკეს პოეზიის სპეციფიკისა და პოეტისათვის ნიშანდობლივი განწყობილების შესაგრძნობად. მევიტან მის ერთერთ რუსულ ლექს:

Родился-бы я простым мужчином,
то жил-бы с большим, просторным
лицом.
в моих чертах не доносил бы я
что думать трудно и чего нельзя
сказать...

И только руки наполнились бы
любью мою и моим терпением. —
Но днем работой-то закрылись бы
Ночь запирала б их молением,
никто кругом не узнал бы кто я.
Я постарел и моя голова
плавала из груди вниз да с телешнем
Как будто мягче, кажется она.
Я понимал, что близко день разлуки
и я открыл как книгу мои руки
и оба клал на щеки, рот и лоб.
Пустыя сниму их, кладу их в гроб.
Но на моем лице узнают внуки
все, что я был., но все-таки не я...
В этих чертах и радости и муки
огромная и сильнее меня...
да это вечное лицо труда.

(მართლწერა და ბუნებრივად უცვლელია შემართუნებული რილკეს)

...საწმენაროდ, ქართულ ენაზე რილკეს მხოლოდ ორი თუ სამი ლექსია თარგმნილი. სასურველია, რომ რუსთაველისა და ბარათაშვილის ქვეყანაში უკეთ იცნობდნენ უნატიფეს ლირიკოსსა და სალექო პროზის ავტორს რაინერ მარია რილკეს.



თბილისის ქუჩების სახელწოდებანი

საქართველოს დედაქალაქი თბილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია. მისი ციხე-სიმაგრის კედლები, უბნები, ქუჩები, მტკვრის სანაპიროები მოწმეა ქართველი ხალხის გვირობისა, ხალხისა, რომელიც საუკუნეების მანძილზე თავგანწირულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობისათვის შემოსეული მტრის წინააღმდეგ.

თბილისზე ბევრი რამ თქმულა, ბევრი დაწერილა, თბილისისადმი მიძღვნილია ლექსებმა, ნარკვევებმა, წერილებმა ამ სავაჭრო ქალაქის სახელი მსოფლიოს ამცენს.

თბილისის ყოველმხრივი შესწავლა მკვლევარის საბატიო თემას წარმოადგენს. ამ წერილში კი გვიჩვენებს შევებით მხოლოდ ერთ საკითხს; ეს არის თბილისის ქუჩების სახელწოდებათა წარმოშობა.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა სახელწოდება ჰქონდა ძველი თბილისის ქუჩებს, მაგრამ ერთი რამ უდავოა: თბილისი ვითარდებოდა და ვითარდება უბნებად, ძველი დროის ქალაქისათვის, მოსახლეობის სიმცირის გამო, საქარისი იქნებოდა მხოლოდ უბნების სახელწოდება: მავალითაჲ, აბანოების, ხარუჭების, კლდის, ისანის (ავღაბარის), ნავთილის, ჩეღერეთის, კუკის, დიდუბის, საბურთალოს, ვერის, ვაკის უბნები, ვარკუბანი, ვარდისუბანი და სხვ. ზოგიერთ უბანში, წარმოების ან ვაჭრობის სპეციფიკურობის მიხედვით, გამოიყოფოდა: თოქმარების, ოქრომკედლების, ბაზაუბების, მღებავების, სირაჯების ქუჩები. ამ გარემოებასაც სათანადო მნიშვნელობა აქვს ქუჩების სახელწოდების წარმოშობის შესწავლის პროცესში. უბნებში იყო და არის ისტორიული ძეგლები, დაწესებულებანი, ბაღები, ხეებები, რომელთა სახელწოდებები გადადიოდა ქუჩების, მოედნების სახელწოდებად. ასე, მავალითაჲ, ნარიყალის ციხე, სიონის ტაძარი, ანისხატის ეკლესია, მეტეხის ციხე, სასამართლო, ხაზინა, აბანო, ბაზარი, სასაფლაო და ა. შ.

თბილისიდან გადაიღა გზები ქართლისაკენ, კახეთისაკენ, თიანეთისაკენ, გარეუბნის სოფლებსაკენ (მარტყოფი, ნორჩი, ღილა, თუღათი, კოჯორი, დილომი, ავჭალა, საგურამო), ბუნებრივია, რომ ამ გზებს, როცა ისინი ქუჩებად გადადიოდნენ ხოლმე, — რჩებოდა ზემოდასახლებული რაიონებისა და სოფლების სახელწოდებები.

აქედან ირკვევა, რომ ყველა ქუჩას თავისი ისტორია ჰქონია. ჩანს, რომ ქუჩაე ჩნდება, ცოცხ-

ლობს, სახეს იცვლის, შემდეგში შეიძლება სულა გაქრეს.

დიდი ქალაქისათვის ქუჩების სახელწოდებას და შენობების ნუმერაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა და დაწესებულებათა ერთ-ერთ შორის კავშირისათვის.

თბილისში სხვადასხვა დროს ბღებოდა ქუჩებისათვის სახელწოდებათა დარქმევა, კორექტირება და, ცხადია, ქალაქის ზრდასთან ერთად შემდეგშიც ექნება ადგილი ქუჩების, მოედნების, ხიდებისა და ბაღებისათვის ახალ სახელწოდებათა მიკეთვებას.

თბილისის ქუჩების რაოდენობა და მათი სახელწოდება ბევრჯერ იყო შესწავლის საგანი, მაგალითად, ა. რაგოზინს მოყავს ცნობა, რომ ქალაქი იყოფა, სამ ნაწილად. ცენია: ვარკუბანი, ძველი ქალაქი, ავღაბარ-კუკია. „ამ აღვლებში 1845 წელს ითვლებოდა 58 ქუჩა, ამაჲთა 1851 წელს კი არის სამოცდაშვიდი ქუჩა და თერთმეტი მოედანიო“, — წერდა ის. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათგანის სახელი და ისიც გაიხსენოთ, საიდან მიაღეს მათ თავისი სახელწოდებანი.

ჭავჭავაძის ქუჩამ სახელი იქიდან მიიღო, რომ აღქმანდრე ჭავჭავაძე ცხოვრობდა ამ ქუჩაზე. ორბელიანის, ციციანოვის, შერბანის, ბაგრატიონის ქუჩებს იმის გამო, რომ იქ იღვა ამ თვითი სასახლებები. ლაბორატორიის ქუჩას ეს სახელი ეწოდა ქალაქის ლაბორატორიის ამ ქუჩაზე არსებობის გამო. ინსტიტუტისას — ქალთა ინსტიტუტის არსებობის გამო, არსენილისას — არსენალის აგების გამო, სიონის ქუჩას — სიონის ტაძრის აღსანიშნავად, დავითის ქუჩას — დავითის ეკლესიის აღსანიშნავად, აბანოს ქუჩა — აბანოების არსებობის გამო, ბოტანიკურ ქუჩას — ბოტანიკური ბაღის არსებობის გამო, და ა. შ.

მრავალ ქუჩას მიკეთვებულ ქიქონდა სახელწოდება სამხედრო პარკებისა და საზოგადო მოღვაწეების პატივსაცემად.

ამ სახელწოდებათა შესარჩევად ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობდა სპეციალური კომისია, აქ შეიტანდნენ ხოლმე განცხადებას და ამ კომისიის დასტურის შემდეგ ქალაქის თვითმმართველობა თავის გადაწყვეტილებას უდგენდა ქალაქის საბჭოს დასამტკიცებლად. საილუსტრაციოდ ჩვენ მოვიყვანოთ ერთ დოკუმენტს: ილია ჭავჭავაძე დიდად აღიბებდა გამოჩენილი მეცნიერის, ქართველილოგის შაბი ბროსის (1802 —

1880) ნაყოფიერ მეშაობის მან გამოაქვეყნა 270-ზე მეტი შრომა, ბევრ მათგანში აღწერილი იქნა საქართველოსა და სომხეთის ისტორიული წარსული. 1895 წ. თბილისში გამოცემა მარი ბროსეს წიგნი „საქართველოს ისტორია“.

მარი ბროსეს ხსოვნის უკვდავსაყოფად ილია ჭავჭავაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით 1902 წლის მარტში თბილისის თვითმმართველობას მიმართა თხოვნით ქალაქის ერთ-ერთ ქუჩისათვის მარი ბროსეს სახელწოდების მინიჭების შესახებ. ამ დოკუმენტში კითხვობათ:

„ქალაქის თვითმმართველობისათვის უცნობი არ არის, თუ რა უსადაუდებელი ამაგი დასდო განსვენებულმა ისტორიკოსმა და არქეოლოგმა მარი ბროსემ კავკასიისმცოდნეობას თავისი ვრცელი გამოკვლევებით საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ცხოვრებიდან, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიული ცხოვრებიდან, რომლის ლიტერატურული ძეგლები, — „ქართლის ცხოვრების“ სახელით ცნობილი ისტორიული ქრონიკები და ბატონიშვილი ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფია“ — მთლიანად თარგმნა ფრანგულ ენაზე და აღჭურვა ისინი მნიშვნელოვანი კომენტარებით.

მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვაწლის ყურადღებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი სთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი. საზოგადოების თავმჯდომარე — ი. ჭავჭავაძე 1902 წ. 1 მარტი, № 204“.

ამ წინადადების თანახმად, ქალაქის საბჭოს დადგენილმა, წყალსანიღის ქუჩას („კოდოვოზნაია“) ეწოდა მარი ბროსეს ქუჩა.

თბილისის თვითმმართველობამ ქუჩისათვის მარი ბროსეს სახელწოდების მიკეთვნების შესახებ აცნობა მარი ბროსეს შვილს ლ. ბროსეს, რომელიც მეფის რუსეთის გენერალური კონსული იყო ბარსელონში. ლ. ბროსესგან მიღებული იქნა წერილი შემდეგი შინაარსისა:

„მე მქონდა ბედნიერება მიმეღო 28 ივლისის № 2027 მომართვა, რომლითაც თქვენ მოსურვებთ გეცნობებინათ ჩემთვის იმის შესახებ, რომ თბილისის საქალაქო სათათბირომ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შეამდგომლობის 1902 წ. 5 ივნისის განსაზღვრის მიზნით დაადგინა, ყოფილ „კოდოვოზნაია“ ქუჩას თბილისში მიკეთვას აკადემიკოს ბროსეს სახელი, და რომ ეს დადგენილება დამტკიცებული იქნას სამხარეო სამოქალაქო უმაღლესი ხელისუფლების მიერ, მომართვამ № 2027 ვერ მომიწერა ბარსელონში, საიდანაც მე წასული ვიყავი სამხრეთ საფრანგეთში, რითაც იხსენება ჩემი პასუხის დაგვიანება.“

დაღდა ამდღეა რა ჩემი განსვენებული მშობლის ხსოვნისადმი ყურადღების ასეთმა მნიშვნე-

ლოვანმა გამოხატვამ, უმარჩინესად ვთხოვთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეო, კეთილშეშობით და გადასცეთ თბილისის საქალაქო სათათბიროს ჩემ და მთელი ჩვენი ოჯახის სახელით უღრმეს მადლობა.

ახალგაზრდობიდანვე მე მოწამე ვიყავი იმ უსაზღვრო ერთგულებისა, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩემს მშობელს ქართველი ხალხის სიყვარულთა ძეგლების შესწავლის დროს. მან მთელი არსებით შეიყვარა საქართველო და ქართველები, რომლებსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუკავშირა თავისი გონებრივი მისწრაფებანი და შეცნობილი მოღვაწეობანი.

საქართველოსადმი თავისი თანაგრძნობა მან მე გადმოცა და მიანდერძა, და ჩემი ახალგაზრდობის საუცუეთესო მოგონებანი დაკავშირებულია სტუდენტობის მერხზე ქართული ენის, ვადმოყვამათა და ლიტერატურის შესწავლასთან, საქართველოს რჩეული ახალგაზრდობის წარმომადგენლების მეგობრულ დამოკიდებულებასთან, მათთან, ვინც ჩემთან ერთად განათლებას ეძებდა უნივერსიტეტში კურსის გავლისას ს. — პეტერბურგში.

იმ დროიდან საქართველო მედამ იყო ჩემთვის საოცნებო მხარედ, მე ვეუფლებოდი მას სიყვარულით, ისე როგორც სწავლობ მას, რაც ნაწილობრივ გესმის, და აი არ შემიძლია არ ვწუხდებო, რომ გარემოებებმა არ მომიცეს საშუალება მენახა ჭკვეყანა, რომელსაც ახალგაზრდობაში შევიწიე ამდენი ზრუნვა, აზრი და გონებრივი შრომა.

ყოველივე ზემოხსენებულ გამოცდილებათ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფეო, იმის თავდებათ, რომ თბილისის საქალაქო სათათბიროს დადგენილება უფრო გააღრმავებს ჩემს თანაგრძნობას კავკასიისა და საქართველოსადმი და განამტკიცებს ჩემში შეგნებას ქართველი ხალხის პალესოლიკო თვისებებსა და განათლებულ მისწრაფებათა შესახებ, რაც ჩემთვის დიდი ხანია ცნობილია.

მიიღეთ კეთილი სურვილები და აძენეთ თბილისის საქალაქო სათათბიროს ამ ბარათის შინაარსი, მიიღეთ რწმუნება ჩემი ღრმა პატივისცემისა და უაღრესი ერთგულებისა.

რუსეთის სამიწებატორი გენერალურ — კონსული ბარსელონში, „დეისტვიტელნი სტატუსი სოვეტნიკი“ ლ. ბროსე“.

მეფის მოხელეები ცდილობდნენ ქუჩების დასახელებაშიც ვაეტარებინათ რუსულიკატორული პოლიტიკა და უნებლემყოფდნენ ადგილობრივ თავიანთ თვისებურებებს. ისინი არ მალავდნენ თავის გაბოროტებას, როდესაც ქუჩების დასახელებებში პოლიტიკური შინაარსი შედგენდებოდა. საილესტრაციოდ მოგვყავს ამონაწერი თბილისის გუბერნიის საქალაქო საქმეების საკრებულოს 1911 წლის 23 მარტის ეტრნალიდან.

„მოისმინეს: თბილისის საქალაქო სათათბიროს 1910 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება რომლითაც მოწუბობილა საქალაქო დებულების

მე-18 მუხლის თანახმად დასყენისათვის გადაეცემა ნაძალადევის ქუჩების სახელწოდებები: მათა, პირველი და მეორე დეპუტატის და დეპუტატის ორი „შესახვევი“.

თბილისის ქალაქის თვითმმართველობა 1910 წლის 13 სექტემბერს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე შემდეგი მოხსენებით გამოვიდა:

„ნაძალადევი არის ქუჩები: მათა, პირველი დეპუტატის, მეორე დეპუტატის და დეპუტატის ორი შესახვევი. საგუბერნიო ადმინისტრაციის შეკითხვაზე—საქალაქო სათათბიროს რომელი დიდგენილებით მიეცათ ქუჩებს ეს სახელწოდებები—მმართველობამ უპასუხა, რომ ზემოაღნიშნული ქუჩების დასახელება შემოღებულია თვითონ მოსახლეობის მიერ, რის გამოც სახელწოდება „მათა“ წარმოდგება ამ ქუჩაზე არსებული სასაფლაო-საგან, სადაც დაკრძალულია ნაძალადევი მცხოვრებელი ორი ძმა, „დეპუტატის“ სახელწოდება კი — მოსახლეობის მიერ დარქმეული აქვს ერთ ქუჩას და შეზოხებულ შესახვევებს, სადაც დგებოდა ნაძალადევილების მიერ არჩეული დეპუტატების კრებები ქალაქის მმართველობასთან ურთიერთობის მოსაგვარებლად მიწის საკითხის გამო“.

ამის შესახებ მმართველობამ გუბერნატორის შემდეგი წინადადება მიიღო:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტების თანახმად, ქალაქებში მოედნებისათვის, ქუჩებისათვის, ბუღეზარებისათვის ჩვეულებრივი ილგინობრივი სახელწოდების მიკეთვნება, და აგრეთვე სახელწოდების გარდაქმნა, გათანაბრებულია ქალაქის მოსახლეობის გვეგის შეცვლასთან და ხარკივლდება იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 1892 წელს გამოცემული საქალაქო დებულების მე-17 მუხლის 63-ე პუნქტში და მე-2 განყოფილების 79-ე მუხლის მე-3 პუნქტში.“

მიუხედავად ამისა, როგორც ჩემი კანცლარიის სახელზე ამა წლის 8 მაისს № 2640 გამოგზავნილ დასყენიდან ჩანს, აღნიშნული კანონიერი წესი არ ყოფილა დაცული თბილისის საქალაქო საზოგადოებრივი სამმართველოს მიერ ნაძალადევი ქუჩების სახელწოდებების დადგენისას: მათა, პირველი, მეორე დეპუტატის და დეპუტატის ორი შესახვევი.

ამიტომ, — და კაცისათვის მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სამოქალაქო საქმეებში მოადგილის მაგიერის წინადადების გამო, — მიმართა რა ქუჩებისა და შესახვევების ზემოხსენებულ დასახელებათა არსებობა არასასურველათ, წინადადებას გაძღვეთ, მოწყალეო ხელმწიფეო, საქალაქო დებულების 10 მუხლის საფუძველზე აღადგინოთ ამ საქმეში კანონიერი წესი და წარუდგინოთ თბილისის საქალაქო სათათბიროს მომავალ სხდომაზე განსახილველად საკითხი ნაძალადევის ზემოდასახელებული ქუჩების სახელწოდების გარდაქმნის შესახებ და სხდომის დადგენილება, თანახმად საქალაქო დებულების 79 მუხლის, წარმომიდგინოთ მე“.

მიმდინარე წლის 10 სექტემბერს საქალაქო მმართველობამ დაადგინა: „იმის გამო, რომ მოსახლეობა შეეჩვია ნაძალადევის ქუჩების სახელწოდებას, — მათა, პირველი და მეორე დეპუტატის და დეპუტატის შესახვევები, — ეთხოვოს სათათბიროს, მოიწონოს ეს სახელწოდებები“.

საქალაქო სათათბირომ, მოისმინა რა მოყვანილი მოხსენება, დაადგინა: „იმის გამო, რომ მოსახლეობა შეეჩვია ნაძალადევის ქუჩების დასახელებებს, — მათა, პირველი და მეორე დეპუტატის და დეპუტატის შესახვევები, — სათათბირო იწონებს ამ სახელწოდებებს“.

განიხილა რა ზემოაღნიშნული საბუთები, საქალაქო საქმეების საგუბერნიო საკრებულოს არ მიიხნია სასურველად ქუჩების და შესახვევებს ამ სახელწოდებების დატოვება, რომელთა დაწესება ახსნილია უწინაშეგო საბაბით, და ამიტომ ფიქრობს, უარი თქვას საქალაქო სათათბიროს 1910 წლის 13 სექტემბრის სხენებული განსაზღვრის დამტკიცების საწინააღმდეგოდ.

თუ 1851 წელს ქუჩების და მოედნების რაოდენობა სულ უდრიდა 78-ს, ასი წლის თავზე (31 დეკემბერს 1951 წ.) თბილისში აღრიცხული იყო 1515 ქუჩა, მოედანი, შესახვევი, ჩიხტი და ვასაილი, საერთო საგრძობი — 441 კილომეტრი.

განახლებული ქალაქის ქუჩებს ჩვენი ეპოქის შესაფერისი სახელწოდებანი უნდა ჰქონდეს. ამით აიხსნება, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ამ საკითხსაც უჯერებანი ყურადღება მიექცა და 1923 წ. „თბილისის საბჭოს მოამბეში“, № 3, გამოქვეყნდა ქუჩების ახალი სახელწოდებანი. როგორც ამ საკითხის გაცნობა აღასტურებს, სახელწოდებათა უმრავლესობა სწორად არის შერჩეული, მაგრამ ზოგიერთ ქუჩას ახალ დასახლებულ იდუალებში, მაგ. ღრმაღელეში, ნათელიში სახელწოდება მიეკეთვინილი არა აქვთ. ეს მდგომარეობა აიხსნება იმით, რომ უბნების, კვარტალების დაგეგმარების დროს ეს საკითხი არასდროს არ ქცეულა მსჯელობის საგნად. საერთოდ, უბნების დაგეგმარებისას იუკილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქუჩებისათვის სათანადო სახელწოდებათა მიკეთვნების საკითხიც.

არა ერთხელ აღინიშნა ზოგიერთი შეუფერებელი სახელის შეცვლის იუკილებლობა, მაგრამ ეს საკითხი დღემდე მოგვარებული არ არის.

სასურველია თბილისის ქუჩებს მიეკეთვნოს იმ გამოჩენილ პირთა სახელები, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არიან თბილისთან. ასეთ პიროვნებათა შორის არიან ისტორიული პირებიც, ესენია:

ვახტანგ გორგასალი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა ძველი საქართველოსი. მას მიუღია განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული გადაწყვეტილება — საქართველოს (იბერიის) პოლიტიკურ ცენტრად გაეხადა ციხე-ქალაქი — თბილისი, რომლის წინააღმდეგაც უპირატესად მიმართული იყო აგრესია ვაჩე-

შე ძალები. ვახტანგს დიდი მშენებლობა გაუჩაღებია თბილისში მისი სატახტო ქალაქად შემზადებისათვის. მაგალითად, ამ დროს აუშენებია არა მარტო ზღუდვ ქველი დანგრეული აკროპოლისა, არამედ დაუწვია ნაგებობა დიდი ზღუდვ-გალავანისა, რომელსაც თავის ფარგლებში უნდა მოექცია მთელი ქალაქი თბილისი. ვახტანგ გორგასალის მეფობა იწყება, ტრადიციული ქრონოლოგიის თანახმად, 446 წელს და გრძელდება 502 წლამდე.

ამ დროიდან საქართველომ თავისი ბედი დედაქალაქ თბილისს დაუკავშირა. თბილისის სატახტო ქალაქად გარდაქმნას ინიციატორიც ხალხში დარჩა როგორც ცნობილი ისტორიული პიროვნება, რომელიც გამართლად დაიღუბა შემოსეულ მტერთან ბრძოლაში. რადგან მაშინდელი თბილისის ცენტრი იყო სიონის ტაძრის მიდამო, ამიტომ უველაზე მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს. მტრების ხიდთან მდებარე მოედანს ეწოდოს ვახტანგ გორგასალის მოედანი.

საქართველოს ისტორიაში წარმულები კვალი

დატოვეს დავით აღმაშენებელმა და გიორგი სააკაძემ, რომელთაც თბილისის აღორძინებაშიც მიუძღვით დიდი ღვაწლი. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, რომ თბილისის ტიტულს მაგისტრატის ამ გამოჩენილ ისტორიულ პირთა სახელები.

თბილისში იყო ცნობილი პედაგოგისა და მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის სახელობის ქუჩა, რომელიც გაუგებრობის გამო შეიცვალა და მას შეენიჭა სხვა სახელი. სოფრომ მგალობლიშვილის სახელობის ქუჩა თბილისში უნდა არსებობდეს. აგრეთვე, სასურველია თბილისის ქუჩებს მიენიჭოს ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების სახელები, როგორც იყვენენ, მაგალითად, ნიკო ზიზანიშვილი (ურბნელი), ნიკო ცხეედაძე, დავით ჩუბინაშვილი, ვანო როსტომაშვილი, ვასო აბაშიძე, მწერალი არტურ ლაისტი, მხატვარი გიგო გაბაშვილი, და სხვ.

ჩვენი ვალი, ვიცოდეთ საუყარელი დედაქალაქის ისტორია, ქუჩების სახელწოდებათა წარმოშობის შესწავლას და მოგვარებას კი სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.



აპაკი პანიძე



ვეფხის-ტყაოსნის მისი საკითხები

ვ. კვლავ „კლავს უზრძმისი“ და სხვა).

„ლიტერატურული გაზეთის“ 25 ნომბრის ნომერში დაიბეჭდა კ. ტუიჩინაძის რეცენზია ჩემი ზღაპრების კრებულზე. შედეგად, რომელიც 1956 წლის შემოდგომაზე გამოვიდა. რეცენზიაში მოიპოვება ზოგი რამ, რაც არ შეიძლება უპასუხოდ იქნეს დატოვებული. პირველ ყოვლისა ეს არის საკითხი სისიმფონიო მასალის დალაგების პრინციპის შესახებ.

1

სიმფონია შეიძლება სხვადასხვაგვარად იქნეს შედგენილი იმის მიხედვით, თუ რა მიზანი აქვს დასახელი მის შემდგენელს. აღნიშნულ სიმფონიაში სიტყვები დალაგებულია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ყოველგვარი ფორმის მონახვა სწრაფად და ისე, რომ ერთი სიტყვის ფორმები ან ერთგვარი მნიშვნელობის სიტყვები ერთად იყოს თავ-მოყრილი და არ გაიფანტოს სხვადასხვა ადგილას. რომ ნათელი იყოს მკითხველისათვის, თუ რაზეა საუბარი, მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი.

კ. ტუიჩინაძის შედგენილ ვეფხის-ტყაოსნის სიმფონიაში, რომელიც დართული აქვს მის მიერ 1934 წ. გამოცემულ პეპის ზოგიერთ ცალს (გვ. 419 — 657), სიტყვები დალაგებულია უზრალო ანბანის რიგზე იმის მიხედვით, თუ როგორ იწეება სიტყვა, ან სიტყვის ფორმა. ასეთი წესის გამო ერთისა და იმავე სიტყვის ფორმები სხვადასხვა ადგილასაა მოჭედრილი; მაგალითად: ნახვა ზმნის ფორმები მოთავსებულია: ნარზე: ნახა (გვ. 569), ნახეს (გვ. 570); ვანზე: ვნახავ, ვნახე, ვნახენ (გვ. 459); გინახავს (458), გენახა, გენახებით (455), გენახენ (გვ. 456).

მანზე: მნახა, მნახე (გვ. 546), მინახავს (გვ. 540), მენახა (531).

ენზე: ენახა (გვ. 484).

უნზე: უნახავს (გვ. 605).
ვინზე: ვნახავ, ვნახეთ (გვ. 498).

ამგვარად, ერთი ზმნის ფორმები კ. ტუიჩინაძის სიმფონიაში გაფანტულია და მოთავსებულია სხვადასხვა ადგილას: გვ. 455, 456, 458, 459, 464, 531, 546, 569, 605. ამიტომ ასეთი სიმფონიით ძნელი იმის გაგება, თუ რაღაა ფორმა ნახვარი ამა თუ იმ ზმნისა პოემაში. ჩემი ზღაპრების კრებულში შედგენილ სიმფონიაში კი ზმნის ფორმები (ყრძოდ ნახვა ზმნისა) ერთად არის თავ-მოყრილი და დალაგებული გარკვეული რიგით.

კ. ტუიჩინაძის სიმფონიაში არც სახელების ფორმებია ერთად თავ-მოყრილი; მაგ., ცა სიტყვის ფორმები გათიშულია ერთმანეთისაგან სხვა სიტყვებით (ც ა, ც ა დ, ც ა თ ა, ც ა თ ა მ დ ის, ც ა თ ა მ დ ის ც ა, ც ა ლ ი თ ა ც ა ლ კ ე, ც ა ლ კ ე რ დ, ც ა მ ა ნ, ც ა მ დ ის, ც ა მ ც ა, ც ა ნ ი, ც ა ნ ი ა, ც ა რ ი ე ლ ხ ა, ც ა ს ა, ც ა ც ა), ახალ სიმფონიაში კი ისინი ყველა ერთადაა შემოკრებილი ბრუნვითა და რიცხვითა მიხედვით. ამას გარდა, კ. ტუიჩინაძის სიმფონია უყურადღებოდ ტოვებს ყველაფერს, რაც ცალკე არ იწერება; ამიტომ თანდებულები, კავშირები და ნაწილაკები შიგ არის აღნუსხული; ახალ სიმფონიაში კი ყველა მერყეულების ნაწილი, თუ კი ის პოემაში გვხვდება, თავის ალაგასაა ნაჩვენები; ასეთები: მგ., გ ა ნ, თ ე ის, კ ე, ძ ი, ვ ე და სხვა. ერთი სიტყვით, სიმფონია შედგენილია იმგვარად, რომ შიგ გამოჩნდეს ყოველგვარი სიტყვა პოემისა, დამოუკიდებელი მნიშვნელობისა იქნება იგი, თუ დამხარე. ეს სიმფონია ერთბაშად მოგვეცემს პასუხს, თუ სად და რა შემთხვევაში იხმარება ისეთი „სიტყვები“, როგორცაა: ძ ი (ვინძი, რამა, ნეტარძი), ყ ე (მონანი-ყ ე, წამალსა-ყ ე), თ ე ის (ჩემთვის, მსმენელთათვის...) და სხვა, რის შესახებაც კ. ტუიჩინაძის სიმფონია მგერად დღეს; ახალი სიმფონია ამ მხრივ ერთგვარი ნიმუშია, რომელსაც უნდა გააყუყუეს ქართული ლექსიკოგრაფია, თუ გვინდა, რომ ლექსიკონის მომზადებელი არ დაეღალოთ წიგნის ფურცელთ და სხვადასხვა ადგილას ძებნით იმ სიტყვებისა და ფორმებისა, რომლებიც ერთად უნდა იყოს

1 მე-3 წერილი დაიბეჭდა „მნათობის“ დეკემბრის ნომერში (1956); მე-4 (ოდნავი შეკვეთით) დაიბეჭდა „ლიტერატურული გაზეთის“ 1956 წ. 21 სექტემბრის ნომერში ამ სათაურით: „უსაკრთოსი განმარტება“.

მოთავსებული, ამიტომ სწორად შეუნიშნავს კ. ჭიჭინაძეს, რომ, რაკი ამ ახალ სიმფონიაში თავ-მოყრილია გრამატიკულად განსხვავებული, მაგრამ ლექსიკურად ერთად მდგომი სიტყვები და ფორმები, „უფრო თვალ-ნათლივ ხდება მათი შედარება“. დიდი, უფრო თვალ-ნათლივია.

მაგრამ ამ ღირსებას თურმე „ერთი ნაკლიც სდევს თან: ამ პრინციპით შედგენილი სიმფონიის გამოყენება ვერ ხერხდება საკირო სისწრაფით“: თურმე შიგ. ზელოვნურად შექმნილი ფორმებია სტეპანოსისა და დედასტრუბელი და არც, საზოგადოდ, ქართულ ენაში გვხვდება კ. ჭიჭინაძეს მოუსურვებია, მაგ., ვუაღეთ სიტყვის მოკლება შიგ, მაგრამ ვერ უნახავს და შემთხვევით წასწყდომია იქ, სადაც მოთავსებულია „გაუგებარი, პოემადი არ-არსებული სიტყვა ა ლ ე ბ ა“. პოემადი ა ლ ე ბ ა მართლაც არ გვხვდება, მაგრამ აი რა: სადაც ვუაღეთ ითქმის, იქ ითქმის აგრეთვე უაღეს, მ ი ა ლ ე ს, გ ი ა ლ ა, გ ვ ი ა ლ ა და სხვა. სად უნდა მოთავსდეს ყველა ესენი ლექსიკონში? თავ-თავის დასაწყისის ასობის მიხედვით ზოი არა? თუ არა, მამ სად? სად და ა ლ ე ბ ა-ზე რომელიც ყველა მათი გამოსავალი ფორმია, საწყისია. ეს ელემენტარული რამ არის და თუ კ. ჭიჭინაძემ წიგნში თავის ადგილზე ვერ მონახა სიტყვა, ამას სიმფონიას წუ აბრალებს.

სხვა მაგალითი: პოემადი იკითხება: „ხამს თავი იქედგოროსა“ (1569,4). თუ ითქმის: ა თ ვ ი ი ქ ე დ გ ო რ ო ს, შეიძლება ითქვას აგრეთვე: თ ა ვ ს ი ქ ე დ გ ო რ ე ბ ს, თ ა ვ ი ვ ი ქ ე დ გ ო რ ე ბ ს, თ ა ვ ი უ ქ ე დ გ ო რ ე ბ ს, რ ა გ ე ქ ე დ გ ო რ ე ბ ა და სხვა. სად უნდა მოთავსდეს სიმფონიაში ასეთი ფორმები? რა თქმა უნდა, ქ ე დ გ ო რ ე ბ ა-ზე, რომელიც საწყისი ფორმია, გამოსავალი ფორმია ყველა მათთვის და არის კიდევაც იქ მოთავსებული-სხვათაშორის, აღსანიშნავია, რომ ქ ე დ გ ო რ ე ბ ა-ზე აქვს იგი შეტანილი დ. ჩუბინაშვილს თავის დიდ ლექსიკონში და დ. კარიჭაშვილსა და იუსტ. აბულაძეს მათი გამოცემული ეეფხის-ტყაოსნის 'ლექსიკონში. ამიტომ არ არის მართალი კ. ჭიჭინაძე, როცა ამბობს: „როგორ შეიძლება ეს უცნაური სიტყვა განვხვავდეთ და შევქმნათ მისი ინფინიტვი—რაღაც ქედგორებაო?“ მაგრამ მინც ვიდრეტო: შეიძლება სიმფონიას ისეთმა კაცმა მოჰკიდოს ზღა, რომელსაც ელემენტარული ცოდნა არა აქვს ენის თეორიაში, ამიტომ იქ ე დ გ ო რ ო ს ა სიმფონიაში მოვთავსაეთ ინზედაც (გვ. 155) და მივაწერეთ: ნახე ქედგორებაო. რად არ მოახსენა ეს ამბავი კ. ჭიჭინაძემ მკითხველს? საბავიეროდ მკითხველს შე უნდა მოეახსენო შემდეგი: ენაში არის (და პოემადი გვხვდება) ფორმები, რომელთა საწყისის მონახვა მკითხველისათვის ანელა. ასეთებია: მ ი ც, უ ე, მ ა-ო, გ ვ ა-ო, მ ი ე ო, მ ი ვ ი ს, გ ვ ი-

ვ ი ს, უ ვ ი ს, ა თ ქ ს, უ თ ქ ს და სხვა. ესენი და მსგავსი ფორმები, რა თქმა უნდა, მათ-მათი დასაწყისის ასობის მიხედვით არის სიმფონიაში დალაგებული.

ზელოვნურ ფორმებზე მაინც კ. ჭიჭინაძეს მ ა გ ა რ ე ბ ა, ლ ე ბ ე ბ ა, გ ა ა ს ო ც ე ბ ა, გ ა ა ე ც ო ბ ე ბ ა და ზოგი სხვა. ავიღოთ ამთვან ორი მაგალითი: პოემადი იკითხება: დავრჩები პატივთა გაასოცებით (1575, 3). გ ა ა ს ო ც ე ბ ი თ მოქმ. ფორმის ბრუნვა, სახელობითისა იქნება: გ ა ა ს ო ც ე ბ ა და სწორედ ეს არის მოყვანილი სიმფონიაში.

პოემადი იკითხება: გაგულისდა, გ ა ა ე ც ო ბ დ ა (756, 1). თუ ითქმის გ ა ა ე ც ო ბ დ ა, ითქმის აგრეთვე გ ა მ ი ა ე ც ო ბ დ ა, გ ა მ ა ა ე ც ო ბ ე ბ ს, გ ა გ ა ა ე ც ო ბ ე ბ ს და სხვა. და რა იქნება მათი საწყისი, სადაც ესენი უნდა შემოკრბნენ? — რა თქმა უნდა, გ ა ა ე ც ო ბ ე ბ ა და დიდი პოლიმი, რომ ასეთ ელემენტარულ რამზე მიხდება საუბარი მკითხველთან, რომელსაც უნდა მოეავონო მაინც, რომ სიმფონიის წინასიტყვაობაში მე მოკლედ შეუჩერდი სასიმფონიო მასალის (ამასთანავე ერთად, საზოგადოდ, სალექსიკონო მასალის) და-ლაგების წესის შესახებ და აღვნიშნე, რომ ლექსიკონში არ უნდა ვაგფანტოთ ერთგვარი მნიშვნელობის სიტყვები-მეტოქი და დაესძინე: sapi-enti sat, რაც ამას ნიშნავს: გამოგები გაიგებს, ან მიმხდერი მიხვდება. და აბა მე რა უნდა გავაწყო, თუ ზოგიერთი კაცი ვერ მიხვდება?!

კ. ჭიჭინაძე ამბობს, რომ ახალი სიმფონიის აუკარგინობა „უფრო დაზუსტებით მისი ხანგრძლივი გამოყენების პირობებში გამოირკვევა“. ამის გამო უნდა შეენიშნოთ, რომ მკოდნე კაცის თვალს ახლაც შეატყობს, რამდენად ვარჯი წიგნი და რა განსხვავებაა ძველსა და ახალ სიმფონიას შორის; მკითხველს კი უნდა მოეახსენო, რომ ამ ახალმა სიმფონიამ უკვე კარგი სარგებლობა მოიტანა წინა გამოცემის შეცდომების გასწორების საქმეში და მომავალში უთუოდ ბევრად შეუწყობს ხელს მკვლევრებს პოემის ენის სხვადასხვა საკითხის გამოკვლევაში.

II

გადავიდეთ რეცენზიის სხვა მხარეზე. ზემო ხელმძღვანელობით შედგენილ სიმფონიას თავში ახლავს გამოკვლევა, „ეეფხის-ტყაოსნის“ ენის საკითხები, II. პოემის მეცნიერული გამოკვლევისათვის¹. აქ 200-ზე მეტი ადგილი მოიყვანენ პოემიდან, რომლებსაც გასწორება უნდა, კ. ჭიჭინაძე ამ გამოკვლევის გამო წერს: „იმ გასწორებათა ჯგუფში, რომელნიც კონტექსტის ახრს უცდელად სტოვებენ, „ბევრია მართებული წყაითხვაო“, მაგრამ ბევრია „ახრის შემცველი

¹ ეს წერილი ოდნავ შემოკლებით დაიბეჭდა „მნათობში“ (1956, № 7, გვ. 136-145).

გასწორება, რომელთა შორის უმეტესობა გაუგებრობის ნაყოფია და გასწორების ნაცვლად დამახინჯებას წარმოადგენს“.

ვთქვათ, უმეტესობა მართლაც დამახინჯებაა, უმცირესობა ხომ სწორ დაკვირვებას შეიძლება. რატომ ამით შესახებ დღემს რეცენზენტი? საზოგადოდ, ფასი აქვს დადებით ნაწილს გამოკვლევისას, ისეთს, რომელიც წინ სწევს საქმეს და შივ რომ ხუთიოდე შესწორებაც მართებული აღმოჩნდეს, ეს უთუოდ პროგრესი იქნება პოემის შესწავლის საქმეში. ვნახათ, რამდენად მართალია რეცენზენტი.

1. დავეწყობო იქედან, რომ კ. ჭიჭინაძე ექომაგება ა. ბარამიძეს და ირწმუნება, რომ ამ ტაგმაში:

ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკვლავს უგრძესითა (195, 3)

როსტომის მკვლავთან შედარებულია არა ისარი, არამედ ავთანდილის მკვლავია, როგორც ეს ე. ბარამიძეს ესმის და ჩემი შესწორება ტექსტისა (მკვლავს უგრძესითა) არ არის ბუნებრივი საერთოდ და კერძოდ ვეფხის-ტყაოსნისათვის.

წუხებარ, ღიდად ვწუხებარ, რომ ასეთ აზრს გამოთქვამს პირი, რომელსაც ვეფხის-ტყაოსანი გამოუცია. ვწუხებარ იმიტომ, რომ, სხვას თუ არა, პოემის გამოკვლელს იმდენი მაინც უნდა მოეთხოვებოდეს, რომ ელემენტარულად გაეყოფილი წინადადების აზრი სწორედ გაიგოს და არ გაამრუდოს. რომ ამ საკითხში ა. ბარამიძის გაგება მცდარია, ამის შესახებ უკვე შექონდა ახსნა-განმარტება „ლიტ. ვაზეთის“ 1956 წ. 21 სექტემბრის ნომერში. დამატებით აქ შეიძლება ის ვთქვა, რომ „მკვლავს უგრძესი“ სრულიად ბუნებრივი ქართული გამოთქმაა. თვით პოემაში მიეცემით ბრუნვის ფორმასთან სხვაგანაც არის შეწყობილი უფროობითი ხარისხის ფორმა; მაგალითი:

რა უარეა მამაცსა, ომშივან პირის მხმეველსა (199, 1).

რაც ჩვენი ქართულით ამის ნიშნავს: რა არის უარესი იმ მამაცზე, რომელიც ომში პირს იხმევსო. სხვა მაგალითი:

რა უამეა პირის-პირ საყვარელისა კვრეტასა (484, 4)

რაც ნიშნავს: პირისპირ საყვარლის კვრეტაზე უამესი რა არისო. მსგავსად ამისა:

ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკვლავს უგრძესითა

დღევანდელ ქართულზე ამის ნიშნავს: ნადირს კლავდა ხოლმე როსტომის მკვლავზე უგრძესითა ისრით. იმიტომ, რაკი კ. ჭიჭინაძე გამწვანებულად აცხადებს, რომ „უმეტესად მართალია პროფ. ა. ბარამიძე, რომელიც ფიქრობს, რომ აქ როსტომის მკვლავთან შედარებულია ავთანდილის მკვლავი და არა ისარი, როგორც ამის ა. შინიძე ფიქრობსო“, უნდა ვუპასუხოთ, კ. ჭიჭინაძე ისევე ცდება, როგორც ა. ბარამიძე. მაგრამ კ. ჭიჭინაძეს ბრალად ედება, რომ მან იცის რა ა. ბარამიძის დაცვა აშკარა შეუსაბამობაში. იმიტომ მე ისღა დამარჩენია, რომ ასეთ დამკვიდრებელს ორმაგი საყვედური-ვუთხრა საზოგადოების შევლომაში შეუყვანისათვის, თუ ეს საზოგადოება მას არ-ცოდნის არ-ცოდნად ჩუთვლის და ამატებს, ეს მისი საქმეა, შე კი უნებურად მაგონდება პოემის სიტყვები:

„თუმი იყოდა, წყნარად ზის-მცა“.

2. არ-ნაჩქარები, თუ ანაჩქარები? მე ვამბობდი, რომ ამ ტაგმაში:

მას ლამით უყვეს საღარნო, უტრუო, ანაჩქარები (1412, 3)

ანაჩქარების ნაცვლად არ-ნაჩქარებო უნდა-მეთქი. ასე რომ გასწორებდი, მხედველობაში შექონდა ის გარემოება, რომ პ. ინგოროყვამ, ხელნაწერების ჩვენების თანახმად, ა უ ნ ქ ა რ ე ბ ი დაბეჭდა. მართლაც, ილია აბულაძისა და ი. გვიგინიშვილის შედგენილი ვარიანტების ცხრილიდან ჩანს, რომ ორ ძველ ხელნაწერში ა უ ნ ქ ა რ ე ბ ი ეყოფილა. საიდან გაჩნდა ამ ხელნაწერებში ასეთი ფორმა? — უთუოდ იქედან, რომ დედანში, საიდანაც იწერა-დნენ, არ-ნაჩქარებო იყო, რომელიც ა უ ნ ქ ა რ ე ბ ა დ გადაასწორეს. რაც შეეხება ანაჩქარებს, იგი რასის ჩავარდნით უნდა წარმოშობილიყო (არ-ნაჩქარები — ანაჩქარები). სხვას აღარას ვიტყვი, რადგანაც ამხუე საქმოდ იყო ნათქვამი ბარამიძისადმი მიმართულ პასუხში. დაესძენ მხოლოდ, რომ სიმარტეს არ შეეფერება კ. ჭიჭინაძის შენიშვნა, რომ „ძველი ტექსტის სწორება, წინააღმდეგ ხელნაწერთა ჩვენებისა, ტექსტოლოგიის ელემენტარული წესების დარღვევად უნდა ჩითვალოსო“.

3. ა. ჭიჭინაძე შეკამათება 360 სტროფის ერთი ტაგმის შერყენილი სიტყვის შესწორების გამო:

ვულო მი და მო მიარდა, კრთებოდა და მელალოდა.

მე ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ ტექსტი შერყენილია და უნდა შესწორდეს. ჩემი წინადადებაა: დამეალოდა, ე. ი. ილია ედ-

ბოდა (ჩემს გულს). კ. კიკინაძეს არ მიაჩნია, რომ შესწორება საჭირო იყოს და ამბობს: მელალოდა წარმომდგარია „ლაღისაგან“, „ლაღა“ კი თანამედროვე ქართულში ნიშნავს, უბრაველეს ყოვლისა, გარეყვას, წასვლას, — გაილაღენ, ე. ი. წაყიდნენ. სწორედ ამ მნიშვნელობით გამოიყენებია ეს სიტყვა რუსთველს რთმში. აღნიშნული სტრიქონის შინაარსი ასეთია: გული აქეთ-იქეთ მიცემდა, თართდა და შ ი მ დ ი რ დ ა“. მართალია, დღევანდელ ქართულში „გაღაღა“ გარეყვას ნიშნავს, მაგრამ ვეფხისტყაოსანში ასეთი მნიშვნელობა „ლაღა“ ზნისა არსად არ არის დადასტურებული; „თავლით მლაღვი“, რომელსაც კ. კიკინაძე იმორჩებს, არ ნიშნავს „დაიფრთხობს“, „გამძევებულს“, „გამაქცევარს“, არამედ მოჩხუბარს, ანუ მოშუღარს (როგორც ამას ს. ორბელიანი აღნიშნავს). „ლაღვა“ სიტყვის მნიშვნელობა ა. შანიძემ, ალბათ, ს. ორბელიანის ლექსიკონიდან ამოაღო, ვარაუდობს კ. კიკინაძე. არა, მე ეს ჩემი გამოცემული ტექტიდან ამოვიღე (დაბ. 13, 7) და არა სულხანის ლექსიკონიდან, თუმცა, სულხანისთვის რომ მიზეზართა, უფრო კარგი იქნებოდა, რადგანაც „შეღლი“ უფრო ზედმიწევნით გამოისკვს სიტყვის მნიშვნელობას. მოგვცა რაიმე ახალი კ. კიკინაძის განმარტებამ ამ შემთხვევაში? არა, არ მოგვცა. ტექსტი ისევ შესასწორებელი დარჩა და ჩემ წინადადებას მეტი საბუთიანობა მოგმატა.

4. უყანასენელ (1951 წლის) გამოცემაში ერთგან ასე იყოთხება:

მუნა მყოფსა ყველაისა შევეკრა, ჩ ე ე ნ ც ა, შავი (1595,1). მე მეგონა და ახლაც მგონია, რომ ეს სტროფი რუსთველისა არ არის, მაგრამ, რაკი პოემაში მოხდა, შერყენილ ადგილს ვასწორებთ უნდა. შერყენილად მე მამაჩნია ჩ ე ე ნ ც ა და ასე ვასწორებ: ჩ ე ე ნ დ ც ა, ე. ი. ჩვენთვისაც. რატომ? იმიტომ რომ ზნა ერთია: შ ე ე კ ე რ ა, რომელსაც ქვემდებარედ აქვს (მუნა მყოფსა) ვ ე ე ნ ც ა ს, პირად. ობიექტად—შ ა ვ ე. თუ წინადადებაში ჩართულ ჩ ე ე ნ ც ა-სთან თავისი ზნა უნდა ვეფხისტყაოსანში, იგი იმავე მწკრივის ფორმით უნდა იყოს (შ ე ე ვ ე კ ე რ ა) და არა სხვისა (შ ე ე ვ ი კ ე რ ე თ), რადგან წინადადება ერთია და სხვა მწკრივის ფორმა გამოირიყვება. აქედან დასკვნა: უნდა ჩ ე ე ნ დ ც ა. რატომ შეაკერვინა სტროფის ავტორმა (ა რ ა რ ე ს თ ე ე ლ მ ე) ინდოლუბს მისრელი ვაჭრებისთვის შავი, ეს მას გაუთხოვს. ჩვენ კი კ. კიკინაძის ერთ საბუთიანობას მივაქცევთ ყურადღება: „ეტიმოლოგიური ფორმა სიტყვისა! ჩ ე ე ნ დ ც ა სრულიად უცხოა „ვეფხისტყაოსანისათვის“. ცოტა რამ საბუთი კიდევ შეიძლება ბეწოდა გამსწორებულს იმ შემთხვევაში, რომ

პოემაში სადმე სხვაგან გვხვდებოდეს ან ეს „ჩვენცა“, ან „შენცა“, ან „ოქვენცა“ ან „მათცა“ და სხვ. მაგრამ, არაფერი ვპირობებ: სწორი არ მოაპოვებამ“ და პათეტურად დამსჯეს: „როგორ შეიძლება ძველი ტექსტის ამგვარად სწორება!“ მართლაც, მე უნდა დავუბრუნებო კ. კიკინაძეს, რომ მის მიერ მოყვანილი ფორმები სხვაგან პოემაში არ გვხვდება, მაგრამ გვხვდება უ-ც ა-ნ-ა-წ-ი-ლ-ა-ო-დ, თანაც და თანდებულის შეუცვლად (-დ ა), რაც საქმისთვის იგივეა. ახ მავალითებიც: თვარა ჩე ჩ ე მ დ ა, იგ შ ი ს დ ა (1488,2); გული ჩემი მოგვინა მისი შ ე ნ დ ა შ ე ნ ი—მისად (250,4); შ ე ნ დ ა მსხვერპლსა შევსწირვიდე (811,4); დიდება შ ე ნ დ ა (917,4); მადლი შ ე ნ დ ა (1083,3); თქვენდა მოგებებულა (1511,1); თქვენდა-ეე ხლებულა (იქვე, ტ. 4). მაშასადამე, პოემაში გვხვდება: ჩ ე მ დ ა, შ ე ნ დ ა, მ ი ს დ ა, თ ქ ე ე ნ დ ა, ჩ ე ე ნ დ-ც ა იგივეა, რაც ჩ ე ე ნ დ-ა-ც ა აქ ც ა-ს თავისი დანიშნულება აქვს, მისი გამოცლებით გვრჩება ჩ ე ე ნ დ, რომელიც იგივეა რაც ჩ ე ე ნ დ ა, რომლის მსგავსი ფორმა სავსაოვოდ ყოფილა „ვეფხისტყაოსანში“.

5. ჩემი შენიშვნები პოემის შესასწორებელი ადგილების შესახებ საზოგადოდ მოკლეა, ზოგჯერ დასაბუთებაც კი არ ახლავს, მაგრამ ერთი ადგილის შესწორების შესახებ საკმაოდ ვრცელი დასაბუთება მაქვს მოყვანილი. ეს არის:

სჯობს ასმათისა არ-ლევა შავა სამხრისა ლევისა (897,3).

მე ვამბობდი, რომ ტექსტი შერყენილია და ასე უნდა შესწორდეს-მეთქი: შ ა ვ ა ს ა მ ხ რ ი ს ა რ-ლ ე ვ ა ს ა. ვანა ჩემი განმარტების შემდეგ ვეფხისტყაოსანის მკვლევარი შეიძლება ოდნავ დაუკუდეს, რომ შესწორება სწორია? არა, არ შეიძლება, მაგრამ კ. კიკინაძე შანიძე დაუკუებულა: რიტმია დარღვეულია ალბათ, კ. კიკინაძის ჰგონია, რომ, რაკი არ ნაწილაკი დეფისათ შეუერთდა მომდევნო სიტყვას წერაში, იგი მისი ნაწილი გახდა. არა! აქ არც რიტმია დარღვეული და არც არაფერი, ყველაფერი წესსა და რიგშია. ყოველ შემთხვევაში დავიხსოვოთ, რომ ვეფხისტყაოსანის გამომცემელს კ. კიკინაძეს სრულიად აკმაყოფილებს ასეთი წყაიბთვა:

სჯობს ასმათისა არ-ლევა შავა სამხრისა ლევისა“, ე. ი. სჯობს, ასმათს არ შეღლიო, ვიდრე ელეოდე შავ სამხრისო, რაც სრული შეუსაბამობაა (აზრი ასეთია: სჯობს, ასმათს არ შეღლიო, ვიდრე არ ელეოდე შავ სამხრისო).

6. კ. კიკინაძე ამტკიცებს, რომ შერყენილი ადგილების შესწორებისას თითქო ზოგჯერ მე ისე ვამახინჯებდი რთმას, რომ შეუძლებელია მის გამო პასუხისმგებელი იყოს რუსთველი და ასახელებს ორ სტროფს: 1059-სა და 1613-ს. ამა

1 კ. კიკინაძისთვის „ეტიმოლოგია“ „როგორც ჩანს, იგივეა, რაც „მორფოლოგია“.

რა ბრძანება, რომ რუსთველი იყოს პასუხისმგებელი იმ დამახინჯებათა გამო, რომელთაც მე მის პოემაში შევითქვე თუ მე მართლაც დამახინჯე რამე გენიალურ ქმნილებაში, ამის გამო რუსთველი ისევე არ იგებს პასუხს, როგორც ამ შემთხვევაში, რომ მას, თამარის ეპოქის შგოსანს, ვინმე მე-17 საუკუნის შერატის ნანუჩა ციციშვილის შაირები მიაწეროს (ნახეთ კ. ჭიჭინაძის გამოცემა, სტროფები №№ 372, 700, 701, 773, 1402). მაგრამ საკითხების დამახინჯებაა, რასაც მე ვამბობ ფორმის შესწორებისათვის? 1059 სტროფში იკითხება.

რაცა აჯა ზენ გემართებდა, იგი თქვენვე იაჯდლია.

ამის გამო მე ვამბობდი: გ ი ა ჯ დ ლ ი ა არ არის სწორი ფორმა. ჯ ზედმეტია (უნდა: გ ი ა ჯ ი ა). მართალია-მეთქი, — აღწინააღმდეგე ამასთანავე, — ამ შემთხვევაში რითმა აღარ იქნება ყარგი, მაგრამ სჯობს, რომ ნაკლები რითმა იყოს, მაგრამ ფორმა სწორი, ვიდრე ყარგი რითმა და მიუღლებელი ფორმა-მეთქი. შერე რა არის აქ ისეთი, რომ ეწინააღმდეგებოდეს საქმის ეთარებას? ვანა რუსთველი რითმის გულისთვის უსწორო ფორმას ხმარობს? არა, არ ხმარობს. მართალია მის მოვბობა ლიცენციები, მაგრამ ეს ლიცენციები არ ეხამუშება ყურს. „გიაჯლია“ კი შერტის-შეტია და, თუ კ. ჭიჭინაძის ყურს სწამოვინებ, მე რა უნდა ვქნა? მკითხველს კი მოვახსენებ, რომ გასწორება აუცილებელია, რადგანაც „გიაჯლია“ არ არის მართებული ფორმა. უნდა: გ ი ა ჯ ი ა, ან ი ა ჯ დ ი ა. თუ უკანასკნელს მივიღებთ, მას დამატება მიეკმობა უნდა დაუდგეს; ეს ერთი. ამას გარდა, მაშინ ბოლო ა კითხვით იქნება. მასასადავ, მთელი რთული წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

რაცა აჯა ზენ გემართებდა, მასვე თქვენცა იაჯდლია?

(ან: იმას თქვენვე იაჯდლია?)

აქ მაინც რატომღაც შეუთანხმებლობის ამბავი იქნებოდა ერთგვარად სასოაოთი (თქმენ ი ა ჯ დ ი ა, ნაცვლად ამისა: თქვენ ი ა ჯ დ ი ა თ), მაგრამ ამას როგორმე შევუერთებოდი. ხოლო თუ გვიჩნდა, რომ სიტყვის წარმდგომი ჯ დარჩეს ფორმაში და დ-ც, მაშინ საჭირო იქნებოდა: გ ვ ე ა ჯ დ ი ა. ამ შემთხვევაში ვ ა ჯ დ ე ლ ი ა-ს მოგვეყვამა გამოთქმაში (გ ვ ი ა ჯ დ ი ა), მაგრამ ამით არა დაშავდებოდა-რა, ფორმის დამახინჯება კი არ გამოვიდოდა, როგორც იმ შემთხვევაში, თუ დატოვებდით გ ი ა ჯ დ ი ა-ს. მე თუ გ ი ა ჯ დ ი ა-ს დავეუბრე მხარი, ეს იმიტომ, რომ ასე იკითხება მრავალ ხელნაწერში და აქედან გამოცემებშიც (ვახტანგისაში, ბრწყინვალეანდრევილ-ჩუბინაშვილი-

საში, კაცაბაძისაში). ვითომ ყველა შეიღა? არა მგონია.

7. რად შეეხება 1613 სტროფის უნდას ცვლ-ახლილად განაცხადო, რომ ვაქანასწორების მის რომელსავე ფორმას, თუ არა, სულ ერთია, ამისათვის შ. რუსთველი მართლაც ვერ იქნება პასუხისმგებელი, რადგანაც ეს სტროფი მას არ ეკუთვნის, — იგი ვიღაც „შემთავებლის“ მიერაა დაწერილი. მაგრამ, რაკი ეს სტროფი პოემაში მოხვდა, ცხადია, მის შერყვენილ ფორმასში უნდა გასწორება. ზემო აზრი ისევე ურყევი რჩება: სტროფის უკანასკნელი ტაევი ასე უნდა შესწორდეს:

წალმავე წარტებს სოფელი ცვლა მისგან უ კ უ ნ ა ს თ ა რ ს ა.

ამ შემთხვევაში აზრიც ყარგი გამოდის და რითმაც (ნ ა ე ა რ ს ა: ნ ა ს თ ა რ ს ა).

8. კ. ჭიჭინაძე მისაყვედურებს: „თავის გასწორებას ა. შანიძე ამგვარი ფრაზით ამოლოკებს: ენაბთ, რას გვეტყვის ხელნაწერები“. საკითხის ამგვარი დასმა არაა მართებული. თუ შევხედვარს უნდა, რომ თავისი რედაქტორული მუშაობა ხელნაწერებს შეუწონოს, მან ჯერ უნდა ნახოს ეს ხელნაწერები და შერე ასწიროს ტექსტი“.

ახსტრაქტულად რომ ვიმსჯელოთ, რა თქმა უნდა, ასეც უნდა მოვიქცეთ. მაგრამ, როცა ყარგად ვიკი, რომ ხელნაწერების ვარიანტების ამოწრაფე სხვები მუშაობენ და ამზადებენ გამოცემას, მე რად უნდა დავჯარგო უამრავი დრო იმავე საქმეზე? ეს ერთი. ახლა მეორე: ცხოვრება არ აღუდის. ვუფხის-ტყაოსანი მეტად საჭირო წიგნია და ხშირად იმეგდება. შეუძლებელია, რომ მისი ტექსტის ყველა დეტალი დადგინდეს თავისი ვიკად მანამდე, სანამ ხელნაწერების ვარიანტები იქნება დამზადებული და გამოცემული. ახლა შესაძლებელია: რადგანაც ხელნაწერები გვიანდელი ხანისაა, ზოგი რამ ისე შერყვენილი იქნება შიგ, რომ ყველა მათგანის იკითხვისთვის გათვალისწინებაც ვერას გვიშველის. მოდი და დავიკარაფოთ ხელები და არაფერი ვაყეთოთ. არა, ვერც არ იქნება. არის ზოგი რამ, რომელთა გასწორება ხელნაწერების გარეშეც შეიძლება. შევხედვარი, თუ ის მართლაც შევხედვარი, ხელნაწერების მოწმობის გარეშეც უნდა შევხედვარს, რომ ტექსტში რაღაც შეცდომაა. ეს ხდება, რა თქმა უნდა, არა წმინდა ორთოგრაფიული ხასიათის საკითხებს (როგორცია კარი თუ ხანი, ვინი თუ უმარცვლო უ და სხვ.), არამედ ტექსტის არსებობა მხარეც. მაგ., 274,3-ში იკითხება: ძ ა ლ ა ქ ვ ს (უნდა კი: ძ ა ლ უ ც), 1317,2-ში იკითხება: ძ ა ლ მ ა ქ ვ ს (უნდა ა-კ ი: ძ ა ლ მ ი ც), კ. ჭიჭინაძის გამოცემებულ ხელნაწერებში ან მის წინა გამოცემებში, რომელთაც ის მისდევდა, აღმათ ძ ა ლ ა ქ ვ ს და ძ ა ლ მ ა ქ ვ ს იყო, რომ ვერც დაიბეჭდა (300,3; 1880,1), თორემ რა ბევრი მტკიცება უნდა, რომ ასეთი ფორმები რუსთველისა არ არის. სხვა მთავალი: 940,4-ში იკითხება:

უშენოდ მომზედეს, რაღა ვქნა, არ დღეთა გრძელობა! ეს ტაბეი კ. კიკინაძესაც აგრ აქვს დაბეჭდილი (1939,4), რადგანაც მის ხელნაწერებში, ალბათ, აგრ ეწერა. დიდი თავის მტერები არაა საქმარო, რომ მკვლევარი შეეცდომას მიხედეს და გაასწოროს:

უშენოდ მომზედეს, რაღა ვქნა, რა დღეთა გრძელობა. ეს ნიშნავს (ლიტყუების გადასმით): რაღა ვქნა, რა დღეთა გრძელობა უშენოდ მომზედეს, ე. ი. რაღა ვქნა, რომ უშენოდ ყოფნა დიდხანს მომზედესო. აქ არ ნაწილად აშკარა შეეცდომაა, უნდა რა კავშირი და კიდევ გასწორდა შეზღვრვი გამოცემისათვის ჩემი წინადადების თანახმად.

9. ერთი რამ აშკარა უნდა იყოს ყველასათვის: პოემის შემდგომ გამოცემისათვის ვეღარ დაეუბრუნდებით ძველ გამოცემებს (ვახტანგისას, ჭარბთელიშვილისას, აბულაძისას, კიკინაძისას თუ სხვისას), — ახალი გამოცემის საფუძველი უნდა იყოს უკანასკნელი ოფიციალური გამოცემა, რომლის ტექსტის დადგენაზე გარკვეული მუშაობაა გაწეული ორი კომისიის მიერ. რატომ მოხდა, რომ შოგ აქა-იქ შეეცდომები გაიპარა, ამის ძიებას აქ ვერ გამოვეყოლები, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ამ შეცდომებს გასწორება უნდა და ჩემი აზრა გამოვლენი ვასასწორებელი ადგილების შესახებ. თუ ჩემი გასწორებანი დაემთხვა ზოგ კიკინაძის გამოცემის წყაობებებს, ეს იმის შედეგია, რომ მე ფორმითა გასწორებისას ენის ნორმების მიხედვით ვმსჯელობ, კ. კიკინაძის გამოცემა კი გარკვეული ხელნაწერების ან წინა გამოცემების წყაობებს იმორებს. როგორც კ. კიკინაძე აღნიშნავს (გვ. XXXVII), მას ათი ხელნაწერი გამოუყენებია თავისი გამოცემისათვის და არაა გასაკვირებელი, რომ იმათგან სწორი ფორმები იყოს ვადამოყლოლი მის გამოცემაში. ეს უთუოდ ხელნაწერთა და წინა გამოცემათა ღრმობაა. მართლაც, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მის ჩამოთვლილ 15 მაგალითთაგან, სადაც დამთხვევა ჩემ შესწორებებსა და მისი გამოცემის წყაობებს შორის, თორმეტი იუსტ. აბულაძის გამოცემაშიც მოპოვება (1926 წ.). მაგრამ ხელნაწერებისა და გამოცემების ზოგ ნაკლს კ. კიკინაძე ვერ ხედავს. მაგ., მას, ისე როგორც იუსტ. აბულაძეს მასზე ადრე, სწორად აქვს „ს ა მ ა ს ნ ი კარგი მოყმენი, ქველანი“, მაგრამ იმავე სტროფის უკანასკნელ ტაბეში აქვს:

ახლოს მომდევდით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მი ინდეს შევლანი“ (სტრ. 427, აბულ. 341, კიკ. 469). აქ შეეცდომაა, უნდა: გიხმობ, თუ მი ინდენ შევლანი. მაგრამ ეს შეეცდომა კ. კიკინაძემ ვერ შენიშნა და გაიმეორა სხვისი მცდარი წყაობებიც. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩემთვის არ არის საჭირო ხელნაწერებსა და ძველ გამოცემებში ცქერა იმისათვის, რომ მივხედვი, რომ შეეცდომაა „ეზომი-სიარულნი“ და რომ უნდა

გასწორდეს ასე: ეზომი სიარულნი (სტრ. 189,2, როგორც ეს იკითხება იუსტ. აბულაძის გამოცემაში (სტრ. 135), საოდარაკი რგაქ კი კიკინაძისა. ში გადმოსულა (სტრ. 209,2) ~~სიარულნი~~.

10. ჩემს გამოცემაში მე ეპიოდი (და ახლაც ეჩივი), რომ მე, როგორც 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის ერთ-ერთ რედაქტორს, არაფერი შეკითხეს პოემის ტექსტის ბეჭედისას. ტექსტს სჭვა პირმა უყო ახალი რედაქცია და იგივე პირი ხელმძღვანელობდა ბეჭედს და გასაკვირი არაა, რომ შოგ შეეცდომები დამკვიდრებულიყო-მეთქი. კ. კიკინაძე კი აცხადებს: 1937 წლის საიუბილეო გამოცემისათვის დამზადებულ ტექსტში სწორი წყაობებები ვერ გავიდა, მიუხედავად იუსტ. აბულაძისა და მისი, კ. კიკინაძის, მტკიცებისა, უმთავრესად ა. შანიძის წინააღმდეგობის გამო. გავიხილა ასეთი განცხადება? გამოდის, რომ კ. კიკინაძე ფორმებს სწორად ადგენდა, მას იუსტ. აბულაძე უჭერდა მხარს და მე კი თურმე ამისი წინააღმდეგი ვყოფილარი! ამა ვინ დააჯერებს ასეთ რასმე? უნდა იცოდეს ყველამ, რომ 1937 წლის გამოცემისათვის დამზადებული ტექსტი ისე კი არ დაბეჭდა, როგორც კომისიამ დამზადა (რომელშიც, წინააღმდეგობა შორის, კ. კიკინაძეც შედიოდა და რომლის ერთი თამაჯდამარე კ. კეკელიძე იყო და მეორე—მე), არამედ შესწორებებით. ამიტომ, როცა შემდგე კვლავ დაისვა საკითხი ახალი გამოცემის შესახებ, რომელიც 1951 წელს გამოვიდა, ახალ კომისიას დასკ: რაა ძველი კომისიის ნამუშევრის გათვალისწინება და მაშინ მიღებული ფორმების აღდგენა. რას იცავდა კ. კიკინაძე და რაში ეწინააღმდეგებოდი მე საიუბილეო კომისიის მუშაობისას, ამისი აღდგენა ახლა ერთობ ძნელია, მაგრამ, მას რომ ჩამოეწერა კონკრეტულად: ათ ეს ფორმებია, რომლებიც ა. შანიძის გამო ვერ გვიდა პოემაში, მაშინ ვგების როგორმე იქმების მიხედვით აღვედგინა საქმის ნამდვილი ვითარება. ჩემს გარდა ხომ ბევრი სჭვა იყო! თუ მე ვცდებოდი, ამას, კ. კიკინაძის გარდა, სხვებიც მიხედებოდნენ და მას დაუჭირდნენ მხარს და მისი წინადადება გავილოდა. ჩემი წინააღმდეგობა ამა რას დააკლებდა კ. კიკინაძის საბუთიანობას? ახლა კი, როდესაც ნათელია, რომ 1937 წლის გამოცემის საბოლოო ფაფორმებში მე არავითარი წილი არ მიძევს, კ. კიკინაძის განცხადება ერთობ უცნაური და უსაფუძვლო.

11. კ. კიკინაძის საბოლოო ხერხის შესახებ შემდგე უნდა მოვახსენოთ: ჩემს 200-ზე მეტ შესწორებათა ნუსხაში ერთი აშკარა შეეცდომა გამიპარა: პოემაში იკითხება:

უკუნთ გამოიყვანეს ხასთა მათ წინამდგომელთა (337,2). ამის გამო ეწერად: ტაბე ისეა დაბეჭდილი, რომ მათ უნდა გავიგოთ ნაწევრად

ჩასთა მათ), მაგრამ ამ შემთხვევაში ხასებზე ცოტა ზემოთ უნდა ყოფილიყო საუბარი. ასეთი კი არ არის-მეთქი" და ვიძლეოდი სხვაგვარ გაგებას. შიაკეთ უტრადლება ჩემს სიტყვებს: „ა მ შე მ თ ხ ე ე ვ ა შ ი ხ ა ს ე ბ ზ ე ც ო ბ ა ზ ე მ ო თ უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო ს ა ე უ ბ ა რ ი“. თურმე ყოფილა და მე როგორღაც გამოირჩენია (აღბოთ, სიჩქარის გამო). ობიექტური მოკამათე, რომელსაც საერთო საქმე აინტერესებს, შემინშნავდა: არა, ხასებზე არის ცოტა ზემოთ საუბარი, ამიტომ თავისთავად მოხსნილია მათ სიტყვის სხვაგვარი ინტერპრეტაცია. კ. ჭიჭინაძე კი ო რ მ ო ე დ ა თ ე ე ქ ა ს ე ტ (56) სტრიქონს ანდომებს ამ ამბავს. ეს კიდევ არაფერი. კმაყოფილებით აღსავსე სტრიქონების წერის დროს მან ვერ შენიშნა, რომ შეცდომა თვითონ დაუშვა: წინა მდგომელთა ორი სიტყვაა (როგორც მე ვასწორებ), მან კი გააერთიანა (როგორც 1951 წლის გამოცემაში შეცდომით) და ამით თავის გრძნობასთან ერთად თავისი ცოდნა გამოამჟღავნა.

12. თუ როგორ უტორომელა კ. ჭიჭინაძე, ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ. ახლა კი ერთი მაგალითი მოვიყვანოთ, რომ დაერწმუნდეთ იმაში, თუ როგორი გაგება აქვს მას ვეფხის-ტყაოსნის ზოგი ენობრივი საკითხისა. პოემაში გვხვდება გ ა ი ზ ე ა რ ა ასეთ წინადადებაში:

გამონდეს, სევდეს ტაბლასა, ბუქმან ხმა
გ ა ი ზ ე ა რ ა (450,4). კ. ჭიჭინაძის აზრით ეს ყოფილა თურმე: „ბუქმა ხმას ზეაუწია, გაადიდა“. იგი დასძინა: უფრო სწორია იქნებოდა გ ა ი ზ ე ა რ ა რ, როგორც ეს არის ზოგ გამოცემაში (მაგალითად, — დაუმატებდით ჩვენ, — ვახტანგისაში 1912 წ., ბროსე-ფალავანდაშვილ-ჩუბინაშვილისაში 1841 წ., იუსტ. აბულაძისაში, 1926 წ., და თვით კ. ჭიჭინაძისაში, 1934 წ.). იქ ეს არის ნიმუში მცდარი გაგებისა გ ა ზ ე ა რ ე ბ ა ხ მის აწევს კი არ ნიშნავს, არამედ გაზიარებას, საზიაროდ ვაბდას, ე. ი. გ ა ზ ე ა რ ე ბ ა იგეგვა, რაც გ ა ზ ი ა რ ე ბ ა. მაგრამ, თუ ასეა, რად დაიბეჭდა გ ა ი ზ ი ა რ ა? იმად, რომ რითმა არ დარღვეულიყო (შეარა, ვარა, გაიზიარა), თორემ, ვიმეორებ, ხმან იგეგვა და ვერ მოგვეცემდა „გააზიარა“-ს. ეს კი უნდა ითქვას, რომ კ. ჭიჭინაძე აქ რაიმე ორიგინალობას ვერ იჩინეს. ის ბრძალ მიჰყვება სხვებს: დ. კარიკაშვილს (1903 წ.), რომელიც ამბობს, რომ „გ ა ზ ე ა რ ე ბ ა ამალდება“ არისო, და იუსტ. აბულაძეს (1926 წ.), რომელიც უფრო ვრცლად ხსნის: „გ ა ზ ე ა რ ე ბ ა გადიდება, (ხმის) აწევა, (ხმის) გაძლიერება; გამალდება“. როგორც ვხედავთ, კ. ჭიჭინაძემ ამ საკითხში უეჭველად დ. კარიკაშვილისა და იუსტ. აბულაძის მცდარი შეხედულება „გააზიარა“. როგორ არის საქმის ნამდვილი ვითარება? აი როგორ: ძველდ ხშირად ე ა ი ე რებოდა ნაცულად დღევანდელი იასი: ა დ ა მ ე

ა ნ ი, ქ რ ი ს ტ ე ა ნ ი და ს ხ ე. გ ა ზ ე ა რ ე ბ ა ორთოგრაფიული ვარიანტია გ ა ზ ი ა რ ე ბ ა-სი. „ბუქმან ხმა გაიზიარა“ ნიშნავს: ბუქმი (ტაბლასის) ხმა გაიზიარა, ე. ი. ბუქის ხმა შეუერთდა ტაბლასისას, ბუქი მოზიარე შეიქმნა ხმისა, რომელსაც მასთან ერთად ტაბლაცი გამოცემდაო. კ. ჭიჭინაძისეული გაგება ხმის აწევის შესახებ რომ მცდარია, იქიდან ჩანს, რომ ზ ე ა რ ი არ არის ნაწარმოები ზ ე-საგან, რომელიც ერთ-მარცვლიანია და რომლისაგან რუსთველს თითქო ხელოვნურად შეექმნას რითმისათვის ხეთ-მარცვლიანი „გაიზიარა“ ფორმა, როგორც ეს კ. ჭიჭინაძეს ჰგონია, არამედ სრულიად ბუნებრივი ქართული გამოთქმაა. რატომ მოსდის კ. ჭიჭინაძეს ასეთი შეცდომები? იმიტომ, რომ არ არის კარგად ნახებული ძველ ქართულ ენაში, რომელსაც ცოდნა უნდა ვეფხის-ტყაოსნის საკითხების რკვევისას. რა ვქნა! კვლავ მაგონდება პოემის „თემე იცოდა, წყნარად ზის-შეა“.

13. თავის წერილის ბოლოს კ. ჭიჭინაძეს საჭიროდ მიანია, გამოაქვეყნოს ასეთი განცხადება: „ვეფხის-ტყაოსნის ახლანდელ და მომავალ მკვლევართა საუბრადღებოდ უნდა ითქვას, რომ პოემის ტექსტი არსებითად უკვე დადგენილია. ამ მიმართულებით კიდევ შეიძლება ზოგი რამ გაეკეთდეს, მაგრამ მკირე მასშტაბით არსებობს ვეფხის-ტყაოსნის სამი ძირითადი რედაქცია: პირველი, XVI — XVII საუკუნეების ხელნაწერთა ტექსტი ვრცელი დაბოლოებით, მეორეა ვახტანგ მეფის შემოყვლილი რედაქცია, გამოქვეყნებული 1712 წელს და მასამე — ინდო-ხატველთა ამბით დაბოლოებული, რომელიც დაიბეჭდა 1934 წელს და იბეჭდება დღემდე. მეოთხე ძირითადი რედაქციის გამოშვებება ყოვლად შეუძლებელია“.

ამ განცხადების გამო უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მკვლევართა მიზანი უნდა იყოს არა რედაქციების „გამომშავება“, არამედ რუსთველის პოემის გაცხრილება ჩანართ-დანართი შიარებისაგან და მისი პირვანდელი სახის აღდგენა იმ სახით, როგორც მისმა კალამმა დაწერა. როგორც ერთ წერაში აღვნიშნე¹, მთლიანად ეს მიუღწეველი აღინიღელი ხელნაწერებების უქონლობის გამო, აგრეთვე რუსთველის მიმანდელთა ნახტლავი ჩანართებისა და გადაწერთა შიერ დაშვებულ დამახინჯებათა გამო, მაგრამ კვლევა-ძიებით და საქმის ცოდნით უთუოდ ბევრი რამ გამოირკვევა. კერძოდ, შეიძლება შეცნეირული ანალოზით დამტკიცდეს, რომ ინდო-ხატველთა ამბავი რუსთველის კალამს არ ეკუთვნის. მაგრამ ამზე სხვა დროს.

18. XII. 1956.

¹ ვეფხის-ტყაოსნის ენის საკითხები. II. პოემის შეცნეირული გამოცემისათვის.



3. ჰიუმორ და მეცხრაშობი საუკუნის ქართული საზოგადოებრიობა

ფრანგულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობას ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ ძველ ქართულ დრამატურგიულ მწერლობაში ცხედრებით ფრანგ დრამატურგთა სახელებს და მათ პიესებს, შავალითად, რასანს, კორნელს, მოლიერს და სხვ.

ეს ურთიერთობა განსაკუთრებით ფართო ხასიათს იღებს მე-19 საუკუნეში.

საგულისხმო ფაქტია, რომ ჩვენი შესანიშნავი პოეტი ბესიკი იცნობდა ცნობილი ფრანგი ენციკლოპედისტის ეან ფრანსუა მარმონტელის (1723—1799) ცნობილ ნაწარმოებს „ველიზარიანს“ („Belisaire“) ეს რომანი საფრანგეთში იღვენებოდა, როგორც რელიგიური შეწყყნარებლობის გამოხატველი, როგორც თავისუფალი აზროვნების შემკველი ნაწარმოები. იგი მანვე წიგნად იყო აღიარებული რუსეთის კლერიალურ წრეებში.

მარმონტელის „ველიზარიანი“ ქართულად თარგმნა აბქიმიანდრიტმა გაიოზმა 1782 წელს. გაიოზი იყო ევროპულად განათლებული პიროვნება, ფრანგ განმანათლებლებელთა იდეების მომხრე, პედაგოგი და რიტორი, მან იცოდა ფრანგული, გერმანული, რუსული და თურქული ენები.

ფილოსოფოსის გაიოზის მიერ „ველიზარიანის“ ქართული თარგმანი იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროის ქართული მოწინავე საზოგადოებრიობა გატაცებული ყოფილა ახალი პროგრესული იდეებით. ეს საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობდა მოწინავე ქვეყნებთან ახლო ეკლტურული ურთიერთობის დამყარებას და ამისათვის ნაყოფიერი ნიადაგის მოშუადებას.

„ველიზარიანი“, როგორც ირყვევა, ქართული ხალხის სავარგელი წიგნი გახდა, მან ფართო პოპულარობა მოიპოვა ქართველ მკითხველში.

ბესიკი დაინტერესებული ყოფილა მარმონტელის ამ რომანით. პოეტი ზმირად ასხენებს თავის ლექსებში „ველიზარიანს“. „ველიზარიანის“ სახელე გვევლება ბესიკის 'ლექსში:

„ან-ზე სით მოხვალ?“
ვარამს ვესტრეე, მიწოდდა,
ველისარიონს ქევიანად.

ბესიკის ვარადაცვლების დროს პოეტის მეგობრები მას „ჰკუთით ველისარიონს“ უწოდებდნენ.

მას ბესარიონს, ჰკუთით ველისარიონს,
მე ამით ვაქებ, არ ცუდათ დავიბაქებ;
გონება სრელსა, ცოდნით შენასრელსა,
დიდათა და მცირათა ყოველთაგან სატირთა,
ვა, მის მკარავებსა („ჩვენი მეცნიერება“, 1924, № 1).

ამნაირად გაიოზისა არ იყოს, იღვეურად ბესიკიც ახლოს მდგარმა ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიასთან.

ისიც საინტერესო ფაქტია, რომ ბესიკს სცოდნია გამოჩენილი ფრანგი მწერლის ლესაიის (1668 — 1747) რომანი „ეილ ბლანი“. ბესიკი ლესაიის ამ რეალისტური რომანის გმირს ეილ ბლანს ორჯერ იხსენიებს:

„ეილ-ბლან ზარქვა
უცხოს სჯულთა გარდამსახვად“.
სხვა ადგილას:

„ეილ-ბლანი ერის მეტ ღალღვით
დამხედ არ იყო მსხონითა...“!

საინტერესოა გაირკვეს საკითხი: როგორ, რა გზით გაიცნო ბესიკმა ლესაიის რომანი — „ეილ-ბლანი?“. ორში ერთთა: მან იგი გაიცნო, ან ქართულ თარგმანში, ანდა რუსულ თარგმანში. ეს საკითხი ცალკე კვლევას მოითხოვს.

ეს ორივე ფაქტი და ბევრი სხვა მისალა ნათელს ხდიან იმ ვარაუდებს, რომ მე-18 საუკუნეში ქართველი საზოგადოებრიობა, ნაყოფიერ ნიადაგს უქმნის ფრანგულ-ქართულ ეკლტურულ ურთიერთობას, აერძოდ ლიტერატურულ ურთიერთობას, ამ დროს ეს ურთიერთობა უმთავრესად თარგმანებით ხასიათდება. ითარგმნება ფრანგული კლასიციტური დრამატურგიის დიდი წარმომადგენლები: რასინის კორნელის, მოლიერის, ზგრეთვე ფრანგ განმანათლებელთა მონტესკიეს, ვოტერის, ეან ეაე რუსოს და სხვათა თხზულებანი.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ამ ურთიერთობაში გარკვეულ როლს თამაშობდა რუსული პროგრესული საზოგადოებრიობა, აერძოდ მოწინავე რუსი ინტელიგენცია.

¹ გ. ლეონიძე, ბესიკი, მარმონტელი და ლესაიე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, 30/IX.



მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ფრანგულადან ქართულად თარგმნილი წიგნების რაოდენობა კიდევ უფრო სწრაფად იზრდება.

1872 წელს გამოვიდა წიგნი „თარგმანი საამო საკითხებით თბულუბანთა, გამოცემული ქართული ქალებისაგან“. ნიკო ნიკოლაძე დიდი ყურადღებით გამოეხმაურა ამ კეთილშობილ საქმეს და დაბეჭდა ვრცელი კრიტიკული მიმოხილვა ამ წიგნისა სათაურით: „ჩვენი მწერლობა“. ამ მიმოხილვაში ნიკო ნიკოლაძე წერს „ისეთი თბულუბანები უნდა ითარგმნოს, რომელსაც ზანგრაძე ვინმე წიგნობა და ძლიერი შთაბეჭდილება მოსდევს...“ საზოგადოებრივად, უნდა თქვას კაცმა, რომ დიდად სასარგებლო იქნებოდა ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის, უფრო ხშირად რომ ითარგმნებოდა იმისათვის თბულუბანი, რომელნიც ან ზანგრაძის გარეგნობებისაში გამოადგება ჩვენ საზოგადოებას, ან უფრო ჩვეულებების მიტოვებისათვის, ახალი კაცობრივი წესის შემოღებისათვის, ან და გაუხსნიან იმას გონებას დააჩვენენ უკეთესის სურვილს, საბოროტის ძელილს, და ამ რაგად ნელ-ნელა, ცოტა-ცოტა დაამზადებენ ჩვენი ხალხისათვის უკეთეს მომავალს“. შემდეგ და შემდეგ ქართული მოწინავე ინტელიგენცია მთარგმნელობითი მუშაობით კი აღარ იფარგლება, არამედ ადის სხვა ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე, როცა ქართული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები პირადად ეცნობიან საფრანგეთის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს და მათთან კავშირს ამყარებენ, კამათობენ, ფილოსოფიას, ზელოვნების, ლიტერატურისა და სხვა საკითხებზე, წერენ მათს შესახებ, არჩევენ მათ თბულუბებს, თარგმნიან მათ და სხვ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ალექსანდრე ქავჭავაძე, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ეკატერინე გაბაშვილი, იონა მუენარგია, სერგეი მესხი, დავით კარიჭაშვილი პეტრე შირაძისაშვილი, კოტე მესხი, თედო საბოკია და სხვ.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში, და არა მარტო ფრანგულ ლიტერატურაში, ვიქტორ ჰიუგო წარმომადგენელია ცენტრალურ ფაგურას, რომლისკენაც მიპყრობილი იყო ყველას თვალები. მოწინავე აღმოსავლეთი ცდილობდნენ ვიქტორ ჰიუგოს გაეცნობას, მასთან დაახლოებას. ვიქტორ ჰიუგოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთელ მანძილზე არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი და მოვლენა, რომელსაც არ დაეფიქრებინოს მწერალი, რომელზეც მას არ ეთქვას თავისი მგზნებარე სიტყვა, პუბლიცისტური თუ მხატვრული.

ვიქტორ ჰიუგო უსაზღვროდ უყვარდა მშობიელ ხალხს.

მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები სიყვარულით ასხენებდნენ ვიქტორ ჰიუგოს სახელს, ეწაფებოდნენ მის მხატვრულ ნაწარმოებებს. ილია ქავჭავაძე კმაყოფილებით წარმოთქვამდა ჰიუგოს სახელს, მისი აზრით, საფრანგეთის სახელგანთავსებელი ვიქტორ ჰიუგო იყო ევროპული რომანტიზმის უდიდესი დედაბოძა. ალექსანდრე ქავჭავაძეს, ვახტანგ ორბელიანს, გიორგი ერისთავს, აკაკი წერეთელს, გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, იონა მუენარგიას, სერგეი მესხს, ეკატერინე გაბაშვილს, თედო საბოკიას და სხვა მრავალ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს უყვარდათ ვიქტორ ჰიუგო, თარგმნიდნენ და მწერლის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ სტატიებს აქვეყნებდნენ.

მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრიობა თავის პრესაში ფართოდ და გულისხმიერად ეხმარებოდა ვიქტორ ჰიუგოს ყოველ მნიშვნელოვან ნაწარმოებს, საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგში მწერლის ყოველ საქმიან ნაბიჯს, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე ქართულ მკითხველს აცნობდა ვიქტორ ჰიუგოს მხატვრულ ნაწარმოებებს, ჰიუგოს საზოგადოებრივი მოღვაწეობის მნიშვნელოვან მომენტებს.

ფრანგულ ლიტერატურისა და ვიქტორ ჰიუგოს სახელში ინტერესის გაღვივებას მე-19 საუკუნის ქართულ საზოგადოებრიობაში განსაკუთრებით შეუწყო ხელი ალექსანდრე ქავჭავაძის მაღალმხატვრულმა თარგმანებმა.

ალექსანდრე ქავჭავაძემ პირველმა დაიწყო ვიქტორ ჰიუგოს ლექსების თარგმნა ქართულ ენაზე. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ილია ქავჭავაძის 1883 წლის „ივერიის“ პირველი ნომერი დაბეჭდილი ალექსანდრე ქავჭავაძის მიერ ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „ერთ ქალს“. როგორც ირყვეა, ეს ლექსი ჩვენს პოეტს უთარგმნია 1843 წელს, იგი დაბეჭდვამდე გავრცელებული ყოფილა ხალხში, ხოლო გამოქვეყნებულა 1883 წელს.

ამ ლექსის დაბეჭდვის ისტორია ასეთია: იონა მუენარგია დავით ერისთავის წიგნებში უპოვებია ალექსანდრე ქავჭავაძის რამდენიმე გამოუქვეყნებელი ლექსი და გაუგზავნია ილია ქავჭავაძისათვის „ივერიის“ დასაბეჭდად, თან განუმარტავს, რომ ლექსი „მეფე რომ ვიყო“ ვიქტორ ჰიუგოს ლექსიდან — „ერთ ქალს“ არის თარგმნილი. ილია ქავჭავაძემ ალექსანდრე ქავჭავაძის ეს ლექსები და ჰიუგოს ლექსის ქართული თარგმანი მართლაც მოათავსა თავისი ჟურნალის 1883 წლის იანვრის ნომერში.

ამაირად, ალექსანდრე ქავჭავაძე, რომელმაც საქმისათვის იცოდა ფრანგული ენა უნდა ჩაითვა-

ლოს ვიქტორ პიუგოს ნაწარმოებთა ქართულად თარგმნის დაწყებულ. ამასთანავე, ზევს არ ვფიქრობი, რომ აღუქსანდრე ქავკავაძეს ამ დიდი ფრანგი მწერლის ნაწარმოებებიდან მხოლოდ ეს ერთი ლექსი ჰქონდეს თარგმნილი.

საეკლესიო ფაქტია, რომ 1852 წელს ქუჩანაღ „ციციალის“ პირველ ნომერში რედაქტორმა გიორგი ერისთავმა დაბეჭდა ვიქტორ პიუგოს ლექსი — „ერთი მინეტის სიკვამლე“, რომლის თარგმანი ფრანგულადან მასვე ეკუთვნის.

ამის შემდეგ ეფრნაი „ციციალი“ 1862 წლის მეთერთმეტე ნომერში იწყებს ვიქტორ პიუგოს ახალი რომანის „საბარალონის“ შემოკლებულ თარგმანის ბეჭდვას. ამ რომანის ქართულ თარგმანს მიუძღვნა გიორგი ერისთავმა თავისი ეფრნალის შვილი ნაშერი, თარგმანი შესრულებულია ფრანგულადან გ. დიდებულძის მიერ.

პიუგოს „საბარალონმა“ დიდი ინტერესი გამოიწვია ქართულ საზოგადოებრიობაში. „ციციალის“ რედაქტორს უფრო შემოკლებული თარგმანის დაბეჭდვა ჰქონდა განზრახული ეფრნალის სამ ნომერში, მაგრამ ქართველ მკითხველთა მოთხოვნით თარგმნი გააგრძელეს და იგი კიდევ ოთხ ნომერში დაბეჭდა. მაგრამ ქართული მკითხველი არც ამ შემოკლებულმა თარგმანმა დააკმაყოფილა. მაშინ ილია ქავკავაძემ გადაწყვიტა, ვიქტორ პიუგოს ეს რომანი თავიდან ბოლომდე ეთარგმნინებინა და დაბეჭდოს თავის „საქართველოს მოამბეში“ მართლაც, ილია ქავკავაძის ინიციატივით გ. ჩიქოვანმა დაიწყო თარგმნი „საბარალონისა“, რომელიც განუწყვეტლივ იბეჭდებოდა 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“.

უფრო გვიან „მოამბეში“ ივ. მაკევიანი „საბარალონის“ ხელახალი თარგმანი დაბეჭდა. სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ამ დიდი რომანის ცალკეული ადგილების ქართული თარგმანები. მაგალითად, „პარიზელი ბიჭი“ — თარგმანი ე. ბერტრინე გაბაშვილისა, „მიტოვებულნი“ — თარგმანი ან. წერეთლისა, მიჩიელ ეპისკოპოსი და სხვ.

საინტერესოა შემდეგი ფაქტი. „საბარალონის“ პირველი თავი „ფანტინა“ გამოქვეყნდა 1862 წლის აპრილში ერთდროულად პარიზისა და ბრიუსელში. მალე დაიწყეს მისი თარგმნი რედაქციებში, ამერიკაში, გერმანიაში, იტალიასა და რუსეთში, თითქმის ამავე დროს დაიწყო მისი თარგმნი ქართულად. ფრანგულ ენაზე რომანი შოლიანად გამოქვეყნდა 1862 წლის ივნისში.

ილია ქავკავაძის უშუალო ინიციატივითა, და ხელმძღვანელობით „საბარალონის“ მთელი ტექსტი ქართულად თარგმნი და დაბეჭდა ვანხორციელად 1863 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართული საზოგადოებრიობა იმდენად გაიტაცა ამ რომანმა, რომ მე-19 საუკუნის დასასრულს იგი ქუთაისში პიესად გადააკეთეს და სცენაზე დადგეს. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქართველ მსახიობთა წამყვანი ძალები ასე მაგალითად: ეან ვალეანის

როლს ასრულებდა ლადო მესხიშვილი, კოხტას როლს — ნინო ზევიძე.

გიორგი წერეთელი გატაცებით კითხულობდა ვიქტორ პიუგოს ნაწარმოებებს. 1868 წლის გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდა მთლიანად გიორგი წერეთლის მიერ თარგმნილი ვიქტორ პიუგოს მოთხრობა „ქლოდ გო“.


აღსანიშნავია, რომ ეს მოთხრობა სხვებმაც თარგმნეს ქართულად. ასე, მაგალითად, 1865 წელს ცალკე გამოიყა იგი ზანჯის (გ. ჩიქაძის) მიერ თარგმნილი. ამ მოთხრობამ ფართო პოპულარობა მოახდია ქართველ მკითხველებში.

როგორც კი ვიქტორ პიუგოს მთელი რიგი ნაწარმოებები გამოვიდოდა პარიზში, თითქმის მისინვე თარგმნილობდა ქართულ ენაზე. 1874 წელს გაზეთ „დროებაში“ რედაქტორმა სერგეი მესხმა იმოგზაურა ეფროპაში, ის იყო პარიზში. ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მან გამოაქვეყნა თავისი გაზეთის რამდენიმე ნომერში სათაურით „ქართული ეფროპაში“ (მანი მოგზაურობის შენიშვნები და ფიქრები). 1874 წლის 15 თებერვლის „დროებაში“ დაბეჭდა „სერგეი მესხის მიერ პარიზიდან გამოგზავნილი შემდეგი ცნობა: „ამ თვის ცხრაშეტს აქ გამოვა ვიქტორ პიუგოს ახალი რომანი, რომელსაც სახელად ერქმევა: „რობ-შოიდა ცამეტი“. თქვენ წარმოადგენთ, როგორ მოუთმენილად უნდა მოელოდნენ აქ ამ წიგნის დაბეჭდვას. მთელი რომანი სამ წაწილად იქნება გაყოფილი: პირველ ნაწილს ერქმევა — „ზღვა-ში“, მეორეს — „პარიზში“ და მესამეს — „ვან-დუში“.

აი როგორ ახლოს მისულა სერგეი მესხი პარიზში ყოფნის დროს ვ. პიუგოს ნაწარმოებთა ბეჭდვის საქმესთან, როგორ დაინტერესებული ყოფილა ის პიუგოს ახალი ნაწარმოებებითა: მართლაც, როგორც კი გამოვიდა ვ. პიუგოს რომანი „რობ-შოიდა ცამეტი“, სერგეი მესხმა იქვე გააკეთა მთელი რომანის მოკლე, მაგრამ სავსებით გასაგები შინაარსის თარგმანი და გამოგზავნა გაზეთ „დროებაში“, რომელსაც მისი აქ არყოფნის დროს რედაქტობდა გ. ლორთქიფანიძე. ეს თარგმანი, ცხადია, მაშინვე დაბეჭდა.

გ. მესხი ამ თარგმანის წინ ასეთ განცხადებას აკეთებს: „ეს ახალი რომანი უწარჩინებლესი ეფროპის მწერლისა საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროინდელ ცხოვრებას შეეხება... საუბედუროთ, ღრინისძიება არა ვააქვს, რომ სულ ვადმოვეთარგმნა ეს მშვენიერი რომანი რომელზედაც მთელი ეფროპა ლაპარაკობს... მაგრამ ამ ზოგიერთი ადგილების წაკითხვაც დააჩუქნებს მკითხველს ამ რომანის სიმშვენიერება და მისი ავტორის ნიჭის სიღრმეში“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველ ლიტერატურულ ახალგაზრდობას აინტერესებდა, პირადად გასცნობოდა ვიქტორ პიუგოს. 1877 წელს იონა მენუარგია პარიზში ინახულა ვიქტორ პიუგო.



ამ შეხვედრის დროს ვიქტორ ჰიუგოსა და იონა მეუნარგიას შორის გამართულა საინტერესო საუბარი, რომელიც ი. მეუნარგიას თავის უბის წიგნაკში ჩაუწერია.

როგორც „საბრალონი“ მაგალითზე გამოიჩევა, ვიქტორ ჰიუგოს ზოგიერთი ნაწარმოები საქართველოში ლიტერატურული პავტიონებისა და შეკრებების საგანი გახდა. ჰიუგოს რომანი „ოთხმოცდაათეტი“ სერგეი მესხის შემდეგ ივ. მაკავარიანმა მთლიანად თარგმნა და დაბეჭდა. იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა. ამ რომანიდან მთელი რიგი ცალკე თავები თარგმნა ქართულად. მაგ., „მმა ძმის შტერი“ — თარგმანი ა. წითლიძისა, „ოთხმოცდაათეტიდან“ — თარგმანი დ. ყიფიანისა, „დედა და შვილი“ (საუბარი გოვენსა და სიმერდენს შორის) და სხვა.

საინტერესოა ვიქტორ ჰიუგოს ერთი შესანიშნავი ლექსის („ერთ ქალს“) ბედი ქართულ ლიტერატურაში.

ეს ლექსი, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ აღრე აღუქსანდრე ჰაუპტვანემ თარგმნა. აი ჩვენი პოეტის თარგმანი:

მეფე რომ ვიყო

მეფე რომ ვიყო ესრეთი, ხელთ მეპყრას მთელი ხმელეთი, ფერბო-ჭვე გივებდი ყოელს კეთილს, რაი უვის ხელმწიფებასა, გიორგინს, ქვეყანას, სკობტრასა, პორფირსა, ტახტსა და სრასა, სრულად ვანაცულებდი შენგან ერთს შემოხედვასა.

თუ ვიყო ყოელს შემძლებელ, სამოთხის ულავს განცხრომას, მთიებთ ქვეყანათ, სამყაროთ და პაერთ კეთილ განწყობას, ანგელოზთ ციურს ვალობას, ჩემს მითხედ შემძლებლობასა, გუფუციე, მსხვერპლად უძღვნიდი ერთსოდენ შენსა კონცასა.

როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავს, ვ. ჰიუგოს ეს ლექსი, ა. ჰაუპტვანის ვარდა, ნათარგმნი აქვს აგრეთვე გიორგი ერასთავს, გრაფოლ აბაშიძეს, სიმონ ქვარიაანს, ვახტანგ ორბელიანს, მამია გუჩიელს და სხვ.

ამრიგად ვ. ჰიუგოს ეს პატარა ლექსი საქართველოში გახდა თარგმანის, მიზაძევისა და პაქტრობის საგანი.

ქართულ ენაზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა ვიქტორ ჰიუგოს მთელი რიგი ლექსები, მოთხრობები და პიესები. მაგრამ აქ ჩვენ მათ არ განვიხილავთ. ჰიუგოს ნაწარმოებების ქართული თარგმანების აეკარგვიანება ცალკე უნდა იქნეს შესწავლილი.

რაც შეეხება საკითხს — ვიქტორ ჰიუგო სიყვე-

ლილო დასჯის მოსაზრის შესახებ — აღნიშნავთ შემდეგს: თედო სახოკიაშვიტყვემ დეკ 1891 წელს ცალკე გამოსცა ჰიუგოს ქართული თარგმნობა უკანასკნელი დღე სიყველილო დასასჯელი-სა“. ასევე ითარგმნა ჰიუგოს სიტყვები და წერილები სიყველილო დასჯის მოსაზრის შესახებ. ამ პრობლემა დიანტერესდა ილია ჰავთავაძე, რომელმაც ერთკლი მოხსენება მოამზადა და წაუკითხა იგი მთელმწიფო საბჭოს 1907 წელს 1.

ილია ჰავთავაძეს ვიქტორ ჰიუგოს პიროვნებაში მოსწონდა მწერალი და ტრიბუნი, ხალხისადმი სამსახური, ერის ჰირისა და ლბინის გაზიარება „მწერალი წინ უნდა მიუძღოდეს ხალხებს, როგორც შექერა, და უნგვენბდეს მათ გზას“. ილია ჰავთავაძისთვისაც სწორედ ეს იყო დამახასიათებელი. მასაც ერის წინამძღოლობა, მისდამი სამსახური, ერის ჰირისა და ლბინის გაზიარება მწერლის უძვირფასეს თვისებად მიანდა. ამ მხრივ ვიქტორ ჰიუგოს ყოველი მნიშვნელოვანი პროგრესული გამოსვლა სოციალური ჩაყერის წინააღმდეგ, სამართლიანობის დასაცავად ილია ჰავთავაძის „ივერიის“ ყურადღების საგანი იყო. აქ მივეთიოებთ რამდენიმე ფაქტზე:

1878 წლის 30 მაისს დიდი ფრანგი განმანთავისუფლებლის ვოლტერის ვარდაცუალების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ სხდომამე ვიქტორ ჰიუგომ წარმოთქვა საგულისხმო სიტყვა. ეს სიტყვა „ივერიაში“ დაიბეჭდა 1878 წლის 8 ივნისს. ჰიუგო ამ სიტყვაში მაღალ შეფასებას აძლევს ვოლტერის დეაწლს საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში. ჰიუგო ამ გამოსვლაში სასტიკად კაცავს იმის გამოაღებულბს, იცავს საყოველთაო მშვიდობას. ის აცხადებს: „თუ მოპარვა სამარცხვინოა, დაპურობაც არ უნდა იყოს სასახელო... ნუ იქნება ომიანობა და სისხლმოსილი სახელოვანობა... არა, შეუძლებელია, რომ სოციალუ შრომობდეს სიყველისათვის. არა, მშობელნი, შეუძლებელია, რომ ომიანობამ, ამ მპარველმა გამოვიცალოთ თქვენი ბავშვები. არა, შეუძლებელია, რომ დედაცაო ტანჯვით შობდეს, ადამიანი იბადებოდეს, ხალხი სთესდეს და მუშაობდეს, ფილოსოფოსი სჯიდეს, აღბ-მიცეპობა მიეცეოდეს გასაოცარ წარმატებას — მხოლოდ იმისათვის, რომ წამოაყენოს ეს საშინელი ხალხთა შორის გამოფენა, რომელსაც უწოდებენ იმის ეელს“ 2.

იმვე წლის 31 აგვისტოს ნოპერში „ივერია“ კვლავ უბრუნდება იმის საფრთხის საკითხს და ნატრულობს მშვიდობას. შემდეგ მიუთითებს პარიზში შემდგარ მშვიდობის მოყვარეთა მსოფლიო ყრილობაზე, რომელზედაც თავბეჯდომარეს გამოუტყვევნება ვიქტორ ჰიუგოს წერალი. „ჩვენი ჩვენი არის თესლი საყოველთაო ერთობისა, —

1 ამ საკითხს ჩვენ სხვაგან შეეხებებით.
2 „ივერია“, № 22, 8 ივნისი, 1878 წ.

წერს პიუგო, — მთავრობანი ბევრს რასმეს მეცადინეობენ, მაგრამ უოველი მეცადინეობა ფუჭად ჩაივლის, თუ მიმართული იქნება თავისუფლებითა და მეშახალბის უფლებათა წინააღმდეგ. წარმართებით წინ, ამუშავეთ და იფიქრეთ. მომავალი თქვენია, რადგან გაქვთ ერთი წადილი-შვილობიანობა“¹.

როგორც ვხედავთ, ვიქტორ პიუგო იყო მშვიდობისა და თავისუფლების აქტიური მოღვაწე.

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ვ. პიუგოს ასეთ პროგრესულ შეხედულებებს, მის საუცხოო ნაწარმოებებს იყენებდა განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეების ქილავებისათვის, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ძველთაგანვე მომდინარე ბრძოლების შემდგომი გაძლიერებისათვის, ეროვნული თვითშეგნების უფრო მეტად გაღვივებისათვის.

ვიქტორ პიუგოს დრამატურგიამ გაანაყოფიერა ქართული თეატრი. ქართული საზოგადოებრიობა ვ. პიუგოს დრამატურგიის გაცნობას იწყებს ქუთაისში 1897 წელს. ამ პერიოდში ქუთაისის თეატრის მეთაურობდა ლადო მესხიშვილი. 1887 წლის 19 ოქტომბერს ქუთაისის თეატრში დადგეს ვ. პიუგოს პიესა „ერნანი“. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ლადო მესხიშვილი (ერნანი), ნინო ჩხეიძე (დონა სოლი), ვ. ყიფიანი (გომეც დე სილვა), დ. ჩარკვიანი (დონ კარლოსი).

ქუთაისს მიბაძა თბილისში და 1898 წლის 8 იანვარს აქ ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა ვ. პიუგოს „ერნანი“. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ბ. სვიმონიძე (ერნანი), ეფემია მესხი (დონა სოლი), ვ. გამყრელიძე (გომეც დე სილვა), ე. მესხი (დონ კარლოსი).

გაზეთი „ივერია“ დიდი კმაყოფილების გრძნობით გამოეხმაურა ამ შესანიშნავ მოვლენას და ფართოდ გააშუქა იგი. „ივერია“ წერდა: „პიესა დიდის ნიჭითა და ზელოვნებით არის დაწერილი და უტრიალდობას მსმენელ მაყურებლისას იტაცებს. სიამოვნებით მიეგებებით ამ დრამის ქართულს სცენაზედ წარმოდგენას... კარგია, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიცნო ეს ნაწარმოები საფრანგეთის დიდებულს მწერლისა“².

ვიქტორ პიუგო გარდაიცვალა 1885 წლის 22 მაისს. ეს სამწუხარო ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ მსოფლიოს. ქართული საზოგადოებრიობა დრამა-მწუხარების გრძნობით შეხვდა ფრანგი ხალხის საყვარელ მწერლის სიკვდილს. ვაზუთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილები ვიქტორ პიუგოს საკვდილისა და დასაფლავების შესახებ.

ეს წერილები რედაქციას გამოუგზავნეს პარიზიდან მისმა თანამშრომლებმა პეტრე მირაიან-შვილმა და დავით კარიჭაშვილმა.

პეტრე მირაიან-შვილი „დროების“ ფურცლებზე თავის ვრცელ ფელეტონებს ვიქტორ პიუგოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იწყებს რუსთაველის სიტყვებით:

შაბამ სიტყვა, შაბამ კაცი,
შაბამ საქმე, შაბამ ქმნილი³.

აგრორი საქმის ცოდნით მოუთხოროს ქართველ მკითხველს დიდი ფრანგი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

პ. მირაიან-შვილი არჩევს ვ. პიუგოს ნაწარმოებებს, იღწერს პიუგოს ნაწარმოებთა დაწერის ისტორიას. აგრორის მოქაყას სამშობლოდან განდევნილ პიუგოს წერილი, რომელშიც პოეტი გულს არ იტებს და ვაეკაცურად ზედება თავის ზედს. „მკაცრ დევნილებაში ვარ და მიყისრია იგი, თუნდ არა ჰქონდეს არც ბოლო, არც საზღვარი. და არც უტრიალდობას ვაქცევ, თუ ვინმემ წელი მოადრიკა, ამისთანად, რომელიც უფრო მხნე ეგონათ; თუ შინა აიცილეს მისისთანებმა, რომელნიც არ უნდა შეშინებულყვენ თუ მათი რიცხვი ათასია, მეც იქა ვარ; ასიც, რომ იყვეს, მაინც კიდევ სილას არ შევებუები. თუნდ ათიც არ დარჩენილიყოს, მე შეათე ვიქნები; და თუ მხოლოდ ერთიდაა, ეს ერთი მე ვიქნები“².

ეხება რა ვიქტორ პიუგოს ლექსთა კრებულს „სასჯელნი“, პ. მირაიან-შვილი წერს: „ამ ნაწარმოებში ირონია და კიცხვა გენიოსის ზეღით არის განვითარებული. მის დღეში არ მიღწეულა ამისთანა ძლიერების ხარისხამდე საზარისა და სასაცილოს კავშირი; იმპერიის დაშლისებულნი იქ არიან დადაღუნნი გაბურბული შანითი და გვეშენი სხვა-და-სხვა კილოთი დაწერილი ტაბუხები“³.

რორიდღე დღის შემდეგ ვაზეთ „დროების“ რედაქცია ბეჭდავს პარიზიდან თავისი თანამშრომლის დავით კარიჭაშვილის გამოგზავნილ წერილს: „ვიქტორ პიუგოს გარდაცვალება და დასაფლავება“.

დ. კარიჭაშვილს მოქაყას საყურადღებო ცნობები ვ. პიუგოს ავადმყოფობის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ. მითითებულია იმაზე, რომ ვიქტორ პიუგომ მძიმე ავადმყოფობის დღეებში არ მიიღო კლერკალური წრეების წარმომადგენლები. პოეტს მათთვის შეუთვლია, სარწმუნოებისა და სამღვდლოების შეწვევას არ ესაჭიროებო. გარდაცვალების დღეს გამოუქვეყნებიათ პიუგოს ანდერძი: „უტოვებ ღარიბებს 50.000 ფრანკს, ზემო სურვილია მათი ბაღი-ხინი წამასვენონ სასაფლაოზე, უარყოფო უოველგვარ ეკლესიურა წესის აგებას“. ამ ანდერძ-

¹ „ივერია“, № 34, 31 აგვისტო, 1878 წ.

² „დროება“, № 112, 30 მაისი, 1885 წ.

³ „დროება“, № 112, 30 მაისი, 1885 წ.

¹ „ივერია“, № 6, 10 თინვარი, 1898 წ.

მა ილმფოთება გამოიწვია კლერიკალურ წრებში. „მანთონიდან ღმერთი გამოაძევეს და სატანა შეიყვანეს“, — გააკოლონენ ისინი¹.

ვ. პიუგო დასაფლავებს ვოლტერისა და რუისის გვერდით მანთონში, რომლის შესავალთან სწერია: ღმრთულ შვილთ — მადლიერი სამშობლოსაგან.

დ. კარიკაშვილი აღნიშნავს, რომ ვ. პიუგოს დარქმავის დღეს პროცესია ხუთ კილომეტრზე იყო გაიშვლი, რომ დიდი მწერლის ცხედარს მიაცილებდა მილიონამდე კაცი. ფრანგები ამბობდნენ, ჯერ არაფერ დამარხულა ასეთი დიდებითა.

ავტორის მოქმედ აგრეთვე ენობა, რომ ქართველმა სტუდენტებმა, რომლებიც ამ დროს პარიზში სწავლობდნენ, ასეთი შინაარსის ღებუმა გაუგზავნეს კირისუფალთ: „ვიქტორ პიუგოს მსოფლიო გენიით გაკვირვებული პარიზელი ქართველი სტუდენტობა მოწიწებით იხრის თავს დიდი კაცის საფლავის წინაშე და ეზიარება საერთო მწუხარებას, რომელიც ეწვია საფრანგეთს“².

ვ. პიუგოს დასაფლავების დროს შეტაკება მომხდარა ხალხსა და პოლიციას შორის. პიუგოს ცხედრის გასაცოლებლად პოლიციის წითელი დროშები პოლიციის გაუტაცნია და დაუხვევია. დ. კარიკაშვილი აღნიშნავს: „იქნებ ამ არეულობის მოლოდინათაც იხსნება ის, რომ ცხედარს უკან ატარებელი ჯარი მისდევდა, ვითომ და მიცვალებულის პატივ-საცემად“³.

საყურადღებოა აგრეთვე კოტე მესხის მოგზაურობა ვერონაში, მისი „წერილები საფრანგეთიდან“, რომელიც გაზეთ „დროებაში“ იბეჭდებოდა. ვ. მესხი აღნიშნავს, რომ „ვიქტორ პიუგოს XIX სუიკენის ვარსკვლავს უწოდებენ, რომ მან არაჩვეულებრივი დიდება დაიმსახურა“. ვ. მესხი წერს: „ვ. პიუგომ გამოსახა ახალი იდეალები მწერლობაში, აქადაგა ვეთილშობილური აზრები,

თითონ ენისაც დაეტყო ცელილება. ისეთი მედიდრი, გაბერილი ენა აღარ იყუ, როგორც მის წინათ სწერდნენ, არამედ უფრო ზემოქმედელი, ადვილი, ლაზათიანად შეკავშირებული და აზრების მოკლეთ, მაგრამ გასაგებათ და შინაინად წარმოთქმული“¹.

ვიქტორ პიუგოს დასაფლავების დღეს პარიზში გაზეთ „მოწოდების“ რედაქციას ასეთი ღებუმა გაუგზავნა თბილისიდან: „თბილისის ქართული და სომხური პრესა თანაზიარა ზღება იმ საყოველთაო გლოვისა, რომელიც გამოიწვია დიდი გენოსის სიყვლილმა; მისი უკვდავი ქმნილება ერთგვარად სულს უღვამდა მთელს კაცობრიობას“. რედაქციები ეურნალ-გაზეთების: „დროება“, „ივერია“, „ნობათი“, „არმაგანჯი“, „მელე“, „ხორდაია“, „ალბიურა“².

ქართულ ეურნალ-გაზეთებში აღწერილია დიდი ფრანგი მწერლის ოჯახური ტრაგედიაც. სახელდობრ ის, რომ ვ. პიუგომ თავის სიცოცხლეში დამარხა და გამოიტერა ცოლი ადელ ფეშე და სამი შვილი: ლუიპოლინი, შარლო, ფრანსუარაც შეეხება მეოთხეს — ადელ პიუგოს — ეს ქალიშვილი კენძელ გერმანიზე პიუგოს ოჯახის ცხოვრების დროს მამის დაუეთხავად ცოლად გააუვა ინგლისელ ოფიცერს, რომელთანაც ერთად შემდეგ ის ინდოეთში წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ადელ პიუგო დაქვრივდა და იგი, კვიუიდან შეშლილი, მისმა მოსამსახურემ, მოხუცმა ზანგმა ქალმა მოიყვანა პარიზში. ის მოათესეს პარიზის ერთ-ერთ საავადმყოფოში. ვიქტორ პიუგო ყოველ კვირას ნახულობდა ხოლმე თავის უბედურ ქალიშვილს.

ასეთია ის ცხოველი გამოხმაურება, რასაც იწვევდა ჩვენს საზოგადოებაში დიდი ფრანგი მწერლის ვიქტორ პიუგოს სახელი.

ფრანგულ-ქართულ ლიტერატურული ურთიერთობის საერთო ჯგუფში ვიქტორ პიუგო და მისი დიდი მემკვიდრეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია.

¹ „დროება“, № 116, 4 ივნისი, 1885 წ.

² „დროება“, № 116, 4 ივნისი, 1885 წ.

³ იქვე.

¹ „დროება“, № 3, 6 იანვარი, 1881 წ.

² „დროება“, № 101, 17 მაისი, 1885 წ.

პ. ლონგი



პ. პუშკინის ზღაპარი ქართულ ფოლკლორში

მებაღურისა და ოქროს თევზის ციკლის ხალხური მოთხრობები, რამდენიმე ვარიანტად რომაა დამოწმებული ქართულ ზღაპრულ ეპოსში, ჩვენს ყურადღებას ორი მხრით იპყრობენ. გერკერთი, მათი მეტა ნაწილი ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული და პარალელები არა აქვთ სხვა ხალხთა ეპოსში; მეორე მხრით, ზოგი მათგანი უცხოური წარმომოსხისა და უშეალოდ რუსული წყაროებიდან მომდინარეობს. ამ უკანასკნელი რიგის ზღაპრია, მაგალითად, „მებაღური და ოქროს თევზი“, რომელიც ტრადიციულ სიუჟეტურ სქემას ეწყობა და შინაარსითა და ეპიკური აქსესუარით ალ. პუშკინის განთქმულ „Сказка о рыбаке и рыбке“-ს ებჯინება.

ჩვენ ამჯერად შევჩერდებით სწორედ მასზე. ქართული ზღაპრების ძველ კრებულებში გვხვდება ხსენებული ხალხური მოთხრობის ლექსად გადმოცემული ვარიანტები. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს კ. ოცხანელის (კ. თაგართქილიძის) კრებულში გამოქვეყნებული „მებაღური და ოქროს თევზი“¹ და ჩვენს კრებულში შეტანილი „ბერიკაი, თებზი და დედაბერი“², ორივე მათგანი ალ. პუშკინის ცნობილი ზღაპრის ადეკვატია, შესრულებული ხალხური რეამარცვლოვანი შიარით. მსგავსი სიუჟეტის ზღაპრის სხვა პოეტურსა თუ პროზაულ ვარიანტს ქართული ეპოსი, რამდენადაც ვიცით, არ იცნობს. ის არ გვხვდება არც ე. უმიკაშვილის მასალებში, არც აღნიკაშვილისა და თ. რაზიკაშვილის და არც სხვა კრებულში. გამოქვეყნებული მხოლოდ ეს ორი ტექსტი ჩანს.

არაა ცნობილი, თუ როდის ან სადაა ჩაწერილი კ. ოცხანელის ვარიანტი, არც ის ვიცით,

ტექსტი უშეალოდ ზალშია ჩაწერილი, თუ პირადად კრებულის შემდგენლის მიერაა გადმოღებული პუშკინის თხზულებებიდან. მაგრამ, რადგან ზღაპარი 1895 წელსაა გამოქვეყნებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ჩაწერილია (ან გადმოღებულია) XIX საუკუნის 80—90-იან წლებში. მოცულობით ტექსტი ვრცელია: შეიცავს 276 სტრიქონს (ალ. პუშკინის ორიგინალში კი 206 სტრიქონია). რაც შეეხება მეორე ვარიანტს, იგი პირიქით, პასპორტირებულია. ის ჩაწერილია 1936 წლის 19 ივლისს 65 წლის სიმონ მგელიძისაგან სოფ. ბახეში (გურია) და 212 სტრიქონს შეიცავს.

ორივე ვარიანტი თითქმის ერთნაირად იმეორებს ალ. პუშკინის ზღაპრის ძირითად სიუჟეტურ მოტივებს, მაგრამ ერთერთისაგან დიდად განსხვავდებიან. არც პოეტური ფორმათ, რითმებითა და ინტონაციებით, არც დასაწყის-დასასრულითა და ცალკე დეტალებით ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან. კ. ოცხანელის ვარიანტს ვმჩნევთ გარეგანი ინტერპოლაცია, ჩამწერ — რედაქტორის შალაშინის ავლია ხალხური უშეალობა, რადენიმედ სტილიზებულია; მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ზღვის პეიზაჟის აღწერას, ნაჩოული აქვს ქართული ანდაზები. ასეთი დეტალები არ იცის ალ. პუშკინის ორიგინალში. მეორე ვარიანტიც ანალოგიურად იმოწმებს ცნობილ მოტივებს, მაგრამ მათ უფრო კოლორიტულ ელფერას აძლევს; იყენებს მოსწრებულ ადგილობრივ გამოთქმებს, შენარჩუნებული აქვს ზღაპრული ეპოსის ტრადიციული დასაწყის-დასასრული, უფრო უშეალოდ და ნაყლებ სტილიზებულია. შევადაროთ ისინი ერთმანეთს. პირველ (ოცხანელის) ვარიანტს პირობით ეწოდეთოთ A, მეორეს (ჩვენს) B.

A ვარიანტი:


1. დასაწყისი წარმოადგენს ერთგვარ შეახვალს:

¹ კ. ოცხანელი, არაქები და ზღაპრები, ახალტენაკი, 1895, გვ. 3-21.

² გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937, გვ. 140-145.

B ვარიანტი:

1. დასაწყისი ტრადიციულია: ერთხელ ძველათ, ერ სოფელში იყო ერთი ბერიკაი, მასვე ხვდა ამზანაჯათ მისებრ ბერი დედაკაი. ძალზე იყენენ ღარიბები, არ გაინდათ არასდგერი,



ზღვის პირს იდგა ბერიაცი,
 ცოლი ჰყავდა დედაბერი,
 მობი უდგაი ძველისძველი,
 ფარღალაა ჰქონდა ჳერი.

მთელი შესავალი ამ ერთი ტაეპით ამოიწურე-
 ხა. აქ არაფერია ნათქვამი არც მოხეტია სი-
 ღარიბისა და სხვა მოსაქმეობაზე, არც გატეხალ
 ვარცლზე.

2. ჳმარი იყო მებადური
 თეეზი მისი დასაბერი,
 მით სცხოვრობდნენ სმბრალონი,
 იგი იყო მათი ჯერი.
 ოცდაცამეტ წელს იქ იღვენ,
 ატარებდნენ მუედროთ დროსა,
 დედაბერი ძაფს ართუვდა,
 რომ მით ტანი შეეშოსა.
 ბერიაცი ბაღეს ჰქსოვდა,
 რომ თეეზი არ მოიკლოსა,
 და თუ თეეზს ვერ იშოვნიდნენ,
 მკადსა სკამდნენ, ჰხვრეტდნენ დოსა.

3. ერთ დღეს ჩვენმა მებადურმა
 ზღვაში ბადე გადისროლა...

პირველი და მეორე გადისროლის დროს ვე-
 რაფერი დაიჭირა. მესამედ რომ გადისროლა
 ბადე,

გამოსწია, ოქროს თეეზმა
 მოაყენა ყვითლად შექვი.

4. თეეზი მებადურს კაცის ენით გამოეცაპა-
 რაყა და გაშვეება სთხოვა:
 ოქროს თეეზი ესაუბრა,
 როგორც კაცი, მებადურსა,
 შევედრა: გამიშვიო,
 მოგცემ, რასაც მთოვ და გსურსა...
 მებადურმა თეეზის თხოვნა შეუწყინარა და გაუშვა:

შეაცურა მოჩიღებით,
 ზღვისა მისცა ისევ ზღვასა.
 გზა მშვიდობის, ოქროს თეეზო!
 მიადახა იმან მსა.

5. მებადური შინ ხელცარიელი დაბრუნდა
 და ყველაფერი ცოლს უამბო:

მებადურს რომ მოესმინა,
 ცოლმა მიჰყო ლანძღვას პირი:
 შე სულელო და ჩერჩეტო,
 ახლა კი ხარ მართლა ვირი!..
 თეეზი სახსარს თუ გაძლევდა,
 რათ ივიწყე შენი ჳირი!
 ერთ გობს მაინც გამოსთხოვდი,
 არ უფარვა ჩვენსას ძირი...

მათ საღვომ სახს შიადგენდა
 უბრალო რამ ფაეხა ძველურა
 თანაც ჰქონდათ მათ საქურცლუ
 გატეხილი ვარცხლი ძველი.

2. დედაცაი უმფროსობდა
 და ის იყო მბრძანებელი.
 ბერიაცი თეებს იჭერდა,
 სარჩო იყო მათი მთელი.

აქ დასახელებული არაა მებადურისა და შინი
 ცოლის სხვა მოსაქმეობა, არაა მითითებული,
 არც მათი ერთად ცხოვრების წლები, რასაც
 იენობს, როგორც ალ. პუჭინის ორიგინალი,
 ისე A რედაქციაც.

3. ერთხელ თურმე ბერიაცმა
 გადისროლა ბადე წყალში,
 თეეზი მოხვა იმ ბადეშა
 საურცხოვო, შეტათ კარგი.

აქ ბერიაცმა ბადე მხოლოდ ერთხელ გადის-
 როლა წყალში და მაშინვე დაიჭირა უცხო თეე-
 ზი. მითითებული არაა, რომ ეს ოქროს თეეზი
 იყო.

4. თეეზმა მებადურს გაშვეება სთხოვა:

თეეზმა უთხრა იმ ბერიაც:
 გამიშვიო ისევ წყალში,
 ზემი შექმით ვერ დაჩნები
 გემოვნებით ცხოვრებაში..
 ამ დროს თურმე ბერიაცმა
 ჰე გუეშვა თეეზი წყალში,
 შინ დაბრუნდა ცარიელი
 და მივიდა წბილი სახში.

5. შინ უთეეზოდ გამობრუნებულ მებადურს
 დედაცაემა მიადახა:

რა უყავი თეეზი, კაცო
 შინ რომ ცარიელი მოდი,
 რალა მიეკვამო ჳაცო..
 ახლა უთხრა დედაცაემა:
 ეს თუ არის სიმართლევეო,
 წაი, ვარცხლი გამომთელოს,
 გამოსცადე, ეს ნახევეო...

ამგვარი შედარებით ნათელი ხდება, რომ A და B ერთი ამბის ორი ვარიანტია. მოტივებითაც, მხატვრული სამკაულებითაც შთა შორის სხვაობაა. თითოეული ცალ-ცალკე ასე თუ ისე იმეორებს ალ. პუშკინის ზღაპრის მთავარ მოტივებს, მაგრამ მას კვალდაკვალ არ მიჰყვება. პუშკინის ტექსტით, მაგალითად, დედაბერი თანდათანობით მოითხოვს: 1. ვარკლის გამოთლებას, 2. ქობს, 3. ტახტის აზნაურობას, 4. დედოფლობასა და 5. ზღვის მწყობრელობას. ამ სქემას ოდნავი სხვაობით იცავს A ვარიანტიც აქაც დედაბერი მოითხოვს: 1. გობის (ვარკლის) გამოთლებას, 2. აზნაურობას, 3. დედოფლობას, 4. ზღვათა შეფობას. აქლია მხოლოდ ქობის მოტივი. მაგრამ B ვარიანტი სქემას სულ თავისებურად წარმოგვიდგენს. დედაბერი მოითხოვს: 1. ვარკლის გამოთლებას, 2. დიდ სახლს, 3. დედოფლობას, 4. თევზის მსახურად მოყვანას. აქლია ტახტის აზნაურობის მოტივი. თანაც ეს თევზი ოქროსი კი არ არის, „საურცხოვო მეტათ კარგი“ თევზია.

ამრიგად, შეხადურისა და ოქროს თევზის ქართული რედაქცია მხოლოდ ძირითადად ემთხვევა ალ. პუშკინის პოეტურ ტექსტს, მაგრამ სიტყვა-სიტყვით მას არ მიჰყვება. A რედაქცია პუშკინის ტექსტის გადმოკეთებული თარგმანი ჩანს, B რედაქცია კი მომდინარეობს ამ სიუჟეტის ჩამუშავდა პროზაული პირიდან, რაც ვაგრცოდებული უოფილა არს და ქართულ ხალხებში და აქედან გაუგონია ჩვენს მოქმედ-იმპროვიზატორს.

საიდან უნდა გაჩენილიყო ქართულ ფოლკლორში შეხადურისა და ოქროს თევზის მოტივები? საიდან მომდინარეობს სიუჟეტის A და B რედაქცია? არის თუ არა მათი პირველი უშუალო წყარო ალ. პუშკინის ცნობილი ზღაპარი?

ალ. პუშკინის ზღაპარს „Сказка о рыбаке и рыбе“ შეტად საინტერესო ისტორია აქვს. მისი სიუჟეტი, როგორც სხვა მრავალი ზღაპარი და საგმირო ამბავი, დიდ მგოსანს არაჩა როდონოვსანსაგან (ძიძისაგან) კი არ გაუგონია, არამედ სულ სხვა წყაროებიდან შეუთვისებია. დამახასიათებელია, რომ რუსული ზღაპრული ეპოსი პუშკინამდის ამ სიუჟეტს სულაც არ იცნობდა, არცაა დამოწმებული პუშკინამდელ კრებულებში. ანალოგიური მოტივების შემკველი ხალხური მოთხრობები რუსულ ეპოსში მხოლოდ 30-იანი წლების შემდეგ ჩნდება. პირველად გვხვდება ა. ხუდიაკოვის კრებულში 1860 წელს, ხოლო უფრო მოგვიანებით, 1864 წელს — ა. აფანასიევის „რუსულ ხალხურ ზღაპრებში“. ა. ხუდიაკოვის კრებულებიდან უნდა დავასახელოთ „Заколдованное дерево липка“¹, რომლის მიხედვით დედ-

ბრის ვეველა სერგილს ასრულებს ხე. ბერეკეცა ერთი ხის მოჭრა განიზრახა. ხეშ ადამიანის ენით უთხრა: ნუ მოჭერი და ბედსა გვეყოფი. მას დიდი სიმღიდრე შესძინა; ვახლა ჯერ მასსახლისად, შემდეგ აზნაურად, მოხელედ, გუბერნატორად. ბოლოს, ცოლმა შეფედ ვახდომაც რომ მოინდომა, ხეშ ცოლ-ქმარი დათვებად აქცია. ასე გაჩნდნენ თითქოს დათვები ქვეყანაზე. ამ ზღაპართან ახლოს დგას რეზინული ხალხური მოთხრობა, რომლის პერსონაჟებიდან ქმარი დურგალია, ცოლი — დისასლისი. ქმარი ტყეში ხეს კრავდა. ხეშ სთხოვა: ნუ მოჭერი და გამოვადგებიო. მისცა დიდი სიმღიდრე, მაგრამ ცოლი ამით არ დაკმაყოფილდა. ცოლის მოთხოვნით, ხეშ თანდათანობით ქმარი ჯერ აქცია მთავარ მოსამართლედ, შემდეგ იმპერატორის მრჩევლად, იმპერატორად; ცოლი კი — დედოფლად. ბოლოს, ქალმა ქმრის კაცუმერთად, ხოლო თვითონ ქალ-დემურთად გადაქცევა რომ მოითხოვა, ხეშ ის დამწყველა და გუგულად აქცია.

ა. აფანასიევის კრებულში შეტანილი „Золотая рыбка“¹ კი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ალ. პუშკინის ზღაპრის სიუჟეტურ მოტივებს: დედაბერი თანდათანობით მოითხოვს: 1. პერს, 2. ვარკლის გამოთლებას, 3. ახალ ქობს, 4. ვოევოდობას, 5. დედოფლობას, 6. ზღვის მწყობრელობას. აქ მეტა — მხოლოდ პერსის მოტივი. ჩანს, აქედან ვაგრცოდებულია ამ სიუჟეტის სხვა რუსული ვარიანტები².

ალ. პუშკინის ზღაპარსა და მის წყაროებზე სამეცნიერო ლიტერატურაში ერთმეორის საწინააღმდეგო შეხედულებები არსებობს. ამას ნიდადა შეუქმნა მოთხრობის დიდმა პოპულარობამ და ინტერნაციონალურმა ვაგრცოდებულობამ.

¹ А. Н. Афанасьев, Народные русские сказки, под ред. М. К. Азадовского, Н. П. Андреева, Ю. М. Соколова, I, М., 1936, 117—119; ან იგივე: Русские народные сказки, М., 1952, 314—318.

² Н. А. Иваницкий, Материалы по этнографии Вологодской губернии, М., 1890, 16; Записки Красноярского подъятеля Вост.-Сиб. Отдела РГО по этнограф., т. I, вып. I, Красноярск, 1902, 30; А. М. Смирнов, Сборник великорусских сказок Архива Русск. геогр. общ., вып. I—II, Петроград, 1917, 125, 149, 363; Н. В. Карнаухова, Сказки и предания Северного края, М.—Л., 1934, 210—211; А. Смирнов, Систематический указатель тем и вариантов русских народных сказок, Изв. Отд. русск. яз. и слов. АН, XVII, вып. III, СПб., 1912, 131; Н. П. Андреев, Указатель сказочных сюжетов по системе Лаарне, Л., 1929, 555.

¹ И. Худяков, Великорусские сказки, I, М., 1860, № 37.

შეხადურისა და ოქროს თევზის მოტივებში ერთნული ფარგლები არ იციან და განეყოფნებიან საყოველთაოდ გავრცელებულ ზღაპრულ სიუჟეტთა რიგს¹. მათ სიუჟეტურ ვარიანტებს გამოულობთ გერმანულ, პოლანდიურ, შვედურ, დანიურ, ნორვეგიულ, ისლანდიურ, ფრანგულ, იტალიურ, რუმინულ, ხორვატიულ, პოლონურ, ჩეხურ, უკრაინულ, ბელორუსულ, ლიტონურ, ლატვიურ, ესტონურ, ფინურ, ებრაულ, თათარულ, ჩინურ, ინდურ და სხვა ფოლკლორში.

ხედავს დამოწმებელი აქვს ამ სიუჟეტის 22 ვარიანტი აღმოსავლეთი აზიისა და დასავლეთ ევროპის ხალხთა ეპოსიდან. ზოგ ვარიანტში თევზის მავიჯრად გვხვდება, წმ. პეტრე და პავლე, ღვთაება შ. მ. (მინერში), მეტყუარი, ალახი, ბედი, ხე და სხვ. პანიანტრამში შეტანილი ვარიანტით, ცოლის ჩვევით ერთმა კაცმა ორთავიანად და ოთხხელიანად გადაქცევა ინტარა. როდესაც ნეტვრა აუხრულდა, ის თანასოფლელებს მავნე სქლად მიიჩნევს და იქვე აკურსს. გ. პოლივეკამ პუშკინის ზღაპრის სიუჟეტური ვარიანტები იპოვნა რუსულ, გერმანულ, შვედურ, ხორვატიულ, თათარულ, მორავიულ, გლზასურ ხალხურ მოთხრობებში, რომლებშიაც თევზის მავიჯრად დედაბრის ახირებული სურვილის შემსრულებლად გვევლინებიან ზან ხე, ზან მამალი, მშვენიერი ჩიტი, წმ. პეტრე და ა. შ. ამასთან მკვლევარმა ვერ შესძლო, დაედგინა ხსენებული სიუჟეტის წარმოშობის ადგილი და დრო². შეხადურისა და ოქროს თევზის სიუჟეტის შორეულ ვარიანტებად გ. პოლივეკამ ასეთი ხალხური მოთხრობებიც კი მიიჩნია, რომელთა მახედვით ღარიბი კაცი მიდის ზეცაში, წმ. პეტრეს სასწაულომოქმედ ნივთებს გამოართმევს და საოცარ წარმატებებს მიიღწევს.

რა წყაროებით სარგებლობდა აღ. პუშკინი თავისი „Сказка о рыбаке и рыбке“-ს დაწერისას?

ამ ზღაპრის პირველანაწერები დიდი მგონის არკვეში არ შესახლლა. ვინაიდან არინა რადიონოვნასაიან ჩაწერილი ზღაპრების ნიმუშებში ჩვენთვის საინტერესო ხალხური მოთხრობა არ მოაპოვება, მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს ზღაპარი მას ძიიდან არ გაუგონიათ.

აღ. პუშკინი მკიდრად იყო დაკავშირებული რუსულ ხალხურ შემოქმედებასთან და კარგადაც იცნობდა მის როგორც იმ ხანად გავრცელებულ, ისე გამოქვეყნებულ ნიმუშებს. პეტრე ახლო, შემოქმედებითი ერთიანობა პუშკინს რუსული ეკლტრის ამდროინდელ მოღვაწეებთან, მწერლებთან, ეთნოგრაფებთან, ფოლკლორისტებთან, ლექსიოგრაფოსებთან პირადად იცნობდა რუსული ხალხური ზღაპარ-თქმულებების ცალკე მოქმედებს, გულმოდგინედ ეცნობოდა უცხოურ წყაროებსა და ლიტერატურას და ამიტომ მას შეეძლო ჩვენთვის საინტერესო ზღაპრის სიუჟეტი სხვა წყაროებით გაეცნო. მართებელია ვ. მ. იაკოვის დასკვნა: არინა რადიონოვნას ნაშრომი არ ყოფილა პუშკინის ზღაპრების ერთადერთი წყარო; იგი ხალხური ეპოსის მასალებს სხვა გზითაც კრებდა¹. ახლა დადასტურებულად უნდა ჩითვალოს, რომ „Сказка о рыбаке и рыбке“-ს სიუჟეტი დიდი მგონისათვის უამბნია მის მკვლევარს, გამოჩენილ რუს ლექსიოგრაფოსსა და მწერალს ვლ. დალს. ამ ზღრის ცხადყოფს შეკვლავის და ორივე მწერალთან — პუშკინთან და დალთან — დაახლოებულ პირთა მოგონებებში გამოქვეყნებული მასალები².

ცნობილია, რომ აღ. პუშკინი (1799 — 1837) და ვლ. დალი (1801 — 1872) გულითადი მეგობრები იყვნენ. ისინი ზნობად ხედუბოდნენ ერთმანეთს, ერთად მოგზაურობდნენ რუსეთის პროვინციებში, საუბრობდნენ რუსული ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, ეპოსის, ენის საკითხებზე. მეგობარი დიდ მგონის უამბობდა ხალხური ზღაპრების, თქმულებებისა და ლექსების ნიმუშებს. ვარაუდობენ, თითქმის ეს ზღაპარი პუშკინისათვის დაღს უამბნია 1833 წლის 18 — 23 სექტემბერს, როდესაც ისინი ერთად მოგზაურობდნენ ორენბურგს.

აღ. პუშკინისა და ვლ. დალის მეგობრობა კიდევ მეტად განამტკიცა და უფრო ღრმა შინაარსიანი გახდა დალის მიერ შეკრებილი ხალხური ზღაპრების შიკრი კრებულში, რომელიც გამოიქცა 1832 წელს ლევანსკული კაზაკის ფსევდონიმით³. დალის ამ წიგნში გულით გააზარა რუსე-

¹ В. Майков, Сказка о рыбаке и рыбке Пушкина и ее источники, ЖМНП, V, СПб., 1892, 157.

² П. И. Мельников, Воспоминания о Дале, «Русский Вестник», III, 1873, 298—299; Л. Майков, Пушкин и Далъ «Русский Вестник», X, 1890, 4; В. Майков, Сказка о рыбаке и рыбке Пушкина и ее источники, ЖМНП, V, СПб., 1892, 156—157.

³ Русские сказки, Первый пяток, Казака Луганского, М., 1832.

¹ J. Bolte und G. Polivka, Anmerkungen zu den Kinder- und Hausmärchen des Brüder Grimm, I, Leipzig, 1913, 19; М. Г. Халзискии, Сказки, «Русская литература», под ред. С. В. Анничкова, А. К. Вороздина, Д. Н. Овсяннико-Куликовского, т. I, вып. II, М., 1908, 147.

² G. Polivka, Ribár a zlate ribke, «Narodopisny sborník», I 1897, 49—63.

თის მთელი მამინდელი პროგრესული საზოგადოებრივობა და, მათ შორის, ალ. პუშკინი, რომელიც განსაკუთრებულ აღფრთოვანებით შეეგება მეგობრის წიგნის გამოცემას. ლ. მაიკოვი ამის შესახებ თავის მოგონებაში მოგვითხრობს: «Появление этой книги и подало повод к сближению Дали с Пушкиным на почве дела, которое их обоих занимало»¹.

დალის ზღაპრების წიგნზე ანალოგიური აზრით გადმოცემული პ. მელნიკოვის მოგონებებშიაც: «Они встречены были с восторгом всеми лучшими писателями того времени; особенно Пушкин был от них в восхищении. Под влиянием первого пятка сказок Казака Луганского, он написал лучшую свою сказку о рыбаке и золотой рыбке, и подарил Владимиру Ивановичу ее рукописи с надписью: «Твоя от твоих! Сказочнику Казаку Луганскому, сказочник Александр Пушкин»².

დალის ზღაპრების სხეულში კრებულში მთელი იმდროინდელი რუსული პროგრესული ინტელექტუალური მოწონება კი დაიმსახურა, მაგრამ პირადად მის ავტორს, სახელისა და დიდების ნაცელად, მძიმე განსაცდელი არცენა. ცარიზმის ერთგულმა მოხელეებმა წიგნი აკრძალეს, ხოლო მისი ავტორი სასტიკად დასაჯეს. ამიტომ ათიოდე წლის შემდეგ ამ წიგნის ტრაგიკული ბედის შესახებ დალი, სხვათა შორის, გულისტკივლით წერდა, რომ მისთვის «Меня и похвалили, и побрали писателя, погладили по голове и попросили садиться, между тем как другие просили его ходить и жаловаться только на задний двор»³.

ამრიგად, პუშკინის ზღაპრის პირველწეაროს წარმოადგენს დალის მიერ ნაამბობი ხალხური მოთხრობა.

სწორედ ამას გამოუწვევია ალ. პუშკინის იგავური წარწერა თავისი ზღაპრის იმ პირზე, რომელიც ვლ. დალისადმი მიუძღვნია: «Твоя от твоих! Сказочнику Казаку Луганскому, Сказочник Александр Пушкин!» ე. ი. შენგან ნაამბობ სიუჟეტს, ლექსად გარდაკაზმულად შენვე მოგატყენი, გიბრუნებო! სხვაგვარად, ზენი ბრით, ვერ გავიგებთ ამ ქარავნული წარწერის შინაარსს.

დალი, უნდა ვიფიქროთ, თავის დიდ მეგობარს უამბობდა რუსეთის რომელიმე პროვინციაში

ვაკონილ ხალხურ ზღაპარს და არა უცხოურ წარმოშობის მოთხრობას. დასუსტებული და დასუსტებული არც სცოვნია ამ სიუჟეტის უფლებების წყაროანტების არსებობა უცხოურ ენებზე. ეს არც პუშკინისათვის უფიქროსი ცნობილი. პუშკინს თავისი თხზულების საფუძვლად აუღია სწორედ დალის მიერ ნაამბობი რუსული ხალხური ზღაპრის რომელიც უცხოური ვარიანტი და არა უცხოური წარმოშობის სიუჟეტი. ამიტომ ანაქრონიზმად უნდა იქნას მინიშნული შეხედულება, რომ თითქმის პუშკინის ზღაპრის წყაროა არა რუსული ხალხური მოთხრობა, არამედ პომერანული „შეთევისა“ და მისი ცოლის ზღაპარი⁴, რომლის ერთი ვარიანტი შეტანილია ძმ. გრიშების კრებულში, ხოლო მეორე „ოქროს თევზი“ სახელწოდებით გვხვდება შეედურ ეპოსში. მართალია, გრიშების კრებულში შეტანილი ვარიანტი პირველად გამოქვეყნდა ბერლინში 1812 წელს, ხოლო მისი პომერანულ დიალექტზე ჩაწერილი პირი ცნობილია 1807 წლიდან, მაგრამ მათ, ნაკლებად პომერანობის გამო, ჩანს, არც პუშკინს იღებდა და არც დალი. ამას თვალსაზრისით მოწონებს პუშკინის ზღაპრისა და გრიშების ვარიანტის ტექსტური სხვაობა. გრიშების ვარიანტით, მებადურმა დაიჭირა არა ოქროს თევზი, არამედ სვია — თევზი. სვია მებადურს სიკეთეს დაპირდა და ამ უკანასკნელსაც ის წყალში გაუშვა. მებადურის ცოლმა თანდათანობით სვიას მოსთხოვა: 1. უკეთესი ქოზი, 2. ქვის ციხე-ღარბანი, 3. მეფობა, 4. იმპერატორობა, 5. რომის პაპობა და 6. ღმერთად გახდომა⁵. ქვის ციხე-ღარბანის, იმპერატორობის, რომის პაპობისა და ღმერთად გახდომის მოტყუებებს, რომლებიც ემპეალად შესასაუკუნეების ჩანამატია მოთხრობის სიუჟეტურ ტყალში, სრულიად არ იცნობენ არც პუშკინის ზღაპარი და არც ამ სიუჟეტის რუსული ხალხური (ჩვეულებრივი) მოთხრობები. დიდ მგოსანს რომ გერმანული მოთხრობის სიუჟეტი სცოდნოდა, ამ მოტივებს ვერ გამოტოვებდა და ესათოვად დამოწმებდა. პუშკინისეულ ტექსტთან რამდენიმედ უფრო ახლო დგას ზღაპრის შეედური ვარიანტი — „ოქროს თევზი“, რომლის სრული რუსული თარგმანი 1893 წელს გამოქვეყნდა⁶. მაგრამ პუშკინისეულ ტექსტს არც ეს ვარიანტი მიჰყვება. ამ ვარიანტში, მაგალითად, არ იცის პუშკინის ტექსტის ტახტის ახნაობის მოტივი, პუშკინისეულში ტექსტში კი — შეედური მოთხრობის პირის მოტივი. ასე რომ პუშკინისეულ ტექსტის პროტოტიპებად ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიჩნევა ზღაპრის პომერანულ-შეედური ვარიანტები; მათ დიდი

¹ Л. Майков, Пушкин и Даль, «Русский Вестник», X, 1890, 4.

² П. И. Мельников, Воспоминания о Дале, «Русский Вестник», III, 1873, 298—299.

³ В. Даль, Полтора словъ о нынешнем русском языке, «Москвитини», II, 1842, 549.

⁴ Бр. Гримм, Сказки, М., 1949, 87—95.

⁵ П. Р.—а, Об источниках сказки «О рыбаке и рыбке» Пушкина, «Живая старина» вып. 1, СПб., 1893, 94—95.

პოეტი საეჭვოა, რომ იცნობდა და ისინი არც გაერცვლებულა რუსულ ეპოსში¹.

ალ. პუშკინის ზღაპრის საფუძველი სპეციფიკური რუსული ხალხური მოთხრობაა, რომელსაც სიუჟეტური ვარიანტები სხვა წაღბა ეპოსშიაც შეიქმნებოდა. ანაქრონიზმს წარმოადგენს მკვლევარის მსჯელობა: «Сюжет Пушкинской сказки не специально русской; у немцев и шведов существуют сказки на ту же самую тему. Этого мало: сказки эти сходны с Пушкинской не только по сюжету, но и по плану и даже по деталям. Особенно это сходство выступает в шведском рассказе»². ეს „თანხვედრელობა“ იმის საბუთს არავის აბიძგებს, რომ პუშკინის ზღაპარს მოაშოროს ადგილობრივი ხალხური ნიადაგი.

საკითხში სინათლე ვერც ნ. სუმცოვმა შეიტანა. ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ავტორი მისულა დასკვნამდის: პუშკინს გამოუყენებია ტრადიციული სიუჟეტის რუსული ხალხური ვარიანტი, რომლის პირი გამოქვეყნებული აქვს ა. აფანასიევიჩი³. სინამდვილეში პუშკინს კი არ უსარგებლებია აფანასიევიჩის ვარიანტით, არამედ, პირიქით, აფანასიევიჩის კრებულში შეტანილი ხალხური მოთხრობა „ოქროს თევზი“ მომდინარეობს პუშკინის ზღაპრიდან, შექმნილია მისი ხალხში გადასვლა და პროზაულად გაერცვლებს შედეგად⁴. მაგრამ ერთი ვარაუდია აქ მაინცაა ხაზგასასმული. ა. აფანასიევიჩის კრებულში, ვლ. დალის კოლექციიდან, მართლაც, შეტანილია არა ეს, არამედ სხვა სანტერესო ზღაპარი („გაუმძღარი დედაბერი“), რომელიც სიუჟეტურად შორეულ

¹ ა. ს. მირიანოვის ცნობით, მას ვოლგაზე ერთი ბიჭიდან პირადად ვაუგონია ამ სიუჟეტის ისეთი ზღაპარი, რომლის მიხედვითაც დედაბერმა მოისურვა გამხდარიყო აზნაური, დედოფალი, რომის პაი და ღმერთი (А. Смирнов, Систематический указатель тем и вариантов русских народных сказок, Изв. Отд. русск. яз. и слов., т. XVII, вып. III, 1912, 131), მაგრამ ძნელი არაა, დაერკმუნდეთ, რომ ამ ბიჭს ავტორისათვის უამბნია არა რუსული ხალხური ზღაპარი, არამედ პომერანული მოთხრობა რუსულ ენაზე. ეს კი ორი სხვადასხვა რამეა.

² П. Р.—в, Об источниках сказки «О рыбаке и рыбке» Пушкина, «Живая старина», вып. 1, СПб., 1893, 91—92.

³ Н. Ф. Сумцов, А. С. Пушкин, Харьков, 1900, 287.

⁴ В. Майков, Сказка о рыбаке и рыбке Пушкина и ее источники, ЖМНП, V, СПб., 1892, 157; М. К. Азадовский, Сказка о рыбаке и рыбке, А. С. Пушкин, Полное собрание сочинений, ГИХЛИ, 1931.

კავშირს აბამს პუშკინის ნაწარმოებთან. მისი ერთი ვარიანტით, თევზის როლს ასრულებს ხე, მეორეთი — მელა, მესამეთი კი პიტნა, ჩიტბიწველი ვარიანტით, დედაბერმა მოისურვა: პური, სახლი, საქონელი; მეორე ვარიანტით, ფული, ოქრო, ვერცხლი, შემდეგ მამასახლისობა, მატონობა, პოლიკონიკობა, გენერლობა, მეფობა, ღმერთად გახდომა. ღმერთად გახდომის მოთხოვნისას, ერთი ვარიანტით, ბერიკაცი და მისი ცოლი დათვებად იქცნენ, მეორე ვარიანტით — ძაღლებად. მესამე ვარიანტით, როცა ცოლქმარმა წმიდანობა მოითხოვა, ჩიტმა მათ ჰკითხა: განა წმიდანები ჰყაენ? ფული, ოქრო და ვერცხლი მათ სურვილებათა? ეს ვაფთრდა. ეჭვი არაა, ინალოგური სიუჟეტის ზღაპარი უამბნია დაღს პუშკინისათვის, რომელმაც მას ლიტერატურული სახე მისცა.

პუშკინის ზღაპრის პირველწყაროდ გრიშების კრებულში შეტანილი ტექსტი, მიიჩნია პროფ. მ. აზადოვსკიმ⁵. მისი მსჯელობაც მდუმარედ ემყარება ცნობილ გარემოებას: ენაიდან მებადღერისა და ოქროს თევზის სიუჟეტის ზღაპარს რუსული ფოლკლორი არ იცნობს და ის დამოუშვებელია მშ. გრიშების გერმანულ ზღაპრებში, რომლებიც პუშკინამდისაა გამოცემული, პუშკინის ზღაპრის პროტოტიპიც ეს უყანასწავლით. «Сказка Пушкина совершенно чужда русской традиции, но примыкает всецело к традиции западноевропейской. Ближе всего она к сказке сборника бр. Гриммів», — წერს პროფ. მ. აზადოვსკი⁶. ამავე აზრს აზადოვსკიზე ადრე, 1893 წელს, იცავდა პ. რივი⁷, ხოლო 1906 წელს — ვ. სიმოვსკიც⁸. პროფ. მ. აზადოვსკის დამსახურება აქ მხოლოდ ისაა, რომ მან გერმანულ ზღაპრის შეადარა პუშკინის ტექსტის ავტორიადელი შავი, რომელიც თავის დროზე გამოაქვეყნა ს. ბონდომ⁹. ავტორიადელი შავის თანახმად, დედაბერი მოითხოვს რომის პაპობასაც. რაც ზღაპრის დაბეჭდილ ვარიანტში შეტანილი არაა. სხვა მხრით ტექსტებში სხვაობაა. მაგრამ განა მხოლოდ ეს საბუთი საკმარისია იმისათვის, რომ ვამტკიცოთ პუშკინის ზღაპრისა და გერმანული ხალხური მოთხრობის სიუჟეტის განეტიკური თანხვედრელობა? განა ასეთი

¹ М. Азадовский, Литература и фольклор, Л., 1938, 68.

² П. Р.—в, Об источниках сказки «О рыбаке и рыбке» Пушкина, «Живая старина», вып. 1, СПб., 1893, 91—92.

³ В. В. Сиповский, «Руслан и Людмила» (к литературной истории поэмы), «Пушкин и его современники», IV, М., 1906, 81.

⁴ С. М. Бонди, Новые страницы Пушкина, М., 1931; М. Азадовский, «Живая старина», 1931, 71—72.

საგომ ბერსაშია



ღამო მესხიშვილი

ერთ-ერთ რუსულ ჟურნალში „გოლუბოის“ ფსევდონიმს ამოფარებული ვინმე თეატრალი ლადო მესხიშვილის სასცენო მოღვაწეობის დახასიათებისას წერდა, რომ იგი „არის ქართველი ხალხის ცრემლთა დირიჟორი და მის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს უნახესი სიყვარული“. ამ მოხდენილი გამოთქმით ავტორს უნდოდა აღენიშნა რომ ლ. მესხიშვილი აღლოს ეძღვება ხალხის სულიერ განწყობილებას, მის მისწრაფებებს და თეატრში შემოქმედებით მუშაობას ისეთნაირად წარმართავდა, რომ მყუერებელზე უღრმესი შთაბეჭდილება დატოვებინა: აფეთქებინა მისი გრძობები, დემოკრატიზებინა მისი აზროვნება, ნახელისა და გაგონილის წიაღში ღრმად შეჭრილყო, გამოეტანა სათანადო დასკვნები, აღმასწავლებელ ფაქტს გამოეყვია შემფთობება, აღძრა ამ უუღელმართ მოელენათა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი, ხოლო სამხარელო ამბებს — საიღ, გულს დარღის გადაყრელო სიცილი და სიამოვნების გამოხატეული ემოციები.

ზემო გამოთქმული აზრის გახსნას თუ ასეთი გაგებით მივედგებით, ლადო მესხიშვილი მართლაც რომ დირიჟორი იყო ქართველი ხალხის გრძობებისა და დირიჟორის უადისნური ჯიბი მთელი 40 წლის განმავლობაში ეყარა ხელთ.

ლ. მესხიშვილი ვერთვინოდა ქართველ ძველ მსახიობთა იმ დიდებულ პედაგას, რომლის წარმომადგენელიც მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდნენ გასული საუკუნის შობიან წლებში, გულწრფელად და რთადეუზოგავად ემსახურეს სასცენო ხელოვნებას. ისინი უარყოფდნენ განყენებულ ფორმულას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, მთელი არსებით იზიარებდნენ იმ აზრს, რომ ხელოვნება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს და მას უწყვედს მომსახურებას. აქედან გამომდინარე, ისინი შედგრაღ იზრძოდნენ იმისათვის, რათა სასცენო ხელოვნების ცხოველყოფილი შექმნებოდა მოძვენოდა ხალხის ფართო მასებს.

ამ მებრძოლთა შორის ლ. მესხიშვილი მუდამ მოწინავეთა რიგებში იდგა. ის აქტიურული ნიჭით ბუნებისაგან უხეად იყო დაჯილდოებული და ძალღონეს არ იშურებდა, ეს უნარი მყუერებლის წინაშე საეხებით ვადეამალა, ხალხისათვის მოუხმარებინა. მისმა არტისტულმა გენიამ ქართული

თეატრის განმტკიცება-განვითარებას დიდად შეუწყო ხელი.

ლ. მესხიშვილი დიადი იყო როგორც მოქალაქეც. იგი განუწყვეტლოვ თვალიერებს აღვენებდა ხალხის ჭირ-ბარას, სწავლობდა გზებს, რითაც შეიძლებოდა მისი მღგომარეობის გაუმჯობესება და განუწყვეტლოვ ებრძოდა მონარქისტული წყობილების მოკუქვლთ, რომელნიც იცავდნენ ცარიზმის პოლიტიკურ რეჟიმს.

ასეთი იყო ამ დიდბუნებოვანი ადამიანის მოღვაწეობა საზოგადოებრივ ასპარეზზე... და დღესაც ქართული თეატრის ეს ტიტანი კვლავ ცოცხალივით დგას ზვეწ წინაშე მთელი თავისი სიდადივით და გვაძლევს მავალიის იმისას, თუ როგორი უნდა იყოს მსახიობი როგორც სცენური საბეების შემოქმედი და რა უნდა ასულდგმულბუნდეს იმავე მსახიობს როგორც მოქალაქეს.

100 წელწაღი შესრულდა ლ. მესხიშვილმ დაბადებიდან და როცა ხალხი მას კვლავ დიდას იყვარულითა და პატივისცემით იხსენიებს, საჭიროა მოკლედ შევხებით მისი ცხოვრების თავგადასავალს, აგრეთვე აღენუსხოთ მისი ნამოღვაწევი, რამაც ეს ადამიანი ქართული თეატრის საქმიანობაში ლვეწდარულ პირად აქცია.

ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 1857 წლის 16 თებერვალს, ქ. თბილისში, შობილებმა პატარაობისას სასიყვარულო სახელი ლადო დარქვეს და ის დღემდე ამ სახელით იხსენიება. შამამისი სარდიონ მესხიშვილი პროფესიით ეკიმი იყო და მსახურობდა სამხედრო უწყებაში. იგი თავის ვაჟარს სპეციალით არ ემყოფილდებოდა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც იღებდა მონაწილეობას, ეწეოდა მწერლობასაც და ითვლებოდა ჟურნალ „ცოცხარის“ თანამშრომლად. ლადოს დედა ნოლოყაშვილის ქალი იყო — დინჯი, ნაკითხი, დარბაისელი და იჯახის უსაზღვრო მოყვარული.

ლადო პატარაობისას მკვირცხლი, ნიჭიერი, ლამაზი და კეთილი გულის ბავშვი ყოფილა. სწავლის დაწვეების სურვილი ძლიერ ადრე — თბილისის ასაკში აღძრა. მისი უფროსი ძმები შობილებმა იმ დროს თბილისში არსებულ კანონიის პანსიონში მიიბარეს. პატარა ლადომ ეს ამბავი გაიგო თუ არა, მოიხიზოვა იგივე გაეგზავნათ სასწავლებელში. პანსიონის გამგემ კანონიის ქალმა ბავშვი ძლიერ შეიყვარა და ყოველნაირი პირობე-

ბი შეეცნა იგი აქ დაჩენილიყო ამ პანსიონში მეცადინეობა ფრანგულ ენაზე წარმოებდა. ლადო ამ თოთქის ოთხ წელწიდან დაყო და ფრანგული ლაბრაჟიე საემალე შეისწავლა. შემდეგ კი შშობლებმა პასტორ ლეზენდორფის პანსიონში გადაიყვანეს. აქ სწავლა ბავშუს გერმანულ ენაზე დაწყებინეს. ამწინადად, 8-9 წლის ასაკში მყოფი ბავშვი სრულიად არანორმალურ და არა პედაგოგიურ პირობებში იზრდებოდა. იგი შშობლოურ ნიადაგს პატარაობიდანვე მოსწუდა, ქართული ენა მას იშვიათად ესმოდა, ხოლო რუსულთა, გერმანული და ფრანგული კარგად შეისწავლა. ლადო დროგამოშვებით შშობლებს სახლში მოჰყავდათ. აქ ხშირად რამდენიმე დღე რჩებოდა და აგროვებდა თავის ტოლებს და ძველ სახლების ქართულ ბანებზე პატარა-პატარა სანაბანებს მართავდა. ასე რომ, თეატრისადმი ღრულვა მას ბავშვობიდანვე დაეტყო.

მაღე ლადოს შშობლები დავსოცა და ბავშვების შეურვეობა მათმა ბიძამ მიხეილ ალექსი — მესხიშვილმა იყისრა. მეურვე ბიძას ბოროტი აზრი დაებადა მან ობლების ქონების მითვისება განიზრახა. ამ მიზნით ისინი თავიდან მოიშორა და სწავლის მისაღებად რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში გადაიტანა. ლადო კივეში გაგზავნა და სამხედრო კორპუსში მოაწყო ოფიცერი უნდა გამოესწავლა. ლადო სამხედრო სასწავლებლის დისციპლინას ვერ შეეგუა, ამას გარდა არ მოსწონდა თვით სამხედრო სამსახურიც და მეორეხე კლასიდან სასწავლებელს თავი დაანება. დაბრუნდა თბილისში. მან გადაწყვიტა შეესწავლა საექიმო დარგი. ამიტომ მოსთხოვა მეურვე ბიძას ნივთიერი სახსარები, მაგრამ ამ უკანასკნელმა ყოველგვარი დახმარებაზე უარი გამოუცხადა და თანავე სახლიდან გააძევა. 14 — 15 წლის ბავშვი სრულიად უპატრონი დარჩა და ვინ იცის, ასეთ მდგომარეობაში მყოფი სად, ან რომელ უცხოურულში გადაიჩენებოდა, რომ არ აღმოჩენილა მფარველი. ეს მისწელი იყო მიწინავე იდებნისათვის მეფის მთავრობის მიერ მოსკოვიდან თბილისში გადმოსახლებული პროფესორი დობროდევო. მან ლადო იშვილა და დაუწყო მზადება ე. წ. სიმფიფის მოწმობისათვის. რამდენიმე წლის შემდეგ პროფ. დობროდევს მოსკოვში ცხოვრების ნება მისცეს. მან შელობილი თან წაიყვანა და მოაწყო უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტზე. მოსკოვში ლადო ავად გახდა. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ექიმებმა ურჩიეს საშობლოში დაბრუნება. შეწყვიტა სწავლა და ჩამოვიდა თბილისში. მაგრამ აქ თავის რჩენა და ცხოვრება იყო საჭირო. ეს გარემოება მისმა მამობალმა წინდაწინვე გაითვალისწინა, დაეხმარა ზაებარებინა გამოცდებში მასწავლებლის მოწმობაზე. ლადო თბილისიდან გადასახლდა თელავში და იქ წმ. ნინოს სახელობის დედათა სასწავლებელში მასწავლებლად მოუწყო იგი პედაგოგიურ ასპარეზზე სამი წელიწადი მოღვაწეობდა.


ამ პერიოდში ლადო თეატრით დაინტერესდა

და მოჰყავდა ხელი სასცენო ხელოვნებას შესწავლას და აღებრა სცენაზე მუშაობის სურვილი. 1881 წ. მასწავლებლობას თავი დაანება, ჩამოვიდა თბილისში და მოუწყო მსახიობად რუსულ-დრამატულ თეატრში.

1881 წ. რუსულმა დამმა, რაღაც საქველმოქმედო მიზნით წარმოადგენა გამართა. დადგეს ჩერნიშევის პიესა „Испорченная жизнь“. ლ. მესხიშვილს დააკისრეს მთავარი გმირის ქურჩავეის როლის განსახიერება. წარმოადგენს ჰეენა მწერლები და საზოგადო მოღვაწეებიც დაესწრეს. მოღმებუტემ დაკისრებული როლი მშვენიერად შეასრულა. ჩეენმა მოღვაწეებმა გაიგეს, რომ ახალგაზრდა მსახიობი ქართულია. ილია ჭავჭავაძე, დავ. ერისთავი და მიხ. ბებუთოვი, მწერლობაში „ემბეს“ ფსევდონიმით ცნობილი, პირველ რიგში იხსნდნენ და მის თამაშს გაფაციკვებით აღვენებდნენ თვალყურს. ისინი მეორეხე მოქმედების შემდეგ ავიდნენ სცენაზე და ლადოს გაეცენენ. შეაქეს და წინადადება მისცეს ქართულ სცენაზე გადავიდეს სამუშაოდ. ლ. მესხიშვილიც საამოვნებით დთანხმდა და მეორე დღესვე ჩაირიცხეს მსახიობად ქართულ თეატრას დღესში...

1881 წ. 10 ოქტომბერს ლ. მესხიშვილი პირველად გამოვიდა ქართულ სცენაზე, პიესაში „შეშლილი“ ასრულებდა ვილკენსის როლს. მას გამოსვლა ძლიერ გაუჭირდა. ენის უკოდინარობა საშუალებას არ აძლევდა, ლადოდ ემოქმედა სცენაზე და არც თვით როლი იყო დიდი გაქანების მიუხედავად ამისა, ყველანი აღიარებდნენ, რომ იგი გრძობის აბრისტია, დაჯილდოებული აქტიორული ნიჭით და აქვს დიდი მომავალი. იმავე წლის 17 ოქტომბერს ჩერნიშევის ზემოდახსენებული პიესა დადგეს „დაქცეული ოჯახის“ სახელით (გადმოკეთა ივ. კერესელაძემ), ლ. მესხიშვილი ასრულებდა მთავარ როლს ინდოს. თუ პირველად გამოსვლას მორცხვობა და გაუბედობა ეტყობოდა, აქ ეს ნაკლებად აღაბა და თავისი ბუნებრივი ნიჭით მოველინა მყურებლებს. ახლა პრესაც აღტაცებით მიეგება: ყურნ. „ივერიის“ ხელმოუწერელ რეცენზიის ავტორი (რომელიც წერის მანერით და სტილის მიხედვით ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს), წერდა: „ყველაზე დიდი მთაბეჭდილენა პედაგოგზე მოახდინა აღქმე-სევე-მესხიშვილი...“ ამ დრამატურულ როლში ახალმა მოთამაშემ გამოიჩინა ნამდვილი ნიჭი. იმის გრძობიერი, ელგებრონული ხმა, იმის სცენის ცოდნა ბეერჯერ დაავიწეებს მყურებელს რომ ის თეატრშია. „დაქცეული ოჯახის“ წარმოდგენაზე ბეერი ატირა ჩეენი ქალები და თავის მონოლოგებით საკმაოდ გაათბო ჩეენი ცივი, ცარიელი თეატრი“.

ლ. მესხიშვილის ნიჭის დიამაზონი, აქტიორული უნარი და მომავლის პერსპექტივები საყვებით გამოქმედუნდა 1882 წ. 20 იანვარს, როდესაც მყურებელს პირველად უჩვენეს დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული ისტორიული დრამა „სამ-



შობლო“. იგი ასახიერებდა ლევან ხიმშიაშვილის როლს. მან შეედარებელი ოსტატობით გამოკვეთა დიდი პატრიოტის და რაინდული თვისებების მქონე ვაჟაკის სცენური სახე, ლადოს გულის სიღრმეში ჩაწევიდან ხამ და გარეგნულმა სილამაზემ დაატყვევა მაყურებელი. ტაშის გროაღს საზღვარი არ მქონდა, რაც ბოლოს ოჯახიანი გადავიდა. ზოლო როცა პიესა 22 იანვარს ზელახლა გაიმოკრეს, წარმოდგენის შემდეგ ზელში აიტაცეს, ტაშითა და ვაშის ძახილით ვტლამდე მიიყვანეს. მაყურებელი საბოლოოდ მოხიზლა მესხიშვილის აქტივობაში ნიჟმა.

1883 წელს ლ. მესხიშვილის ცხოვრებასა და საერთოდ, ქართულ თეატრის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა: 20 თებერვალს პირველად დადგეს ქართულ სცენაზე უ. შექსპირის „ჰამლეტი“. ლდი ჰამლეტის როლს ასახიერებდა, მაშინ ამ პიესის ივ. შახაბლიცელი თარგმანი არ არსებობდა. ის დაადგა ანტონ ფურცელაძის უხეირო თარგმანით, მიგრამ აქტივობის ხალხში ნიჟმა იეს ნაელი საკმოდ დაძლია, მისმა ჰამლეტმა მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

ლადო თბილისის სცენაზე 1889 წლამდე მუშაობდა. ამ პერიოდში მისი ნიჟმა საესკეზით გაიფურჩქნა: ქართულ სცენაზე შესაძლებელი შეიქნა მსოფლიო კლასიკოსების—შექსპირის, შილერის, კ. გუცყოვის და სხვათა ვანსახიერება. და მესხიშვილი ერთ-ერთი დამსახურებავი ქართული თეატრის წინაშე სწორედ ამაში მდგომარეობს.

1889 წ. მესხიშვილს თბილისის დრამატულ საზოგადოების გამგეობასთან უსიამოვნობა მოუვიდა და იძულებული შეიქნა თეატრისათვის თავი დაენებებინა. იგი გადასახლდა რუსეთში და სხვადასხვა ქალაქის რუსულ თეატრებში მუშაობდა. იქ დარჩა თითქმის ოთხი წელიწადი. რუსულ თეატრში მუშაობამ მას ბევრი ცოდნა და გამოცდილება შესძინა, საესკეზით ჩამოყალიბდა, როგორც აქტიორი, და შეისწავლა რეჟისურაც. 1893 წ. ისევ ქართულ სცენას დაუბრუნდა თბილისში და იმუშავა 1895 — 1896 წლის სეზონის დამთავრებამდე. ამ პერიოდში ის მხოლოდ მსახიობობით არ დაემყოფილებულა და რეჟისორობაც დაიწყო. მისი პირველი რეჟისორული ნამუშევარი მაყურებელმა ნახა 1894 წლის 16 ნოემბერს, დადგა დ. ერისთავის მიერ ვადმოკეთებული „მეორედ გაყმაწვილება“ (დრამა 4 მოქმედება). ამის შემდეგ ის მუდამ მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად.

1897 წ. მუშაოდგომიდან ლ. მესხიშვილი ქუთაისის თეატრში იწყებს მუშაობას. ქუთაისის თეატრის მუშაობა მან ძირიან-ფესვიანად გარდაქმნა. უპირველესად ყოვლის უკუაგლო უფრო დიდი და მსუბუქი კომედიო-ვოდევილები და დამოკვიდრა სეროზული რეპერტუარი. ასპარეზი გაუხსნა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის კლასიკურ დრამატურგიას. ამას გარდა დადგა ახალ ქართულ, რუსულ და დასავლეთ ევროპის გამოჩენილ დრამატურგთა ნაწარმოებებს. რეპერტუარის შე-

რჩევისას მთავარ ყურადღებას აქცევდა ისეთ პიესებს, სადაც გამაზვიანებელი იყო სოციალური საკითხები, აგრეთვე დაგამა ვსულ ქართულ დრამატულ ნაწარმოებებს, სადაც ასახული იყო ქართველი ხალხის გმირული წარსული და მისი ბრძოლა თავდასხმელი მტრის წინააღმდეგ. ამიტოვად, ერთი მხრივ, იმდროინდელი ცხოვრების პირობების უარყოფითი მხარეების გამოშვეურებით ხალხს აშხედრებდა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ და მიუთითებდა, როგორ უნდა იბრძოლონ უკეთესი მომავლის შექმნისათვის, მეორე მხრივ ისტორიული წარსულის სერათების გადაშლით, იმავე ხალხის ერთგულად გამოფხიზლებას ხელს უწყობდა და უნერგავდა რაინდობის, გმირობის, მეგობრობის, სამშობლოსა და ხალხისათვის თავგანწირვის სურვილს, მისწრაფებას.

საილუსტრაციოდ დეკორაციებზე რამდენიმე პიესას მესხიშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი ქუთაისის თეატრის რეპერტუარიდან: „დალატი“ ალ. სემბაძისეული-იუენისია, „სამშობლო“ დ. ერისთავის, „ქეთვან წამებელი“ (კონსტანტინე ბატონიშვილი“) და „არსენა“ ალ. ყაზბეგისა, „დარისპანის ვასპური“ და „იორინეს ბედნიერება“ დ. კლდიაშვილისა, „და — ძმა“ ვ. გუნიასი, „რევიზორი“ გოგოლისა, „შემოსავლიანი ადვოკატი“ და „უდანიანელი დამნაშავენი“ ა. ოსტროვსკისა, „კრეჩინსკის ქორწინება“ სუხოვი — კობაღინისა, „ჰამლეტი“ და „მეფე ლირი“ უ. შექსპირისა, „ყაზალები“ და „ვერაგობა და სიყვარული“ ფ. შილერისა, „ურთელ აოსტა“ კ. გუცყოვისა, „ყან და მადლენა“ ოქტავ შირბოსი, „კია გრაცე“ მონტისა, „ექიმი შტოკმანი“ და „ნორა“ იხსენისა, „იუდეითი“ ჯეაყოშტისა, „ფეიქრები“ და „ავადყოფი ხალხი“ ჰაუბტმანისა, „რევი ბლანი“ პიეგოსი და სხვ.

ლ. მესხიშვილი დიდ ყურადღებას აქცევდა სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებას. ამ მიზნით ყოველწლიურად ამზადებდა სტანდარტულ დეკორაციებს (იმ დროს ასეთი დეკორაციები წესად იყო შემოღებული) და აყვარებდა ტანისამოსს, ხოლო ზოგიერთი დადგმისათვის სპეციალურ დეკორაციებსა და ტანისამოსსაც კი ამზადებინებდა, რაც იმდროინდელ ქართულ თეატრში იშვიათი შემთხვევა იყო. ამას გარდა მუდამ იბრძოდა ანსამბლისათვის. „დიდი და პატარა როლი არ არსებობს, ყველა როლი თანაბრის აქტიორული სიძლიერით უნდა შესრულდეს“, — ასწავლიდა მსახიობებს და ცდილობდა ეს შეხედულება განხორციელებინა როგორც მსახიობთა თამაშში, ისე მასობრივ სცენებში.

ლ. მესხიშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა ახალგაზრდა კადრების გამოვლენისა და აღზრდის საქმეში. მან ბევრი ახალგაზრდა ქალაქი აღზარდა სცენაზე. ესენი არიან: ნინო ჩხვიძე, ნინო დავითაშვილი, მარო მდივანი, ნატ. ჯეჯეანიშვილი, ლიზა გუტუაძე, დესპინე ივანიძე, ალ. იმედაშვილი, იუნა ზარდალიშვილი, ნიკო გეგარაძე, ან. მუ-

რუსიძე. მისივე ხელმძღვანელობით გამოვიდნენ სცენაზე და შემოაბა დაიწყო რეჟისორებმა: ალ. წყნაშვილი, ვლ. შალვაშვილი, მიხ. ქორაბეძე და მრავალი სხვამ. თეთი ლ. მესხიშვილის აქტიორულმა შემოქმედებამ ქუთაისშივე მიადგინა განვითარების უმაღლეს მწვერვალს. მან იქ გამოკვეთა თავისი უკუდავი სცენური სახეები, რომლებიც ასე ხიზლავდა მაყურებლებს, ქართულ სცენაზე ხანგრძლივ მოღვაწეობის პერიოდში მას შესრულებული აქვს ორასამდე როლი სხვადასხვა ეპოქის პიესაში. მესხიშვილი მოწოდებით დამატებული როლების შესრულებული მსახიობი იყო, მაგრამ აქტიორული დიპლომატიის სიფარტოვე სრულ შესაძლებლობას აჩვენებდა დიდი გაქანებით განესახიფრებინა ტრაგიკული როლები, ძლიერ ეხერხებოდა აგრეთვე კომიკური როლების შესრულებაც. ამის ნათელ სურათს მოგვცემს როლების უბრალო დასახელებაც კი: ლევა ხომშიაშვილი და შაჰაბაზი — „სამშობლო“, სულეიმან ხანი — „ლაღტი“, ხარბონ ფილიპი — „გაყრა“, გიორგი ფალავა — „და — ძმა“, გოჩა — „თამარ ცხივირი“, კოტე ფანტიშვილი — „ხანუმა“, ზაქარია და საქელი — „რკვი ვინახავს, ვეღარ ნახავ“, ნეზამიოვი — „უღამაშელო დასჯილი“, რასულბეი — „კრეჩინისკის ქორწინება“, ჩაკი — „ვაი კუეისიგან“, გორდინი და ბოზინსკი — „რევიზორი“, ნიკიტა — „ცოცხალი ლეში“, არტონ ზაზნიოვი — „პეპო“, პომლეტი, ოტელი, იულიოზ კეისარი — იმავე სახელწოდების პიესები, შეილაკი — „ვენიციელი ვაჭარი“, ელგარი — „მედი ღირი“ რომეო — „რომეო და ჯულიეტა“, ურიელ აკოსტა — „ურიელ აკოსტა“, ფრანც და კარლოს მოორები — „ყაილები“ (ამ ორ როლს ხშირად ერთსა და იმავე დროს თამაშობდა), არმან „მარგარიტა გოტიე“, კინი — „ედმონდ კინი“, შტოკმანი — „ევიმი შტოკმანი“, კაი გრაცხი — „კაი გრაცხი“ და სხვა მრავალი.

ლ. მესხიშვილი უხვად იყო დაჯილდოებული აქტიორული ნიჭით, მქონდა შეუღლებელი ვაჟ-კატორი სილამაზე, უსასღვრო ტემპერამენტი, ზღვა გრძობები, მქონდა გულის სიღრმეში ჩამწვდენი ხაერდოვანი ხმა, შესანიშნავი დიქცია. როცა სცენაზემ ურანის განსაზიერებისას თავის დახრჩობის სცენაში კინაღამ მჩაივლიდ და იხრჩობდა და უელი დაუზიანდა, ხმა ჩახლჩილი დარჩა. სცენაზე მოქმედების დროს ამ ნაკლს ისე ობტატურად ფარავდა, რომ ამას არავინ ყურადღებას არ აქცევდა. იყო შესანიშნავი მიმიკის პატრონი. ამის შეზღობით მის ხელში ხანგრძლივი პანუხაც კი მრავალსმეტყველ მოქმედებად იქცეოდა. კიდევ ერთი თვისება მქონდა, რაც მრავალ მსახიობს ენატრება, ეს არის სცენური მომზადებულობა. გამონდა სცენაზე, ჯერ კიდევ სიტყვა არც კი წარმოუთქვამს, მაყურებელი მოპყრავდა თუ არა თვალს, უკვე მოკადობებულივით მისჩგრებოდა, ყურადღების მოწყვეტას ვერ ახერხებდა, სანამ ის სცენიდან არ გავიდოდა.

ლ. მესხიშვილი ქართული თეატრში მოღვაწეობის პერიოდში თავისი საყუარო აქტიორული სკოლა შექმნა. სცენაზე ახლად გამოჩენილი მსახიობები, რამდენიმე გამოკლებით, უკვე მას ხანც ვდა. სახელწოდების მსახიობის ალ. იმედაშვილის თქმის არ იყოს, ზოგი ხშირად კი ბაძავდა და ცდილობდა ხმა ჩახლჩილივით ელაპარაკა. მისი სკოლის მსახიობებიდან ბევრი ბოლომდე მისივე მიზნაძველი დარჩა.

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას მესხიშვილი აღფრთოვანებით შეეგება. თეატრის შერობა რევოლუციურ მოძრაობის კერად აქცია, ხოლო სცენა ტრიბუნად. გარდა იმისა, რომ იგი დგამდა რევოლუციური ხასიათის პიესებს, ამავე დროს, მართავდა დივერტისმენტებს, სადაც კითხულობდნენ რევოლუციური ხასიათის ლექსებსა. ერთხელ მან სცენიდან წაიკითხა ლექსი მასათთან საშეშო დღეზე, რისთვისაც იგი პოლიციამ დააპატიმრა. რევოლუციურ მოძრაობასთან დაკავშირებით, როცა ქუთაისის ბულვარებში გაიმართა პირველი მიტინგი, ლდო ამ მიტინგს თავმჯდომარეობდა და აღნიშნული ლექსი მან აქაც წაიკითხა. თეატრის ბევრი მუშევი ნაგბა რევოლუციურ მოძრაობაში. სცენიდან ავტიკატორ — პროპაგანდისტა მგზნებარე სიტყვები გაისმოდა. თვით მესხიშვილიც გამოდიოდა აღფრთოვანებული სიტყვებით. 1905 წლის 25 აგვისტოს წარმოდგენის დროს ლ. მესხიშვილი გამოვიდა სიტყვით. ქუთაისის გუბერნიის ენაღარბოთა სამმართველო უფროსის პოლკოვნიკ ნიკოლაევის ოქმიდან ირკვევდა, რომ ის „ხალხს მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ პაროლისათვის...“ მესამე მოქმედების შემდეგ სცენიდან იმღერეს მარსელიეზა. ხოლო სპექტაკლის შემდეგ ხალხი როცა თეატრიდან გამოვიდა მარსელიეზისა და სხვა რევოლუციური პანგების სიმღერით გაეშურა შინილაკურ.

ამას გარდა ხშირად წარმოდგენის მსვლელობის დროს ლ. მესხიშვილის ხელმეწყოებით პროკლამაციებს ყრიდნენ აიენადან პარტერში. ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ ვახვთი „საქართველო“, რომელიც პარიზში გამოდიოდა, შემდეგს გადმოგვცემს: „ქუთაისიდან გვეწერენ, რომ ერთ წარმოდგენის დროს გუბერნატორს მან სმავით თავზე გადააყარეს პროკლამაციები. ეკვი აულიათ ზოგიერთ შევირდებზედ და ამისათვის რამდენიმე გიმნაზიელი შეუპყრიათ. გიმნაზიელები აჯანყებულან და მოუთხოვიათ უბრალოდ დაჭერილ ამხანაგებს განთავისუფლება, გადაუწვევიათ წასლუოვენენ ერთად გუბერნატორთან. მთავრობას ჯარი შემოურტყავს გიმნაზიისათვის და არ გაშვია შევირდები“ (გახ. „საქართველო“ 1904 წ. № 10, გვ. 12, პარიზი).

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა. 1905 წლის მარტის დასაწყისში ქუთაისის თეატრი ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით გაემზავრა ელისავეტპოლში (ახლა იკრევაბადი). პირველი წარმოდგენი გაიმართეს 10 მარტს. მაყურებელს უხვე-

ნის „კი გრაცია“ მონტისა. რევოლუციურმა ორგანიზაციამ გადმოწყობა ისარგებლოს წარმოდგენით და ის საავტორიო სპეციალურად გამოიყენოს, ამის შესახებ მსახიობ ნინო დავითაშვილის შემდეგობით მოლაპარაკება გამართეს ლადოსთან, ისიც დათანხმდა. ამის შემდეგ გადმოიყარეს პროკლამაციები. გაიმართა დემონსტრაცია და სხვ. მაგრამ ამაზე სიტყვას არ გადაგრძელებთ და მოვიტანთ ამონაწერს ერნ. „Бесцензурный Журнал“-იდან, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში. „10 მარტს ელისავეტოპოლის რკინიგზის თვატრისში გაიმართა სპექტაკლი ქართულ ენაზე. დადგეს პიესა „კი გრაცია“. — წერს ერნალის კორესპონდენტი — მესამე მოქმედების დროს მაყურებელთა დარბაზში ელექტრონის შუქი უცებ ჩაქრა. ამავ დროს დარბაზში ვიღაცამ რევოლუციური გაისროლა ზევით. ტყვია მოხვდა ქერში ჩაქედებულ ლერმანს. აქედან ტყვია ჭვევით ჩამოვარდა და ორკესტრში მყოფ მუსიკის დამკვრელს თავზე დაეცა. ამავ დროს ხალხმა ყვირილი დაიწყო, იტყდა ხმაური და სიმღერა. ამასობაში დარბაზში დიდი რაოდენობით გადმოყარეს პროკლამაციები რუსულსა და ქართულს ენაზე, რომელშიც იყო მოწოდება არსებული წყობილების დანგრევის შესახებ. პროკლამაციებზე იყო დასმული ბეჭედი წარწერით — „თბილისის კომიტეტის ელისავეტოპოლის რაიონული ჯგუფი“. შემდეგ ჭვევით: „შერამე მაყურებელთა დიდი ნაწილი თვატრის შენობიდან გამოვიდა და ქართულად მირსელიოზის სიმღერით მივიდა სადგურის დეპარტამენტზე, სადაც განგრძობ სხვადასხვა სიმღერა. ხალხის მეთრე ნაწილი, რომელიც მტკივნეულად გინაზღველებისგან შედგებოდა, რევოლუციურების სროლით წავიდა „კონკისკენ“, ჩისხდა შიგ და სიმღერითა და ხმაურით გაეგზავრა ქალაქისაკენ.“

როგორც იმავე კორესპონდენტიდან ვგებულობთ, 20 მარტს შეკრებილა 200-მდე მეშა, წამოსულან თვატრისაკენ და დემონსტრაციის მოწყობა განუზრახავთ, მაგრამ — წინასწარ მიღებული ზომების შედეგად ქართული წარმოდგენა პიესისა „ცხოვრების გარეშე“ წესიერად ჩატარდა, თუმცა იყო ცდა ძრავის მამოძრავებელი ძეგელი კვლავ გადაეჭრათ“-ო და სხვ. („Бесцензурный Журнал“, 1905 г. 16 апреля № 16, стр. 282).

როდესაც 1905 წლის რევოლუცია ნიკოლოზ მეორემ სისხლში ჩაახრჩო, დასავლეთ საქართველოში და ქუთაისში ცნობილი ჯგუფით გენერალი ალხანოვ-გვარსკი გავზენა თავის დამსჯელი რაზმებით. ლ. მესხიშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ქუჩაში გაიმართა ბარაკდები. მას იარაღით ხელში ამოუღარა „ფაფარავრთლომის გამომეტყველების“ მქონე შეეცხებილი-თიანი ლადო მესხიშვილი, რომელსაც გვერდში

უდგნენ შეიარაღებული მისივე თანამშრომლები და მეგობრული ერთსულოვნებით გადწყვეტენ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლას.

ასეთივე ლ. მესხიშვილის, როგორც მოქალაქისა და მოწინავე აღმაშენის, სახე ერთი თვალის გადავლევით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეშობა მარტო მსახიობობითა და რეჟისორობით არ ამოიწურებოდა. ლ. მესხიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა ქართული თვატრის რეპერტუარის გაფართოებაში. თარგმნა ზვეერი პიესა, მათ შორის „მოხეყნება“ პიესა ანტ. ჩეხოვის მიხედვით, „მოცეკული“ პერმან ბარისა, „როზა ბერდა“ პიუტმანისა და სხვ.

1915 წ. ლ. მესხიშვილი რუსეთში გაემგზავრა, დაბინადდა მოსკოვში. იგი ხან მოსკოვის და ხან კიდევ რუსეთის სხვა ქალაქების თვატრებში მუშაობდა.

ერთ დროს კინოშიც მიიწვიეს მსახიობად და მისი მონაწილეობით გადაღებულია 20-მდე კინოფილმი, მათ შორის „მამა და შვილები“, „ლუკის სიბერე“, „ცხოვრებაში ყველაფერი ხდება“, „მარტო ფრიალებს აფრა ეული“, „მარგალიტის გვირგვინი“ და სხვ.

თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებს მესხიშვილი მოსკოვში შეხვდა. თვითმპყრობლობის დამარცხებით აღფრთოვანებულია, იგი, მთუ ხედავდ მოხუცებულობისა, საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაება. სხვათაშორის, იგი არჩეულ იქნა რუსეთის თვატრალური საზოგადოების მოსკოვის ერთ-ერთი თვატრის განყოფილების თავმჯდომარედ და სხვ.

1920 წ. იანვარში ლ. მესხიშვილი სამშობლოში დაბრუნდა. ის მიიწვიეს რეჟისორად და მსახიობად თბილისის (ახლანდელი რუსთაველის) თვატრში. შეუდგა კიდევ მეშობას. ამზადებდა და სადგმელად პიესას „მარიამ მავღალინელი“. მაგრამ დადგმის განხორციელებას ვერ მოეწერო. ჩაერთა ლოვინად და 25 ნოემბერს გულის სიღამშლით გარდაიცვალა.

კვირას 28 ნოემბერს ლადო მესხიშვილის გვაში აუარებელმა ხალხმა დიდების პანთეონს მიაბარა. მის კუბოს ამკობდა მხოლოდ ერთი გვირგვინი, რომელზედაც იყო წარწერა: „ქართული სკენის სიამაყეს ლადო მესხიშვილს — საქართველოს მოქალაქენი“.

საბუთა ხელისუფლებამ ლ. მესხიშვილის დიდი ამაგი და მშვენიერი წარსული არ დაივიწყა და 1930 წ. გარდაცვალების 10 წლის თავზე მიაწივა რესპუბლიკის სახალხო არტისტის საპატიო წოდება, ხოლო 1940 წელს ქუთაისის თვატრის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით ამ უკანასკნელს ლადო მესხიშვილის სახელი მიეცეთენა.



აჭარის მხატვრები

აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკლარაციის მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენას, რომელიც მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში მოეწყო, წილად ზღადა დიდი წარმატება. იგი ჩვენი დედაქალაქის ათასობით მწრომელმა დაათვალიერა. ექსპონირებული იყო ოცამდე ავტორის როგორც ფერწერის, ქანდაკებისა და გრაფიკის, ისე თეატრალური დეკორაციული მხატვრობისა და კერამიკის ნაწარმოებები. უსათუოდ მოგვაგონებდათ რეკონსტრუქციული ხანა, როდესაც აჭარაში მხოლოდ ორიოდ მხატვრის სახელს ვიგონებდით. ახლა კი ეს ახალგაზრდა, მაგრამ ნიჭიერი კოლექტივი საქართველოს მხატვრობის შორის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. მთვან ზოგს თამამად შეუძლია მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ცენტრალური ქალაქების გამოფენაზე.


აჭარის ფერწერულ მხატვრობას შორის ყველაზე მეტი ყურადღება შოთა ხოლუაშვილმა მიიქცია. იგი სამიოდე წელია, რაც დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობს შეუდგა და უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები მოუპოვებია. მას შეუძლია არა მარტო ნატურის ტექნიკური სრულყოფითი გადმოცემა, არამედ რთული იდეურ-მხატვრული ამოცანების გადამწყვეტაც.

ხოლუაშვილის ტილოებს შორის ყურადღებას იქცევს პორტრეტული ნაწარმოებები. მუქ მორუხი გამაში შესრულებული „მოხუცი მამაკაცის პორტრეტი“ ხასიათის მკაფიო გადმოცემით და ფერთა შეხამებით გამოირჩევა. ფაქიზი გემოვნება და ფერწერის ოსტატობა კარგად ჩანს სპორტსმენი ქალიშვილისა და საქართველოს დამსახურებული არტისტის ფ. კობალაძის პორტრეტებში, რომლებიც ხასიათის გამოხატვის მკაფიობითაც საყურადღებოა. მხატვარი ჰუმანიტარული შემოქმედებითი გატაცებით ველაპარაკებოთ ერთი შეხედვით თითქოს სრულიად ჩვეულებრივ საგნების შესახებ. სამამხსოვრებელ სანახაობად აქცევს მსახიობის სახასიათო პოზსითან ერთად წითელ აფსახვევისა და კანის მოსაღათისფრო ტონების შეფარდებას მშვიდსა და მომწვანო მონაციისფრო ფონთან. ერთ-ერთ პორტრეტზე, რომელიც შავ კაბაში და წითელ ფილტში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალია წარმოდგენილი, სიმისის ფერებში არასვეულუბრავე შრომანდაა შეხამებული ქალის შეფერვიან სახესთან მაგრამ ყველა ღირსებასთან ერთად ხოლუაშვილის პორტრეტები მოკლებული არ არის წვენი მხატვრობისათვის დამახასიათებელი

ნაკლოვანებებს. მხედველობაში გვაქვს ობიექტისადმი მხატვრის ზედმეტი მორიდებული, რამდენადმე ობიექტივისტური დამოკიდებულება. მაშინ როდესაც შეორეხარისხოვან დეტალებს, როგორცაა სამოსი ფონი და სხვა იგი ისეთი პოეტური სითამამით განაზოგადებს, სახის გამოყვეთისას ემპროსტულ მდგომარისაგან თავი უკერ კიდევ ვერ დაუღწევია და თავის მხატვრულ სიტყვას საჭირო სითამამით ვერ ამბობს. შავ კაბასა და წითელ ფილტში გამოწყობილი ქალის პორტრეტში მას მორიდებით შეუნარჩუნებია ქალის ხელოვნური პოზა, მაშინ როდესაც იგი, როგორც ხელოვანი, უფრო მადლად უნდა მდგარიყო და საინტერესო ფერწერული ნაწარმოები უტარებლობისაგან უნდა დაეხსნა. მაშინ პორტრეტს საღონური იფი არ გამოაყვეებოდა. იგივე ითქმის მსახიობი კობალაძის ესოდენ საინტერესო პორტრეტის შესახებაც, სადაც მსავსების მორჩილად შენარჩუნების ფაღბი შიშით პირისახეს მხატვრული განზოგადება აკლია.

შოთა ხოლუაშვილის ნაწარმოებებს შორის აღსანიშნავია შედარებით რთული თემატიკური სურათებიც: „გ. ლენინი და მ. ცხაკაია რსდმპ-ს მესამე ყრილობაზე“, და „სტალინი, კეცხოველი და წულუკიძე რედაქციაში“. ზოგერთი ღირსების მიუხედავად ეს ნაწარმოებები მხატვრის მიღწევად ვერ ჩითვლებიან, მათ კომპოზიციური გააზრების მხრივ ორიგინალურობა აკლიათ და ადვილად გვაგონებენ შტამს, რომელიც უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე ქართული მხატვრობის ისტორიულ-რეკონსტრუქციური ძანრის კომპოზიციითა გაჩვენულ ნაწილში იყო გამოიმშვეებული.

ხოლუაშვილის ჰუმანიტარული გამარჯვებას წარმოადგენდა „ლომპოადისათვის მხადების“ თემაზე შექმნილი ესკიზი, რომელზეც აჭარელთა ცეკვაა გამოსატული. მხატვარს ბრწყინვალედ გადმოუცია ხალხური ცეკვის სიმკვირცხლე და ოპტიმისტური შინაარსი. მას თავი დაუღწევია მიმსგავსებისათვის შრენებისაგან რაც პორტრეტებში რამდენადმე მაინც იგრამობოდა და მსავსების შენარჩუნებისთან ერთად სახეები ზოგადი ტიპის სიმადლზე აუყვანია. პლასტიკურად საყვეებით გამართულ მოცეკვეთთა ჯგუფს შედარებით ნაპორჩემა დამწერეთა ჯგუფები, ამ ხარებებს მხატვარი თუ ამოავსებს ესკიზი სრულიად თავისუფლდება ცეკვის კერპო შემოხვევის ნაირობისაგან, მოყვენის მადიდ მხატვრულ სახეს მადლწევს.



გამოფენაზე ა. ენგერიალის, ალ. ეფტევიის, ი. ეფრემოვის, შ. ზამთარაძის, გ. მეგრელის, ნ. პელიენკოს, ალ. პოგოდინის, ელ. რედის გრ. სენფიანის, ს. ტაკიოს, ვას. ტრაფიმოვისა და დ. ჯვარშიშვილის ტალოთა უმთავრეს თემის აპარის ბუნების სილამაზე წარმოადგენს. თეთთან აპარელი ხალხის ცხოვრება კი მათ საკმაოდ სისასხით არ აღსახავთ. უნდა აღინიშნოს ერთი გაერმოება: ექსპოზიციის ღირსად ნაოვლილია ნატრიდიან შესრულებული ყოველგვარი ეტიუდი, განურჩევლად იმისა, მხატვარი გამოხატავს ნატურისადმი თავის შემოქმედებით დამოკიდებულებას თუ მის გულგრილ განწყობას იძლევა. ამის გამო ხელოვნების ჭეშმარიტი ნიმუშების გვერდით ადგილი ეთმობა სრულიად უემოციო ტალოებსაც.

გამოფენის ყველაზე საყურადღებო ექსპონატებს შორის უნდა დავასახელოთ ახალგაზრდა ფერმწერლების გვიე მეგრელისა და შოთა ზამთარაძის ნაწარმოებები. მეგრელის საეკეთესო ტალოებს პოეტური განწყობილებით აქვარა კვალი ატყვია. ასეთია „შემოღამება ზღვაზე“. მხატვარს ოსტატურად და ფაქიზი გრძნობით გადმოუცია ზღვის წყლის სიმძიმე და ბნელით მოცული ზღაპარის საიდუმლოებრივი სიმყუდროვე. იგი შესანიშნავად გამოყოფს მისს უკანასკნელი სინათლით ალაპაღებულ ტალების მწკრივს. მეგრელის ეტიუდებში ზღვის თაყობური ელფერი საოცარი სიმართლითა და ვაკეებითა გამოყვანილი. სამწუხაროა, რომ საქართველოს ბუნებას ასე ნიჭიერი ამსახველი მხოლოდ ეტიუდებით იფარგლება და პეიზაჟის სურათივრულად გადამყვებებს თითქმის არ ისახავს.

შოთა ზამთარაძის ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა მოზრდილი ტილო, რომელზედაც ბათუმის ნავსადგურის ერთ-ერთი კუთხეა წარმოდგენილი მზის ჩასვლის დროს. შევითვალთ პარიზონტი და გემის ზედა ნაწილები გამოცდილი ოსტატის ტაქტითა ამეტყველებული ჩრდილში მოქცეული საგნების სილუეტებთან შეფარდებით. ზამთარაძის ნაწარმოებთა საერთო ღირსებას ნავსადგურის ინდუსტრიულ ცხოვრების ჩვენება და ფერწერობა წარმოადგენს, მაგრამ მისი ზემოქმედება სუსტდება იქ, სადაც პოეტური ლექვის ადგილი გულგრილ აღწერილობა დასთმობია. იქ მოჩანს ქართულ მხატვრობაში საკმაოდ გავრცელებული მდებარე თვალსაზრისი, რომელიც ვერ აფასებს მოკუნებისადმი მხატვრის ემოციურ დამოკი-

დებულებას და საბჭოთა პეიზაჟის გამორკვევბის ერთადერთ გარანტიად ინდუსტრიული ტემის შერჩევას მიიჩნევს.

აპარის მხატვართა გამოფენაზე სიანტერესოვად გამოიყოფება ახალგაზრდა მხატვრის ანტონ ფილიპოვის თეატრალურ-დეკორატიული მხატვრობის ნიმუშებიც. საყურადღებოა ქანდაკების და კერამიკის ნაწარმოებებიც. ამ პატარა კოლექტივს ორი ნიჭიერი მოქანდაკე ჰყავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა ოსტატის შ. ბოლქვაძის „ლენინის პორტრეტი“ (ნარეული ფი). ლენინის თავი გამოკვეთილია ექსპრესიულ პოზაში. იგი მაყურებელს სიტყვით გამოსულ ბელადის სრულ იღვზიას უქმნის. აღსანიშნავია ბოლქვაძისავე ყაბალახიანი მოზტუკის პორტრეტი. ტ. კანტერიას ნამუშევრებს შორის კი გამოირჩევა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ზინკაძისა და ძველი რევოლუციონერის კარაოვის პორტრეტები. ისინი გააზრებულია სახეობრივად და ტექნიკურადაც მაღალ დონეზე შესრულებული. სამწუხაროა, რომ ამ ნიჭიერ მოქანდაკეებს სრულიად უგულვებლუფვითავე ჯგუფური ქანდაკება.

მხატვარ-კერამიკოსს ვ. კვერნაძეს გამოუფენია ქართული ჭურჭლის რამდენიმე ნიმუში. ზოგიერთზე წერილობანებით გალამაზების სურვილს ქეშმარიტი სილამაზე შეუესტებია. ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინჯანი კი ქართული სტილის ორნამენტით, სისადავითა და ხალასი სილამაზით გამოირჩევა. აპარის მხატვართა კოლექტივს საიმედო ოსტატები ჰყავს გრაფიკულ ხელოვნებაშიც. დამსახურებული ყურადღებით სარგებლობდა დ. იმანიშვილის ნაწარმოებებს შორის წარმოდგენილი იშვიათი მაღალი ტექნიკით შესრულებული „ჩანჩქერი“ (აჭვარელი), წიგნის გრაფიკის დარგში კი ალ. მესხის ესკიზები „აეკის აფორიზმების“ ყდისათვის და ილიას „კაკო უანაღის“ ილუსტრაციებს შორის თავსართი, რომელზეც კახეთის ჩამინებული სოფელია წარმოდგენილი. მესხის გრაფიკა, საერთოდ, ხასიათდება ლირიკული განწყობით ფაქიზი შესრულებით, დახვეწილი გემოვნებითა და ქართული სტილის თვალსაჩინოებით. მესხი საიმედო მზარდი ოსტატია, ოღონდ ილუსტრაციებში მას შერტ სახეობრივი გააზრება ესაქიბება.

ამ მოკლე მიმოხილვითაც უთუოდ ნათელია, რომ ქართველ მხატვართა ეს კოლექტივი ის ახალგაზრდული ძალაა, რომელიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს აპარის მხატვრული კულტურის განვითარების საქმეში.

მონოგრაფია ეკატერინე გაბაშვილზე

ეკატერინე გაბაშვილს (1851—1938) ქართულ ლიტერატურაში საბატო ადგილი აქვს დამკვიდრებული. მკითხველს, რომელსაც ბავშვობაში დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „ღედენით“ და „ბუნების კართი“, ავრთვეს სხვა ავტორთა სახელმძღვანელოებით უსწავლიათ, ხოლო დავაყვებულთ მწერლის თხზულებანი წაუკითხავთ, არსოდეს დაავწყდებით დიდი ჰუმანიზმით გამთბარი მისი შესანიშნავი მოთხრობები. ეკატერინე გაბაშვილის მხატვრული ნაწარმოებები ამჟამად გულწრფელი სიყვარულით სარგებლობენ, რადგან ისინი ემოციური ზეგავლენის დიდ ძალას ინარჩუნებენ და მკითხველთა შორის კეთილშობილურ გრძნობებს აღვიძებენ, წარსული შებუნელი ცხოვრების მძიმე სურათებს მკაფიოდ გვიხატავენ, ბოროტა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს აძლიერებენ.

ე. გაბაშვილის შემოქმედების ღრმად შესწავლა საჭირო და აუცილებელი საქმეა. ამ შეზნის ემსახურება ერ. ქარელიშვილის გულთბილად და სიყვარულით დაწერილი მონოგრაფია ეკატერინე გაბაშვილზე.

წიგნი, შესავლის გარდა, შემდეგი თავებისაგან შედგება: „ორი ბობილი“, „უსინარულო ბავშვობა“, „კეთილი მამა“, „სწავლას მოწყურებულო“, „ფეარის პანსიონში“, „ორი მეოცნებე“, „ეპოქის შეილი“, „თავისუფალი სიყვარულის მომღერალი“, „სოფლის ჭირ-ვარამის მხატვარი“, „უტოპიური ილუზიები“, „ბავშვების მეგობარი“ და „ჩვენს დროში“.

შესავალში ავტორი წერს: „მოუხედავად ზოგიერთი მკვლევარის მნიშვნელოვანი ღვაწლისა, გაბაშვილის მხატვრული შემოქმედება ჯერ კიდევ ჯეროვანად არ არის შესწავლილი. ჩვენი შრომის მიზანი არაა ამ ხარვეზის ამოცხება. წინამდებარე მონოგრაფიაში შევეცადეთ პოპულარულად გავვემუქებინა მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების დამახასიათებელი მომენტები, რათა ახალგაზრდა მკითხველში ცხოველი ინტერესი აღგუვძრა მისი შემოქმედების ღრმა გაცნობისა“ (გვ. 4).

წიგნის წაკითხვა მკითხველს დაარწმუნებს, რომ ავტორის ეს განზრახვა მიღწეულია. ახალგაზრდა მკითხველი (და არა მარტო ახალგაზრდა) კიდევ ერთხელ გადაფრთხლავს ეკატერინე

გაბაშვილის თხზულებათა კრებულს, რათა თვალწინ ეხადად წარმოიდგინოს მართლსა და პაუტს („რომანი დიდ ხევაში“), ორენასა და ქუჩის (ამავე სახელწოდების მოთხრობა), ტაროსა და მართს („ბუნების სიყვარული“) ტრავიკული სახეები, სახეები ჩვენი ხალხის ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ადამიანებისა, რომელთა გულშიც ურთიერთ სიყვარულის წმინდა გრძნობა ღვიოდა, მაგრამ უფოცობამ, დრო-შემუღმა ტრადიციებმა, სიმდიდრისადმი სიხარბემ და ქალის უფლებებთან, საშუალებად არ მისცა ამ სპეტაკი გრძნობის მატარებელთ ბედნიერი ოჯახი შეექმნათ. ისინი იღუპებიან ბნელ ძალებთან ბრძოლაში: ზოგი უბრალოდ და მორჩილად, თვალებიდან ცრემლთა დენით, ზოგიც გმინვით და მკერდზე ხელისკეპით, უსამართლობის წყველა-კრულვით. მაგრამ როგორც მართებულად აღნიშნავს ერ. ქარელიშვილი, „არ იქნება სწორი, ვთქვათ, რომ ეკატერინე გაბაშვილის ნაზი ტრედიაციებით ავზნებული ქალ-ვენი უოველთვის იღუპებიან, რომ ისინი მუღამ გრძნობის შივნები არიან, არ ჰყოფნით ძალა გონიერულად წარმართონ თავიანთი განცდები. მწერლის მოთხრობებში სიყვარული უოველთვის მარცხით როდი მთავრდება. მის განათლებულ, მოწინავე შეხედულებების მქონე გმირებს, რომლებიც ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძებიან, მთელ თავიანთ ენერჯიას საზოგადოებრივ საქმეს აბმარენ, იმის ძალეც შესწევთ, რომ სიყვარულის ბრმა მსხვერპლნი არ შეიქნენ“ (გვ. 105).

ასეთი გმირთა ახალი ცხოვრების მოტრედიაცი თამარს, რომელსაც პირადი ბედნიერება საზოგადოების, სამშობლოს ბედნიერების გარეშე ვერ წაბოთღვდენია და ამიტომაც თავის თავიანთ-მეტეულ სამხედრო პირს გაბედულად ეტუბნება:

„რას ემსახურებით თქვენ? რა საგანი აქვს თქვენს მოქმედებას? ვის აღვეთ თქვენს ძალასა და ღონეს, როდესაც ვე ძალა და ღონე ჩვენი ქვეყნისათვის არის საჭირო?... თქვენი თავი თქვენს ქვეყანის უფრო უჭირს. ჩაისვენეთ თქვენს გულში ის წმინდა ხატი, რომელსაც სამშობლო ქვეყნი და მისი კეთილდღეობისათვის იმოქმედეთ“ („თამარის ნუგეში“).

ქართველ ქალთა ასეთი ტიპების დაბატეით მწერალმა ზავგასმით აღნიშნა, რომ მომავალი სამართლიანი ცხოვრების დამკვიდრებაში მამაკაცებთან ერთად განათლებულ ქართველ ქალებ-

საც თავიანთი წვლილი მიუძღვით და გული სამშობლოს სიყვარულით აქვთ გაბნობილი.

ნიკო ბერიშვილი, წყნარი, კეთილშობილი მასწავლებელი-ინტელიგენტი, რომლისთვისაც ხალხსაღმის სამსახური და სიყვარული დანერგვა საპირსებო მოთხოვნებზეა და გადაქცეული, გულწრფელად ნატრობდა: „ოჰ, ღმერთო! ძალი მომეც ჩემის ზეგდრის ტარებისა, ძალი მომეც, რომ არ დავეცე, არ ვუღალატო ჩემს შოვალიობას, ჩემს კაცურ დანიშნულებას“ („გამარჯვებული ნიკო“). ე.ვ. გაბაშვილის მოთხოვნათა ბევრი გმირი გამსწავლელი ამ „კაცური დანიშნულების“ ღრმა შეგნებითა და ამიტომაც იმსახურებენ მკითხველთა სიმაჟთობებს.

მრავალი გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებული მასალის გამოყენებით (სამწიხაროდ, ავტორი ყოველთვის არ მიუთითებს წყაროს) ვრ. ჭარულიშვილი ცოცხლად წარმოგვიდგენს ეკატერინე გაბაშვილის ბავშვობას, ქართლის ლაშაზ სოფელში გატარებულ ზან უსიხარულო და ზან ხალისით სავსე დღეებს, ფაჯრის პანსიონში სწავლისა და მის შემდეგ მასწავლებლობის პერიოდს, ეკატ. გაბაშვილის პირველ ნაბიჯებს მწერლობაში, დაოჯახებას და ქართულ ლიტერატურაში მტკიცედ ფეხის მოკიდებას.

საკუთრივ მწერლის შემოქმედების განხილვისადმი მიძღვნილი თავები: „თავისუფალი სიყვარულის მომღერალი“, „სოფლის ჭირ-ვარამის მხატვარი“, „უტოპიური ილუზიები“ და „ბავშვების შეგობარი“.

მონოგრაფია საკმაო წარმოდგენას გვაძლევს ეკატერინე გაბაშვილის ხანგრძლივ ცხოვრებასა და სასოვალდებრივ მოღვაწეობაზე, ავტორთვე პუბლიცისტი მწერლის შემოქმედებაზე. ჩვენნი აზრით, ვრ. ჭარულიშვილი ძირითადად სწორად განსაზღვრავს ე. გაბაშვილის შემოქმედების ხასიათს, თემატიკას, მოტივებს და მისი წერის მანერას. ეს წიგნი მკითხველებისათვის უდავოდ სასარგებლოა და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

მაგრამ ამასთან ერთად რამდენიმე ცალკეული შენიშვნა და სურვილი გვინდა გამოვთქვათ. ეკატ. გაბაშვილი ცნობილია როგორც შესანიშნავი საბავშვო მწერალი. ცხადია, ამის აღნიშვნა ჩრდილის ა. აყენებს ნიჟარად დაწერილ მის მოთხოვნებს, რომლებიც დიდებისათვისა განკუთვნილი. წიგნის „შესავალის“ წიაკთხვა კი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქმის ქართული ლიტერატურული კრიტიკა ე.ვ. გაბაშვილს ცნობდეს მხოლოდ როგორც საბავშვო მწერალს. „ეკატერინე გაბაშვილია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ პროზის განვითარებაში; საბავშვო მწიგნობარსა პირველმა გაუქაფა ფართობი და მცირე ფორმის მოთხოვნა. და თუ მას მაინც იცნობენ უმთავრესად, როგორც „მავღანას ლურჯას“, „ღვინია გაღაინებს“ და „თი-

ნას ლეკურის“ ავტორს, ამაში ბრალი სალიტერატურო კრიტიკის მიუძღვის“ (გვ. 4).

არა გვეგონა ეს ბრალდება „სამართლიანი იყოს. შედგენისამებრ ე. გაბაშვილს აქვს მდინარე როგორც „თამარის ნუგეზის“, „გამარჯვებული ნიკოს“ და სხვა მოთხოვნათა ავტორსაც, და თუ მის ლეკურს საბავშვო ლიტერატურაში მაინც განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, ეს საფუძველს მოკლებული როდია, რადგან, როგორც თვითონ მწერალი წერს თავის ავტობიოგრაფიულ მოთხოვნაში „ბებია კატო“, „გაცილებით მეტი ბებია კატოს ბავშვები უყვარდა: პაწაწინები, უმანკოები, მოშავლის კოკრად განიწილები“... „...მათ „სიხარულსა და ბედნიერებას თავს სწირავდა: ხნავე, თესავე იმათთვის კაცთმოყვარობას, გულკეთილობას, კეთილშობილებას, სიბრალულს, გულუხობას, სათნობას, მართლის სიყვარულს და სხვა მრავალსა კაცთა სიკეთეს.“

თესავე, უვლიდა, ახარებდა, ამშვენებდა ამ თვისებათა და გაფიქრებულთ, ოკროს მძივებად ასმულთ ატანდა ბავშვებთან დილის სიოს, მზის მბრწყინავ სიხვეს, შივარის მყრალ შექსა, ყვავილთ ტბილ ფერფლთა და გაზაფხულის ფრინველთ სტვენა-გალობის პარამონიას შეუღარებელს...

ბებია კატო ამ ხნა-თესაში ბედნიერობდა და სხვა რამ ჯილდო ამ ქვეყნური არც იყო-და, არც ნატრობდა“ („ბებია კატო“, მონოგრაფიის გვ. 242—243).

ეს არის გულიდან ამოხეთქილი წრფელი სიტყვები მწერლისა, რომელიც უსათუთესი გრძნობით და პატარებისადმი უსაზღვრო სიყვარულით ჭრწრავდა თავის მხატვრულ ქმნილებებს. ეს ქმნილებები ქართული საბავშვო ლიტერატურის ოკროს ფონში შევლია.

„შესავალშივე“ ავტორი აღნიშნავს: „მწერალი სიყვარულის თავისუფლებას ადამიანთა ბედნიერების საწინდრად სთვლის. გულწრფელად სწამს, რომ შევეარებულ ადამიანთა კაცობრივ უძლეველია, მას ყოველგვარი დამკრავლების გადალახვა შეუძლია“ (გვ. 4). სიყვარულს რომ „ყოველგვარი დამკრავლების გადალახვა“ შეუძლებოდა იმ პერიოდში და ეს ეწამებინა ე.ვ. გაბაშვილს, მაშინ არ დაიღუპებოდნენ ორენა და ქუჩე, შუკრა და ადელი და სხვ., რომელთა შესახებ ვრცელადაა ლაბარაჟი თავში „თავისუფალი სიყვარულის მომღერალი“.

დაუხსტებას მოითხოვს ავტორის შემდეგი მოსაზრება: ე.ვ. გაბაშვილი „ქართული ლიტერატურის ისტორიაში ხელაღებით ხალხისა მწერლად მიიჩნევენ, მაშინ როდესაც თავისი მსოფლმხედველობით ძირითადად ფიქრით ეროვნულ-განმათავისუფლებელთა თვალსაზრისზე დგას და როგორც მხატვარი (ბავლისტი ილია ჭავჭავაძის მოწაფეა). „ქართული ხალხისანი მწერლები თავიანთი ძირითადი „პროგრამით“

საბოლოოდ ილია ჭავჭავაძის პროგრამას არ სცილდება. რასაკვირველია, „თერგდალეულებსა“ და „ხალხოსნებს“ შორის მთლიანად იგივეობის ნიშნის დასმა შეუძლოა იქნებოდა. „ხალხოსან“ მწერლებს აქვთ საკუთარი, რაც მათ ერთგვარად განასხვავებს ილია ჭავჭავაძის სკოლისაგან. მაგრამ ეს „საკუთარი“ მათ შემოქმედებაში შედარებით სუსტია, მკრთალია... კლასთა ბრძოლის საკითხში ილია ჭავჭავაძის გაუღუნით „საერთო ნიადაგის“ თვალსაზრისზე დგებიან“ (გვ. 52).

აქ შეიძლება შემდეგი კითხვები წამოიჭრას: განა ხალხოსნური მსოფლმხედველობის მწერალი არ შეიძლება რეალისტი იყოს? ანდა, თუ ისინი „საბოლოოდ ილია ჭავჭავაძის პროგრამას

არ სცილდებიან“ და „საკუთარი“ მათ შემოქმედებაში სუსტია, მკრთალია“, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ქართულ ხალხოსან მწერლებზე ცალკე ლაპარაკი. ამის შესახებ ავტორს უტყუნო მაგიოდ უნდა ეთქვა. პირადად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველი ხალხოსანი მწერლების შემოქმედებაში საკმაოდ მკვეთრად არის წარმოდგენილი ის „საკუთარი“, რომელიც მათ განასხვავებს როგორც თერგდალეულებისაგან, ისე რუსი ხალხოსანი მწერლებისაგან (ცრძოდ, ეს ითქმის ეკატ. გაბაშვილზედაც).

ერ. ქარელიშვილის წიგნი დაწერილია კარგი ქართული ენით და თავიდან ბოლომდე დიდი ინტერესით იკითხება.

მიხეილ კაქელიძე

ნიჟამი „რჩეული“

მე-12 საუკუნის აზერბაიჯანელი დიდი პოეტი ილიას იმ-ნისტუ ნიჟამი განჯელი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც პოემათა კრებულის „ხამსეს“ (ხუთეული) ავტორი. საქართველოში კარგად იცნობდნენ რუსთაველის ამ თანამედროვე პოეტის როგორც თხზულებებს, რც მათ გმირებს. სამწუხაროდ, ნიჟამის პოემებსაც ელასკურად ხანის არც ერთ თარგმანს არ მოუღწევია ჩვენამდე. აღორძინების პერიოდში თარგმნილი თუ გადმოქართულებული ძეგლები უფრო ნიჟამის მიმხატველებს უკავშირდება, ვიდრე შარჩანელ დიდოსტატს. ამდენად, გასაგებაა ის დიდი მნიშვნელობა და ინტერესი, რომელსაც იწვევს ნიჟამის ახალი თარგმანი, შესრულებული უშუალოდ დედნიდან მავალი თორღას მიერ.

წიგნი შედგება ძირითადად სამი ნაწილისაგან: ლირიკა, იგავეები და ეპიკური. „ფარჰადი და შირინი“ წიგნს წამძღვარებული აქვს მთარგმნელის პოკლე წინასიტყვაობა და დართული აქვს შენიშვნები.

როგორც ითქვა, ნიჟამის სახელი მოუხვეჭა მისმა ხელმა პოემამ. მაგრამ ვაღმოცემით მის მრავალი ლირიკული ლექსიც უნდა ჰქონოდა. მართალია, დღემდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მოაღწია, მაგრამ რაინტელისტთა მიერ ნიჟამის ლირიკა სათანადოდ შესწავლილია, დადგენილი და გამოცემული. ბუნებრივი იქნებოდა, რომ მთარგმნელს ლირიკის ეს ნიმუშები გამოეყენებინა. მაგრამ მან სხვა გზას მიმართა: ამოკრება სხვადასხვა პოემიდან ლირიკული წილისკლები და ისინი მოათავსა ლირიკის განყოფილებაში. ნიჟამის ლირიკას, მის ღრმა ფილოსოფიურ კანონებსა და ნაზ დაზელებს მაინც თავი-

სი თემა და დამუშავების ზერხები გააჩნია, ლირიკულ წიაღსელებს კი თავისი დანიშნულება და ადგილი აქვთ პოემის აგებულებაში. ასე, მაგალითად, პოემში ჩვეულებრივ, ყოველი ახალი თავი იწყება მიმართებით მწდესადმი. ეს ადგილები, კონტექსტს მოწყვეტილი და ერთმანეთის მოყოლებით დალაგებული, ღვინის სმის ხაიაში სებური აღწოდების სათაბუქილებას ტოვებს (გვ. 9, 10, 12, 13, 19 და სხვ.), რაც არ არის დამახასიათებელი ნიჟამის ლირიკისათვის. ზემოთქმულით ჩვენ არ გვიფიქრია იმის მტკიცება, თითქმის „ლირიკის“ განყოფილებაში მოთავსებული წიაღსელები თუ ნაწყვეტები ზედმეტი ყოფილიყოს. მთარგმნელს კარგად შეურჩევია ისეთი ადგილები, სადაც ნიჟამი ვაღმოცემის თავის შეხედულებებს მიჯნურობაზე, ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, გვამცნობს თავის პროგრესულ იდეებს, ბიოგრაფიულ ფაქტებს და ა. შ. მაგრამ, ვიმეორებთ, მათ მაინც თავისი ფუნქცია აქვთ და ლირიკას ისინი ვერ შეეცლიან.

წიგნის მეორე ნაწილში წარმოდგენილი იგავეები ამოღებულია ნიჟამის პირველი პოემიდან „საიდუმლოებათა საგანძობი“. ეს დიდატიკური პოემა მეტად საუკუნისშეა ნიჟამის მსოფლმხედველობის შესწავლის თვალსაზრისით, რადგან აქ ის ყველაზე ნაკლებად არის შეზარკილი სოუეტური ჩარჩოებით. პოემა შედგება შესავალი ნაწილისა და ოცე თავისაგან, რომელთაგან თითოეული შეიცავს თეორიულ მსჯელობას ამა თუ იმ საკითხებზე და მის საბლესტრაციო არაკს. აო ამ უკანასკნელთაგან შეურჩევია მთარგმნელს რამდენიმე დამახასიათებელი იგავ-არაკი. თუ „ანუშირვანისა და ვაზირის იგავში“ პოეტის ფრინველთა ერთი კლხას მტრადელ შაშხ, მომღღენი იგავებში (დღედარბისა და სულთან სანჯარის იგავი“, „მტარვალი მეფისა და ალალი

ნიჟამი განჯელი. რჩეული. თარგმანი მავალი თორღამ. სახელგამი. 1956.



კაცის იგავი“) ჩაგრული ადამიანი უშუალოდ აღიშალა ზმის ტირანის წინააღმდეგ. ეს ზმა კეთილნობა თვით ნიშნის.

„ზოსტოვნიჩინი“ ნიშნის მეორე პოემა. „ფარსადის ეპიზოდი“ ამ პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია. თუმც თვით ფარსადის სახე არ უნდა იყოს ნიშნის მიერ შექმნილი (იგი იხსენიება უფრო აღრინდელ ავტორებთან ერთად და ნიშამ ულ-მულქთან), მაგრამ ნიშნის მიერ შექმნილი დაამუშავა ეს ამბავი ერთ მოლიან ეპიზოდად. იგი შემდგომ საუკუნეებში საფუძვლად დაედო ფარსადისა და შირინის მიჯნობის ამსახველ ზოგიერთ პოემას. ამდენად, ამ შემთხვევაშიც გასაგებია და გამართლებული მთარგმნელის არჩევანი. ამ ეპიზოდის ვაკნობით ქართული მკითხველი ნაწილობრივ მაინც ჩასწვდება ნიშნის პოეტური საგანძურის სიღრმესა და სიმდიდრეს, მისი პოემების ღრმა შემანერობისა და მალაღმბატურულობას.

აღმოსავლური ტექსტების თარგმნა განსაკუთრებით რთულია სპეციფიკური სიმწვლეების გამო. აქ იგულისხმება როგორც ტექსტის დადგენა და სწორი წაკითხვა, ისე პოეტური სახეების გახსნა და გაგება. შეუდარებლად რთულია ამ მხრივ ნიშანი. შეტყფორების უწყვეტი ნაკადი, მოკლედელი შედარებები, ალიტერაციის შედარებანი მოკცეულია ფოლადივით მკვირი და მოქნილ ლექსში. უნდა ითქვას, რომ მთარგმნელს ძირითადად სწორად გაიგო ტექსტი. მაგრამ ერთი ტექსტის სწორი გაგება, მეორე — მისი მბატკრული ოსტატობით გადმოცემა ამ ოსტატურობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ლექსის ლირი მდინარება ყოველგვარი ნაძალადიანის გარეშე, ისე, რომ არ ირღვეოდეს დედნის მბატკრული ქსოვილი. რამდენიმე მაგალითი ცხადყოფს, რომ ძირითადად ეს მხარე მთარგმნელის მიერ კარგადაა შესრულებული: ა) ტექსტში ფარსადის ტანჯვა ასეა აღწერილი: „მისი სწორი საბო განადის პრტოსავით მოხრილიყო, ვარდითი ას ადგილს ბერანგი დაღლეჯოდა“. სპარსული პოეზიისათვის ჩვეული სახე (ვარდის ფერცელი-დაღლეჯილი პერანგი — ტანჯვა) სიტყვასიტყვით რომ გადმოიღო მთარგმნელს, საგანგებო კომენტარები დასპირდებოდა და ვერც მოახდენდა ამ ეფექტს. რაც მას დედანში აქვს ამის ნაკვალ თარგმანში მივიღეთ ბუნებრივი ქართული ლექსი:

ვარდის მოხრილ ღერეს უგავდა
ტანი მას, ტანად საროსა,
ავდარს დაეზრო ყვაილი,
ვერ ღირსებოდა ტაროსსა (გვ. 125).

ბ) გამწარებული ფარსადი სასიუბარკვეთილ-ბამდვა მისული: „მული სულა გაყაროდა და ქვეყანა ზელში იშოკცოდა. უბედურება თან სდევდა მისა... და ბარში“. მთარგმნელის მიერ უბატკრულად დაძებნილია მშობლიურმა თქმამ დაგვიჩვენა, რომ თარგმანთან ვვაქვს საქმი:

მოსძელდა თავი, ქვეყანა,
მისი ქალა და ეწერი,
სულერთი იყო ყოველი, **არქანგელის**
წინ წყალო, უკან შეწყვეტიმ **გვ. 129**
გ) „ფარსადის და შირინის“ ეპიზოდის ულამაზესი ადგილია ფარსადის გლოვა, ამავე დროს იგი ერთ-ერთი ურთულესი ადგილია სათარგმნელად. ისევე, როგორც წიგნის სხვა ნაწილები, ეს ადგილიც ხატოვანი ქართული ენითა და დედნის პოეტური სახეების გადმოცემით არის შესრულებული. ტექსტშია: „მე თუ ქარი ვარ, შენ ვი აზოფული საროვ, თავი ტირიფივით შეარბუ ამ ქარისავან“... თარგმანში ამ ბეითმა ასეოი სახე მიიღო:

შენ, აზოლტილო იღვის ხე,
ამტეხე ქარამოტივით.
მოდი და ამ ჩემს ჭარბმალს
დაპვევი ძეწნის ჭარტივით. (გვ. 147)

მსგავსი მაგალითების მრავლად მოყვანა შეიძლება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აქა-იქ შეინიშნება ნიშნის ტექსტის არასწორი გაგება ან უხარბული გადმოცემა ქართულად, მაგალითად: ერთ-ერთ ნაწყვეტში „ისქანდღარ-ნამედან“ ნიშანში აღწერს ბუნების ზეიმს ვახაფხულზე; დედანშია: „სწორ საბოს ფრთა გაუშალე ლალად, ვგრიტებს შებატკობინე, რომ ამწენდა რტოები“ თარგმანში ვკითხულობთ:

წილში გამართე იღვიბი,
მთვარეს უთხარი გუნება
არ იცვალ-თქო, გელის-თქო
ათქვირებული ბუნება. (გვ. 19)

ამ ოსტყვას ერთნაირი დაწერილობა აქვთ. როგორც ჩანს, მთარგმნელმა „ყოზირი“ (გვრიტბე) წაკითხა, როგორც „ყამირი“ (მთვარე), რაც ეწინააღმდეგება ზომის და არ შეეფერება კონტექსტს.

არასულსტია თარგმანში შემდეგი ადგილი: წინ ქვაე რომ გადადგომოდა, სუნთქვით ქვასაც კი გაზურტდა (გვ. 129) ფარსადის მძინეარებას არ შეესაბამება სუნთქვით ქვის ზურტბა, თვით გამოთქმაც აშკარად უხარბულია. დედანში ხმარებული „ნაფირი“ ნიშანს ყვირიალი, მოთქმას, ხარს. ცხადია, უნდა იყოს „მოთქმით ქვასაც კი გაზურტდა“.

ეპიკური სიღრმით გეარბეებს ნიშანი: „ვიდრე სიტყვას არ შეგეკითხებთან, ბავე შეიყარ, მარგალიტი არ დაამსხერიო, ნაჯახი ნელა იხმარე. ვინც დაუკითხავად სიტყვას ახსენებს, მთელ თავის ნათქვამს განაიავებს“. თარგმანი არც შინაარსით, არც ფორმით არ შეესაბამება ტექსტს:

რაც მოვადგება ენაზე,
ყველაფერს ნუკი აჯახებ. (1)
მარგალიტი გაქვს სათლელი,
ნუ უშენ მძიმე ნაჯახებს.
ყურს დაუტყდებდნენ შენს ნათქვამს,
შენი ყბედობა რომ არა.

რომ ტორტლავ, ამა ვინა ხარ, (!)

ვისი ტივი და ტომარა! (გვ. 31)

დედნის უბრალო და ლაკონიური გამოთქმა: „გრძნობა წაერთვია საცოდვე ფარხადს“ თარგმანში შეცვლილია სიტყვათაშორის სტრუქტურებით:

სულ დაიბნინა ფარხადი,

სულ დაიბნინა და ჩაფლავდა... (გვ. 120)

მსგავსი ადგილები, რომელთა გასწორებით თარგმანის მხატვრული დონე უფრო ამაღლდება, თარგმანში სხვაგვანად გვხვდება („ეცნობილობთ“ გვ. 47, „არ ვარ მეტი“ — გვ. 88, „გარგა მოლმა“ — იქვე, „შაგრამ შაგარი ის არი“ — გვ. 33, „არ ვახერხ... ღორმუცელობის ბაზარი“ — გვ. 18, „არავინ უთბრა „მაიცა“ — გვ. 125 და სხვ.). მაგრამ ესენი არ წმინდან თარგმანის ძირითად ტონს. ნიზამის ახალი თარგმანი ქართული ლიტერატურული ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენაა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვიან გვესრის ადგილზე წიგნის ბრწყინვალე მხატვრული გაფორმება, რომელიც ვეუთვნის ენობმარტოვს. მხატვარს ლაღო გუდიანშვილს, უფრო ღრმად და თავსართ-ბოლოსართები შესრულებულია მისთვის დამახასიათებელი სინატიფით. ფორზაეში ერთ-მანეთშია გადახლართული დეკორატიული და სიუჟეტური მხარე, ამასთან ეს უკანასკნელი გამოირჩევა თემის ღრმა და ორიგინალური გაზრებით. თავისუფალი და ამავე ღრის ზუსტი რანა-მენტი თავსართ-ბოლოსართებისა და ყდაზე მოხდენილად ამოტვიფრული ვარდის რტო ავირგვიანებს კარგი წიგნის ვარგუნულ სახეს.

ალ. გვახარია

ორღე დგებუაძის მოთხრობები

ორღე დგებუაძის მოთხრობები კარგა ხანია ქართველ მკითხველში დამსახურებულ ინტერესს იწვევენ.

მკითხველს იტაცებს მწერლის ჯანსაღი ტენდენცია: მის ნაწარმოებებში მოთხრობილი ამბები გზაბნეულ ადამიანებზე არაა შემაჩრუნებელი, მკვლელობის საშინელებით დამოქმედებული, აქ ყველაფერი ადამიანის სიყვარულითა და მასზე ზრუნვითაა განათებული.

ო. დგებუაძე მოთხრობას იწყებს დანაშაულის ფაქტის აღწერით, შემდეგ ხსნის ბოროტმოქმედების რთულ კვანძებს, საშვებარითვე გამოაქვს ბოროტების ნამდვილი მიზეზები. ამიტომ სიუჟეტური მასალა, რომელსაც ავტორი უმეტესად სინამდვილიდან იღებს, საინტერესოდაა გამოყენებული. თითქმის ყველა მოთხრობაში მოქმედებს კეთილშობილი და მამაკი ადამიანი, სოციალისტური კანონმდებლობის ერთგული გუმბა, კეკელი და გამკრახა; მას აქვს დაკისრებული მოვლენების შეფასების, რთულ სიტუაციებში გარკვევის და დასკვნების გაკეთების ფუნქცია. იგი ყველა მოთხრობაში თითქმის უცვლელი სახით გვხვდება და, როგორც დადებითი გმირი, მკითხველის სიმპათიებიც მთლიანად მის მხარეზეა. ეს ადამიანი განსაკუთრებულ ხშირად ვარდება, დამწამების ზელო ზოგჯერ მას სასიკვდილოდაც კი შეეხება, მაგრამ იგი უკან არ იხევს, მოვალეობის ღრმა რწმენით, ადამიანებისადმი სიყვარულის კარნახით, იგი უჩინარია ბილიკებით

მიდის დანაშაულის კვალდაკვალ. ამიტომ იზრდება იგი მკითხველის თვალში საინტერესო, მართალ პიროვნებად და გმირად გვესახება.

დადებითი გმირის და მისი თანამებრძოლა გვერდით ო. დგებუაძე გვიხატავს დანაშაულთა საშვაროს. აქ ყოველი პიროვნება თავისი ინდივიდუალური ბედითაა საინტერესო. მათ შორის ზოგი უნებური დანაშაულია, რომლის მხარეზეა მორალური სიმართლე მიტეხილად ჩადენილი დანაშაულისა, ზოგი გამოუსწორებელი ბოროტმოქმედაა, რომელიც ანგარებას აყოლილი ყოველგვარ საზიზღრობას სჩადის, ზოგიც ისეთია. ვინც თავისი დანაშაულის ღრმა შეგნებით ცდილობს ისეთი რამ მოიპოქმედოს, რაც მის მოქალაქეობრივ სინდისს შვე ლაქას სამუდამოდ ჩამორეცხს.

